

ზურაბ დავითაშვილი

გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები



გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები

თბილისი
2026

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბ დავითაშვილი

გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები

უნივერსიტეტის გამომცემლობა

წიგნში განხილულია გლობალიზაციისა და გლობალური პრობლემების ყველა ძირითადი საკითხი. პირველი ნაწილი ეძღვნება გლობალიზაციის ცნებას, არსს და თეორიებს. მკითხველი გაეცნობა ეკონომიკის, კულტურის, საერთაშორისო პოლიტიკის, გლობალიზაციის აქტუალურ პრობლემებს, სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო სამართლისა და ნაციონალიზმის როლს და თავისებურებებს გლობალიზაციის ერაში; მეორე ნაწილი კი გლობალური პრობლემების ანალიზია. წიგნში განხილულია გლობალური ეკოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები და მომავლის პერსპექტივები.

წიგნი განკუთვნილია, როგორც სახელმძღვანელო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალობის მაგისტრანტებისთვის, მაგრამ ის დახმარებას გაუწევს, აგრეთვე, სხვა სპეციალობების სტუდენტებსა და დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: **თორნიკე თურმანიძე**,
პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების
აკადემიური დოქტორი

რეცენტენტები: **ფიქრია ასანიშვილი**,
ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის
აკადემიური დოქტორი

გიორგი კვინიკაძე,
ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026

ISBN 978-9941-36-549-2 (pdf)

შინაარსი

წინასიტყვაობა 11

ნაწილი I. გლობალიზაცია 13

თავი 1.გლობალიზაცია – ცნება და არსი 13
1.1. რა არის გლობალიზაცია? დებატები დეფინიციის ირგვლივ 13
1.2. როგორ აღიქვამენ გლობალიზაციას? თეორიული შეხედულებები 18
1.3. გლობალიზაციის ფორმები და ჩარჩოები 22
1 4. გლობალიზაცია ისტორიულ ჭრილში 26
1.5. გლობალიზაცია: მითი თუ რეალობა? 27
1.6. გლობალიზაციის ინდექსი 32

თავი 2.ეკონომიკის გლობალიზაცია 34
2.1. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია გლობალიზაციის ეპოქაში 35
2.2. ფინანსების გლობალიზაცია 41
2.3. ვაჭრობის გლობალიზაცია 43
2.4. წარმოების გლობალიზაცია 46

თავი 3.გლობალიზაცია და სახელმწიფო 50
3.1. სახელმწიფო: ანტიგლობალისტური შეხედულება 50
3.2. სახელმწიფო: გლობალისტური შეხედულება 55
3.3. თავდაცვა და უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში 62

თავი 4.მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია 67
4.1. ცივი ომის შემდეგ: მსოფლიო მომავლის სხვადასხვაგვარი პერსპექტივა 69
4.2. საერთაშორისო სისტემის გლობალური ტენდენციები 76
4.2.1. კაპიტალიზმის ტრიუმფი 76
4.2.2. აშშ – ერთადერთი ჰეგემონი? 78
4.2.3. რუსეთი – დაქვეითება, აღმავლობა, ახალი საფრთხე 81
4.2.4. ჩინეთი – მომავლის ჰეგემონი? 84
4.2.5. იაპონია და ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები 87
4.2.6. ევროპა – ინტეგრაცია, გაფართოება, სიძნელეები 89
4.2.7. ჩრდილოეთი-სამხრეთი 94
4.3.გლობალიზაცია და ცივი ომის შემდგომი წესრიგი 97
4.3.1. თანამედროვე წესრიგის ელემენტები 99

4.3.2. გლობალიზებული მსოფლიო წესრიგი თუ წესრიგი გლობალიზებულ ქვეყნებს შორის? 102

თავი 5. საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო სამართალი 104

5.1. გლობალიზაცია და ინტეგრაცია 104
5.1.1. ინტეგრაციის ზოგადი ნიშნები 104
5.1.2. სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები 106
5.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) 114
5.2.1. გაეროს შექმნის ისტორია, მიზნები და პრინციპები 114
5.2.2. გაეროს სტრუქტურა 116
5.2.3. გაეროს სამშვიდობო მისიები 120
5.3. ევროკავშირი 121
5.3.1. ევროკავშირის შექმნის წანამძღვრები და მოკლე ისტორია 122
5.3.2. ევროკავშირის სტრუქტურა 127
5.4. საერთაშორისო სამართალი და გლობალიზაცია 135
5.4.1. საერთაშორისო საჯარო სამართალი: სუბიექტები, წყაროები, სტრუქტურა 136
5.4.2. საერთაშორისო სამართლის პრინციპები 139
5.4.3. საერთაშორისო სამართალი გლობალიზაციის ერაში 143

თავი 6. კულტურის გლობალიზაცია 145

6.1. კულტურის გლობალიზაცია: ზოგადი თავისებურებანი 145
6.2 კულტურის გლობალიზაცია ისტორიულ რეტროსპექტივაში 151
6.3. თანამედროვე კულტურული გლობალიზაციის ფორმები 157
6.3.1. გლობალური ინფრასტრუქტურები: ტელეკომუნიკაციები და ინტერნეტი 158
6.3.2. კულტურის ტნკ-ები. კულტურის გლობალური ბაზარი 160
6.3.3. რადიო და მუსიკის ინდუსტრია 161
6.3.4. ტელევიზია 162
6.3.5. კინო 164
6.3.6. ტურიზმი 165
6.4. ინგლისური ენის გლობალიზაცია 166
6.5. დასავლური ღირებულებების ექსპორტი და ვესტერნიზაცია 170

თავი 7. ნაციონალიზმი გლობალიზაციის ერაში 176

7.1. ნაციონალიზმი გლობალისტური თვალთახედვით 177
7.2 ნაციონალიზმის სახეები გლობალიზებულ მსოფლიოში 185
7.3. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: მომავლის პერსპექტივები 200

7.3.1. პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია 201
7.3.2. ნაციონალიზმი მომავალში 206
7.3.3. ერები სახელმწიფოს გარეშე 211

ნაწილი II. გლობალური პრობლემები 215

თავი 8. ზოგადი სურათი. ეკონომიკური უთანასწორობა. სანედლეულო-ენერგეტიკული პრობლემები 215
8.1. გლობალური პრობლემების არსი და სახეები 215
8.1.1. გლობალური პრობლემების ზოგადი ნიშნები 215
8.1.2. გლობალური პრობლემების ტიპები და სახეები 216
8.2. საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის 218
8.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალურ პოლიტიკურ, საოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეთნოკულტურულ პრობლემათა გადასაჭრელად 218
8.2.2. საერთაშორისო თანამშრომლობა ეკოლოგიის სფეროში 220
8.3. ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემები 222
8.3.1. განვითარებადი ქვეყნები: ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის პრობლემა 222
8.3.2. განვითარებადი ქვეყნების პოტენციალი და ეკონომიკური მდგომარეობა 223
8.3.3. დაპირისპირება „ჩრდილოეთი – სამხრეთი“ 225
8.4. სანედლეულო და ენერგეტიკული პრობლემები 226
8.4.1. სანედლეულო პრობლემების ზოგადი ნიშნები 226
8.4.2. სანედლეულო პრობლემების გადაჭრის გზები 228
8.4.3. სანედლეულო პრობლემა: მომავლის პერსპექტივა 230
8.4.4. ენერგეტიკული პრობლემები 230
8.4.5. აღუდგენელი ენერგეტიკული რესურსების პრობლემა 232
8.4.6. ენერგიის აღდგენადი რესურსები 235

თავი 9. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები 238
9.1. კლიმატური პრობლემები 239
9.1.1. გლობალური დათბობა 240
9.1.2. ოზონის შრის შემცირება და ოზონის ხვრელები 243
9.1.3. ჰაერის დაბინძურება 245
9.2. წყლის პრობლემები 248
9.2.1. მტკნარი წყლის დეფიციტის პრობლემა 248
9.2.2. ხმელეთის ზედაპირული წყლების პრობლემები და მათი დაბინძურება 251
9.2.3. მსოფლიო ოკეანის პრობლემები 254
9.3. მიწების დეგრადაცია და გაუდაბნოება 257
9.3.1. მიწის ფონდი 257
9.3.2. მიწების დეგრადაცია 258

9.3.3. გაუდაბნოება 261
9.4. ტყეების და ბიომრავალფეროვნების პრობლემები 263
9.4.1. ტყის რესურსები 263
9.4.2. გაუტყეურება (დეფორესტაცია) 265
9.4.3. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები 267
9.5. ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები 269
9.5.1. ბუნებრივი კატასტროფები (სტიქიური უბედურებები) 269
9.5.2. ტექნოგენური კატასტროფები 280

თავი 10. გლობალური სოციალური პრობლემები 284

10.1. სასურსათო პრობლემები და სიღარიბე 284
10.1.1. სურსათით უზრუნველყოფისა და შიმშილის პრობლემა 284
10.1.2. სასურსათო პრობლემა და განვითარებადი ქვეყნები 285
10.1.3. გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის გზები 287
10.1.4. სიღარიბის პრობლემა. მთელი შიდა პროდუქტი და ადამიანის განვითარების ინდექსი 290
10.1.5. უმუშევრობა და უსახლკარობა 292
10.1.6. საარსებო მინიმუმი და სამომხმარებლო კალათა 295
10.2. ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები 296
10.2.1. სიკვდილიანობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 297
10.2.2. ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი მსოფლიო სურათი 299
10.2.3. დაავადებების გავრცელება 300
10.2.4. შიდსი, როგორც გლობალური პრობლემა 302
10.2.5. კოვიდის პანდემია: გლობალური გამოწვევა 303
10.3. განათლების პრობლემები 305
10.3.1. უწიგნურობა 305
10.3.2. დაწყებითი და საშუალო განათლება 307
10.3.3. უმაღლესი განათლება 309
10.4. კრიმინალი, როგორც გლობალური პრობლემა 311
10.4.1. დანაშაულის გავრცელების ზოგადი თავისებურებანი 312
10.4.2. ნარკობიზნესი 314
10.4.3. ტრეფიკინგი 316
10.4.4. კორუფცია 317

თავი 11. გლობალური პოლიტიკური პრობლემები 320

11.1. მშვიდობის შენარჩუნება და განიარაღება 320
11.1.1. ომი და მშვიდობა. თეორიული საკითხები 320
11.1.2. მშვიდობისა და განიარაღების პრობლემა ცივი ომის პერიოდში 323
11.1.3. მშვიდობის შენარჩუნებისა და განიარაღების პრობლემა ცივი ომის შემდეგ 325

11.2. შეიარაღებული კონფლიქტები, როგორც გლობალური პრობლემა 327
11.2.1. ცვლილებები შეიარაღებული კონფლიქტების ხასიათში თანამედროვე მსოფლიოში 327
11.2.2. შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზები 329
11.2.3. უმთავრესი საერთაშორისო კონფლიქტები 330
11.2.4. შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები 336
11.3. საერთაშორისო ტერორიზმი 337
11.3.1. ტერორიზმის სახეები და ფორმები 338
11.3.2. ტერორიზმის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 340
11.3.3. თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმი 342

თავი 12. გლობალური დემოგრაფიული პრობლემები 346

12.1. მოსახლეობის სწრაფი ზრდა და დეპოპულაცია 346
12.1.1. მოსახლეობის დინამიკის ზოგადი სურათი 346
12.1.2. მოსახლეობის აღწარმოება და დემოგრაფიული გადასვლის ფაზები 347
12.1.3. განვითარებადი სამყაროს დემოგრაფიული პრობლემები 349
12.2. მიგრაციების და მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების პრობლემები 353
12.2.1. თანამედროვე შიდა მიგრაციის პრობლემები 353
12.2.2. საერთაშორისო მიგრაციების თანამედროვე პრობლემები 355
12.2.3. ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემები 358
12.2.4. მოსახლეობის განლაგების ფაქტორები 360
12.2.5. მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ტერიტორიის „დატვირთულობის“ პრობლემა 361
12.2.6. სასოფლო განსახლებისა და სოფლის პრობლემები 362
12.3. ურბანიზაციისა და ქალაქების პრობლემები 364
12.3.1. ურბანიზაციის სახეები და მასთან დაკავშირებული პრობლემები 365
12.3.2. დიდი ქალაქებისა და საქალაქო აგლომერაციების პრობლემები 367
12.3.3. პატარა ქალაქების პრობლემები 369
12.4. დემოგრაფიული პოლიტიკის სირთულეები 370
12.4.1. დემოგრაფიული პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში 371
12.4.2. დემოგრაფიული პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში 373
12.4.3. დემოგრაფიული პოლიტიკის პრობლემა საქართველოში 376

თავი 13. გლობალური ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური პრობლემები 378
13.1. ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები 378
13.1.1. ეთნიკური მოზაიკა 378
13.1.2. ეთნიკური პროცესების ტიპები 380
13.1.3. ეთნიკური პროცესების სტადიები 384
13.2. ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები 385
13.2.1. ეთნიკური კონფლიქტის მიზეზები 386
13.2.2. ეთნიკური კონფლიქტების გეოგრაფიული სურათი 388
13.2.3. კავკასიის ეთნოკონფლიქტები 389
13.3. რასიზმი, როგორც პრობლემა 393
13.3.1. რასიზმი და მისი სახეები 393
13.3.2. რასობრივი ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა 394
13.3.3. რასობრივი პრობლემები გლობალიზაციის ერაში 396
13.4. რელიგიური პრობლემები. რელიგიური ფუნდამენტალიზმი 397
13.4.1. რელიგიური პრობლემები და დაპირისპირებები 397
13.4.2. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებლების პრობლემა 399

თავი 14. გლობალური პრობლემები: მომავლის პერსპექტივები 401
14.1. მომავლის ეკოლოგიური პროგნოზი: იქნება თუ არა სიცოცხლე დედამიწაზე? 402
14.2. მომავლის პოლიტიკური პროგნოზი: საყოველთაო მშვიდობა თუ პერმანენტული დაპირისპირება? 404
14.3. მომავლის სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზი: საყოველთაო კეთილდღეობა თუ უთანასწორობის გაღრმავება? 406
14.4. მომავლის დემოგრაფიული პროგნოზი: ხომ არ ემუქრება დედამიწას გადამეტსახლება? 410
14.5. მომავლის ეთნოკულტურული პროგნოზი: ვესტერნიზაცია თუ კულტურათა კონფლიქტი? 412

ბოლოსიტყვაობა 413

ბიბლიოგრაფია 415

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი სახელმძღვანელოა სამაგისტრო კურსისათვის „გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები“, რომელიც იკითხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გლობალიზაცია დღევანდელი ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი, ნიშანდობლივი პროცესია, რომელიც საზოგადოების ყველა სფეროს, თითოეულ ადამიანს შეეხო, და არსებითად ცვლის ჩვენს ცხოვრებას. გლობალიზაციის პროცესმა კი, რომელიც უსაზღვრებო მსოფლიოს და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას გულისხმობს, გლობალურად აქცია ის გამოწვევები, რომლებიც ადრე ცალკეული ქვეყნის თუ რეგიონის პრობლემა იყო.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია თანამედროვე ეპოქის მთავარი შინაარსია და გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლა კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. შესაბამისად, გასაგებია, რომ გლობალიზაციისა და გლობალური პრობლემების სიღრმისეულ შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ზოგადად და, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის. ამ მიზანს ემსახურება ეს წიგნიც.

2003 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა ჩვენი მონოგრაფია „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილიც ეძღვნება გლობალიზაციის ფენომენთან დაკავშირებულ საკითხებს: კერძოდ, განხილულია გლობალიზაციის არსი, თეორიები, ეკონომიკის გლობალიზცია, კულტურის გლობალიზაცია, გლობალიზაცია და სახელმწიფო, საერთაშორისო პოლიტიკის გლობალიზაცია, ნაციონალიზმი გლობალიზაციის ერაში და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. ეს საკითხები დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან მას შემდეგ გლობალიზაციის პროცესი უფრო საყოველთაო და „გლობალური“ გახდა.

ამ ვითარებამ საშური გახადა გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განახლება და ახალი მასალით შევსება. წიგნის პირველი ნაწილი სწორედ იმ საკითხების განახლებული და შევსებული სახით შემოთავაზებაა, რაც ძველ სახელმძღვანელოში, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ თავებში იყო წარმოდგენილი.

უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გლობალური პრობლემების შესწავლას. გლობალური პრობლემები დღევანდელი მსოფლიოს მთავარი საზრუნავია. ეს ერთნაირად ეხება როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თუ დემოგრაფიულ გლობალურ პრობლემებს. კაცობრიობის ბედი და მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სახეს მიიღებს გლობალური პრობლემები და რამდენად ეფექტურად შეძლებს საერთაშორისო საზოგადოება მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ამდენად, გლობალური პრობლემების შესწავლა და მისი როლის გააზრება გლობალიზაციის პროცესში აუცილებლობად იქცა. ამან განაპირობა ამ საკითხების დამატება გლობალიზაციის უკვე არსებული საკითხებისათვის და სალექციო კურსის – „გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები“ ჩამოყალიბება.

გლობალურ პრობლემებს ეძღვნება წიგნის მეორე ნაწილი, რომელშიც განხილულია გლობალური პრობლემების კლასიფიკაციის საკითხები, ეკონომიკური და სანედლეულო-ენერგეტიკული, ეკოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და რასობრივ-ეთნიკური და რელიგიური პრობლემები.

სახელმძღვანელოს მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების მომავალ სპეციალისტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა იმ საკითხებსა და პრობლემებზე, რომელთა გარეშეც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა წარმოუდგენელია და შეუძლებელია საერთაშორისო ცხოვრების სიღრმისეული გაგება.

წიგნი სახელმძღვანელოა და არა – სამეცნიერო მონოგრაფია, ამიტომ ტექსტში, ცალკეული გამონაკლისის გარდა, წყაროები მითითებული არ არის.

ავტორს გააზრებული აქვს, რომ ისეთი რთული და მრავალმხრივი თემა, როგორიც გლობალიზაცია და გლობალური პრობლემებია, შეუძლებელია სრულად გადმოიცეს სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში. შესაბამისად, ზოგი საკითხი შეკუმშულად არის წარმოდგენილი და შესაძლოა ერთგვარ უკმარისობის განცდას ბადებდეს. ცხადია, იქნება სხვა ხარვეზებიც და ნაკლოვანებებიც, რომლებზეც პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტორს ეკისრება. ამიტომ ყველა საქმიან შენიშვნას მადლიერებით მივიღებთ.

ზურაბ დავითაშვილი

თბილისი, 2025 წლის აგვისტო

ნაწილი I. გლობალიზაცია

თავი 1. გლობალიზაცია – ცნება და არსი

1.1. რა არის გლობალიზაცია? დებატები დეფინიციის ირგვლივ

„გლობალიზაცია“ XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული და ფართოდ გავრცელებული ტერმინია. მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება და სოციალური ქსელი ყოველდღიურად, ყოველ საათს იყენებს ამ სიტყვას, როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად, განმსაზღვრელ ნიშანს. დღევანდელ სამყაროს უწოდებენ გლობალურ სამყაროს, დღევანდელ ეპოქას – გლობალიზაციის ეპოქას, ხოლო თანამედროვე პერიოდის ლამის ძირითად დაპირისპირებად „გლობალისტებისა“ და „ანტიგლობალისტების“ ურთიერთწინააღმდეგობას მიიჩნევენ.

ტერმინ „გლობალიზაციის“ ასეთი ინტენსიური და ფართო გავრცელება მით უფრო საინტერესო და ანგარიშგასაწევია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე ასეთი ცნება საერთოდ არ არსებობდა. იგი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ამ ტერმინით აღნიშნა ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის ფენომენი. ხოლო გლობალიზაცია, ფართო მნიშვნელობით, რომელიც ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს, 1990 წლიდან გამოიყენება. ჰარვარდის ბიზნესსკოლის იაპონელი კონსულტანტის, კ. ომეს წიგნში „მსოფლიო საზღვრებს გარეშე“ და კრებულის – „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“, შესავალში მ. ელბროუმ ამ ტერმინით გააერთიანა ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობითაც მსოფლიოს ხალხები ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან.

ამგვარად, თუ დასაწყისში *გლობალიზაცია* წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, ძალიან მალე მან ფართო (გლობალური). მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო (პოლიტიკა, სოციალური მხარე, კულტურა, მენტალიტეტი) მოიცვა. იგი

გაერთიანების, შერწყმის სინონიმად იქცა და დაუპირისპირდა ისეთ ცნებას, როგორიც ფრაგმენტაციაა (დაყოფა, დანაწილება).

მსოფლიო ერთიანი კულტურის, ეკონომიკის, ენის და თვით ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს იდეა ახალი არ არის. ყოველ ისტორიულ პერიოდში შეიძლება მოიძებნოს ესა თუ ის იდეოლოგია ან მოძრაობა. რომელიც ამ მიზნებს ემსახურებოდა (თუნდაც მსოფლიო რელიგიები, ანდა კომუნიზმის იდეა), მაგრამ მათ გლობალიზაციად არ მიიჩნევენ. მეტიც: გლობალიზაციის დღევანდელი მნიშვნელობისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება ფრანგული ტერმინი „მონდიალიზაცია“ (Monde – ფრანგ. მსოფლიო), რომელიც 50-იანი წლებიდან არსებობს, მაგრამ, ფაქტობრივად, საფრანგეთის საზღვრებს ვერ გასცდა. საქმე არც ტერმინოლოგიური განსხვავებაა, რადგან გლობალიზაციის საბაზისო ტერმინოელემენტი Globe (სფერო) დედამიწის სფეროს გულისხმობს და *მსოფლიოს* სინონიმია. მთავარი მაინც ის არის, რომ ნებისმიერი ცნების, ტერმინის წარმოქმნა გარკვეულ გარემოებებსა და პირობებს უკავშირდება და ის მაშინ მკვიდრდება, როცა ამის საჭიროებაა. გლობალიზაცია სწორედ დღევანდელი ფენომენია და ამანვე განაპირობა მისი სწრაფი გავრცელება. ეს ცნება თანამედროვე სიტუაციას ასახავს და მისი გამოყენება სხვა ისტორიული ეპოქების მიმართ გამართლებული ვერ იქნება.

როცა ჯერემი ბენთემმა XVIII საუკუნის მიწურულს ახალი ტერმინი „საერთაშორისო“ (International) დაამკვიდრა, აშკარა იყო, რომ ეს სიტყვა იმ ეპოქის შინაარსს შეესაბამებოდა. ეს იყო დრო, როცა იწყებოდა ერი-სახელმწიფოების ეპოქა. ევროპაში, სადაც ერები და სახელმწიფოები ერთდროულად ყალიბდებოდა, სიტყვა *ერმა* თავიდანვე პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) დატვირთვა შეიძინა. ამიტომ *საერთაშორისო* და *სახელმწიფოთაშორისი* სინონიმებად მოიაზრებოდა (ყოველ შემთხვევაში, ინგლისურ და ფრანგულ ენებში) და საერთაშორისო ურთიერთობები, ფაქტობრივად, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებად აღიქმებოდა. ეს ტერმინი (საერთაშორისო ურთიერთობები) ზუსტად ასახავდა არსებულ რეალობას, რადგან სახელმწიფოები (ხოლო ევროპაში – ერი-სახელმწიფოები) საერთაშორისო ურთიერთობების, ფაქტობრივად, ერთადერთი აქტორები იყვნენ.

აღნიშნული მდგომარეობა დღემდე გრძელდებოდა: ამიტომაც ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები“ ან „საერთაშორისო პოლიტიკა“ არავითარ გაუგებრობასა და ეჭვს არ იწვევდა.

მაგრამ XX საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის მიმდინარე პროცესებმა მკვლევართა გარკვეულ წრეში წარმოშვა აზრი, რომ ცნება „საერთაშორისო“ უკვე აღარ შეესაბამება რეალობას. ერები და სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად

აქტორებს. მათი როლი განუხრელად მცირდება. მეტიც, თანამედროვე ეპოქა ერებისა და სახელმწიფოების კვდომის ეპოქაა, ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი ერთიანობისაკენ მიემართება. სწორედ ამ პროცესს უწოდეს გლობალიზაცია და ამას გულისხმობს გლობალიზაციის ცნებაც. ამდენად, გლობალიზაციის ეპოქას აღარ შეესაბამება „საერთაშორისო პოლიტიკის“ ცნება და ის „მსოფლიო პოლიტიკის“ ცნებამ უნდა შეცვალოს, როგორც უფრო ფართომ და ყოვლისმომცველმა. საერთაშორისო პოლიტიკა კი მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობებს გულისხმობს, და რომლის როლიც მსოფლიო პოლიტიკაში მუდმივად მცირდება.

ამგვარად, გლობალიზაცია ძალზე ფართო და მრავალმხრივი ცნებაა, რომელიც საფუძვლიანად ცვლის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს. ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი არაერთმნიშვნელოვნად აღიქმება საზოგადოების მიერ და მუდმივი დებატებისა და წინააღმდეგობების საგანია.

როგორც უკვე ითქვა, ტერმინი *გლობალიზაცია* პირველად გამოიყენეს ცალკეული პროდუქტის ბაზრების შერწყმის მნიშვნელობით. ახლა მხოლოდ ამ მნიშვნელობით ამ ცნებას აღარავინ იყენებს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, იგი გლობალიზაციის ფართო პროცესის ერთ-ერთ, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან, შემადგენელ ნაწილად თუ მიიჩნევა.

გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი განმარტება მარტინ ელბროუს ეკუთვნის, რომლის აზრითაც, გლობალიზაცია მოიცავს ყველა იმ პროცესს, რომლებიც მსოფლიოს ხალხებს ერთ მსოფლიო, გლობალურ საზოგადოებად გადააქცევს.

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის, ენტონი გიდენსის თანახმად, გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს მსოფლიო სოციალური ურთიერთობის ინტენსიფიკაციად: ის დაშორებულ ადგილებს ერთმანეთთან იმგვარად აკავშირებს, რომ ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენების შედეგად და – პირიქით.

გერმანელი მეცნიერი, ემანუელ რიხტერი თვლის, რომ გლობალიზაცია არის გლობალური ქსელი, რომელმაც ადრე იზოლირებული და გაფანტული საზოგადოებები ერთი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულ ერთობად „შეადუღა“.

ამერიკელი პოლიტოლოგის და ეკონომისტის, რობერტ კოქსის განმარტებით, გლობალიზაცია გულისხმობს პროდუქციის ინტერნაციონალიზაციას, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, ახალ მიგრაციულ მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ახალ დაპირისპირებულ გარემოს, რომელიც აჩქარებს ყველა ამ პროცესს; დაბოლოს, სა-

ხელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას, რაც მათ გლობალური სამყაროს უბრალო აგენტებად აქცევს. ზოგი ავტორის გამონათქვამებში აშკარად ჩანს უარყოფითი დამოკიდებულება გლობალიზაციისადმი. კერძოდ, რ. კანტერი თვლის, რომ გლობალიზაციამ მსოფლიო გადააქცია ერთიან დიდ სავაჭრო ცენტრად (მაღაზიად), სადაც იდეები და პროდუქტები ხელმისაწვდომია ყველგან ერთდროულად. ხოლო, მ. ხორის აზრით, გლობალიზაცია არის ის, რაც უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს, და ადრე კოლონიზაცია ერქვა (ციტირებულია Baylis and Smith 2001).

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის აღნიშნული განმარტებები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხშირად ეს ცნება სულ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვისაა, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამ ცნებაზე საუბრისას.

ჯ. ბაილისი და ს. სმიტი გლობალიზაციის ხუთ სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას განასხვავებენ. პირველ ყოვლისა, ეს არის *ინტერნაციონალიზაცია*, როცა გლობალიზაცია გულისხმობს სახელმწიფოთაშორის კავშირის გააქტიურებას და საზღვრების როლის განუხრელ შემცირებას; მეორეა *ლიბერალიზაცია*, რაც გამოიხატება სახელმწიფოებრივი შეზღუდვების მოხსნითა და შემცირებით სახელმწიფოთაშორის მოძრაობასა და გადაადგილებაში, ანუ ღია და ინტეგრირებულ ეკონომიკაში და მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლაში; მესამე მნიშვნელობით გლობალიზაცია *უნივერსალიზაციაა* ანუ მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში; მეოთხე მნიშვნელობით (როგორც ეს ხშირად აღიქმება განვითარებად ქვეყნებში და განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს) გლობალიზაცია არის ვესტერნიზაცია და, პირველ ყოვლისა, მისი ამერიკული ფორმა; დაბოლოს, გლობალიზაცია, *დეტერიტორიზაციის* მნიშვნელობით, როცა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს.

იგივე ავტორები კატეგორიულად განასხვავებენ გლობალიზაციას ინტერნაციონალიზაციისაგან. მათი აზრით, ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დონეზე, ე. ი. სახელმწიფოებს შორის. ამის შედეგად, სახელმწიფოებმა შეიძლება ძლიერი ურთიერთგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე, ბევრი რამით დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც რჩებიან ერთმანეთისაგან განსხვავებული და განცალკევებული. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, როგორ მჭიდროდაც უნდა იყვნენ ურთიერთდამოკიდებულნი, ნათლად გამოკვეთილი საზღვრებით ერთმანეთს ემიჯნებიან. ამისგან განსხვავებით, გლობალური მსოფლიო გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სა-

ხელმწიფოებრივი საზღვრები არავითარ როლს არ უნდა ასრულებდეს. მაგრამ საერთაშორისო და გლობალური ურთიერთობები შესაძლებელია თანაარსებობდეს, და დღევანდელი მსოფლიოც ერთდროულად ინტერნაციონალიზებულიცაა და გლობალიზებულიც.

შესაბამისად, ჯ. ბაილისი და ს. სმიტი გლობალიზაციას მიიჩნევს იმ პროცესად, რომელშიც სოციალური კავშირები ტერიტორიულობისაგან, გეოგრაფიისგან განცალკევებულია: კაცობრიობის ცხოვრება მიმდინარეობს სამყაროში, როგორც განუყოფელ და ერთიან მთლიანობაში.

თითქმის მსგავსი დასკვნა გამოაქვთ დ. ჰელდსა და სხვებს (Held at al 1999): მათი აზრით, გლობალიზაციის პროცესი გულისხმობს სოციალური ურთიერთობისა და ურთიერთკავშირის სივრცითი ორგანიზაციის ტრანსფორმაციას.

გერმანელი მეცნიერი, ულრიხ ბეკი ერთმანეთისაგან მიჯნავს *გლობალიზაციის, გლობალიზმისა და გლობალურობის* ცნებებს.

გლობალიზმი გულისხმობს მოვლენას, როცა მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებას. ამ გაგებით გლობალიზაციის ყველა ასპექტი-პოლიტიკური კულტურული, ეკონომიკური, მსოფლიო ბაზარს ექვემდებარება. ამგვარად, გლობალიზმი ისეთ რთულ ორგანიზმს, როგორიც სახელმწიფოა, მართავს უბრალო საწარმოსავით. ყველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ გლობალიზმი თავის ზემოქმედებას უმორჩილებს მოწინააღმდეთაც კი, რომლებიც, უპირისპირდებიან რა მსოფლიო ბაზრის ყოვლისშემძლეობას, პროტექციონიზმის სხვადასხვა ფორმით წარმოდგებიან. ბეკი გამოყოფს:

ა) *შავ პროტექციონისტებს*, რომლებიც, მისტირიან რა ეროვნული ღირებულებების შესუსტებას და დაკარგვას, საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ, ნეოლიბერალიზმის პოზიციებზე დგანან და თავიანთი ხელით ღუპავენ ეროვნულ სახელმწიფოს;

ბ) *მწვანე პროტექციონისტებს*, რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოში მომაკვდავ პოლიტიკურ ბიოტიპს ხედავენ: ის, მსოფლიო ბაზრისაგან იცავს რა ეკოლოგიურ სტანდარტებს, თვითონვე საჭიროებს დაცვას;

გ) *წითელ პროტექციონისტებს*, რომლებისთვისაც გლობალიზაცია მათი „სიმართლის“ და მარქსიზმის აღორძინების დადასტურებაა.

გლობალიზმისაგან განსხვავებით, **გლობალურობა** იმას გულისხმობს, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობთ მსოფლიო საზოგადოებაში, სადაც წარმოდგენა დახურულ, ჩაკეტილ სივრცეზე წმინდა წყლის ფიქციაა. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ჩაიკეტება თავის ნაჭუჭში და ვერ განცალკევდება სხვებისაგან. მსოფლიო საზოგადოება გულისხმობს

სოციალური ურთიერთობების ერთობას, რომელიც არ განისაზღვრება ნაციონალური-სახელმწიფოებრივი პოლიტიკით.

რაც შეეხება **გლობალიზაციას**: ეს არის პროცესი (პროცესები), როცა ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი იფარება ტრანსნაციონალური აქტორებით და მათ ემორჩილება (Бек 2001).

ყველა ზემორე განმარტებიდან ჩანს, რომ გლობალიზაციის მთავარი ნიშანი სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობერებით შეცვლაა.

1.2. როგორ აღიქვამენ გლობალიზაციას? თეორიული შეხედულებები

საერთაშორისო ურთიერთობის სამი მთავარი თეორიული პარადგიმა – *რეალიზმი, პლურალიზმი და რადიკალიზმი ანუ მარქსიზმი* (ეს უკანასკნელი ხშირად გლობალიზმის სახელით გვხვდება, მაგრამ რადგან გლობალიზმს სხვა მნიშვნელობითაც ვიყენებთ, უმჯობესია აღნიშნული პარადიგმა მარქსიზმის სახელწოდებით მოვიხსენიოთ) სხვადასხვანაირად ხედავს და აფასებს გლობალიზაციის პროცესს. ეს განპირობებულია იმ განსხვავებული შეხედულებით, რომელიც მათ ახასიათებს მსოფლიო პოლიტიკის ანალიზისას. კერძოდ, რეალიზმი და მასთან დაკავშირებული თეორიული მიმართულებები (კლასიკური რეალიზმი, ნეორეალიზმი, ნეოკლასიკური რეალიზმი, გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი და სხვ.) ძირითად აქცენტს სვამენ ძალის ფაქტორსა და ეროვნულ ინტერესებზე. პლურალიზმთან დაკავშირებული თეორიული სკოლები (იდეალიზმი, ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, დემოკრატიული მშვიდობის თეორია და სხვ.) ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორთა ურთიერთობის ინტენსივობის ხასიათზე, მარქსისტული თეორიები კი (კლასიკური მარქსიზმი, ნეომარქსიზმი, კრიტიკული თეორია) განმსაზღვრელად მიიჩნევს მსოფლიო ეკონომიკის სახეს: შესაბამისად, სამივე პარადიგმა ურთიერთდაპირისპირებულია, რადგან თითოეული მათგანი თვლის, რომ სწორედ მისი მიდგომაა სწორი.

რეალისტების აზრით, გლობალიზაცია არ ცვლის მსოფლიო პოლიტიკის ძირითად თავისებურებას: კერძოდ, მსოფლიოს ტერიტორიულ დაყოფას ერ-სახელმწიფოებად. ისინი არიან და მომავალშიც იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობის განმსაზღვრელი აქტორები, ხოლო სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესები ყოველთვის იქნება სახელმწიფოთა ქმედებების მთავარი ფაქტორი საერთაშორისო არენაზე. რაც შეეხება ძალას: მისი მი-

ჩნევა მოძველებულ და მეორეხარისხოვან ფაქტორად გლობალიზაციის ეპოქაში სრულიად გაუმართლებელია: პირიქით, სწორედ ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული გავლენის გამოხატულებად (მათ შორისაა ვესტერნიზაციაც) უნდა მივიჩნიოთ გლობალიზაცია. ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის შინარსია ისევე, როგორც – წარსულში. გლობალიზაციამ შეიძლება გარკვეულად შეცვალოს ჩვენი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, მაგრამ ის ვერ შეცვლის საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთაშორის ხასიათს.

პლურალისტები (ლიბერალები) სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ გლობალიზაციას. მათ გლობალიზაცია მიაჩნიათ მსოფლიო პოლიტიკის ხანგრძლივი ტრანსფორმაციის საბოლოო პროდუქტად. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფოები აღარ არიან საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორები, მათ ადგილს უფრო მეტად იკავებს საერთაშორისო (განსაკუთრებით, არასამთავრობო) ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები: მეტიც, სახელმწიფო არ არის უნიტარული სუბიექტი და საერთაშორისო არენაზე მთავრობის აზრი სრულიადაც არ ასახავს ქვეყნის ყველა მოქალაქის თუ ორგანიზაციის აზრს. ძალის ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალი, მორალი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ხოლო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ადამიანის უფლებები და მოქალაქეთა კეთილდღეობა დგას. პლურალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ ტექნოლოგიურ და კომუნიკაციურ მიღწევებს, რაც გლობალიზაციას ახლავს თან. სწორედ საზოგადოებათა ეკონომიკური და ტექნოლოგიური ურთიერთკავშირი აყალიბებს მსოფლიო ურთიერთობის სრულიად ახალ მოდელს, რომელიც ძირეულად განსხვავდება როგორც რეალისტების სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური სისტემისაგან, ისე – მარქსისტების კლასობრივი მოდელისაგან.

მარქსისტებისთვის გლობალიზაცია ფიქციაა. მასში არაფერია ახალი. ის, უბრალოდ, საერთაშორისო კაპიტალიზმის განვითარების დღევანდელი, უკანასკნელი სტადიაა. არ იწვევს საერთაშორისო პოლიტიკის თვისობრივ ცვლილებას; ყველა არსებული სტრუქტურა თუ თეორია კვლავაც მოქმედებს: კერძოდ, გლობალიზაცია დასავლეთის ქვეყნების მიერ დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატირების თანამედროვე ფორმაა, რომელიც სულ უფრო აღრმავებს ბირთვის, ნახევრად პერიფერიული და პერიფერიული ქვეყნების ურთიერთგანსხვავებას.

საერთო, რაც სამივე პარადიგმაში გვხვდება გლობალიზაციის მიმართ, ის არის, რომ ეს პროცესი აღიქმება საზოგადოებათა მზარდ ურთიერთდაკავშირებულობად, როცა ერთი მოვლენა მსოფლიოს ერთ რეგიონში სულ უფრო მეტად ზემოქმედებს დაშორებულ ხალხებსა და საზოგადოებებზე.

დღევანდელი მდგომარეობა საყოველთაო ჭეშმარიტებაა და არავითარ დავას არ იწვევს. ის, რომ შორს მომხდარი მოვლენები მომენტალურად აისახება ჩვენზე, მაგალითების მოყვანას არ საჭიროებს. ეს თანაბრად ეხება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ მოვლენებს. მსოფლიო უფრო და უფრო „ვიწროვდება“, და ხალხი აშკარად გრძნობს ამას. 90-იანი წლების დამდეგს მობილური ტელეფონი, ინტერნეტი და ელექტროფოსტა უცნობი იყო, დღეს კი მათ გარეშე არსებობა წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას საკაბელო ტელევიზიაზე ან თუნდაც უკვე თითქმის ყველგან გავრცელებულ მაკდონალდსზე, კოკა-კოლასა თუ პიცაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში წარმოდგენილი პროდუქციის გეოგრაფიასა და ისეთ გლობალურ მოვლენებზე, როგორებიც ატმოსფეროს დაბინძურება, შიდსი და საერთაშორისო ტერორიზმია.

ცხადია, გლობალიზაცია როგორც პროცესი, უცებ არ დაწყებულა, მაგრამ საყოველთაო მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგიდან შეიძლება გამხდარიყო, როცა სოციალიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მაუწყებელი გახდა. მხოლოდ ახალ საერთაშორისო ვითარებაში გახდა შესაძლებელი გლობალიზაციის პროცესის განვითარება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პროცესის კონტურები მანამდე არ შეინიშნებოდა და მკვლევრებს ყურადღება არ მიუქცევიათ!

ჯ. ბაილისი და ს. სმიტი გამოყოფენ 90-იან წლებამდე (ანუ გლობალიზაციის ერამდე) შექმნილ რამდენიმე თეორიულ შრომას, რომლებშიც აშკარად ჩანს გლობალიზაციის პროცესის კონტურები და, ამდენად, გლობალიზაციის თეორიულ წინამორბედებად შეიძლება ჩაითვალოს:

პირველი**. მოდერნიზაციის თეორია** (Modelsky 1972). მის თანახმად, ინდუსტრიალიზაციას მოსდევს საზოგადოებათა სრულიად ახალი ურთიერთკავშირი და იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ცვლილება, რომლებიც წინამოდერნულ მსოფლიოს ახასიათებდა. მოდერნიზაცია და, პირველ ყოვლისა, ინდუსტრიალიზაცია ასუსტებს სახელმწიფოს კონტროლს, რის შედეგადაც საერთაშორისო ურთიერთობების ძალისმიერი მოდელი წარსულის საკუთრება ხდება. ძალა ნაკლებ როლს ასრულებს პოლიტიკაში და მიზნის მიღწევის მთავარი საშუალება მოლაპარაკებაა. ამგვარად, მოდერნიზაცია შეიძლება განვიხილოთ გლობალიზაციის შემადგენელ ნაწილად.

მეორე. უოლტ როსტოუს (Rortow 1960) **ზრდის სტადიების თეორია**. ავტორი ამტკიცებს, რომ ისტორიის განმსაზღვრელი ფაქტორი ეკონომიკური პროდუქციის ზრდაა, რაც, თავის მხრივ, ინდუსტრიალიზაციის შედეგია. შესაბამისად, ისტორია იყოფა პრეინდუსტრიულ, ინდუსტრიულ, პოსტინდუსტრიულ, საყოველთაო კეთილდღეობის ეტაპებად

და სხვადასხვა ქვეყანა ინდუსტრიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა. ამ თეორიას გლობალიზაციასთან ის აერთიანებს, რომ ეკონომიკური განვითარების ზოგადი სურათი განაპირობებს და იმორჩილებს პოლიტიკურ, სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს.

მესამე. **ეკონომიკური ანუ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია** (Keohane, Nay 1977). საზოგადოებები ერთმანეთზე ეკონომიკურად ისეთნაირადაა დამოკიდებული, რომ სახელმწიფო უკვე ხელშემშლელი ფაქტორია ნორმალური განვითარებისათვის. მით უფრო, რომ პიროვნებების და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულება უფრო აშკარაა, ვიდრე – სახელმწიფო ურთიერთდამოკიდებულება.

მეოთხე. მარშალ მაკლუჰანის **„გლობალური სოფლის“ თეორია** (McLuhan 1964). ელექტრონული კომუნიკაციების სრულყოფამ გამოიწვია ისეთი სამყაროს ჩამოყალიბება, რომელშიც შეგვიძლია იმავდროულად ვუყუროთ ჩვენგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ მოვლენებს. შესაბამისად, დრო და სივრცე ისეთნაირად „შევიწროვდა“, რომ ყველაფერმა დაკარგა ტრადიციული იდენტურობა: მათ შორის, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა თუ სოციალურმა ჯგუფებმა, რომლებიც ტრადიციული ფორმით ვეღარ ფუნქციონირებს. მსოფლიო დაემსგავსა სოფელს, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის და მიმდინარე მოვლენების შესახებ. როგორც ვხედავთ, მაკლუჰანი ეხება გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, თუმცა, რა თქმა უნდა, გლობალიზაცია მხოლოდ კომუნიკაციურ რევოლუციად არ უნდა აღვიქვათ.

მეხუთე. ბარტონის **მსოფლიო საზოგადოების თეორია** (Burton 1972). სახელმწიფოთა სისტემამ თავისი დრო მოჭამა, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო წინაურდებიან არასახელმწიფოებრივი აქტორები. ბარტონმა მსოფლიო პოლიტიკის მოდელი ობობის ქსელს შეადარა, სადაც ძირითად „ძაფებს“ ქმნის ვაჭრობა, კომუნიკაციები, ენა, იდეოლოგია და პოლიტიკური კავშირები. როგორც ვხედავთ, ამ თეორიაშიც ბევრი რამ უკავშირდება გლობალიზაციას.

მეექვსე. 60-80-იან წლებში აქტიურად განიხილავდნენ ე. წ. **მსოფლიო წესრიგის მოდელირების პროექტს (**WOMP**),** რომელიც მიზნად ისახავდა, შეექმნა არსებული სახელმწიფოთშორისი სისტემის ალტერნატიული მოდელი: ეს, თავის მხრივ, მსოფლიო ომის თავიდან აცილების გარანტი უნდა გამხდარიყო. ამ პროექტის ავტორები (მენდლოვიჩი, ფალკი და სხვები) მხარს უჭერდნენ გლობალური მთავრობის იდეას. მათთვის ანალიზის ერთეული ინდივიდი იყო, ხოლო ანალიზის დონე – გლობალური, სახელმწიფო ამ მოდელში გაუჩინარებულიყო, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია.

მეშვიდე. ბევრი რამ აერთიანებს გლობალიზაციის იდეებსა და **საერთაშორისო საზოგადოების თეორიას**. ამ თეორიის მთავარი წარმომადგენელი ჰედლი ბული (Bull 1977) მიუთითებდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ნორმები და საერთო ურთიერთგაგება სახელმწიფოთა ლიდერებს შორის, რამაც უფრო საერთაშორისო საზოგადოება ჩამოაყალიბა, ვიდრე – საერთაშორისო სისტემა. მომავალში საერთაშორისო საზოგადოება უფრო განვითარდება, და სახელმწიფოთა როლი შესუსტდება. თუმცა ბული არ მიიჩნევს, რომ ერ-სახელმწიფოებს მთლიანად ჩაანაცვლებს საერთაშორისო საზოგადოება.

მერვე. გლობალიზაციის თეორია მეტ-ნაკლებად უახლოვდება ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებებს, რომლებიც მან გამოთქვა თავის ცნობილ **„ისტორიის დასასრულში“** (Fukuyama 1992, ქართული თარგმანი 1999). საბჭოთა კავშირის დაშლით მოისპო ის უკანასკნელი ირაციონალური საწყისი, ის ბოროტება, რომელიც ყოველთვის არსებობდა ისტორიაში და უპირისპირდებოდა რაციონალურ კეთილ საწყისს. სწორედ ამ ორი საწყისის ურთიერთდაპირისპირება შეადგენდა ისტორიის საზრისს. ეს დაპირისპირება აღარ არსებობს. მაშ, ისტორიაც დამთავრდა: მსოფლიოს შემდგომი განვითარება ეკონომიკური ბაზრის განვითარების ასახვაა. ასეთ პირობებში მმართველობის ერთადერთი ფორმა ლიბერალური დემოკრატია იქნება. სხვა რეჟიმები (კომუნიზმი, ფაშიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი) ლიბერალურ დემოკრატიას ვერ დაუპირისპრდებიან, მით უფრო, რომ სწორედ ეს უკანასკნელი შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მიზნებს. ამგვარად, ლიბერალური დემოკრატიისა და ეკონომიკური ბაზრის ბატონობა უალტერნატივოა, და მსოფლიოს მომავალიც სწორედ ეს არის.

დაბოლოს, მეცხრე. ბევრი მსგავსებაა გლობალიზაციისა და **დემოკრატიული (ლიბერალური) მშვიდობის თეორიას** შორის. ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთში არ ომობენ და ყველა პრობლემას ცივილიზებული გზით აგვარებენ. ამდენად, თუ ყველა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა იქნება, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებულია, ხოლო, რამდენადაც ლიბერალური დემოკრატია დაინტერესებულია ურთიერთთანამშრომლობით და სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის შეზღუდვით, ეს უკვე კარგ პირობებს ქმნის გლობალიზაციის პროცესისათვის.

1.3. გლობალიზაციის ფორმები და ჩარჩოები

გლობალიზაცია, როგორც საყოველთაო და უაღრესად მრავალმხრივი მოვლენა, ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს მრავალი ფორმით იჩენს:

კომუნიკაციების თვალსაზრისით, გლობალიზაცია წარმოჩნდება ინტერნეტის, ტელეფონების, ელექტროფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის და სხვა მსგავსი საშუალებების უპრეცედენტო გავრცელებით და რაოდენობრივი ზრდით. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ინდივიდებს, უშუალოდ, მომენტალურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა და სახელმწიფო საზღვრებისა. დრომ და მანძილმა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, ფაქტობრივად, დაკარგა.

ორგანიზაციების თვალსაზრისით, გლობალიზაცია გამომჟღავნდა კომპანიების, ასოციაციების თუ სააგენტოების სწრაფი ზრდით, რომლებიც ფუნქციონირებს, როგორც ტრანსნაციონალური სუბიექტები: კერძოდ, ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა *ნისან კორპორეიშნი*, *გადავარჩინოთ ბავშვები* ან *მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია,* საკუთარი მოღვაწეობის არეალად მიიჩნევენ მთელ პლანეტას, ხოლო თავიანთ უკვე არსებულ ან პოტენციურ კლიენტად – მთელ კაცობრიობას.

ეკოლოგიურად გლობალიზაცია თავს იჩენს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების სახით, როგორებიცაა პლანეტის კლიმატის ცვლილება („გლობალური დათბობა“), ოზონის ხვრელები, ატმოსფეროს დაბინძურება, დედამიწის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაქვეითება, გაუდაბნოება, ჰიდროსფეროს და მდინარეების დაჭუჭყიანება და ა.შ. შეუძლებელია, ეს პრობლემები შეიზღუდოს ცალკეული ქვეყნების საზღვრებით. არც ერთ ცალკეულ ქვეყანას არ შეუძლია მათი გადაჭრა. ეკოლოგია მსოფლიოს, როგორც ერთი მთლიანისა და განუყოფლის, გლობალური პრობლემაა.

პროდუქტების თვალსაზრისით, გლობალიზაციის გამოვლინებაა ე. წ. „გლობალური ქარხნები“, რომლებიც ფართოდ გავრცელდა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში და, განსაკუთრებით, მიკროელექტრონულ მრეწველობაში. საწარმოთა დიდი ჯგუფი არ შედის ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში, არამედ, სხვადასხვა ქვეყნებში მდებარეობის მიუხედავად, ერთ საწარმოო ხაზს ქმნის. ასევე, ფინანსურ ურთიერთობათა გლობალიზაციის შედეგია საკრედიტო ბარათების საყოველთაო გავრცელება და ზოგი ვალუტის (დოლარი, ევრო), ფაქტობრივად, ყველგან მიმოქცევა.

სამხედრო სფეროში გლობალიზაციის გამოვლინებად მიიჩნევა გლობალური იარაღი – კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები და სადაზვერვო სატელიტები. 1990-91 წლების ომი სპარსეთის ყურეში, ფორმალურად, ერაყისა და კუვეიტის სახმელეთო ბრძოლა იყო, თუმცა მასში მომენტალურად ჩაერთნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, თავიანთი ულტრათანამედროვე შეიარაღებით, ხოლო მათი გადასროლა საომარი მოქმედების თეატრში სანქცირებული იქნა გლობალური სამთავრობო დაწესებულების – გაეროს მიერ. ასევე, 2022 წელს რუსეთის მიერ

დაწყებული ომი უკრაინის წინააღმდეგ ვერ ჩაითვლება ორი ქვეყნის ომად, რადგან მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ უკრაინისადმი გაწეული უპრეცედენტო დახმარება და რუსეთის მიმართ გატარებული საყოველთაო სანქციები მას გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

გლობალიზაციას უკავშირდება მრავალი **ნორმა**, რომლებიც მართავს ჩვენს ცხოვრებას, მათ შორის, ათასობით ტექნიკური სტანდარტი და ადამიანის უფლებები. ეს და სხვა მუდმივად მზარდი ნორმები და წესები, უწინარესად, საყოველთაოა და ნაკლებად ემორჩილება სახელმწიფო-ეროვნულ ინტერესებს.

დაბოლოს, გლობალიზაციამ ჩვენს **ყოველდღიურ ფიქრებშიც** შეაღწია. XXI საუკუნის ადამიანი მსოფლიოს, როგორც ერთიანსა და მთლიანს, წინათაობებზე მეტად აღიქვამს და, შესაბამისად, მენტალურად უფრო და უფრო „მსოფლიო მოქალაქე“ ხდება.

შინ ვზივართ და ტელევიზიით ვუყურებთ, რა ხდება მოცემულ მომენტში ბუენოს-აირესსა და პეკინში, მობილურით ველაპარაკებით ნიუ-იორკში მყოფ ახლობელს, გვაცვია ჯინსები, ვსვამთ კოკა-კოლას და ვჭამთ ჩიზბურგერს, ვუსმენთ ამერიკულ პოპმუსიკას, ინტერნეტის საშუალებით ვკითხულობთ უახლეს პარიზულ გაზეთებს და ინტერნეტითვე, შინიდან გაუსვლელად, ვყიდულობთ საჭირო ნივთს, ინტენსიურ კომუნიკაციას ვამყარებთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებითან სოციალური ქსელების მეშვეობით, ევროკავშირი გვისაზღვრავს პროდუქტის ფასს, შორეულ საფინანსო ბირჟებზე მომხდარი ცვლილებები მაშინვე აისახება ჩვენს ბიუჯეტზე, ხოლო გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს კონფლიქტურ რეგიონებში წესრიგის შენარჩუნება ევალებათ. ასეთ დროს ნუ დავივიწყებთ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ არსებობდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, ძალიან ბევრი რამ სრულიად უცნობი იყო 80-90 -იან წლებშიც, ხოლო XXI საუკუნის 20-იანი წლების მოსახლეობა გაცილებით მეტად ვგრძნობთ გლობალიზაციის შედეგებს, მით უფრო, რომ უკვე დღეს ჩვენ აღარ ვართ მარტო ერთი ქვეყნის მოქალაქეები, არამედ ვცხოვრობთ ერთიან მსოფლიოში.

ზემოთქმული იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გლობალიზაცია არ ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, არ ექცევა რაიმე **ჩარჩოებში**. ხუთი მაგალითი მაინც შეიძლება დავასახელოთ იმის საჩვენებლად, რომ გლობალიზაცია არც ისე „გლობალურია“, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ჯერ ერთი, **გლობალიზაცია ყველგან ერთნაირი ინტენსივობით როდი იჩენს თავს.** თუ ტერიტორიული ფაქტორის და გეოგრაფიის მნიშვნელობის შემცირება ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და წყნარი ოკეანის არეალში (იაპონია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ავსტრალია-ოკეანეთი) აშკარა ფაქტია, ამას ვერ ვიტყვით ტროპიკულ აფრიკასა და ცენტრალურ აზიაზე. გლობალური კომპანიები, ინტერნეტი და ელექ-

ტრონული ფოსტა, ძირითადად, თავმოყრილია ე. წ. ჩრდილოეთში ანუ განვითარებულ სამყაროში. ამას გარდა, გლობალიზაცია, ძირითადად, შეეხო ქალაქის მოსახლეობას, კვალიფიციურ კადრებს და ახალგაზრდა თაობას. მაშასადამე, დრო და საზღვრები ისევ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მეორეც: **გლობალიზაცია არ არის კულტურული ჰომოგენიზაციის ერთმნიშვნელოვანი პროცესი.** გლობალიზაციის შედეგად კულტურული დაახლოება არ ნიშნავს კულტურული განსხვავებულობის წაშლას. ერთი და იგივე ფილმი სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა კულტურის მიერ და ერთი და იგივე პროდუქცია, ადგილობრივი პირობების და ტრადიციების გამო, სხვადასხვანაირად გამოიყენება. ამიტომ ეროვნული კულტურების გაქრობასა და სიკვდილზე ლაპარაკი აშკარად გადაჭარბებულია.

მესამე. **გლობალიზაცია სრულიადაც არ უარყოფს ტერიტორიულობის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკაში.** საზღვრების როლი, მანძილი და დრო მკვეთრად შეიცვალა და ნაკლებ დაბრკოლებას გულისხმობს, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გეოგრაფიულმა პარამეტრებმა საერთოდ დაკარგა მნიშვნელობა. გლობალიზაცია არ ასრულებს გეოგრაფიას, არამედ ქმნის ახალი სუპრატერიტორიულ სივრცეს, რომელიც ძველ ტერიტორიულ სივრცეს უკავშირდება. მსოფლიო პოლიტიკის „რუკა“ იძენს ახალ განზომილებებს და უფრო რთულდება.

მეოთხე. **გლობალიზაცია ერთი წარმმართველი ძალის შედეგად არ უნდა მივიჩნიოთ.** იგი არ უნდა შეფასდეს მარტო ამერიკული ან დასავლური თვალთახედვით. ის არც კაპიტალიზმის შედეგია ან ინდუსტრიული რევოლუციის პროდუქტი, არც უნივერსალური აზროვნების ძიების ნაყოფი. ის უნდა გავიაზროთ ყოველივე ამის და სხვა მოვლენათა საბოლოო შედეგად.

მეხუთე. **გლობალიზაცია არ არის პანაცეა.** ზოგიერთი ლიბერალის მოსაზრება, რომ დგება უსაზღვრებო მსოფლიოს ერა, სადაც იქნება სრული თანასწორობა, აყვავება, მშვიდობა და თავისუფლება, უფრო უტოპიურია, ვიდრე – რეალური. ვერავითარი გლობალიზაცია ვერ შეცვლის (ჯერჯერობით მაინც) იმ უთანასწორობას და განსხვავებას, რაც მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებს, ქვეყნებს თუ ქვეყნის შიგნით რეგიონებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს ახასიათებს. ამდენად, გლობალიზაციის გაიგივება საყოველთაო კეთილდღეობასა და დემოკრატიასთან, გადაჭარბებული და დამაჯერებლობას მოკლებული მოსაზრებაა.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაცია მაინც საკმაოდ შეზღუდულია და გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. სწორედ ამან მისცა მიზეზი მკვლევართა ნაწილს, გლობალიზაცია მითად გამოეცხადებინა და ანტიგლობალისტად ჩამოყალიბებულიყო.

1. 4. გლობალიზაცია ისტორიულ ჭრილში

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია, როგორც დავინახეთ, სრულიად ახალი ფენომენია, მსოფლიო ისტორიაში მაინც მოიძებნება გარკვეული ანალოგები, რომელთა ზოგიერთი ნიშანიც წააგავს გლობალიზაციის ცალკეულ მახასიათებლებს.

პირველ ყოვლისა, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ **მსოფლიო რელიგიების წარმოშობა** და გავრცელება. ბუდიზმიც, ქრისტიანობაც და ისლამიც არ ცნობს სახელმწიფო და ეროვნულ საზღვრებს, მანამდე არსებულ კულტურებს; ეს რელიგიები საკუთარი ღირებულებებით ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად, მეტი ხალხის გაერთიანებას, მიუხედავად მათი ეროვნებისა და სახელმწიფოებრიობისა. ქრისტიანისთვის თავისივე რწმენის, მაგრამ სხვა ეროვნების ადამიანი, გაცილებით ახლობელი და თავისიანი უნდა იყოს, ვიდრე – მისივე ეროვნების, მაგრამ სხვა აღმსარებლობის პიროვნება. ისლამი კი საერთოდ არ ცნობს ეროვნებას; ყველა მუსლიმი ერთიანი საზოგადოების – „უმმას“ წევრია. მსოფლიო რელიგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს მათ გავრცელებამდე არსებული ეროვნული კულტურები და ერთმანეთს დაუახლოეს საერთო რელიგიით გაერთიანებული ხალხები, მაგრამ საერთო, უეროვნო ქრისტიანული ან მუსლიმური საზოგადოების (ერთობის) ჩამოყალიბება მაინც ვერ შეძლეს.

გლობალიზაციის თავისებურ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს **დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები** და, განსაკუთრებით, კონტინენტთაშორისი მიგრაციების სწრაფი გავრცელება. ზოგი ავტორი გლობალიზაციის საწყისად მიიჩნევს ახალი ისტორიული პერიოდის (XVII საუკუნე) დადგომას, ზოგი ამ პროცესის დაწყებას XIX საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს. გლობალიზაციის დასაწყისად ზოგს XX საუკუნის 50-იანი წლები მიაჩნია, ზოგს კი – 70-იან-80-იანი წლების მიჯნა, მაგრამ თუ გლობალიზაციას, მისი ძირითადი მნიშვნელობით, კერძოდ კი, სუპრატერიტორიალიზმის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ სადავო არ უნდა იყოს, რომ ის უკანასკნელი ათწლეულების ფენომენია. ჯ.ა. შოლტს (Sholte 2001) მოჰყავს იმ მოვლენებისა და თარიღების ქრონოლოგიური ცხრილი, რომლებიც გლობალიზაციის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. 42 მოვლენიდან 26 1950 წლის შემდეგ მოხდა, ხოლო ნახევარი (19) – 1970 წლის შემდეგ (Sholte 2001).

ამასთანავე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მოვლენათა დიდი ნაწილი მოსახლეობის უმრავლესობისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა და მხოლოდ 70-იანი წლებიდან მიიღო გლობალური ხასიათი.

რომ აღარაფერი ვთქვათ კომპიუტერებსა და ინტერნეტზე, ტელეფონებით და ტელევიზორებით მოსახლეობის უზრუნველყოფა 70-იანი წლების შემდეგ მოხერხდა. დღეს ყოველდღიურად მილიარდობით დოლარი გადაირიცხება სახელმწიფოთა საზღვრებს გარეთ და მილიარდობით კაცი კვეთს ქვეყნების საზღვრებს ყოველწლიურად. სწორედ ამიტომ უნდა მივიჩნიოთ გლობალიზაცია თანამედროვე ფენომენად.

გლობალიზაციის თავისებურ ისტორიულ ანალოგიად შეიძლება მივიჩნიოთ **იმპერიები**. თითოეული იმპერიის მიზანი მისი მოსახლეობის და დაპყრობილი ხალხების ჰომოგენიზაციაა. იმპერიაში საერთო ადმინისტრაციის, კანონების, ოფიციალური ენის და განათლების სისტემის არსებობა გარკვეულწილად „რეგიონული გლობალიზაციის“ სურათს ქმნიდა, მაგრამ მოსახლეობის სრული ჰომოგენიზაცია ვერც ერთმა იმპერიამ ვერ შეძლო.

რელიგიას, იმპერიებსა და სეკულარულ იდეოლოგიებს, როგორც გლობალიზაციის ისტორიულ ანალოგებს, უფრო დაწვრილებით კულტურის გლობალიზაციაზე საუბრის დროს შევეხებით (თავი 6)

1.5. გლობალიზაცია: მითი თუ რეალობა?

გლობალიზაცია, როგორც ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს, ცალსახად პროგრესულ ანდა ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გლობალიზაციის პროცესის მკვლევართა შორის დიამეტრულად განსხვავებული შეფასებები გვხვდება.

დ. ჰელდისა და სხვა ავტორთა 1999 წელს გამოცემულ წიგნში „გლობალური ტრანსფორმაცია“ მკვლევართა სამი კატეგორიაა გამოყოფილი: – **ჰიპერგლობალისტები, ტრანსფორმაციონისტები და სკეპტიკოსები** (Held et al 1999). **ჰიპერგლობალისტებს** მიეკუთვნებიან ისინი, ვინც გადაჭრით ამტკიცებს, რომ გლობალიზაცია უნდა განისაზღვროს ახალ ერად, როცა ხალხი მზარდად განიცდის გლობალური ბაზრის გავლენას (Ohmae 1990). **სკეპტიკოსები** (Hirst and Thompson 1996) თვლიან, რომ გლობალიზაცია მითია, რომელიც მალავს საერთაშორისო ეკონომიკის რეალურ სახეს, კერძოდ, მის დანაწილებას სამ რეგიონულ ბლოკად, სადაც ეროვნული მთავრობების ძალა უაღრესად დიდია. **ტრანსფორმაციონისტები** კი (Giddens 1990, Rosenau 1997) მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციის მოდელი ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენაა, როცა სახელმწიფოებები და საზოგადოებები მთელ დედამიწაზე იცვლებიან და ცდილობენ შეეგუონ ურთიერთდაკავშირებულ, თუმცა – უაღრესად გაურკვეველ და არასაიმედო მსოფლიოს.

მკვლევართა დაყოფა ჰიპერგლობალისტებად, სკეპტიკოსებად და ტრანსფორმაციონისტებად არ არის თეორიების მიხედვით დაყოფა, რადგან ჰიპერგლობალისტებთან, ნეოლიბერალური მოსაზრებების გვერდით, შეიძლება მარქსისტულ განმარტებებსაც შევხვდეთ. თავის მხრივ, მარქსისტები რეალისტებთან ერთად შეიძლება სკეპტიკოსების ბანაკში გაერთიანდნენ, ხოლო ერთი და იმავე ჯგუფის წარმომადგენლებმა (მაგ., ტრანსფორმაციონისტებმა) შესაძლებელია სრულიად განსხვავებული დასკვნები გამოიტანონ.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებელობისა, შესაძლებელია ზოგადად განისაზღვროს, თითოეული ეს მიმართულება როგორ განსაზღვრავს გლობალიზაციას ისეთი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა ამ პროცესის კონცეფცია, მიზეზობრივი დინამიკა, სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, სახელმწიფო ხელისუფლებასა და მთავრობასთან დამოკიდებულება და ისტორიული ტრაექტორია. ზოგადი სახით ეს ნაჩვენებია #1.1 ცხრილში.

ჰიპერგლობალისტები თვლიან, რომ გლობალიზაცია თვისობრივად სრულიად ახალი ერაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც *გლობალური ერა* შეიძლება ეწოდოს. მათი აზრით, ერი-სახელმწიფოების ეპოქა დამთავრდა. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ, წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების ტრანსნაციონალური ქსელის ჩამოყალიბების მეშვეობით, ეკონომიკის დენაციონალიზაცია გამოიწვია. ეს არის საზღვრებგარეშე ეკონომიკა, რომელსაც ემორჩილება სახელმწიფო. შესაბამისად, ეროვნული სახელმწიფოს როლი განუხრელად სუსტდება, იშლება ძველი იერარქია, ჩნდება და ძლიერდება ახალი ფასეულობები, რაც ერთიანი, გლობალური ცივილიზაციის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

გლობალიზაციის პროცესის შეფასების თვალსაზრისით, ცხადია, ჰიპერგლობალისტებს შორის საკმაოდ სერიოზული განსხვავებებია. თუ ნეოლიბერალები ულაპარაკოდ პროგრესულად თვლიან საბაზრო პრინციპების დომინირებას სახელმწიფო ხელისუფლებაზე, ნეომარქსისტებს თანამედროვე გლობალიზაცია გლობალური კაპიტალიზმის ნათელ გამოვლინებად მიაჩნიათ. მაგრამ, მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებისა, ორივე თანხმდება, რომ გლობალიზაცია, უპირველესად, ეკონომიკური მოვლენაა, რომელზეც დამოკიდებულია პოლიტიკა. ასე რომ, გლობალიზაციის ეპოქაში პოლიტიკა არა შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აშკარად გამოხატული „ეკონომიკური მენეჯმენტია“.

გლობალიზაციის კონცეფცია: სამი ტენდენცია

ცხრილი #1.1

	ჰიპერგლობა-ლისტები	სკეპტიკოსები	ტრანსფორმაციო-ნისტები
რა არის ახალი?	გლობალური ერა	სავაჭრო ბლო-კები, სუსტი გეომ-მართველობა	გლობალური ურთი-ერთდამოკიდებუ-ლების ისტორიულად უპრეცედენტო დონე
ძირითადი თა-ვისებურება	გლობალური კაპი-ტალიზმი, გლობა-ლური მთავრობა, გლობალური სა-მოქალაქო საზოგა-დოება	მსოფლიო უფრო ნაკლებად არის ურთიერთდამო-კიდებული, ვიდრე 1890-იანი წლებში	"სქელი" (ინტენსი-ური და ექსტენსი-ური) გლობალიზა-ცია
ეროვნული მთავრობის ძალაუფლება	სუსტდება და იშ-ლება	გადანაწილდება და ძლიერდება	Gგარდაიქმნება და სტრუქტურად იქცევა
გლობალიზა-ციის მამოძ-რავებელი ძალები	კაპიტალიზმი და ტექნოლოგია	სახელმწიფო და ბაზარი	თანამედროვეობის ერთიანი ძალები
სტრატიფიკა-ციის მოდელი	ძველი იერარქიის მოშლა	სამხრეთის მზა-რდი მარგინალი-ზაცია	მსოფლიო წესრიგის ახალი სახე
დომინანტი მოტივი	მაკდონალდსი, მა-დონა, კოკა-კოლა	ეროვნული ინტე-რესები	პოლიტიკური საზო-გადოების ტრანსფო-რმაცია
გლობალიზა-ციის კონცეპ-ტუალიზაცია	ადამიანთა ქმედე-ბების სტრუქტუ-რის მოწესრიგება	ინტერნაციონა-ლიზაცია და რე-გიონალიზაცია	რეგიონთაშორისი ურთიერთობის და შორ მანძილზე ქმე-დებების მოწესრი-გება
ისტორიული ტრაექტორია	გლობალური ცივი-ლიზაცია	რეგიონული ბლოკები და ცი-ვილიზაციათა შეჯახება	გაურკვეველია: გლობალური ინტე-გრაცია და ფრაგმე-ნტაცია
საბოლო დას-კვნა	ერი-სახელმწიფოე-ბის დასასრული	ინტერნაციო-ნალიზაცია და-მოკიდებულია სახელმწიფოთა მოთხოვნასა და მხარდაჭერაზე	გლობალიზაცია ცვლის სახელმწიფო ხელისუფლებას და მსოფლიო პოლიტი-კას.

წყარო: Held et al. 1999 p.10

სკეპტიკოსებს თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად ხშირად მოჰყავთ სტატისტიკური მონაცემები, ერთმანეთს ადარებენ რა ვაჭრობის, ინვესტიციების და სამუშაო ძალის ნაკადების თანადროულ ინტენსივობას და XIX საუკუნის დასასრულის ანალოგიურ მონაცემებს. ამ მონაცემების შედარების საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა: თანამედროვე გლობალიზაცია სულაც არ არის ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენა. ჩვენ თვალწინაა მხოლოდ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია ანუ ნაციონალური ეკონომიკების ურთიერთობათა ინტენსიფიკაცია, ხოლო ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა დღეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს 1870-1914 წლებში იყო. ასე რომ, გლობალიზაცია მითია, ხოლო ეროვნული სახელმწიფო ეკონომიკის წარმმართველ მთავარ ძალად რჩება. საერთაშორისო ეკონომიკაში, გლობალიზაციის ნაცვლად, რეგიონალიზაციას ვაწყდებით, რადგან მსოფლიო ეკონომიკა ვითარდება სამი მთავარი სავაჭრო და საფინანსო ბლოკის მიმართულებით – ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აზია – წყნაროკეანური სარტყელი.

სკეპტიკოსებისთვის სრულად მიუღებელია მოსაზრება ერი-სახელმწიფოების ეპოქის დასრულებისა და ახალი, არასახელმწიფოცენტრული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების შესახებ. სახელმწიფო არის და მომავალშიც იქნება მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი აქტორი. სწორედ მასზეა დამოკიდებული თვით გლობალიზაციის პროცესის მომავალი, ეროვნული ინტერესები კი სახელმწიფოს ქმედების მთავარი ფაქტორია და ვერანაირი გლობალური ინტერესი მას ვერ შეცვლის. ასე რომ, ისტორიის დასასრულის იდეა ანუ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების მთელ მსოფლიოში გაბატონება უტოპიაა და მსოფლიოს დაყოფა რეგიონულ ბლოკებად და ცივილიზაციათა დაპირისპირება გარდაუვალია.

ტრანსფორმაციონისტები თვლიან, რომ გლობალიზაცია ახალი ათასწლეულის დასაწყისის ცენტრალური მოვლენაა, რომელიც სწრაფ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცვლილებებს იწვევს და თანამედროვე საზოგადოებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებას განაპირობებს. ისინი უფრო „ზომიერი“ გლობალისტები არიან და, თუმცა, ძირითადად, ეთანხმებიან ჰიპერგლობალისტებს, ზოგჯერ სკეპტიკოსების ცალკეულ აზრებსაც იზიარებენ.

კერძოდ, ტრანსფორმაციონისტები თანამედროვე პერიოდს გლობალურ ერად არ მიიჩნევენ (ჰიპერგლობალისტებს კი სწორედ ასე ჰგონიათ), თუმცა არც მითად აღიქვამენ. მათი აზრით, გლობალური ურთიერთდამოკიდებულება არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისინი აღიარებენ, რომ სახელმწიფოების როლი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შემცირდა, მაგრამ სახელმწიფოთა სისტემის კვდომაზე ლა-

პარაკი ყველანაირ საფუძველს მოკლებულია. სახელმწიფოთა და რეგიონთა ურთიერთობა კვლავაც დიდ როლს ასრულებს, მაგრამ ისინი ტრანსფორმაციას განიცდიან გლობალიზაციის პროცესის გავლენით. ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო გარემო სახელმწიფოთა, რეგიონთა და გლობალიზაციურ პროცესთა რთული სინთეზია, რაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის უაღრესად რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს განსაზღვრავს.

რაც შეეხება მოსახლეობის ძირითად მასას, გლობალიზაციის გავლენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე უდავოა და, ბუნებრივია, როგორც ყველა სხვა რთული პროცესი, ესეც არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. ამის მიხედვით, მოსახლეობაში გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც პოზიტიურად აფასებენ ამ პროცესს. მათ, პირობითად, შეიძლება **გლობალისტები** ვუწოდოთ. მათგან განსხვავებით, მოსახლეობის ნაწილი უარყოფითად აფასებს გლობალიზაციის შედეგებს და აშკარად **ანტიგლობალისტების** კატეგორიას განეკუთვნება. მართალია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ნეიტრალურ პოზიციაზე რჩება, მაგრამ გლობალიზაციის ზოგ გამოვლინებას დადებითად ეხმაურება, ზოგს კი – უარყოფითად.

ანტიგლობალისტური განწყობა, ძირითადად, არადასავლური ქვეყნების მოსახლეობაში იგრძნობა, სადაც გლობალიზაცია **ვესტერნიზაციად** ანუ დასავლეთის გავლენის უპრეცედენტო გაძლიერებად აღიქმება. მკვიდრდება აზრი, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც რეალურად დასავლური კომპანიებია, უმოწყალოდ ძარცვავენ ქვეყანას, აჩანაგებენ მის რესურსებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ ეკონომიკას და, ფაქტობრივად, მონებად აქცევენ ადგილობრივ მოსახლეობას. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება დასავლური მასობრივი კულტურის მოძალება, რომელიც ანგრევს ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, მენტალიტეტს და საეჭვოს ხდის ეროვნულ იდენტობას. სწორედ ამ შიშის მიზეზია ნაციონალიზმის აღორძინება მრავალ ქვეყანაში, ხოლო მაჰმადიანურ სამყაროში ნოყიერი ნიადაგის შექმნა ისლამური ფუნდამენტალიზმისათვის. ამასთანავე, მესამე სამყაროს ქვეყნები უარს არ ამბობენ დასავლური ტექნიკური მიღწევების (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, ავტომობილები და ა. შ.) ფართო გამოყენებაზე, სიამოვნებით მიეშურებიან დასავლეთის ქვეყნებში სამუშაოდ და ხშირ შემთხვევაში (არალეგალურად) – მუდმივ საცხოვრებლადაც.

თავის მხრივ, დასავლეთის სამყაროშიც საკმაოდ ძლიერი ანტიგლობალისტური განწყობაა. აქ განსაკუთრებული გაღიზიანებას არალეგალური იმიგრაცია იწვევს, რაც გლობალიზაციის შედეგად აღიქმება. განვითარებადი სამყაროდან მოძალებული მიგრანტების რაოდენობამ

დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნისა და აშშ-ს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი შეადგინა, რაც, მათი მაღალი ბუნებრივი მატების გათვალისწინებით, საკმაოდ სერიოზული საფრთხეა. დასავლეთის ზოგ ქვეყანაში თავი იჩინა თითქოსდა უკვე დიდი ხნით მივიწყებულმა ნაციონალისტურმა განწყობამ, ქსენოფობიამ და ადგილობრივი და ჩამოსული მოსახლეობას ურთიერთდაპირისპირებამ. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მემარჯვენე, რადიკალური პოლიტიკური ძალების გააქტიურება და მათი წარმატებები საპარლამენტო თუ რეგიონულ არჩევნებში (მაგ., მარი ლე პენის და მისი პარტიის შედეგები საფრანგეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში). ეს ძალები ნაციონალისტური ლოზუნგებითა და იმიგრაციის უმკაცრესი შეზღუდვის მოთხოვნებით გამოდიან.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს: გლობალიზაცია თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი, არსებითი თავისებურებაა. მიუხედავად მისი რთული და წინააღმდეგობრივი შინაარსისა, ის უზარმაზარ როლს თამაშობს თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო მოიცვა. გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია მისი საპირისპირო ფენომენის – ნაციონალიზმის გამოცოცხლება. ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთქმედება აშკარა და რეალური ფაქტია და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად გამოდგება.

1.6. გლობალიზაციის ინდექსი

გლობალიზაციის პროცესის ინტენსივობის გამოსახატად შემოღებულია სპეციალური მაჩვენებელი – გლობალიზაციის ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მასშტაბით არის ჩართული ესა თუ ის ქვეყანა გლობალიზაციის პროცესში. ინდექსი გამოითვლება ისეთი მაჩვენებლების განზოგადებული მონაცემებით, როგორიცაა ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, აგრეთვე – ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ სფეროებში. მაჩვენებელი იზომება 100 დანაყოფიანი სკალით, 1-დან 100-მდე. რაც მეტია ეს მაჩვენებელი, მით მეტად გლობალიზებულია ქვეყანა. გლობალიზაციის ინდექსი შეიძლება გაიზომოს როგორც ჯამურად, ანუ ინტეგრალური მაჩვენებლის დადგენით, ისე – ცალ-ცალკე, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური გლობალიზაციის თვალსაზრისით. ამასთანავე, ინდექსით შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნები, არამედ – მთელი მსოფლიო.

2023 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით გლობალიზაციის ინდექსი 62 იყო, ქვეყნების მიხედვით კი პირველი ადგილი ერგო ბელგიას (92, 9), ავსტრიას (92, 5) და ნიდერლანდებს (91, 9). ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით, პირველ სამეულს ქმნიდნენ სინგაპური, ირლანდია და ლუქსემბურგი, პოლიტიკურით – ბელგია, საფრანგეთი და იტალია, ხოლო სოციალურით – შვეიცარია, ავსტრია და კანადა. ყველაზე ნაკლებად გლობალიზებულ ქვეყნებს მიეკუთვნება ჩრდილოეთ კორეა, ბირმა, ბუტანი, კუბა, კირიბატი. საქართველო, გლობალიზაციის ინდექსის ჯამური მაჩვენებლით, მსოფლიოს 69-ე ქვეყანაა.

თავი 2. ეკონომიკის გლობალიზაცია

როგორც უკვე ითქვა, გლობალიზაციის ცნება თავდაპირველად ცალკეული პროდუქტის ბაზრების შერწყმის მნიშვნელობით დამკვიდრდა და, ამდენად, ეკონომიკურ შინაარსს ატარებდა. მართალია, შემდგომ გლობალიზაციის მნიშვნელობა გაფართოვდა და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო, მაგრამ დღესაც ტერმინი *გლობალიზაცია* ხშირად უფრო ეკონომიკური მნიშვნელობით გვხვდება და ამ ფენომენზე საუბრისას, ძირითადად, ეკონომიკური პარამეტრები მოჰყავთ ხოლმე.

ეკონომიკური გლობალიზაცია ძალზე რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს – გლობალური ვაჭრობით დაწყებული და ბავშვთა შრომით დამთავრებული. ცხადია, აქ მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს, მაგრამ ისევე, როგორც მთლიანად გლობალიზაციის ფენომენის შეფასებისას, ეკონომიკურ გლობალიზაციასაც ჰყავს სკეპტიკოსები და გლობალისტები, რომლებიც სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ ეკონომიკური გლობალიზაციის არსსა და თავისებურებას.

ეკონომიკური გლობალიზაციის შესახებ დებატები ამ ძირითად კითხვებზე პასუხის ძიებაა:

– რა მოცულობით ხორციელდება ეკონომიკური აქტივობის გლობალიზაცია?

– ხომ არ ყალიბდება „მესამე სამრეწველო რევოლუციიდან“ მომდინარე კაპიტალიზმის ახალი ფორმა?

– რამდენად შენარჩუნდება ეროვნული და ინტერნაციონალური მმართველობა ეკონომიკური გლობალიზაციის დროს?

– ხომ არ ნიშნავს გლობალური მეტოქეობა ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის დასასრულს?

სკეპტიკოსების აზრით, ჩვენ წინაშეა არა ეკონომიკური გლობალიზაცია, არამედ – ინტერნაციონალიზაცია. იზრდება ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირი და სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარ აქტორად რჩება. ამასთანავე, დღევანდელი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სულაც არ არის უპრეცედენტო მოვლენა. 1870-1914 წლებში საერთაშორისო ეკონომიკური კავშირის ინტენსივობა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე – დღეს. ყოველივე ამის გამო, წარმოდგენა ერთიან, უსაზღვრო, გლობალურ ეკონომიკაზე წმინდა წყლის მითია (Hirst, Thompson 1999).

სულ სხვა შეხედულებისა არიან გლობალისტები. მათი აზრით, დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკურ სურათს ანალოგი არ მოეძებნება

ისტორიაში. ის ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირის უბრალო ინტენსიფიკაცია კი არა, თვისებრივად სხვა მოვლენაა, როცა ეროვნული საზღვრები იშლება და ყალიბდება ერთიანი, გლობალური ეკონომიკა, ერთიანი ბაზარი და ერთიანი საფინანსო სისტემა. **გლობალური და საერთაშორისო ეკონომიკა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან პირველი ერთიანი და განუყოფელია, მეორე კი – ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირის სისტემა.**

იმისათვის, რომ გლობალიზაციის როლი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნათლად დავინახოთ, ცალკ-ცალკე უნდა განვიხილოთ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკურ ურთიერთობათა ცალკეული სფეროების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში.

2.1. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია გლობალიზაციის ეპოქაში

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია საერთაშორისო ურთიერთობის გააზრებისა და ანალიზის ერთგვარი გამოხატულებაა. ამ ტერმინით აღინიშნება როგორც მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები, ისე – ამ პროცესების შემსწავლელი მეცნიერება.

თვითონ ცნება *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია* (ზოგჯერ მას *საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ ეკონომიას* უწოდებენ) ორ მნიშვნელოვან თავისებურებას გულისხმობს. პირველის მიხედვით, პოლიტიკა და ეკონომიკა ურთიერთგანუყოფელი ცნებებია. პოლიტიკის გაგება მხოლოდ ეკონომიკასთან კავშირით შეიძლება და – პირიქით: პოლიტიკა ქმნის ეკონომიკას, ხოლო ეკონომიკა – პოლიტიკას.

მეორე თავისებურება ისაა, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიისათვის ის, რაც არის, ერთი მხრივ, ინტერნაციონალური ანუ საერთაშორისო (ე. ი. ქვეყნის გარეთ) და, მეორე მხრივ, ნაციონალური ანუ სახელმწიფოს შიგნით არსებული, განურჩეველია. დღევანდელ პირობებში სახელმწიფოები იმდენადაა ერთმანეთზე დამოკიდებული, ხოლო საქონლის, ფულის, მოსახლეობის ნაკადები საზღვრებგარეთ იმდენად ინტენსიურია, რომ შეუძლებელია, ესა თუ ის ეროვნული ეკონომიკა თუ პოლიტიკა „საშინაოდ“ ჩაითვალოს (R. Tooze 1997).

ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, მეტწილად, საერთაშორისო ურთიერთობებსაც მოიცავს. ზოგი ავტორის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობები ორ მთავარ ნაწილად იყოფა – საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიად და საერთაშორისო უსაფრთხოებად (პივიჰაუსი, გოლდსტაინი 2023).

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, გულისხმობს რა საზღვრების წაშლას ეკონომიკასა და პოლიტიკას, საერთაშორისოსა და შიდასახელმწიფოებრივს შორის, თითქოსდა გლობალიზაციის პრობლემების შემსწავლელ მეცნიერებად წარმოჩნდება. ამდენად, დიდ ინტერესს იწვევს იმ ძირითადი თავისებურებების ანალიზი, რომლებიც ახასიათებს საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს გლობალიზაციის ეპოქაში.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, გლობალიზაციის მთავარი პრობლემა არ გამომდინარეობს წარმოების, ფინანსების, ვაჭრობის, ინვესტიციების ინტენსიური, საზღვრებგარეშე მიმოქცევისგან (თუმცა ესეც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია). **მთავარი პრობლემა ის სრული შეუთავსებლობაა, რაც გლობალიზაციის შედეგად წარმოიშვა ტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებულ სახელმწიფოთა სისტემასა და არატერიტორიულ, გლობალურ საფუძველს დამყარებულ, განუხრელად მზარდ ეკონომიკურ სისტემას შორის.**

რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკას?

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი სათავეს იღებს 1944 წლიდან, როცა აშშ საკურორტო ქალაქ ბრეტონ-ვუდსში შეიკრიბა პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა დიდი ჯგუფი, რათა გადაეჭრათ ორი ძალიან სერიოზული პრობლემა: პირველი. შეექმნათ გარანტიები, რომ 30-იანი წლების დიდი დეპრესიის მსგავსი მოვლენა აღარ განმეორდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოეძებნათ გზები, რომლებიც უზრუნველყოფდა სტაბილური მსოფლიო სავალუტო სისტემისა და თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას. მეორე. ხელი შეეწყოთ ომისაგან დანგრეული ევროპის ეკონომიკის აღორძინებისათვის.

ამ მიზნით შეიქმნა **ბრეტონ-ვუდსის სისტემის** ანუ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგის სამი მთავარი ინსტიტუტი: – a.) ***საერთაშორისო სავალუტო ფონდი,*** რომელიც უზრუნველყოფდა სტაბილური სავალუტო კურსის რეჟიმს და იმ ქვეყნების გადაუდებელ დახმარებას, რომლებიც საგადასახადო ბალანსის რეჟიმის დროებით კრიზისში აღმოჩნდებოდნენ; b.) ***რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი,*** რომელსაც შემდგომ **მსოფლიო ბანკი** ეწოდა და რომლის ამოცანაც იყო, გაეადვილებინა კერძო ინვესტიციები ევროპაში და ხელი შეეწყო მისი ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის, ხოლო შემდგომ სხვა რეგიონებისთვისაც იგივე მიზნები დაისახა, რაც დღეს ამ ბანკის მთავარი მისიაა; დაბოლოს, g.) ***ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (***GATT***),*** რომლის ამოცანაც საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია იყო.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის საფუძველი იყო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ქვეყნების ვალუტის კურსი მიებმებოდა აშშ-ის დოლარს, ხოლო აშშ-ის მთავრობა უზრუნველყოფდა დოლარის ფიქსირებულ კურსს ოქროსთან მიმართებით (1 უნცია ოქრო 35 დოლარი). 60-იანი წლების შუა პერიოდამდე ბრეტონ-ვუდსის სიტემა პრობლემების გარეშე ფუნქციონირებდა. 1965 წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. აშშ-ის ომმა ვიეტნამში ძალიან გაზარდა სამხედრო ხარჯები. ამას დაერთო პრეზიდენტ ჯონსონის „დიდი საზოგადოების“ პროგრამა, რაც განათლებაზე, სოციალურ სფეროსა და ქალაქების განვითარებაზე თანხების მნიშვნელოვან მატებას ითვალისწინებდა და თანაც – გადასახადის გაუზრდელად. შედეგი სავალალო აღმოჩნდა. ქვეყნის შიგნით ფასების ზრდას თან დაერთო ამერიკული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება მსოფლიო ბაზარზე, რასაც დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ეკონომიკური აღმავლობაც უწყობდა ხელს. ყოველივე ამის გამო, აშშ-ის დოლარის მიმართ ნდობა დაიკარგა. 1971 წელს აშშ-მა გამოაცხადა, რომ იგი უარს ამბობს დოლარის კონვერტაციაზე ფიქსირებული ფასით (35 $ უნცია ოქროზე) და აწესებს ე. წ. „მცურავ კურსს“, ამასთანავე, იმპორტის ბაჟზე ამატებს 10%-იან დამატებით გადასახადს. ამ გადაწყვეტილებით, ბრეტონ-ვუდსის სისტემა ისტორიის კუთვნილება გახდა და იგი თვისებრივად შეიცვალა.

70-იანი წლებში მთავარმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს გზების მოძებნა თავიანთი სავალუტო კურსების კოორდინირებისათვის. პრობლემური ვითარება შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურებს შიგნით. ამის ნაცვლად, რეგულარული ხასიათი მიიღო ამ სახელმწიფოთა მეთაურების (დიდი შვიდეული) ყოველწლიურმა შეხვედრებმა, რომლებზეც ძირითადი ეკონომიკური (და პოლიტიკური) პრობლემები ურთიერთშეთანხმებულად გადაიჭრებოდა.

იმავე პერიოდში გარკვეულწილად დაირღვა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT) პრინციპი ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ. განვითარებული ქვეყნები ახალი პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ, რაც განვითარებადი ქვეყნების პროდუქციის იმპორტზე ბარიერების დაწესებას ითვალისწინებდა. ამის საპირისპიროდ, განვითარებადმა ქვეყნებმა გაეროს ფარგლებში გააჩაღეს კამპანია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დასამყარებლად. ამან დიდი როლი შეასრულა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) 1973 წელს გატარებულმა პოლიტიკამ, რამაც სერიოზული ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია განვითარებულ ქვეყნებში. ეს ბრძოლა საკმაოდ გახანგრძლივდა, საბოლოოდ, მხოლოდ 80-90-იანი წლების მიჯნაზე დამთავრდა და ცივის ომის დამთავრებას და-

ემთხვა. 1995 წელს, GATT-ის ნაცვლად, ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი **მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (**WTO**),** რომლის ამოცანაც მსოფლიო ვაჭრობის მაქსიმალური ლიბერალიზაციაა.

როდესაც დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ტრადიციული თეორიული მიდგომები, რომლებიც მას ახასიათებს.

ლიბერალური მიდგომით, მსოფლიო ეკონომიკა უნდა წარმოადგენდეს გლობალურ ბაზარს, სადაც თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა განსაზღვრავს მთავრობისა და ეკონომიკური აქტორების პოლიტიკას. წესრიგი მიიღწევა მხოლოდ გლობალური ბაზრის კონკურენციის „უხილავი ხელით“.

მერკანტილისტური მიდგომით, მსოფლიო ეკონომიკა სახელმწიფოთაშორისი მეტოქეობის არენაა, სადაც თითოეული ქვეყანა ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თავისი სიმდიდრე და დამოუკიდებლობა. წესრიგი მიიღწევა მხოლოდ ძალთა წონასწორობის ან ჰეგემონობის პირობებში;

მარქსისტული მიდგომით, მსოფლიო ეკონომიკა კაპიტალისტური დაპირისპირების არენაა, სადაც კლასები (ბურჟუაზია და პროლეტარიატი) და სოციალური ჯგუფები მუდმივ კონფლიქტში არიან ერთმანეთთან. კაპიტალისტების მიზანია მოგება; წესრიგი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი სავსებით დაიმორჩილებენ სხვებს.

ამ ტრადიციულ შეხედულებებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში ახალი მიდგომები მიემატა:

ინსტიტუციონალისტები თვლიან, რომ მსოფლიო ეკონომიკა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის არენაა. მთავარი აქტორები არიან ინსტიტუციები, რომლებზეც დელეგირებულია ძალაუფლება. მთავარი მამოძრავებელი ძალაა რაციონალური არჩევანი, რომელიც სახელმწიფოს დონეზე მოტივირებულია თანამშრომლობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებით. წესრიგის მთავარი პირობა საერთაშორისო ინსტიტუციების არსებობაა, რაც თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

პოლიტეკონომისტებისთვის მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება იმ დაპირისპირებით, რომელიც არსებობს სახელმწიფოს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს შორის. ძირითადი აქტორები არიან ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკის შიგნით ყალიბდებიან. მთავარი მამოძრავებელი ძალაა რაციონალური არჩევანი ჯგუფების დონეზე საშინაო ეკონომიკის შიგნით და უპასუხებს საერთაშორისო ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს.

კონსტრუქტივისტები, კერძოდ ნეოგრამშიანელები, მსოფლიო ეკონომიკას აღიქვამენ ცოდნის, იდეების და ინსტიტუტების განსაზ-

ღვრულ სისტემად, რომელიც ასახავს მთავარი აქტორების ინტერესებს; მის შიგნით მუდმივი წინააღმდეგობაა. სისტემის ხასიათს განსაზღვრავს მისი სტრუქტურა. მთავარი მამოძრავებელი ძალაა კაპიტალისტური დაპირისპირებები. ერთი სახელმწიფოს უბრალო უპირატესობა არ კმარა საერთაშორისო წესრიგისთვის, ჰეგემონობა გულისხმობს ცოდნასა და იდეებზე კონტროლსაც.

როგორც ტრადიციული, ისე ახალი თეორიული მიდგომები, აქტუალობას ინარჩუნებს (და, გარკვეულწილად, მეტ მნიშვნელობასაც იძენს) გლობალიზაციის პირობებში.

ცნება „გლობალიზაცია“, მსოფლიო ეკონომიკის მიმართებით, **სამ მნიშვნელობას** მოიცავს:

ინტერნაციონალიზაცია აღნიშნავს სახელმწიფოთშორისი სავაჭრო, ფინანსური და წარმოებითი კავშირების მუდმივ ზრდას. ინტერნაციონალიზაციის პროცესი ვითარდება და ყალიბდება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე ვაჭრობის, ინვესტიციებისა და კაპიტალის ურთიერთმიმოქცევის შესახებ; ასევე, საშინაო პოლიტიკის შედეგად, რომელიც ნებას რთავს კერძო სექტორს, საზღვარგარეთულ პარტნიორებთან ითანამშრომლოს.

ტექნოლოგიური რევოლუცია. ამ მნიშვნელობით, გლობალიზაცია გულისხმობს უდიდეს მიღწევებს თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებში (ინტერნეტი, სატელიტური კავშირგაბმულობა, კომპიუტერიზაცია), რამაც ადგილისა და მანძილის პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანი გახადა არა მარტო მთავრობებისთვის, არამედ – სხვა აქტორებისთვისაც.

ლიბერალიზაცია გულისხმობს გლობალიზაციის იმ მხარეს, როცა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში განუხრელად მცირდება, სავაჭრო ტარიფებისა და ბარიერების მოხსნის, უცხოელი ინვესტორებისთვის თავისუფალი მოქმედების მიცემისა და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის გზით.

ამ პროცესების არნახულმა გავრცელებამ გლობალიზაციის აპოლოგეტებს (გლობალისტებს) ათქმევინა, სახელმწიფო უკვე დრომოჭმულ ინსტიტუტად გამოეცხადებინათ. კენიჩი ომე, მაგალითად, პირდაპირ აღნიშნავს: „ერი-სახელმწიფო საზღვრებგარეშე მსოფლიოში არაბუნებრივ, უფუნქციო ერთეულად იქცა და აღარ ძალუძს მართვა ადამიანთა მოქმედების ორგანიზაციისა და ეკონომიკური ცხოვრებისა (Ohmae 1990 p.24).

რაც შეეხება **სკეპტიკოსებს**: ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ასეთ მტკიცებას და მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არათუ ინარჩუნებს თავის ფუნქციებს, არამედ მომავალშიც იქნება საერთაშორისო

ურთიერთობების (მათ შორის, ეკონომიკურისაც) ძირითადი აქტორი. სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კავშირების გაღრმავება ჩვეულებრივი მოვლენაა და თვით სახელმწიფოს გაძლიერებას ემსახურება. სახელმწიფოს ყურადღების მოდუნება კაპიტალის მიმოქცევასა და მცურავი სავალუტო კურსის მართვაზე იწვევს კატასტროფულ შედეგებს, კერძოდ, ღრმა ფინანსურ კრიზისებს რაც მძიმე მდგომარეობაში აგდებს სახელმწიფობს. ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესის საპასუხოდ, სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ: კერძოდ, ძლიერი ქვეყნების ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ იმ წესებისა და ინსტიტუტების შემქმნელი სახელმწიფოები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან გლობალურ ეკონომიკას. მათ რიცხვს მიეკუთვნება არა მარტო დაწინაურებული ინდუსტრიული სახელმწიფოები (მაგ., აშშ, რომელმაც, ფაქტობრივად, შექმნა და დაშალა კიდეც ბრეტონ-ვუდსის სისტემა), არამედ – ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიც (ბრაზილია, ჩინეთი, მალაიზია, ირანი). როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში მოხვდა როგორც ლიბერალური (ბრაზილია), ისე მკაცრად პროტექციონისტური ეკონომიკის (ირანი) ქვეყნები. სუსტი ქვეყნები მოკლებულნი არიან არჩევანის საშუალებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და თითქმის ვერ ზემოქმედებენ გლობალური ეკონომიკის წესების ფორმირებაზე.

აღნიშნული მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ გლობალიზაციის ეპოქაშიც სახელმწიფოს სიძლიერე განმსაზღვრელი ფაქტორია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და წარმოდგენა სახელმწიფოს სიკვდილის შესახებ ძალზე გადაჭარბებულია.

როცა გლობალიზაცია ამა თუ იმ ქვეყანაში ფინანსურ თუ ეკონომიკურ კრიზისს იწვევს, მთავარ დამნაშავედ გლობალიზაციის პროცესი „ცხადდება“: კერძოდ, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ფინანსების თუ საერთოდ ეროვნული სახელმწიფოს დამანგრეველ ძალებად, ახალი მოდის იმპერიალისტებად და კოლონიზატორებად მიიჩნევა. ეკონომიკური გლობალიზაცია მძაფრ პროტესტს იწვევს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რამაც ანტიგლობალისტურ მოძრაობას დაუდო სათავე. ანტიგლობალისტებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკონომიკურ ნაციონალისტებს უკავიათ, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ მკაცრი პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებას, ეროვნული ეკონომიკის დაცვას უცხოური საქონლისაგან, სავაჭრო და სატარიფო ბარიერების დაწესებას და სხვა უმკაცრესი ღონისძიებების გატარებას სახელმწიფოს მხრიდან.

საერთოდ, გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების როლის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, და ამას ცხადყოფს სხვადასხვა თეორიული სკოლის წარმომადგენელთა მიდგომანი.

ინსტიტუციონალისტები, კერძოდ, ნეოლიბერალები თვლიან, რომ საერთაშორისო ინსტიტუციების შექმნის საფუძველი სახელმწიფოთა ურთიერთსარგებელი და მოგება უნდა იყოს, მოგების ნაწილი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას უნდა მოხმარდეს, ხოლო თვით ინსტიტუციებმა ხელი შეუწყოს ეკონომიკის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას.

რეალისტების აზრით, საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა ისაა, რომ სახელმწიფოები ერთმანეთს არ მტრობდნენ, მათი მიზანი იყოს თანამშრომლობის გაღრმავება, მაგრამ ისე, რომ არ შეიცვალოს ძალთა წონასწორობა, ხოლო ინსტიტუტებმა გლობალიზაციის პროცესი მართონ დომინანტი და ძლიერი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად.

კონსტრუქტივისტების აზრით, ინსტიტუციები იმ სახელმწიფოთა და ჯგუფთა იდენტურობისა და ინტერესების ასახვაა, რომლებიც ისედაც ერთმანეთს უკავშირდებიან. მიზანია ურთიერთქმედებების მოდელების შეცვლა და ახლის წარმოქმნა, რაც გლობალიზაციაზე პასუხად წარმოჩნდება. (Woods 2001)

მიუხედავად განსხვავებული წარმოდგენისა საერთაშორისო ინსტიტუციებზე, ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება როგორც ასეთი ორგანიზაციების რიცხვი, ისე მათი წევრი ქვეყნებისა, რაც გლობალიზაციის პროცესის უფრო ფართო გავრცელების კიდევ ერთი მაჩვენებელია.

2.2. ფინანსების გლობალიზაცია

სიტყვა „გლობალიზაცია“ ალბათ ყველაზე უფრო ადეკვატურად იმ პროცესებს გამოხატავს, რომლებიც საერთაშორისო საფინანსო ოპერაციების სფეროში ხდება.

მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო ოპერაციების მოცულობა 1977 წელს 5 მილიარდი დოლარი იყო, 1987 წელს – 600 მილიარდი დოლარი, 2000 წელს – 1,5 ტრილიონი დოლარი, ხოლო 2019 წელს – 6,6 ტრილიონი დოლარი (https://www.bis.org/statistics). საერთაშორისო ბაზარზე ფინანსების მოცულობის ზრდამ საგრძნობლად გადააჭარბა საერთაშორისო ვაჭრობისა და მსოფლიო ერთობლივი პროდუქტის მოცულობის ზრდის მაჩვენებლებს (Тобин Дж. 1999 с. 54).

ზოგადად, ფინანსების გლობალიზაცია შეიძლება განიმარტოს საფინანსო ბაზრების მზარდ და განუხრელ დაახლოებად, შერწყმად და ერთიანი საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბებად. ამ პროცესის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ წარმოქმნილი საფინანსო სისტემა არ კონცენტრირდება ერთ რომელიმე ქვეყანაზე. თუკი ტელევიზიამ და კავშირგაბმულობის საშუალებებმა მანძილის პრობლემა მოხსნა, საფინანსო გლობალიზაცია „გეოგრაფიის დასასრულის“ მაჩვენებელია, რადგან ფინანსური გლობალიზაციის პირობებში გეოგრაფიულ მდებარეობას მნიშვნელობა აღარა აქვს.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ფინანსურმა გლობალიზაციამ თანაბრად მოიცვა მთელი მსოფლიო. ფინანსური ოპერაციების ძირითადი მასა ნაწილდება მსოფლიო ეკონომიკის სამ მთავარ ცენტრზე – აშშ-ზე, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე. მსოფლიო ფინანსების დიდი ნაწილი კონტროლდება აშშ-ის ფედერალური რეზერვების საბჭოს, იაპონიის ბანკის, გერმანული ბუნდესბანკისა და ლონდონის, ნიუ-იორკისა და ტოკიოს საფინანსო ბაზრების მიერ. უცხოელ ინვესტორთა აქტივებმა აშშ-ის საფონდო ბირჟებზე 2000 წლისათვის 300 მილიარდ დოლარს მიაღწია, 2023 წელს კი, 5,5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა (FOREIGN DIRECT INVESTMENT IN THE UNITED STATES https://www.commerce.gov/sites/default/files/2024-10/FDI-Report-Final.pdf). იაპონიაში 1980 წელს არსებული 4,6 მილიარდი 1998 წელს 54 მილიარდამდე გაიზარდა (Kegely and Wittkopf 2001 p. 305), ხოლო 2023 წელს 240 მილიარდი შეადგინა (Japan: Foreign investments https://santandertrade.com/en/portal/establish-overseas/japan/foreign-investment).

მაგრამ ის, რომ ამ საფინანსო ცენტრების გავლენამ მთელი მსოფლიო მოიცვა, უეჭველი ფაქტია. ასეთი მასშტაბური (და, იმავდროულად, ლოკალური) ფინანსური გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ საერთოდ დაკარგა კონტროლი ფინანსურ მართვაზე, მით უფრო, გლობალიზებული საფინანსო სისტემა ვერ იქნება ცალკეული ქვეყნების მიერ რეგულირების ობიექტი. ხდება პირიქით: ფინანსური ტრანსნაციონალური კორპორაციები ხდებიან მთავარი აგენტები მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში, რომლებიც თავიანთ გავლენას უმორჩილებენ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას.

ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია გლობალური, სუპრატერიტორიული ფულის არსებობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით, ფიქსირებული, შემდეგ კი მცურავი სავალუტო გაცვლის რეჟიმმა საშუალება მისცა ზოგ ეროვნულ ვალუტას, საზღვარგარეთ გასულიყო მიმოქცევაში.

ცხადია, ეროვნული ფულის ვერც ერთი ერთეული ვერ იქნებოდა აშშ-ის დოლარზე უფრო საყოველთაო. განხორციელდა დოლარის გლობალიზაცია და მისი უზარმაზარი მასა აშშ-ის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დროს სწორედ დოლარი ცვლიდა ეროვნულ ვალუტას. 70-იან წლებში ზოგმა სხვა ეროვნულმა ვალუტამაც (გერმანული მარკა, იაპონური იენი, შვეიცარიული ფრანკი) შეიძინა გლობალური ხასიათი. 2002 წელს ევროს შემოღება ევროპის 12 ქვეყნის ერთადერთ ვალუტად ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ გამოვლინებად იქცა.

საგარეო სავალუტო ვაჭრობა ერთ-ერთ გავრცელებულ სუპრატერიტორიულ ბიზნესად იქცა. გლობალიზაციის პერიოდში ეს ვაჭრობა, როგორც წესი, ტელეფონით, ფაქსით, ელ-ფოსტით ხორციელდება და მანძილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მსოფლიოს ბანკების უმრავლესობა ინტერნეტითაა დაკავშირებული ერთმანეთთან და პიროვნებას, რომელსაც ანგარიში აშშ-ის რომელიმე ბანკში აქვს გახსნილი, შეუძლია ფული გამოიტანოს ათასობით კილომეტრით დაშორებული ქვეყნების ბანკიდან ისე, რომ ბანკის მოხელეს არც კი შეხვდეს. იგულისხმება ავტომატური მოლარე მანქანები (ATM) და ვიზა და მასტერქარდები.

გლობალიზაცია შეეხო საბანკო საქმეს და გამოიხატა საზღვრის იქით დეპოზიტების ზრდით, საზღვრებგარეთ სესხების გაცემით, საზღვარგარეთ ფილიალების ქსელის შექმნით და მყისიერ მსოფლიო ბანკთაშორისი ტრანსფერების წარმოქმნით.

საზღვრისიქითა დეპოზიტების მაგალითია ე. წ. *ევროფული* ანუ ეროვნული ფული მოცემული ვალუტის „სამშობლოს“ გარეთ მყოფი პიროვნებებისა და არსებული დაწესებულებების ხელში (მაგ., ევროდოლარები, ევროიენები და ა. შ.). *ევროფულის* სწრაფი ზრდის მაგალითია 70-იან წლებში ნავთობდოლარების მოზღვავება.

ფინანსური გლობალიზაციის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ოფშორული ცენტრების წარმოქმნა, ანუ საბანკო-საფინანსო ოპერაციების ჩატარება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ინვესტორებს სთავაზობენ ძალიან დაბალ გადასახადს და გამარტივებულ მომსახურებას: მაგალითად, კაიმანის კუნძულებზე (კარიბის ზღვა) ხუთასზე მეტი ოფშორული ბანკია, რომელთა საერთო დეპოზიტიც 2000 წლისათვის 442 მილიარდი დოლარი იყო (Globalization of World Politics p. 530), ხოლო 2020 წლისთვის 1,9 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა (https://globalresidenceindex.com/offshore-banking-cayman-islands/).

2.3. ვაჭრობის გლობალიზაცია

ბოლოდროინდელმა ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყო ქვეყნების ეროვნული ბაზრების დაახლოებას. მაგრამ განსაკუთრებული სისწრაფით ეროვნულ ბაზართა ურთიერთკავშირი ბოლო ათწლეულებში განმტკიცდა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების თვისებრივ ცვლილებას დაუკავშირდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მსოფლიო ვაჭრობის სწრაფი განვითარებისა იყო ტარიფების შემცირება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს მიაღწიეს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურ შეთანხმებას (GATT), რომლის მიზანიც იყო ვაჭრობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია. 1947 წლის ჟენევის რაუნდზე მიღწეული იქნა შეთანხმება ტარიფების 35%-ით შემცირების თაობაზე. შედეგიანად დასრულდა 1950, 1960 და 1970 წლებში გამართული ფორუმები (კენედის რაუნდი; ტოკიოს რაუნდი; ურუგვაის რაუნდი). საბოლოოდ, ფაქტობრივად, გაუქმდა ტარიფები დამუშავებითი მრეწველობის ნაწარმზე. ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია (WTO), რომელმაც 1994 წელს შეცვალა GATT, იბრძვის სავაჭრო ბარიერების სრული გაუქმებისთვის და, აერთიანებს რა 166 ქვეყანას (2024 წლისთვის), იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, რომლებიც GATT-ის ინტერესების სფეროში არ შედიოდა.

მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე – წარმოება (შესაბამისად, 6% და 3% – ყოველწლიურად). 1996 წელს 5, 2 ტრილიონი დოლარის პროდუქცია გაიყიდა ერთი ქვეყნიდან მეორეში, რაც ორნახევრით მეტი იყო, 80-იანი წლების ბოლოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობის ნამდვილი ბუმი გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. საკმარისია ითქვას, რომ 2022 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვაჭრობის საერთო მოცულობამ 61 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. აქედან საქონლით ვაჭრობის წილია 50 ტრილიონი, ხოლო მომსახურეობით ვაჭრობაზე მოდის 11 ტრილიონი (https://stats.wto.org/dashboard/services_en.html). უცხოური საქონელი უფრო დიდ ადგილს იკავებს ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე და ეს ფაქტი ეკონომიკური გლობალიზაციის კარგი დადასტურებაა.

ცხადია, უცხოური საქონლით ეროვნული ბაზრის დაპყრობა აზიანებს ადგილობრივ წარმოებას, რაც მეწარმეების მძაფრ პროტესტს და წინააღმდეგობას იწვევს. ეს ეხება არა მარტო ცალკეულ ქვეყნებს, არამედ მთელ რიგ რეგიონებსაც. თვით ამ კონკურენციაში გამარჯვებული მხარე – გლობალური ჩრდილოეთი – მიმართავს ნეომერკანტელისტურ

ზომებს, რათა საკუთარი ბაზარი დაიცვას უცხოური პროდუქციის შემოტევისაგან, კერძოდ, აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სამრეწველო ნაწარმისაგან. ამ უკანასკნელთათვის კი, ვაჭრობის გლობალიზაცია საუკეთესო გზაა ეკონომიკური დაწინაურებისაკენ და უცხოური ფირმების ინვესტიციების მისაზიდად, რაც მომავალში დაეხმარება მათ, კონკურენცია გაუწიონ დასავლეთს (გლობალურ ჩრდილოეთს).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან იმ ხარისხით, რითაც მათი ეკონომიკა ვაჭრობის მეშვეობით არის ინტეგრირებული გლობალურ პოლიტიკურ ეკონომიაში. გლობალური სამხრეთის სავაჭრო ინტეგრაციის ტემპები უფრო მაღალია, ვიდრე – გლობალური ჩრდილოეთისა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სამხრეთს მზარდი როლი ენიჭება ჩრდილოეთის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში. ამასთან, სამხრეთის რეგიონების მონაწილეობა ვაჭრობის ინტეგრაციაში განსხვავებულია. ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია ისევე, როგორც აღმოსავლეთი ევროპა, გლობალურ ბაზარზე მზარდი წილით გამოირჩევა მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და ტროპიკული აფრიკა ბევრად ჩამორჩებიან. მთელი გლობალური სამხრეთის ხვედრითი წილი გლობალურ ვაჭრობაში 23%-დან (1985წ) 44%-მდე გაიზარდა (2023წ). განსაკუთრებით საგრძნობია სამხრეთის ქვეყნების ხვედრითი წილის ზრდა დამუშავებითი მრეწველობის ექსპორტში (10%-1980 წ. 34%-2021 წ), რომელშიც უნდა აღინიშნოს ე. წ. ახალი პროდუქციის (კომპიუტერები, ელექტრონიკა, ვიდეო, ტელე და ფოტოაპარატურა) ექსპორტი. სამ აზიურ „ვეფხვზე“ (სამხრეთი კორეა, ტაივანი, სინგაპური), რომლებსაც ემატება მალაიზია და ტაილანდი, მოდის განვითარებადი ქვეყნებიდან აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის 2/3 (Kegley, Wittkopf 2001).

თანამედროვე ვაჭრობის გლობალიზაციაზე ნათლად მიუთითებს ასეთი ციფრები: „ნესკაფე“ იყიდება 200 ქვეყანაში, კოკა-კოლას სვამენ 190 ქვეყანაში, პეპსის – 180-ში, ლუდ „ჰაინეკენს“ – 170 სახელმწიფოში, „ეფლ“ და „სამსუნგ“ წარმოდგენილია 175 ქვეყანაში, CNN-ს უყურებენ 168 სახელმწიფოში, „ფაინენშელ ტაიმსს“ კითხულობენ 170 ქვეყანაში, „მარლბორო“ იყიდება 185 სახელმწიფოში.

მაღაზიათა დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან მარაგდება. მაღაზიების საზღვრებგარეთ გატანა ჩვეულებრივი მოვლენაა (მაგ., იტალიური ბენეტონი, ინგლისური ბოდი-შოპი და სხვ.).

1990-იან წლებში განვითარდა ახალი სუპრატერიტორიული ბაზარი – ელექტრონული ვაჭრობა. დღევანდელ გლობალურ მომხმარებელს საკრედიტო ბარათით, ტელეფონით ან ინტერნეტით შეუძლია იყიდოს

ყველაფერი შინიდან გაუსვლელად. ინტერნეტით გაყიდული პროდუქციის მოცულობამ 1996 წლის 2,6 მილიარდი დოლარიდან 2000 წელს 300 მილიარდს მიაღწია (Scholte 2001, p. 528), 2024 წელს კი, მსოფლიო საცალო ვაჭრობის თითქმის მეოთხედი (12 ტრილიონი დოლარი) ონლაინ ვაჭრობაზე მოდიოდა. (https://www.statista.com/statistics/534123/e-commerce-share-of-retail-sales-worldwide/)

ეს მიგვანიშნებს ვაჭრობის გლობალიზაციის უნიკალურ მასშტაბებზე. გლობალისტების აზრით, ყველაფერი ეს თანდათან მიგვიყვანს ერთიანი გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებასა და პროტექციონიზმის ყოველგვარი გამოვლინების მოსპობამდე. სკეპტიკოსები კი თვლიან, რომ სავაჭრო გლობალიზაცია გამოიწვევს უკმაყოფილებას და წინააღმდეგობის გაძლიერებას სახელმწიფოს მთელი რიგი ძალებისა, რის შედეგადაც, პროტექციონიზმი და ეკონომიკური ნაციონალიზმი ახალი ძალით იჩენს თავს და საგრძნობლად ამცირებს მსოფლიო ბაზრის გავლენას.

2.4. წარმოების გლობალიზაცია

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია წარმოების გლობალიზაცია ანუ მრავალეროვნული კორპორაციების როლის სწრაფი ზრდა.

თავისთავად ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) ახალი მოვლენა არ არის და ისინი უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის ეპოქაში არა მარტო მათი რიცხვი გაიზარდა, არამედ თვისებრივადაც ახალი შინაარსი შეიძინა. ისინი ჭეშმარიტად ტრანსნაციონალურ, უსაზღვრებო, უეროვნებო და უსახელმწიფოებო ორგანიზაციებად იქცნენ. ცნობილი კომპანიის „ლევი სტრაუსის“ ხელმძღვანელის სიტყვები ნათლად გამოხატავს თანამედროვე ვითარების თავისებურებას: „ჩვენი კომპანია ყიდულობს ნედლეულს ჩრდილოეთ კაროლინაში, გზავნის მას საფრანგეთში, სადაც იკერება ჯინსები, შემდეგ პროდუქცია მუშავდება ბელგიაში და იყიდება გერმანიაში ინგლისის სატელევიზიო რეკლამების გამოყენებით“ (Scholte 2001).

ამჟამად მსოფლიოში 77 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომლებიც 550 ათასზე მეტ შვილობილ კომპანიას და ფილიალებს ფლობენ სათავო ოფისის ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებგარეთ. მსოფლიოს 100 ყველაზე მსხვილი ტნკ-ის აქტივების ნახევარზე მეტი იმ სახელმწიფოთა საზღვრებგარეთაა, სადაც სათავო კომპანიაა.

ტნკ-ს წილი მსოფლიოში წარმოებულ მთელ პროდუქციასა და მომსახურებაში 1970-2000 წლებში 17-დან 30%-მდე გაიზარდა, ხოლო 2020

წლისათვის 2/3-ს გაუტოლდა. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტრანსნაციონალურ კომპანიათა რიცხვმა თითქმის ხუთჯერ იმატა. ტნკ-ების წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული ელექტრონიკისა და ქიმიური პროდუქციის 80%, მანქანათმშენებლობის – 76%, ფარმაცევტიკის – 95%.

თუ მსოფლიოს სახელმწიფოებს და ტნკ-ებს წლიური შემოსავლების მიხედვით განვათავსებთ, 2023 წლის მონაცემებით, პირველ ასეულში 69 ტნკ და 31 სახელმწიფო მოხვდება (2001 წელს ეს შეფარდება იყო 51 და 49), ე.ი. ას ყველაზე მდიდარ ერთეულში ტნკ-ები გაცილებით მეტია, ვიდრე – სახელმწიფოები.

2000 წელს ყველაზე მძლავრი ტნკ-ის „ჯენერალ მოტორსის“ გაყიდული პროდუქციის ღირებულებამ 161, 3 მილიარდი დოლარი შეადგინა (დაახლოებით, 80-ჯერ მეტი, ვიდრე – მაშინდელი საქართველოს მთელი ერთობლივი შიდაპროდუქტის მოცულობა) და აღნიშნულ სიაში 24-ე ადგილზე იყო, მცირედით ჩამორჩებოდა დანიას (176, 4 მილიარდი დოლარი), მაგრამ უსწრებდა ნორვეგიას (154 მილიარდი) და პოლონეთს (150, 8 მილიარდი). „ჯენერალ მოტორსს“ დიდად არ ჩამორჩებოდა „დაიმლერ კრაისლერი“ (154,6 მილიარდი), და „ფორდ მოტორი“ (144,4 მილიარდი) (Kegely, Wittkopt 2001 p. 231).

საინტერესო ფაქტია, რომ 2000 წლის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა განაწილება მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიებს შორის. წლიური შემოსავლის მაჩვენებლით, ის კომპანიები დაწინაურდნენ, რომლებიც არა წარმოების, არამედ მომსახურების სფეროთი არიან დაკავებული. 2020 წლის მონაცემებით, 10 ყველაზე მდიდარ ტრანსნაციონალურ კომპანიას სათავეში ედგა „ვოლმარტი“, რომლის საქმიანობაც საცალო ვაჭრობაა და რომლის წლიური შემოსავალიც 2023 წელს 648 მილიარდი დოლარი იყო. ამ მაჩვენეებლით „ვოლმარტი“ ოდნავ ჩამორჩება ბელგიას და წინ უსწრებს შვედეთს, რომლებსაც სახელმწიფოთა სიაში მშპ-ს მოცულობით 23-ე და 24-ე ადგილები უკავიათ. ტნკ-ს შორის მეორე ადგილზეა „ამაზონი“ 574 მილიარდი დოლარის შემოსავლით (მეტი, ვიდრე ირლანდიის, ავსტრიის, სინგაპურის ან არაბთა გაერთიანებული საამიროების მშპ). ტნკ-ის პირველ ათეულში შედიან აგრეთვე „ვიტოლი“ (ვაჭრობა), „ეფლ“(საინფორმაციო ტექნოლოგიები), „იუნაიტედ ჰელს გრუპ“ (ჯანდაცვა). ისეთმა გიგანტებმა, როგორებიც იყვნენ „ექსონი“, „შელი“ ან „ტოიოტა“, მეორე ათეულში გადაინაცვლეს, ხოლო „ჯენერალ მოტორსი“ და „ფორდ მოტორსი“ მსხვილი ტნკ-ების მხოლოდ მეოთხე ათეულში არიან.

ტნკ-ების როლზე თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ისიც მიუთითებს, რომ ამ კომპანიებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 170

მილიონ კაცს აღწევს ანუ, დაახლოებით, იმდენს, რაც არის საფრანგეთის, იტალიის და დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა, ერთად აღებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ებში დასაქმებულთა 20%-ზე ნაკლები მოდის განვითარებულ ქვეყნებებზე.

1991 წელს 50 ყველაზე დიდი კორპორაციიდან, სათავო ოფისის მდებარეობის მიხედვით, 17 ევროპული იყო, 17 – ამერიკული, 12 – იაპონური და მხოლოდ 4 – სხვა ქვეყნებიდან. 2023 წლისათვის ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. 50 უმსხვილესი კორპორაციიდან 23 ამერიკულია, 10 – ევროპული (მათ შორის, 4 – გერმანული, 2 – შვეიცარიული, 2 – ბრიტანული, 1 – ნიდერლანდური და 1 – ფრანგული), 11 – ჩინური. მკვეთრად შემცირდა იაპონური ტნკ-ების რაოდენობა და ახლა პირველ ორმოცდაათეულს მხოლოდ „ტოიოტა“ შემორჩა. თითო-თითო კორპორაციით არიან წარმოდგენილი ტაივანი, სინგაპური, სამხრეთი კორეა, ინდოეთი და საუდის არაბეთი. თუმცა ამ უკანასკნელს ისევე, როგორც თერთმეტივე ჩინურ კომპანიას, ძნელია ეწოდოს ტრანსნაციონალური, რადგან მათი მფლობელი სახელმწიფოა.

როგორც ვხედავთ, ტნკ-ის განაწილება (სათავო ოფისების მიხედვით) გეოგრაფიულად საკმაოდ არათანაბარია. მაგრამ მდგომარეობას ცვლის ის უამრავი შვილობილი კომპანია და ფილიალი, რომლებიც მთელ მსოფლიოს მოიცავს. გლობალიზაციის პროცესმა თავი იჩინა არა მარტო ტნკ-ის რაოდენობის ზრდით და მათი გეოგრაფიის გაფართოებით, არამედ თვით კომპანიების სტრუქტურისა და წარმოების მართვის ფორმით.

90-იანი წლებში ფორდ მოტორმა დაიწყო კომპანიის რეკონსტრუქცია (პროგრამა ფორდი 2000) იმ მიზნით, რომ გამხდარიყო ჭეშმარიტად საერთაშორისო კორპორაცია. კომპანიის მართვა და კონტროლი აღარ უნდა განხორციელებულიყო ერთი ცენტრიდან, კერძოდ, მიჩიგანის შტატის ქალაქ დერბორნიდან, როგორც ეს ადრე იყო, არამედ უნდა განაწილებულიყო მთელ მსოფლიოში, სადაც ადგილობრივი კადრები დააკომპლექტებდნენ ყველა ადგილს. დაისახა წარმოების ხაზის შეცვლაც. სხვა მრავალი ტნკ-გან განსხვავებით, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან პროდუქციას ცალკეული განსაზღვრული რეგიონული ბაზრებისათვის, ფორდმა განავითარა წარმოების შესაძლებლობები: ამან საშუალება მისცა, მოეხერხებინა პროდუქციის სტანდარტიზაცია და ყველგან გამოეშვათ ერთი და იგივე მანქანა, ნამდვილი „მსოფლიო ავტომობილი“.

ფორდ მოტორის ეს რეკონსტრუქცია ყველაზე ნათლად გამოხატავს ტრანსნაციონალიზაციის და გლობალიზაციის „უმაღლეს სტადიას“, ანუ ტნკ-ის მომავალს 21-ე საუკუნეში. ასეთ შემთხვევაში წარმოებული პროდუქცია ვერ იქნება რომელიმე ქვეყნის ნაწარმი: ის ჩაითვლება ჭეშ-

მარიტ „მსოფლიო პროდუქციად“ საზღვრების გარეშე. ასე რომ, მარკა „დამზადებულია აშშ-ში“ შეიცვლება მარკით – „დამზადებულია ფორდ მოტორში“, და მნიშვნელობა აღარ ექნება, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში დამზადდა პროდუქცია. ასევე შეუძლებელი იქნება, თვითონ ფორდ მოტორი ამერიკულ კორპორაციად ჩაითვალოს, რადგან იგი სათავო ოფისის გარეშე იქნება წარმოდგენილი.

ზოგადად, წარმოების გლობალიზაციის პარალელურად, ტნკ-ები გაივლის გარკვეულ სტადიებს, პირველ ეტაპზე ანუ კორპორაციული კოლონიალიზმის ეპოქაში დასავლური კორპორაციები მიმართავენ თავიანთ ინვესტიციებს განვითარებადი სამყაროსკენ. ასე იყო II მსოფლიო ომის შემდეგ, როცა აშშ-ს კომპანიები დომინირებდა, ევროპულმა კომპანიებმა ინვესტიციები ჩადეს თვიანთ კოლონიებში. შემდეგ ეტაპზე, იაფი მუშახელისა და ნაკლები დანახარჯების გამო, წარმოება გადადის განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ მენეჯმენტი მეტროპოლიიდან ხორციელდება (ასეა დღეს არსებული ტნკ-ის უმრავლესობაში). ბოლო სტადიაზე კი, რაც ფორდ მოტორმა უკვე განახორციელა, „ცენტრი“ უქმდება და კორპორაცია, ფაქტობრივად, საყოველთაო „გლობალური მსოფლიოს“ ნაწილი ხდება.

ჩვენ წინაშეა ტრანსნაციონალური კორპორაციების გლობალურ კორპორაციებად გარდაქმნის პროცესი. თუ მათ ეკონომიკურ სიძლიერეს და იმ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, რა გზითაც ეს პროცესი ვითარდება, გლობალისტებს გამოაქვთ დასკვნა, რომ მსოფლიო ეკონომიკა თანდათან აღმოჩნდება ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში და სახელმწიფო საერთოდ დაკარგავს ყველანაირ ეკონომიკურ ფუნქციას. ეს კი სახელმწიფოს კვდომის აშკარა ნიშანია. შესაბამისად, კონკურენცია ბაზრის ხელში ჩასაგდებად წარიმართება არა სახელმწიფოებს, არამედ ტნკ-ს შორის.

უკვე დღეს ტნკ-ს შორის თანამშრომლობა გლობალური ხასიათისაა და თავისი მასშტაბებით დიდად არ ჩამორჩება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია სტრატეგიული კორპორაციული ალიანსი ანუ ტნკ-ს და უცხოურ კომპანიათა კოოპერაცია წარმოების ერთსა და იმავე დარგში, და ვირტუალური კორპორაციები, რაც გულისხმობს ტნკ-ს შორის შეთანხმებებს, რათა გაერთიანებული ძალებით აწარმოონ და გაყიდონ ცალკეული პროდუქტი გლობალურ ბაზარზე.

წარმოების გლობალიზაცია შრომის გლობალიზაციას ნიშნავს, რაც მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია (იხ. თავი 12).

თავი 3. გლობალიზაცია და სახელმწიფო

გლობალიზაციის მრავალ მახასიათებელს შორის ერთ-ერთი ძირითადი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი დეტერიტორიზაციაა ანუ სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა. შესაბამისად, ძირეულად იცვლება სახელმწიფოს მნიშვნელობა და როლი. თუ ადრე იგი საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორი და საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ერთადერთი რეგულატორი იყო, გლობალიზაციის პროცესის განვითარების პარალელურად, მისი მნიშვნელობა საგრძნობლად მცირდება (ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ გლობალისტები). ამასთანავე, ეს ცვლილება ეხება როგორც სახელმწიფოს, როგორც ინდივიდუალურ ერთეულს, მთელი თავისი რთული და მრავალფეროვანი ფუნქციებით, ისე სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემას და, შესაბამისად, მსოფლიო წესრიგს. გლობალიზაციის როლზე მსოფლიო წესრიგსა და საერთაშორისო სისტემის ცვლილებაში მომდევნო თავში ვისაუბრებთ. ამჯერად კი, ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფოს ადგილსა და ფუნქციებზე გლობალიზაციის ეპოქაში.

3.1. სახელმწიფო: ანტიგლობალისტური შეხედულება

თანამედროვე სოციალური ცხოვრება ასოცირდება სახელმწიფოსთან, როგორც საზოგადოებრივი ქმედებების, ფაქტობრივად, ყველა ფორმის განმსაზღვრელთან. სახელმწიფო გვესახება ყველგანმყოფ და მარადიულ ფენომენად, რომელიც არეგულირებს ცხოვრების პირობებს დაბადების რეგისტრაციიდან – სიკვდილის ცნობის გაცემამდე. ხოლო ის, რომ თავის საზღვრებს შიგნით იგი ძალაუფლების ერთადერთი მპყრობელია, იცავს წესრიგს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, განათლებასა და ჯანმრთელობას, საყოველთაო ჭეშმარიტებაა. ნებისმიერი ადამიანი მიეკუთვნება ამა თუ იმ ერს და ცხოვრობს განსაზღვრულ სახელმწიფოში. ამდენად, სახელმწიფო ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ხელშეუხებელი და მფარველი ფენომენის სახით წარმოგვიდგება.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო. თანამედროვე სახელმწიფო, როგორიც ჩვენ ვიცით, შედარებით ახალი მოვლენაა. მისი ისტორია ორი-სამი საუკუნის წინ დაიწყო, ისიც – დასავლეთ ევროპაში. პლანეტის სხვა რეგიონებში თანამედროვე სახელმწიფო კიდევ უფრო გვიანდელი ფენომენია. ხუთასი-ექვსასი წლის წინათ მსოფლიოს მაშინდელ ნებისმიერი ქვეყნის სოფლის მკვიდრმა ძალიან ცოტა რამ თუ იცოდა იმის

შესახებ, რაც მისი სოფლის გარეთ იყო. ბევრი მათგანი ისე ატარებდა სიცოცხლეს, საკუთარი სოფლის გარეთ ფეხი არ გაედგა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ პიროვნებას საერთო სახელმწიფოებრივი თვითშეგნება ჰქონოდა. არც ის უნდა იყოს სადავო, რომ არც ერთი მმართველი და არც ერთი სახელმწიფო არ იყო სუვერენული იმ მნიშვნელობით, რომ უზენაეს ხელისუფალს წარმოადგენდა გარკვეულ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე.

თანამედროვე სახელმწიფოები წარმოიშვა დასავლეთ ევროპასა და იქ მდებარე ქვეყანათა კოლონიებში XVIII-XIX საუკუნეებში, თუმცა პირველი ასეთი სახელმწიფოები (ნიდერლანდები, ინგლისი) XVI-XVII საუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ. ისინი განსხვავდებოდნენ მანამდე არსებული პოლიტიკური ერთობებისაგან ნათლად გამოკვეთილი ტერიტორიით, სუვერენიტეტითა და ლეგიტიმაციით. სწორედ ეს ფაქტორები გახდა განმსაზღვრელი ახალი ტიპის ანუ **ერი-სახელმწიფოების** ჩამოყალიბებისათვის.

ახლად ჩამოყალიბებული ერი-სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება იყო ტერიტორიულობა, რომელიც გულისხმობდა ზუსტ და გამოკვეთილ საზღვრებს, ამ ტერიტორიაზე მონოპოლისტურ კონტროლს და სრულ სუვერენობას, მისი ქმედებების ლეგიტიმურად მიჩნევას და დამოუკიდებლობას საგარეო ურთიერთობებში. ეს მახასიათებლები რჩება დღევანდელი სახელმწიფოს ძირითად და არსებით ნიშნებად.

სწორედ ასეთი ერი-სახელმწიფოების შექმნამ განაპირობა სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითადი შინაარსია. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერი-სახელმწიფოები და განისაზღვრა მათი ნიშნები და ფუნქციები. ეს იყო ტერიტორიული სუვერენიტეტი, სახელმწიფოთა ფორმალური (იურიდიული) თანასწორობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და სახელმწიფოთა თანხმობა, როგორც აუცილებელი პირობა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისა და ამოქმედებისათვის.

სახელმწიფოთა და, პირველ ყოვლისა, ერი-სახელმწიფოების რიცხვი განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუ 1871-1914 წლებში 12 ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა, 1918-1945 წლებში კი – 16, 1945 წლის შემდეგ ახლად შექმნილი სუვერენული სახელმწიფოების რაოდენობამ 120-ს მიაღწია – ეს ორნახევარჯერ მეტია მანამდე არსებულ სახელმწიფოთა საერთო რაოდენობაზე (Holton 1998). ამასთანავე, საყურადღებოა ის ცვლილებები, რომლებიც შეიმჩნევა სახელმწიფოთა პოლიტიკურ რეჟიმში. სახელმწიფოთა უმრავლესობა

დღეს დემოკრატიული მმართველობის გზაზეა, ხოლო ავტორიტარული რეჟიმების როლი მცირდება (იხ. ცხრილი 3.1).

ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა რიცხვი იზრდება, ხოლო ახლად შექმნილი სახელმწიფოების ძირითადი მიზანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაძლიერებაა, ანტიგლობალისტებისთვის საკმარისი საბაბია იმის დასამტკიცებლად, რომ ერი-სახელმწიფოების ეპოქა კი არ მთავრდება, არამედ – პირიქით, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. გარკვეული ტრანსფორმაცია, ერი-სახელმწიფოები რომ განიცდიან გლობალიზაციის პროცესის გამო, სულაც არ ნიშნავს მათ კვდომას. ეს მხოლოდ ერი-სახელმწიფოების ახალი როლისა და ფუნქციების მანიშნებელია.

გლობალიზაციისადმი სკეპტიკურად განწყობილ მკვლევართათვის უდავო ფაქტია, რომ დღეს სახელმწიფოთა ისეთი უფლება, როგორებიცაა ძალის გამოყენება და სამართლებრივი ზეწოლა ისევე, როგორც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების აკრეფა, საერთოსახელმწიფოებრივი კომუნიკაციების სრულყოფა, ეროვნული ენის და ეროვნული იდენტობის გაძლიერებაზე ზრუნვა, ეროვნულ კულტურაზე, განათლების სისტემასა და კიდევ სხვა მრავალ სფეროზე მონოპოლია არა თუ რჩება სახელმწიფოს გამგებლობაში, არამედ სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ სფეროებში განუხრელად იზრდება კიდეც.

სხვა საკითხია, რომ მრავალი ქვეყანა ვერ ახერხებს შეასრულოს სახელმწიფოს ყველა ფუნქცია (ე. წ. კვაზისახელმწიფოები და არშემდგარი ქვეყნები), მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ერი-სახელმწიფოების კრიზისის მაჩვენებელი. მისი ძირები, სკეპტიკოსების აზრით, კოლონიალიზმის სისტემის ხასიათში მოიხილვება. იმის გამო, რომ დასავლეთის ძლიერმა სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს ჰეგემონია ყოფილ კოლონიებში (რამაც არ მისცა საშუალება ახლად შექმნილ სახელმწიფოებს, თავიანთი პოტენციალის შესაბამისი ეკონომიკა განევითარებინათ და სწორი პოლიტიკა ეწარმოებინათ), გამოიწვია კიდეც მძიმე პრობლემები.

თვით ძლიერი და განვითარებული ქვეყნების გეოპოლიტიკური როლი შეიძლება შეიცვალოს: მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიო იმპერიებიდან საშუალო კატეგორიის ქვეყნებამდე ჩამოქვეითდნენ. მაგრამ ეს მსოფლიო წესრიგის, საერთაშორისო სისტემის ცვლილებების შედეგია და არა – ზოგადად, ერი-სახელმწიფოს კრიზისი. ამ ზესახელმწიფოების ადგილი სხვებმა დაიკავეს (აშშ, სსრკ), ხოლო XXI საუკუნეში სუპერსახელმწიფოდ უკვე ჩინეთი მოგვევლინა. ასე რომ, აღნიშნული ცვლილებები სისტემის შიგნით ხდება. საბჭოთა კავშირის დაშლამ მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო სისტემის ხასიათი, სტრუქტურა და ძალთა ბალანსი, მაგრამ ის, რომ საერთაშორისო სისტემის საფუძველი სახელმწიფოთა სისტემაა, უცვლელი დარჩა.

სკეპტიკოსები თვლიან, რომ ერი-სახელმწიფოები რჩებიან პოლიტიკურ ერთობებად, რომლებიც ქმნის ყველა პირობას, წარმოშვას და გააძლიეროს ბედის ერთობით დაკავშირებული ნაციონალური ერთობები. ნაციონალური პოლიტიკა კი ისეთივე მნიშვნელოვანია (თუ უფრო მნიშვნელოვანი არა), როგორც მაშინ, როცა ერი-სახელმწიფოები პირველად ჩამოყალიბდა.

დემოკრატიზაცია მსოფლიოს ქვეყნებში

ცხრილი #3.1

რეგიონი	1975			1995			2023		
	ავტორიტარული	ნახევრად დემოკრატიული	ლიბერალურ-დემოკრატიული	ავტორიტარული	ნახევრადდემოკრატიული	ლიბერალურ-დემოკრატიული	ავტორიტარული	ნახევრადდემოკრატიული	ლიბერალურ-დემოკრატიული
დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია	2	0	22	0	0	24	0	0	24
ლათინური ამერიკა	15	2	5	2	5	15	4	6	14
აზია	18	4	3	11	5	9	5	4	13
ტროპიკული აფრიკა	43	2	3	12	16	20	24	14	6
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა	14	3	2	13	3	2	18	3	1
აღმ. ევროპა და ყოფილი სსრკ	9	0	0	5	14	8	8	4	14
სულ	101	11	35	43	43	78	59	31	72
პროცენტი	68,7%	7,5%	23,8%	26,2%	26,2%	47,6%	36.4%	19,1%	44.1%

წყარო: Potter et al. 1997 p.

ერი-სახელმწიფოების ეკონომიკურ როლზე საუბრისას გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები ხშირად აღნიშნავენ, რომ თვით ეკონომიკაშიც კი სახელმწიფოს როლი არა თუ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც.

ანტიგლობალისტები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია მითია. რეალისტებისთვის უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ერი-სახელმწიფო, ეროვნული ინტერესები და ძალის ფაქტორი ახლაც და მომავალშიც საერთაშორისო ურთიერთობების ქვაკუთხედად დარჩება, ნეომარქსისტებისთვის კი გლობალიზაცია „აუცილებელი მითია“, რომლის საშუალებითაც თანამედროვე იმპერიალიზმი თავის ნამდვილ სახეს ფარავს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სკეპტიკოსები ვერ ხედავენ გლობალიზაციის ფენომენს და მის გავლენას სახელმწიფოზე. მაგრამ, მათი აზრით, აქ რაიმე ახალი და უპრეცედენტო არაფერია. ეს მოვლენები ადრეც ხდებოდა, ოღონდ მათ სხვა სახელი ერქვა. ხოლო იმას, რაშიც სკეპტიკოსებიც და გლობალისტებიც ერთმანეთს ეთანხმებიან, თითოეული მათგანი განსხვავებულად ხსნის. ამ თვალსაზრისით, **სამი მომენტი** უნდა გამოიყოს.

პირველი. გლობალიზაციის გავლენით, სახელმწიფოს პოლიტიკას დაქვემდებარებული კონტინგენტი რამდენადმე შეიცვალა. თუ ტრადიციული სახელმწიფოს პოლიტიკური ქმედება საკუთარ მოსახლეობას მიემართება, გლობალიზაციის გავლენით, სახელმწიფო თავის ინტერესებს სხვებზეც ავრცელებს, და ამით სახელმწიფო ეროვნულ საზღვრებს უგულებელყოფს: მაგალითად, ირანი აქტიურად ეხმარება მსოფლიო ისლამიზმს, მიაჩნია რა მსოფლიოს მთელი მუსლიმი მოსახლეობა თავისი გავლენის გავრცელების ობიექტად.

მეორე. გლობალიზაციამ ხელი შეუწყო სახელმწიფოთა უფრო ხშირ და ინტენსიურ, მრავალმხრივ კონსულტაციებს. ყოველწლიურად ათასობით ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეხვედრა იმართება სამთავრობო დონეზე, რაც სახელმწიფოთა დაახლოებას და ერთობლივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დიდი შვიდეულის“ ყოველწლიური შეხვედრები, სადაც მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას ცდილობენ.

მესამე. დაჩქარებულმა გლობალიზაციამ საგრძნობლად შეამცირა სახელმწიფოთაშორისი ომების შესაძლებლობა. თანამედროვეობის ყველაზე გავრცელებული კონფლიქტის ფორმად იქცა შიდადაპირისპირება სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ და არა – ტერიტორიული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის.

აღნიშნული მაგალითები გლობალისტებს გლობალიზაციის გამოვლინების შედეგად მიაჩნიათ მაშინ, როცა სკეპტიკოსები მასში რაიმე ახალს და განსაკუთრებულს ვერ ხედავენ. პირიქით: მათი აზრით, ამ

მაგალითებით ჩანს, რომ სწორედ სახელმწიფოა მთავარი სუბიექტი და მისი როლის დაკნინებაზე ლაპარაკი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თავის მხრივ, გლობალისტებს მრავალი არგუმენტი მოჰყავთ: ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გლობალიზაციის პროცესმა არსებითად შეცვალა ერი-სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.

3.2. სახელმწიფო: გლობალისტური შეხედულება

გლობალისტების შეხედულება სახელმწიფოს როლსა და მომავალზე გლობალიზაციის ეპოქაში დიამეტრულად განსხვავდება სკეპტიკოსების წარმოდგენისაგან.

ტრადიციული წარმოდგენა სახელმწიფოზე როგორც მსოფლიო წესრიგის ძირითად ერთეულზე, გულისხმობს მის შედარებით ჰომოგენურობას: ის გვევლინება უნიტარულ, ერთიანი მიზნების მქონე სუბიექტად. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ (გაეროთი და მისი სპეციალური ორგანიზაციებით დაწყებული – არასამთავრობო გაერთიანებებით დამთავრებული) შეცვალა როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოების დინამიკა. სახელმწიფო იქცა დანაწევრებულ არენად, სადაც როგორც ტრანსნაციონალური (სამთავრობო და არასამთავრობო), ისე სხვადასხვა შინაური ძალა გვევლინება „პოლიტიკის მკეთებლად“; ამგვარადვე ტრანსნაციონალური ძალების შეჭრამ სამოქალაქო საზოგადოებაში შეცვალა ამ უკანასკნელის ფორმა.

ტერიტორიისა და პოლიტიკური ძალის ექსკლუზიური ურთიერთკავშირი გაწყდა. ახალი საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ინსტიტუტები შეკავშირდა სუვერენულ სახელმწიფოებთან და სუვერენიტეტი საზიარო ძალად აქცია, ანუ სახელმწიფო სუვერენიტეტის რაღაც ნაწილი არასახელმწიფოებრივი სუბიექტების ხელში აღმოჩნდა.

ეს ტრანფორმაცია თვალსაჩინოა საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდის დინამიკაში. სწორედ მათი რაოდენობისა და გავლენის მუდმივმა ზრდამ დაამკვიდრა გლობალური პოლიტიკის ახალი ფორმები. თუ 1909 წელს მსოფლიოში მხოლოდ 37 საერთაშორისო სამთავრობო და 176 არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობდა, 90-იანი წლების შუა პერიოდისთვის უკვე 260 სამთავრობო და 5500-ზე მეტი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა (Held, McGrew. p. 11. 1998). 2020 წელს სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვმა 300-ს გადააჭარბა, ხოლო საერთაშორისო

არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა 6000-ზე მეტია. ყოველივე ამას უნდა დაემატოს ფართო და მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრები და კონფერენციები, რომლებზეც ერთობლივად წყდება მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე უფრო აქტუალური საკითხები. თუ XIX საუკუნის შუა ხანებში წელიწადში ორი-სამი სახელმწიფოთაშორისი კონფერენცია და კონგრესი იმართებოდა, დღეს ეს რიცხვი ხუთ ათასს აღემატება. ასეთ პირობებში ძნელია, სახელმწიფო დამოუკიდებელ და აბსოლუტურ სუვერენად მიიჩნიო. ფაქტია, რომ ეროვნული ხელისუფლება თანდათან იზღუდება სხვა სახელისუფლებო (ლოკალური, რეგიონული, გლობალური) სისტემებით, ე. ი. იზღუდება სახელმწიფოს მთავარი ნიშანი – სუვერენიტეტი.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი ზესახელმწიფოებრივი (სუპრანაციონალური) ორგანიზაცია, როგორიც ევროკავშირია. ის არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვეულებრივ საერთაშორისო ორგანიზაციად, სადაც წევრი სახელმწიფოები აბსოლუტურად სუვერენულია და თავიანთ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე – საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს. ევროკავშირი თავისებური, რეგიონული მასშტაბის გლობალიზაციის ნათელი გამოხატულებაა – საერთო პარლამენტი, ერთიანი თავდაცვა, საერთო მოქალაქეობა, უვიზო მიმოსვლა საერთო პასპორტით, ერთიანი ვალუტა და სხვა მრავალი ატრიბუტი გვიჩვენებს, რომ ეს ორგანიზაცია ზესახელმწიფოს ჩანასახია. მისმა წევრებმა ნებაყოფლობით თქვეს უარი სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე, ხოლო ეროვნულ სახელმწიფოებრიობასა და ინტერესებზე მაღლა ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობა და გაერთიანების იდეა დააყენეს. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი გლობალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო და ნათელი გამოხატულებაა.

ეს პროცესი მარტო ევროპაში როდი მიმდინარეობს! აღსანიშნავია ინტეგრაციისადმი მისწრაფება ჩრდილოეთ ამერიკაში (NAFTA, რომელიც 2020 წლიდან მისმა მემკვიდრემ USMCA-მა შეცვალა), ლათინურ ამერიკაში (MERCOSUR), არაბულ სამყაროში (არაბული ქვეყნების ლიგა), სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში (ASEAN) და სხვ. გაერთიანების წევრი ქვეყნები, ცხადია, ვალდებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ სხვა წევრებისა და მთელი ორგანიზაციის ინტერესებს და უარი თქვან ზოგიერთ საკუთარ სურვილზე, ხოლო მთელ საერთაშორისო არენაზე არა მარტო თავისი, არამედ გაერთიანების სხვა წევრების სახელითაც გამოვიდნენ, ე. ი. ნაციონალური დიპლომატიის პარალელურად (და ზოგჯერ მის ხარჯზე) საფუძველი ეყრება ე. წ. რეგიონულ დიპლომატიას. შემდეგ ეტაპზე რეგიონები ერთმანეთს უახლოვდება. ამას, საბოლოოდ, მივყა-

ვართ ერთიან გლობალურ მსოფლიომდე, სადაც გლობალური ინტერესები დაჩრდილავს ეროვნულ ინტერესებს.

რეგიონული და გლობალური პოლიტიკის ურთიერთკავშირი ტრადიციული გეოპოლიტიკის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ნარკოტიკების კონტრაბანდა, კაპიტალის გადინება, მჟავე წვიმები, ტრეფიკინგი, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ტერორიზმი თუ უკანონო მიგრაცია არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს. ვერც ერთი ცალკეული ქვეყანა ამ პრობლემებს ვერ გაუმკლავდება. მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შეიძლება მათი გადაჭრა. ასე რომ, თვით ობიექტური პირობები ქმნის სუვერენიტეტის განაწილების აუცილებლობას სხვადასხვა ძალებს შორის (ეს საკითხები განხილული იქნება წიგნის მეორე ნაწილში).

ამგვარად, გლობალისტების დასკვნა პარადოქსულია: სახელმწიფო სუვერენიტეტი წარსულის კუთვნილებაა. ვესტფალიის სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისო სისტემამ არსებობა, ფაქტობრივად, დაამთავრა. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ მსოფლიო პოლიტიკა აღარ არის დაფუძნებული სუვერენულ სახელმწიფოებრიობაზე, როგორ ხორციელდება მმართველობა თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში?

გლობალისტების პასუხი ასეთია: თანამედროვე პოლიტიკაში შენარჩუნებულია სახელმწიფო მმართველობა, მაგრამ იგი მჭიდროდ არის გადახლართული სუბსახელმწიფოებრივ, სუპრასახელმწიფოებრივ, საბაზრო და სამოქალაქო საზოგადოებრივ მმართველობასთან.

სუბსახელმწიფოებრივი მმართველობა. გლობალიზაციის ეპოქისთვის დამახასიათებელი ახალი მოვლენაა პირდაპირი საზღვარგარეთული კავშირები ისეთი სუბსახელმწიფოებრივი ელემენტებისა, როგორებიცაა ადმინისტრაციული ერთეულები (პროვინცია, შტატი, რეგიონი), მუნიციპალიტეტები, ქალაქები და სხვა დასახლებები. როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის სუბსახელმწიფოებრივი ერთეულები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ უშუალოდ, ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით. კანადის პროვინციებს თუ ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობას ჰყავს თავისი „დიპლომატიური“ წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ ქვეყნების საელჩოებისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად საქმიანობენ. ევროპის 24 ქვეყნის 70-ზე მეტი რეგიონული მთავრობა უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს ევროპის რეგიონების ასამბლეის მეშვეობით. საკმაოდ ინტენსიური კავშირია მუნიციპალურ დონეზეც ისეთი საკითხების ერთობლივად გადაჭრის მიზნით, როგორებიცაა გარემოს დაბინძურება, დანაშაულის პრევენცია, კულტურულ-სპორტული კავშირები და სხვ. თანამშრომლობის გავრცელებული ფორმაა დაძმობილებული ქალაქების ურთიერთკავშირი და ა.შ.

თავისთავად ცხადია, რომ სუბსახელმწიფოებრივი მმართველობა, გარკვეულწილად, სახელმწიფო სუვერენიტეტის ფუნქციების გაზიარებაა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო, გლობალიზაციის ეპოქაში კი უჩვეულო არაფერია.

სუპრასახელმწიფოებრივი მმართველობა. მმართველობის ამ ფორმაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ეს გულისხმობს იმ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მმართველობას, რომლებიც თავიანთი ქმედებით სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილს ინაწილებენ. გარდა გაეროსი, ევროკავშირისა და სხვა გლობალური თუ რეგიონული ორგანიზაციებისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური პროფილის ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი: მათი მოღვაწეობა იმდენად ღრმა კვალს ტოვებს მრავალი ქვეყნის (განსაკუთრებით, განვითარებადი და პოსტსოციალისტური სახელმწიფოების) ეკონომიკაზე, რომ ხშირად მათ ამ ქვეყნების ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ და ანტიგლობალისტების განსაკუთრებულ სამიზნეებადაა ქცეული.

სხვა ასეთი ორგანიზაციებიდან უნდა აღინიშნოს ეუთო, რომელიც კონფლიქტების დარეგულირებისა და გადაჭრის ძირითადი ორგანიზაციაა ევროპაში. მასზეა დამოკიდებული მრავალი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ლტოლვილთა ბედი (რაც, როგორც წესი, უშუალოდ სახელმწიფოს საქმე იყო ყოველთვის). ასევე აღსანიშნავია ადამიანის უფლებების დაცვის მრავალი ორგანიზაცია, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი და ა. შ.

საბაზრო გლობალური მმართველობა. თანამედროვე მმართველობის ფორმა არ ამოიწურება მარტო ოფიციალური ორგანოების მმართველობით სახელმწიფო, სუბსახელმწიფოებრივ თუ სუპრასახელმწიფოებრივ დონეზე. გლობალიზაციის ეპოქაში ბაზარი ასრულებს უდიდეს როლს გლობალურ მმართველობაში და ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ოფიციალური ხელისუფლების მოღვაწეობას ახასიათებს.

კერძო სექტორის მმართველობა განსაკუთრებით საგრძნობია გლობალურ საფინანსო ბაზართან მიმართებით. ვაჭრობის გლობალური უსაფრთხოების, სტანდარტიზაციის და ნორმირების საკითხებს არეგულირებს ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა აქციათა მიმოქცევის საერთაშორისო ფედერაცია და ბაზრის უსაფრთხოების საერთაშორისო ასოციაცია. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს, გარდა ოფიციალური ორგანიზაციებისა (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი), დიდი წვლილი მიუძღვით სამხრეთის ქვეყნების ფინანსურ მენეჯმენტში; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF), რომელიც 900-ზე მეტ მსხვილ

კომპანიას აერთიანებს, არა მარტო მსოფლიო ფინანსურ, სავაჭრო და წარმოების პრობლემებზე ზემოქმედებს და, გარკვეულწილად, წარმართავს კიდეც მას, არამედ აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების (მაგ., ისრაელ-პალესტინის) მოგვარებაში. სულ ახლახან წარმოჩნდნენ ფონდები, რომლებიც, შემოწირულობისა და გრანტების გაცემის საშუალებებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალურ მმართველობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ფორდის (ეკონომიკური განვითარების) და სოროსის (ყოფილ საბჭოთა ბლოკში დემოკრატიის დამკვიდრების) ფონდები.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მმართველობა. საბაზრო ინსტიტუციების გარდა, არასახელმწიფო სექტორიდან სხვა ორგანიზაციებიც მონაწილეობენ თანამედროვე გლობალიზებული მსოფლიოს მართვაში. გლობალიზაციის ეპოქაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება არასამთავრობო, არაკომერციულ ე. წ. „მესამე სექტორს“ – სამოქალაქო საზოგადოებას. აქ მოქალაქეები გაერთიანებული არიან ნებაყოფლობით ასოციაციებში, რომელთაA ამოცანაცაა, გადაჭრან კაცობრიობის წინაშე მდგარი ისეთი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც სამთავრობო ან თუნდაც კომერციული ორგანიზაციების დონეზე შეუძლებელია.

თანამედროვე სამოქალაქო ორგანიზაციების პირველი ჩანასახები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ საყოველთაო, გლობალური ეს პროცესი მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში გახდა. დღეს გლობალური სამოქალაქო ასოციაციების ინტერესების სფერო უაღრესად ფართოა: საყოველთაო განიარაღებით დაწყებული – ცალკეული ბიოლოგიური სახეობების დაცვით დამთავრებული. მართალია, მესამე სექტორის ასოციაციებს რესურსებისა და, განსაკუთრებით, ფინანსების დეფიციტი ახასიათებს, მაგრამ მათი გავლენა სახელმწიფო ორგანოებზე დიდია და სულ უფრო იზრდება. ეს განსაკუთრებით საგრძნობია 90-იანი წლებიდან, როცა სამოქალაქო სექტორი არასამთავრობო ორგანიზაციების სახით აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოსა თუ მთლიანად მთელი კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაში. დღეს არამარტო სახელმწიფო ხელისუფლება, არამედ ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ძლიერ გავლენას ექვემდებარებიან.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ამოცანაა არა მარტო პოლიტიკის შეცვლა, არამედ თვით პოლიტიკის ბუნების რეკონსტრუქცია: მაგალითად, ერთ-ერთი ამოცანაა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების არაიერარქიული მოდელის დამკვიდრება, ქალების აქტიური ჩაბმა პოლიტიკაში, მოსახლეობის პირდაპირი მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობებში და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი გლობალური მმართველობის ფორმებს, მიუხედავად მათი განსხვავებული შინაარსისა, ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს: თითოეული მათგანი საგრძნობლად აკნინებს სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობას და ხელს უწყობს სახელმწიფოს როლის დამცრობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გლობალისტების აზრით, სწორედ ესაა გლობალიზაციის არსი სახელმწიფოსთან მიმართებით.

ამ ვითარებაში ისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა ასეთი არსებითი ცვლილებები მმართველობაში დემოკრატიზაციის პროცესის საყოველთაო გავრცელებას, ანუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია?

ენთუზიასტების აზრით, გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია ერთი მონეტის ორი მხარეა. სახელმწიფო მმართველობის დონეზე დემოკრატიზაციის ტრიუმფი გლობალიზაციის ეპოქაში აშკარაა. ამაზე თუნდაც დემოკრატიული მმართველობის სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა და ავტორიტარული რეჟიმების მკვეთრი შემცირება მიუთითებს (ცხრილი 3.1.) უკანასკნელ ათწლეულში. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იზიარებს ამ ოპტიმიზმს. ჯერ ერთი, მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც ავტორიტარული რეჟიმია შენარჩუნებული. ამას გარდა, თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიც საკმაოდ ხშირია ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. მაგრამ, ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყურადღების გარეშე რჩება და ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება მრავალი მოვლენა, რომლებიც, თავიანთი შინაარსით, აშკარად არადემოკრატიულია: მაგალითად, მოსახლეობა, როგორც წესი, არავითარ როლს არ ასრულებს მთავრობის გადაწყვეტილებაში, მიიღოს თუ უარყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, რომლის შედეგებიც შემდეგ მოსახლეობაზე აისახება. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მოვლენებზეც, მოსახლეობის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად რომ ხდება.

დემოკრატიის თვალსაზრისით, უფრო მეტი პრობლემებია სუპრასახელმწიფოებრივი დონის მმართველობაში. საერთაშორისო ორგანიზაციები გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, დახურულ კარს მიღმა იღებენ და მსოფლიო მოსახლეობის აზრი, ფაქტობრივად, იგნორირებულია. გარდა ამისა, ასეთი ორგანიზაციების დაკომპლექტებაც საკმაოდ საკამათოა. ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობაში ერთი სახელმწიფო ერთი ხმით წარმოდგება, ერთი მხრივ, სახელმწიფოთა თანასწორობის და, ამდენად, დემოკრატიულობის მაჩვენებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ნაურუსა და ინდოეთს თანაბარი ხმა აქვთ, ეს, გარკვეულწილად, რეალურ მდგომარეობას არ ასახავს და, ამდენად, არადემოკრატიულია. დემოკრატიულობის თვალსაზრი-

სით გაუმართლებელია ისიც, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში ხუთი ქვეყანა მუდმივი წევრია და თანაც, ვეტოს უფლებით სარგებლობს, რაც სხვა სახემწიფოების უფლებებს საგრძნობლად ლახავს. კვოტებზე დაფუძნებული ხმები მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში იმას იწვევს, რომ წევრ სახელმწიფოთა ერთი მეოთხედი ხმების სამ მეოთხეს ფლობს. მსგავსი შეუსაბამობის დაძლევის მიზნით, ევროკავშირმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა: კერძოდ, მოსახლეობის მიერ ევროპარლამენტის პირდაპირი არჩევა და ამ ორგანიზაციის სხვა სტრუქტურების მოღვაწეობის საჯაროობა ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს.

სერიოზულ პრობლემებს ბადებს მმართველობის მარკეტიზაცია. ეკონომიკის სრული ლიბერალიზაცია ანუ laissez-faire იმას გულისხმობს, რომ მთავრობა საერთოდ არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, ხოლო გლობალური ბაზარი გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების (როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე – კულტურული) განმსაზღვრელი. ცხადია, მხოლოდ ფულსა და მატერიალურ კომფორტზე დაფუძნებული დემოკრატია ძნელად შეესაბამება ადამიანის ღირსებასა და თანასწორობის იდეას, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი საფუძველია. საბაზრო დემოკრატიისას პასუხისმგებლობა გულისხმობს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას აქციონერთა და კომპანიის პასუხისმგებლობის მომხარებელთა წინაშე, რაც ხშირად ირღვევა. ბაზარზე დაყრდნობილ მმართველობაში მონაწილეობა განისაზღვრება შემოსავლით. აქციონერად გახდომისათვის კაპიტალია საჭირო. ცოტა ვინმეს თუ მიიწვევენ ისეთ კორპორაციებთან შეხვედრაზე, როგორიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმია, და ვინც მოხვდება, ისიც ვიწრო და პრივილეგირებული წრეების წარმომადგენელი იქნება.

ბევრს გლობალიზაციის ეპოქაში დემოკრატიის მთავარ გამოვლინებად სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მიაჩნია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ სახელმწიფო გაცილებით ნაკლებად არღვევს ადამიანის უფლებებს, ხოლო თანამედროვე პოლიტიკაში და, საერთოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების, შრომისუუნარო მოსახლეობის, უმცირესობის როლი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ვესტფალიური მსოფლიო პოლიტიკისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა პრობლემად რჩება ის, რომ მსოფლიო მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილიღაა ჩაბმული სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების არეალში. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, სხვადასხვა პრობლემის გამო, მოწყვეტილია იმ რესურსებს, რომელთა მეშვეობითაც გლობალური სამოქალაქო ასოციაციების გავლენა ვრცელდება, ხოლო განვითარებად სამყაროზე, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 3/4-ზე მეტია თავმოყრილი, არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ 15% მოდის.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია არ არის ერთმანეთთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენები, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში მმართველობა უფრო ელიტათა დაპირისპირების შედეგია, ვიდრე – წარმომადგენლობითი და, მით უფრო, აღმასრულებელი დემოკრატიისა. ამ მომენტისთვის მთლად ნათელი არ არის, რამდენად რეალიზდება დემოკრატია უფრო გლობალურ სამყაროში, თუმცა მისი ამა თუ იმ ფორმით გამოვლენის (და თანაც, უფრო ფართო მასშტაბით) გარდაუვალობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

3.3. თავდაცვა და უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში

გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა სახელმწიფოს ისეთი სპეციფიკური ფუნქციებიც, როგორიც თავდაცვა და უსაფრთხოებაა. ეს სფერო ცალსახად სახელმწიფოს კომპეტენციაში შედიოდა და, ბუნებრივია, ხშირად მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. გლობალიზაციის პროცესმა აქაც თავისი ცვლილებები შეიტანა და ბევრი რამ საფუძვლიანად შეცვალა. დღეს ძალიან ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნება, რომელიც თავდაცვის სტრატეგიად ნეიტრალიტეტს ან მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად ყოფნას ირჩევს. ახლა მთავარ როლს გლობალური და რეგიონული უშიშროების ინსტიტუტებს ენიჭება. ამიტომ ბევრმა სახელმწიფომ არჩია, კოლექტიური უშიშროების წევრი გამხდარიყო და ამით უზრუნველეყო თავისი უსაფრთხოება. თანამშრომლობა და კოოპერაცია მარტო სამხედრო სფეროს არ შეხებია, იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო უშიშროების სამსახურებზე და, განსაკუთრებით, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე. სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის წარმოება გახდა ერთ-ერთი ინტერნაციონალიზებული სფერო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო საწარმოების მჭიდრო თანამშრომლობა აღინიშნება.

რაც შეეხება ეროვნულ უშიშროებას, პირველად ისტორიაში იგი გახდა ერთობლივი საქმე, როცა სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფს საკუთარ ეროვნულ უშიშროებას, თუკი სახელმწიფოები ერთობლივი ძალისხმევით მოახდენენ საკუთარი რესურსების, ტექნოლოგიების, საიდუმლო სამსახურების და სხვა ძალების ურთიერთდაკავშირებას.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ერთგვარი სამხედრო გლობალიზაცია. რით გამოიხატება ეს და მოიძებნება თუ არა ანალოგი წარსულ ისტორიულ ეპოქებში?

გასულ საუკუნეში გლობალიზაცია სამხედრო სფეროში, პირველ ყოვლისა, გამოიხატებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების გეოპო-

ლიტიკური მეტოქეობით, სამხედრო ალიანსების ჩამოყალიბებითა და იარაღით ვაჭრობით. ცივი ომის დამთავრება ის საკვანძო მომენტია, როცა სამხედრო დაპირისპირებისა და სამხედრო-ბლოკური სისტემა შეიცვალა ახალი მოდელით, რომელსაც სამხედრო გლობალიზაციას ვუწოდებთ.

ერთი შეხედვით, დღევანდელი მსოფლიო სამხედრო წესრიგი მრავალპოლუსური საერთაშორისო სისტემასთან დაბრუნებაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთი ზესახელმწიფოს არსებობა (აშშ) და მისი სამხედრო შესაძლებლობების მოცულობა ისტორიულად უნიკალური მოვლენაა. აქ გასათვალისწინებელია სამი გარემოება:

პირველი. სხვაობა ამერიკის სამხედრო სიძლიერესა და დანარჩენი დიდი სახელმწიფოების ერთობლივ სიძლიერეს შორის საკმაოდ საგრძნობია: აშშ უპრატესია. ამდენად, აშშ რჩება, სამხედრო თვალსაზრისით, სუპერსახელმწიფოდ საშუალო რანგის სამხედრო სიძლიერის სახელმწიფოებს შორის. მეორე. წინა ისტორიულ პერიოდებთან შედარებით, არა მარტო სახელმწიფოთა შორის სამხედრო მეტოქეობაა სუსტი (მხოლოდ ჩინეთს აქვს პერსპექტივა მომავალში მეტოქეობა გაუწიოს აშშ-ს), არამედ უკვე აღარც გამოიხატება სამხედრო ტერმინებით. მესამე. დღევანდელი დიდი სახელმწიფოების უპირველესი ინტერესები, უშიშროების თვალსაზრისით (აშშ-ის გარდა), რეგიონულ და ლოკალურ დონეს არ სცილდება.

ყოველივე აქედან ის გამომდინარეობს, რომ არსებული სისტემა, მრავალპოლუსური სახელმწიფოთაშორისი სისტემისაგან განსხვავებით, რაც ახასიათებდა XIX-XX საუკუნეებს, როცა დიდი სახელმწიფოების მეტოქეობას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, დღეს უფრო რეგიონიზებული, ფრაგმენტიზებული და, შესაბამისად, უფრო არაორგანიზებული ხდება.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოყვანა:

პირველი. ბევრ რეგიონში მიმდინარეობს პროცესი, რომელიც მიმართულია თავდაცვისა და უშიშროების სფეროში ერთობლივი მოქმედებისა და თანამშრომლობისაკენ. ცივი ომის დამთავრება სრულიადაც არ ნიშნავდა ნატოს სიკვდილს. პირიქით, ამ ორგანიზაციამ ახალი და უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა და ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების საყოველთაო, გლობალურ ორგანოდ იქცა, სადაც ევროპის უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგია მუშავდება და ხორციელდება. ეს კი სამხედრო გლობალიზაციის კარგი მაგალითია. ასევე, გლობალურ დონეზე სულ უფრო შესამჩნევი ხდება გაეროს კოლექტიური უსაფრთხოების ფუნქციები (მშვიდობისმყოფელთა ქმედება). ისიც ფაქტია,

რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა აღიარებს, რომ თავდაცვის და უშიშროების უზრუნველყოფა საკუთარი ძალებით შეუძლებელია და კოლექტიური თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემას უერთდება.

მეორე. სახელმწიფოთა ფინანსური, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციამ სახელმწიფო ძალზე მგრძნობიარე გახადა ნებისმიერი კრიზისის მიმართ, თუნდაც ეს მისგან შორს ხდებოდეს. შესაბამისად, მრავალი ქვეყანა (და არა მარტო დიდი სახელმწიფოები) დაკავშირებულია სხვა რეგიონების უშიშროებასა და სამხედრო განვითარებასთან. რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია სამხედრო და უშიშროების სფეროში წინააღმდეგობრივი პროცესებია და, შესაძლებელია,ისინი ერთდროულად და ერთმანეთთან დაკავშირებულად ვითარდებოდეს.

მესამე. ეროვნული უსაფრთხოების მიმართ საშიშროება მრავალგვარია და მარტო სამხედრო საფრთხეს არ გულისხმობს. მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება საშიშროებაა ყველა ქვეყნისთვის. მაგრამ თვით ამ იარაღის წარმოება და გავრცელება არის სამრეწველო და ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების პროდუქტი. ამდენად, ასეთი იარაღის გავრცელების წინააღმდეგობა გულისხმობს გლობალურ აქციებს. ისევე, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ისეთი საშიშროებები, როგორებიცაა ეკონომიკური საფრთხე, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, ნარკოტიკები, ტერორიზმი, ეროვნული კულტურის საწინააღმდეგო ქმედებები და სხვ., შეუძლებელია გადაწყდეს მხოლოდ სამხედრო ძალით და ნაციონალურ დონეზე. ასევე, ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთო ძალისხმევას.

მეოთხე. სახელმწიფოთა სისტემაში სამხედრო უსაფრთხოება სისტემური ფაქტორების საგრძნობი გავლენის ქვეშაა მოქცეული. დიდი სახელმწიფოების ძალა და მათი მოქმედებები დიდად ზემოქმედებს ერთმანეთზეც და სხვა სახელმწიფოებზეც. ისინი ქმნიან „თამაშის წესებს“, რომლებსაც სხვა სახელმწიფოებიც უერთდებიან. ისე, რომ დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ კიდეც მსოფლიო უსაფრთხოებას. მეორე მხრივ, არ არსებობს რა გლობალური სტაბილურობის გარანტი სახელმწიფოები, თითოეული ქვეყანა საკუთარი უსაფრთხოების დაცვას სამხედრო ძლიერების მიღწევით ცდილობს. ეს წარმოშობს მძიმე დილემას. თითოეული ქვეყნის სამხედრო გაძლიერება საფრთხეს უქმნის სხვა ქვეყანას, რომელიც იძულებულია, თვითონაც იზრუნოს სამხედრო გაძლიერებაზე. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოება ანარქიულ სახელმწიფოთაშორის სისტემაში ვერასოდეს იქნება თავისუფალი გლობალური სისტემური პირობებისაგან.

სამხედრო გლობალიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იარაღის წარმოებას და იარაღით ვაჭრობას. იმის გამო, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგია მეცნიერებატევადი და უაღრესად სპეციალიზებული დარგია, იარაღის წარმოებაში კოოპერაცია განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი იარაღის წარმოებაში სწრაფად იზრდება. დასავლეთის ქვეყნების თავდაცვითი ინდუსტრიის ტრანსნაციონალიზაცია მომდინარეობს კომერციული ლოგიკიდან, რაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს აშკარად ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ტენდენცია საყოველთაოა. მით უფრო, რომ სამხედრო მრეწველობა გადაჯაჭვულია სამოქალაქო დარგებთან: აქ კი საზღვრები სახელმწიფოებს შორის, ფაქტობრივად, წაშლილია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც გლობალიზაციის პროცესმა თავისი კორექტივები შეიტანა, საერთაშორისო უსაფრთხოების რეჟიმია. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტები უკვე აღარ არის მხოლოდ კონფლიქტის მონაწილეთა საქმე. საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ნატო, ეუთო) გადამწყვეტ როლს ასრულებს არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მათი მოღვაწეობა ყოველთვის ეფექტურია, მაგრამ თვითონ პრინციპი, რომ ნებისმიერი რეგიონული თუ ლოკალური კონფლიქტი მსოფლიოს გადასაწყვეტია, გლობალიზაციის ფენომენის მაჩვენებელია. გაეროს სამშვიდობო ძალების მოღვაწეობამ მსოფლიოს ყველა კუთხე მოიცვა. ამასთან, თუ ცივი ომის პერიოდში ისინი 15 ქვეყანაში იყვნენ განლაგებული, ამჟამად, თუნდაც ერთი წარმომადგენლის სახით, 100-ზე მეტ ქვეყანაში არიან წარმოდგენილნი. რაც შეეხება ნატოს, მისი აღმოსავლეთით გაფართოება სამხედრო გლობალიზაციის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

ზოგადად, თანამედროვე სამხედრო გლობალიზაცია ამ ძირითადი ნიშნებით შეიძლება დახასიათდეს:

– სახელმწიფოთა გლობალური სისტემა, გლობალური სამხედრო წარმოება და იარაღით ვაჭრობა, გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსების ურთიერთგადაჯაჭვა;

– ყველა სამხედრო დარგის ურთიერთდაკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების უპრეცედენტო დონე;

– სწრაფი საყოველთაო გავრცელება;

– მაღალი მგრძნობელობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ;

– უაღრესად განვითარებული ინფრასტრუქტურა, უნივერსალური კომუნიკაციები;

– ფართო ინსტიტუციონალიზაცია: იარაღის წარმოებისა და იარაღით ვაჭრობის კონსოლიდაცია, კოლექტიური თავდაცვა და უსაფრთხოება;

– ატლანტისტური დომინანტის შესუსტება, შედარებითი დეცენტრალიზაცია;

– მეტოქეობა, კონკურენცია და კონფლიქტი კოოპერატიულ, კოლექტიურ და კოლაბორაციულ სტრუქტურებს შიგნით.

რაც შეეხება სამხედრო გლობალიზაციის პოლიტიკურ შედეგებს, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ცვლილება გადაწყვეტილების მიღებისას, როცა სამხედრო მოქმედების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ კოლექტიური უსაფრთხოების წევრებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოება იცვლება კოლექტიური უსაფრთხოებით, რის შედეგადაც თანდათანობით ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო გარდაიქმნება ახალ, ნაკლებად მილიტარიზებულ საზოგადოებად, რომელსაც „პოსტმილიტარისტული“ საზოგადოება შეიძლება ვუწოდოთ.

თავი 4. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია

გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისა და მსოფლიო წესრიგის ძირეული ცვლილებაა. ცივი ომის შემდგომი მსოფლიო კარდინალურად განსხვავდება წინა ისტორიული პერიოდების მსოფლიოსაგან, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით, ისე ძალთა განაწილებისა და ურთიერთკავშირის ფორმების თვალსაზრისით.

საერთაშორისო სისტემის ისტორიული ანალიზი ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში იძლევა საშუალებას, გამოვყოთ საერთაშორისო სისტემის განვითარების რამდენიმე ეტაპი:

1. ვესტფალიის სისტემა (1648 წ.), რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობების, ფაქტობრივად, ერთადერთ აქტორებად ერი-სახელმწიფოები აქცია, შეცვალა რა ამით მანამდე არსებული აქტორები (ეკლესია, დინასტიები, ქალაქები და ა. შ.). ეს მოცემულობა დღემდე უცვლელი იყო, რადგან სახელმწიფოები წარმოადგენდნენ (და, უმრავლესობის აზრით, დღესაც წარმოადგენენ) საერთაშორისო ურთიერთობების თუ ერთადერთ არა, მთავარ აქტორებს მაინც. რაც შეეხება გეოპოლიტიკურ წესრიგს: ამ სისტემით დაკანონდა გერმანიის დაქუცმაცებულობა და საფრანგეთის წამყვანი როლი ევროპის კონტინენტზე. შემდგომ ინგლისის გაძლიერებამ და XVIII საუკუნეში მის აშკარა ჰეგემონად ქცევამ, ხოლო საფრანგეთის მიერ პოზიციების დაკარგვამ, გამოიწვია ახალი დაპირისპირება (ნაპოლეონის ომები), რამაც ახალ საერთშორისო სისტემას დაუდო სათავე.

2. ვენის სისტემამ (1815 წ.) ძირეულად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ჩამოყალიბდა მულტიპოლარული სისტემა, ძალთა წონასწორობას განაპირობებდა ხუთი პოლუსი (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია), თუმცა ინგლისი მაინც რჩებოდა ჰეგემონად. პირველხარისხოვან სახელმწიფოებად იქცნენ ავსტრია და პრუსია. სულ გერმანულ სახელმწიფოთა რაოდენობამ 38 შეადგინა (ნაცვლად 300-ისა, ვესტფალიის წესრიგით). ერთიანი გერმანული ლიტერატურული ენისა და საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებამ საფუძველი დაუდო გერმანული სახელმწიფოებისა გაერთიანების პროცესს. ჩრდილოეთ იტალიის ავსტრიის ხელში გადასვლამ ბიძგი მისცა იტალიის ეროვნულ-ანმათავისუფლებელი მოძრაობის (რისორჯიმენტო) დაწყებას და იტალიის გაერთიანებას. გერმანიის გაერთიანებამ და ერთიანი იტალიის სახელმწიფოს შექმნამ, აგრეთვე – ოსმალეთისა და ავსტრი-

ა-უნგრეთის იმპერიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი, რამაც ახალი დაპირისპირება გამოიწვია და კაცობრიობა პირველ მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

3. ვერსალის სისტემა (1919**)** ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის დამყარების მაუწყებელი იყო ევროპაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჰეგემონობა უნდა განემტკიცებინა, ხოლო გერმანია, ფაქტობრივად, მეორეხარისხოვანი სახელმწიფოს მდგომარეობაში დაეტოვებინა. ამასთან, მისი ყველა კოლონია გამარჯვებული ქვეყნების ხელში გადადიოდა. გერმანიასა და რუსეთს შორის იქმნებოდა ახალი, ბუფერული სახელმწიფოები, როგორც რუსეთ-გერმანიის შესაძლო დაახლოების (კონტინენტური ბლოკი) ერთგვარი წინაღობა. მნიშვნელოვანი სიახლე იყო უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის შექმნა, რომელიც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი უნდა ყოფილიყო მსოფლიოში. ვერსალის სისტემა ძალიან მყიფე და უტოპიური იყო და ამიტომ მხოლოდ 20 წელი იარსება. გერმანიაში ნაციზმის გამარჯვებამ, იტალიაში ფაშისტურმა დიქტატურამ და იაპონიის მილიტარიზაციამ ერთა ლიგა ფიქციად აქცია, ხოლო კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

4. იალტა-პოტსდამის სისტემა (1945**)** მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეალობის ოფიციალური დადასტურება იყო. მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო, რომლებსაც სათავეში ორი ზესახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ედგა. პირველად ისტორიაში მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალები ევროპის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდნენ. დაიწყო ცივი ომის ხანა და სისტემამ მკვეთრად გამოხატული ბიპოლარული ხასიათი მიიღო. ასეთი სიხისტე გრძელდებოდა 50-იანი წლების შუა ხანებამდე. შემდეგ კი (როცა მიუმხრობელ ქვეყანათა ჯგუფი ჩამოყალიბდა, ჩინეთი განუდგა საბჭოთა ბანაკს, ხოლო გაერთიანებული ევროპის იდეა თანდათანობით რეალური გახდა), იგი რბილ ბიპოლარულ სისტემად იქცა. 80-90-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს სოციალისტური სისტემისა და თვით საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ცივი ომი დამთავრდა და იალტა-პოტსდამის სისტემამ არსებობა შეწყვიტა.

ამჟამად მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკურ რეალობაშია. ყველა სხვა წინა სისტემისაგან განსხვავებით, იალტა-პოტსდამის სისტემა ომის შედეგად არ დამთავრებულა და არც სამშვიდობო ხელშეკრულებას განუსაზღვრავს ძალთა ახალი წონასწორობა. ამიტომ ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი ბუნდოვანია. მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა. ცივი ომის შემდგომი პერიოდი ძირეულად განსხვავდება წინა პერიოდებისაგან. ეროვნული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთო-

ბების აქტორის როლი მცირდება. გლობალიზაციამ მოიტანა ტრანსნაციონალური სუბიექტების და სამოქალაქო სექტორის როლის სწრაფად ზრდა. ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ იცვლება ვესტფალიის სისტემის ძირითადი იდეა ანუ სახელმწიფო კარგავს თავის მნიშვნელობას საერთაშორისო სისტემაში. სწორედ ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს ის მოვლენები, რომლებიც საერთაშორისო სისტემასა და მსოფლიო წესრიგს ახასიათებს გლობალიზაციის ეპოქაში.

4.1. ცივი ომის შემდეგ: მსოფლიო მომავლის სხვადასხვაგვარი პერსპექტივა

ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემის რთული და მრავალმხრივი სურათი სრულად განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ამიტომ ავტორები, რომლებიც სხვადასხვა იდეოლოგიურ ბაზას ეყრდნობიან და სხვადასხვა თეორიულ მიმართულებებს წარმოადგენენ, მკვეთრად განსხვავებულ შეფასებას აძლევენ ცივი ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოს. თეორეტიკოს მკვლევართა მრავალი მიმდინარეობის ჯგუფები, საბოლოოდ, სამ ძირითად ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ: *ლიბერალ-ოპტიმისტები,* რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მსოფლიო განვითარების უზარმაზარ პოტენციალს ხედავენ და ირწმუნებიან, რომ ბევრად უკეთესი და ბედნიერი დრო დადგა, ვიდრე ოდესმე ყოფილა; *„მძიმე“ რეალისტები*, რომლებიც თვლიან, რომ მსოფლიო ისეთივე (თუ უფრო მეტად არა) საშიში და დაძაბულია, როგორიც ადრე იყო; *რადიკალები,* რომლებიც ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო წესრიგი რჩება ისეთივე არათანაბარი და ექსპლოატატორული, როგორიც ყოველთვის იყო.

ლიბერალ-ოპტიმისტები. ლიბერალური დამოკიდებულება ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის და საერთაშორისო სისტემის შემდგომი განვითარების მიმართ ყველაზე ნათლად და მკაფიოდ (და ალბათ ყველაზე ოპტიმისტურადაც) გამოხატულია ***ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრულში“*** (ფუკუიამა 1999). მისი საკმაოდ მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი, დებულებები ასეთნაირად გამოიყურება:

ა) საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ისტორიის შინაარსი გამოიხატება იმ ბრძოლით და დაპირისპირებით, რომელიც არსებობს კოლექტივიზმისა და ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის მხარდამჭერ ძალებს შორის;

ბ) 1917 წლის რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ უპირატესობა აშკარად „კოლექტივისტების“ მხარეს გადავიდა;

გ) 70-იანი წლებიდან ძლიერდება ინდივიდუალისტების პოზიციები, რადგან გეგმური ეკონომიკის განვითარების ცდა მესამე სამყაროს ქვეყნებში მარცხით დასრულდა, ხოლო სოციალიზმის პოზიციები თვით სოციალისტურ ქვეყნებშიც კი შეირყა;

დ) ინდივიდუალიზმის პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა 1985 წლიდან, როცა სსრკ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ, მ. გორბაჩოვის მეთაურობით, დაიწყო შემობრუნება საბაზრო ეკონომიკისაკენ;

ე) ინდივიდუალისტების დიდი წარმატება იყო საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დატოვება, რამაც საშუალება მისცა ამ ქვეყნებს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზით წასულიყვნენ, ხოლო ევროპის ორ დაპირისპირებულ ნაწილად დაყოფა წარსულს ჩაბარდა. 1991 წელს კომუნიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა კოლექტივიზმის ინდივიდუალიზმთან ბრძოლაში საბოლოო დამარცხების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ფუკუიამას აზრით ისტორია დამთავრდა იმ გაგებით, რომ იგი აღარ წარმოადგენს რაციონალური და ირაციონალური ძალების დაპირისპირებისა და ბრძოლის გამოხატულებას. კაცობრიობა შევიდა სულ სხვა ეპოქაში, რომლის შინაარსიც არის ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გლობალური დამკვიდრება და საყოველთაო გავრცელება. იწყება საყოველთაო ეკონომიკური აღმავლობის ეპოქა, ხოლო პოლიტიკური ცხოვრება ახლა ნაკლებად მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია, ვიდრე ის ადრე იყო. სახელმწიფოთა როლი მცირდება და იწყება გლობალიზაციის ხანა.

ფუკუიამას ეს მოსაზრებები გარკვეულწილად გაზიარებულია ლიბერალური მიმართულების მკვლევრებისა და სპეციალისტების მიერ. მათი აზრით, კაცობრიობის ისტორიის ყველაზე საშიში და სისხლიანი მოვლენები უკვე გავლილია და მომავლის საერთაშორისო სისტემას ასეთი საშიშროებები არ ემუქრება.

მათი ეს ოპტიმიზმი სამ ჰიპოთეზას ემყარება:

1. მსოფლიოში, სადაც ლიბერალური დემოკრატია ნორმაა, ომის ალბათობა ძალიან მცირეა. არა იმიტომ, რომ დემოკრატიული რეჟიმები უარს ამბობენ ომზე, საერთოდ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთთან არასოდეს ომობენ. ამდენად, რაც მეტი იქნება ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოები, მით ნაკლები იქნება ომის საფრთხე. რადგან ცივი ომის დამთავრების შემდეგ დემოკრატიული სახელმწიფოების რიცხვი სწრაფად იზრდება, მოსალოდნელია, რომ ყველა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა იყოს. შესაბამისად, მსოფლიოც აბსოლუტურად უსაფრთხო გახდება.

2. თანამედროვე მსოფლიოში სწრაფად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და რაოდენობა. ისეთი მრავალფუნქციური ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ნატო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვები, თანდათანობით უფრო დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ისინი არა მარტო ცალკეული ერი-სახელმწიფოების ინტერესებს გამოხატავენ, არამედ აქვთ ფართო ფუნქციები, ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირონ სხვადასხვა სახელმწიფოები, ხელი შეუწყონ მათ დაახლოებას, ურთიერთთანამშრომლობას და დავების მშვიდობიან მოგვარებას, რითაც ხელს უწყობენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.
3. აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, ძირეულად იცვლება თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკა. სახელმწიფოები სულ უფრო მეტად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული ეკონომიკურად. იმცრობა სახელმწიფოთა როლი საერთაშორისო ვაჭრობასა და წარმოებაში და სწრაფად იზრდება ტრანსნაციონალური კომპანიების როლი. როგორც ქვეყნები, ისე კომპანიები და მოსახლეობა, დაინტერესებული არიან ეკონომიკური კავშირების გაფართოებით და პოლიტიკური სტაბილურობით. ყოველივე ამის გამო, ომის საფრთხე იკლებს.

ფუკუიამას ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გასულმა სამმა ათწლეულმა გვიჩვენა, რომ მისი მოსაზრება ზედმეტად ოპტიმისტური და, გარკვეულწილად, უტოპიურიც აღმოჩნდა. ეს თვითონ ფუკუიამამაც აღიარა. ფაქტია, რომ XXI საუკუნის პირველი მეოთხედი სულაც არ გამოდგა ისეთი მშვიდობიანი და უსაფრთხო, როგორც ლიბერალ-ოპტიმისტები ვარაუდობდნენ (9/11, ერაყისა და ავღანეთის ოპერაციები, ირანის და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამები, ისრაელისა და არაბული სამყაროს კონფლიქტები, რუსეთის აგრესია საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ), მაგრამ ისინი მაინც მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციის პერიოდის მსოფლიო ბევრად უფრო მშვიდობიანი და დემოკრატიულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და ადრე თუ გვიან ყველა მათი ვარაუდი და პროგნოზი რეალობად იქცევა.

რეალისტები. ლიბერალების შეხედულება ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს ოპტიმისტურ მომავალზე დიამეტრულად ეწინააღმდეგება რეალისტების პესიმისტურ შეხედულებებს. როგორც უკვე ითქვა, რეალიზმის მიმდევრებისთვის გლობალიზაცია მითია. ერი-სახელმწიფოები კვლავ დიდხანს იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორები, პოლიტიკის წარმმართველ ფაქტორად კვლავ ეროვნული ინტერესები დარჩება, ხოლო სახელმწიფოს სიძლიერე განსაზღვრავს მის ადგილს საერთაშორისო სისტემაში. რაც შეეხება ცივი ომის შემ-

დგომ მსოფლიო წესრიგს, აქ მაინც და მაინც სასიკეთო ძვრა არ მომხდარა და, გარკვეული თვალსაზრისით, მდგომარეობა უფრო დაძაბული და გაურკვეველი გახდა. შევჩერდებით სამ გახმაურებულ შრომაზე.

1. ***ჯონ მეარშეიმერის „უკან, მომავლისაკენ“*** ერთ-ერთი პირველი სტატია იყო, რომელშიც ცივი ომის დასასრული უარყოფითად შეფასდა (Mearsheimer 1990). ავტორი არ იზიარებს იმ საყოველთაო აღტაცებას, რაც ცივ ომში ამერიკის გამარჯვებას დაუკავშირდა, და მიიჩნევს, რომ ეს ეიფორია ისტორიის არასწორად გაგებიდან გამომდინარეობს. მერშეიმერის აზრით, ცივმა ომმა მსოფლიო გადაარჩინა ქაოსს და ომებს, რადგან 1945 წლის შემდეგ დამყარდა ძალთა ისეთი წონასწორობა, რომელიც გამორიცხავდა დიდი მასშტაბის ომს. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს წონასწორობა დაირღვა, რადგან სტაბილურობის მთავარი გარანტი – ბიპოლარული სისტემა დაიშალა. ამ მოვლენამ მხოლოდ ახალი პრობლემები გააჩინა, მათ შორის, ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი, ევროპის გაერთიანებამ კი, დაარღვია ამ კონტინენტზე არსებული სტაბილური წესრიგი და მხოლოდ გაურკვევლობა დაბადა. დაბოლოს, მეარშეიმერს მიაჩნია, რომ კომუნიზმის ნგრევამ მოსპო ის ბარიერი, რომელიც აკავებდა ეთნიკურ დაპირისპირებასა და მტრობას საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ამიტომ ეს რეგიონი პერმანენტული ეთნოკონფლიქტებისთვის არის განწირული და მთელ კონტინენტს უკან, ქაოსისაკენ აბრუნებს (როგორც ეს ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი). ყარაბახის, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, დნესტრისპირეთის, ბოსნიისა და კოსოვოს სისხლიანი კონფლიქტები, რომ არაფერი ვთქვათ 2008 წლის რუსეთ--საქართველოსა და 2022 წელს დაწყებულ რუსეთ-უკრაინის ომებზე, მეარშეიმერის წინასწარმეტყველების ერთგვარ გამართლებად იქცა.

2. ***სამუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“,*** რომელიც 1993 წელს სტატიის სახით დაიბეჭდა ჟურნალ „Foreign Affairs“, ხოლო 1996 წელს უკვე საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნიც გამოვიდა იმავე სახელწოდებით, ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი და სადავო შრომაა. ჰანტინგტონიც დარწმუნებულია, რომ ლიბერალების ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ მსოფლიო საბოლოოდ დაწყნარდა და ცივი ომის შემდეგ მას გლობალური ომი აღარ ემუქრება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მისი აზრით, ყოველ საუკუნეში იყო ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც მრავალრიცხოვან და სისხლისმღვრელ შეტაკებებს იწვევდა. შუა საუკუნეებში ეს იყო დაპირისპირება დინასტიებს, მონარქებს ან რელიგიებს შორის, XIX საუკუნეში – იმპერიებს შორის, XX საუკუნეში კი – იდეოლოგიებს შორის. რაც შეეხება XXI საუკუნეს, ჰანტინგტონის აზრით, იგი იქნება ანტაგონიზმი ცივილიზაციებს შორის. ცივი ომის დამთავრებისთანავე მთავარ წინააღმდეგობად იქცა დაპირისპირება

დასავლურ ცივილიზაციასა და სხვა (მართლმადიდებლურ, ისლამურ, ინდუისტურ, კონფუციანურ) ცივილიზაციებს შორის. გარკვეული დაპირისპირება ყველა ცივილიზაციის შორის არის, მაგრამ ძირითადი მაინც დასავლეთსა და სხვა ცივილიზაციებს შორის წინააღმდეგობაა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დასავლურ ცივილიზაციას უნივერსალობის პრეტენზია აქვს და გლობალიზაციაც, ფაქტობრივად, დასავლური ცივილიზაციის დანარჩენი მსოფლიოსთვის თავს მოხვევაა, რაც სხვა ცივილიზაციების მძაფრ პროტესტს იწვევს. განსაკუთრებული აგრესიულობით დასავლური ცივილიზაციის მიმართ გამოირჩევა ისლამი. ჰანტინგტონი ვარაუდობს, რომ მოსალოდნელია ისლამურ-კონფუციანური ბლოკის ჩამოყალიბება დასავლეთის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება სხვა ცივილიზაციებიც (მათ შორის, მართლმადიდებლური) შეუერთდეს. ამგვარად, მომავლის კონფლიქტები იქნება არა პოლიტიკური ან იდეოლოგიური, არამედ კულტურული ხასიათისა. მართალია, ჰანტინგტონის მოსაზრებებს მძაფრი წინააღმდეგობა მოჰყვა და მეცნიერთა უმრავლესობას იგი სერიოზულად არ აღუქვამს, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ბევრი იძულებული გახდა, სხვა თვალით შეეხედა მისთვის.

3. ***რობერტ კაპლანის „მომავალი ანარქია“*** (Kaplan 1994) ჟურნალისტური მიმოხილვაა და არა – სამეცნიერო სტატია, მაგრამ მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში. კაპლანმა ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს უდიდესი საშიშროება განვითარებად სამყაროში ანუ გლობალურ სამხრეთში დაინახა. მისი აზრით, იქ არსებული ვითარება ყველანაირ საფუძველს აცლის ლიბერალების ოპტიმიზმს, რადგან მომავლის სურათი ერთობ მძიმე და უიმედოა. კერძოდ, დასავლეთი აფრიკა იმავე როლს შეასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში, რასაც ბალკანეთი – XX საუკუნის დასაწყისში: ამას ჯერ ორი ბალკანური ომი, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომის გაჩაღება მოჰყვა. აფრიკა და, საერთოდ, განვითარებადი სამყაროს უდიდესი ნაწილი გაუსაძლის პირობებშია ჩავარდნილი. უკიდურესი სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა, დაპირისპირება კლანებს შორის, კორუფცია და სხვა მსგავსი მოვლენები არის მიზეზი იმ ქაოსისა და ანარქიისა, რაც ამ სამყაროში, ათეულობით არშემდგარ სახელმწიფოში, დასადგურებულა. ამასთან, აღნიშნული სამყაროს მოსახლეობა საოცარი სისწრაფით იზრდება და სულ 20-25 წელია საჭირო მათი გაორმაგებისათვის. მოსახლეობის ასეთი მატებისა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, მდგომარეობა სულ უფრო კატასტროფული გახდება. ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა მდიდარ ჩრდილოეთში ანუ განვითარებულ სამყაროში ცხოვრების დონე და პირობები ყოველწლიურად უმჯობესდება, ხოლო მოსახლეობის ზრდა – ნულოვანი, ზოგან კი უარყოფითიც

კია. ამ ვითარებაში შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე მდგარი მილიონობით ღატაკი დიდხანს აღარ გაჩერდება ასეთ მდგომარეობაში და იმ სამყაროს მიუკაკუნებს კარზე, რომელიც ყვავის და ნეტარებს. სწორედ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მომავალი ანარქია იქნება ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის დამანგრეველი ფაქტორი და ყველაზე დიდი საშიშროება, რაც კი კაცობრიობას ელის.

რადიკალები. რადიკალების სახელით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მემარცხენე შეხედულების მქონე მეცნიერები არიან ცნობილი, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკის არათანაბარი და წინააღმდეგობრივი განვითარების მიზეზად კაპიტალისტური ეკონომიკის ექსპლუატატორულ ბუნებას მიიჩნევენ. რადიკალთა შორის ძირითადი ადგილი მარქსისტებსა და ნეომარქსისტებს ეკუთვნოდათ, თუმცა, მათ გარდა, სხვა თეორიული მიმდინარეობის წარმომადგენლებიც იყვნენ წარმოდგენილი. ცივი ომის დამთავრებისა და კომუნიზმის კრახის შემდეგ მემარცხენე რადიკალების პოზიციები ძალიან შეირყა, მაგრამ ისინი მაინც რჩებიან ანგარიშგასაწევ ძალად. ამდენად, საინტერესოა რადიკალების მოსაზრებები ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემისა და მსოფლიო წესრიგის შესახებ. შევჩერდებით ორ მათგანზე.

1. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ***ნოამ ჩომსკი*** ის იშვიათი გამონაკლისია თანამედროვე პერიოდში, ვისაც სხვადასხვა მეცნიერებაში აქვს შეტანილი თვალსაჩინო წვლილი. იგი, უპირველესად, ცნობილია, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ლინგვისტი-თეორეტიკოსი, მაგრამ ჩომსკი გამოჩენილი ანთროპოლოგი, სოციოლოგი, ეკონომისტი და პოლიტოლოგიცაა. 1994 წელს გამოსულ მის წიგნში ***„მსოფლიო წესრიგი: ახალი და ძველი“*** (Chomsky 1994) თანამედროვე საერთაშორისო სისტემის შესახებ მისი შეხედულებაა გადმოცემული, რაც შემდეგ ძირითად დებულებებებად ყალიბდება:
   ა) საერთაშორისო სისტემის ხასიათი 1989 წლის შემდეგ მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა, შინაარსობრივად კი მაინცდამაინც ბევრი არაფერი შეცვლილა. იგი კვლავ რჩება გაყოფილ, ბიპოლარულ სისტემად, სადაც ერთ პოლუსს ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოები წარმოადგენენ, ხოლო მეორეს – მათზე დამოკიდებული მესამე სამყაროს ღარიბი ქვეყნები;
   ბ) სინამდვილეს აბსოლუტურად არ შეესაბამება აშშ-ის მიჩნევა პროგრესისა და ლიბერალიზმის ბასტიონად. სინამდვილეში ის იმპერიალისტური და ექსპანსიონისტური ძალაა, რომლის მთავარი მიზანიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში საკუთარი გავლენის დამკვიდრებაა მთელ მსოფლიოში და უსაფრთხო პირობების შექმნა მულტინაციონალური კომპანიებისთვის;

დ) ამერიკული ელიტარული დემოკრატიის მიზანია არა ის, რომ დემოკრატიას აზიაროს მსოფლიო მოსახლეობის ფართო ფენები, არამედ ის, რომ შეუზღუდოს მათ არჩევანის უფლება. ამერიკას ეშინია ჭეშმარიტი დემოკრატიისა და ყველა ღონეს გამოიყენებს მის წინააღმდეგ, თუ ასეთი დემოკრატია არ ეთანხმება ქვეყნის მატერიალურ და სტრატეგიულ ინტერესებს;

დ) ამერიკის გლობალური გავლენის გაძლიერება გამოწვეულია იმითაც, რომ ამერიკას აქვს უნარი მიაღწიოს შიდა თანხმობას მოსახლეობასთან, რაც მას თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს. ამერიკელების ძალიან ცოტა რაოდენობას თუ აინტერესებს, რა ხდება მისი საკუთარი თავის იქით;

ე) აუცილებელია, უარი ითქვას ჰუმანიტარულ ინტერვენციაზე, რამეთუ იგი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ძველი იმპერიალიზმია.

2. ***რობერტ კოქსი*** წიგნში ***„მიახლოება მსოფლიო წესრიგთან“*** (Cox 1996) გამოყოფს სამ მთავარ დებულებას, რომლებიც, მისი აზრით, განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების გზას და მის მთავარ ნიშნებს.

ა) „ახალი“ მსოფლიო წესრიგი ისტორიული თვალსაზრისით უნდა გავიგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ გაუგებარი დარჩება. მსოფლიო პოლიტიკაში არსებითი ცვლილება მოხდა არა 1989 ან 1991 წლებში, არამედ 70-იანი წლების შუა ხანებში, როცა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ გეზი აიღეს ეკონომიკურ ნეოლიბერალიზმზე. საერთაშორისო სისტემა დაემორჩილა ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგის მკაცრ დისციპლინას, რომელიც დანერგა არა ერთმა რომელიმე ქვეყანამ ან ქვეყნებმა, არამედ ტრანსნაციონალურმა ელიტამ.

ბ) სხვა თვალსაზრისით, ბევრი არაფერი შეცვლილა. იდეოლოგია და პოლიტიკური სტრუქტურა იგივე დარჩა. ეროვნული უსაფრთხოება, დაზვერვა, თავდაცვა და სახელმწიფოთა იერარქია (ყველაზე ძლიერით სათავეში) პრაქტიკულად ისეთივეა, როგორიც – ცივი ომის დროს;

გ) ე. წ. ახალი მსოფლიო წესრიგი შორსაა სტაბილურობისაგან. კაპიტალის დაუგეგმავი დაგროვების დინამიკა, გლობალური ფინანსური ქაოსი, გაკოტრებულთა რიცხვის ზრდა და ცივი ომის შემდგომი სხვა მოვლენები საერთაშორისო სისტემას არასტაბილურ სისტემად აყალიბებს. და, თუმცა მუშათა კლასის რევოლუციები ნაკლებად მოსალოდნელია, ახალი ემანსიპატორული ძალების გამოჩენის შესაძლებლობა გლობალიზაციის პერიოდში კვლავაც აქტუალურია.

4.2. საერთაშორისო სისტემის გლობალური ტენდენციები

ზემოთ განხილული სხვადასხვა შეხედულება თანამედროვე ანუ ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემასა და მსოფლიო წესრიგზე იმის მაჩვენებელია, რომ შეუძლებელია რომელიმე მათგანს ჰქონდეს სრული ჭეშმარიტების პრეტენზია ისევე, როგორც ყველა მათგანი იყოს აბსოლუტურად მცდარი და მიუღებელი. ასეთი განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების მიზეზი კი ისაა, რომ თანამედროვე, გლობალიზებული საერთაშორისო სისტემა მართლაც ძალიან რთული და წინაღმდეგობრივია. იგი ჩამოყალიბების სტადიაშია და, თუ როგორ განვითარდება იგი მომავალში, საკმაოდ ბუნდოვანია. ზოგი ავტორი (Singer, Wildavsky 1993) იმასაც კი ამტკიცებს, რომ დღეს ერთიანი საერთაშორისო სისტემის ნაცვლად არსებობს ორი „ზონა“: ერთი მშვიდობისა და აყვავებას (მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები), მეორე კი არეულობისა და უწესრიგობის (მესამე სამყარო და ყოფილი საბჭოთა ბლოკი). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამენ სხვა ავტორებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მსოფლიო გაყოფილია ორ მოწინააღმდეგე სამყაროდ – აღმშენებლობით ანუ შემაკავშირებელ და დამანგრეველ ანუ დამაქუცმაცებელ ძალებად. ამასთან, საერთაშორისო სისტემა, თავის მხრივ, იმ მნიშვნელოვანი ფაქტორების გამომწვევი მიზეზიცაა, რომლებსაც სისტემის ცალკეული ნაწილებისთვის სტაბილურობა და აყვავება მოაქვს, ხოლო სხვა ნაწილებისთვის შეიძლება სრულიად საპირისპირო ნაყოფი გამოიღოს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დიდ ინტერესს იწვევს და აუცილებელიცაა განისაზღვროს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო სისტემისათვის. მაიკლ კოქსი რამდენიმე ასეთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს გამოყოფს (Cox M. 2001), რომლებზეც ქვემოთ შევჩერდებით.

4.2.1. კაპიტალიზმის ტრიუმფი

ცივი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოში მრავალი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა მოხდა, რომელთა ჩამოთვლაც ახლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ისინი (სპარსეთის ყურის ომით დაწყებული – რუსეთ-უკრაინის ომით დამთავრებული) მაინც ვერ გამოხატავენ ეპოქის შინაარსს და უპასუხოდ ტოვებენ მთავარ კითხვას: რამ შეცვალა მსოფლიო ანუ რა არის ის ძირითადი, რაც განასხვავებს ცივი ომის შემდგომ პერიოდს წინა პერიოდებისაგან?

მთავარი ტენდენცია, რაც ცივი ომის შემდგომი მსოფლიოსათვის არის დამახასიათებელი, ორი სიტყვით ასე შეიძლება გამოითქვას – კაპიტალიზმის ტრიუმფი. სწორედ მისი საყოველთაო, გლობალურ სისტემად გადაქცევა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრება (უკეთესობის ან უარესობისაკენ) და მოსპო ბარიერები მსოფლიო ბაზრისათვის, ის მთავარი ფაქტორია, რომელმაც საერთაშორისო პოლიტიკისა და თანამედროვე ისტორიის ხასიათი საფუძვლიანად გარდაქმნა.

მართლაც, თუ ცივი ომი ორი ეკონომიკური სისტემის დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც ერთში კერძო საკუთრება დომინირებდა, ხოლო მეორეში ეკონომიკური სადავეები სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაშინ გასაგებია, თუ რა მნიშვნელობის იყო ამ დაპირისპირების მოსპობა და ერთი მათგანის სრული გამარჯვება მეორეზე. სწორედ სოციალისტური ეკონომიკის კრახმა განაპირობა სოციალისტური სამყაროს, საბჭოთა კავშირისა და მარქსისტული იდეოლოგიის „გარდაცვალება“. მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნა ერთიან, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემად რთული და ხანგრძლივი პროცესია და დღევანდელი ისტორიაც სწორედ ამ პროცესის გამოხატულებაა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის უზარმაზარი ძალაუფლება, რომელიც მიეცა ფინანსურ ორგანიზაციებს, პირველ ყოვლისა კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს. მათი ამოცანაა, ხელი შეუწყონ ჩამორჩენილ და გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღებას და მათ საბაზრო „რელსებზე“ გადაყვანას. ეს პროცესი ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს და ბევრი ასეთი ქვეყნის მიერ ახალ იმპერიალიზმად აღიქმება, რადგან ამ ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგი, მათი აზრით, დასავლეთის (ჩრდილოეთის) გამდიდრება და სამხრეთის კიდევ უფრო გაღატაკებაა.

საბაზრო ეკონომიკის გლობალიზაციამ საგრძნობლად შეცვალა სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა. თუ ცივი ომის პერიოდში სახელმწიფოთა ძირითადი ყურადღება ეროვნულ უსაფრთხოებაზე გამახვილდა და ეკონომიკა პოლიტიკას დაექვემდებარა, ახლა მდგომარეობა განსხვავებულია. სახელმწიფოები არა მარტო ამცირებენ თავდაცვისა და უშიშროების ხარჯებს, არამედ თანდათან თვით ეს დარგები ხდებიან ეკონომიკაზე დამოკიდებული, ხოლო სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში. დადგა პერიოდი, რომელსაც გეოეკონომიკის ეპოქა შეიძლება ეწოდოს.

რადგან ცივი ომის შინაარსს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდაპირისპირება წარმოადგენდა და, ამდენად, სახელმწიფო მიზანიც ისეთი სამხედრო ძლიერების მიღწევა იყო, რომელიც უსაფრ-

თხოების გარანტია იქნებოდა ქვეყნისათვის, თანამედროვე პირობებში ყურადღება მახვილდება გლობალურ ეკონომიკაზე; იმაზე, თუ როგორ მიაღწიოს ქვეყანამ და ხალხმა წარმატებებს და აყვავებას ეკონომიკური მეტოქეობის ვითარებაში. ასეთმა ცვლილებამ გარკვეულწილად შეცვალა კულტურული და სულიერი ფასეულობების რაღაც ნაწილიც: მაგალითად, თუ გმირის ეტალონად ითვლებოდა მამაცი და მოხერხებული მეომარი, ამჟამად წარმატებულ ბიზნესმენს და კვალიფიცირებულ ტექნოკრატს ენიჭება უპირატესობა.

ამასთანავე, კაპიტალიზმის ტრიუმფი კეთილდღეობის ტრიუმფს როდი ნიშნავს! საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები ხშირად მძიმედ აისახება მოსახლეობაზე. ახალი ეკონომიკური წესრიგით წარმატებამოპოვებულმა ზოგმა ფინანსისტმა-ბიზნესმენმაც კი (მაგალითად, ჯორჯ სოროსმა) მოუწოდა ხელისუფლებას, აქტიურად ჩაერიოს ხოლმე ეკონომიკაში, რათა დაიცვას მოსახლეობა ბაზრის სტიქიური შემოტევისაგან.

როგორც ვხედავთ, ახალ კაპიტალიზმს ახასიათებს დადებითი (პროდუქციის ზრდა, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საწინდარია) და უარყოფითი (სტიქიურობა, კრიზისი, ინფლაცია, რაც მძიმედ აისახება მოსახლეობაზე) მხარეები. ისიც ცხადია, რომ მასზე სახელმწიფოსა და საზოგადოების კონტროლი სუსტია და, ძირითადად, ბაზარი არეგულირებს, მაგრამ სხვა ალტერნატივაც არ არსებობს.

4.2.2. აშშ – ერთადერთი ჰეგემონი?

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება გახდა მასში ერთი სახელმწიფოს გამორჩეული მნიშვნელობა. ორი პოლუსის (აშშ და სსრკ) ნაცვლად, ცივი ომის შემდეგ ერთადერთი პოლუსი – ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა. უახლეს ისტორიაში ერთ ქვეყანას, სხვებთან შედარებით, არასოდეს ჰქონია ასეთი უპირატესობა საერთაშორისო სისტემაში, როგორც 90-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა. მართალია, ბოლო წლებში ეს უპირატესობა გარკვეულწილად შემცირდა ჩინეთისა და ევროკავშირის როლის ზრდის გამო, მაგრამ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამერიკის ხანაა. ეს აძლევს საბაბს სკეპტიკოსებს, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა უნიპოლარულად ჩათვალონ, ხოლო გლობალიზაციაში ამერიკანიზაცია დაინახონ და ეს ამერიკული იმპერიალიზმის გარეგნულ სახედ მიიჩნიონ.

80-იანი წლების დამდეგს ამერიკის ასეთ მომავალს ვერავინ განჭვრეტდა. პირიქით, გახშირდა წიგნები და სტატიები, რომლებშიც ამერი-

კის მომავალი საკმაოდ პესიმისტური ფერებით იყო წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ინგლისელი ისტორიკოსის პოლ კენედის წიგნი „დიდი სახელმწიფოების აღზევება და დაცემა“ (Kenedy 1987), რომელშიც ავტორი დაასკვნის: ყველა დიდი სახელმწიფოს აყვავებას დაცემა მოჰყვა. ვერც ამერიკის შეერთებული შტატები გადაურჩება ასეთ მომავალს. აშშ-ის ძლიერება იკლებს, მისი ეკონომიკური პოტენციალი მცირდება და XXI საუკუნეში ის პირველობას იაპონიას გადაულოცავს.

მაგრამ მოვლენები ისე წარიმართა, რომ ეს პროგნოზი არა თუ გამართლდა, არამედ სიტუაცია სრულიად საპირისპიროდაც კი განვითარდა. საბჭოთა კავშირში განვითარებული პერესტროიკის კურსის კრახმა დაანგრია სოციალიზმი აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო თვით საბჭოთა კავშირის როგორც ეკონომიკურმა, ისე პოლიტიკურმა დასუსტებამ აშშ კონკურენტის გარეშე დატოვა. ამას მოჰყვა 1991 წლის სპარსეთის ყურის ომი, სადაც ამერიკის უდანაკარგო გამარჯვებამ უაღრესად გაზარდა მისი პრესტიჟი. ამას დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამერიკელებისთვის (მოეხსნათ რა ე. წ. „ვიეტნამის კომპლექსი“). ამ გამარჯვებიდან რამდენიმე თვეში არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, რამაც აშშ-ის დასუსტებისა და გავლენის დაკარგვის მითს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა.

პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების ფონზე სერიოზულ პრობლემად მაინც რჩებოდა ამერიკის ეკონომიკური სიძნელეები, რაც ფინანსური დეფიციტით (ხარჯები ჭარბობდა შემოსავალს, რომელიც გადასახლებიდან შემოდიოდა) გამოიხატებოდა. მაგრამ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდი (1993-2001) უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისთვის. ეკონომიკური აღმავლობის და წარმოების ზრდის ტემპები უპრეცედენტო იყო, რამაც სახელმწიფო ფასიანი აქციების ღირებულება გააოთხმაგა და ფინანსური დეფიციტი არა თუ დაიძლია, არამედ შემოსავალმა ბევრით გადააჭარბა ხარჯს. შეიქმნა 10 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი და უმუშევრობა მინიმუმამდე შემცირდა. ამგვარად, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, გლობალიზაციამ ამერიკაზე უაღრესად დადებითი გავლენა მოახდინა.

აღნიშნულმა მოვლენებმა აშშ მსოფლიოს ჭეშმარიტი ჰეგემონი გახადა. ფაქტობრივად, მან იტვირთა მსოფლიოს ყველა სერიოზული კონფლიქტის მოგვარება (ბოსნია, კოსოვო, ისრაელ-პალესტინის, ინდოეთ-პაკისტანის და ა. შ.), თანაც ისე, რომ ხშირად ერთპიროვნულად მოქმედებდა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები მიიღებოდა და თანხმობა ღონისძიებების გატარებაზე მიიღწეოდა აშშ-ის კარნახით.

ერთგვარი შოკი აღმოჩნდა ამერიკისთვის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები. მაგრამ ამ მოვლენამ გარკვეული პერიოდი კი-

დევ უფრო გაზარდა მისი გავლენა და როლი მსოფლიოში. ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ განხორციელებულმა ოპერაციამ საშუალება მისცა ამერიკას თავის სამხედრო კონტინგენტი შეეყვანა უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში ანუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რაც ძირეულად ცვლიდა გეოპოლიტიკურ წესრიგს ამ რეგიონში. ხოლო საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების კონტინგენტის შემოყვანა და მათ მიერ ქართული არმიის მომზადება იმის მანიშნებელი იყო, რომ კავკასიაც ნელ-ნელა შედიოდა ამერიკის სასიცოცხლო გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში.

შემდეგ წლებში ვითარება რამდენადმე შეიცვალა. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით წარმოებულმა ომმა ერაყსა და ავღანეთში აშშ დიდი სირთულეების წინაშე დააყენა. გარდა უზარმაზარი ფინანსური ხარჯებისა, რაც ამერიკის მოქალაქეების ჯიბეზეც აისახა, ამერიკელი ჯარისკაცების მსხვერპლმა და ცალკეულ შემთხვევებში მათმა ქმედებებმა სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ამერიკელების გამარჯვება გარკვეულწილად გააფერმკრთალა და შელახა სახელმწიფოს პრესტიჟი. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომისაგან განსხვავებით, ეს ომები არ იქცა ამერიკის ძლიერების დემონსტრირებად. ამას დაერთო ევროკავშირის, ჩინეთისა და რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდა და აშშ-ის როლის დამცრობა. პრეზიდენტ ობამას მმართველობის წლებში (2009-2017) აშშ-მა ყურადღება საშინაო საკითხებზე გადაიტანა და საგრძნობლად შეზღუდა ამერიკის მონაწილეობის მასშტაბები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისების თუ კონფლიქტების მოგვარებისას. კიდევ უფრო გაძლიერდა ასეთი პოლიტიკა პრეზიდენტ ტრამპის პირველი ვადით მოღვაწეობის წლებში (2017-2021), ხოლო პრეზიდენტ ბაიდენის (2021-2025) მცდელობამ, აშშ დაბრუნებოდა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი წარმმართველი ძალის პოზიციებს, სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

აშშ-ის ოცწლიანი ყოფნა ავღანეთში სრული კრახით დასრულდა. ამერიკული ჯარების დატოვების შემდეგ ავღანეთში ხელისუფლება კვლავ თალიბებმა ჩაიგდეს ხელში, მათ მხარეს გადავიდა ავღანეთის არმია, მთელი თავისი შეიარაღებით, რაშიც აშშ-მა მილიარდობით დოლარი დახარჯა; ერაყის ინტერვენციამ და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ წარმოქმნა მძლავრი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომელმაც თავისი იურისდიქცია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გაავრცელა. ეს იყო დე-ფაქტო სახელმწიფო, სახელმწიფოს ყველა ატრიბუტით, რომლის განადგურებასაც საერთაშორისო საზოგადოების დიდი ძალისხმევა დასჭირდა. დღეს ერაყი, ფაქტობრივად, სამ სახელმწიფოდ არის გაყოფილი და არშემდგარი ქვეყნის მაგალითს წარმოადგენს. ვერც

ე.წ. „არაბული გაზაფხული“ დასრულდა ამერიკელებისთვის სასურველი შედეგით და დემოკრატიული სახელმწიფოების ნაცვლად ახალი ავტორიტარული და ისლამისტური რეჟიმები მივიღეთ, ხოლო სირიიდან აშშ-ის ჯარების გაყვანამ ბაშარ ასადს საშუალება მისცა შეენარჩუნებინა ძალაუფლება, რუსეთს კი მოეკიდებინა ფეხი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (თუმცა ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა). აშშ-მა დატოვა ცენტრალური აზიაც და გაიყვანა სამხედრო ბაზები. საგრძნობლად შემცირდა აშშ-ის კონტაქტები საქართველოსთან, ხოლო 2024 წელს, საერთოდ შეაჩერა მასთან სტრატეგიული თანამშრომლობა. თუმცა ამის მიზეზი თვითონ საქართველოს ხელისუფლებაა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში აშშ რჩება ძალის მთავარ პოლუსად და ჰეგემონ ზესახელმწიფოდ; ის ერთადერთი ქვეყანაა, რომლის გეოპოლიტიკური ინტერესებიც გლობალურია და მთელ მსოფლიოს მოიცავს. ამ მდგომარეობის შეცვლა ახლო მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია.

4.2.3. რუსეთი – დაქვეითება, აღმავლობა, ახალი საფრთხე

ამერიკის ეკონომიკური და პოლიტიკური ჰეგემონობის ფონზე რუსეთის როლი საერთაშორისო სისტემაში ისევე, როგორც მისი გავლენა მსოფლიოში, 90-იან წლებში მუდმივად მცირდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე რუსეთმა უზარმაზარი დახმარება მიიღო როგორც დასავლეთის ქვეყნებიდან და, პირველ ყოვლისა, აშშ-დან, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, თუმცა რუსეთის ეკონომიკა მაინც უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა. ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმიდან და გეგმიანი ეკონომიკიდან დემოკრატიულ მმართველობასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საკმაოდ მძიმე იქნებოდა, მაგრამ ასეთ შედეგებს მაინც არავინ მოელოდა.

თუ 80-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობით მეორე ადგილზე იყო მსოფლიოში და ეს სიდიდე ამერიკის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 70%-ს შეადგენდა. (თანაც, გასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ს ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში რუსეთის წილი 2/3-ზე მეტი იყო), 2000 წლისთვის რუსეთი მთელი ეროვნული პროდუქტის მოცულობით მე-16 ქვეყანა იყო მსოფლიოში, ჩამორჩებოდა რა ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა სამხრეთ კორეა, მექსიკა, ავსტრალია, ნიდერლანდები, ინდოეთი, თითქმის ორჯერ – ბრაზილიას, ოთხჯერ – საფრანგეთს, 12-ჯერ – იაპონიას და 25-ჯერ – ამერიკის შეერთებულ შტატებს (Kegley, Wittkopf

2001 p. 231). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი მეორეხარისხოვან ქვეყნად იქცა. ასეთ დაქვეითებას კი, რა თქმა უნდა, მოჰყვა მოსახლეობის ცხოვრების დონის და მატერიალური შემოსავლის დაქვეითება, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მოიშალა, სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას, კატასტროფულად იმატა დანაშაულმა. ერთი სიტყვით, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და მოსახლეობაში გაძლიერდა საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური რეჟიმის ნოსტალგია.

ასეთი მძიმე შედეგების მიზეზი, ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნების არასწორი პოლიტიკა, განსაკუთრებით კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაუსაბუთებელი რეკომენდაციები იყო, მეორე მხრივ, თვით რუსი რეფორმატორების შეცდომები. რუსეთში არ იმუშავა იმ მეთოდმა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა პოლონეთში და სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ანუ ე. წ. „შოკურმა თერაპიამ“. ამას დაერთო ფინანსური კრიზისი 1998 წლის ზაფხულში, რამაც, ფაქტობრივად, დაანგრია რუსეთის ფინანსური სისტემა.

ეკონომიკური დასუსტება, ბუნებრივია, აისახება ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო პოტენციალზე. რუსეთის არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. რუსეთის სამხედრო ხარჯი ბევრად ჩამორჩა ამერიკის სამხედრო ბიუჯეტს. საკმაოდ შესუსტდა რუსეთის პოლიტიკური პრესტიჟი და მისი როლი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში.

ასეთ პირობებში დასავლეთი კვლავ ცდილობდა ხელი შეეწყო რუსეთის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდისათვის, გაცნობიერებული ჰქონდა რა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს უზარმაზარი ბირთვული პოტენციალის მქონე, მაგრამ ეკონომიკურად შეჭირვებული, ქვეყანა.

2000 წლიდან რუსეთის პრეზიდენტად ვ. პუტინის მოსვლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. ხელისუფლებამ დაიწყო ენერგიული ნაბიჯების გადადგმა ქვეყანაში წესრიგის აღდგენისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა ეს ხდებოდა მკაცრი ავტოკრატიული და ანტიდემოკრატიული გზებით. ქვეყანა იქცა ფაქტობრივ დიქტატურად, სადაც პრაქტიკულად აღარ არსებობს ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, თავისუფალი მედია და იდევნება ყოველგვარი განსხვავებული აზრი.

რუსეთს მოუწია რვაწლიანი სისხლისმღვრელი ომი ჩეჩნეთში, რათა საბოლოოდ გაეტეხა ჩეჩენი ისლამისტი სეპარატისტების წინააღმდეგობა. ამ ომმა 200 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ნანგრევებად აქცია ჩეჩნეთის ქალაქები და სოფლები. რუსეთმა მიზანს

მიაღწია და ამ რესპუბლიკაში პუტინმა მისი მორჩილი ხელისუფლება დასვა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა არმიისა და შეიარაღების მოდერნიზაციას, კერძოდ, ბირთვული იარაღის არსენალის ზრდას და გაუმჯობესებას.

აღნიშნული პოლიტიკის გატარებას ხელი შეუწყო მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფასების მკვეთრმა ზრდამ, ეს ნედლეული კი რუსეთის ექსპორტის მთავარი წყაროა. ამის შედეგად, რუსეთის შემოსავალმა მკვეთრად იმატა და მშპ-ის საერთო მოცულობით (ნომინალური მაჩვენებლებით) იგი კვლავ შევიდა ეკონომიკურად ყველაზე მძლავრი ქვეყნების პირველ ათეულში, ხოლო, თუ მსყიდველობითი უნარის პარიტეტით ვიანგარიშებთ, იგი მეოთხე სახელმწიფოა ჩინეთის, აშშ-ის და ინდოეთის შემდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა შეძლო, ევროკავშირის ქვეყნების დიდი ნაწილი (პირველ ყოვლისა, გერმანია) თავის ენერგორესურსებზე დამოკიდებული გაეხადა და სხვადასხვა მილსადენით (განსაკუთრებით კი, გაზსადენით „ჩრდილოეთის ნაკადი“) მომარაგების მთავარი წყარო გამხდარიყო.

ასეთმა წარმატებებმა რუსეთს გაუღვიძა ძველი ამბიციები, კვლავ გამხდარიყო ზესახელმწიფო და ერთ-ერთი მთავარი ძალის პოლუსი მსოფლიოში, თავისი გავლენის ფართო არეალით. ცხადია, ეს გავლენის სფერო, უპირველესად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უნდა ყოფილიყო. ბალტიის რესპუბლიკებმა მოასწრეს და ნატოს და ევროკავშირის წევრები გახდნენ, დანარჩენ რესპუბლიკებს კი რუსეთი თავის საკუთრებად მიიჩნევდა. ამ რესპუბლიკების უმრავლესობაში რუსეთის მორჩილი და მასზე დამოკიდებული მთავრობები იყვნენ, მაგრამ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ და ევროინტეგრაციას ისახავდნენ მიზნად. სწორედ ამ პოლიტიკისთვის დასაჯა რუსეთმა საქართველო 2008 წლის ომით და მისი ტერიტორიის 20% „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ გამოაცხადა. 2014 წელს იგივე გაიმეორა უკრაინის მიმართ, მოახდინა რა ყირიმის ანექსია და შექმნა ე.წ. ლუჰანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკები. ესეც არ იკმარა და 2022 წლის თებერვალში დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. დიდია ნგრევის მასშტაბიც.

საერთაშორისო საზოგადოებამ მხოლოდ ამ ომის დაწყების შემდეგ გააცნობიერა, რა დიდი საფრთხე დაემუქრა მსოფლიოს რუსეთის სახით. რუსეთს დაუწესდა უმკაცრესი სანქციები და შეზღუდვები, მრავალმილიარდიანი დახმარება გაეწია უკრაინას, თითქმის ყველა ქვეყანამ მონახა ალტერნატიული გზა, რათა თავი აარიდოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას, მაგრამ რუსეთი კვლავ ჯიუტად განაგრძობს ომს და უარს არ

ამბობს თავის აგრესიულ და აბსურდულ იდეაზე, აღადგინოს საკუთარი სახელმწიფო საბჭოთა კავშირის ან რუსეთის იმპერიის საზღვრებში. გასაგებია, რამხელა საფრთხეა ეს კაცობრიობისთვის და რა დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა მსოფლიომ თავიდან აიცილოს დიდი დაპირისპირება.

4.2.4. ჩინეთი – მომავლის ჰეგემონი?

როდესაც ცივი ომის დამთავრებაზე საუბრობენ, უპირველესად, გულისხმობენ კომუნისტური რეჟიმების დამხობას ჯერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემდეგ კი – თვით საბჭოთა კავშირში. მაგრამ იმავე პერიოდში ჩინეთში, სადაც პლანეტის მოსახლეობის ერთი მეხუთედი ცხოვრობს, კომუნისტური რეჟიმი არა თუ შენარჩუნდა, არამედ საფუძვლიანად მოდერნიზდა და განმტკიცდა კიდეც.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა უარი თქვა მათ ჰეგემონობაზე, მოსახლეობის მშვიდობიანი საპროტესტო აქციები საკმარისი იყო იმისათვის, რათა კომუნისტური რეჟიმები დამხობილიყო, ჩინეთის ხელისუფლებამ კი სტუდენტთა ასეთი მასობრივი საპროტესტო აქცია ტიანანმენის მოედანზე, პეკინში, 1989 წლის ივნისში სისხლში ჩაახრჩო, რითაც ყველას დაანახა, რომ კომუნისტური რეჟიმის შეცვლაზე ჩინეთში ლაპარაკიც კი ზედმეტია.

სწორედ ამ დროიდან იწყება ჩინეთის თანამედროვე ისტორია, რომელიც კომუნისტური რეჟიმისა და საბაზრო ეკონომიკის უცნაური სინთეზია. ჯერ კიდევ 70-იანი წლების მიწურულს ჩინეთმა დაიწყო დიდი რეფორმების გატარება ეკონომიკაში, დაუშვა რა კერძო საკუთრების უფლება სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროში და, გარკვეულ ფარგლებში, მრეწველობაშიც. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვამ სახელმწიფო კონტროლის პირობებში ქვეყანას მართლაც მნიშვნელოვანი შედეგები მოუტანა. ჩინეთში, როგორც მდიდარი რესურსებისა და იაფი მუშახელის ქვეყანაში, უცხოურმა ინვესტიციებმა იწყო დენა. ძალზე წარმატებული გამოდგა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირება ქვეყნის სანაპირო რაიონებში. ყოველივე ამის შედეგად, სწრაფად იწყო ზრდა ერთობლივი ეროვნული პროდუქციის მოცულობამ და მოსახლეობის ცხოვრების დონეც საგრძნობლად ამაღლდა.

რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და იდეოლოგიას. ჩინეთი რჩება კომუნისტურ სახელმწიფოდ, ერთპარტიული სისტემით, სადაც სიტყვის თავისუფლება, ადამიანთა უფლებები და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები უხეშად ირღვევა. ექსპერტები ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაასკვნიდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკისა

და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დიქტატურის ეს უცნაური სიმბიოზი შეუძლებელია დიდხანს გაგრძელებულიყო, და „ჩინურ სასწაულს“ აუცილებლად მოყვებოდა დიდი ეკონომიკური კრიზისი. მაგრამ მას შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა და ჩინეთის ეკონომიკის როლი მსოფლიოს მასშტაბით კვლავ განუხრელად იზრდება.

ფაქტი ფაქტად რჩება: დღესაც ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ორმოცწლიანმა მუდმივმა ზრდამ ის გამოიწვია, რომ ჩინეთი, მშპ-ის საერთო მოცულობით, ნომინალურ განზომილებაში უკვე დიდი ხანია მსოფლიოს მეორე სახელმწიფოა აშშ-ის შემდეგ, ხოლო, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, რამდენიმე წელია, მყარად დგას პირველ ადგილზე და თითქმის 1,5-ჯერ უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ აშშ-ს.

ცხადია, ეკონომიკის მიღწევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ძალაზე და საგრძნობლად ცვლის მის „წონას“ საერთაშორისო სისტემაში. ჩინეთი, როგორც ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფო, მილიარდ ოთხასი მილიონი მოსახლეობით, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, უკვე თავისთავად არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა საერთაშორისო სისტემაში. ბოლოხანს მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა. იგი მსოფლიოში ყველაზე დიდი არმიის მფლობელია, რომლის სამხედრო შეიარაღების მოცულობაცა და ხარისხიც მუდმივად იმატებს.

ჩინეთი გვევლინება რეგიონულ ლიდერად აღმოსავლეთ აზიაში, რაც მომავალში შეიძლება სერიოზულ საფრთხედ იქცეს ამ რეგიონისათვის და არა მარტო მისთვის. ამიტომ ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ჩინეთს აღიქვამს აშშ-ის მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო მეტოქედ.

ცხადია, ღია ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია ასეთმა ქვეყანამ არ გაითვალისწინოს რეალური მდგომარეობა და აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს მთავარ პოლიტიკურ მოვლენებში. ეს ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზეც აისახა, რომელიც ათასწლეულების მიჯნაზე შედარებით დემოკრატიული გახდა და ცალკეულ შემთხვევებში ისე კატეგორიულად აღარ შეეწინააღმდეგა დასავლეთს, როგორც ტრადიციულად იქცეოდა ხოლმე. კერძოდ, ჩინეთმა არ გამოიყენა ვეტოს უფლება ერაყის წინააღმდეგ ღონისძიებების დამტკიცებისას უშიშროების საბჭოში, არ შესწინააღმდეგებია კოსოვოს ოპერაციის ჩატარებას, კონსტრუქციული პოზიცია დაიკავა 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისის დროს, არც „არაბული გაზაფხულის“ დროს ჰქონია მკვეთრი ანტიდასავლური პოზიცია. ერთი სიტყვით, იგი, ძირითადად, ფეხს უწყობდა იმ ტენდენციებს, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისთვი-

საა დამახასიათებელი და რომელთა წარმმართველიც დასავლეთია. მხოლოდ ტაივანის საკითხზე რჩება ჩინეთი ტრადიციულ პოზიციაზე და ჩინეთთან მის შეერთებას მოითხოვს.

მაგრამ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდა ჩინეთის ამბიციებს საგრძნობლად ზრდის, რაც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით იგრძნობა. ჩინეთი პრაქტიკულად დაკავშირებულია თითქმის ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემასთან. ჯერჯერობით ალბათ ნაადრევია იმის თქმა, რომ ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესები გლობალურია, მთელ მსოფლიოს მოიცავს და, ამ მხრივ, აშშ-ს გაუთანაბრდა, მაგრამ გეოეკონომიკურად ეს უკვე რეალობაა. ფაქტია, რომ აფრიკის, ლათინური ამერიკის და აზიის მრავალი ქვეყანა, რომლებსაც თავის დროზე ჩინეთმა ფინანსური დახმარების სახით დიდი მოცულობის სესხი მისცა, დღეს ჩინეთის მოვალეები არიან და, იმის გამო, რომ ვალის დაბრუნების შესაძლებლობა არ გააჩნიათ, მათი ეკონომიკის არაერთი ობიექტი ჩინეთის საკუთრება ხდება. ეკონომიკური გავლენის სფეროში მოქცევა პოლიტიკური გავლენის გაძლიერების საწინდარია.

ეს ტენდენცია შემაშფოთებელია დასავლეთისა და, საერთოდ, დემოკრატიული სამყაროსათვის, მით უფრო, რომ აშკარა ხდება ჩინეთის დაახლოება რუსეთთან: ამ უკანასკნელის აგრესიული პოლიტიკის უგუნებელყოფა და ზოგ შემთხვევაში – ფარული მხარდაჭერაც კი.

გლობალიზაციის პროცესი აშკარად შეეხო ჩინეთსაც. დღეს ჩინური პროდუქცია მთელ მსოფლიოში ვრცელდება (მათ შორის, აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში), ჩინეთი ხდება მსოფლიოს კიდევ ერთი ფინანსური ცენტრი. თუ XX საუკუნის დამლევს ჩინური კომპანიები საერთოდ არ ფიგურირებდნენ ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის, დღეს მსოფლიოს ყველაზე მსხვილი კორპორაციების პირველ ათეულში სამი ჩინურია. თუმცა, როგორც ზემოთაც ითქვა, ჩინური კომპანიების მიჩნევა ტრანსნაციონალურ კომპანიებად გაუმართლებელია, რადგან ისინი სახელმწიფოს კუთვნილებაა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ფაქტია, რომ ჩინეთის როლი გლობალიზაციის პროცესში მუდმივად მზარდია. მისი აქტიური ჩართვა გლობალიზაციის პროცესში რამდენადმე ცვლის გლობალიზაციის „დასავლურ“ ხასიათს. საფიქრებელია, რომ მომავალში ეს ნაკლებ შესაძლებლობას წარმოქმნის გლობალიზაციის ვესტერნიზაციად მისაჩნევად.

4.2.5. იაპონია და ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები

80-იან წლებში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა მოსაზრებას, რომ აშ-შ-ის ეკონომიკური ჰეგემონობის დრო დასასრულს უახლოვდება და XXI საუკუნე იაპონიის ჰეგემონობის ეპოქა იქნებოდა. ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლეოდა ის შთამბეჭდავი წარმატებები, რასაც იაპონიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია. ქვეყანა, რომელიც სასტიკად დამარცხდა ომში და იწვნია ატომური ბომბის საშინელება, რომლის ეკონომიკაც მიწასთან გაასწორეს და არც არავითარი ბუნებრივი რესურსი გააჩნდათ, სულ რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოში მესამე სახელმწიფო (აშშ-ისა და სსრკ-ს შემდეგ) გახდა წარმოების პროდუქციის საერთო მოცულობით და ბევრად გაუსწრო ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს.

ეკონომიკური ზრდის ტემპები იაპონიაში უპრეცედენტოდ მაღალი იყო, ხოლო იაპონური პროდუქცია ხარისხიანობისა და საიმედოობის ეტალონად იქცა. რაც მთავარია, იაპონურმა ნაწარმმა და, პირველ ყოვლისა, ავტომობილებმა, ჩარხებმა, გემებმა, ელექტროტექნიკურმა და ელექტრონულმა პროდუქციამ დაიპყრო მსოფლიო ბაზარი, ხოლო თვით ამერიკაში ადგილობრივი ნაწარმი ხშირად კონკურენციას ვერ უწევდა იაპონურ იმპორტულ საქონელს. იაპონია წამყვანი ქვეყანა გახდა როგორც წარმოებაში, ისე ვაჭრობასა და საფინანსო ურთიერთობებში; ტრანსნაციონალური კორპორაციების პირველ მსოფლიო ათეულში ოთხი იაპონური იყო.

70-80-იან წლებში ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა და მისი სტრუქტურის კარდინალური შეცვლა (კერძოდ, მანქანათმშენებლობისა და ელექტრონიკის წამყვან დარგებად გადაქცევა) შეიმჩნეოდა აზიის წყნაროკეანური სარტყლის ქვეყნებშიც – სამხრეთ კორეაში, ტაივანში, ჰონგკონგსა და სინგაპურში. ეს ქვეყნები, რომლებსაც ჯერ „ოთხთა ბანდას“, ხოლო შემდეგ „აზიის ვეფხვებს“ უწოდებდნენ დღეს „ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების“ სახელით არიან ცნობილი. ზოგი ავტორი ამ კატეგორიას მიაკუთვნებს აგრეთვე ტაილანდსა და მალაიზიას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – ინდონეზიასა და ფილიპინებსაც. ამგვარად, წარმოიქმნა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგაჭვი, რომელთა როლიც მსოფლიო ეკონომიკაში სწრაფად იზრდებოდა და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ცალკე პოლუსის სახით წარმოჩნდა. ეს საკმარის საფუძვლად იქცა სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფისათვის, რათა იაპონია ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებთან ერთად მომავალ ეკონომიკურ ჰეგემონად წარმოესახათ და XXI საუკუნე წყნაროკეანურ ხანად მოენათლათ.

ცივი ომის დამთავრებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ამ წარმოდგენაში. ამერიკის ეკონომიკურმა ბუმმა 90-იან წლებში ნათელი

გახადა, რომ იგი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს ჰეგემონობას მსოფლიო ეკონომიკაში და წარმოდგენა წყნაროკეანური ჰეგემონობის შესახებ აშკარად გადაჭარბებულია.

მაგრამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოიტანა 1997 წლის აზიის ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც საგრძნობლად შეარყია რეგიონის ფინანსური სტაბილურობა და მძიმე სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა შვა. წყნაროკეანური ხანის იდეა დაიმსხვრა. ამ რეგიონის ჰეგემონობის იდეას მსოფლიო ეკონომიკაში ახლა ცოტა მიმდევარი ჰყავს.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იაპონიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის მაჩვენებლები აბსოლუტურ მონაცემებში შემცირდა. ეს ქვეყნები ინარჩუნებენ წამყვან როლს მრეწველობის მრავალ დარგში: კერძოდ, საავტომობილო მრეწველობაში იაპონია და სამხრეთი კორეა მსოფლიოს ქვეყნების პირველ ხუთეულში შედიან, როგორც წარმოებით, ისე – ექსპორტით. მსოფლიოში წარმოებული გემების 2/3 ასევე იაპონიისა და სამხრეთ კორეის წილად მოდის, ხოლო ტელე და რადიო აპარატურის წარმოებაში პირველ ხუთეულში შედიან იაპონია, სამხრეთი კორეა, სინგაპური და მალაიზია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მეხუთე ქვეყანა ჩინეთია (ჰონგკონგთან ერთად), აზიის უპირატესი როლი უდავოა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ელექტრონიკის, ზუსტი მანქანათმშენებლობის და სამხედრო მრეწველობის საფუძვლის, მიკროჩიპების, მსოფლიო წარმოების ¾ ტაივანის წილად მოდის.

როგორც ვხედავთ, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების როლი თანამედროვე მრეწველობაში შთამბეჭდავია და ისინი „ახალ იაპონიად“ შეიძლება მივიჩნიოთ. იაპონიისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნების წილი მსოფლიო მრეწველობაში კვლავ იზრდება. რაც შეეხება, საკუთრივ, იაპონიას, მისი წილი საგრძნობლად შემცირდა. ნომინალურ გამოსახულებაში, მშპ-ის საერთო მოცულობით, მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა და მეორე ადგილი ჩინეთს დაუთმო, ხოლო მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, მშპ საერთო მაჩვენებლებით, მას ინდოეთმა და რუსეთმაც კი გაუსწრო. ისიც საყურადღებოა, რომ, თუ საუკუნის დამდეგს მსოფლიოს ათი ყველაზე მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციიდან ოთხი იაპონური იყო, 2025 წელს მათგან ყველაზე მსხვილი, „ტოიოტა“, მხოლოდ მე-16 ადგილს იკავებდა.

ამიტომ ამერიკელ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობას ახლა თითქმის აღარ ადარდებს იაპონიის ეკონომიკური მეტოქეობა. მათი აზრით, ის აღარ არის აშშ-ის კონკურენტი. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური მდგომარეობა სწრაფად იცვლება, და არ არის გამორიცხული მოვლენების სხვაგვარი განვითარებაც. კერ-

ძოდ, შესაძლებელია იაპონიამ ახალი სასწაული მოახდინოს და კვლავ მოგვევლინოს აშშ-ის საშიშ ეკონომიკურ კონკურენტად. გასათვალისწინებელია მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების წილის ზრდაც. თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ ჩინეთის წარმატებებს, შეიძლება ვთქვათ, რომ წყნაროკეანური ჰეგემონობის იდეა არც ისე ფანტასტიკურია.

4.2.6. ევროპა – ინტეგრაცია, გაფართოება, სიძნელეები

ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ეკონომიკურად იგი გაჩანაგებული და დანგრეული იყო, პოლიტიკურადაც ამ კონტინენტის ვერც ერთი ქვეყანა ვეღარ ჩაითვლებოდა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ, რომელიც აშშ-ის ან სსრკ-ს გვერდზე დაუდგებოდა (დიდ ბრიტანეთს, სანამ კოლონიების მფლობელი იყო, გარკვეული თვალსაზრისით, კიდევ შეიძლებოდა სუპერსახელმწიფოს ტიტული მისადაგებოდა, მაგრამ უკვე 50-იანი წლებიდან მისი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში განუწყვეტლივ იკლებდა). მსოფლიო პოლიტიკური განვითარების ცენტრმა პირველად გადაინაცვლა ევროპის გარეთ. მართალია აშშ-ის დახმარებამ (მარშალის გეგმა) და სხვა ობიექტურმა ფაქტორებმა დასავლეთი ევროპა მალე დააყენა ფეხზე და მისი სახელმწიფოებიც აყვავებულ ქვეყნებად იქცნენ, მაგრამ ვერც ერთი ქვეყანა ზესახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა. თუმცა ინგლისი და საფრანგეთი ბირთვული სახელმწიფოებია და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის პრივილეგიითაც სარგებლობენ.

ამდენად, ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში ერთადერთ ალტერნატივად, რომ, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის გარდა, მესამე, დაახლოებით, ისეთივე ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის პოლუსი გაჩენილიყო, მხოლოდ გაერთიანებული ევროპა შეიძლება ქცეულიყო. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგია ცივი ომის პერიოდში. ასე რომ, ვიწრო, „ევროპული მასშტაბის“ გლობალიზაცია ჯერ კიდევ ცივი ომის დროინდელი ფენომენია. ეს პროცესი ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი იყო. 50-ან-70-იან წლებში ის, ძირითადად, ექვსი ევროპული ქვეყნის (საფრანგეთი, გფრ, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი) ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობდა და თანდათანობით დაახლოების ფორმით ვითარდებოდა (“საერთო ბაზარი“), 80-იან წლებში კი უკვე პოლიტიკური ინტეგრაციის ხაზითაც გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. სიმბოლურია, რომ, როცა ცივი ომი დასრულდა და

საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა, თითქმის იმავდროულად დაიდო მაასტრიხტის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანება ევროკავშირად ანუ ზესახელმწიფოებრივ, სუპრანაციონალურ ორგანიზაციად აქცია.

ცივი ომის დამთავრების შემდგომ ევროპაში (რა თქმა უნდა, სოციალისტური სისტემის მსხვრევის, ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის გარდა) ოთხი მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

გერმანიის გაერთიანება. ამ მოვლენას გარკვეული შიშით შეხვდნენ ევროპის სხვა სახელმწიფოებში და- თვით გერმანიაშიც. პირველ შემთხვევაში შიში გამოწვეული იყო იმით, რომ გაერთიანებული გერმანია, თავისი ეკონომიკური პოტენციალით, ბევრად აღემატებოდა ევროპის სხვა ქვეყნებს, რასაც შეიძლებოდა გერმანიის გაბატონებული მდგომარეობა და სხვა ქვეყნების შევიწროება მოჰყოლოდა. ზოგი არც გერმანიის რევანშისტულ მოქმედებებს გამორიცხავდა. მეორე შემთხვევაში კი, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის შიშს იწვევდა აღმოსავლეთ გერმანიის შეერთების შედეგად წარმოქნილი შესაძლო ეკონომიკური და სოციალური სიძნელეები. პირველი შიში უსაფუძვლო გამოდგა, მეორე კი, მნიშვნელოვანწილად, გამართლდა. ქვეყანაში საგრძნობლად იმატა ფასებმა, გაიზარდა უმუშევრობა და თავი იჩინა სოციალურ-კულტურული ადაპტაციის სიძნელეებმა. მათი ნაწილი წარმატებით დაიძლია, გერმანიის უსისხლოდ გაერთიანება კი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ორად გაყოფილი ერის ნაცვლად, რომლის ერთ ნაწილს – აშშ, ხოლო მეორეს საბჭოთაA კავშირი მართავდა, წარმოჩნდა დამოუკიდებელი აქტორი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის და მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის, იმავდროულად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავარი პარტნიორი და დონორია.

ევროპული ინტეგრაცია. 1973 წლამდე ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (საერთო ბაზარი) 6 წევრისგან შედგებოდა. გაერთიანების დაფუძნების ინიციატორი და ლიდერი ქვეყანა, საფრანგეთი, და, კერძოდ, პრეზიდენტი დე გოლი ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებაში დიდი ბრიტანეთის მიღებას, მიიჩნევდა რა მას ამერიკელების „ტროას ცხენად“ ევროპაში. მხოლოდ დე გოლის გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა საერთო ბაზრის პირველი გაფართოება, და მას სამი ახალი წევრი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია მიემატა. 1981 წელს მათ რიცხვს შეემატა საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია.

გერმანიის გაერთიანებამ და, რა თქმა უნდა, სოციალისტური სისტემის კრახმა და საბჭოთა კავშირის დაშლამ დააჩქარა ევროპული ინტე-

გრაციის პროცესი და, როგორც უკვე ითქვა, 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება უნივერსალურ, ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, ევროპის კავშირად გარდაიქმნა. ამ დროისთვის უკვე მომწიფდა პირობები ერთიანი ევროპის შესაქმნელად. ეკონომიკურმა ინტეგრაციამ გაამკვეთრა საკითხი უფრო ფართო და მრავალმხრივი შეკავშირების შესახებ, რაც გულისხმობდა არა მარტო ერთიანი ვალუტის (ევროს) შემოღებას, ერთიან საბაჟო სივრცეს და უვიზო მიმოსვლას, არამედ – საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკას, საერთო პარლამენტსა და საერთო მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში გაერთიანებული ევროპა არა მარტო ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობით ხდებოდა მსოფლიო ლიდერი, უსწრებდა რა აშშ-ის მშპ-ის საერთო მოცულობას, არამედ პოლიტიკურად და სამხედრო პოტენციალითაც ძალის ერთ-ერთ პოლუსად მოგვევლინებოდა.

ევროკავშირი, როგორც ერთგვარი „რეგიონული გლობალიზაციის“ წარმატებული მაგალითი, მიმზიდველ მიზნად იქცა ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებსაც გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გაუჩნდათ შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ ამ ორგანიზაციის წევრები. შესაბამისად, ევროკავშირი გაფართოვდა: 1995 წელს ევროკავშირის წევრები გახდნენ შვედეთი, ფინეთი და ავსტრია, 2004 წელს ერთბაშად 10 ქვეყანა – პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვენია, მალტა და კვიპროსი, 2007 წელს – რუმინეთი და ბულგარეთი, 2013 წელს ხორვატია. ამგვარად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რიცხვმა 28-ს მიაღწია. 2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი (ე.წ. ბრექსიტი).

დღეს ევროკავშირის 27 სახელმწიფოს აქვს მმართველობის ცენტრალური ორგანოები, აღმასრულებელი (ევროპული საბჭო, ევროკომისია, მინისტრთა საბჭო), საკანონმდებლო (ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი), სასამართლო (ევროკავშირის მართლმსაჯულების საბჭო), ფინანსური (ევროპული ცენტრალური ბანკი). ამ ორგანოების მთავარი ფუნქციაა, კოორდინაცია გაუწიოს წევრი ქვეყნების საქმიანობას ყველა სფეროში ევროკავშირის წესდებისა და კანონმდებლობის საფუძველზე. ცხადია, ევროკავშირის ყველა ქვეყანა სრულ სუვერენიტეტს ინარჩუნებს.

ევროპის რამდენიმე ქვეყანას აქვს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და, თუ ისინი წარმატებით გადაჭრიან მათ წინაშე დასახულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანებს, გამოიყენებენ შესაძლებლობას, გახდნენ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ალბანეთი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედო-

ნია, უკრაინა და მოლდოვა, რომლებიც წევრობასთან დაკავშირებული მოლაპარაკების სუბიექტები არიან. კანდიდატის სტატუსი აქვთ ბოსნია-ჰერცოგოვინას, თურქეთს და საქართველოს. თუმცა თურქეთთან მოლაპარაკების პროცესი გაყინულია, საქართველოსთან კი არც დაწყებულა, 2024 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული ანტიევროპული პოლიტიკის გამო.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ევროკავშირი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციის ნიმუშია, სადაც ინტეგრაციის ხარისხი მეტია, ვიდრე – სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამიტომაც მას ზოგჯერ არა – საერთაშორისო, არამედ ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციად მიიჩნევენ, რაც მის სახელწოდებაშიც (კავშირი) აისახა. უდავოა, რომ ევროპის გაერთიანების შექმნის პირველი მიზანი – ევროპა, როგორც მსოფლიოს მთავარი ეკონომიკური ძალა – ფაქტობრივად, მიღწეულია. იმავეს ვერ ვიტყვით მეორე მიზანზე. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროკავშირი ვერ იქცა ძალის ახალ პოლუსად და ჯერ კიდევ საგრძნობლად სუსტია, აშშ-თან შედარებით, რაც იუგოსლავიის ომმაც დაადასტურა.

ომი ყოფილ იუგოსლავიაში. იუგოსლავია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის პოლიტიკურად ყველაზე პლურალისტური და მრავალეროვნული იყო, რაც მის ფედერაციულ მოწყობაშიც გამოიხატებოდა. მისმა დეზინტეგრაციამ თანამედროვე ევროპის ისტორიაში უსასტიკესი სისხლისმღვრელი ომი გამოიწვია, რომლის ერთ მხარესაც სერბები იდგნენ, როგორც იუგოსლავიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი – ქვეყნის დაშლის კატეგორიული მოწინააღმდეგენი, მეორე მხარეს კი – ხორვატები, ბოსნიელი მუსლიმები, კოსოვოს ალბანელები და სლოვენიელები, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ითხოვდნენ. ეს ომი ბევრმა შეაფასა ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ პრაქტიკულ გამოვლინებად, როცა დასავლეთი ცალსახად დადგა ხორვატებისა და სლოვენიელების (როგორც კათოლიკების) მხარეს, რუსეთმა მხარი დაუჭირა მართლმადიდებელ სერბებს, ხოლო ისლამურმა სამყარომ – მუსლიმ ბოსნიელებს. დასავლეთის შეფასება კატეგორიულია: ერთ მხარეს იდგნენ „კარგი ბიჭები“ (ხორვატები, ბოსნიელები, კოსოვოელები), მეორე მხარეს ისეთი პოლიტიკური კაციჭამიები და მონსტრები, როგორებიც იყვნენ სლობოდან მილოშევიჩი და რადოვან კარაჯიჩი.

იუგოსლავიის ომთა სერია 10 წელი გაგრძელდა (1991-2001). თუ პირველი ომი, რომელსაც სლოვენიაში დაიწყო, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა და სლოვენიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა, ხორვატიის ომმა დამოუკიდებლობისათვის

სამი წელი გასტანა და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი აღმოჩნდა ომი ბოსნია -ჰერცოგოვინაში, სადაც ერთ მხარეს სერბეთი და ბოსნიელი სერბები იდგნენ, მეორე მხარეს კი – ბოსნიელი ხორვატები და ბოშნიაკები (ბოსნიელი მუსლიმები). ეს იყო ყველაზე დიდი ომი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელსაც 200 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ევროპამ ვერ შეძლო ვერც ამ კონფლიქტის თავიდან აცილება და ვერც მოგვარება. პირიქით, თავისი ტენდენციურობითა და ინდიფერენტულობით ხელი შეუწყო მის გაღვივებას. საბოლოოდ, ევროპაში წესრიგის დამყარება ნატოს და, პირველ ყოვლისა, აშშ-ის საქმე გახდა. სიმპტომატურია, რომ ბოსნიის კონფლიქტის დამთავრების ხელშეკრულება ამერიკის ქალაქ დეიტონში დაიდო და არა – ევროპის რომელიმე დედაქალაქში.

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის ომების გარდა, ომმა იფეთქა რესპუბლიკების შიგნითაც. ჩრდილოეთ მაკედონიაში შეიარაღებულ გამოსვლა მოაწყვეს ადგილობრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა – ალბანელებმა. ნატოს ძალისხმევით სეპარატისტები განაიარაღეს და შეთანხმებსს მიაღწიეს. უფრო მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა კონფლიქტი სერბეთში, კერძოდ, კოსოვოს ავტონომიურ მხარეში, რომლის მოსახლეობის 90%-საც კოსოვოელი ალბანელები (კოსოვარები) შეადგენდნენ და რომლებმაც კოსოვოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეიარაღებული ბრძოლა წამოიწყეს სერბეთის, უფრო ზუსტად კი, სერბეთ-მონტენეგროს ანუ მცირე იუგოსლავიის (ასე იწოდებოდა სახელმწიფო, რომელიც ყოფილი იუგოსლავიიდან დარჩა სლოვენიის, ხორვატიის, ბოსნია-ჰერცოგოვინის და მაკედონიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ) წინააღმდეგ. სერბეთ-მონტენეგროს ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები განახორციელა სეპარატისტების მიმართ. მსხვერპლის და ლტოლვილთა რაოდენობამ აიძულა დასავლეთის ქვეყნები, ფართომასშტაბიანი ომი წამოეწყოთ იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს ძალებით. იუგოსლავია დამარცხდა, მისი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები სამხედრო დამნაშავეებად გამოცხადდნენ და ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს, ხოლო კოსოვოში, გაეროს რეზოლუციის თანახმად, საერთაშორისო სამხედრო ძალები შევიდნენ. 2008 წელს გამოცხადდა კოსოვოს დამოუკიდებლობა, თუმცა ბევრ ქვეყანას (მათ შორის, ევროკავშირის ხუთ სახელმწიფოს) ეს არ უღიარებია.

ნატოს გაფართოება. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ნატოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის, ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ ადრე მისი ამოცანა იყო, დაეცვა ევროპა საბჭოთა და კომუნისტური ექსპანსიისაგან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

იგი ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მთავარი (ზოგჯერ ერთადერთი) გარანტი გახდა. ზოგიერთის აზრით, ამ ახალ გარემოებაში ევროპა უფრო მეტად აღმოჩნდა აშშ-ზე დამოკიდებული, ვიდრე – ადრე, რადგან ნატოს როლის ამაღლება აშშ-ს გავლენის გაძლიერებად აღიქმება. თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, როცა ნატოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფუნქცია აკისრია, დასავლეთის პოლიტიკური ელიტის აზრით, არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კია ნატოს გაფართოება და ახალი წევრების მიღება. და, რადგან ეს ახალი წევრები, ძირითადად, ყოფილი სოციალისტური და საბჭოთა რესპუბლიკები შეიძლება გახდნენ, რუსეთის რეაქცია და წინააღმდეგობა ამ პროცესის გამო გასაკვირი არ უნდა იყოს.

1999 წელს ნატოს სამი ახალი წევრი – პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი – შეემატა. მაგრამ ამ ალიანსის ყველაზე დიდი გაფართოება 2004 წელს დაემთხვა, როცა მისი შემადგენლობა ერთდროულად შვიდი ახალი წევრით შეივსო: ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. 2009 წელს ნატოს ახალი წევრები გახდნენ ხორვატია და ალბანეთი, 2017 წელს – მონტენეგრო, ხოლო 2020 წელს – ჩრდილომაკედონია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული ფართომასშტაბიანი ომის შემდეგ ტრადიციულად ნეიტრალური პოლიტიკის მქონე ქვეყნებმა – ფინეთმა და შვედეთმა – შეცვალეს თავიანთი საგარეო პოლიტიკური კურსი. 2023 წელს – ფინეთი, ხოლო 2024 წელს შვედეთი ნატოს შეუერთდნენ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ გლობალიზაციის ერაშიც კი ნეიტრალიტეტი არ არის გარანტია, დაცული იყო აგრესიული მეზობლისაგან. ერთადერთი საშუალება, უზრუნველყო საკუთარი უსაფრთხოება და სტაბილურობა, მძლავრი პოლიტიკური ალიანსის წევრობაა. ნატო, რომელი ახლა 32 წევრს ითვლის, ნამდვილად წარმოადგენს ასეთ ორგანიზაციას და ყველა საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ მისი როლი გლობალიზებულ მსოფლიო პოლიტიკაში კიდევ უფრო გაიზრდება.

4.2.7. ჩრდილოეთი-სამხრეთი

ბევრი მკვლევრის აზრით, ცივი ომის დამთავრება საერთაშორისო სისტემაში ბიპოლარიზმის მოსპობას არ ნიშნავს. უბრალოდ, თუ ადრე დაპირისპირებულ მხარეებს დასავლეთი (კაპიტალისტური ქვეყნები) და აღმოსავლეთი (სოციალისტური სამყარო) წარმოადგენდნენ, ამჯერად, დაპირისპირებულ პოლუსებს ჩრდილოეთი (განვითარებული ქვეყნები)

და სამხრეთი (განვითარებადი სამყარო) განასახიერებს. სწორედ ბირთვისა და პერიფერიის ურთიერთწინააღმდეგობა მიიჩნევა თანამედროვეობის მთავარ ანტაგონიზმად და, როგორც ზემოთაც ითქვა, მრავალი მეცნიერი ამას მიიჩნევს კაცობრიობის ძირითად საფრთხედ.

გლობალური სამხრეთი ანუ განვითარებადი სამყარო, თავისი შემადგენლობით, ძალიან რთული და განსხვავებულია. როგორც ჩანს, უკვე აღარ არის გამართლებული, მათი გაერთიანება ერთი სახელწოდებით – „მესამე სამყარო“ – მოიხსენიებოდეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამყაროებად დაყოფამ სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ აზრი დაკარგა, მეორეც, ამ ქვეყნების მიერ ეკონომიკური დამოუკიდებლობის „მესამე გზამ“, რომელიც არც კაპიტალისტური იქნებოდა და არც სოციალისტური, კრახი განიცადა, და სახელმწიფოთა უმრავლესობა საბაზრო ეკონომიკისაკენ შეტრიალდა; და მესამეც, თვით ამ სახელმწიფოებს შორის, ეკონომიკური თვალსაზრისით, იმხელა განსხვავებაა (შევადაროთ, მაგალითად, არგენტინა და ბურუნდი ანდა კატარი და ბურკინა-ფასო), რომ ერთ კატეგორიაში მათი მოქცევა ბევრ კითხვას აჩენს.

ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით, ცივი ომის დამთავრებამ ცოტა რამ თუ შეცვალა განვითარებად სამყაროში, ზოგიერთი სპეციალისტი კი თვლის, რომ მდგომაროება გაუარესდა კიდეც: ბევრ ქვეყანას მოაკლდა ის დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან იღებდნენ, გარდა ამისა, ისინი უფრო მეტად აღმოჩნდნენ დამოკიდებულნი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ამიტომ კაპიტალიზმის ტრიუმფს არ გამოუწვევია განვითარებადი სამყაროს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ათწლიანმა რეფორმებმა, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიურმა მოღვაწეობამ და მათმა რეკომენდაციებმა რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ ცნობილი პერუელი ეკონომისტის, ერნანდო დე სოტოს სიტყვებით, კაპიტალიზმის ტრიუმფი ჩრდილოეთში კაპიტალიზმის კრიზისად იქცა სამხრეთში. მან „იმუშავა“ მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებში, სხვაგან კი, ყველგან წარუმატებლად დამთავრდა და სრულიად სხვა, მახინჯი სახე მიიღო.

ასეთ პესიმისტურ შეხედულებას ბევრი არ იზიარებს. მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციის პროცესი დადებითად აისახა განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაზე: კერძოდ, თუ საუკუნეების მიჯნაზე ტროპიკულ აფრიკასთან ერთად მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონი სამხრეთი აზია იყო, ბოლო პერიოდში ამ რეგიონის (განსაკუთრებით კი, ინდოეთის) ეკონომიკურმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა სიღარიბის მაჩვენებელი. ამჯერად ამ რეგიონში ერთ მცხოვრებზე საშუალო შემოსავალი წელიწადში 6 ათას დოლარს აღწევს და ორჯერ

აღემატება ტროპიკული აფრიკის ანალოგიურ მაჩვენებელს მაშინ, როცა 2000 წლისთვის ეს სხვაობა უმნიშვნელო იყო. მართალია, მილიონობით ადამიანი ყოველწლიურად თავს აღწევს უკიდურეს სიღარიბეს, მაგრამ, მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო, მათი საერთო რაოდენობა მაინც არ მცირდება.

გლობალურ სამხრეთში ცივი ომის დამთავრების შემდეგ ერთ სულზე საშუალო შემოსავალი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 3 ათასიდან 8 ათას დოლარს მიაღწია (2024 წლისთვის), გლობალურ ჩრდილოეთში კი, იმავე პერიოდში 20 ათასიდან 40 ათასამდე გაიზარდა. ერთი შეხედვით, განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის იკლებს, რადგან ურთიერთშეფარდება 6.5-დან 5,0-მდე შემცირდა, მაგრამ, თუ აბსოლუტურ რიცხვებში განსხვავება იმხანად 17 ათასი დოლარი იყო, ახლა 32 ათასი დოლარია, და ძნელი სათქმელია, რეალურად უფსკრული განვითარებულ და განვითარებად სამყაროებს შორის მცირდება თუ ღრმავდება.

ფაქტია, რომ გლობალურ სამხრეთში მოსახლეობა იმ პრობლემების წინაშე დგას, რაც ჩრდილოეთში დიდი ხნის დაძლეულია: კერძოდ, განვითარებად სამყაროში მილიონობით ბავშვი მოკლებულია ელემენტარული განათლების და სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობას. ოთხიდან ერთ ბავშვს არ აქვს საკმარისი საკვები და უსაფრთხო სასმელი წყალი. კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა ზრდასრულ მოსახლეობაში. გლობალური ჩრდილოეთის, უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ფონდის დახმარების მიუხედავად, გლობალური სამხრეთის პრობლემა რჩება ერთ-ერთ უმთავრეს გლობალურ პრობლემად. ამის შედეგია ის ასეულ ათასობით არალეგალური მიგრანტი, რომლებიც ამ სამყაროდან აწყდება გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებს და სერიოზულ სიძნელეებს უქმნის მათ.

სამხრეთის ეკონომიკური სირთულეები ხშირად პოლიტიკური დაძაბულობის მიზეზი ხდება. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში პოლიტიკური ვითარება არასტაბილური და ფეთქებადსაშიშია, ხოლო ზოგან სამოქალაქო ომმა, კლანებს შორის დაპირისპირებამ, ეთნოკონფლიქტებმა სახელმწიფო, ფაქტობრივად, დაანგრია. ამას ემატება კორუფციის მაღალი დონე და მძიმე კრიმინალური მდგომარეობა, ნარკობიზნესი, ტერორიზმი და სხვა საშიში მოვლენები. მათი გავრცელების მასშტაბები სცდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს და, შესაბამისად, საერთაშორისო ანდა გლობალური პრობლემის სახეს იღებს, რაც კიდევ ერთ საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, პრობლემების გადაჭრის საბაბით გააძლიერონ თავიანთი გავლენა განვითარებად სამყაროში.

4.3. გლობალიზაცია და ცივი ომის შემდგომი წესრიგი

ნებისმიერი ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელია გარკვეული საერთაშორისო წესრიგი, რომელიც პოლიტიკურ ძალთა შორის წონასწორობის დაცვას და შესაბამისი საერთაშორისო სისტემის მდგრადობას უზრუნველყოფს. წესრიგის დარღვევა იწვევს ძალთა ბალანსის დარღვევას და სისტემის დაშლას. ცივი ომის საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის არსებობას უზრუნველყოფდა, 90-იანი წლების დამდეგს დაირღვა. დღევანდელი მსოფლიო ისტორიის ახალ ეტაპზეა და ახალი საერთაშორისო წესრიგის პირობებში უნდა ცხოვრობდეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა თავისებურებებით ხასიათდება ცივი ომის შემდგომი წესრიგი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელია, რადგან, ჯერ ერთი, ის ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა, და მეორეც, ჯერ კიდევ უცნობია, რა შედეგებს მოიტანს იგი. როცა ისტორიულად არსებული საერთაშორისო წესრიგების შეფასებას ცდილობენ, ჩვენთვის უკვე ცნობილია, როგორ ჩამოყალიბდა, რა სახე მიიღო, როგორ განვითარდა, როგორ დაინგრა და რა შედეგი მოჰყვა მათ. ამდენად, მათი ანალიზი და შეფასება სირთულეს არ წარმოადგენს. მათგან განსხვავებით, დღევანდელი ვითარების სრული გაანალიზება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ვარაუდების დონეზეღა მსჯელობენ.

ერთი, რაც შეიძლება ითქვას დღევანდელ მდგომარეობაზე, არის ის, რომ იგი საგრძნობლად განსხვავდება წინა ისტორიული პერიოდებისაგან, რაც საფუძველს აძლევს ზოგ მკვლევარს, დასვას კითხვა: არის თუ არა ცივი ომის შემდგომი წესრიგი საერთაშორისო წესრიგი? აქ მარტო ის არ იგულისხმება, საერთოდ თუ არის რაიმე წესრიგი საერთაშორისო არენაზე, არამედ უფრო ის, შეიძლება თუ არა დღევანდელ წესრიგს საერთაშორისო ეწოდოს? ადრე არსებული სხვადასხვა საერთაშორისო წესრიგი, ფაქტობრივად, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დამარეგულირებელი წესრიგი იყო და ძირითად მიზანს სახელმწიფოების უსაფრთხოება შეადგენდა. დღევანდელ სიტუაციაში, ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონის პირობებში, იგი უფრო პოზიტიური შინაარსის გახდა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ფუნქცია შეიძინა. ამას გარდა, საერთაშორისო სისტემის ძალზე მნიშვნელოვან და სულ უფრო მზარდ ელემენტებს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი მოძრაობები და ა. შ. ამდენად, ბევრის აზრით, სახელმწიფოები (ერები) აღარ არიან საერთაშორისო სისტემის არა თუ ერთადერთი, არამედ მთავარი ელემენტებიც

კი და, ამის გამო, საერთაშორისო პოლიტიკა – მსოფლიო პოლიტიკად, ხოლო საერთაშორისო წესრიგი მსოფლიო წესრიგად გარდაიქმნა.

რა ძირითადი განსხვავებაა საერთაშორისო წესრიგსა და მსოფლიო წესრიგს შორის?

საერთაშორისო წესრიგი გულისხმობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმატიულ და ინსტიტუციონალურ რეგულირებას, დამყარებულია სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და სამხედრო უსაფრთხოებაზე და გარანტირებულია საერთაშორისო სისტემაში არსებულ ძალთა წონასწორობით.

მსოფლიო წესრიგი უფრო ფართო კატეგორიაა და ემყარება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა სამართლიანობა, უფლებები, განვითარება, ემანსიპაცია. იგი გულისხმობს არა სახელმწიფოთაშორის წესრიგს, არამედ საზოგადოებრივ ინდივიდებს შორის წესრიგს და მისი დონის შეფასებას მთელი კაცობრიობისთვის.

ნიშნავს თუ არა გლობალიზებული წესრიგი მსოფლიო წესრიგს, საკამათო საკითხია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. კიდევ უფრო ძნელი გასარკვევია, მიეკუთვნება ცივი ომის შემდგომი წესრიგი მსოფლიო ან გლობალიზებულ წესრიგს, თუ საერთაშორისო წესრიგის ახალი მოდელია?

საკითხს ართულებს პრობლემათა გაურკვევლობა და ბუნდოვანება. რეალისტური თვალსაზრისით, გარუკვეველია, რას წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, ის უნიპოლარულია, მულტიპოლარული თუ უნივერსალური? ლიბერალური თვალსაზრისით, პრობლემა ისაა, რამდენად არის მიახლოებული თანამედროვე მსოფლიო გლობალურ მმართველობას ანუ რა დონეზე ხდება გლობალური რეგულირების ინსტიტუციური და ნორმატიული ელემენტების (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება და სხვ.) ფუნქციონირება და რამდენად არის მიღწეული ადამიანის ემანსიპაცია და მისი უფლებების დაცვა?

დაბოლოს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გლობალიზაციის პროცესის გავლენა საერთაშორისო თუ მსოფლიო წესრიგზე. შესაძლებელია თუ არა ვილაპარაკოთ გლობალიზებულ წესრიგზე, როგორც გამოკვეთილ პოლიტიკურ ფორმაზე, და ხომ არ ყალიბდება დასავლეთის ქვეყნების კონგლომერატიდან ერთიანი „გლობალური სახელმწიფო?“

4.3.1. თანამედროვე წესრიგის ელემენტები

ცივი ომის შემდგომი წესრიგისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი თავისებურება, რომლის ძირითადი ელემენტებიც ასეთია:

ა) **„სოციალურ“ სახელმწიფოთა სისტემა**. თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა სოციალურია იმ თვალსაზრისით, რომ, აქამდე არსებული პერიოდებისაგან განსხვავებით, დღეს სახელმწიფო უამრავ სოციალურ ფუნქციას ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა წარმატებით ართმევს თავს ამ ფუნქციას, იგი მაინც ძირითადი ფუნქცია ხდება და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ზრუნვა ხელისუფლების მთავარ ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, სისტემა „სოციალური“ გახდა იმიტომაც, რომ, სამხედრო მეტოქეობის ნაცვლად, ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურების განვითარებაში და ეფექტურობაში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო სულ უფრო მეტად თმობს ზოგიერთ ბერკეტს და ნებას რთავს სხვადასხვა საზოგადოებრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, ჩაერიონ იმ საქმეებში, რაც ადრე ცალსახად შინაურ საქმედ მიიჩნეოდა (ადამიანის უფლებების დაცვა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების პრობლემა და ა.შ.). მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და სტაბილური განვითარების მიზნით, სახელმწიფო ხშირად მზად არის, დათმოს სუვერენიტეტის რაღაც ნაწილიც კი (მაგ., ევროკავშირის ქვეყნები).

ბ) **იდენტურობა და ერი-სახელმწიფო**. 90-იან წლებში მკვეთრად გამოიხატა იდენტურობის პრობლემა. იგი, ძირითადად, ნაციონალიზმის თანამედროვე ფორმებითაა წარმოდგენილი და გაურკვეველია, ეს „ახალი ნაციონალიზმია“, თუ ადრე არსებულისკენ დაბრუნება. პრობლემას ართულებს ის შეუთავსებლობა, რომელიც, ერთი მხრივ, გლობალიზაციას, ტრანსნაციონალიზაციასა და ახალ სოციალურ მოძრაობას ახასიათებს, მეორე მხრივ კი, ეთნიკურ სეპარატიზმს, ტრაიბალიზმს, და ირედენტიზმს. ცალსახად იმის თქმა, რომ რომელიმე მათგანი ისტორიული ატავიზმია, სწორი არ იქნებოდა. იდენტურობის პოლიტიკა მესამე ათასწლეულის დასაწყისში დიდ გავლენას ახდენს და სვამს საკითხს მოქალაქეობის ბუნების შესახებ: ვინ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მოქალაქე. ამასთან, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ აღნიშნული პრობლემები მხოლოდ ახლა წარმოიშვა. ცივი ომის პერიოდშიც განვითარებადი ქვეყნების მრავალი წინააღმდეგობა დასავლეთთან ურთიერთობისას საკუთარი იდენტობის დაცვას ისახავდა მიზნად. ირანის რევოლუციაც ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

გ) **პოლარულობა და უსაფრთხოების კოლექტივიზაცია**. თანამედროვე, უსაფრთხოების წესრიგისათვის, პირველ ყოვლისა, დამახასიათებელია გარკვეული უნიპოლარულობა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებული როლით გამოიხატება, რომელიც, ფაქტობრივად, მთავარ „წესრიგის დამამყარებლად“ მოევლინა დღევანდელ მსოფლიოს. ამას გარდა, ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენციაა უშიშროების „კოლექტივიზაცია“. იგი არ ნიშნავს კოლექტიურ უსაფრთხოებას, რაც ადრეც გვხვდებოდა, არამედ მულტილატერილიზმის (საერთაშორისო ურთიერთობის ფუნქციონალურ ასპექტებში არსებული ტენდენცია, რომელიც უსაფრთხოების, ვაჭრობის ან გარემოს დაცვის სფეროში, უნივერსალურ, სახელმწიფოთა დიდი რაოდენობის ორგანიზებას და ერთობლივ მოქმედებას გულისხმობს) გამოვლინებაა. უსაფრთხოების კოლექტივიზაცია კოალიციებისა და მშვიდობის დამცველთა საერთო ჯგუფების შექმნას და ინტერვენციის მოწყობას თუ არიდებას ითვალისწინებს.

დ) **წარმოების ორგანიზაცია და გაცვლა**. დღევანდელი წესრიგის კიდევ ერთი გამოვლინებაა თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია. ამ სფეროში წესრიგი გულისხმობს სავაჭრო და საფინანსო სისტემების უსაფრთხოებას. თანამედროვე ეკონომიკური წესრიგი, მნიშვნელოვანწილად, კონტროლდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ეკონომიკური წესრიგი ღრმად შეიჭრა სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებშიც. პროდუქციის „ინტერნაციონალიზაციის“ (სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთქმედების უკიდურესად მაღალი დონე) სრული შეფასება შესაძლებელია, როცა გათვალისწინებული იქნება ისეთი ასპექტებიც, როგორებიცაა სამხედრო ნაწარმი, გარემოს დაცვა, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანთა უფლებები, გენდერული უთანასწორობა ეკონომიკასა და განვითარებაში და სხვ.

ე) **მულტილატერალური მართვა და მმართველობა**. ცივი ომის შემდგომი წესრიგის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო მმართველობითი ორგანოების (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები) სიმრავლე. მეტწილად, ისინი განსაზღვრავენ თანამედროვე ცხოვრების მრავალ ასპექტს, კერძოდ, სამართლებრივ (ადამიანის უფლებები, სამხედრო დანაშაული), ეკოლოგიურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. მათი მოღვაწეობის გააქტიურება და ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიო ნელ-ნელა მიემართება საერთაშორისო

მმართველობისაკენ. მაგრამ დღევანდელი რეჟიმები ცალკეულ რეგიონებში ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ზოგან სერიოზულ პრობლემებს იწვევს. ბევრი მათგანი საერთაშორისო ორგანიზაციებს დასავლეთის ექსპანსიად აღიქვამს.

ვ) **რეგიონალიზმი.** თანამედროვე რეგიონალიზმი დღევანდელი წესრიგის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა. იგი წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური (სავაჭრო რეგიონები), ისე თავდაცვითი (ნატო) და კულტურული ფორმებით. რეგიონალიზმის ინტენსიფიკაცია ორი ტენდენციის მახასიათებელია. ერთი იმას მიუთითებს, რომ, რადგან რეგიონთა დიდ რიცხვს სჭირდება რეგიონული ინსტიტუციების განვითარება, ეს გლობალიზაციის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, მეორე კი – პირიქით, რეგიონული სტრუქტურების განვითარებას გლობალიზაციის საწინააღმდეგო ფენომენად აღიქვამს, რადგან მიიჩნევს, რომ ეს პროცესი მსოფლიოს რეგიონებად დაყოფას უწყობს ხელს. ცალკეული რეგიონები „ზესახელმწიფოთა“ მსგავს ერთობებად შეიძლება ჩამოყალიბდესნ, რაც ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებას.

ზ) **ლიბერალური სამართლის წესრიგი**. ცივი ომის დამთავრების შემდგომი პერიოდის წესრიგს შეიძლება ლიბერალური სამართლის წესრიგი ეწოდოს. ეს ცნება გულისხმობს კლასიკური ლიბერალიზმიდან, როგორც დასავლურ შეხედულებათაგან მომდინარე, ადამიანთა უფლებების მთელ სისტემას. სწორედ ადამიანთა უფლებების (დასავლური ღირებულებების მიხედვით) დაცვის პოზიციიდან ინერგება ახალი სამართლებრივი ნორმები სხვადასხვა ქვეყანაში, რაც, დემოკრატიზაციის პარალელურად, წინააღმდეგობის ზრდასაც იწვევს, ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის არსებულ წესრიგს.

თ) **ორი მსოფლიო წესრიგი**. თანამედროვეობის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა იმ განსხვავების განუხრელი გაღრმავება, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებობს. ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად ბირთვი და პერიფერია იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ისეთი განსხვავებული წესებით იმართება, რომ ზოგი მკვლევრისათვის შეუძლებელია რაიმე ერთიან მსოფლიო წესრიგზე საუბარი. არსებობს, ერთი მხრივ, ჩრდილოეთის ანუ ბირთვის წესრიგი და, მეორე მხრივ, სამხრეთის ანუ პერიფერიის წესრიგი (ამჯერად უმნიშვნელოა, რომ ჩრდილოეთიცა და სამხრეთიც არაერთგვაროვანია და თითოეულ მათგანში სხვადასხვა სტრუქტურაა). ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის და რამდენიმე მსოფლიო წესრიგს გამოყოფს. არიან ისეთებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფენ რაიმე წესრიგის არსებობას ცივი ომის

შემდგომ მსოფლიოში. დაბოლოს, ძალიან ცოტა ვინმე თუ შეეცადა, გაერკვია გლობალიზაციის როლი თანამედროვე წესრიგის ფორმირებასა თუ დაშლაში.

4.3.2. გლობალიზებული მსოფლიო წესრიგი თუ წესრიგი გლობალიზებულ ქვეყნებს შორის?

საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი გლობალიზაციის შედეგია და საერთაშორისოდან მსოფლიო წესრიგად გარდაქმნის პროცესშია, ხოლო მომავალში საერთოდ ახალი გლობალიზებული წესრიგი დამყარდება. ეს მოსაზრება, გარკვეულწილად, იქიდან გამომდინარეობს, რომ, ბევრი მკვლევრის აზრით, თვითონ გლობალიზაცია ცივი ომის დამთავრების შედეგია. ერთი შეხედვით, ეს ასეცაა, რადგან გლობალიზაციის პროცესს და მის საყოველთაო გავრცელებას სწორედ ე. წ. მეორე სამყარო ანუ სოციალისტური ქვეყნები უშლიდნენ ხელს. მხოლოდ ცივი ომის შედეგმა – სოციალისტური სისტემის კრახმა და ამ ქვეყნების გახსნამ მსოფლიო ბაზრისათვის გახადა შესაძლებელი ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შექმნა და ერთიანი გლობალური ფინანსური წესრიგის ჩამოყალიბება, სადაც მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს განუსაზღვრელი გავლენა აქვთ.

მაგრამ გლობალიზაციის მიჩნევა მხოლოდ ცივი ომის დამთავრების შედეგად საფუძველს მოკლებულია. იან კლარკი (Clark 1997) თვლის, რომ თვითონ გლობალიზაცია გახდა ცივი ომის დამთავრების მიზეზი, რადგან გლობალიზაციის პროცესისაგან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გვერდზე გადგომამ გამოიწვია ამ ქვეყნების უიმედო ეკონომიკური ჩამორჩენა, ცივ ომში მათი დამარცხების მიზეზიც ეს გახდა.

აქედან გამომდინარეობს, რომ გლობალიზაცია უწყვეტი დამაკავშირებელი პროცესია ცივი ომის წესრიგსა და ცივი ომის შემდგომ წესრიგს შორის. ასე რომ, ეს უკანასკნელი არ არის სრულიად ახალი მოვლენა. ამიტომ არასწორია გლობალიზაციის მიჩნევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გარეგნულ გამოხატულებად; როგორც ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, ის შეუძლებელია მივიჩნიოთ მხოლოდ XX საუკუნის დასასრულის ფენომენად.

ცხადია, ასეთ მოსაზრებას ყველა არ ეთანხმება. ძალიან ბევრი ავტორი გლობალიზაციას სწორედ თანამედროვეობის ნაყოფად, ცივი ომის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს, არ უარყოფს მსგავს პროცესს წარ-

სულშიც, მაგრამ გლობალიზაციის სახელით მისი მოხსენიება გაუმართლებლად მიაჩნია. თანამედროვე გლობალიზაციის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ადრე არსებული მსგავსი პროცესებისაგან ისაა, რომ იგი ერთმანეთთან დაპირისპირებულ ფასეულობებს აერთიანებს და სახელმწიფოსა და საზოგადოების კონტროლს მიღმაა. ჩვენ გლობალიზაციის ობიექტები ვართ და არა – სუბიექტები.

მიუხედავად საერთაშორისო წესრიგში გლობალიზაციის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, იგი არ განსაზღვრავს წესრიგის ყველა პირობას. გლობალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წესრიგის საფუძველი, თუ შეცვლიდა ყველა იმ ელემენტს, რაც ტრადიციულ წესრიგს ახასიათებს. რეალურად ეს შეუძლებელია. ამიტომ პასუხი კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა მსოფლიო წესრიგის გლობალიზაცია და რას უნდა წარმოადგენდეს გლობალიზებული მსოფლიო წესრიგის საბოლოო სურათი, საკამათო და ძნელად განსასაზღვრია.

გლობალიზაციას ხშირად მიიჩნევენ ურთიერთდამოკიდებულების უკიდურეს ფორმად, როცა ქვეყნები იმდენად არიან დამოკიდებული ერთმანეთსა და საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე, რომ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. ამ შემთხვევაში ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები, ახლა გაცილებით სუსტები არიან, ვიდრე – გლობალიზაციამდე, ხოლო, ზოგის აზრით, სახელმწიფო, როგორც ასეთი, „მოძველდა“. შესაბამისად, საერთაშორისო წესრიგის იდეა აღარ შეესაბამება თანამედროვეობას.

იან კლარკი (Clark 1997) ასეთი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ აყენებს გლობალიზაციის ისეთ გაგებას, რომლის თანახმადაც, ეს პროცესი თვით სახელმწიფოს ბუნების, მისი არსის ცვლილებაა, და შემოაქვს გლობალიზებული ქვეყნის კონცეფცია. გლობალიზებული სახელმწიფო არის გლობალური მმართველობის, ტრანსნაციონალური კორპორაციების, გლობალური უსაფრთხოების სისტემის და გლობალური სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურული ელემენტი. ამრიგად, სახელმწიფო იცვლის თავის შინაარსს, იგი აღარ არის აბსოლუტურად სუვერენული ერთეული, მაგრამ რჩება საერთაშორისო წესრიგის მთავარ ელემენტად.

ამ შემთხვევაში არ არის წინააღმდეგობა სახელმწიფოთა სისტემის წესებსა და ნორმებსა და გლობალიზებული სახელმწიფოს არსებობას შორის. ასეთი საერთაშორისო წესრიგის პირობებში სახელმწიფოებს განსხვავებული ბუნება და ფუნქციები ექნებათ. კერძოდ, სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები ძირეულად იცვლება, რაც ახალ წესრიგთან ადაპტაციის სიმპტომად უნდა მივიჩნიოთ.

თავი 5. საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო სამართალი

5.1. გლობალიზაცია და ინტეგრაცია

5.1.1. ინტეგრაციის ზოგადი ნიშნები

გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი **ინტეგრაციაა.** ყველაზე უფრო ზოგადი სახით ინტეგრაცია ელემენტების გაერთიანების პროცესია, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ტერმინით აღინიშნება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესი, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებს ერთიან საზოგადოებრივ ჩარჩოში აქცევს საერთო მიზნების მისაღწევად.

ინტეგრაციის როლი გლობალიზაციის პროცესში იმდენად დიდია, რომ ზოგი მკვლევარი ამ ცნებებს იდენტურად მიიჩნევს. თუმცა, ზემოთ უკვე ითქვა, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. გლობალიზაცია ერთიანი და განუყოფელი პროცესია, რომელიც მიმართულია განსხვავებების ნიველირებისა და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ფორმირებისკენ, ინტეგრაცია კი სხვადასხვა ელემენტის (სახელმწიფოები, ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯგუფები) ურთიერთკავშირის ინტენსიფიკაციას და დაახლოებას ნიშნავს: აქ ელემენტების იდენტობა შენარჩუნებულია. ამდენად, ინტეგრაცია გლობალიზაციის ერთ-ერთი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანია, ურომლისოდაც გლობალიზაციის პროცესი წარმოუდგენელია.

ინტეგრაციის პროცესი ახალი არ არის. ორ საუკუნეზე მეტია, რაც პირველი ისეთი ორგანიზაციები შეიქმნა, რომელთა მიზანიც გარკვეული პრობლემების ერთიანი ძალისხმევით გადაჭრა იყო. ამდენად, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო) შექმნა და ფუნქციონირება ინტეგრაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა აღვიქვათ. მაგრამ ეს პროცესი გლობალიზაციის ერაში თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის. როგორც უკვე ვთქვით, ინტეგრაციის პროცესში მონაწილე ერთეულების ინდივიდუალობა და თვითმყოფადობა შენარჩუნებულია და, თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერესი ან მისი რომელიმე გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მისი წევრი ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესებს, სახელმწიფო, როგორც წესი, თავის ეროვნულ ინტერესს უფრო მაღლა აყენებს ორგანიზაციის ინტერესზე და მის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება. გლობალიზაციამ კი მოიტანა გარკვეული ცვლილება: ევროკავშირის სახით გვაქვს ორგანიზაცია, რომელსაც მისი წევრების სახელმწიფო ძალაუფლება და

ეროვნული ინტერესები ექვემდებარება. ასეთ ორგანიზაციებს ცალსახად საერთაშორისოს ვერ ვუწოდებთ, რადგან ისინი **ზესახელმწიფოებრივ და სუპრანაციონალურ** ელემენტებსაც უხვად შეიცავს.

ნაციონალიზმსია და გლობალიზაციის დაპირისპირებაზე მეშვიდე თავში იქნება საუბარი. სუპრანაციონალიზმი, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინება, ცხადია, ეწინააღმდეგება ნაციონალიზმს. ამის ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო **ბრექსიტი** ანუ დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება 2016 წლის საყოველთაო რეფერენდუმით. მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ბრიტანეთის გამოსვლას ამ ორგანიზაციიდან, ჩათვალა რა, რომ ის კანონები და ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობს ევროკავშირი და რომელთა შესრულებაც სავალდებულოა წევრი ქვეყნისთვის, ეწინააღმდეგებოდა დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ინტერესებს.

მიუხედავად აღნიშნული შემთხვევისა, ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადი ხასიათისაა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველწლიური ზრდით გამოიხატება. ლიბერალი მოაზროვნეები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ასე რომ, ინტეგრაცია ბუნებრივი პროცესია და, რაც უფრო დაიხვეწება ადამიანი, უფრო განათლებული და შეგნებული გახდება, ინტეგრაციის პროცესიც უფრო ინტენსიურად განვითარდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ

მარტო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა 2025 წლისთვის 75 ათასზე მეტია.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ფუნქციურად შეიძლება იყოს მრავალპროფილური (მაგ., „გადაარჩინე ბავშვები!“ ან „World Vision International”), ჯანდაცვის („ექიმები საზღვრების გარეშე“), ჰუმანიტარული („წითელი ჯვარი“), ახალგაზრდული („სკაუტების მოძრაობა“) ადამიანის უფლებების დაცვის („Amnesty International“, „Human Right Watch“), სპორტული (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ფიფა), ბუნების დაცვის („Greenpeace“, „World Wide Fund“) და სხვ. ისინი სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრება და სახელმწიფოთა საქმიანობა, მნიშვნელოვანწილად, განისაზღვრება არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენით, რაც გლობალიზაციის თანამდევი მოვლენაა.

ინტეგრაციის პროცესის კიდევ ერთი დადასტურებაა ტრანსნაციონალური კორპორაციების მზარდი გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ საკითხს ეკონომიკის გლობალიზაციის თავში შევეხეთ. ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით და ყურადღებას სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებზე გავამახვილებთ.

5.1.2. სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები

საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ გლობალიზაციის ერაში სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების არათუ ერთადერთ, არამედ მთავარ აქტორსაც კი, და ახლა საერთაშორისო ორგანიზაციებს მათზე დიდი როლი აკისრიათ. 2025 წლისთვის მსოფლიოში 300-ზე მეტი სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია იყო. ცხადია, ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, გავლენის, ფუნქციების და მოქმედების არეალის მიხედვით. ამ უკანასკნელი კრიტერიუმის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ გლობალური, რეგიონული და ლოკალური მასშტაბის, ფუნქციების მიხედვით კი – უნივერსალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ.

გლობალური და უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის მაგალითია გაერო, ხოლო რეგიონული უნივერსალურისა – ევროკავშირი. მათ ჩვენ ცალკე განვიხილავთ შემდეგ ქვეთავებში. ახლა კი ყურადღებას გავამახვილებთ სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებზე.

ევროპის საბჭო. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია. შედგება ევროპის 46 ანუ, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოსგან, გარდა რუსეთისა, რომელსაც წევრობა შეუჩერდა 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო, და ბელარუსისა – რუსეთის აქტიური მხარდაჭერისთვის. მეორე მიზეზი იყო ამ ორ ქვეყანაში ანტიდემოკრატიული მმართველობა და ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევები.

ევროპის საბჭოს მიზანია ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის დაცვა, ევროპული კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება და ევროპის წინაშე მდგარი პრობლემების (უმცირესობების დისკრიმინაცია, არატოლერანტულობა, ეკოლოგიური პრობლემები, არალეგალური მიგრაცია, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი და ა.შ.) გადაჭრისათვის ერთობლივი ბრძოლა.

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წელს დასავლეთ ევროპის 10 ქვეყნისაგან. მათი რიცხვი მუდმივად იზრდებოდა იმ სახელმწიფოების ხარჯზე, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ საბჭოს მოთხოვნებს. გასაგებია, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები ამ ორგანიზაციის წევრები მხოლოდ კომუნიტური რეჟიმის დამხობის შემდეგ გახდნენ. საქართველო ევროპის საბჭოს შეუერთდა 1999 წლის 27 აპრილს (გავიხსენოთ ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვები: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“). თუმცა 2024-25 წლებში საქართველოში მიღებული არადემოკრატიულ კანონთა და ევროპული გზიდან გადახვევის გამო, ევროპის

საბჭოს კრიტიკის საპასუხოდ, საქართველომ შეაჩერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობა.

ევროპის საბჭოს შტაბ-ბინა მდებარეობს სტრასბურგში.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია. რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია. აერთიანებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 34 სახელმწიფოს. შეიქმნა 1948 წელს 1889 წლიდან არსებულ პანამერიკულ კავშირის ბაზაზე. ორგანიზაციის მიზანია, უზრუნველყოს ამერიკის ქვეყნების მშვიდობა და სტაბილური განვითარება. ამ მიზნის ეფექტურად განხორციელებისთვის ორგანიზაცია ეყრდნობა ოთხ მთავარ მიმართულებას: დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, უსაფრთხოებას და განვითარებას.

1962 წელს კუბა გარიცხეს ორგანიზაციიდან. 2009 წელს ამ ორგანიზაციის უმაღლესმა ორგანომ, გენერალურმა ასამბლეამ, გააუქმა ეს გადაწყვეტილება, თუმცა კუბამ უარი თქვა, დაბრუნებულიყო მის წევრად. 2019 წელს ვენესუელის პრეზიდენტმა, მადურომ, გამოაცხადა ქვეყნის გასვლა ამ ორგანიზაციის შემადგენლობიდან, მაგრამ ვენესუელის ეროვნულმა ასამბლეამ ეს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა. 2021 წელს ორგანიზაცია დატოვა ნიკარაგუამ.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში.

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია. უნივერსალური რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოებს. ორგანიზაციის ისტორია იწყება 1959 წლიდან, როცა დასავლეთ აფრიკის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ლიბერიის, განის და გვინეის – ლიდერებმა მხარი დაუჭირეს აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მრავალპროფილური ორგანიზაციის შექმნას, ოფიციალურად კი, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია დაფუძნდა 1963 წლის 25 მაისს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, რომელიც ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინად გამოცხადდა.

ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრები იყვნენ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები (იმ დროისათვის – სულ 34), შემდეგ წლებში კი, კონტინენტის ყველა ქვეყანა, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ამ ორგანიზაციის წევრი გახდა. 2025 წლისთვის მათი რიცხვი 53-ს უდრიდა. 1984 წელს მაროკომ ორგანიზაცია დატოვა იმის ნიშნად, რომ ორგანიზაციის წევრად მიიღეს დასავლეთი საჰარა, რომელიც 1976 წელს მაროკომ შეიერთა და თავის ნაწილად მიაჩნია. თუმცა 2017 წელს მაროკო კვლავ დაუბრუნდა ამ ორგანიზაციას.

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მიზანია, განამტკიცოს კონტინენტის სახელმწიფოთა ერთიანობა და ურთიერთსოლიდარობა,

მათი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. ორგანიზაციის მთავარი ორგანოა სახელმწიფოს და მთავრომის მეთაურთა ასამბლეა, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც იკრიბება და მინისტრთა საბჭო (იკრიბება წელიწადში ორჯერ). თითოეულ ქვეყანას ერთი ხმა აქვს. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას მხარს დაუჭერს წევრთა 2/3. ასამბლეა ირჩევს მუდმივმოქმედ ორგანოს, გენერალურ სამდივნოს, და ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ). უნივერსალური რეგიონული სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია. საფუძველი ჩაეყარა 1991 წლის 8 დეკემბერს, როცა მინსკის მახლობლად, ბელოვეჟის ტყეში რუსეთის, უკრაინის და ბელარუსის საბჭოთა რესპუბლიების ლიდერებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას: ეს რესპუბლიკები, როგორც საბჭოთა კავშირის დამფუძნებელი სუბიექტები, ტოვებდნე საბჭოთა კავშირის შემადგენლობას და ცხადდებოდნენ სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ატის სამიტზე თერთმეტმა საბჭოთა რესპუბლიკამ (აღნიშნულ სამ რესპუბლიკას დაემატნენ მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი) გამოაცხადა საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, გაუქმება და მისი შემადგენელი რესპუბლიკების სრული სუვერენიტეტი (ბალტიის სამი რესპუბლიკა ამ დროისთვის უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ხოლო საქართველო ამ ხელშეკრულებას არ შეერთებია).

დსთ-ს მიზანი იყო, დაერეგულირებინა ურთიერთობები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და ხელი შეეწყო თანამშრომლობისათვის პოლიტიკის, სამხედრო, ეკონომიკის და კულტურის საკითხებში. თუმცა, დრომ აჩვენა, რომ რუსეთი ამ ორგანიზაციას იყენებს თავისი ინტერესების განხორციელების შესაბამისად, რომლის საბოლოო მიზანიც ახალი ერთიანი სახელმწიფოს შექმნაა. ამის მაგალითია მისი პოლიტიკა იმ რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც ისწრაფვიან ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ. ამ მიზნით, ის შეიარაღებულ აგრესიასაც არ მორიდებია. 2008 წელს მან განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ (რომელიც, 1993 წელს აფხაზეთში რუსეთთან განცდილი მარცხის გამო, იძულებული გახდა, შესულიყო დსთ-ში) და მის მიერვე ადრე ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი, „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ცნო. ამის საპასუხოდ, საქართველომ 2009 წელს დატოვა დსთ. 2014 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა უკრაინამ – რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ოკუპაციის პასუხად.

2006 წელს თურქმენეთმა, ნეიტრალიტეტის გამოცხადების გამო, შეიცვალა სტატუსი და ასოცირებულ წევრად დარეგისტრირდა. ასე რომ, 2025 წლისთვის დსთ 9 წევრისაგან შედგებოდა. თუმცა, მოსალოდნელია, დსთ დატოვოს მოლდოვამაც. არ არის გამორიცხული, მსგავსი ნაბიჯი გადადგან სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

დსთ-ს ავტონომიური ორგანოებია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (კუხო), რომელიც აერთიანებს რუსეთს, ბელარუსს, სომხეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს და ტაჯიკეთს) და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (იგივე ქვეყნები, ტაჯიკეთის გამოკლებით).

დსთ-ს მუდმივმოქმედი ორგანოა სამდივნო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით, რომლის შტაბ-ბინაც მინსკშია. უმაღლესი ხელმძღვანელი პირებია სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავრობის მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე. ამ პოსტებს იკავებენ იმ რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, რომელიც როტაციით, ერთი წლის ვადით, არის დსთ-ს თავმჯდომარე ქვეყანა.

ეუთო (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია). – უდიდესი რეგიონული, პოლიტიკური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანიც უსაფრთხოების დაცვაა. აერთიანებს 57 სახელმწიფოს. ორგანიზაციის წევრია ევროპის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, აშშ, კანადა და მონღოლეთი. გარდა ამისა, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ხმელთაშუაზღვისპირა 6 და აზია-ოკეანეთის 5 სახელმწიფოს აქვთ პარტნიორი სახეელმწიფოს სტატუსი. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ვენაში.

ეუთოს ისტორია 60-იანი წლების მიწურულიდან იწყება. რამდენიმე მოსამზადებელი შეხვედრის შემდეგ 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკიში გაიმართა ევროპის 33 ქვეყნის, აშშ-ის და კანადის პოლიტიკური ლიდერების სამიტი (ჰელსინკის კონფერენცია): ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ხელმომწერ ქვეყანათა თანამშრომლობას პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში (აღიარეს ევროპის ქვეყნებს შორის მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებული საზღვრების ურღვევობის პრინციპი), კავშირის გაღრმავებას ეკონომიკასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში და თანამშრომლობას ჰუმანიტარულ საკითხებში (მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვაში). ამას მოჰყვა რამდენიმე შეხვედრა უმაღლეს დონეზე 1978-1994 წლებში. საბოლოო შედეგი იყო 1995 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის გარდაქმნა მუდმივმოქმედ საერთაშორისო ორგანოდ – ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციად (ეუთო).

ეუთოს უმაღლესი ორგანოებია სამიტი ანუ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა, რომელიც იმართება რამდენიმე წელში ერთხელ, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო (იკრიბება ყოველწლიურად), მუდმივმოქმედი საბჭო, რომლის ხელმძღვანელიც ერთი წლის ვადით ხდება თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, გენერალური მდივანი (ირჩევა 6 წლის ვადით) და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა.

ბისეკი (შავი ზღვის ეკონომიკური თნამშრომლობის ორგანიზაცია), რეგიონული ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1992 წელს. აერთიანებს შავი ზღვის აუზის და მიმდებარე ტერიტორიების 13 სახელმწიფოს და 14 დამკვირვებელ ქვეყანას. მიზნად ისახავს რეგიონის ქვეყანათა ეკონომიკური ურთიერთკავშირის გაღრმავებას, სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობის ხელშეწყობას, კულტურული ურთიერთობების წახალისებას, აგრეთვე – მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. თუმცა ამ უკანასკნელ მიზანზე ლაპარაკი კურიოზულად ჟღერს, როცა ორგანიზაციის წევრმა ქვეყანამ, რუსეთმა, ფართომასშტაბიანი ომები აწარმოა ამავე ორგანიზაციის წევრ ორ ქვეყანასთან – საქართველოსთან 2008 წელს და უკრაინასთან (2014 წლიდან) და ამ ქვეყნების ტერიტორიების ნაწილი აქვს ოკუპირებული. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს სტამბულში.

არაბული ქვეყნების ლიგა. უნივერსალური რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1945 წელს. აერთიანებს ყველა (18) არაბულ სახელმწიფოს, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას და კიდევ – სამ არაარაბულ ქვეყანას (სომალი, ჯიბუტი, კომორები), სადაც არაბულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს. ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების საერთო ფართობია 13, 5 მილიონი კვ. კმ. მოსახლეობა თითქმის 400 მილიონია. რეგიონში თავმოყრილია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტი.

არაბული ქვეყნების მიზანია, ხელი შეუწყოს მჭიდრო პოლიტიკური კავშირის გაღრმავებას და არაბული ქვეყნების უსაფრთხოების განმტკიცებას. ეს მიზანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელთან კონფლიქტის გამო, და ყველა არაბულ ქვეყანას ევალებოდა, ერთიანი პოლიტიკით ემოქმედა (კერძოდ, ისრაელის სახელმწიფოს არცნობა და მასთან მოლაპარაკებისა და სეპარატული ზავის დადების გამორიცხვა). როცა1979 წელს ეგვიპტემ დაარღვია ეს პირობა, ცნო ისრაელი, დადო მასთან ზავი და ამგვარად დაიბრუნა ისრაელის მიერ ოკუპირებული სინას ნახევარკუნძული, ის ლიგიდან გარიცხეს. თუმცა მოგვიანებით დაბრუნდა ორგანიზაციაში. 2025 წლისთვის ისრაელის სახელმწიფოს, ეგვიპტის გარდა, ცნობდნენ იორდანია, არაბთა გაერთიანებული საე-

მიროები, ბაჰრეინი, მაროკო და სუდანი (ამ უკანასკნელის პარლამენტს არ მოუხდენია ხელშეკრულების რატიფიკაცია).

გარდა პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხებისა, არაბული ქვეყნების ლიგის ამოცანაა წევრი ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთკავშირის ინტენსიფიკაცია, პანარაბიზმისა და არაბული ერთობის იდეების გავრცელება, ერთიანი არაბული თვითშეგნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ხელშემშლელი ფაქტორებია პოლიტიკური რეჟიმების არაერთგვაროვნება (საპარლამენტო რესპუბლიკებიდან – აბსოლუტურ მონარქიამდე) და უკიდურესი ეკონომიკური უთანასწოროობა. ლიგის წევრები არიან როგორც მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოები (კატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბაჰრეინი, კუვეიტი), ისე – უღარიბესი ქვეყნები (იემენი, სომალი, ჯიბუტი, კომორები).

არაბული ქვეყნების ლიგის შტაბ-ბინა მდებარეობს კაიროში.

ასეანი (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია ASEAN**).** ერთ-ერთი წარმატებული რეგიონული უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1967 წელს. აერთიანებს სამხრეთ-ღმოსავლეთ აზიის 10 ქვეყანას. კიდევ ორ ქვეყანას, აღმოსავლეთ ტიმორს და პაპუა ახალ გვინეას, აქვს დამკვირვებლის სტატუსი; მათ მოიაზრებენ მომავალ წევრებად. შტაბ-ბინა მდებარეობს ჯაკარტაში.

ასეანის შექმნის მიზანი იყო, ხელი შეეწყო რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავებისთვის, უზრუნველეყო მშვიდობა, უსაფრთხოება და არ დაეშვა კონფლიქტი წევრებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ დასახულ მიზნებს ორგანიზაცია წარმატებით ასრულებს. მნიშვნელოვანი პროგრესია ეკონომიკაში. ადრე ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნები თანდათანობით ინდუსტრიულ, განვითარებული მრეწველობის ქვეყნები გახდნენ. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რეგიონის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა.

ასეანის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა სამიტი, რომელიც იმართება წელიწადში ორჯერ. წელიწადში რამდენიმე შეხვედრა აქვთ საგარეო საქმეთა მინისტრებს. ყოველწლიურად იმართება სხვა სამინისტროების (ეკონომიკის, ფინანსთა, ჯანმრთელოს დაცვის) ხელმძღვანელთა შეხვედრებიც. ასეანის თავმჯდომარე ქვეყანა ირჩევა ერთი წლის ვადით, ინგლისური ანბანის თანმიმდევრობით. მუდმივმოქმედი ორგანია სამდივნო, გენერალური მდივნით სათავეში, რომელსაც ხუთი წლის ვადით ირჩევენ.

ოპეკი (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია – OPEC**).** გლობალური ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1960 წელს ბაღდადის ხელშეკრულებით, ხუთი ნავთობმომპოვებელი

ქვეყნის (ერაყი, ირანი, საუდის არაბეთი, კუვეიტი და ვენესუელა) მიერ. ამჟამად აერთიანებს 12 წევრს. გარდა აღნიშნული ქვეყნებისა, ორგანიზაციის წევრები არიან არაბთა გაერთიანებული საემიროები, ლიბია, ალჟირი, ნიგერია, გაბონი, ეკვატორული გვინეა და კონგოს რესპუბლიკა. შტაბ-ბინა მდებარეობს ვენაში.

ოპეკის წევრი ქვეყნები ფლობენ ნავთობის მსოფლიო მარაგის 2/3-ს, ხოლო ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში მათი წილი შეადგენს 38%-ს. ოპეკის მიზანია წევრ სახელმწიფოებს შორის ნავთობის მოპოვების და ექსპორტის პოლიტიკის კოორდინაცია და ნავთობზე სტაბილური ფასების შენარჩუნება.

ოპეკის უმაღლესი ორგანოა წევრი-სახელმწიფოების კონფერენცია, რომელიც იმართება წელიწადში ორჯერ, ძირითადად, ენერგეტიკისა და ნავთობის მინისტრების დონეზე. კონფერენცია ამტკიცებს ბიუჯეტს და გეგმავს საფინანსო პოლიტიკას, ირჩევს მმართველთა საბჭოს და მის თავმჯდომარეს; ნიშნავს მუდმივმოქმედი ორგანოს – სამდივნოს ხელმძღვანელს – გენერალურ მდივანს.

იმის გამო, რომ ნავთობი წარმოადგენს ძირითად ენერგეტიკულ რესურსს და დიდი ქვეყნების ეკონომიკა, მეტწილად, დამოკიდებულია ნავთობის იმპორტზე, ოპეკის როლი მსოფლიო პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. 1973 წელს იომ-ქიფურის ომში, ისრაელის აშკარა მხარდაჭერის გამო, ოპეკის წევრებმა აშშ-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ემბარგო დაუწესეს, რამაც ნავთობის ფასი 400%-ით გაზარდა და უმწვავესი კრიზისი გამოიწვია განვითარებულ სამყაროში. ამ მოვლენამ სერიოზულად შეცვალა არა მარტო მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურა, არამედ დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

2016 წელს ნავთობის მომპოვებელმა ქვეყნებმა, რომლებიც არ არიან ოპეკის წევრები, და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ნავთობის მსოფლიო ფასების გამო, შექმნეს არაფორმალური ფორმატი ოპეკი+, რომელშიც 2025 წლისთვის 11 ქვეყანა გაერთიანდა.

ნატო (NATO, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია). რეგიონული პოლიტიკური ორგანიზაცია, სამხედრო ალიანსი, მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორი. აერთიანებს 32 სახელმწიფოს, რომელთაგან 30 ევროპის ქვეყანაა, 2 კი (აშშ და კანადა) – ჩრდილოეთ ამერიკის. შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში.

ნატო შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს და თავდაპირველად 12 წევრისაგან შედგებოდა (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია და ისლანდია). იგი მიზნად ისახავდა, წინ აღდგომოდა კომუნიზმის ექსპანსიას და დაეცვა დასავლეთი ევროპა საბჭოთა საფრთხისაგან.

ნატოს წესდების მე-5 მუხლის თანახმად, ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანაზე თავდასხმა აღიქმება ნატოს ყველა წევრზე თავდასხმად და, შესაბამისად, ყველა ქვეყანა ქვეყანა ვალდებულია გაერთიანებული ძალებით გასცეს პასუხი აგრესორს. ნატოს პირველი გაფართოება განხორციელდა 1952 წელს, როცა მის რიგებში მიიღეს საბერძნეთი და თურქეთი. ისინი არ მიეკუთვნებოდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის რეგიონის ქვეყნებს, მაგრამ საბჭოთა კავშირის თავდასხმის ალბათობამ გადაადგმევინა ნატოს წევრ ქვეყნებს ეს ნაბიჯი. 1955 წელს ნატოს წევრი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო 1982 წელს – ესპანეთი. ცივი ომის დასრულებისას ნატო 16 წევრს ითვლიდა.

სოციალისტური სისტემის კრახისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრმა ჩათვალა, რომ ნატო უფუნქციოდ დარჩა და იგი შეწყვეტდა არსებობას. ეს ვარაუდი არ გამართლდა. ნატო არათუ შენარჩუნდა, არამედ მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ახალი ფუნქციებიც შეიძინა. იგი გახდა უსაფრთხოების, სტაბილურობის, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი გარანტი. 1990-იან 2010-იან წლებს შორის პერიოდში ნატო ფართოვდებოდა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე (მათ შორის იყო ბალტიის სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაც). 2022 წელს რუსეთის მიერ დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ კი აიძულა ტრადიციულად ნეიტრალური პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნები – შვედეთი და ფინეთი, შეეცვალათ კურსი და ნატოს წევრები გამხდარიყვნენ.

ნატოს მთავარი ორგანოა ჩრდილოეთატლანტიკური საბჭო, მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც იღებს და ახორციელებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, შედგება წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლებისაგან. საბჭოს ხელმძღვანელობს ნატოს უმაღლესი თანამდებობის პირი – გენერალური მდივანი. სხვა მთავარი ორგანოებია სამხედრო საბჭო და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი. ორგანიზაცია აერთიანებს ოცამდე დარგობრივ კომიტეტს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეას.

ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა 4 მილიონს აღემატება და იყოფა ორ ჯგუფად: გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, რომლებიც უშუალოდ ბლოკს ემორჩილებიან, და ეროვნული დაქვემდებარების ძალები.

ცივი ომის პერიოდში ნატოს ეგიდით არ განხორციელებულა არც ერთი სამხედრო ოპერაცია, 1990 წლის შემდეგ კი ნატოს მიერ ჩატარებული საომარი ქმედებებიდან აღსანიშნავია სპარსეთის ყურის ომი 1991 წელს, ინტერვენცია ბოსნია-ჰერცოგოვინაში 1992 წელს, კოსოვოს ოპერაცია 1999 წელს, ავღანეთში შეჭრა 2001 წელს, ერაყის ოპერაცია 2003 წელს, ადენისა და სპარსეთის უბის მეკობრეთა წინააღმდეგ ჩა-

ტარებული ქმედებები 2008 წელს, ინტერვენცია ლიბიაში 2011 წელს, აგრეთვე ე.წ. „აღმოსავლეთის გუშაგი“, პოლონეთზე რუსეთის დრონებით შეტევის პასუხად განხორციელებული ღონისძიებები 2025 წლის სექტემბერში.

ნატოს საერთო ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 1, 4 ტრილიონი დოლარი, საიდანაც მესამედზე მეტი (500 მილიარდი დოლარი) აშშ-ის წილად მოდის. ამიტომ აშშ დაჟინებით ითხოვს, ევროპის ქვეყნებმა გაზარდონ საკუთარი სამხედრო ხარჯები.

5.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (შემოკლებით – გაერო) ერთადერთი გლობალური, უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის მთავარ ორგანოს დედამიწაზე და აერთიანებს მსოფლიოს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს. თავისი მიზნებით და ფუნქციებით იგი ყველაზე უფრო უახლოვდება „მსოფლიო მთავრობის“ მოდელს, თუმცა, ცხადია, საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები და სუვერენიტეტი პრიორიტეტულია საერთაშორისო სამართალსა და გაეროს ქარტიასთან შედარებით. ამიტომ გაერო სრულად ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, თუმცა მისი როლი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებასა და სახელმწიფოთაშორის კავშირის განმტკიცებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

5.2.1. გაეროს შექმნის ისტორია, მიზნები და პრინციპები

მსოფლიო მასშტაბის და უნივერსალური ფუნქციების მქონე ორგანიზაციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ჩაისახა და განხორციელდა კიდეც 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე **ერთა ლიგის** სახით. თავდაპირველად ერთა ლიგა ასე თუ ისე უმკლავდებოდა გამოწვევებს და დადებით გავლენას ახდენდა მსოფლიო პოლიტიკაზე, მაგრამ 30-იან წლებში იაპონიის, იტალიის, გერმანიის და საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა აგრესიულმა ქმედებებმა აშკარა გახადა მისი სისუსტე და უუნარობა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ერთა ლიგამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის ლიდერების შეხვედრებზე, აგრეთვე – მაღალი დონის

დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე მომწიფდა საკითხი, შექმნილიყო ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იქნებოდა საიმედო გარანტი ომისშემდგომი მსოფლიოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისა, კონტროლს გაუწევდა საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას და ხელს შეუწყობდა მსოფლიოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების განმტკიცებას.

1942 წლის იანვარში ვაშინგტონის კონფერენციაზე ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების (იგულისხმება გერმანია-იაპონია-იტალიის ალიანსის წინააღმდეგ გაერთიანებული სახელმწიფოები) დეკლარაციას. გაერთიანებული ერები შემდეგ ორგანიზაციის სახელწოდებად იქცა. 1943 წლის ოქტომბერში მოსკოვის კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება მუდმივმოქმედი ორგანიზაციის შექმნის შესახებ. 1944 წლის ოქტომბერში, დუმბარტონ-ოქსის (აშშ) და 1945 წლის იალტის კონფერენციებზე შემუშავდა გაეროს წესდება, რომელსაც 1945 წლის ივნისში, სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე, ხელი მოაწერა 50 სახელმწიფომ. იმავე წლის 24 ოქტომბერს წესდება ამოქმედდა და გაერომ მუშაობა დაიწყო. გაეროს მუდმივ ადგილსამყოფლად შეარჩიეს ნიუ-იორკი.

წესდების მიხედვით, გაეროს მთავარი მიზნებია დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა, ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, განამტკიცოს საერთაშორისო თანამშრომლობა სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული საკითხების მოსაგვარებლად, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა და არ დაუშვას ადამიანების ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაცია.

თავის საქმიანობაში გაერო ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომ სახელმწიფოები სუვერენული და თანასწორუფლებიანები არიან, დავები უნდა გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზებით, დაუშვებელია ძალის გამოყენება და ძალის გამოყენების მუქარა, სახელმწიფოები არ უნდა დაეხმარონ იმ ქვეყანას, რომლის წინააღმდეგ გაერო იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს, გაერო არ უნდა ჩაერიოს სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება საერთაშორისო მშვიდობის დაცვას და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას.

როგორც უკვე ითქვა, გაერო სრულად ვერ ახორციელებს დასახულ მიზნებს, რადგან სახელმწიფოები (პირველ ყოვლისა – დიდი ქვეყნები) თავიანთ ეროვნულ ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებენ და, როცა მათი მოქმედებები ეწინააღმდეგება გაეროს ქარტიას, ისინი უარს ამბობენ შეასრულონ ამ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები (მაგალითად,

რუსეთის ქმედებები უკრაინაში). გაეროს არ შესწევს ძალა, თავისი ნება მოახვიოს თავს სახელმწიფოებს, მაგრამ იგი წარმოადგენს ბერკეტს, მიაღწიონ სადავო საკითხების უფრო ხელსაყრელ გადაწყვეტას.

5.2.2. გაეროს სტრუქტურა

გაერო 6 მთავარი ინსტიტუტისაგან შედგება:

გენერალური ასამბლეა. წარმოადგენს ორგანიზაციის მთავარ სათათბირო ორგანოს და აერთიანებს ყველა წევრ სახელმწიფოს. თითოეული ქვეყანა, მიუხედავად მისი სიდიდისა თუ ძლიერებისა, თანასწორუფლებიანია, და თითოეულ მათგანს კენჭისყრისას ერთი ხმა აქვს. ასამბლეა განიხილავს პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო საკითხს, გარდა იმისა, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში შედის. ასამბლეაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლისობით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხის მიღებას კი ხმების 2/3 სჭირდება. მაგრამ გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არა – სავალდებულო. ამიტომ შეიძლება სახელმწიფოთა ნაწილი მიღებულ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილოს და უარი თქვას შესრულებაზე. გენერალური ასამბლეის სესია ტარდება ყოველწლიურად სექტემბერ-დეკემბერში. საჭიროების შემთხვევაში იწვევენ გენერალური ასამბლეის სპეციალურ და საგანგებო სხდომებს. სხდომას ყოველწლიური როტაციის წესით ხელმძღვანელობს ერთ-ერთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

გენერალური ასამბლეის ფარგლებში ფუნქციონირებს 6 კომიტეტი: განიარაღების და საერთაშორისო უსაფრთხოების; ეკონომიკისა და ფინანსთა; სოციალური და ჰუმანიტარული საკითხების; სპეციალური პოლიტიკური საკითხების; ადმინისტრირების და ბიუჯეტის; იურიდიულ საკითხთა. გარდა ამისა, გენერალური ასამბლეის სტრიქტურაში შედის სამუშაო და რეგიონული ჯგუფები.

უშიშროების საბჭო გაეროს მთავარი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია საყოველთაო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების (რეზოლუციის) შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის.

უშიშროების საბჭო 15 წევრისაგან შედგება. აქედან 5 მუდმივი წევრია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი), 10 კი ორი წლის ვადით ყოველწლიურად (5 ერთ და 5 მეორე წელს) ირჩევა გეოგრაფიული პრინციპით. კერძოდ, 3 წევრი აფრიკის ქვეყანა უნდა იყოს, 2 – აზია-

წყნარი ოკეანის, 2 – ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის, 1 – აღმოსავლეთ ევროპის და 2 – დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მისაღებად 9 წევრის თანხმობაა საჭირო, მაგრამ ამ 9 წევრიდან 5 მუდმივი წევრი უნდა იყოს. საბჭოს მუდმივ წევრებს აქვთ რეზოლუციაზე ვეტოს დადების უფლება და, თუ თუნდაც ერთი მუდმივი წევრი წინააღმდეგია ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა და ვეტოს უფლებას გამოიყენებს, მაშინ რეზოლუცია არ მიიღება, სხვა ყველა 14-ივე წევრიც რომ მხარს უჭერდეს. ასე რომ, მსოფლიო, ფაქტობრივად, ამ დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებას ემორჩილება.

ამასთან, როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოები ხშირად გადაწყვეტილებას იღებენ უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით: კერძოდ, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიდან მხარი დაუჭირა სამმა, ხოლო ორი (რუსეთი და ჩინეთი) წინააღმდეგები იყვნენ. შესაბამისად, კოსოვო ვერ გახდა გაეროს წევრი, მაგრამ მას სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებს ასზე მეტი ქვეყანა. მეორე მაგალითი იყო 2003 წელს, როცა აშშ და დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერდნენ სამხედრო ინტერვენციას ერაყში გაეროს ეგიდით, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი კი წინააღმდეგები იყვნენ. ამის შედეგად, გაერო გამოეთიშა ამ ოპერაციას და აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ინტერვენცია განახორციელეს ინდივიდუალურად, გაეროს სანქციის გარეშე.

კიდევ უფრო რთულად ხორციელდება ეკონომიკური და სავაჭრო სანქციები, რადგან, უშიშროების საბჭოს რეზოლუციაც რომ არსებობდეს, ყოველთვის გამოჩნდება ქვეყანა, რომელიც სანქციებს არ მიუერთდება და სანქცირებულ ქვეყანასთან გააგრძელებს კავშირს და გააძლიერებს კიდეც მას.

უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაშია სამხედრო შტაბის კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს გაეროს ეგიდით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს და გაეროს სამშვიდობო ძალების საქმიანობას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში.

სამდივნო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო გაეროს ადმინისტრაციული მმართველობის ორგანოა, რომლის საქმიანობაც ყოველდღიურია და, გარკვეულწილად, „მსოფლიო მთავრობის“ ადმინისტრაციას მოგვაგონებს. სამდივნო ხელმძღვანელობს გაეროს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის მუშაობას, რომელიც, დაახლოებით, 40 ათას კაცს აერთიანებს მსოფლიოს 170-ზე მეტი ქვეყნიდან. სამდივნოს სათავეში უდგას გაეროს გენერალური მდივანი, რომელიც ამ ორგანიზაციის უმაღლესი თანამდებობის პირია.

გენერალურ მდივანს ხუთი წლის ვადით ნიშნავს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს წარდგინებით. ცხადია, კანდიდატის წარ-

სადგენად ხუთივე მუდმივი წევრის თანხმობაა საჭირო. ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს ორი ვადისა. მონაცვლეობა ხდება გეოგრაფიული პრინციპით: ევროპა, ლათინური ამერიკა, ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, აზია. გენერალურ მდივნად დიდი ქვეყნის წარმომადგენელს, როგორც წესი, არ ნიშნავენ.

სტრუქტურულად გაეროს სამდივნო რთული ორგანიზმია. გენერალური მდივნისა და მისი მოადგილეების აპარატების გარდა, სამდივნო ადმინისტრირებას უწევს 40-მდე უწყებას (დეპარტამენტი, სამმართველო, განყოფილება, ბიურო) და რეგიონულ წარმომადგენლობებს კონტინენტების მიხედვით. დიდი ბიუროკრატიული აპარატი და მისი შენახვის ხარჯები გაეროს კრიტიკის მუდმივი თემაა, განსაკუთრებით, იმ ქვეყნების მიერ, რომელთა წილადაც მოდის გაეროს დაფინანსების ძირითადი ტვირთი, და ასეთი, პირველ ყოვლისა, აშშ-ია.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო. (ეკოსოსი) გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს გაეროს ეგიდით განხორციელებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროექტებს, აგრეთვე კონტროლს უწევს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვას.

ეკოსოსი გენერალურ ასამბლეასთან ერთად პასუხისმგებელია გაეროს პროგრამების განხორციელებაზე. ასეთი პროგრამების რაოდენობა 20-ზე მეტია. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სხვ.

სტრუქტურულად ეკოსოსის სისტემაში შედის გაეროს 20-ზე მეტი ავტონომიური სააგენტო, რომლებიც არსებით როლს ასრულებენ მსოფლიოს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მათ შორისაა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (UNWTO ან UN Tourism), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი ანუ მსოფლიო ბანკი (IBRD, World Bank), მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO). ამ და სხვა სააგენტოებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს მრავალი ქვეყნის (უწინარესად – განვითარებად სამყაროში) არა ერთი ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური თუ კულტურული პრობლემის გადაჭრისას.

ეკოსოსის შემადგენლობაში შედის 5 რეგიონული კომისია: ევროპის (ECE), აზია-წყნარი ოკეანის (ESCAP), დასავლეთ აზიის (ESCWA), აფრიკის (EKA), ლათინური ამერიკის და კარიბის (ECLAC).

ეკოსოსი შედგება 54 წევრი სახელმწიფოსაგან, რომლებსაც ირჩევენ გენერალურ ასამბლეაზე სამი წლის ვადით, გეოგრაფიული პრინციპით: კერძოდ, აზია წარმოდგენილია 11 სახელმწიფოთი, აფრიკა – 14-ით, აღმოსავლეთ ევროპა – 6-ით, დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა – 13-ით, ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი – 10-ით. თითოეულ სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ირჩევა ერთი წლის ვადით ყოველწლიური სესიის დაწყების წინ წევრი სახელმწიფოების (ძირითადად, პატარა და საშუალო ქვეყნების) წარმომადგენელთაგან. მონაცვლეობა რეგიონული ჯგუფების მიხედვით ხორციელდება.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ანუ მსოფლიო სასამართლო, ადგილმდებარეობის გამო, ხშირად უწოდებენ **ჰააგის საერთშორისო სასამართლოს.** წარმოადგენს გაეროს მთავარ სამართლებრივ ორგანოს, რომლის ამოცანაცაა, განიხილოს და გადაწყვიტოს სახეელმწიფოთაშორისი დავები. გარდა ამისა, იგი სამართლებრივ შეფასებას აძლევს იმ საკითხებს, რომლებიც გაეროში განსახილველად არის ინიცირებული.

ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლიათ მიმართონ მხოლოდ სახელმწიფოებმა. საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა საერთაშორისო აქტორებს ეს უფლება არ აქვთ (გარდა საკონსულტაციო შეკითხვისა). სასამართლო დავას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის მონაწილე ორივე (ან ყველა, თუ მეტი მოდავეა) მხარე თანახმაა, სასამართლომ გადაწყვიტოს დავა. სასამართლოს არ გააჩნია გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი: ამდენად, გადაწყვეტილება უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ხოლო სახელმწიფოს პოლიტიკის სავარაუდო და პოტენციური მსხვერპლი სუბიექტი (მაგ., ეთნიკური უმცირესობა) ამ უფლებას მოკლებულია. ყოველივე ამის გამო, ჰააგის სასამართლოს აკრიტიკებენ.

მსოფლიო სასამართლო შედგება 15 მოსამართლისაგან, რომელსაც 9 წლის ვადით ირჩევენ (არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ). არ შეიძლება ერთი ქვეყნიდან ორი მოსამართლე იყოს არჩეული. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს პარიტეტი წარმომადგენლებს შორის სამართლის ოჯახების მიხედვით (ანგლოამერიკული, კონტინენტური ევროპის, პოსტსოციალისტური). ითვალისწინებენ გეოგრაფიულ პრინციპსაც. გარდა ამ 15 მოსამართლისა, ცალკეული საკითხების განხილვისას მოწვეულნი არიან

ე. წ. Ad Hoc (დროებითი) მოსამართლეები, განსახილველ საკითხთა კვალიფიციური სპეციალისტები. მიუხედავად იმისა, რომ, თავდაპირველი გადაწყვეტილებით, გაეროს მართლმსაჯულების სასამართლო სრული შემადგენლობის სასამართლოდ იყო ჩაფიქრებული, ბოლო წლებში იგი დაიყო პალატებად 3-5 მოსამართლის შემადგენლობით; მათ შორისაა Ad Hoc პალატები კონკრეტული საქმეების განსახილველად.

ჰააგის სასამართლო თავის წევრებიდან სამი წლის ვადით ირჩევს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს.

სამეურვეო საბჭო. გაეროს ექვსი მთავარი ორგანოდან ერთ-ერთი. მისი მიზანი იყო, მეურვეობა გაეწია იმ ხალხებისა და ტერიტორიებისათვის, რომლებიც რჩებოდნენ არასუვერენულ ტერიტორიებად, რომელიმე დიდი სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ, და მოემზადებინა ისინი დამოუკიდებლობისათვის. სულ გაეროს მეურვეობაში იყო 7 სახელმწიფოს მმართველობას დაქვემდებარებული 11 ტერიტორია.

1994 წლის 1 იანვარს, როცა გაეროს უკანასკნელმა სამეურვეო ტერიტორიამ, პალაუმ (რომელიც აშშ-ის თვითმართვად ტერიტორიას წარმოადგენდა), დამოუკიდებლობა მოიპოვა, გაეროს სამეურვეო საბჭომ ფუნქციობა შეწყვიტა.

5.2.3. გაეროს სამშვიდობო მისიები

გაეროს ქარტიის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, თავიანთი შეიარაღებული ძალები გაეროს განკარგულებას დაუქვემდებარონ, როცა აგრესიის საპასუხოდ აუცილებელი ხდება კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელება. თუმცა, რეალურად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა გაერო ძალის გამოყენების უფლებას იძლევა, ოპერაციაში, ძირითადად, ეროვნული ძალები მონაწილეობენ, რომლებიც გაეროს დაქვემდებარებაში არ იმყოფებიან (მაგ., 1990 წლის სპარსეთის უბის სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ). თუმცა გაეროს ჰყავს საკუთარი სამხედრო ძალები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების არმიებიდან მოგროვილი სამხედროებისაგან შედეგება. ისინი გაეროს ექვემდებარებიან და მათი ამოცანაა რეგიონულ კონფლიქტებში მშვიდობისმყოფლობა და დაძაბულობის განმუხტვა. ეს კონტინგენტი გაეროს სამშვიდობო ძალების სახელით მოიხსენიება. გაეროს მშვიდობისმყოფლების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გლობალიზაციის ერაში, როცა კონფლიქტი აღარ არის მხოლოდ დაპირისპირებული მხარეების პრობლემა და იგი საყოველთაო, გლობალურ გამოწვევად იქცა.

როგორც წესი, გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილე მშვიდობისმყოფლები კონფლიქტისგან დაშორებული სახელმწიფოების წარმომა-

დგენლები არიან. უშიშროების საბჭო მათ უფლებამოსილებას 3-6 თვით განსაზღვრავს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ვადა ხანგრძლივდება. გაერომ 70-ზე მეტი სამშვიდობო მისია განახორციელა. ამ მისიების ძირითადი ამოცანებია, გამოიძიოს კონფლიქტის მიზეზები და დაპირისპირებულმა მხარეებმა დაიწყონ მოლაპარაკება შერიგების მიზნით; გააკონტროლოს მიღწეული შეთანხმების დაცვა, უზრუნველყოს კანონისა და წესრიგის დაცვა, მიაწოდოს ჰუმანიტარული დახმარება, თვალყური ადევნოს არსებულ ვითარებას.

2018 წელს გაეროს სამშვიდობო ძალების 15 მისიაში დაკავებული იყო 109 ათასი კაცი. წლიურმა ხარჯმა შეადგინა 6 მილიარდი დოლარი. პერსონალის და ხარჯების უმრავლესობა მოდიოდა აფრიკის კონფლიქტებზე (კონგო, სუდანი, მალი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ლიბერია, დასავლეთ საჰარა). სხვა კონფლიქტებიდან აღსანიშნავია ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ აზიის კონფლიქტები, სადაც გაეროს სამშვიდობო ძალები უკვე მრავალი ათეული წელია იმყოფებიან (პალესტინაში – 1948 წლიდან, ქაშმირში – 1949 წლიდან, კვიპროსში – 1964 წლიდან, სირიაში – 1974 წლიდან, ლიბანში – 1978 წლიდან). 1993-2009 წლებში გაეროს სამშვიდობო ძალები საქართველოშიც ფუნქციონირებდნენ და მონიტორინგს ახორციელებდნენ აფხაზეთში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის კატეგორიული წინააღმდეგობის გამო, მისია აღარ გაგრძელებულა.

გაეროს სამშვიდობო ძალები, ძირითადად, კონფლიქტის მხარეების დაშორიშორების შემდეგ ებმებიან პროცესში. ამდენად, მშვიდობის დამყარებაში (Peacemaking) მათი როლი შედარებით მცირეა და უფრო მშვიდობის შენარჩუნებასა (Peacekeeping) და მშვიდობის მშენებლობაში (Peacebuilding) ანუ ნეგატიური მშვიდობის პოზიტიურ მშვიდობად გარდაქმნის პროცესში მოქმედებენ აქტიურად. თუმცა გაეროს მისიები არც თუ იშვიათად წარუმატებელია: კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა უშიშროების საბჭო აგრესორად ერთ მხარეს მიიჩნევს (მაგ., ბოსნიის კონფლიქტი).

5.3. ევროკავშირი

ევროკავშირი (ევროპის კავშირი) ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციაა; 2025 წლისთვის აერთიანებდა ევროპის 27 სახელმწიფოს, რომელთა საერთო ფართობიც 4,2 მილიონი კვადრატული კილომეტრია, ხოლო მოსახლეობა 450 მილიონ კაცს აღემატება. ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა

(მსყიდველობითი უნარის პარიტეტით) 2025 წელს 29, 5 ტრილიონი დოლარი იყო, რაც აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს ოდნავ აღემატება, ხოლო ერთ სულზე ეს მაჩვენებელი 64,5 ათას დოლარს უტოლდებოდა.

ევროკავშირი არ არის ჩვეულებრივი საერთაშორისო ორგანიზაცია, რადგან მას ზენაციონალური, ზესახელმწიფოებრივი ფუნქციებიც აქვს. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ევროკავშირის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისთვის. ამიტომ ბევრი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი რეგიონული მასშტაბის გლობალიზაციის თვალსაჩინო მაგალითია, სადაც სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით გადასცეს სუვერენიტეტის ნაწილი ამ ორგანიზაციას. ხოლო ერთიანი მოქალაქეობა, უვიზო მიმოსვლა, საბაჟო ბარიერების გაუქმება, თავისუფალი ვაჭრობა, საერთო ვალუტა, პარლამენტი, კანონმდებლობა და კოორდინირებული პოლიტიკა თავდაცვის, უსაფრთხოების და საგარეო ურთიერთობების სფეროში (სადაც ყველა საკითხი კონსენსუსით წყდება) გლობალიზაციის პრაქტიკული გამოვლინების გამოკვეთილ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, რა თქმა უნდა, ევროკავშირი მაინც საერთაშორისო ორგანიზაციად უნდა მივიჩნიოთ და არა – სუპერსახელმწიფოდ.

5.3.1. ევროკავშირის შექმნის წანამძღვრები და მოკლე ისტორია

ერთიანი ევროპის იდეა საკმაოდ ძველია. ჯერ კიდევ ნაპოლეონი ლაპარაკობდა „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის მიზანშეწონილობაზე. ეს იდეა გამოთქვა ვიქტორ ჰიუგომაც, რომელმაც ევროპის შეერთებული შტატების შექმნის პროექტიც კი შეიმუშავა. ევროპის ფედერაციული ზესახელმწიფოს ჩამოყალიბებას უჭერდნენ მხარს ევროპელი სოციალ-დემოკრატებიც გასული საუკუნის დასაწყისში.

მაგრამ რეალური მუშაობა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის მიზნით მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ომისაგან გაჩანაგებული და გაპარტახებული ევროპის მომავალი ერთობ პესიმისტური ჩანდა. ერთი მხრივ, აშკარა იყო, რომ პირველად ბოლო ხუთასი წლის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრმა დასავლეთ ევროპა დატოვა და ვაშინგტონსა და მოსკოვში გადაინაცვლა, შესაბამისად, ევროპის ვერც ერთი სახელმწიფო თავისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალით აშშ-სა და საბჭოთა კავშირს ვეღარ გაუტოლდებოდა; მეორე მხრივ კი, რეალური იყო, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისით მოცულ ევროპულ ქვეყნებში კომუნისტები მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. სწორედ ამის თავიდან აცილების მიზნით შეიმუშავა აშშ-მა მარშალის

გეგმად ცნობილი ფართომასშტაბიანი დახმარების პროგრამა ევროპის 18 ქვეყნისთვის (13, 5 მილიარდი დოლარის მოცულობით), რამაც ფეხზე დააყენა ევროპა და იხსნა გასაბჭოების საფრთხისაგან.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ევროპაში უფრო და უფრო აცნობიერებდნენ, რომ მხოლოდ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ინტეგრირებული ევროპა შეიძლება გამხდარიყო აშშ-ისა და სოციალისტური სამყაროს საპირწონე და ძალის მესამე პოლუსად მოვლენოდა მსოფლიოს. ამ იდეის ინიციატორი საფრანგეთი იყო, რომელმაც ჩათვალა, რომ ძირეულად უნდა შეცვლილიყო მისი დამოკიდებულება საუკუნოვან მტერთან, გერმანიასთან, და მასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებით საძირკველი ჩაჰყროდა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესს.

ამ მიზნით, 1952 წელს შეიქმნა **ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება,** რომელიც ითვალისწინებდა ქვანახშირის და მეტალურგიული მრეწველობის გაერთიანებას საფრანგეთსა და გერმანიას შორის და ამ პროდუქციის მიმოცვლაზე ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვების, კვოტებისა და ბარიერების მოხსნას. ხელშეკრულებას შეუერთდნენ იტალია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი. სწორედ ამ 6 სახელმწიფოს კავშირით იწყება ევროკავშირის ისტორია.

1957 წელს ხელმოწერილი **რომის ხელშეკრულებით,** აღნიშნულმა ქვეყნებმა შექმნეს **ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა,** რაც ითვალისწინებდა მათ შორის **თავისუფალ ვაჭრობას, (თავისუფალ სავაჭრო ზონას)** ანუ ტარიფების და სხვა შეზღუდვების გაუქმებას ამ ქვეყნებს შორის ყველანაირი საქონლისა და მომსახურების გადაადგილებაზე, **საბაჟო კავშირს** ანუ ერთობლივი ტარიფების დაწესებას თავისუფალი სავაჭრო ზონის გარედან იმპორტირებულ საქონელზე. შემდეგ შეზღუდვები მოიხსნა შრომის და კაპიტალის გადაადგილებაზეც, რაც **საერთო ბაზრის** სახელით არის ცნობილი.

1973 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრთა რიცხვი 9-მდე გაიზარდა, როცა ორგანიზაციას დაემატნენ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია. 1981 წელს ახალი წევრი გახდა საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია. ამგვარად, ცივი ომის დამთავრების დროს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა უკვე 12 წევრს ითვლიდა.

ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებამ საჭირო გახადა რომის ხელშეკრულების გადახედვა. 1985 წელს ხელი მოეწერა **ერთიან ევროპულ აქტს,** რომელიც მიზნად ისახავდა 1992 წლისთვის ევროპის ინტეგრაციის ახალი დონისთვის მიღწევას, როცა ეს პროცესი ეკონომიკის გარდა პოლიტიკასაც შეეხებოდა. მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1985 წელს შვიდ ევროპულ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილი შენგენის

ხელშეკრულება, რომელიც ხელმომწერ ქვეყნებს შორის აუქმებდა საპასპორტო-საბაჟო კონტროლს. ეს იმას ნიშნავდა, რომ შენგენის ზონის გარეთ მდებარე სახელმწიფოს მოქალაქეს, თუ მას შენგენის ვიზა ექნებოდა, თავისუფლად შეეძლებოდა გადაადგილება ამ ზონის შიგნით მდებარე ქვეყნებს შორის. შემდეგ წლებში შენგენის ზონა გაფართოვდა და 2025 წლისთვის მასში 30 ქვეყანაა გაერთიანებული: მათ შორის, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიც – შვეიცარია, ნორვეგია და ისლანდია. მხოლოდ დიდი ბრიტანეთი და ირლანდია არ შესულან შენგენის ზონაში.

1992 წელს ხელმოწერილი **მაასტრიხტის ხელშეკრულება** იყო ის დოკუმენტი, რომელიც საფუძველს უყრიდა ევროპული ზესახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას. ორგანიზაციას სახელი შეეცვალა და ეწოდა **ევროკავშირი.** ხელშეკრულება ითვალისწინებდა სავალუტო კავშირის შექმნას, რაც მიზნად ისახავდა ეროვნული ვალუტების ჩანაცვლებას საერთო ევროპული ვალუტით – ევროთი. მეორე მიმართულება ეხებოდა სამართლებრივ საკითხებს და გულისხმობდა საერთო ევროპულ კანონმდებლობას, საერთო მოქალაქეობას, ევროპარლამენტის დაფუძნებას და ევროპის პოლიციის სააგენტოს შექმნას, აგრეთვე – საზღვრების გახსნას იმიგრანტებისთვის. მესამე მიზანი იყო პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაცია, საერთო საგარეო პოლიტიკის გატარება, თავდაცვისა და უშიშროების კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავება და ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა.

ცხადია, ამ მიზნების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქვეყნების მიერ საკუთარი ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვისა და სახელმწიფოს მთელი რიგი ფუნქციების ევროკავშირისთვის გადაცემის ხარჯზე. ეს არ იყო მარტივი პროცესი. ბევრი მოწინააღმდეგეც გამოჩნდა. აშკარა გახდა ნაციონალიზმის გამოცოცხლება და მისი დაპირისპირება ინტეგრაციის პროცესთან. და რადგან მაასტრიხტის ხელშეკრულება გლობალიზაციის პრაქტიკაში დამკვიდრების ნათელი მაგალითია, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ევროკავშირი გახდა ევროპელი გლობალისტების და ანტიგლობალისტების დაპირისპირების მიზეზი.

მაგრამ ევროკავშირი მთლიანად მაინც წარმატებული პროექტია, რაზეც მისი გაფართოება და წევრების რიცხვის ზრდა მიუთითებს.

ცივი ომის დამთავრებამ და გლობალიზაციამ აშკარა გახადა, რომ ევროინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია და ევროპის ქვეყნების უმრავლესობა თავის მომავალს ერთიან ევროპაში ხედავს. 1995 წელს ევროკავშირს სამი ახალი წევრი შეუერთდა – შვედეთი, ფინეთი და ავსტრია. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ცივი ომის პერიოდში ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდნენ (შვედეთი – ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგიდან) და ერიდებოდნენ რომელიმე კავშირში თუ ალიანსში გაწევრიანებას. ეს

კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ევროპა მართლაც მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთობად ყალიბდებოდა.

1997 წელს ხელმოწერილი **ამსტერდამის ხელშეკრულებით,** წევრი ქვეყნები თანხმდებოდნენ, რომ მრავალი კომპეტენცია ეროვნული ხელისუფლებისა გადაეცემოდა ევროკავშირს და შემუშავდებოდა ევროკავშირის საერთო კონსტიტუცია, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ევროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციიდან ზესახელმწიფოებრივ, სუპრანაციონალურ ორგანიზაციად გარდაქმნის გზაზე.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ქვეყნებმა, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობაც და საფინანსო პირობებიც შეესაბამებოდა ევროკავშირის კრიტერიუმებს, შეადგინეს ერთიანი ზონა, სადაც, ეროვნული ვალუტის ნაცვლად, საერთო ვალუტა, ევრო შემოიღეს. ევრო მიმოქცევაში ჩაერთო 2002 წელს 12 ქვეყანაში. სამმა ქვეყანამ, დიდმა ბრიტანეთმა, შვედეთმა და დანიამ, უარი თქვეს ევროზე და ეროვნული ვალუტა შეინარჩუნეს. დანარჩენ ქვეყნებს დრო დასჭირდათ ევროკავშირის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად და ევროზონას მოგვიანებით შეუერთდნენ. 2026 წლისთვის ევრო მიმოქცევაში იყო ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 21-ში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2004 წლის დიდ გაფართოებას, როცა ევროკავშირს ერთბაშად 10 ქვეყანა შეემატა: აქედან 2-ს (კვიპროსი და მალტა) – წარსულში კოლონიების – ევროპისათვის გეოგრაფიული მიკუთვნებულობის საკითხი სადავო შეიქნა, ხოლო – 8 ყოფილი სოციალისტური სამყაროს ნაწილს შეადგენდა, საიდანაც 3 (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი), საერთოდ, სუვერენულებიც არ ყოფილან და საბჭოთა კავშირში შედიოდნენ. ეს იყო რევოლუციური მოვლენა, როცა წარსულში სხვადასხვა სამყაროს მიკუთვნებული, განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების მქონე 25 ქვეყანა ერთიან ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. 2007 წელს მათ რიცხვს რუმინეთი და ბულგარეთიც მიემატა, ხოლო 2013 წელს – ხორვატია.

დიდი გაფართოებისთანავე, 2004 წელს, ევროკავშირის წევრი 25-ივე სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ევროკავშირის კონსტიტუციას, რომელსაც მომდევნო წელს მხარი დაუჭირა ევროპარლამენტმა. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ევროკავშირის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობების შემოღებას, ხოლო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ არა წევრი ქვეყნების კონსენსუსით, არამედ – უმრავლესობის მხარდაჭერით. კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო ევროკავშირის მოქალაქეების უფლებების გარანტი. ევროკავშირის კონსტიტუციის ასამოქმედებლად აუცილებელი იყო ყველა წევრი სახელმწი-

ფოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაცია. ზოგ ქვეყანაში ამისათვის რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო. სწორედ რეფერენდუმით უარყო ეს პროექტი საფრანგეთის და ნიდერლანდების მოსახლეობამ, რის გამოც ევროკავშირის კონსტიტუცია ჩავარდა.

2007 წელს ხელი მოაწერეს **ლისაბონის ხელშეკრულებას,** რომელიც კონსტიტუციის შერბილებული ფორმა იყო და მეტ უფლებას აძლევდა წევრ სახელმწიფოებს. ხელშეკრულების დამტკიცება არ მოითხოვდა რეფერენდუმის ჩატარებას (მხოლოდ ირლანდიამ მიიღო რეფერენდუმით), არ ანაცვლებდა ადრე მიღებულ ხელშეკრულებებს, თუმცა ცვლიდა ევროკავშირის სტრუქტურას და ყოველდღიურ საქმიანობას. ზოგი ზენაციონალური გადაწყვეტილება (მაგ., ადამიანის უფლებების ქარტია) წევრი სახელმწიფოებისათვის სამართლებრივად სავალდებულო გახდა. მეორე მხრივ, წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს ბევრად გაეზარდათ უფლებამოსილება ახალი წევრების მიღების საკითხში. ხელშეკრულების მიხედვით, იქმნებოდა ახალი თანამდებობები – ევროკავშირის პრეზიდენტი და საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი კომისარი. იზრდებოდა ევროკომისიის პრეზიდენტის უფლებამოსილებაც.

მიუხედავად წარმატებული ფუნქციონირებისა, ევროკავშირი არაერთხელ აღმოჩნდა სერიოზული პრობლემების წინაშე. 2008-2009 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა და საბერძნეთის ვალის საკითხმა სერიოზული სიძნელეები შექმნა. კიდევ უფრო პრობლემური აღმოჩნდა ე.წ. არაბული გაზაფხულის და სირიის სამოქალაქო ომის შედეგად მილიონობით ლტოლვილის სტიქიური მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში. ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ლტოლვილების მიღების და ქვეყნების მიხედვით მათი გადანაწილების შესახებ, რასაც მკვეთრად დაუპირისპირდნენ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები. მიგრანტთა კრიზისმა გამოაცოცხლა ქსენოფობია და ეთნიკური ნაციონალიზმი და საგრძნობლად გაზარდა მემარჯვენე რადიკალური და კონსერვატორული პოლიტიკური ძალების გავლენა, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ევროინტეგრაციის პროცესს. ამას ემატება თვითონ ევროკავშირის ფუნქციონირების ზედმეტად ბიუროკრატიული ხასიათი, რაც წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს.

განსაკუთრებით დიდი იყო ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობა დიდ ბრიტანეთში, რამაც აიძულა ხელისუფლება რეფერენდუმი ჩაეტარებინა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირის წევრად დარჩენის საკითხზე. 2016 წლის ივნისში ჩატარებული რეფერენდუმი ბევრისთვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა. მოსახლეობის 52%-მა მხარი დაუჭირა ე.წ.

ბრექსიტს, ანუ ქვეყნის გასვლას ევროკავშირიდან. 2017 წელს დაიწყო მოლაპარაკება ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომელიც 2019 წლის ბოლოს დასრულდა და 2020 წლის 31 იანვარს გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირი დატოვა.

5.3.2. ევროკავშირის სტრუქტურა

ევროკავშირი საკმაოდ რთული სტრუქტურით ხასიათდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ორგანიზაციაა, რომლის აპარატიც 30 ათას კაცზე მეტს ითვლის და ყველა წევრ ქვეყანაშია გაფანტული. თუმცა მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანოები ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელშია თავმოყრილი. ამის გამო, ბრიუსელს ხშირად ევროპის დედაქალაქის სახელითაც მოიხსენიებენ.

ევროკავშირი 5 მთავარი ინსტიტუტისგან შედგება: ევროპული საბჭო, ევროკავშირის საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი და ევროკავშირის სასამართლო. ამას ემატება 2 დამატებითი ინსტიტუტი: ევროპის აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი. სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ევროკავშირის მმართველი ორგანოები არ არიან გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად და ერთი ინსტიტუტი შეიძლება ხელისუფლების ორ და სამ შტოს ფარავდეს ისევე, როგორც ერთი შტო შესაძლებელია რამდენიმე ინსტიტუტს შორის განაწილდეს: მაგ., საკანონმდებლო ფუნქციებს ასრულებს სამი ინსტიტუტი: ევროკავშირის საბჭო, ევროკომისია და ევროპარლამენტი, ხოლო აღმასრულებელი ფუნქციები ევროპული საბჭოს, ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიის კომპეტენციაა.

ევროპული საბჭო (არ აგვერიოს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის საბჭოში) წარმოადგენს ევროკავშირის მთავარ პოლიტიკურ ორგანოს. იგი შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს (2025 წლისთვის 27) პოლიტიკური ლიდერისგან (პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი). თავდაპირველად, 1974 წლამდე, ერთმანეთს ხვდებოდნენ წევრი ქვეყნების ლიდერები. 1974 წლიდან ეს შეხვედრები რეგულარული და ფორმალიზებული გახდა, ხოლო, 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულებით, მან ევროკავშირის ოფიციალური ინსტიტუტის სტატუსი მიიღო.

ევროპული საბჭო იკრიბება წელიწადში ოთხჯერ მაინც. მის მუშაობაში, გარდა წევრი სახელმწიფოების ლიდერებისა, მონაწილეობენ ევროკავშირის პრეზიდენტი და ევროკომისიის პრეზიდენტი. შეხვედრა იმართება ან ბრიუსელში, ან ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაში (ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა 6 თვის ვადით ინიშნება ანბანური თანამიმდევრობით).

ევროპული საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის განვითარების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებებს და პოლიტიკური ინტეგრაციის ძირითად ასპექტებს, შეიმუშავებს ახალ ხელშეკრულებებს და შეაქვს შესწორებები არსებულ შეთანხმებებში. მისი კომპეტენციაა ევროკავშირში ახალი წევრების მიღებაც.

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებები პოლიტიკურ დირექტივებს წარმოადგენს, იურიდიული ძალა აქვს და სავალდებულოა შესასრულებლად.

ევროკავშირის საბჭო (ზოგჯერ მოიხსენიებენ ევროკავშირის მინისტრთა საბჭოდ). შედგება 27 წევრი სახელმწიფოს მინისტრისაგან: ისინი უნდა კურირებდნენ იმ სფეროს, ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე რომ უნდა განიხილონ: მაგ., თუ განსახილველია სოფლის მეურნეობის საკითხები, მონაწილეები იქნებიან სოფლის მეურნეობის მინისტრები, თუ განათლების საკითხია დღის წესრიგში, განათლების მინისტრები იქნებიან საბჭოს წევრები და ა.შ. ამგვარად, საბჭოს შემადგენლობა ყველა სხდომაზე სხვადასხვაა, განსახილველი საკითხების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, საბჭო ერთიანი ორგანოა, რომელიც სტრუქტურულად შედგება 10 ფორმაციისაგან (საგარეო კავშირების საბჭო, მართლმსაჯულების და შინაგან საქმეთა საბჭო, ეკონომიკისა და ფინანსთა საბჭო და ა.შ). ამ საბჭოების სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტებულია ცენტრალური ადმინისტრაციის და წევრი სახელმწიფოების კვალიფიციური ექსპერტებით. ისინი ამზადებენ საკითხებს. რაზეც ვერ შეთანხმდებიან, ის საკითხი გადაეცემა მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტს. იმ საკითხს, რომელზეც ვერც კომიტეტის სხდომაზე შეთანხმდნენ, ევროკავშირის საბჭო განიხილავს.

ევროკავშირის საბჭოს აქვს როგორც საკანონმდებლო (ევროპარლამენტთან ერთად), ისე აღმასრულებული (კერძოდ, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში) ფუნქციები. ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა 6 თვის ვადით ირჩევა. მონაცვლეობა ეფუძნება პრინციპს: დიდი ქვეყანა – პატარა ქვეყანა, და ძველი წევრი-ახალი წევრი.

ევროკომისია (ევროპული კომისია) ევროკავშირის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, მაგრამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო უფლებებიც აქვს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ძალაუფლება არ გააჩნია. ევროკომისიის ფუნქციაა, კოორდინაცია გაუწიოს წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას, პასუხისმგებელია კანონპროექტების მომზადებაზე, ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის გადაწყვეტილებების შესრულებაზე, ევროკავშირის ხელშეკრულებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების დაცვაზე, აგრეთვე – ევროკავშირის მიმდინარე საქმეებზე.

ევროკომისია აღმასრულებელ ხელისუფლებას ინაწილებს ევროპულ

საბჭოსა და ევროკავშირის საბჭოსთან ერთად. თუ ევროპული საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს, ხოლო ევროპული საბჭო და ევროპარლამენტი იღებენ კანონებს, ევროკომისია მათ აღსრულებაზეა პასუხისმგებელი, რასაც ახორციელებს წევრი სახელმწიფოების მეშვეობით და ევროკავშირის სხვადასხვა სპეციალური სააგენტოების დახმარებით. იგი უწევს კონტროლს ევროკავშირის ბიუჯეტის შესრულებასაც. ევროკომისიას აქვს განსაკუთრებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რაც იმით გამოიხატება, რომ მხოლოდ მას შეუძლია შეიტანოს კანონპროექტი ევროპარლამენტში.

ევროკომისია შედგება ხუთი წლის ვადით არჩეული 27 წევრისაგან (ერთი წარმომადგენელი თითოეული წევრი სახელმწიფოდან). თითოეული მათგანი (ოფიციალური სახელწოდებაა კომისარი) ხელმძღვანელობს რომელიმე კონკრეტულ მიმართულებას, მსგავსად მინისტრებისა სახელმწიფოებში. ამდენად, ეევროკომისიის სტრუქტურა ქვეყნების მთავრობის კაბინეტის სტრუქტურას მოგვაგონებს. კომისიის წევრის კანდიდატურა სახელდება სახელმწიფოს მიერ. ევროკომისიის პრეზიდენტი მათგან აყალიბებს კომისიას, რომელიც უნდა დაამტკიცოს ევროკავშირის საბჭომ, ხოლო შემდეგ კენჭისყრით დაადასტუროს ევროპარლამენტმა. თვითონ ევროკომისიის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს (რომელიც, იმავდროულად, არის ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში) ჯერ ხმების კვალიფიციური უმრავლესობით ირჩევს ევროპული საბჭო, შემდეგ – ევროპარლამენტი. ამის შემდეგ პრეზიდენტი აყალიბებს „კომისართა კაბინეტს“ ანუ ევროკომისიას და მის დასამტკიცებლად გაივლის ზემოთ ნახსენებ პროცედურას.

ევროკომისიის სტრუქტურაში შედიან პროფილური დეპარტამენტები ანუ გენერალური დირექტორატები, ევროკავშირის თავისებური, მუდმივმოქმედი „სამინისტროები“, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ერთიან პოლიტიკასა და ადმინისტრირებაზე შესაბამის სფეროში.

ევროპარლამენტი ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოა, თუმცა იგი არ იღებს კანონებს მთელი ევროპისათვის; მას არ გააჩნია არც ის ფუნქციები, რაც ეროვნულ პარლამენტებს აქვთ, და არც – საკანონ

მდებლო ინიციატივის უფლება. იგი, ერთი მხრივ, ევროკომისიის საზედამხედველო ორგანოა, მეორე მხრივ კი, იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც იურიდიული ძალა აქვს, ამტკიცებს ევროკავშირის ბიუჯეტს და ევროკომისიასთან ერთად კურირებს მიგრაციის, დასაქმების, ჯანდაცვის, მომხმარებელთა უფლებების საკითხებს. საკანონმდებლო ძალაუფლებას ევროპარლამენტი იყოფს ევროკავშირის საბჭოსთან ერთად და ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტები განიხილება ევროკავშირის საბჭოშიც და ევროპარლამენტშიც.

ევროპარლამენტის წევრები ირჩევა ევროკავშირის მთელი მოსახლეობის მიერ საყოველთაო ფარული კენჭისყრით (ძირითადად, პროპორციული წესით, პარტიული სიებით), რაც ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება. პარლამენტის წევრთა რაოდენობა 2024 წლის არჩევნებით 720 კაცია და განისაზღვრება ქვეყნების მოსახლეობის მიხედვით. ყველაზე მეტი ევროპარლამენტარი ჰყავს გერმანიას (96), ყველაზე ცოტა – კვიპროსს და მალტას (6-6). თუმცა თვითონ პარლამენტის წევრები წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიებს და არა – ქვეყნებს. ფრაქციებიც პარტიების მიხედვით იქმნება და არა – სახელმწიფოების. 2024 წლის არჩევნების შედეგად, ევროპარლამენტში 9 ფრაქციაა: დაწყებული ულტრამემარცხენეებით და დამთავრებული ულტრამემარჯვენეებით. უმრავლესობას შეადგენენ ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული ანუ ცენტრისტული, მემარჯვენე-ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული პარტიები, აგრეთვე – მწვანეები. კონსერვატორები, ნაციონალისტები, ულტრამემარჯვენეები და ულტრამემარცხენეები ოპოზიციას წარმოადგენენ.

ევროპარლამენტი თავისი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს 2,5 წლის ვადით. ევროპარლამენტის ადგილსამყოფელია სტრასბურგი, თუმცა სხდომები, სტრასბურგის გარდა, ბრიუსელშიც იმართება ხოლმე. ევროპარლამენტის ადმინისტრაცია ანუ სამდივნო, გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით (რომელსაც პარლამენტი ირჩევს), ფუნქციონირებს ლუქსემბურგში.

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ანუ ევროკავშირის სასამართლოს ამოცანაა, წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი დავები დაარეგულიროს. მსოფლიო სასამართლოსგან (ჰააგის საერთაშორისო სასამართლო) განსხვავებით, ევროკავშირის სასამართლო არ არის მხოლოდ მედიატორი ორგანიზაცია. მას აქვს უფლება, გააუქმოს ან შეცვალოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა, თუ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონებსა და ნორმებს. ეს ეხება არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების, არამედ – კერძო პირთა საქმეებსაც.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ადრე ევროგაერთიანების სასამართლო სისტემის ერთადერთი ორგანო იყო. ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, შეიქმნა პირველი ინსტანციის გენერალური სასამართლო (ტრიბუნალი), ხოლო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ამ სისტემის ზედა რგოლი გახდა, რომელსაც უფლება აქვს, საკასაციო წესით განიხილოს ტრიბუნალის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში 27 მოსამართლეა (თითოეული ქვეყანა ერთი მოსამართლით არის წარმოდგენილი). ისინი თავის წევრებიდან ირჩევენ სასამართლოს თავმჯდომარეს 3 წლის ვადით. სასამართლოს შემადგენლობაშია 11 გენერალური ადვოკატიც. აქედან 5 მუდმივი წევრია (გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და პოლონეთის წარმომადგენლები), დანარჩენები კი როტაციის წესით მონაცვლეობენ, ქვეყნების მიხედვით, ანბანური თანმიმდევრობით. მთავარ ადვოკატს ირჩევენ ერთი წლის ვადით. მისი ამოცანაა, საქმეები გაუნაწილოს ადვოკატებს. პირველი ინსტანციის სასამართლო (ტრიბუნალი) შედგება 54 წევრისაგან (ქვეყნიდან – 2 წარმომადგენელი), რომლებსაც შესაბამისი სახელმწიფოს მთავრობა ნიშნავს.

ევროკავშირის სასამართლოს სხდომები ლუქსემბურგში იმართება.

გარდა ამ ხუთი მთავარი ინსტიტუტისა, ევროკავშირის ორგანოებს მიეკუთვნება ევროპის აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი.

ევროპის აუდიტორთა სასამართლოს (სააღრიცხვო პალატის) დანიშნულებაა, აღრიცხოს და შეამოწმოს ევროკავშირის და მისი ყველა ინსტიტუტის შემოსავალი და ხარჯი, გააკონტროლოს ფინანსების მართვა, ყოველი საფინანსო წლის ბოლოს მოამზადოს ანგარიში და ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტს წარუდგინოს დასკვნები და შენიშვნები მიმდინარე საფინანსო საკითხებზე, დაეხმაროს ევროპარლამენტს ევროკავშირის ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლში.

ევროპის აუდიტორთა სასამართლო შედგება 27 აუდიტორისაგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და თავიანთ ქვეყანაში ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება. აუდიტორებს ნიშნავს ევროკავშირის საბჭო 6 წლის ვადით, თავმჯდომარეს კი, 3 წლის ვადით თვითონ აუდიტორები ირჩევენ თავიანთი წრიდან. აუდიტორთა სასამართლოს ადგილსამყოფელია ლუქსემბურგი.

ევროპის ცენტრალური ბანკი ევროკავშირის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომლის ამოცანაცაა ევროზონის სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ევროზონის ქვეყნების გაცვლითი რეზერვების შენახვა და მართვა, ევრობანკნოტების ემისია და საპროცენ-

ტო განაკვეთების დადგენა, აგრეთვე – სტაბილური ფასების შენარჩუნება ევროზონაში (სამომხმარებლო ფასების ზრდამ ევროზონაში არ უნდა გადააჭარბოს წელიწადში 2%-ს).

ევროპის ცენტრალური ბანკი სრულიად დამოუკიდებელია ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებისგან. მის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი ბორდი (შედგება 6 წევრისაგან) და მმართველთა საბჭო (რომელშიც შედიან აღმასრულებელი ბორდის წევრები და ევროზონის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველები (2026 წლისთვის 21). ევროპის ცენტრალური ბანკის აქტივების საერთო მოცულობა 7 ტრილიონი ევროა და ის მხოფლიოს უდიდესი ბანკია. ბანკის შტაბ-ბინა მდებარეობს მაინის ფრანკფურტში (გერმანია).

5.3.3. ევროკავშირის გაფართოების პირობები და პერსპექტივები

ევროკავშირი სახელმწიფოთშორისი ინტეგრაციის ყველაზე ნათელი და წარმატებული მაგალითია ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ მის დამფუძნებელ 6 ქვეყანას თანდათანობით ევროპის კიდევ 22 ქვეყანა მიემატა, ორგანიზაცია კი მხოლოდ ერთმა დატოვა (დიდი ბრიტანეთი).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ცივი ომის დამთავრების პერიოდისთვის ევროკავშირი 12 დასავლეთევროპულ ქვეყანას ითვლიდა. მათ მალევე მიემატა მანამდე ნეიტრალური პოლიტიკის გამტარებელი ავსტრია, შვედეთი და ფინეთი. ამგვარად, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, გარდა შვეიცარიისა, ნორვეგიისა და ისლანდიისა, ევროკავშირის წევრები იყვნენ.

გლობალიზაციის პროცესი და ცივი ომისშემდგომი საერთაშორისო ვითარება გარდაუვალს ხდიდა ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებას და ამ პროცესში იმ ქვეყნების ჩართვას, რომლებიც ადრე სოციალისტურ სამყაროს მიეკუთვნებოდნენ. ეს ქვეყნები კი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სისტემის თვალსაზრისით, ძირეულად განსხვავდებოდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისაგან. ცხადია, მათი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი ხანგრძლივ და სერიოზულ მუშაობას საჭიროებდა, რათა ისინი შესაბამებოდნენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.

ამ მიზნით, 1993 წელს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ევროკავშირში გაწევრიანების პირობები, რომლებიც **კოპენჰაგენის კრიტერიუმების** სახელით არის ცნობილი და რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია, რათა ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს.

პირველ ყოვლისა, ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს გეოგრაფიულ კრიტერიუმს და მიეკუთვნებოდეს ევროპის კონტინენტს. არაევროპული ქვეყანა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი. თუმცა, იმის გამო, რომ ევროპის საზღვრებს სხვადასხვა პარამეტრებით განსაზღვრავენ, ზოგი ქვეყნის ევროპისათვის მიკუთვნება სადავოა. თანხმდებიან, რომ

ქვეყნები, რომელთა თუნდაც რაღაც ნაწილი გეოგრაფიულად ევროპის კუთვნილებაა, ევროპულ სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს (თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი). ასევე ევროპულ სახელმწიფოებად ითვლება კვიპროსი და სომხეთი, რომლებიც გეოგრაფიულად აზიაშია, მაგრამ ცივილიზაციურად ევროპას წარმოადგენენ. იყო ეჭვები მალტის ევროპასთან მიკუთვნებულობის ირგვლივაც. თუმცა არის საწინააღმდეგო მაგალითიც. გვიანა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მდებარეობს, მაგრამ ევროკავშირის წევრია, რადგან საფრანგეთის ტერიტორიაა, ხოლო გრენლანდია ჩრდილოეთ ამერიკას მიეკუთვნება, მაგრამ, როგორც დანიის თვითმართვადი ტერიტორია, დანიასთან ერთად 1973 წელს გახდა ევროკავშირის წევრი, თუმცა 1983 წელს გამოვიდა მისი შემადგენლობიდან.

პოლიტიკური კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანა, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს, არის *დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და უმცირესობების უფლებების დაცვა*. თუ აღნიშნული კრიტერიუმებიდან ერთი მაინც ირღვევა ან არ შეესაბამება ევროკავშირის ნორმებს, სახელმწიფო ვერ გახდება ევროკავშირის წევრი.

ეკონომიკური კრიტერიუმები ითვალისწინებს, რომ ქვეყანას ჰქონდეს *საბაზრო, კონკურენტუნარიანი ეკონომიკა*, ხოლო მწარმოებლები გაუძლებენ კონკურენტების ზეწოლას ევროკავშირის ფარგლებში.

იურიდიული კრიტერიუმები იმას გულისხმობს, რომ ქვეყანამ საკუთარი კანონმდებლობა შეუსაბამოს ევროკავშირის კანონებს, რომლებიც ორგანიზაციის არსებობის განმავლობაშია მიღებული და რომლებსაც თანამეგობრობის აქტებს უწოდებენ.

როგორც ჩანს, არსებობს კიდევ ერთი, ოღონდ – არაფორმალური კრიტერიუმი – ცივილიზაციურ-რელიგიური კუთვნილება. სავარაუდოდ, ამ ფაქტორის გამოა გაყინული მოლაპარაკებები თურქეთთან, როგორც ისლამური (არაევროპული) ცივილიზაციის ქვეყანასთან. თუმცა, სავარაუდოა, რომ აქ ევროპისათვის პრობლემა უფრო თურქეთის მოსახლეობის რაოდენობაა (უფრო მეტია, ვიდრე ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა), რადგან ალბანეთისა და ბოსნია-ჰერცოგოვინისათვის, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, რელიგიას პრობლემა არ შეუქმნია მათი ევროკავშირის გაწევრიანების გზაზე.

2000 წელს მიღებულმა **ნიცის ხელშეკრულებამ** განსაზღვრა ევროკავშირში ახალი წევრების მიღების მექანიზმი და ტექნიკური დეტალები. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შესწორებების და დამატებების შეტანას მაასტრიხტის ხელშეკრულებაში და ევროკავშირის ინსტი-

ტუციურ რეფორმას, მისი აღმოსავლეთით გაფართოების ხელშეწყობის მიზნით. სწორედ ამ ხელშეკრულებამ წარმართა 2004 წლის დიდი გაფართოება და შემდგომი გაფართოებები. იგივე ხელშეკრულება საფუძვლად უდევს ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მიმდინარე პროცესებს და მომავალი წევრების გასავლელ პროცედურებს.

ამჟამად (2025 წლისთვის) ევროკავშირის წევრობის კანდიდატია 8 სახელმწიფო: უკრაინა, მოლდოვა, სერბეთი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა და საქართველო. აქედან – პირველი 6 მოლაპარაკების პროცესშია სრული წევრობის საკითხზე. კოსოვო განიხილება, როგორც პოტენციური კანდიდატი, თუმცა ამ სახელმწიფოს ლეგიტიმურობას არ აღიარებს მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო (მათ შორის, ევროკავშირის წევრი 5 ქვეყანა) და არც გაეროს წევრია. ამდენად, მისი წევრობის საკითხი ჯერჯერობით ბუნდოვანია. განსხვავებულ მდგომარეობაშია თურქეთი, რომელსაც 1987 წლიდან აქვს კანდიდატის სტატუსი. 2000 წელს ევროკავშირმა თურქეთს უარი უთხრა წევრობაზე, მაგრამ 2003 წელს განაახლა მოლაპარაკება. მოლაპარაკება ძალიან გაჭიანურდა და 2018 წელს თურქეთმა უარი თქვა მოლაპარაკების გაგრძელებაზე.

რაც შეეხება საქართველოს: იგი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ევროპული ორიენტაციის ქვეყანა იყო და თავის მომავალს, კეთილდღეობას და უსაფრთხოებას დასავლეთს უკავშირებდა. ამიტომ, ჯერ კიდევ 1992 წლიდან, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, მისი პოლიტიკური განვითარების ვექტორი ევროპისკენ იყო მიმართული. ეს ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი გზა იყო, ერთი მხრივ, რუსეთის სასტიკი წინააღმდეგობიდან გამომდინარე და, მეორე მხრივ, ზოგი ევროპული ქვეყნის და ორგანიზაციის ინდიფერენტულობის გამო, რადგან საქართველოს ევროპულ ქვეყნად არ თვლიდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო ჯიუტად აგრძელებდა ევროპისკენ სიარულს. ჯერ კიდევ 1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროგრამა, 2004 წელს საქართველო ჩაერთო ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, 2006 წელს ამუშავდა საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა, 2009 წელს კი ამოქმედდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა. უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2014 წელს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, ხოლო 2017 წელს ვიზალიბერალიზაცია ევროკავშირის ფარგლებში.

საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალი გზის დაგვირგვინება იყო 2023 წლის დეკემბერში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება. ეს იმას ნიშნავდა, რომ სულ

ახლოს იყო მიზანი, რისთვისაც საქართველო საუკუნეები იბრძოდა და ახლა მხოლოდ კოპენჰაგენის კრიტერიუმების სრული დაკმაყოფილება გვაშორებდა ევროკავშირის წევრობას.

სამწუხაროდ, ვითარება დრამატულად შეიცვალა. 2024 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 2028 წლის ნოემბრამდე წყვეტდა მოლაპარაკებას ევროკავშირთან მასში საქართველოს გაწევრიანების შესახებ. ამას მოჰყვა პარლამენტის მიერ მრავალი კანონის მიღება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება ევროკავშირის ნორმებს. სერიოზული უკუსვლა აღინიშნა დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სფეროში. მიუხედავად მოსახლეობის მასობრივი პროტესტისა და ევროკავშირის არაერთი გაფრთხილებისა, ხელისუფლებამ კურსი არ შეცვალა. ამან კი დიდი საფრთხის წინ დააყენა საქართველოს ისტორიული მონაპოვარი. 2025 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები გაყინულია და არსებობს რეალური საფრთხე, რომ საქართველომ დაკარგოს ევროკავშირში გაწევრიანების შანსი. ეს ცივილიზებულ სამყაროსთან კავშირზე, უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე უარის თქმას და რუსეთთან მარტო დარჩენას ნიშნავს. მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში კი ძნელი სათქმელია, ოდესმე კიდევ მიეცემა თუ არა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა.

5.4. საერთაშორისო სამართალი და გლობალიზაცია

საერთაშორისო სამართალი სამართლის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც, შიდასახელმწიფოებრივი სამართლისაგან განსხვავებით, უფრო ქცევის წესებს წარმოადგენს, ვიდრე – სამართლებრივ ნორმებს. სახელმწიფოები (და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა აქტორები) ამ წესებს ერთმანეთს უთანხმებენ და აღიარებენ – ისინი იურიდიულად სავალდებულო ნორმებად ითვლება, თუმცა რეალურად სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე უფრო პრიორიტეტულია – დიდი და ძლიერი სახელმწიფოები ხშირად უგულებელყოფენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, მით უფრო, რომ საერთაშორისო სამართალს არ გააჩნია აღსრულებისა და დასჯის ეფექტური მექანიზმი.

საერთაშორისო სამართალი სამი მიმართულებისაგან შედგება: საერთაშორისო საჯარო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი და ზესახელმწიფოებრივი (სუპრანაციონალური) სამართალი.

საერთაშორისო საჯარო სამართალი არეგულირებს სახელმწიფოების, სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ზოგი სხვა აქტორის ურთიერთობას.

საერთაშორისო კერძო სამართალი შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ნორმების და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე არეგულირებს უცხოური ელემენტით გართულებულ კერძოსამართლებრივ (სამოქალაქო, შრომით და სხვ.) ურთიერთობას.

ზესახელმწიფოებრივი (სუპრანაციონალური) სამართალი საერთაშორისო სამართლის ის ფორმაა, როცა სახელმწიფოები შეგნებულად ზღუდავენ საკუთარი უფლებამოსილების ნაწილს და გადასცემენ მას ზენაციონალურ ორგანოს. ზესახელმწიფოებრივი სამართლის ყველაზე მკაფიო მაგალითია ევროკავშირის სამართალი.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს საერთაშორისო საჯარო სამართალი და მხოლოდ მასზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუმცა, ცხადია, გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო კერძო სამართლისა და ზესახელმწიფოებრივ სამართლის მნიშვნელობაც ძალიან იზრდება.

5.4.1. საერთაშორისო საჯარო სამართალი: სუბიექტები, წყაროები, სტრუქტურა

საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მმართველობის ერთიანი ცენტრის არსებობა. შესაბამისად, ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შეასრულებს მსოფლიო მთავრობის ფუნქციას. ასევე გამორიცხულია ერთიანი საკანონმდებლო ორგანოს, მსოფლიო პარლამენტის არსებობა, რომელიც მიიღებდა საერთაშორისო კანონებს და კონტროლს გაუწევდა მათ შესრულებას. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმები, შიდა სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, არა რომელიმე ორგანოს მიერ არის მიღებული, არამედ თვით სამართლის სუბიექტების შეთანხმების შედეგია.

საერთაშორისო სამართლის **სუბიექტები** ორი სახით გვხვდება: პირველად სუბიექტებად და წარმოებულ სუბიექტებად.

პირველად სუბიექტებს მიეკუთვნებიან **სახელმწიფოები** და **თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები**. პირველადი სუბიექტი ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი რეალობაა და არა – ვინმეს მიერ შექმნილი ერთეული.

წარმოებული სუბიექტებია **საერთაშორისო ორგანიზაციები**, რომლებიც პირველადი სუბიექტების, სახელმწიფოების, მიერ არის შექმნილი. ისინი სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა და მათ ფუნქციონირებასაც წევრი სახელმწიფოები განაპირობებს. შესაბამისად, საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია.

სწორედ აღნიშნული სუბიექტების ურთიერთობა განისაზღვრება ქცევის გარკვეული წესებით, რომლებიც შემუშავებულია სახელმწიფოების მიერ და ემყარება სამ მთავარ **წყაროს**:

საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოების შეთანხმების შედეგად მიღებულ ქცევის წესებს და ნორმებს, და რომელთა დაცვაც ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეების ვალდებულებაა (თუმცა ეს ყოველთვის არ სრულდება).

საერთაშორისო წეს-ჩვეულებები სახელმწიფოთა ურთიერთობის დაუწერელი წესებია, რომლებსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს და სახელმწიფოები ერთნაირად იყენებენ. პრაქტიკით დადასტურებულმა და მონაწილეების მიერ მხარდაჭერილმა წეს-ჩვეულებამ შეიძლება წერილობითი სახე მიიღოს და ხელშეკრულებად იქცეს.

ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული და გამოყენებული სამართლის ზოგადი პრინციპები. ეს ის ზოგადი ნორმებია, რომლებსაც ტრადიციულად იყენებდნენ ცივილიზებული ხალხები და რომლებიც საფუძვლად უდევს დღევანდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას.

საერთაშორისო სამართლის ინტერესებშია საერთაშორისო ცხოვრების ყველა სფერო, რაც განაპირობებს მის რთულ **სტრუქტურას**. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი იყოფა შემდეგ დარგებად:

დიპლომატიური და საკონსულო სამართალი წარმოადგენს საგარეო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს და აერთიანებს იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს საგარეო ურთიერთობის ორგანოების სტატუსს და ფუნქციებს. გამოიყოფა რამდენიმე ქვედარგი: საკუთრივ, დიპლომატიური სამართალი, საკონსულო სამართალი, დიპლომატიური პროტოკოლის სამართალი, საგარეო კავშირების შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების სამართალი;

საერთაშორისო ხელშეკრულებითი სამართალი არეგულირებს საერთაშორისო აქტორთა ურთიერთობას ხელშეკრულების დადების, შეცვლის, გაუქმების, განმარტების და შესრულების სფეროში;

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციების სტატუსს და არეგულირებს მათი შექმნის, მოქმედების და სხვა საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთობის საკითხებს;

საერთაშორისო საზღვაო სამართალი აერთიანებს სამართლებრივ ნორმებს და პრინციპებს, რომლებიც ადგენენ საზღვაო სივრცის რეჟიმს და სახელმწიფოების ურთიერთობებს მსოფლიო ოკეანის გამოყენების საკითხში. საერთაშორისო საზღვაო სამართლის ძირითადი პრინციპებია ღია ზღვის თავისუფალი გამოყენებისა და შიდა და ტერიტორიულ საზღვაო წყლებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპები;

საერთაშორისო საჰაერო სამართალი იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებს საჰაერო სივრცის სამართლებრივ სტატუსს და მისი გამოყენების რეჟიმს აერონავიგაციის მიზნით;

საერთაშორისო კოსმოსური სამართალი წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს და პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობას კოსმოსის ათვისებისა და გამოყენების სფეროში, განსაზღვრავს კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების საერთაშორისო-სამართლებრივ რეჟიმს;

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი) განსაზღვრავს ომის წარმოების მეთოდების შემზღუდავ ნორმებს და ომის მსხვერპლთა დაცვის საშუალებებს;

საერთაშორისო სისხლის სამართალი არეგულირებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლისას, დამნაშავეთა გამოვლენის, გამოძიებისა და დასჯისას. საჯარო საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სუბიექტი ადამიანია და არა – სახელმწიფო. საერთაშორისო იურისდიქციაში ხვდება არა ყველა დანაშაული, არამედ მხოლოდ ზოგი მათგანი: კერძოდ, მშვიდობისა და უსაფრთხოების საწინააღმდეგო ქმედება, აპარტეიდი, გენოციდი, მეკობრეობა, ტრეფიკინგი, სამხედრო დანაშაული;

საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის ამოცანაა, სამართლებრივ ნორმებს დაუქვემდებაროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა, არ დაუშვას დისკრიმინაცია ეკონომიკურ კავშირებსა და ვაჭრობაში, დაიცვას სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ეროვნულ სიმდიდრესა და რესურსებზე, უზრუნველყოს სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა და ორმხრივი სარგებელი, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდის პროცესს მსოფლიოში;

საერთაშორისო ეკოლოგიური (გარემოდაცვითი) სამართალი მოწოდებულია, სამართლებრივ ნორმებში მოაქციოს საერთაშორისო ურთიერთობა გარემოს დაცვის სფეროში, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით. ეს გულისხმობს ატმოსფეროს, კლიმატის და ოზონის შრის, წყლის და მიწის რესურსების, ფლორის, ფაუნის და ბიომრავალფეროვნების დაცვას, საშიშ და დამაბინძურებელ ნივთიერებებზე ერთობლივ კონტროლს, სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებული სივრცის საერთაშორისო მონიტორინგს;

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებმაც უნდა უზრუნ-

ველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო დაცვა. ეს ნორმები წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოთა კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დარღვევა საერთაშორისო დანაშაულია და არა – სახელმწიფოს საშინაო საქმე.

საერთაშორისო სამართლის დარგების ეს სია სრული არ არის: გამოყოფენ კიდევ რამდენიმე დარგს (მაგ., საერთაშორისო ატომური სამართალი, საერთაშორისო უსაფრთხოების სამართალი და სხვ.). გარდა ამისა საერთაშორისო სამართლის კომპეტენციაა სახელმწიფოთა ტერიტორიის და მოსახლეობის საკითხებიც (ტერიტორიული დავები, საზღვრების დელიმიტაცია, მოსახლეობის მიგრაცია, ლტოლვილები, მოქალაქეობის მიღება და ა.შ.).

საერთაშორისო სამაღლის სტრუქტურაში დარგების გარდა გამოყოფენ ე.წ. დარგთაშორის ინსტიტუტებს. მათ მიეკუთვნება:

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც იმას გულისხმობს, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ვალდებულია აღმოფხვრას ის ზიანი, რომელიც, საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევის გამო, მან მიაყენა საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტს. ცალკეულ შემთხვევებში ეს ვალდებულება შეიძლება გავრცელდეს მაშინაც, როცა სუბიექტს საგანგებოდ არაფერი დაურღვევია, მაგრამ ტექნოგენური კატასტროფის ან სხვა, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, მეორე სახელმწიფო დაზარალდა.

საერთაშორისო სამართალმემკვიდრეობა არის მოვლენა, როდესაც საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთი სახელმწიფოდან გადადის სხვა სახელმწიფოზე. ეს, ძირითადად, მაშინ ხდება, როცა ერთი სახელმწიფო წყვეტს არსებობას და, მის ნაცვლად, სხვა სახელმწიფო (სახელმწიფოები) წარმოიშობა: მაგ., საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი სამართალმემკვიდრე გახდა რუსეთის ფედერაცია, რომელზეც გადავიდა საბჭოთა კავშირის ყველა საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

5.4.2. საერთაშორისო სამართლის პრინციპები

საერთაშორისო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება ემყარება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვას. ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია გაეროს წესდებასა და გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის რეზოლუციაში საერთაშორისო პრინციპების შესახებ, აგრეთვე – ეუთოს 1975 წლის დასკვნით აქტში.

საერთაშორისო სამართლის პრინციპები წარმოადგენს ფუნდამენტურ ნორმებს, რომლებსაც, როგორც საერთაშორისო კანონიერების კრიტერიუმებს, უნდა ემყარებოდეს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება თუ შეთანხმება. სულ აღიარებულია და მოქმედებს საერთაშორისო სამართლის 10 პრინციპი:

1. **სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი.** ეს პრინციპი იმას გულისხმობს, რომ ყველა სუვერენული სახელმწიფო, მიუხედავად მისი ტერიტორიის სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა, იურიდიულად სრულიად თანასწორნი არიან და თანაბრად აგებენ პასუხს საერთაშორისო სამართლის წინაშე;
2. **ძალის გამოყენებაზე ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა.** ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ერთმანეთის მიმართ ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრებისაგან, როგორც დავის გადაჭრის და მიზნის მიღწევის საშუალებისაგან. ამასთან, ძალად მხოლოდ შეიარაღებული ძალები კი არა, ეკონომიკური და დიპლომატიური ზეწოლაც იგულისხმება. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავს დაესხას სხვას, თუნდაც ამისათვის სამართლიანი მიზეზი ჰქონდეს. ასეთი გადაწყვეტილების მღების უფლება მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს აქვს;
3. **საერთაშორისო დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა.** ეს პრინციპი გამომდინარეობს ძალის გამოუყენებლობის პრინციპიდან და იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოთაშორისი დავა უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანად, მოლაპარაკების და შეთანხმების გზით. მოდავე სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ არ დაძაბონ სიტუაცია და საფრთხე არ შეუქმნან მსოფლიო მშვიდობას და უსაფრთხოებას.
4. **სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.** ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს აქვს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სისტემა. ამაში სხვა სახელმწიფოს ჩარევის უფლება არა აქვს. მაგრამ ხშირად დავის საგანი ხდება, რა უნდა ჩაითვალოს საშინაო საქმედ. თუ სახელმწიფოს ქმედება საფრთხეს უქმნის მშვიდობას, უხეშად არღვევს თავის მოქალაქეთა უფლებებს, ახორციელებს უმცირესობათა დისკრიმინაციას, ასეთი ქმედებები საშინაო საქმედ ვერ ჩაითვლება და საერთაშორისო საზოგადოებამ შეიძლება განახორციელოს საჭირო ღონისძიებები (ჰუმანიტარული ინტერვენციაც კი) მდგომარეობის დასარეგულირებლად.

5. **სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა.** ეს პრინციპი იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. ნებისმიერი სახელმწიფო აღიარებულია გარკვეულ საზღვრებში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ამ სუვერენიტეტის დარღვევის უფლება არავის აქვს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ქმედება საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ნაწილის, როგორც წესი, ეთნიკური უმცირესობების ფიზიკურ არსებობას და იკვეთება გენოციდის საფრთხე, საერთაშორისო სამართალმა შეიძლება დაუშვას გამონაკლისი და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით ახალი პოლიტიკური ერთეული შექმნას (მაგ., კოსოვო სერბეთის შემთხვევაში);
6. **საზღვრების ურღვევობა,** როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპი, საბოლოო სახით 1975 წლის ჰელსინკის აქტით ჩამოყალიბდა. იგი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოს აღიარებული საზღვრები შეუძლებელია შეიცვალოს, თუ ამას თვითონ ეს სახელმწიფო არ ეთანხმება. საერთაშორისო სამართალი არ ცნობს ე.წ. ისტორიული სამართლიანობის არგუმენტს და არ ითვალისწინებს ცალკეული სახელმწიფოების პრეტენზიებს „ისტორიული საზღვრების“ აღდგენის შესახებ. სამართლიანად ითვლება ის საზღვრები, რომლებშიც მოცემული სახელმწიფოა აღიარებული.
7. **ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება.** საერთაშორისო სამართალი მიიჩნევს, რომ ყველა ხალხი, მიუხედავად მათი რიცხოვნებისა, თანასწორუფლებიანია; ყველა ხალხს აქვს უფლება, თვითონ განსაზღვროს თავისი პოლიტიკური არჩევანი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით. თითოეული სახლმწიფოს ვალდებულებაა, თავი შეიკავოს ძალადობრივი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის ამა თუ იმ ხალხს, განახორციელოს თვითგამორკვევის უფლება. ამასთანავე, თვითგამორკვევის პრინციპი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებს, სახელდობრ, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს. თუ ასეთი შეუთავსებლობა მაინც წარმოიშვა, საერთაშორისო სამართალი უპირატესობას ანიჭებს ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უხეშად ირღვევა უმცირესობების უფლებები და საფრთხე ექმნება მათ იდენტობას და ფიზიკურ არსებობას (კოსოვოს პრეცედენტი);

8. **ადამიანის უფლებათა პატივისცემა.** საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად სქესისა, რასისა, ენისა თუ რელიგიისა, სრულიად თანასწორია; ყველა ხალხს აქვს უფლება, ისარგებლოს ადამიანის ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით, რომლებიც დეკლარირებულია გაეროს წესდებაში, ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო დეკლარაციასა (1948) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში (1966). ადამიანის უფლებების უშუალო რეგლამენტაცია სახელმწიფოს საშინაო საქმეა, მაგრამ, თუ ის მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს და უხეშად არღვევს მოქალაქეთა უფლებებს, აღიქმება საერთაშორისო დანაშაულად, და საერთაშორისო საზოგადოება შესაბამის რეაგირებას ახდენს ასეთ პრეცედენტებზე;
9. **გაეროს წესდების შესაბამისად თანამშრომლობის ვალდებულება.** გაეროს წესდებისა და სხვა მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ითანამშრომლონ საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის, აგრეთვე – საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. თანამშრომლობის ფორმებს და მოცულობას თვითონ სახელმწიფოები განსაზღვრავენ, მათი მოთხოვნილებების, მატერიალური შესაძლებლობების და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად;
10. **საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება.** ეს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უძველესი პრინციპია, რომელიც ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს სათავეს (Pacta sunt servanda – ხელშეკრულება უნდა შესრულდეს), და ვესტფალიის ზავითაც (1648) დადასტურებულია, ხოლო გაეროს წესდება პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოებს, კეთილსინდისიერად შეასრულონ მათ მიერვე დადებული ხელშეკრულებები. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლაპარაკია იმ ხელშეკრულებებზე, რომლებსაც სახელმწიფომ ნებაყოფლობით მოაწერა ხელი, და არა – უთანასწორო, ძალით თავსმოხვეულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.

ჩამოთვლილი 10 პრინციპი უდევს საფუძვლად საერთაშორისო ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას. მაგრამ, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, საერთაშორისო პოლიტიკას ეროვნული ინტერესები განსაზღვრავს, რომლებიც არც თუ იშვიათად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და სამართლებრივ ნორმებზე მაღლა ძალის ფაქტორი დგება.

5.4.3. საერთაშორისო სამართალი გლობალიზაციის ერაში

გლობალიზაციის პროცესი შეეხო ისეთ მყარ და კონსერვატორულ სფეროსაც, როგორიც საერთაშორისო სამართალია. ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გლობალიზაციამ შეცვალა საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები, მაგრამ პრიორიტეტთა გარკვეული ცვლილებები ნამდვილად იგრძნობა.

ჯერ ერთი, საერთაშორისო ურთიერთობებში აშკარად გაიზარდა არასახელმწიფო აქტორების მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა, ეს ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მზარდ როლს. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, მაგრამ მათი გავლენა სახელმწიფოებსა და სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებზე აშკარაა, რაც აისახება კიდეც საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მეორე, გლობალიზაციამ ძალიან გაზარდა ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაში, არამედ – პოლიტიკაშიც. არც ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, მაგრამ, იმის გამო, რომ სულ უფრო მეტი სახელმწიფო და სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია ექცევა მათი გავლენის ქვეშ და ემორჩილება მათი თამაშის წესებს, ისინი ირიბად, გაშუალებული გზით, ზემოქმედებენ საერთაშორისო სამართალზე.

მესამე, თვითონ სახელმწიფოების როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე მეტ გავლენას ახდენს მოსახლეობა, საზოგადოებრივი აზრი, მედია. ერთი სიტყვით, საზოგადოება ხდება სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი წარმმართველი ძალა. შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებული ხდება, მეტად გაითვალისწინოს საზოგადოების განწყობა საერთაშორისო სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების დროს.

როგორც უკვე ითქვა, საერთაშორისო სამართლის ცალკეული პრინციპები შეიძლება შეეწინააღმდეგოს ერთმანეთს. გლობალიზაციის წყა-

ლობით, ახლა იმ პრინციპებს, რომლებიც ადამიანის უფლებებს, ხალხთა სუვერენულ თანასწორობას, ურთიერთთანამშრომლობას და დავების მშვიდობიან გადაწყვეტას ეხება, ადრინდელზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება: კერძოდ, როცა რომელიმე ქვეყანაში ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა, საერთაშორისო სამართალი უფლებას აძლევს სხვა ქვეყნებს, განახორციელონ ჰუმანიტარული ინტერვენცია და აღკვეთონ ძალადობა, თვით ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლითაც კი. ადრე ასეთ რადიკალური ნაბიჯის გადადგმისაგან თავს შეიკავებდნენ იმ მიზეზით, რომ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი არ დარღვეულიყო. გლობალიზაციის ერაში კი, როცა ადამიანის უფლებების დაცვა საყოველთაო პრიორიტეტი გახდა, ჰუმანიტარული ინტერვენცია (ცხადია, თუ ეს გაეროს სანქციით ხდება) არა საშინაო საქმეებში ჩარევად, არამედ საერთაშორისო დანაშაულის აღკვეთად ჩაითვლება.

ასევე, როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპები ეწინააღმდეგება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, საერთაშორისო საზოგადოებამ შეიძლება მხარი დაუჭიროს ამ უკანასკნელს, რაც გლობალიზაციამდელ ერაში წარმოუდგენელი იყო. მსოფლიო ყოველთვის ამჯობინებდა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მხარეს დამდგარიყო, რათა ამით საერთაშორისო სისტემაში წესრიგი და სტაბილურობა შეენარჩუნებინა. დღეს კი, უკვე არსებობს პრეცედენტი: როცა სერბეთში უხეშად დაირღვა კოსოვოელი ალბანელების უფლებები, საერთაშორისო საზოგადოებამ განახორციელა სამხედრო ოპერაცია, რის შედეგადაც, კოსოვოს შეუქმნა სეცესიის შესაძლებლობა. ამგვარად, დაირღვა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობა და წარმოიშვა ახალი სახელმწიფო – კოსოვო. ეს საერთაშორისო საზოგადოების სოლიდარობისა და მხარდაჭერის შედეგია, რაც ასევე გლობალიზაციის თანმდევი მოვლენაა.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის პროცესმა საერთაშორისო სამართალზეც იქონია გავლენა ისევე, როგორც საგრძნობლად გაზარდა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მსოფლიო პოლიტიკაში.

თავი 6. კულტურის გლობალიზაცია

6.1 კულტურის გლობალიზაცია: ზოგადი თავისებურებანი

გლობალიზაციის სხვადასხვა გამოხატულებას შორის კულტურის გლობალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო, ფართოდ გავრცელებული და წინააღმდეგობრივია. საუკუნეების განმავლობაში ხალხები თავიანთ თვითმყოფადობის შენარჩუნებას ეროვნული კულტურის შენარჩუნების ფასად ახერხებდნენ. სწორედ ეროვნული კულტურა და ენა იყო ის განმასხვავებელი ნიშანი, რომლებიც ამა თუ იმ ხალხს სხვისგან გამოარჩევდა და ეროვნული იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევდა. ამდენად, ეროვნება და ეროვნული კულტურა თითქმის გაიგივებულ ცნებებად აღიქმებოდა, და პიროვნება მაშინღა ითვლებოდა გარკვეული ეროვნების წარმომადგენლად, როცა ამავე ეროვნული კულტურის მატარებელი იყო.

გლობალიზაციის პროცესმა ეს თითქოსდა ხელშეუხებელი სფეროც მოიცვა. ბევრის აზრით, თანდათან ქრება ეროვნული კულტურების უნიკალური მრავალფეროვნება და ყალიბდება გლობალური, ზეეროვნული მასობრივი კულტურა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა – დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის სუროგატული კულტურის მთელ მსოფლიოში გავრცელება. ე. ი., ეროვნული კულტურების ნაცვლად, ყალიბდება კოსმოპოლიტური კულტურა, სადაც ყველაფერი ეროვნული იკარგება. სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას აცვია ერთნაირად, ჭამენ ერთსა და იმავე საჭმელს (მაკდონალდსიზაცია), სვამენ ერთს და იმავე სასმელს (კოკა-კოლიზაცია), უსმენენ ერთსა და იმავე მუსიკას, უყურებენ ერთსა და იმავე ფილმებსა და ტელეგადაცემებს და, ყოველივე ამის შედეგად, აქვთ ერთნაირი ღირებულებები და ერთნაირად ფიქრობენ. მოკლედ, ყალიბდება უეროვნებო, კოსმოპოლიტი, მსოფლიო მოქალაქე.

სკეპტიკოსები არ იზიარებენ ასეთ უკიდურეს თვალსაზრისს. მათ მიაჩნიათ, რომ შეფასება აშკარად მცდარია. ეროვნული კულტურა კვლავაც რჩება ადამიანის ეროვნული იდენტობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ფაქტორად. შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესმა შეცვალოს კულტურების ეროვნული სახე და მრავალფეროვნება. სხვადასხვა კულტურის ურთიერთგაცნობა ერთიანი კოსმოპოლიტური კულტურის ჩამოყალიბებას არ ნიშნავს. პირიქით, კულტურათა ურთიერთგანსხვავება უფრო აღრმავებს წინააღმდეგობას, რასაც ცივილიზაციათა შეჯახებისკენ მივყავართ.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას ანუ ტრანსფორმაციონისტებს: მათი აზრით, მიმდინარეობს ეროვნული კულტურების ურთიერთშერ-

წყმა და ახალი გლობალური კულტურული ქსელის წარმოქმნა, რომელიც მრავალეროვნულია და არა – ზეეროვნული და, მით უმეტეს – კოსმოპოლიტური.

ამგვარად, ჩვენ წინაშეა ეროვნული კულტურების ტრანსფორმაცია. ის, რომ ისინი გლობალიზაციის პირობებში სერიოზულ ცვლილებებს განიცდიან, არავისთვის სადავო არ არის. საქმე ისაა, როგორ და რა მიმართულებით იცვლება კულტურა. ავსტრალიელი მეცნიერი, რ. ჰოლტონი (Holton 1998) სამ ძირითად ფორმას გამოყოფს – *ჰომოგენიზაციას, პოლარიზაციას, ჰიბრიდიზაციას*.

ჰომოგენიზაცია გულისხმობს კულტურების გაერთიანებას, შერწყმას ისეთნაირად, რომ წარმოიშობა ერთი, არაეროვნული, კოსმოპოლიტური, გლობალური კულტურა. კულტურა ერთფეროვანი ხდება და ხალხები უფრო ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი კულტურით. სწორედ ასე ესახებათ გლობალისტებს კულტურის მომავალი.

მაგრამ, ბუნებრივია, კულტურების ჰომოგენიზაცია შეუძლებელია ისე, რომ რომელიმე კულტურის დომინანტი არ ფიგურირებდეს. სწორედ ამიტომ, ლაპარაკს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კულტურის ჰომოგენიზაციაზე ბევრი აღიქვამს დასავლეთის კულტურულ იმპერიალიზმად – ვესტერნიზაციად, უფრო კონკრეტულად კი – ამერიკანიზაციად.

ბოლო საუკუნეებში დასავლეთის დაწინაურებამ, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და კულტურულად, ჩამოაყალიბა ღირებულებათა სისტემა, რომელიც დასავლეთში აღიქმება უნივერსალურ და ერთადერთ ჭეშმარიტ სისტემად. ამიტომ ყველა სხვა შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება დასავლურს, ითვლება უცხოდ და მიუღებლად. ამოცანა სწორედ ისაა, საყოველთაოდ გავრცელდეს დასავლური აზროვნება, დასავლური ფასეულობები და დასავლური ცხოვრების სტილი. მსოფლიო უნდა იცვამდეს, ჭამდეს, ფიქრობდეს, აფასებდეს ისე, როგორც – დასავლეთი. რა თქმა უნდა, ამას ძალით არავინ ახორციელებს, მაგრამ დღევანდელი კომუნიკაციის პირობებში (და ესეც დასავლეთის მიღწევაა) უბრძოლველად, უსისხლოდ, შეპარვით და შეუმჩნევლად მკვიდრდება დასავლური ცხოვრების სტილი.

მაგრამ თვითონ დასავლეთიც არ არის ჰომოგენური და დასავლურ ეროვნულ კულტურებს შორისაც საკმაო განსხვავებაა! ამიტომ თვით დასავლურ კულტურათა ურთიერთდაპირისპირებისას უპირატესობა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნის, აშშ-ის მხარეზეა. შესაბამისად, ამერიკული კულტურის დომინანტი უდავოა და ვესტერნიზაცია, უპირველესად, ამერიკანიზაციაა. ამერიკელები ამას ბუნებრივად მიიჩნევენ, რადგან ამერიკული კულტურა უკვე თვითონვე

წარმოადგენს სინთეზურ კულტურას, რომელიც სხვადასხვა (მათ შორის, ზოგი არადასავლური) კულტურის შერწყმის შედეგად წარმოიშვა.

ცხადია, სულ სხვაგვარად აღიქვამენ დასავლურ და, კერძოდ, ამერიკული კულტურის მოძალებას არადასავლური ცივილიზაციები. მათთვის ამერიკული მუსიკა თუ ტელესერიალები, მაკდონალდსი თუ კოკა-კოლა, ჰოლივუდი თუ CNN და, რაც მთავარია, ამერიკული ლიბერალიზმი და დემოკრატია ის იარაღია, რომლითაც ნადგურდება მათი ცივილიზაცია, ეროვნული კულტურა, რელიგია, თვითმყოფადობა და იდენტობა. ამიტომაც უფრო მეტ ქვეყანაში ჩნდება აშკარად ექსტრემისტული ნაციონალისტური თუ რელიგიური ჯგუფები, რომელთა მიზანიც ამერიკის და, საერთოდ, დასავლეთის გავლენის გაძლიერებასთან ბრძოლაა. მარტო ისლამისტური ორგანიზაციების გახსენებაც კი საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ის მასშტაბები, რაც დასავლურ კულტურული იმპერიალიზმის გავრცელებას და მის საწინააღმდეგო მოქმედებებს მოჰყვა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა მულტიეთნიკური და, შესაბამისად, მულტიკულტურულია. როდესაც ასეთ ქვეყანაში რომელიმე ეროვნული კულტურა დომინირებს, დანარჩენი ეთნოკულტურების წარმომადგენლებისთვის სწორედ ის უცხო, შორეული, გლობალური (ანუ დასავლური, თუნდაც – ამერიკული) კულტურა შეიძლება უფრო მისაღები იყოს, ვიდრე თავისივე ქვეყანაში დომინირებული ეროვნული, მაგრამ მისთვის უცხო კულტურა. როგორც არხუნ აპადურაი აღნიშნავს, „სავარაუდოდ, ირიან ჯაიას ხალხისთვის ინდონეზიზაცია უფრო მიუღებელი და საშიშია, ვიდრე – ამერიკანიზაცია, ასევე, კორეელებისათვის – იაპონიზაცია, შრი-ლანკელებისთვის – ინდიზაცია, კამბოჯელებისთვის – ვიეტნამიზაცია, ხოლო სომხებისთვის – რუსიზაცია» (ციტირებულია Holton 1998 p. 170).

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე, ბევრი მკვლევარი, კერძოდ, ისინი, რომლებიც გლობალიზაციის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ავლენენ, თვლიან, რომ კულტურის ჰომოგენიზაცია ჩვეულებრივი მითია, რეალურად კი, მიმდინარე განსხვავებულ პროცესს კულტურის პოლარიზაცია შეიძლება ეწოდოს.

პოლარიზაციის ცნება გაიგება კულტურების არათუ დაახლოების და შერწყმის პროცესად, არამედ – პირიქით, მათ მზარდ ურთიერთდაპირისპირებად და ურთიერთწინააღმდეგობად. ამ მიმართულების მიმდევრები თვლიან, რომ გლობალიზაციის პროცესმა უკუშედეგი მოიტანა და ეროვნული კულტურები ერთმანეთს დააშორა, მეტიც, ისინი ერთმანეთის მიმართ მტრულად განაწყო.

იმ ავტორთა შორის, რომლებიც გლობალიზაციაში კულტურის პოლარიზაციას ხედავენ, პირველ ყოვლისა, სამუელ ჰანტიგტონი და ბენჯამენ

ბარბერი უნდა აღინიშნოს. ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ (Huntington 1996) ერთ-ერთ პოპულარულ წიგნად იქცა. ავტორი მსოფლიოს მთავარ საფრთხედ ცივილიზაციათა ომს, კერძოდ, დასავლურ და ისლამურ-კონფუციურ ცივილიზაციათა დაპირისპირებას მიიჩნევს. ბარბერი კი თავის მონოგრაფიაში „ჯიჰადი და MC მსოფლიო“ [Barber 1995] (აქ Mc მაკდონალდსის მნიშვნელობითაა და მსოფლიოს მაკდონალდსიზაციას ანუ ამერიკული ფასეულობის გლობალურ გავრცელებას გულისხმობს) თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დინამიკას იმ წინააღმდეგობას ამჩნევს, რომელიც, ერთი მხრივ, გლობალურ მომხმარებლობით კაპიტალიზმს, კომერციულ ეშმაკობებს, ტექნოლოგიას, პოპკულტურასა და დისნეის, ხოლო, მეორე მხრივ, ტომობრიობას, ეთნიკურობას, რელიგიურობას და გამორჩეულობის თვითრწმენას შორის წარმოიშვა.

ამ ორი თითქოსდა ემოციის დონეზე დაწერილი შრომის საფუძველი არის მკაცრი ნორმატიული და ფასეულობაზე ორიენტირებული მიდგომა. ბარბერისათვის მაკმსოფლიოსა და ჯიჰადს შორის პოლარიზაციის პრობლემა ისაა, რომ ორივე ძალა მტრულად არის განწყობილი დემოკრატიზაციისადმი: პირველი გლობალური ეკონომიკური სიძლიერის, მეორე კი ყოველივე განსხვავებულის ფუნდამენტური მიუღებლობისა და სიძულვილის გამო. ჰანტინგტონი კი გამორიცხავს სხვადასხვა ცივილიზაციის მორალურ თანაბარუფლებიანობას.

ჰანტინგტონი დუმილით უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ ყველაზე უფრო ექსტრემისტი ანტივესტერნისტებიც უყოყმანოდ იყენებენ დასავლურ ტექნოლოგიებს – კომპიუტერს, ინტერნეტს, მობილურ ტელეფონებს, ვიდეოაპარატურას, ტელევიზორს, რომ არაფერი ვთქვათ დასავლურ სამედიცინო ტექნოლოგიებზე და, რაც მთავარია, სამხედრო ტექნიკაზე, რომლითაც ისევ დასავლეთს უნდა ებრძოლონ.

ბარბერი, პირიქით, ხაზს უსვამს დაპირისპირებული მხარეების ურთიერთგადახლართვას და ურთიერთში შეღწევას. იგი წერს: „ირანელ ფანატიკოსს ერთი თვალი მიპყრობილი აქვს მოლასაკენ, რომელიც საღვთო ომისკენ მოუწოდებს, მეორით კი რუპერტ მერდოკის „სტარ ტვ“-ში „დინასტიას“, დონაჰიუს და სიმპსონებს მისჩერებია. ჩინელი მეწარმეები ერთმანეთს ეცილებიან, რომელი მიიპყრობს პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღებას და, იმავდროულად, თვალს ადევნებენ KFC-ის პრივილეგიებს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც იბრძვის ძველი სარწმუნოების ნებისმიერი განახლების წინააღმდეგ, კალიფორნიელ ბიზნესმენებთან ერთად სარისკო საქმეში ებმება ნატურალური წყლების ჩამოსხმასა და გაყიდვის სახით, ორთოდოქსი ჰასიდები და პირწავარდნილი ნეონაცისტები როკ-მუსიკას მიმართავენ, როცა ახალი თაობის წინაშე წარდგებიან ხოლმე“ (Barber 1995 p.5).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კულტურების სრული პოლარიზაცია ისევე შეუძლებელია, როგორც – სრული ჰომოგენიზაცია. ამიტომ საკმაოდ ბევრი მკვლევარი, უარყოფენ რა კულტურის ჰომოგენიზაციასაც და პოლარიზაციასაც, მხარს უჭერს მესამე გზას, რომელსაც კულტურის ჰიბრიდიზაციას უწოდებენ.

ჰიბრიდიზაცია. ეს ცნება გულისხმობს ცალკეული კულტურების დაახლოებას, ურთიერთგამდიდრებასა და ურთიერთშერწყმას ისეთნაირად, რომ ეროვნული ხასიათი არ დაიკარგოს. იგი, უბრალოდ, ინოვაციას განიცდის და სხვა ეროვნული კულტურების ელემენტებით ივსება.

ასეთი კულტურის ჩამოყალიბების მიზეზი ხალხთა, იდეათა და ღირებულებათა ინტენსიური მოძრაობაა, რომელიც პოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს არ ცნობს. იგი ზოგჯერ იძულებითია (მაგ., მონათა ვაჭრობა, რამაც აფრიკული მუსიკალური ტრადიციები შეიტანა ამერიკაში), ზოგჯერ ბაზარი მართავს (ნებაყოფლობითი მიგრაციები, რომელთაც მნიშვნელოვნად შეცვალეს ამერიკული, ევროპული თუ ავსტრალიური კულტურა). კულტურული ჰიბრიდიზაციის მაგალითებია ბანგრა მუსიკა ბრიტანეთის აზიური წარმოშობის ახალგაზრდებში, რომელიც ინდური მუსიკისა და ევროპული საცეკვაო რიტმების კომბინაციაა, ანდა რაი მუსიკა, რაც არაბული სიმღერებისა და დასავლური პოპის სინთეზია. გერმანელი მკვლევარი, უ. ბეკი კულტურული გლობალიზაციის საუკეთესო დადასტურებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის პოპ-მუსიკის ფესტივალზე სწორედ რაი მუსიკის „მეფის“, ალჟირიდან ემიგრირებული მომღერლის, ჰალედის სიმღერა „აიშამ“ გაიმარჯვა – ეს სიმღერა ყოველდღე გადაიცემოდა საფრანგეთის მთავარი რადიოსადგურებით. ბეკის აზრით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფრანგულ ნაციონალურ კულტურაში მაღრიბული ელემენტი დამკვიდრდა, ხოლო ჰალედი უცხოელების თვალში საფრანგეთს გამოხატავს და არა – ალჟირს (Бек 2001, с.40).

კულტურის ჰიბრიდიზაცია არ ნიშნავს კოსმოპოლიტიზაციას და დეტერიტორიზაციას. ჰიბრიდიზაციის დროს კულტურა ეროვნულობას ინარჩუნებს. დღევანდელი ფრანგული კულტურა უკვე უხვად შეიცავს არაბული (მაღრიბული) და აფრიკული კულტურების ელემენტებს. განსხვავებული მდგომარეობა იყო ასი წლის წინათ, როცა ფრანგულ კულტურაში ამ ელემენტებზე საუბარს, უბრალოდ, უაზრობად ჩათვლიდნენ. მაგრამ მაშინაც და დღესაც ეს ფრანგული ეროვნული კულტურაა და არავის მოუვა აზრად, ის კოსმოპოლიტურ კულტურად მიიჩნიოს.

იგივე შეიძლება ითქვას დეტერიტორიზაციაზე. ევროპასა და ამერიკაში მიგრირებული აზიელები თუ აფრიკელები, მიუხედავად თავიანთ კულტურაში ევროპული ელემენტის შემოსვლისა, ხშირად უფრო ნაციონალისტური იდეებით და მოქმედებებით გამოირჩევიან, ვიდრე – სამ-

შობლოში დარჩენილი თანამემამულეები (მაგ., ქურთები, სომხები და ა. შ.). ასე რომ, კულტურის ჰიბრიდიზაცია, რომელიც ხელს არ უშლის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებას და ხშირად განმტკიცებასაც კი, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ესადაგება კულტურული გლობალიზაციის დღევანდელ სურათს.

ენტონი სმიტი გლობალურ კულტურას, რომელიც ახლა ყალიბდება და, მისი აზრით, მომავალში მართლაც საყოველთაო, გლობალური გახდება, სამ თავისებურებას ამჩნევს. ესაა მისი *უნივერსალურობა, ტექნიკურობა და დროის გარეშე არსებობა* (Smith 1995 p.20).

უნივერსალურობა გამოიხატება მისი საყოველთაოობით. ვერც ერთი აქამდე არსებული იმპერიული და, ერთი შეხედვით, „კოსმოპოლიტური“ კულტურა უნივერსალურობას ვერ დაიჩემებს. ჩინეთის, რომის, ბიზანტიისა თუ საბჭოთა იმპერიების კულტურები ანდა მსოფლიო ცივილიზაციები (ბუდისტური, ისლამური, ქრისტიანული) გარკვეულ საზღვრებში იყო მოქცეული და თავიანთი დრო და ადგილი ჰქონდა. დღევანდელი და ხვალინდელი გლობალური კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ყოვლისა, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკასთან ასოცირდება, ძნელად ექვემდებარება დროსა და სივრცეში განსაზღვრას.

ტექნიკურობად ის იგულისხმება, რომ დღევანდელი გლობალური კულტურა პირველი წმინდა ტექნიკური ცივილიზაციაა. კულტურის ეთნიკური და ნაციონალური ელემენტების მიმართ იგი, ძირითადად, ნეიტრალურია: ემყარება თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს, ტექნოლოგიურ ბაზას, კომუნიკაციურ სისტემებს, რაც ქმნის ურთიერთზე დამოკიდებულ სოციალურ ქსელს, რომელიც თავის გამოხატულებას სტანდარტიზებულ, ტექნიკურ, ხშირად რაოდენობრივი ფორმით პოულობს. ამით აიხსნება ტექნიკური ინტელიგენციის გადამწყვეტი როლი თანამედროვე (უფრო სწორად, გვიანი მოდერნიზმის) ეპოქაში და მის მიერ ჰუმანიტარული და ნაციონალისტური ინტელექტუალების შევიწროება.

გლობალური კულტურა **დროის გარეშე** კულტურაა. მას არ გააჩნია ისტორიული ფონი, განვითარების რიტმი, დროისა და თანამიმდევრობის გრძნობა. ასეთმა ხელოვნურმა, არაბუნებრივმა გლობალურმა კულტურამ შეიძლება წარსული, უბრალოდ, ილუსტრაციის მიზნით და ეკლექტიკური კაპრიზების დასაკმაყოფილებად გამოიყენოს, თვითონ კი უარს ამბობს ადგილზე ისტორიაში. უარყოფს რა განვითარების ისტორიულ ფესვებს, გლობალური კულტურა უფორმო, ყველგან არსებული და ზედაპირულია.

როგორც ვხედავთ, სმიტის შეფასება საკმაოდ კატეგორიულია. ბუნებრივია, ასეთი მკვეთრი დასკვნები საწინააღმდეგო მოსაზრებებს იწვევს.

განსაკუთრებით საკამათოა იმის მტკიცება, რომ გლობალურ კულტურას ისტორიული ფესვები არ გააჩნია. მრავალი ავტორი, პირიქით, ამტკიცებს, რომ კულტურის გლობალიზაციას არაერთი ისტორიული ანალოგი მოეძებნება. ამდენად, საინტერესო იქნება, ამ საკითხზეც შევჩერდეთ.

6.2 კულტურის გლობალიზაცია ისტორიულ რეტროსპექტივაში

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის გლობალიზაცია, იმ მნიშვნელობით, რასაც ეს ცნება გულისხმობს, უდავოდ ახალი ფენომენია და სულ რამდენიმე ათწლეულს მოიცავს, კულტურების ურთიერთშერწყმა, მათი დიფუზია ყოველთვის მიმდინარეობდა და ამ პროცესის გარეშე ნებისმიერი ეროვნული კულტურის განვითარება შეუძლებელია. ერთერთი ეთნოლოგიური თეორია – დიფუზიონიზმი, საერთოდ, ნებისმიერი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბების და განვითარების მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორად კულტურათა დიფუზიას მიიჩნევს და თვლის, რომ იზოლირებულად წარმოქმნილი და განვითარებული კულტურები საერთოდ არ არსებობს.

მაგრამ, კულტურული დიფუზიისაგან განსხვავებით, კულტურული გლობალიზაცია კულტურათა შერწყმას კი არ გულისხმობს, არამედ ერთიანი ზენაციონალური, გლობალური კულტურის ჩამოყალიბებას. ამდენად, კითხვა ასე ისმის: იყო თუ არა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მომენტები, როცა ერთიანი, ზენაციონალური კულტურა ყალიბდებოდა და ვრცელდებოდა? ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კითხვას დადებითად უპასუხებს და რამდენიმე ასეთ მომენტს დაასახელებს:

მსოფლიო რელიგიები. ნებისმიერი რელიგია რწმენას ეროვნებასა და სახელმწიფოზე მაღლა აყენებს და ყოველგვარ იდეას, ქმედებასა თუ ღირებულებას, რომლებიც მის დოგმებს ეწინააღმდეგება, მიუღებლად მიიჩნევს. როცა ქრისტიანობა, ბუდიზმი ან ისლამი ვრცელდებოდა ამა თუ იმ ხალხში, აუცილებელი იყო, ხალხს უარი ეთქვა იმ წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე და იდეებზე, რომლებიც მათთვის ახლობელი და წინაპრებიდან მომდინარე იყო, მაგრამ ახალ სარწმუნოებას არ შეესაბამებოდა. ე. ი. ხალხი უარს ამბობდა ეროვნული კულტურის საკმაოდ დიდ ნაწილზე და, მის ნაცვლად, ახალ, რელიგიურ კულტურას ითვისებდა. ეს კულტურა კი ზეეროვნული და ზესახელმწიფოებრივი იყო. რელიგიური მორალიდან გამომდინარე, მხოლოდ შენი სარწმუნოების ადამიანია შენი სულიერი ძმა, და იგი უფრო ახლობელია, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, ვიდრე შენი ეროვნების ის წარმომადგენელი, რომელიც სხვა სარწმუნოებას აღიარებს.

აქედან გამომდინარე, რომელიმე რელიგიის გავრცელება უკვე თავისთავად იყო თავისებური „რელიგიური გლობალიზაცია“. ისლამი, მაგალითად, საერთოდ უარყოფს ეროვნულ დაყოფას და ყველა მუსლიმს ერთიანი საზოგადოების „უმმას“ წევრად მიიჩნევს. შესაბამისად, არსებობს ერთიანი ისლამური საზოგადოება, მუსლიმი ხალხი და ისლამური კულტურა, ხოლო საკუთარ ენებზე ლოცვა კატეგორიულად აკრძალულია და ამ მიზნით მხოლოდ არაბული ენა გამოიყენება. იგივე შეიძლება ითქვას ქრისტიანულ რელიგიაზე, განსაკუთრებით კი – კათოლიციზმზე, სადაც წირვა-ლოცვა მხოლოდ ლათინურ ენაზე უნდა შესრულებულიყო. ეს თავისებური ენობრივი გლობალიზაციის მაგალითებია.

ცხადია, ვერავინ უარყოფს ქრისტიანული (მის შიგნით კი – მართლმადიდებლური, კათოლიკური, პროტესტანტული), ისლამური, ბუდისტური, ინდუისტური, კონფუციანური კულტურების არსებობას. არც ის არის სადავო, რომ ერთი და იმავე რელიგიის მიმდევარი ხალხების კულტურებს გაცილებით მეტი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე – სხვა რელიგიის კულტურებთან (მაგ., ქართველი, რუსი, ბერძენი, რუმინელი საერთო მართლმადიდებლური კულტურის მატარებლები არიან და ერთმანეთთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე – ფრანგებთან, ინგლისელებთან, ამერიკელებთან და, მით უმეტეს, არაბებსა და იაპონელებთან). მაგრამ ეროვნული კულტურები სრულად არ შერწყმია ერთმანეთს და არც ერთიანი ზენაციონალური რელიგიური კულტურები წარმოქმნილა. ქართული კულტურა, მაგალითად, საგრძნობლად განსხვავდება ასევე მართლმადიდებლური ბულგარული ან სერბული კულტურისაგან. იგივე შეილება ითქვას სხვა, ერთი და იმავე სარწმუნოების, მაგრამ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კულტურების შესახებაც. მაშასადამე, კულტურის გლობალიზაცია რელიგიამ ვერ შეძლო, თუმცა მან დიდად იმოქმედა იმ ისტორიულ პროცესებზე, რომლებსაც დღეს გლობალიზაციას ვუწოდებთ.

იმპერიები. მსოფლიო ისტორიაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ცალკეულ იმპერიებში ხორციელდებოდა მიზანმიმართული (ზოგჯერ კი, სტიქიური) პროცესი, რომლის მიზანიც იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შორის ენობრივი, კულტურული თუ რელიგიური განსხვავების წაშლა იყო, რათა წარმოქმნილიყო ერთიანი ხალხი საერთო თვითშეგნებით, ენით, რელიგიით და კულტურით. მართალია, ასეთ შემთხვევაში გაბატონებული ეთნიკური ჯგუფი სხვა ხალხების ასიმილაციას ცდილობს ხოლმე, ეროვნებები კი არ იშლება, ერთი ეროვნება გაბატონებული მდგომარეობის მიღწევას ლამობს, მაგრამ მაინც ეს პროცესი გარკვეულად წააგავს დღევანდელ კულტურულ გლობალიზაციას (დღესაც ხომ ბევრს მიაჩნია, რომ გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ამერიკანიზაცია!).

ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობილ ტერიტორიაზე, სადაც ერთიანი იმპერია, ფაქტობრივად, შექმნისთანავე დაიშალა და ცალკეული სახელმწიფოები წარმოიშვა, აღმოსავლური და ბერძნული კულტურების უნიკალურ სინთეზს ჰქონდა ადგილი, რაც **ელინიზმის** სახელითაა ცნობილი. ელინისტური კულტურა, ფაქტობრივად, ერთიანი კულტურაა, საერთო ოფიციალური და ლიტერატურული ენით (ბერძნული) და ერთიანი ღირებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ელინისტური სახელმწიფოების მოსახლეობა ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი იყო, ხოლო ადგილობრივი ენობრივ-კულტურული განსხვავებები – საგრძნობი, საერთო ელინისტური კულტურა სრულიად აშკარა და გამოკვეთილი ფენომენია და კულტურული გლობალიზაციის ერთ-ერთ პირველ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ.

კულტურული გლობალიზაციის აშკარა ნიშნები იგრძნობოდა **რომის იმპერიაში.** მიუხედავად უზარმაზარი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიჭრელისა, აქ ეს პროცესი საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა. დაპყრობილ და შემოერთებულ ტერიტორიებს იმდენად სამხედრო ძალის გამოყენებით არ იმორჩილებდნენ და იმპერიის ნაწილად აქცევდნენ, რამდენადაც რომაული კულტურისა და ლათინური ენის დამკვიდრების მეშვეობით. რომი ამას ახერხებდა იმით, რომ ომით დაკავებულ ტერიტორიებზე მმართველ ელიტას იმავე პოზიციებზე ტოვებდა, რაც ადრე ეკავა, და ცდილობდა მათ კულტურულ და პოლიტიკურ ინკორპორაციას რომის სახელმწიფოში. შედეგი თვალსაჩინო იყო, ხორციელდებოდა შემოერთებული ხალხების (განსაკუთრებით, უსახელმწიფოო და უდამწერლობო, განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი ეთნიკური ჯგუფების) მასობრივი რომანიზაცია და ლათინიზაცია და რომაულ კულტურულ სამყაროში მათი ჩართვა.

შუა საუკუნეებში იგივე პროცესი მიმდინარეობდა **ბიზანტიის იმპერიაში,** სადაც მართლმადიდებლური რელიგიისა და ბერძნული ენის საფუძველზე იმპერიის ფარგლებში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ერთიან კულტურად და ერთიან ეთნოსად ყალიბდებოდა. კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ეს პროცესი **არაბთა სახალიფოში,** სადაც ისლამური რელიგია და არაბული ენა გახდა ის ფაქტორები, რომელმაც უამრავი სხვადასხვა ხალხი და ტომი გააერთიანა ერთ ეთნოკულტურულ ერთობად. ცოტა მოგვიანებით მსგავსი მოვლენები განვითარდა **ოსმალეთის იმპერიაშიც**, როცა ჩამოყალიბდა თურქი ეთნოსი და მასში მრავალი ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფი გაერთიანდა.

ახალ პერიოდში უნდა აღინიშნოს **ბრიტანეთის იმპერია,** რომელიც ალბათ ყველაზე გლობალური იმპერია იყო ისტორიაში. განსხვავებით ზემოთ ხსენებული ანტიკური და შუა საუკუნეების იმპერიებისაგან, იგი

სახმელეთო, კომპაქტური და ტერიტორიულად ერთიანი სივრცე როდი იყო: ის წარმოადგენდა ერთმანეთისაგან ზღვით დაშორებულ, სხვადასხვა კონტინენტებზე მცხოვრები იმ ხალხებისა და ქვეყნების კონგლომერატს, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავიანთი ენით, რელიგიით, კულტურით და მენტალიტეტით. ასეთ პირობებში, ცხადია, შეუძლებელი იყო მათი ისეთნაირად დაახლოება, რომ რაღაც საერთო სოციალურ-კულტურული ერთობა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ კულტურების ჰიბრიდიზაცია უდავოდ მიმდინარეობდა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელებას იმპერიაში და ინგლისური განათლების სისტემის დანერგვას. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ელიტის წარმომადგენელთა შვილები, უმაღლეს განათლებას იღებდნენ რა კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში, ცდილობდნენ თავიანთ ქვეყნებში ისეთი რეფორმები გაეტარებინათ, რომლებიც მათ „ევროპეიზაციას“ შეუწყობდა ხელს. ბრიტანეთის იმპერიის ცალკეული ნაწილების ურთიერთდაკავშირებასა და ურთიერთდაახლოებაში დიდი როლი შეასრულა ტექნიკურმა პროგრესმა, კერძოდ, ტელეგრაფმა. მის შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთი ტელეგრაფის კაბელით დაუკავშირდა, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ ამერიკას, მეორე მხრივ კი, ინდოეთის და ინდოჩინეთის გავლით ავსტრალიას, ინფორმაციის გაცვლა მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის სწრაფი და ყოველდღიური გახდა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ინგლისური ენისა და ინგლისური კულტურის ფართო გავრცელებისათვის.

ბრიტანეთის იმპერიისაგან განსხვავებით, **რუსეთის იმპერია** ტერიტორიულად კომპაქტური, სახმელეთო იმპერია იყო. ამიტომ მასში შემავალ ეთნიკურად არარუსთა ტერტორიებს კოლონიების სტატუსი არ ჰქონია და უშუალოდ იყო მიერთებული იმპერიას. შესაბამისად, ავტონომიასა და განსხვავებულ პოლიტიკაზე არარუსთა მიწა-წყალზე ლაპარაკიც კი გამორიცხული იყო. ერთადერთი ოფიციალური პოლიტიკა ეროვნებათა რუსიფიკაცია გახლდათ. როგორც განათლების, ისე საქმისწარმოების ენა მთელ იმპერიაში რუსული უნდა ყოფილიყო. ეს წარმატებით ხორციელდებოდა იმ ხალხების მაგალითზე, რომლებსაც ისტორიულად არასოდეს ჰქონიათ თავიანთი სახელმწიფო ან პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეული და წარმართულ ანდა მართლმადიდებლურ რელიგიებს აღიარებდნენ (ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთისა და უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხები, აგრეთვე – უკრაინელები და ბელორუსები). რუსიფიკაცია დანარჩენი ხალხების დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ერთი მხრივ, ისლამური სარწმუნოების ძლიერ, ხშირად ფანატიზმამდე მისული პოზიციების გამო (ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიის და აზერბაიჯანის მოსახლეობა), მეორე მხრივ, სხვა, უფრო დაწინაურებული ცივილიზაციისადმი კუთვ-

ნილების გამო (ბალტიისპირეთი, ფინეთი, პოლონეთი), მესამე მხრივ კი, ძველი სახელმწიფოებრიობისა და კულტურული ტრადიციების არსებობის გამო (ქართველები, სომხები). ასე რომ, მიუხედავად მიზანდასახული მცდელობისა, საერთო რუსეთული კულტურა ვერ ჩამოყალიბდა, თუმცა იმპერიის ხალხების კულტურები გარკვეულად მაინც დაუახლოვდა რუსულ კულტურას და ზოგიერთი საერთო ნიშანიც წარმოიქმნა.

ასიმილაციისა და ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის პროცესებს არათუ ინტენსიურად წაახალისებდნენ ხოლმე, არამედ ხშირად საგანგებოდ შეიმუშავებდნენ და ახორციელებდნენ **საბჭოთა იმპერიაში.** ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა აცხადებდა, რომ შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა „საბჭოთა ხალხი“, რაც ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოყალიბების წინაპირობად ცხადდებოდა. აშკარა ფაქტად მიიჩნეოდა ერთიანი საბჭოთა კულტურის არსებობა, რომელიც შინაარსით სოციალისტური, ფორმით კი ეროვნული (მრავალეროვნული) იყო. ამგვარად, ის, რაც ოფიციალურად აღიარეს და რასაც პროპაგანდას უქვემდებარებდნენ, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ კულტურული გლობალიზაციის გამოვლინებად ერთი ქვეყნის ფარგლებში. სხვა საკითხია, რომ *საბჭოთა ხალხი* და *საბჭოთა კულტურა* უფრო კომუნისტური პროპაგანდის ქმნილებანი იყო, ვიდრე – რეალობა, თუმცა აბსოლუტურად არასწორია ამ პროცესის უარყოფა. საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 75 წლის განმავლობაში მართლაც ჩამოყალიბდა ხალხის რაღაც რაოდენობა, რომელსაც *საბჭოთა ხალხი* შეიძლება ეწოდოს. ისინი რეალურად არ მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულად რომელიმე ეროვნებას ან ეროვნულ კულტურას. მათი სამშობლო მთელი საბჭოთა კავშირი იყო და არა – რომელიმე რესპუბლიკა. ცხადია, მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსულად ლაპარაკობდა და რუსულ განათლებას იღებდა, მაგრამ თავს რუსებად არ მიიჩნევდნენ. ზოგადად, ისინი რუსულენოვან (русскоязычное) მოსახლეობად იწოდებოდნენ და საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად ითვლებოდნენ ეროვნულ რესპუბლიკებში. მათი რიცხვი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ბოლოს და ბოლოს ისინი უნდა ქცეულიყვნენ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობად. ბევრი ამ პროცესს რუსიფიკაციის თანამედროვე ვარიანტად თვლიდა, იმაზე კი, რომ გარკვეულ საბჭოთა კულტურულ (და არა მარტო – კულტურულ) გლობალიზაციაზე ლაპარაკი შესაძლებელი იყო, აღარავინ დავობს.

იდეოლოგიები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც საგრძნობი როლი შეასრულა კულტურის გლობალიზაციაში, არის არარელიგიური, სეკულარული იდეოლოგიების წარმოქმნა და გავრცელება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პოლიტიკური იდეოლოგიები, როგორებიც სოციალიზმი და ლიბერალიზმია.

სოციალიზმი და, კერძოდ, მისი უკიდურესი, მარქისტული ვარიანტი – **კომუნიზმი** სათავეს XIX საუკუნის ევროპული კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციიდან იღებს და გულისხმობს როგორც ფილოსოფიურ, თეორიულ მოძღვრებას, ისე – პრაქტიკულ ქმედებას და ბრძოლას. იგი ძალიან სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, ეკონომიკურად და კულტურულად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებსა და რეგიონებში. თუმცა ის შესამჩნევად შეიცვალა, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, და დღეს შეიძლება ლაპარაკი ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა საბჭოთა, ჩინური, იუგოსლავური თუ დასავლეთ ევროპული კომუნიზმი, ანდა აფრიკული, არაბული და ლათინურ ამერიკული სოციალიზმი: ზოგადად, იდეები საერთოა და, ამდენად, ის ერთიან იდეოლოგიად წარმოჩნდება.

ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომ, ისტორიის განვითარების ობიექტური კანონებიდან გამომდინარე, მსოფლიო რევოლუციურ პროცესში პროლეტარიატის გამარჯვება გარდაუვალია და, შესაბამისად, მთელ მსოფლიოში დამყარდება უკლასო, სოციალისტური საზოგადოება. სოციალისტური მსოფლიო სისტემა, რომელიც მთელ დედამიწას მოიცავს, შემდგომი განვითარების და სრულყოფის შესაბამისად გარდაიქმნება მსოფლიო კომუნისტურ სისტემად. როცა მთელ მსოფლიოში კომუნიზმი გაიმარჯვებს, თავისთავად გამოირიცხება სახელმწიფოების არსებობის აუცილებლობა. პოლიტიკური საზღვრები აღარ იარსებებს და ერთი ადგილიდან მეორეში მიმოსვლა იოლი შესაძლებელი გახდება და საქონელი უპრობლემოდ გაიცვლება. ეკონომიკური განსხვავება, განვითარების თვალსაზრისით, მოისპობა, ყველგან სიუხვე და კეთილდღეობა დაისადგურებს და წარმოება მოთხოვნილების შესაბამისი გახდება. ფულის არსებობა აზრს დაკარგავს. კულტურული განსხვავება ხალხებს შორის მოისპობა, ჩამოყალიბდება ერთი საერთო ენა, რომელიც არა – დღეს არსებული რომელიმე ენა, არამედ ახალი, სინთეზურ საფუძველზე წარმოშობილი ენა იქნება. ყოველივე ამის შედეგად კი, ერების გაქრობა და მათი თანდათანობითი ფორმირება ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთიანი კულტურის მქონე ახალ ერად გარდაუვალი გახდება.

ზემოაღნიშნული დებულება (სხვა საქმეა, რომ იგი, ფაქტობრივად, სრული უტოპია გამოდგა და, მიუხედავად უამრავი ბრძოლისა და მსხვერპლისა, კრახით დასრულდა) კლასიკური მაგალითია სრული გლობალიზაციისა. ამგვარად, თუ თანამედროვე გაგებით გლობალიზაციის ანალოგებს წარსულში დავუწყებთ ძიებას, მარქსიზმი ალბათ ყველაზე ნათელი და შესაფერისი მაგალითია.

რაც შეეხება **ლიბერალიზმს,** იგი უკვე დიდი ხანია დასავლური ფასეულობების მსოფლიოში გავრცელებისა და დამკვიდრების იდეოლოგიად იქცა. დასავლური ლიბერალიზმის ისეთი დებულებები, როგორებიცაა დემოკრატია, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებები, თვითგამორკვევა და სხვ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხებია და საერთაშორისო სამართლის ნორმად იქცა. ლიბერალიზმის დამკვიდრება მსოფლიოს ისეთ რეგიონებში, სადაც ადრე სულ სხვა იდეოლოგიები იყო გაბატონებული, უეჭველი ფაქტია. სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს ლიბერალიზაცია მიიჩნევა გლობალიზაციის აუცილებელ პირობად. მეტიც: „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის თანახმად, თუ ყველა ქვეყანაში ლიბერალური რეჟიმი იქნება, ომი სახელმწიფოთაშორის გამორიცხულია. ეს კი ხელს შეუწყობს მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას. ასე რომ, ლიბერალიზმი გლობალიზაციის წინაპირობაა.

მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიბერალიზმისა და, კერძოდ, დასავლური ფასეულობების გავრცელება არადასავლურ ქვეყნებში ხშირად ვესტერნიზაციად და ახალ იმპერიალიზმად აღიქმება, რაც მძაფრ უკურეაქციას იწვევს და ნაციონალიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის აფეთქების წყაროდ იქცევა ხოლმე.

6.3. თანამედროვე კულტურული გლობალიზაციის ფორმები

თანამედროვე კულტურული გლობალიზაცია, როგორც რთული და მხრავალმხრივი პროცესი, თავს იჩენს სხვადასხვა ფორმით. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: უპრეცედენტო მასშტაბის ახალი გლობალური ინფრასტრუქტურები; კულტურული გაცვლა-გამოცვლის გაზრდა და დაჩქარება; დასავლური მასობრივი კულტურის როლის ზრდა გლობალურ კულტურულ ურთიერთობებში; კულტურული პროდუქციის წარმოებაში მულტინაციონალური კომპანიების როლის ზრდა; გლობალური კულტურული ურთიერთმოქმედებების გეოგრაფიის ცვლილება მეორე მსოფლიო ომამდელ სურათთან შედარებით და სხვ. ეს ზოგადი ნიშნები ახასიათებს როგორც მთელ კულტურას, ისე – კულტურის ცალკეულ სფეროებსაც.

6.3.1. გლობალური ინფრასტრუქტურები: ტელეკომუნიკაციები და ინტერნეტი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი აღინიშნება რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებით, ტელეკომუნიკაციების ექსპლუატაციის თვალსაზრისით. ეს ცვლილებები, უპირველესად, ტექნოლოგიური სიახლეებით იყო გამოწვეული, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ტელეკომუნიკაციების მოცულობა და სისწრაფე. თვისებრივად ახალი ტექნოლოგიის სადენებს და კაბელებს შეეძლოთ ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა მყისიერად გადაეტანათ ნებისმიერ წერტილში. სწორედ ამ ახალი სისტემების დანერგვამ დაუდო საფუძველი ინფორმაციულ გლობალიზაციას.

პირველი ახალი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა, იყო ტელექსი, რომელიც ტექსტის ორმხრივი გაცვლის საშუალებას იძლეოდა, ნაცვლად ომამდე არსებული ტელეგრაფის ცალმხრივი მიმართულებისა. შემდეგ ტრანსტლანტიკური სატელეფონო კაბელის გაყვანამ ტელეგრაფი და ტელექსი ტელეფონით შეცვალა საერთაშორისო კომუნიკაციებში. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ტელეკომუნიკაციების რაოდენობა 80-იანი წლების შემდეგ. ამჟამად მოქმედებს ათ მილიონზე მეტი ტრანსატლანტიკური და ტრანსწყნაროკეანური კაბელი, ხოლო სატელიტური კავშირების რიცხვმა მილიონს გადააჭარბა. კიდევ უფრო თვალსაჩინო ზრდა აღინიშნა მსოფლიო სატელეფონო კავშირებში. 1982 წელს მსოფლიოში დაფიქსირდა 12, 7 მილიარდი წუთი სატელეფონო საუბარი, 2024 წელს ეს მაჩვენებელი ტრილიონ წუთზე მეტი იყო. ამჟამად მსოფლიოში 8, 5 მილიარდი მობილური ტელეფონი ფუნქციონირებს, რაც მეტია დედამიწის მოსახლეობის რიცხვზე. თუმცა, ცხადია, საგრძნობი განსხვავებაა ქვეყნების მიხედვით.

მაგრამ ინფორმაციული გლობალიზაციის ყველაზე მკაფიო მაგალითი ინტერნეტია, რომელმაც სრულიად ახალ ეპოქას დაუდო სათავე და, ფაქტობრივად, ნებისმიერი ინფორმაციის მომენტალური მიღება შესაძლებელი გახადა დედამიწის ნებისმიერი რეგიონიდან. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტმა დროისა და მანძილის პრობლემა მოხსნა.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა, მეყსეულად დამყარდეს კონტაქტი ინტერნეტის ნებისმიერ მომხმარებელს შორის; ჩატარდეს ინტერნეტ-კონფერენციები და კრებები ადგილის შეუცვლელად; დაუკავშირდე ნებისმიერ რეფერენტულ ჯგუფს და სხვადასხვა ელიტებს, რითაც სტატუსში განსხვავების ფაქტორი ქრება, გამოიყენო იგი დასვენებასა და გართობის საშუალებად; წარმართო ბიზნესი, ვაჭრობა, საბანკო ოპე-

რაციები, საქონლისა და მომსახურების რეკლამა; გამოიყენო სწავლების საშუალებად, მიიღო ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა და ჩართო სხვადასხვა რანგის სპეციალისტი; უზრუნველყო პირადი მობილური კავშირი და კომფორტული ცხოვრება, მართო ავტომობილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა დისტანციურად; გამოიყენო მოქალაქეთა და ხელისუფლების ურთიერთობის საშუალებად; ოპერატიული რეაგირება მოახდინო სიტუაციის ცვლილებაზე ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში; მოახერხო ორგანიზება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა რეალური დროის რეჟიმში.

ინტერნეტმა სრულიად ახალი და ამოუწურავი საშუალება შექმნა სოციალური ქსელების სახით. მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად ურთიერთობს ფეისბუკის, ტვიტერის, ტიკ-ტოკის, ინსტაგრამის მეშვეობით. სოციალური ქსელები ალბათ გლობალიზაციის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა. ცივილიზებულ სამყაროში თანამედროვე პერიოდში სოციალური ქსელების გარეშე ცხოვრება თითქმის წარმოუდგენელია (პირველ ყოვლისა, ახალგაზრდებისთვის).

ამ ამოუწურავი საშუალებების ფენომენმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო ერთ სისტემად გააერთიანა. ვერც ერთმა ტექნიკურმა მიღწევამ ვერ მოახერხა იმდენი ადამიანის ჩართვა, რამდენიც ინტერნეტმა. თუ 2000 წლისათვის ინტერნეტით სარგებლობდა, დაახლოებით, 400 მილიონი კაცი ანუ მსოფლიოს მაშინდელი მოსახლეობის 7%, 2024 წლისთვის ინტერნეტით მოსარგებლეთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 5,56 მილიარდი კაცი ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 67,4%. თუმცა ჯერ კიდევ საგრძნობია განსხვავება რეგიონებს შორის. თუ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ინტერნეტით სარგებლობს მოსახლეობის 90%-ზე მეტი, აზიაში ეს მაჩვენებელი 66%-ია, ხოლო ტროპიკულ აფრიკაში 37%-ს არ აღემატება. არის ქვეყნები, სადაც ინტერნეტით სარგებლობს მოსახლეობის 100% (საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კუვეიტი, კატარი, ბაჰრეინი) ან უახლოვდება ამ მაჩვენებელს (ბრუნეი, ისლანდია, დანია, ნორვეგია, ნიდერლანდები, შვეიცარია). თუმცა ისეთი ქვეყნებიცაა, სადაც ინტერნეტის მოსარგებლეთა წილი არ აღემატება მოსახლეობის 20%-ს (ეთიოპია, უგანდა, სამხრეთი სუდანი, ნიგერია, ჩადი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ბურუნდი, ავღანეთი). საქართველოში ეს მაჩვენებელი 82%-ია.

შედარებისთთვის მოვიყვანთ 2000 წლის მონაცემებს. მაშინ აშშ-ში ინტერნეტით სარგებლობდა 135 მილიონი კაცი ანუ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი. იაპონიაში ეს მაჩვენებელი 23%- იყო, იტალიაში – 20%, რუსეთში – 4%, ჩინეთში კი მხოლოდ – 1,3% (Baylis and Smith 2001 p. 548). როგორც ვხედავთ პროგრესი უზარმაზარია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის გამოყენების ტემპი დღესაც ძალიან სწრაფად იზრდება, ხოლო მომავალში სხვაობა ცენტრსა და პერიფერიის ქვეყნებს შორის ალბათ საგრძნობლად შემცირდება. მოსალოდნელია, რომ ინტერნეტით მოსარგებლეთა გეოგრაფია ქვეყნების შიგნითაც შეიცვლება, სადაც ბევრგან აშკარა დისპროპორციაა დედაქალაქისა და რეგიონების (განსაკუთრებით, სოფლის) მოსახლეობას შორის.

6.3.2. კულტურის ტნკ-ები. კულტურის გლობალური ბაზარი

როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე ეპოქა ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობისა და როლის უპრეცედენტო ზრდის ეპოქაა, და სწორედ ეს ფაქტი ითვლება გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად. ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო და, ბუნებრივია, არც კომუნიკაციები დარჩენილა გამონაკლისი.

70-იან წლებამდე ტელეკომუნიკაციების კორპორაციები და მედიაკომპანიები საკმაოდ მრავლად იყო სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ეროვნულ კორპორაციებს წარმოადგენდნენ და შიდა ბაზარს ემსახურებოდნენ, ხოლო უმრავლეს ქვეყნებში როგორც ტელესაკომუნიკაციო კომპანიებს, ისე ტელერადიოგადაცემებს სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა. იგივე შეიძლება ითქვას პრესაზე. 70-იანი წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება და ტელეკომუნიკაციებისა და მედიაინდუსტრიის ეროვნულმა თუ გლობალურმა რეგულაციამ ტრანსფორმაცია განიცადა. ეს გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით: კერძოდ, მფლობელობის მზარდი კონცენტრაციით, სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაზე გადასვლის ტენდენციით, კორპორაციების ტრანსნაციონალურ სტრუქტურად ჩამოყალიბებით, პატარა ფირმების შესყიდვით და სხვ.

დღეს უმსხვილესი ტელესაკომუნიკაციო და მედიაინდუსტრიის კორპორაციებიდან უმრავლესობა ამერიკულია, შემდეგ მოდის დასავლეთ ევროპული და იაპონური კორპორაციები. სხვა რეგიონების წილი უმნიშვნელოა. კერძოდ, 81 უმსხვილესი კორპორაციიდან 39 ამერიკული, 29 ევროპული, 8 იაპონური, 5 კანადური და ერთი ავსტრალიურია. ამერიკული კორპორაციებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია: თაიმ-უორნერი, უოლტ დისნეი, ABC, CBS. იაპონური კორპორაციების ამ სექტორში ყოფნა განპირობებულია არა ადგილობრივი კულტურული ინდუსტრიის ექსპანსიით, არამედ მედიის და ელექტრონული მრეწველობით. როგორც სონი, ისე მაცუშიტა, დამკვიდრდა ამ სფეროში ამერიკული

ფირმების კოლუმბიის (სონი) და MMCA-ის (მაცუშიტა) შეძენით. ნიუს ინტერნეიშენალი ავსტრალიური კომპანიაა, რომელიც რუპერტ მერდოკის საკუთრებაა. ევროპაში მხოლოდ ოთხ ქვეყანაშია მნიშვნელოვანი მედიაკორპორაციები. დიდ ბრიტანეთში ესაა Thorn-EMI, BBC, რანკი და როიტერი, გერმანიაში – ბერთელსმანი, საფრანგეთში – მატრა-აშეტი და ავასი, ხოლო ელსევიერი და პოლიგრამი – ნიდერლანდებში.

ამ კორპორაციების უპირატესობა და დომინირება დარგების მიხედვით იცვლება. ინფორმაციის მოპოვებით ლიდერობენ UPI (United Pres Interntional), ასოშეიტედ პრესსი და როიტერი მაშინ, როცა ვიზუალური ინფორმაციის მოგროვება მთავარი ქსელების გარეთ, ძირითადად, როიტერისა და WTN-ის ხელშია. საერთაშორისო სატელევიზიო ახალ ამბებში CNN და BBC ლიდერობს. მუსიკალური ფირფიტებით ვაჭრობის 73% Thorn-EMI-ს, პოლიგრამის, ვორნერის და სონის წილად მოდის. სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების ბაზარში აშშ-ის კორპორაციების უპირატესობა აშკარაა.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო პრესის, ტელევიზიის, მუსიკის, კინოს და კულტურის სხვა სფეროების ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა რამდენიმე ტრანსნაციონალურ კორპორაციას უკავია, რაც კულტურული გლობალიზაციის და კულტურის საბაზრო პროდუქტად გადაქცევის ნათელი დადასტურებაა.

6.3.3. რადიო და მუსიკის ინდუსტრია

ელექტრონული მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს შორის რადიო ყველაზე უფრო გლობალიზებულად შეიძლება ჩაითვალოს. ის XX საუკუნის დასაწყისში გამოიგონეს და თავდაპირველად ტელეგრაფის ალტერნატივად მიიჩნევდნენ. რადიოს მნიშვნელობა განსაკუთრებით მოკლე ტალღოვანი სიხშირის შექმნის შემდეგ გაიზარდა. იგი ტექნოლოგიურად მარტივი და იაფი კავშირგაბმულობის საშუალებად იქცა. ამ მიზეზების გამო, რადიოგადაცემების ტრანსნაციონალიზაცია და გლობალური დიფუზია სხვა ელექტრონული მედიის საშუალებებზე ბევრად ადრე განხორციელდა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ რადიო მასობრივი საერთაშორისო კომუნიკაციის მთავარი საშუალება იყო. ცივი ომის პერიოდმა მნიშვნელოვანი სტიმული მისცა სხვა ქვეყნებისთვის გამიზნული პროპაგანდისტური შინაარსის რადიოგადაცემების ფართო გავრცელებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი რადიოსადგურები, როგორებიცაა „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „გერმანული ტალღა“ და სხვ.

უკანასკნელ ათწლეულებში ელექტრონული მედიის სხვა საშუალებების განვითარების გამო (პირველ ყოვლისა კი, საკაბელო ტელევიზიისა და, განსაკუთრებით, ინტერნეტისა), რადიოს როლი შემცირდა: უფრო სწორად, ის აღარ არის საერთაშორისო კომუნიკაციების ერთადერთი საშუალება მოსახლეობის ფართო ფენებისთვის. მაგრამ კვლავ რჩება ყველაზე უფრო მასობრივ და ყველგანმყოფ ელექტრომედიის საშუალებად. ამდენად, მისი როლი გლობალიზაციის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია.

გარდა საინფორმაციო და პროპაგანდისტული მნიშვნელობისა, რადიო კულტურის დიფუზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. განსაკუთრებით დიდია რადიოს როლი მუსიკის პოპულარიზაციაში: კერძოდ, სწორედ რადიოს საშუალებით მოხდა ანგლოამერიკული პოპმუსიკის მთელ მსოფლიოში გავრცელება. როკენ-როლის ევროპაში დამკვიდრებაც რადიოს დამსახურებაა.

თანამედროვე დასავლური პოპმუსიკის მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელება და მისი პოპულარობა ყველა კონტინენტზე გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამ პროცესში რადიოსთან ერთად არსებით როლს თამაშობს მუსიკის ინდუსტრია. რომელიც, თავის მხრივ, ტრანსნაციონალურ სახეს იღებს. მსოფლიოში უკვე რამდენიმე ათეული ტრანსნაციონალური კორპორაციაა, რომლებიც მუსიკალური ფირფიტების წარმოებითა და გავრცელებით არიან დაკავებული. მუსიკალური პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი და უცხოელი შემსრულებლებისა და უცხოური მუსიკის შეჭრა ეროვნულ ბაზარზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი გლობალიზაციის პერიოდში არის უცხოური (ძირითადად, ამერიკული) სტილის და მანერის შეჭრა და დამკვიდრება ეროვნულ მუსიკაში. ყოველივე ამის შედეგად, მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სერიოზულ პრობლემად აღიქმება ეროვნული მუსიკალური ტრადიციების დაკარგვა და მისი ანგლოამერიკულ სტილზე ტრანსფორმაცია. ეროვნული მუსიკალური პროდუქციის წილი საკუთარ ეროვნულ ბაზარზეც კი მცირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ექსპორტზე მსოფლიო ბაზარზე, რომელიც, ძირითადად, ამერიკული და ბრიტანული პოპ-მუსიკით არის გაჯერებული.

6.3.4. ტელევიზია

ტელევიზიამ, როგორც ელექტრომედიის ერთ-ერთმა მთავარმა სფერომ, თავიდანვე წამყვანი ადგილი დაიკავა ელექტროკომუნიკაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის. იგი ყოველდღიური

ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ატრიბუტი გახდა, რომ მის გარეშე არსებობა დღეს თითქმის წარმოუდგენელია.

მაგრამ რადიოსაგან განსხვავებით, ტელევიზია დიდი ხნის განმავლობაში არ წარმოადგენდა საერთაშორისო კომუნიკაციის საშუალებას. მას შიდასახელმწიფოებრივი, ეროვნული დანიშნულება ჰქონდა და, როგორც წესი, სახელმწიფოს კონტროლქვეშ ფუნქციობდა. სატელევიზიო ინდუსტრიის გლობალიზაცია შედარებით ახალი მოვლენაა. ნაწილობრივ, ამის მიზეზი ისაა, რომ საერთაშორისო ტელეკავშირების ტექნოლოგია გვიანდელი გამოგონებაა. მეორე მხრივ კი, ბევრ სახელმწიფოში ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა უცხოური და საერთაშორისო ტელეპროგრამების დაშვებას ეროვნულ ტელემაუწყებლობაში.

ძირეული ცვლილებები სატელევიზიო ინდუსტრიაში და ამ სფეროს გლობალიზაცია XX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულს ემთხვევა. ჯერ ერთი, სწორედ ამ პერიოდში მოხდა მსოფლიოს მასობრივი „ტელევიზაცია“. თუ 1969 წელს მსოფლიოში 87 მილიონი ტელევიზორი იყო, 1992 წელს მათმა რიცხვმა 873 მილიონს მიაღწია, ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე მათი რაოდენობა 39-დან 160-მდე გაიზარდა (Held et al p. 358), 2023 წლისთვის კი, მსოფლიოში უკვე 1, 7 მილიარდი ტელევიზორი აღირიცხა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო არხებისა და პროგრამების რიცხვიც. ტელევიზორი ინფორმაციის მასობრივი საშუალება გახდა.

უკანასკნელი დეკადები ნამდვილი ტექნოლოგიური რევოლუციის ხანაა, რაც სატელიტური და საკაბელო ტელევიზიის დამკვიდრებას უკავშირდება. ამ სიახლემ არა მარტო სატელევიზიო არხების რიცხვი გააორმაგა პირველსავე ხუთ წელიწადში, არამედ ტელევიზია ჭეშმარიტად მსოფლიო, გლობალურ საშუალებად აქცია. საკაბელო და სატელიტურმა ტელევიზიამ აიძულა ბევრი ქვეყნის ხელისუფლება, უარი ეთქვა ტელევიზიის კონტროლზე და ერთი-ორი (ე. წ. სამთავრობო ანუ ოფიციალური) არხით დაკმაყოფილებულიყო, მოსახლეობას კი, საშუალება მიეცა, სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო პროგრამებს გასცნობოდა.

სატელევიზიო ინდუსტრიაში ისევე, როგორც კულტურის ინდუსტრიის სხვა სფეროებში, წამყვანი როლი მსხვილ კორპორაციებს ენიჭება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი კომპანიები, როგორებიცაა CNN, ABC, BBC, FOX, MTV, Eurosport და სხვ. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა დოზითაა წარმოდგენილი სატელევიზიო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე. ამ თვალსაზრისით, მთავარი ექსპორტიორია აშშ მაშინ, როცა, საკუთრივ, ამერიკულ ეროვნულ ბაზარზე სხვა ქვეყნების სატელევიზიო პროდუქციის იმპორტის წილი 2%-ს არ აღემატება. ლათინურ ამერიკაში, მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, იმპორტული ტელეპროგრამების 75% ამერიკულია, დასავლეთ ევროპაში კი ეს მაჩ-

ვენებელი 45%-ს აღწევს. ეს ციფრი განსაკუთრებით მაღალია პატარა ქვეყნებში მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის შემთხვევაში სატელევიზიო პროდუქციის იმპორტის წილად მოდის ტელეპროგრამების 20-25%. ამასთან, ეს ქვეყნები ტელეპროდუქციის მსხვილ ექსპორტიორებია. სატელევიზიო პროგრამების ექსპორტიორ ქვეყნებს მიეკუთვნება აგრეთვე იაპონია, იტალია, ბრაზილია, მექსიკა, ჰონგ-კონგი, ესპანეთი და ავსტრალია.

6.3.5. კინო

ერთი წლის განმავლობაში ეკრანზე გამოსული ფილმების რაოდენობა და მათი დემონსტრირების საერთო დროს ხანგრძლიობა გაცილებით მცირეა ტელეინდუსტრიის პროდუქციის მოცულობასა და რადიოგადაცემების საათების რაოდენობის ჯამზე, მაგრამ კინოინდუსტრიას მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე მსოფლიოში. იგი არა მარტო ეკონომიკის სრულიად დამოუკიდებელი დარგია, არამედ აუდიო-ვიდეო ინდუსტრიის საფუძველიცაა, ხოლო სატელევიზიო პროგრამებში ფილმების ჩვენებას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია.

კინომ, როგორც კულტურის ინდუსტრიის ერთ-ერთმა დარგმა, ადრევე შეიძინა საერთაშორისო ფუნქციები. ის ჯერ კიდევ მაშინ მოგვევლინა გლობალიზაციის ნიშნად, როცა კულტურისა და კომუნიკაციების სხვა საშუალებებს ეს ფუნქცია არ გააჩნდათ. დღესაც აზიისა და აფრიკის სასოფლო რაიონებში, სადაც სატელევიზიო გადაცემების მიღება ვერ ხერხდება, ანდა მხოლოდ ადგილობრივი არხების ყურებაა შესაძლებელი, კინო რჩება კულტურული გლობალიზაციის ლამის ერთადერთ საშუალებად.

ცხადია, კინო, როგორც ხელოვნების დარგი, პირველ ყოვლისა, ეროვნულია და ეროვნულ სულს გამოხატავს. როცა კინოპროდუქციის ექსპორტირება შესაძლებელი ხდება სხვა ქვეყნებში, ეს ექსპორტიორი ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების სტილის ერთგვარი დემონსტრაციაა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნების დიდ უმრავლესობას ან საერთოდ არა გააჩნია საკუთარი კინემატოგრაფი ან ძალიან სუსტადაა განვითარებული, ეროვნულ კინობაზარზე უცხოური ფილმები ძალიან დიდი უპირატესობით სარგებლობს. შესაბამისად, მაყურებელი უცხო ცხოვრების სტილს ეზიარება, რაც, როგორც წესი, ეროვნულ საფრთხედ აღიქმება. ამიტომ ანტიგლობალისტები *კოკა-კოლასა* და *მაკდონალდსის* გვერდით კიდევ ერთ საძულველ სიტყვას – ჰოლივუდს მოიხსენიებენ, როგორც ამერიკული კულტურული იმპერიალიზმის ერთ-ერთ აშკარა გამოვლინებას.

თუ კინოს სფეროში გლობალიზაციად ფილმების წარმოებისა და მათი ექსპორტის მოცულობას მივიჩნევთ, აშკარა გახდება, რომ სულ რამდენიმე ქვეყანა შეიძლება მივიჩნიოთ ამ დარგის მონოპოლისტად. 2023 წლისთვის კინოინდუსტრიის მთავარ ქვეყნებს წარმოადგენდნენ აშშ, ჩინეთი (ჰონგკონგის ჩათვლით), იაპონია, ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სამხრეთ კორეა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში წლის განმავლობაში გადაღებული ფილმების საერთო რაოდენობა აღემატება მომდევნო ექვსივე ქვეყანაში გადაღებული ფილების ერთად აღებულ რიცხვს. ქვეყნების დიდ უმრავლესობაში, რომელთაც საკუთარი კინომრეწველობა აქვს, წელიწადში ოცზე ნაკლები ფილმი იქმნება.

რაც შეეხება ფილმების ექსპორტს: აქაც აშშ-ის უპირატესობა აშკარაა და მსოფლიო გლობალური კინობაზარი ამერიკული ფილმებით არის „გაჯერებული“. სხვა მთავარი კინოექსპორტიორებიდან გამოირჩევა ინდოეთი, საფრანგეთი და იტალია. შეიმჩნევა გარკვეული გეოგრაფიული კანონზომიერებაც. ფრანგული ფილმები, ძირითადად, აფრიკის ფრანგულენოვან ქვეყნებში დომინირებს, ინდური კი – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და აღმოსავლეთ აფრიკაში. თვითონ საფრანგეთში დემოსტრირებული ფილმების 65% უცხოურია (ძირითადად, ამერიკული), ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია) ეს მაჩვენებელი 80-90%-ია. იაპონიაშიც კი, სადაც ტრადიციულად ეროვნულ კინემატოგრაფს ძლიერი პოზიციები ჰქონდა, 2020 წელს უცხოურმა (ძირითადად, ამერიკულმა) ფილმებმა ქვეყნის ეკრანებზე გასული ფილმების 60% შეადგინა.

6.3.6. ტურიზმი

ტურიზმი კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის ერთერთი ყველაზე აშკარად გამოხატული ფორმაა. იგი თანამედროვე მსოფლიოს უაღრესად მნიშვნელოვანი და სწრაფად მზარდი ფენომენია, ხოლო ტურისტული ინდუსტრია ძალიან ბევრი ქვეყნისთვის ეკონომიკის წამყვანი დარგია.

საერთაშორისო ტურიზმი, პირველ ყოვლისა, ორგანიზებული ბიზნესია, თუმცა მას ფართო კულტურული განზომილებაც აქვს. აქ იგულისხმება როგორც ტურისტების მიერ შემეცნებითი ობიექტების ნახვა და, ამდენად, სხვა ქვეყნების კულტურასთან დაახლოება, ისე, ტურიზმის ინდუსტრიის შესაბამისად, მიმღები ქვეყნის მოსახლეობის ქცევის და კულტურის ტრანსფორმაცია. თუ ტურისტები, ძირითადად, ერთი რომელიმე ქვეყნიდან მოდიან მოცემულ ადგილზე, ადგილობრივი მო-

სახლეობა, როგორც წესი, არა მარტო მათ ენას სწავლობს, არამედ მათი ქცევისა და კულტურის ბევრ ელემენტს ითვისებს კიდეც. სწორედ ამით გამოიხატება ტურიზმის, როგორც კულტურული გლობალიზაციის ერთ-ერთი აგენტის, როლი.

ძნელია ადამიანთა აქტივობის სხვა რომელიმე სფერო მოიძებნოს, რომელსაც ასეთი სწრაფი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები განეცადოს, როგორც ტურიზმს. თუ 1950 წელს საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 25,3 მილიონს შეადგენდა და მთელი ტურისტული ხარჯის რაოდენობა 2 მილიარდ დოლარს არ აღემატებოდა, 1995 წელს ამ მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 564,8 მილიონ კაცსა და 385 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო 2024 წელს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1,448 მილიარდი კაცი და 2.3 ტრილიონი დოლარი შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს თითქმის ყოველი მეხუთე მცხოვრები საერთაშორისო ტურისტია. თუმცა, ცხადია, ტურიზმის გეოგრაფია ძალზე არათანაბარია და ტურისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას განვითარებული ქვეყნების ანუ გლობალური ჩრდილოეთის მცხოვრებნი შეადგენენ.

6.4. ინგლისური ენის გლობალიზაცია

გლობალიზებულ მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განსხვავებების თანდათან წაშლისა და დაახლოების პარალელურად, კანონების, ნორმების, პროცედურების უნიფიკაციასთან ერთად აუცილებელი გახდა ურთიერთობის ერთიანი საშუალების ამოქმედება ანუ ერთი საერთო ენის არსებობა, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა და რომელზეც განხორციელდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოსა და ერის ურთიერთობა.

საერთაშორისო უნივერსალური ენის ანუ Lingua franca-ს იდეა ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1887 წელს ლ. ზამენჰოფმა უნივერსალურ ენად შემოიტანა მის მიერ ხელოვნურად შექმნილი ენა – ესპერანტო, რომელიც ევროპული (ძირითადად, რომანული ჯგუფის) ენების ბაზაზე შემუშავდა, უკიდურესად მარტივი გრამატიკით გამოირჩეოდა, შესასწავლად იოლი და გამოსაყენებლად მოხერხებული იყო. მაგრამ ეს თვისებები საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ის მსოფლიო ენა გამხდარიყო. აშკარაა, რომ ხელოვნურად შექმნილი ენა ასეთ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

ამგვარად, უნივერსალური ენის ფუნქცია ერთ-ერთ ცოცხალ, სალაპარაკო ენას უნდა დაკისრებოდა.

მსოფლიოში ხუთი ათასზე მეტი ენაა, მაგრამ მათგან სამწერლობო ენა ათასზე ნაკლებია. ამ ენებიდანაც თითქმის 2/3-ზე მილიონზე ნაკლები

კაცი ლაპარაკობს. მხოლოდ 12 ენაა, რომელზეც 100 მილიონზე მეტი მოლაპარაკეა და მათი საერთო რიცხვი დედამიწის მოსახლეობის 2/3-ს შეადგენს. ამ ენებიდან სამის – გერმანული, იაპონური და ბენგალური ენების – გავრცელება მოლაპარაკეთა საცხოვრებელი ტერიტორიით შემოიფარგლება, ხოლო გერმანულის და იაპონურის, როგორც მეორე ენის, გავრცელება მკვეთრად შემცირდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ენათა მეორე ჯგუფში შედის რუსული, ჩინური, ჰინდი, მალაური და არაბული, რომლებიც, გარდა იმისა, რომ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მშობლიური ენებია, მეორე ენებად და ერთა ურთიერთობის საშუალებად გამოიყენება საკმაოდ დიდ, მაგრამ კომპაქტურ და ერთიან გეოგრაფიულ რეგიონებში. მესამე ჯგუფს კი შეადგენენ ის ენები, რომლებიც გლობალურადაა გავრცელებული და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში წარმოადგენენ „ლინგვა ფრანკას“. ასეთებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური. აქედან პირველი სამი გაეროს ოფიციალური და სამუშაო ენებია.

ამგვარად, მსოფლიო ენის ფუნქცია ამ სამი ენიდან ერთ-ერთს უნდა შეესრულებინა. 50-იანი წლებისათვის მათგან ყველაზე გავრცელებული (მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობით) ესპანური იყო, ყველაზე პრესტიჟული კი, დიპლომატიისა და მსოფლიო ელიტის ურთიერთობის ინსტრუმენტის სამსაუკუნოვანი გამოცდილებით – ფრანგული.

და მაინც, მსოფლიო ენად ინგლისური იქცა. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მისი გავრცელების ტემპი და არეალი მართლაც უპრეცედენტოა. ამას უკრაინელი მეცნიერის, ს. უდოვიკის აზრით (Удовик 2002 с. 253-257), რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი.

პირველი, ეს არის იმ ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, რომლის მოსახლეობაც ინგლისურად ლაპარაკობს. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებიდან (დიდი შვიდეული) სამი ინგლისურენოვანია. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, აშშ იგულისხმება, რომელიც ერთადერთი სუპერსახელმწიფოა, გადამწყვეტ როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკის წარმართვაში, ხოლო მისი სამხედრო ძლიერება ბევრად აღემატება დანარჩენი დიდი სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალს.

მეორე, უძლიერესი ეკონომიკა და აქ არსებული ტრანსნაციონალური კომპანიების მოქმედება გლობალური მასშტაბით. მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტნკ-დან ნახევარი ინგლისურენოვან ქვეყნებშია ბაზირებული.

მესამე, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა, ძირითადად, ინგლისურენოვანია. ყველაზე სერიოზული სამეცნიერო ჟურნალებიდან (სულ 6 ათასი) 39% აშშ-ში გამოდის, 19% კი – დიდ ბრიტა-

ნეთში, ხოლო ჰოლანდიურ (10%) და გერმანულ (7%) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების დიდი უმრავლესობა ინგლისურენოვანია. რუსულ და გერმანულ ენაზე დაბეჭდილი სტატია ხშირად შეუმჩნეველია, სანამ ინგლისურად არ ითარგმნება. დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში მეცნიერისთვის ინგლისური ენის ცოდნა უკვე აუცილებლობაა, რადგან, მის გარეშე, რაიმე დიდი წარმატების მიღწევა ძალიან გართულებულია:

მეოთხე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფართო გავრცელება. ძირითადი, სატელევიზიო და რადიოპროგრამები, ყველაზე პოპულარული ჟურნალები და გაზეთები ინგლისურენოვანია.

მეხუთე, რეკლამის გავრცელება. რეკლამის ბუმმა, სარეკლამო ბუკლეტებმა და ხარისხიან პროდუქციაზე წარწერებმა ძალიან შეუწყო ხელი ინგლისური ენის გავრცელებას. მსოფლიოს 30 უმსხვილესი სარეკლამო სააგენტოდან 27 ამერიკულია, ერთი – ინგლი*ს*ური და მხოლოდ ორი – იაპონური.

მეექვსე, ინგლისური ენის გავრცელებაზე ფენომენალურად იმოქმედა კინომ. მსოფლიოს უმსხვილესი კინოსტუდიიდან 2/3 ამერიკულია. აშშ აკონტროლებს მსოფლიო კინობაზრის 80%-ს.

მეშვიდე, ინგლისური ენის აქტიურ გავრცელებას ხელი შეუწყო პოპმუსიკამ და მასკულტურამ. მსოფლიოს ყველაზე პოპულარული პოპჯგუფებიდან 95%-ზე მეტი მთლიანად ან, ძირითადად, ინგლისურენოვანია, ხოლო ყველაზე პოპულარული მომღერლების 90% ინგლისურად მღერის.

მერვე, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ინგლისურის გავრცელებაზე მოახდინა ინტერნეტმა. უდავოა, რომ ინგლისური ენა ინტერნეტის ჭეშმარიტი ლინგვა ფრანკაა.

დაბოლოს, მეცხრე, ენის გავრცელებაზე მოქმედებს ადამიანური ფაქტორი, ამ ენაზე მოლაპარაკეთა წარმატება და პოპულარობა. შორს წაგვიყვანდა ინგლისურენოვანი მწერლების, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეების, პოლიტიკოსების, სპორტსმენების ჩამოთვლა.

გარდა ამისა, ინგლისურის გავრცელებას ხელი შეუწყო ამ ენის ზოგმა თვისებამაც. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი შეგუებულობა სიახლისადმი. არასოდეს არავის შეუშლია ხელი ინგლისურ ენაში უცხოური სიტყვების დამკვიდრებისათვის, რამაც მას კოსმოპოლიტური ხასიათი შესძინა. მეორეც, ინგლისურენოვან ქვეყნებში, განსხვავებით ნებისმიერი სხვა ქვეყნისაგან, არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ენის სიწმინდისა და სხვა ენების „მავნე“ გავლენისაგან მის დასაცავად იბრძოლებს. ამასთან, ინგლისურ ენას არ გააჩნია აშშ-ს სახელმწიფო ენის სტატუსი, რადგან ასეთ ცნებას აშშ-ის კონსტიტუცია

არ ითვალისწინებს. გარკვეულ როლს ასრულებს ინგლისური ენის არაფლექსიურობა. გრამატიკული კონსტრუქციების სიმარტივე და ბრუნვებისა და უღლების არარსებობა. თუმცა სერიოზულ სირთულედ უნდა ჩაითვალოს წერასა და გამოთქმას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურიდან ითარგმნება. კერძოდ, ინგლისურიდან არის თარგმნილი საფრანგეთში გამოსული მთელი თარგმნილი ლიტერატურის 65%, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 60, 7%-ია, იაპონიაში – 78, 3%, ნიდერლანდებში – 56, 8%, ესპანეთში – 50, 1%, ხოლო შვედეთში – 65, 5% (Held et al).

ცხადია, ინგლისური ენის გავრცელება და, რაც მთავარია, სხვა ენების „ანგლიზაცია“ უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. ამ პროცესს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას საფრანგეთი უწევს, რომელიც, ფრანგული ენის დაკარგული პრივილეგიების ნოსტალგიის გარდა, თვით ფრანგულში ინგლისური სიტყვების მოძალებით არის შეშფოთებული. საკმაო გაღიზიანებას იწვევს ინგლისური სიტყვების დამკვიდრება არაბულ სამყაროშიც. ჩინეთი და იაპონია კი ამ პროცესს მშვიდად უყურებენ, რადგან იეროგლიფურ სისტემაზე ინგლისურის გავლენა სრულიად უმნიშვნელოა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ფაქტია, რომ ინგლისური დედაენაა „მხოლოდ“ 400 მილიონი კაცისთვის, რაც ნაკლებია ჰინდიზე ან ესპანურად მოლაპარაკეთა რაოდენობაზე. აღარაფერს ვამბობთ ჩინურზე, რომელსაც დედაენად მიიჩნევს 1, 3 მილიარდი კაცი და სამჯერ აღემატება ინგლისურენოვანთა რაოდენობას. ს. ჰანტინგტონი, იმოწმებს რა ამერიკელი მეცნიერის, ს. კალბერლის მონაცემებს, აცხადებს, რომ 1958 წელს ინგლისური დედაენა იყო მსოფლიოს მოსახლეობის 9, 8%-თვის, 1992 წელს კი – მხოლოდ 7,8%-თვის: „ენა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 92 %-თვის უცხოა, შეუძლებელია მსოფლიო ენად ჩაითვალოს“ (ჰანტიგტონი 2001).

საგულისხმოა, რომ 2024 წლისთვის ინგლისურზე, როგორც დედაენაზე, მოლაპარაკეთა ხვედრითი წილი მსოფლიო მოსახელეობაში კიდევ უფრო შემცირდა და 5%-ზე ცოტა მეტი შეადგინა, მაგრამ ინგლისური, როგორც უცხო ენა, იცის დაახლოებით 1. 5 მილიარდმა კაცმა. ასე რომ, ინგლისური ენის მცოდნეთა საერთო რაოდენობა 2 მილიარდ კაცს აღწევს და, ამ თვალსაზრისით, ვერც ერთი სხვა ენა მასთან ახლოსაც ვერ მივა. ეჭვგარეშეა, რომ ეს რიცხვი მომავალში კვლავაც გაიზრდება, რადგან პრაქტიკულად ყველა ქვეყნის სკოლებში მთავარ უცხო ენად ინგლისურია. ფაქტია, რომ დღეს ინგლისური ენის მცოდნე პიროვნებას დიდი უპირატესობა აქვს ამ ენის არმცოდნესთან შედარებით, ამიტომ მსოფლიოს

ნებისმიერ კუთხეში საჭიროდ მიიჩნევენ ბავშვებს ინგლისური შეასწავლონ, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

6.5. დასავლური ღირებულებების ექსპორტი და ვესტერნიზაცია

გლობალიზაცია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განსხვავებების წაშლასთან ერთად საერთო ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და გავრცელებასაც გულისხმობს. სწორედ ესაა გლობალიზაციის ყველაზე დიდი ბარიერი. ბუნებრივია, რომ ახალ ღირებულებით სისტემაზე გადასვლა ნიშნავს ფასეულობათა გადაფასებას, ძველ ღირებულებებზე უარის თქმას და ახლის შეთვისებას. ეს კი მთელი ცხოვრების წესისა და მენტალიტეტის შეცვლას გულისხმობს, რაც უაღრესად რთული და მტკივნეული პროცესია და ხშირად მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს. მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებს, რომ ის ღირებულებები, რომლებიც გლობალიზაციის შედეგად მკვიდრდება, არ არის რაღაც ახალი, კოსმოპოლიტური ანდა სინთეზური სისტემა, სადაც ყველა ცივილიზაციაა წარმოდგენილი. იგი, ფაქტობრივად, იმ ფასეულობათა სისტემაა, რომელიც დასავლურ ცივილიზაციას ახასიათებს. ამიტომ სხვა ცივილიზაციის ხალხებისთვის ამ ღირებულებათა დამკვიდრება დასავლური ღირებულებების აშკარა ექსპანსია, კულტურული იმპერიალიზმია, სადაც ლომის წილი აშშ-ზე მოდის. ეს პროცესი, ზოგადად, ***ვესტერნიზაციის*** სახელითაა ცნობილი, თუმცა ზოგჯერ ***ამერიკანიზაციადაც*** მოიხსენიებენ.

რა არის ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც, გლობალიზაციის პროცესის გამო, მთელ მსოფლიოში ვრცელდება და რატომ უნდა იწვევდეს ის წინააღმდეგობას არადასავლური ცივილიზაციების სამყაროში?

ინდივიდუალიზმი. ინდივიდუალიზმი დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის საფუძველი და ძირითადი კატეგორიაა. სხვადასხვა ისტორიულმა გარემოებამ, ფეოდალიზმის დასავლურმა მოდელმა, მიწაზე კერძო საკუთრებამ, ბურჟუაზიის გაბატონებულმა მდგომარეობამ და სხვა ფაქტორებმა ჩამოაყალიბა პიროვნული მენტალიტეტი, როცა ადამიანი თვითონ არის საკუთარი თავის პატრონი, არავისზე არ არის დამოკიდებული და აკეთებს იმას, რაც სურს, ე. ი. პიროვნება თავისუფალია. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა ურთიერთობის ერთადერთი რეგულატორი კანონია. ამიტომ კანონის უზენაესობა ინდივიდუალისტური საზოგადოების აუცილებელი პირობაა და კანონის წინაშე ყველა თანაბარია, მიუხედავად მდგომარეობისა და ცენზისა.

ყველა სხვა ცივილიზაციაში ინვიდიდზე მაღლა კოლექტივი დგას და პიროვნება მის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს. ისტორიულად ამ კულტურებში მიწაზე თემური საკუთრება იყო და ურთიერთობებსაც თემი არეგულირებდა. შესაბამისად, დღეს ასეთ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლება კოლექტივზეა დამოკიდებული და საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელისუფლებო ელიტა, რელიგიური თემები თუ გვაროვნულ-ტომობრივი კლანები წარმართავენ.

კოლექტივიზმი ყველგან ერთნაირი ფორმით არ არის წარმოდგენილი. რუსული კოლექტივიზმი ფართოა და მთელ სახელმწიფოზე ვრცელდება, კერძოდ, სახელმწიფოსა და მის ხელმძღვანელს (Батюшка-царь) ყველა მორჩილად უნდა ემსახურებოდეს, ხოლო უბრალო მოქალაქეები ერთი კოლექტივის თანაბარუფლებიანი წევრები არიან და ამიტომ თითეულ მათგანს უფლება აქვს, მეორეს შენიშვნა მისცეს, თუ ეს უკანასკნელი კოლექტივისთვის მიუღებელ ქმედებებს ჩაიდენს. იაპონიაში კოლექტივიზმი კორპორაციული ხასიათისაა და კომპანიის წევრების ურთიერთნდობასა და კომპანიის ერთგულების პრინციპზეა დაფუძნებული. ჩინეთში კოლექტივიზმი უფრო ოჯახური დონისაა და სწორედ ოჯახია ჩინური საქმიანი სამყაროს ძირითადი რგოლი. პირადი ურთიერთობა და დამოკიდებულება იურიდიულ ნორმებსა და კონტრაქტებზე მაღლა დგას. ამ სიტუაციით აიხსნება წვრილი, ოჯახური ბიზნესის წამყვანი როლი ჩინურ სამყაროში. რაც შეეხება ისლამურ სამყაროს: აქ კოლექტივიზმის საფუძველი ისლამური საზოგადოება „უმმაა“, რომელიც ყველა მუსლიმისთვის მთავარი ღირებულებაა და პირიც, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური კოლექტივის წევრია. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტომსა და გვარს და პიროვნებაც მის წინაშეა პასუხისმგებელი. აფრიკული საზოგადოებაც კოლექტივს, კერძოდ, ტომს ეყრდნობა და ამა თუ იმ ტომისადმი მიკუთვნებულობა განსაზღვრავს ინდივიდის როლს (ტრაიბალიზმი). კოლექტივიზმი დამახასიათებელია ინდური ცივილიზაციისათვისაც, სადაც საზოგადოების საფუძველს კასტა წარმოადგენს.

რაც შეეხება ქართული კოლექტივიზმს: ის არ მოიცავს მთელ ერს ან სახელმწიფოს და უფრო ვიწრო ფარგლებით იზღუდება. ესაა ჩვენში გავრცელებული ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: „სანათესაო“, „სამეგობრო“, „სამეზობლო“ და ა. შ. სწორედ ნათესავების, მეგობრების თუ მეზობლების წინაშე თვლის თავს პასუხისმგებლად ქართველი და მათ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე – სახელმწიფო ინტერესებს და კანონებს.

ცხადია, კოლექტივისტური მენტალიტეტის საზოგადოებისთვის ძალიან ძნელია ინდივიდუალისტურ ცნობიერებაზე გადასვლა და კანონის კოლექტივზე მაღლა დაყენება. ამითაა გამოწვეული ის გაღიზიანება, რასაც დასავლეთი იწვევს სხვა, არადასავლურ საზოგადოებებში.

დემოკრატია. დემოკრატია პირდაპირი მნიშვნელობით „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს და საზოგადოების ყველა წევრის სრულ თანასწორობას გულისხმობს. დემოკრატია თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარია. იგი საზოგადოების მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. მაშ, რით უნდა აიხსნას დემოკრატიზაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ზოგიერთ არადასავლურ ქვეყანასა თუ რეგიონში? ცხადია, ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესი პირდაპირ ეწინააღმდეგება მმართველ ავტორიტარულ რეჟიმებსა და კორუმპირებულ ხელისუფლებას; ისინი ყველანაირად ეწინააღმდეგებიან დემოკრატიულ გარდაქმნებს! მაგრამ არის ზოგი ობიექტური გარემოებაც, რომელიც დემოკრატიის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ცხადია, რომ სრული სახით დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ პატარა სოციუმში. მაგალითისთვის გამოდგება ძველი ბერძნული პოლისები. უფრო დიდ საზოგადოებაში სრული დემოკრატია შეუძლებელია, რადგან იგი სოციალური კავშირების რღვევას გამოიწვევს.

ამიტომ დიდ სახელმწიფოებში პირდაპირი დემოკრატია შეუძლებელია და იგი იცვლება წარმომადგენლობითი დემოკრატიით. ეს უკანასკნელი პოლიტიკური ელიტის ფორმირების გარკვეულ, განსაკუთრებულ წესს და მასზე კონტროლს გულისხმობს. ამასთავე, ხელისუფლების დემოკრატიულად არჩევა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამომრჩევლის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, საიმისოდ კი, რომ ამომრჩეველმა დასაბუთებული არჩევანი გააკეთოს, ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, საკმარისად შეძლებული და რეალობას ადეკვატურად აღიქვამდეს.

დასავლეთის ქვეყნებში დემოკრატია ვითარდებოდა სოციალური საფეხურების მიხედვით, ზემოდან – ქვემოთ: მაგ., აშშ-ში ხმის მიცემის უფლება ჯერ ჰქონდათ მხოლოდ მესაკუთრეებს, შემდეგ – ყველა მამაკაცს და მხოლოდ 1919 წლიდან – ყველა მოქალაქეს. საფრანგეთსა და იტალიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება 1946 წლიდანაა და უკვე მაშინ საშუალო შემოსავალი ერთ სულზე 3500 დოლარს აღწევდა.

მოსახლეობის ის ფენა, რომლის შემოსავალიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, მოკლებულია რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარს. ის ადვილად ვარდება ხან ერთ, ხან მეორე უკიდურესობაში. ხელმძღვანელობს რა არა ლოგიკით, არამედ ემოციით, ეს ფენა ქმნის ე. წ. საპროტესტო დემოკრატიას, რაც უკიდურესად საშიშია სახელმწიფოსთვის, ხოლო როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს, მისთვის მთავარი ფიზიკური გადარჩენაა და არა – დემოკრატია. აშკარაა, რომ ღატაკთა დემოკრატია ვერ იქნება დემოკრატია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნე-

ლობით. სწორედ ეს პრობლემაა გლობალურ სამხრეთში, რაც დემოკრატიზაციის მიმართ უნდობლობას და წინააღმდეგობას წარმოშობს. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს რაიმე ამართლებდეს.

თავისუფლება. თავისუფლება სულ სხვადასხვანაირად გაიგება სხვადასხვა ცივილიზაციის მიერ. შესაბამისად, ამ ფენომენისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია.

საქართველოში, რუსეთში და ალბათ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში (შესაძლებელია ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენდნენ ერთგვარ გამონაკლისს) თავისუფლება ნიშნავს თავის ნებაზე ყოფნას: „ვაკეთებ იმას, რაც მინდა, და ეს არავის საქმე არ არის“. თავისუფლება აღიქმება საშუალებად, თავი აარიდო პასუხისმგებლობას შენს ნამოქმედარზე. ამიტომ, პირადი თავისუფლების მაქსიმალიზაციის მიზნით, გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების ისეთი ფორმა, როგორიცაა „კოლექტიური პასუხისმგებლობა“, ანუ, თუ პიროვნებამ რამე დააშავა, პასუხი მთელმა კოლექტივმა უნდა აგოს. რეალურად ეს „კოლექტიური უპასუხისმგებლობა“ იყო, როცა პასუხს არავინ აგებდა. თავისუფლების ასეთი გაგება ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში წარმოუდგენელია. აშშ-ში თავისუფლებაში იგულისხმება არჩევანის თავისუფლება, შესაძლებლობა, თავი აარიდო ისეთ სიტუაციას, როცა ვინმეს შეეძლება ჩაერიოს შენს პირად ცხოვრებაში. იმავდროულად, სამსახურში თავისუფლება მკაცრად რეგლამენტირებულია ინსტრუქციით. სპეციფიკურია სიტყვის თავისუფლებაც. უნდა ითქვას ის, რაც არ გააღიზიანებს ამერიკელთა უმრავლესობას. თუ, მაგალითად, ტელევიზია აჩვენებს კადრებს, როგორ იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა ამერიკული ავიაციის დაბომბვის შემდეგ, საეჭვოა, ასეთ პროგრამას წარმატება ხვდეს.

რაც შეეხება ევროპას: აქ თავისუფლება უფრო ფართო ცნებაა და მომდინარეობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგიდან „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა“. ეს „აუცილებლობის გაცნობიერებაა“, რაც გულისხმობს ურთიერთკავშირს: რაც მეტია თავისუფლება, მით მეტია პასუხისმგებლობა.

ასეთნაირად გაგებული თავისუფლება ცოტა ძნელად აღსაქმელია არადასავლური ცივილიზაციებისთვის და, ამდენად, ძნელად მისაღწევია.

ადამიანთა უფლებები და თანასწორობა. თანასწორობა და ადამიანთა უფლებები, თვით დასავლეთშიც კი, საკმაოდ პირობითი ცნებებია. ცხადია, რეალურად მილიარდელებისა და მათხოვრების შვილებს სრულიად განსხვავებული უფლებები აქვთ, თუმცა, ფორმალურად, კანონის ძალით თანასწორნი არიან. ამიტომ ზოგი უფლება, რომლებიც ადამიანს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, განხორციელდება იმ ხარისხით, რის ეკონომიკური შესაძლებლობაც მოქალაქეს აქვს.

თავისთავად ცხადია, თანასწორობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის იდეა უაღრესად ჰუმანური და პროგრესული იდეაა. მის წინააღმდეგ აშკარად არავინ გამოდის, მაგრამ ხშირად ეს უფლებები ისეთ ფორმას იღებს, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის არა თუ წინააღმდეგობას, არამედ აგრესიასაც კი იწვევს.

მაგალითად, დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში, ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით, როგორც სახელმწიფომ, ისე ზოგმა ეკლესიამაც, დაუშვა ქორწინება ერთი და იმავე სქესის პირებს შორის. ამავე ლოგიკით, როგორც ეს ირონიით აღნიშნა ერთმა ჟურნალისტმა, შესაძლებელია მომავალში ცხოველებთან ქორწინების უფლებაც მოითხოვონ. ასეთი „უფლებები“ საბაბს აძლევს სხვა ცივილიზაციების წარმომადგენლებს, დასავლეთი სატანურ სამყაროდ მიიჩნიოს და მის წინააღმდეგ მოსახლეობის ფართო ფენები განაწყოს.

ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით დასავლეთმა მრავალ ქვეყანაში განახორციელა Mღონისძიებები (მათ შორის, სამხედროც). ამ პროცესს ჰუმანიტარული ინტერვენციის სახელი უწოდეს და, მართლაც, ჰუმანური მიზნების ფონზე (შიმშილის, სიღარიბის, სტიქიური უბედურებების, ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით) ახორციელებდნენ ქვეყნის ფაქტობრივ ოკუპაციას და იქ აშშ-ისთვის მისაღებ ხელისუფლებას სვამდნენ.

ალბათ, როცა ადამიანის უფლებებზეა ლაპარაკი, არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა ერების უფლებაც, იცხოვრონ ისე, როგორც სურთ, და თავს არ მოვახვიოთ მათთვის უცხო ცხოვრების სტილი და ნორმები. ისტორიაში მრავალი ფაქტი არსებობს, როცა მონებს და ყმებს არ უნდოდათ თავისუფლება (მაგ., 1861 წლის რეფორმის დროს რუსეთში) და ძალით მიცემულ თავისუფლებას უარყოფითი შედეგი მოჰყვა. აფრიკის სახელმწიფო – ლიბერია XIX საუკუნეში აშშ-ში გათავისუფლებული მონებისა და მათი აფრიკაში ემიგრაციის შედეგად შეიქმნა. ყოფილმა მონებმა ხელში ჩაიგდეს ხელმძღვანელი თანამდებობები და მონებად აქციეს ადგილობრივი მოსახლეობა. დღეს ლიბერია ერთ-ერთი ჩამორჩენილი, არაშემდგარი სახელმწიფოა, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებს.

როგორც ჩანს, სანამ მონას თავისუფლებას მისცემ, ჯერ უნდა ასწავლო, როგორ ისარგებლოს ამ თავისუფლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლება თავნებობად იქცევა.

ს. ჰანტიგტონი თავის სტატიაში „დასავლეთი: უნიკალური, მაგრამ არა უნივერსალური“ (ჰანტინგტონი 2001) წერს, რომ უნდა გავარჩიოთ მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია. თუ მოდერნიზაცია შეიძლება (და საჭიროცაა!) გამოიყენონ სხვა ცივილიზაციებმა, ვესტერნიზაცია მხოლოდ დასავლური საზოგადოების პროდუქტია, დასავლური ცივილიზა-

ცია კი, ფასეულია არა იმიტომ, რომ უნივერსალურია, არამედ იმიტომ, რომ უნიკალურია.

ამიტომ დასავლურმა ცივილიზაციამ უნდა გაითვალისწინოს სხვა ცივილიზაციების მორალური ფასეულობები და თავს არ მოახვიოს საკუთარი ღირებულებები. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია წინააღმდეგობის გამწვავება დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ საშიშროებას წარმოადგენს.

თავი 7. ნაციონალიზმი გლობალიზაციის ერაში

ნაციონალიზმის და გლობალიზაციის არსის, თეორიის და სტრუქტურის შესწავლა გვარწმუნებს, რომ თანამედროვე მსოფლიოს ეს ორი განმსაზღვრელი მოვლენა, თავიანთი შინაარსით, ურთიერთდაპირისპირებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენებია.

ნაციონალიზმი ეროვნული სახელმწიფოების შექმნისა და მათი განმტკიცებისთვის ბრძოლა და მისი თეორიული დასაბუთებაა, რისთვისაც ერი, ერი-სახელმწიფო, სუვერენიტეტი, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ვალუტა, ეროვნული კულტურა წმინდა ცნებებია და მათი დაცვის, განმტკიცებისა და განვითარებისთვის აბსოლუტურად ყველა საშუალება მისაღები და გამართლებულია. გლობალიზაცია, პირიქით, ეროვნული საზღვრებისა და განსხვავებების მოშლის, ერი-სახელმწიფოების გაუქმების, საერთო მოქალაქეობის, ერთიანი ზენაციონალური ეკონომიკის, საერთო ვალუტის, ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობის და საერთო სუპრანაციონალური, კოსმოპოლიტური კულტურის გავრცელების გამოხატულება და თეორიული აპოლოგიაა. პირველი მათგანი ფრაგმენტაციის, იდენტიფიკაციის და პარტიკულარიზაციის სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ, მეორე კი, დეტერიტორიზაციის, ინტეგრაციის და უნივერსალიზაციის სიმბოლოა.

ნაციონალიზმი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მძლავრი, წარმატებული და გავრცელებული იდეოლოგია იყო. მილიონობით ადამიანმა შესწირა თავი ნაციონალურ იდეებს, ერს, სამშობლოს, ეროვნულ თავისუფლებას. პოლიტიკოსებისა და მოქალაქეთა ფართო ფენებისათვის ეროვნული ინტერესები იყო ყველაზე მაღალი ღირებულება, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკას და მთელ საერთაშორისო ურთიერთობებს, ხოლო ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა, უმაღლეს ზნეობად ცხადდებოდა. ნაციონალიზმი, მისი ლიბერალური, სამოქალაქო ფორმით (აქ არ იგულისხმება ეთნიკური ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმები, შოვინიზმი, ეგოცენტრიზმი, არატოლერანტულობა და ა. შ), ფაქტობრივად, ყველა ერი-სახელმწიფოს მთავარი იდეოლოგია იყო და სახელმწიფოს არსებობის და განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ (თუ ერთადერთ არა) იარაღად მიიჩნეოდა.

და, აი, XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში გლობალიზაციის სახით თავი იჩინა ახალმა მოვლენამ, რომელიც სრულიად სხვა ღირებულებებს ემყარება და ყველაფერ იმის წინააღმდეგ არის მიმართული, რაც ნაციონალიზმისათვის წმინდა და ხელშეუხებელია. ცხადია, ეს დაპირისპი-

რება შეუძლებელია უმტკივნეულო ყოფილიყო და მას არ ემოქმედა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ამ პრობლემას მსოფლიო განსაკუთრებით მწვავედ შეეჯახა 90-იან წლებში. იმ დროს, როცა გლობალიზაცია მართლაც გლობალური მოვლენა გახდა და, ფაქტობრივად, აღარ დარჩა ძალა, რომელიც ამ პროცესის გავრცელებას და განვითარებას წინააღმდეგობას გაუწევდა, სწორედ მაშინ იფეთქა ახალმა ნაციონალიზმმა (რომელიც, როგორც წესი, ეთნიკური ხასიათისაა) და ამან უმწვავესი ეთნოკონფლიქტების ფორმა მიიღო.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად იბადება კითხვა: რა აკავშირებს ნაციონალიზმის ახალ ტალღას გლობალიზაციის პროცესთან, ანუ, ხომ არ გამიწვია გლობალიზაციამ ნაციონალიზმის გამოცოცხლება და ხომ არ წარმოადგენს ეს უკანასკნელი რეაქციას იმ ტენდენციებზე, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული კულტურის წინააღმდეგ არის მიმართული?

მეცნიერთა უმრავლესობა ამ კითხვას დადებითად უპასუხებს და მიიჩნევს, რომ თანამედროვე ნაციონალიზმი ნამდვილად არის რეაქცია გლობალიზაციაზე, გარკვეულწილად, მის შედეგიც კი და, ამდენად, ეს ორი ფენომენი განუყოფელია, ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეა (Giddens 1999, Delanty 2000). ავტორთა ნაწილი თვლის, რომ გლობალიზაციამ, პირიქით, შეასუსტა ნაციონალიზმი და, რაც უფრო ინტენსიური იქნება გლობალიზაციის პროცესი, მით მეტად დაიმცრობა ნაციონალიზმის გამოვლინებისა და მისი გავრცელების ალბათობა.

ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ცალსახად ერთი ან მეორე პოზიციის გაზიარება. უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე ნაციონალიზმი განვიხილოთ, წარმოშობის მიზეზებისა და მიზნების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში აშკარად გამოიკვეთება თანამედროვე ნაციონალისტური მოძრაობების ის კონკრეტული სახეები, რომლებიც უკვე დიდი ხანია არსებობს და გლობალიზაციის პროცესთან საერთო არაფერი აქვს (ბასკური, ირლანდიური ან ქურთული ნაციონალიზმი), ხოლო, მეორე მხრივ, უდავოდ დავინახავთ ისეთ ნაციონალისტურ ქმედებას, რომლის მიზეზიც გლობალიზაციაა, და მას პირობითად „ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ.

7.1. ნაციონალიზმი გლობალისტური თვალთახედვით

გლობალისტები ნაციონალიზმს ცალსახად აფასებენ, როგორც ფრაგმენტაციის, ლოკალიზმისა და პარტიკულაციის წყაროს. იმავდროულად, ისინი თანამედროვე ნაციონალიზმში, ძირითადად, ეთნიკურ

ნაციონალიზმს ხედავენ: ამაზე ლაპარაკობენ ეთნიკური უმცირესობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამან ბევრგან სასტიკი ეთნოკონფლიქტები გამოიწვია, საფრთხე შეუქმნა რა ერი-სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას და ხშირ შემთხვევაში, საერთოდ, არსებობას. სწორედ ასეთ ნაციონალიზმს უწოდებენ ისინი ახალ ნაციონალიზმს, რომელიც გლობალიზაციის შედეგად მიაჩნიათ.

ჯერალდ დელანტის აზრით (Delanty 2000), ახალი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზი ერი-სახელმწიფოების კრიზისია, რაც გლობალიზაციის პროცესის თანამდევი მოვლენაა. ერი-სახელმწიფოს დასუსტების, მის ფუქნციებში საერთაშორისო აქტორების (საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.) შეჭრის და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ძლიერდება მოსახლეობის ოპოზიცია სახელმწიფოს მიმართ და ეთნიკური სოლიდარობის გრძნობა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მულტიეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობები და სხვა არატიტულარული ეთნოსები ხსნას იმ სახელმწიფოდან გაქცევაში ხედავენ, რომელიც მათ ეროვნულ სახელმწიფოს არ წარმოადგენს. გლობალურ საზოგადოებაში მათ იგი აღარ სჭირდებათ და შეუძლიათ უშუალოდ, სახელმწიფოს გვერდის ავლით, გახდნენ მსოფლიო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ტიტულარული ერისათვის ეს ეროვნული სახელმწიფოს ნგრევას ნიშნავს, რაც გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს და ეთნოკონფლიქტების წყარო ხდება.

მაგრამ, თუ გადავხედავთ დღევანდელი ეთნოკონფლიქტების სურათს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ თითქმის ყოველ მათგანს ხანგრძლივი ისტორია აქვს და ჯერ კიდევ მაშინ იჩინეს თავი, როცა გლობალიზაციის კონტურები შორეულ მომავალშიც კი არ ჩანდა. განსაკუთრებული ინტენსივობა ეთნოკონფლიქტებმა 90-იან წლებში შეიძინა, ამიტომ საეჭვოა, რომ ეს მხოლოდ გლობალიზაციის მიზეზი იყოს. ცხადია, ეთნოკონფლიქტების გაღვივებას უკეთესი პირობები ექმნება სუსტ სახელმწიფოებში, სადაც მთავრობას არ შესწევს უნარი, თვითონ მოაგვაროს კონფლიქტი, მაგრამ, რამდენად დამნაშავეა მის სისუსტეში გლობალიზაცია, ნამდვილად საკამათო საკითხია.

ქართველი მკვლევარი, ნატა საბანაძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ნაციონალიზმის მიზეზები გლობალიზაციის ეპოქაში, შენიშნავს, რომ ეთნოკონფლიქტებიც და ე. წ. ახალი ნაციონალიზმიც გასაკუთრებით იმ ქვეყნებშია გავრცელებული, რომლებსაც გლობალიზაციის პროცესი შედარებით ნაკლებად შეეხო, ხოლო იქ, სადაც გლობალიზაცია განსაკუთრებით ინტენსიურად მჟღავნდება ანუ დასავლურ სამყაროში, ნაციონალიზმის და ეთნიკური დაპირისპირების მაგალითი

ცოტაა და, რაც არის, ისიც ძველი, გლობალიზაციამდელი პერიოდიდან მომდინარეობს (კვებეკი, ბასკეთი, ჩრდილოეთ ირლანდია). ამდენად, გლობალიზაციის დაკავშირება „ახალ ნაციონალიზმთან" საკმაოდ საეჭვოა. სამაგიეროდ, აშკარა კავშირი ჩანს თანამედროვე ეთნოკონფლიქტების გავრცელებასა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც ტრადიციულად ნაციონალიზმი ეთნიკური ფორმით არსებობდა.

ჰანს კონის ცნობილი კლასიფიკაციით, ნაციონალიზმის ორი ძირითადი ფორმა გამოიყოფა – დასავლური და აღმოსავლური. პირველმა მიიღო ის სახე, რომელსაც მოგვიანებით სამოქალაქო ანუ ლიბერალური ნაციონალიზმი ეწოდა და რომელიც სახელმწიფო ნაციონალიზმის სახით არსებობს. ერის საფუძველი ტერიტორია, სახელმწიფოა და, ამდენად, ერი და სახელმწიფო იდენტური ცნებებია, ამის მიზეზი კი ისაა, რომ დასავლეთის ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია) ერი ჩამოყალიბდა უკვე არსებულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში და გააერთიანა მთელი მისი მოსახლეობა. მისგან განსხვავებით, აღმოსავლური ნაციონალიზმი (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა) ეთნიკური ნაციონალიზმია, სადაც ერის საფუძველი ეთნოსია. ასეთი ნაციონალიზმისთვის ერი და სახელმწიფო სხვადასხვა ცნებაა, რადგან აქ ჯერ ერები, როგორც კულტურულ-სოციალურ ერთობები, ჩამოყალიბდნენ და უკვე თავიანთი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ იქცნენ პოლიტიკურ ერთობებად. აღმოსავლეთ ევროპის ხალხების უმრავლესობა სხვადასხვა იმპერიის (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი) შემადგენლობაში მოქცეულიყო და ეროვნული სახელმწიფოს შექმნა მათი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარი მიზანი გამხდარიყო. ამიტომ სახელმწიფოსა და ერის გაიგივება, ვთქვათ, პოლონელისთვის, ყოვლად მიუღებელი იყო, რადგან ამ შემთხვევაში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი იმპერიის შემადგენლობაში მოხვდა მისი მშობლიური მიწა, თავი რუსად, გერმანელად ან ავსტრიელად უნდა ჩაეთვალა.

სწორედ იქ, სადაც ეთნიკური ნაციონალიზმი ეროვნული იდენტიფიკაციისა და თვითგადარჩენის ძირითადი საშუალება იყო, ის იქცა მოსახლეობის ძირითად იდეოლოგიად. მან მოუტანა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მრავალ ხალხს. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოში, ძირითადი ეთნოსის გარდა, სხვა ეთნიკური ჯგუფიც ხვდებოდა, ის ასევე საკუთარი ეთნიკური ნაციონალიზმის საფუძველზე ცდილობდა შეექმნა თავისი სახელმწიფო, რაც ახლახან დამოუკიდებლობამოპოვებულ, უკვე ტიტულარულ ერად ქცეული ეთნოსის წინააღმდეგობას აწყდებოდა და ეთნოკონფლიქტს იწვევდა. ეს პროცესი გრძელდებოდა ყველგან, სადაც ეთნიკური ნაციონალიზმია გავრცელებული, და გრძელდება დღესაც. ამგვარად, ეთნოკონფლიქტე-

ბის რეგიონებში ბრძოლა მიმდინარეობს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ანუ თვითგამორკვევის პრინციპსა (ეთნიკური უმცირესობები) და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპს (ტიტულარული ერები) შორის. ასეთი მოვლენები უცხოა სამოქალაქო ნაციონალიზმის ქვეყნებში ანუ იქ, სადაც ნაციონალიზმი მაშინ გაჩნდა, როცა სახელმწიფო ჩამოყალიბებული იყო და სახელმწიფომ შექმნა ერი, გააერთიანა რა ქვეყნის ყველა მცხოვრები. შესაბამისად, დასავლეთის ერები თავიდანვე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან თავიანთი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა მათ არ მოუწიათ.

ეს განსხვავება დღევანდელი ეთნოდაპირისპირებისა და ნაციონალიზმის გამოვლინების ძირითადი მიზეზია. საეჭვოა, ეს გლობალიზაციის შედეგი იყოს, მით უფრო, რომ ეთნიკური უმცირესობების ბრძოლა მიმართულია ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ (და ამით თითქოს გლობალიზაციის ხელშემწყობ ძალებად გამოდიან), მაგრამ სინამდვილეში მიზნად ისახავს საკუთარი სახელმწიფოს შექმნას, ანუ საერთაშორისო სისტემის უფრო მეტ ფრაგმენტაციას, და აშკარად ეწინააღმდეგება გლობალიზაციას.

ზოგადად, ეთნონაციონალიზმის უკიდურესი ფორმით გამოვლინებისა და, მით უფრო, კონფლიქტში გადაზრდის მიზეზი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცდილების არარსებობა და კომუნისტური მემკვიდრეობა იყო, ხოლო ის, რომ ნაციონალიზმი გამოცოცხლდა 80-90-იანი წლების მიჯნაზე, მარტივად აიხსნება: ეთნიკური დაპირისპირება და ნაციონალური შუღლი აქ ყოველთვის არსებობდა და ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული, ჩადებული იყო რა შენელებული მოქმედების ნაღმები, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპის შესაბამისად. საბჭოთა დიქტატურის პირობებში სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა ნაციონალისტურ გამოვლინებებს და მართავდა მას. სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას მოჰყვა კიდეც ნაციონალიზმის აფეთქება, რადგან ათწლეულებით დაგროვილი პრობლემების შემაკავებელი მექანიზმი აღარ არსებობდა. გლობალისტების აზრით, ეს ნაციონალისტური გამოცოცხლება იმდენად არის დაკავშირებული გლობალიზაციასთან, რამდენადაც სწორედ გლობალიზაციამ გამოიწვია საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტება და იმ კონტროლის უკუგდება, რომელიც აკავებდა ნაციონალიზმის გამოვლინებას.

ცხადია, რომ ეთნონაციონალიზმი, როგორც წესი, მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როცა ეთნიკურ ჯგუფს რაიმე საფრთხე ექმნება: კერძოდ, საშიშროება ემუქრება ეთნოსის კულტურას, ენას, ტრადიციებს, ავტო-

ნომიას, ან – უკიდურეს შემთხვევაში – ფიზიკურ არსებობას. ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, როცა ეთნიკურ ჯგუფს მაშინ გამოუვლენია ნაციონალიზმი, მაშინ გაუსვამს ხაზი თავისი განსაკუთრებულობისა და სხვებისგან განსხვავებულობისათვის, როცა ასიმილაციის და საკუთარი თავის გაქრობის საფრთხე გაუცნობიერებია. ფრედ ჰოლიდეი (Halliday 2001) დღევანდელი ნაციონალიზმის ასეთი მოულოდნელი „აღორძინებისა“ და გავრცელების მიზეზად გლობალიზაციას იმიტომ მიიჩნევს, რომ, მისი აზრით, სწორედ გლობალიზაციამ შეუქმნა ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნულ იდენტობას, რადგან არაფერი უპირისპირდება და ეწინააღმდეგება ნაციონალიზმს გლობალიზაციაზე მეტად.

მაგრამ, იმის გამო, რომ გლობალიზაცია სხვადასხვაგვარად იჩენს თავს სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა საფრთხეს წარმოშობს, ცხადია, ნაციონალიზმიც სხვადასხვა ფორმით უნდა გამომჟღავნდეს. განვითარებადი ქვეყნები, უპირველესად, შეშფოთებულები არიან მათი ეკონომიკის უცხოურ ფირმებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე დაქვემდებარების და დასავლური (ამერიკული) კულტურისა და ღირებულებების მასობრივი გავრცელებით, რაც მნიშვნელოვნაწილად ცვლის მათ ტრადიციულ ფასეულობებს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ კულტურას. განვითარებულ ქვეყნებში სერიოზულ საშიშროებად აღიქმება მასობრივი მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან, რამაც რასიზმისა და ქსენოფობიის ზრდა გამოიწვია. ორივე შემთხვევაში ნამდვილად „ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი“ იგულისხმება, მაგრამ, ჯერ ერთი, განვითარებადი ქვეყნების რეაქცია იმდენად ნაციონალისტური როდია, რამდენადაც – ანტიიმპერიალისტური; მეორეც, დღეს მსოფლიოში მიმდინარე ეთნოკონფლიქტებს შორის ანტიგლობალისტური ნაციონალიზმის საფუძველზე წაროშობილი კონფლიქტები პრაქტიკულად არ გვხვდება (თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ ევროპის ზოგ ქალაქში მოხდარ შეტაკებებს იმიგრანტებთან).

გლობალისტურ ლიტერატურაში ნაციონალიზმი მხოლოდ გლობალიზაციის შედეგად და ამ პროცესის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად არ განიხილება. ცალკეული ავტორები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ დღეს ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი ყოველგვარი ნაციონალიზმი, რომელთაც თითქოს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს გლობალიზაციასთან, მაინც გლობალიზაციის პროდუქტია. ის, რომ ბასკებს დამოუკიდებლობა სურთ, ქურთები თავიანთი სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძვიან, ხოლო ფრანკო-კანადელებს კვებეკის კანადისაგან გამოყოფა აქვთ განზრახული, გლობალიზაციის ერაში ახლებურ მნიშვნელობას იძენს: ერთი მხრივ, სუსტდება სახელმწიფო, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებები (ამ შემთხვევაში – ეროვნული თვით-

გამორკვევის უფლება) საყოველთაო და გლობალური ნორმა ხდება, ყველა ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს მას. ერთი სიტყვით, თუ ხალხთა თვითგამორკვევის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, გლობალისტების აზრით, უპირატესობა ყოველთვის პირველს უნდა მიენიჭოს, რადგან საზღვრების უცვლელობის პრინციპი გლობალიზაციის ერაში ანაქრონიზმია.

ფ. ჰოლიდეი თვლის, რომ ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთკავშირი არ არის დღევანდელი ფენომენი და უფრო შორეულ წარსულში იღებს სათავეს: კერძოდ, იმ დროიდან, როცა თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ჩამოყალიბდა. ნაციონალიზმი, როგორც დოქტრინა, საბოლოო მიზნად ეროვნული სახელმწიფოს შექმნას ისახავს. ის ხაზს უსვამს ყოველი ერის განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას. მაგრამ თვითონ ეს დოქტრინა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მთელ მსოფლიოში გავრცელდა, როგორც საერთაშორისო პროცესების თანამდევი მოვლენა, მისი ნაწილი, გლობალური ცვლილებების შედეგი. სოლიდარობისა და ლოიალობის ძველი ფორმები დაიმსხვრა და ახლის მიღება და გავრცელება განხორციელდა. ნაციონალიზმის დიფუზია თავისთავად მოჰყვა საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციას, ერი-სახელწიფოების აღზევებას, მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებას, ევროპული კოლონიური იმპერიების შექმნას, ამ იმპერიების საწინააღმდეგო მოძრაობების წარმოქმნას, მსოფლიო ომებსა და დემოკრატიის გავრცელებას. პარადოქსია, რომ ნაციონალიზმი, რომელიც ეროვნული ნიშნის მიხედვით ხალხთა განცალკევებას და დაყოფას ქადაგებს, წარმოიშვა ინტერნაციონალური და გლობალიზებული ტენდენციების შედეგად და მის საწინააღმდეგო რეაქციად (Halliday 2001).

ამგვარად, ჰოლიდეის აზრით, თვითონ ნაციონალიზმის წარმოშობა იმ პროცესებთან არის დაკავშირებული, რომლებიც წარსულში იმავე ნიშნებით ხასიათდებოდა, რომლებითაც დღევანდელი გლობალიზაცია: წარსული პერიოდისთვის დამახასიათებელმა გლობალიზაციამ შექმნა ნაციონალიზმი და დღესაც თანამედროვე, ჭეშმარიტი გლობალიზაცია წარმოშობს თანამედროვე ნაციონალიზმს.

ამასთანავე, ნაციონალიზმსა და თანამედროვე საერთაშორისო სისტემას მხოლოდ ისტორია როდი აკავშირებს; გაცილებით მნიშვნელოვანია ნორმატიული კავშირები: იმას ითვალისწინებს, თუ რა იდეებითა და ღირებულებებით უნდა ცხოვრობდეს ხალხი და ვის ემორჩილებოდეს. თუ ნაციონალიზმის გაჩენამდე ხალხი უნდა დამორჩილებოდა მმართველს, მეფეს ან რელიგიას, მისი ჩამოყალიბების შემდეგ ასეთი კატეგორია გახდა ერი და, კერძოდ, მისი პოლიტიკური გამოხატულება – სახელმწიფო, ხოლო საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფო

წარმოჩნდა ხალხის (ერის) წარმომადგენლად და მისი ინტერესების გამომხატველად. აქედან მივიღეთ ცნება „ერი-სახელმწიფო“, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს ხალხს. შესაბამისად, ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი ინტერესების დამცველი და გამომხატველი სახელმწიფო, ამ იდეამ კი, ერთა თვითგამორკვევის პრინციპს დაუდო სათავე, რომლის მიხედვითაც, ყველა ხალხს აქვს უფლება, იყოს დამოუკიდებელი ან თავისივე სურვილით შედიოდეს რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობაში. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო წესრიგის, სამართლის, კანონმდებლობის ნორმები ემყარებოდეს ამ პრინციპს, ნაციონალიზმი კი გახდა საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი მორალური ბაზა, თანაც იმდენად, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უზენაეს ინსტიტუციას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ეწოდება.

ბოლო საუკუნეებში დამკვიდრებულ და დღემდე მოქმედ ძირითად სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს თანამედროვე საერთაშორისო და ხშირ შემთხვევაში საშინაო პოლიტიკასაც (სახელმწიფოთა სისტემა, ერი-სახელმწიფო, ტერიტორიული მთლიანობა, ხალხთა თვითგამორკვევა) უპირისპირდება თანამედროვე გლობალიზაცია, რომელიც შლის საზღვრებს ერებს, სახელმწიფოებს, ეროვნულ ეკონომიკებსა და კულტურებს შორის, და ერთიანი, გლობალური მსოფლიოსაკენ მივყავართ.

გლობალისტურ ლიტერატურაში ნაციონალიზმის როლზე საუბრისას ხაზს უსვამენ გლობალიზაციის იმ ფაქტორებს, რომლებიც არსობრივად ნაციონალიზმის საპირისპიროა. ესაა ეკონომიკური ინტეგრაცია, მიგრაცია, მოგზაურობა და ტურიზმი, საზღვარგარეთ დასაქმება, გლობალური საფრთხეები, მსოფლიო კომუნიკაციები, ეკონომიკური სუვერენიტეტის დასასრული. სწორედ ეს ფაქტორები იწვევს იმ რეაქციებს, რომლებიც ნაციონალიზმის ხელშემწყობ და ამაღორძინებელ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ: კერძოდ, მათ მიეკუთვნება: უცხოურ ინვესტიციებზე კონტროლის დაკარგვა, მტრული დამოკიდებულება იმიგრაციისადმი, დაუსაქმებლობის შიში, სუპრანაციონალური ინსტიტუციების უნდობლობა, უცხო კულტურის სიძულვილი, ტერორიზმის საფრთხე, გლობალური მედიის უნდობლობა, სეცესიისაკენ სწრაფვა.

ენტონი სმიტი თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი გლობალურ ერში“ (Smith 1995) ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის პროცესმა, კერძოდ კი, კომუნიკაციების ახალმა სისტემამ „წაახალისა“ პატარა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები, მათ შორის – კულტურული და ლინგვისტური უმცირესობები, შეექმნათ და გაეძლიერებინათ კულტურული

ქსელი, მიმართული როგორც ერი-სახელმწიფოს, ისე კონტინენტური თუ გლობალური კულტურის წინააღმდეგ. ესეც ეთნონაციონალიზმის აღორძინების ერთ-ერთი მოულოდნელი წყარო გახდა.

საინტერესო საკითხია ის, თუ ვინ წარმართავს თანამედროვე ნაციონალიზმის პროცესს. ტრადიციულად ნაციონალიზმის წარმმართველი ძალა ინტელიგენცია, არისტოკრატია და ელიტა იყო. თანამედროვე ნაციონალიზმის ლიდერებად ყოფილ საბჭოთა სივრცეში დისიდენტები და ყოფილი პარტიული ელიტა გვევლინება, რომელმაც მოხერხებულად შეცვალა კომუნისტური ლოზუნგები ნაციონალისტურით, ასევე, ნაციონალიზმის აპოლოგეტებად მოგვევლინენ ადგილობრივი მეწარმეები და საქმიანი წრეები, რომლებმაც გლობალიზაცია საკუთარ ბიზნესს დამუქრებულ საფრთხედ აღიქვეს. მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ შეუძლებელია ნაციონალისტურ მოძრაობას რაიმე წარმატება ჰქონდეს, თუ მას ხალხის ფართო მასებმა არ დაუჭირა მხარი.

აქვე იბადება მეორე კითხვა: კონკრეტულად რას ან ვის ეწინააღმდეგება თანამედროვე ნაციონალიზმი? როგორც წესი, ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი ასეთია: ნაციონალიზმი იბრძვის ჰომოგენიზაციის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ნ. საბანაძე შენიშნავს, გლობალიზაციის მთავარი აქტორები და, პირველ ყოვლისა, ტრანსნაციონალური კორპორაციები სრულიადაც არ არიან დაინტერესებული მსოფლიოს ჰომოგენიზაციით. პირიქით, მათ უპირატესობას სწორედ ქვეყანათა ურთიერთგანსხვავება ანიჭებს, რადგან ის სხვაობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ადამიანურ კაპიტალში, წარმოების დონესა და ბაზრის სიდიდეში, უზრუნველყოფს ტნკ-ის წარმატებებს და მოგებას. თუ ლაპარაკია კულტურულ ჰომოგენიზაციაზე, ეს წმინდა ნებაყოფლობითი საქმეა. ვერავინ დაუშლის პოლონელსა თუ ქართველს, ეცვას ამერიკული ჯინსები, უსმენდეს ინგლისურ პოპჯგუფებს, დადიოდეს ჩინურ რესტორანში და უყურებდეს ბრაზილიურ ტელესერიალებს.

იმავე ავტორმა ყურადღება მიაქცია კიდევ ერთ თავისებურებას, რომელიც ასევე ეწინააღმდეგება გლობალისტების მიერ ნაციონალიზმის შეფასებას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ზოგი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომლებსაც ადანაშაულებდნენ ეთნონაციონალიზმში, ყველაზე აქტიურად მიისწრაფოდნენ ევროსტრუქტურებსა და ნატოში გაერთიანებისაკენ. მათ არ ახასიათებდა ეროვნული კარჩაკეტილობა, რითაც გამოირჩევა ნაციონალიზმი. ისინი სწორედ გლობალიზაციის მომხრეებად და ხელშემწყობებად წარმოჩნდნენ. ამით კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი ჩნდება იმის საწინააღმდეგოდ, რომ თანამედროვე ნაციონალიზმი გლობალიზაციის შედეგად მივიჩნიოთ. ამიტომ

თანამედროვე ეთნოკონფლიქტების დაკავშირება გლობალიზაციასთან საკმაოდ საკამათო ჰიპოთეზაა. საეჭვოა, რომ თუკი გლობალიზაციის პროცესი არ იქნებოდა, დღეს არსებული ეთნოკონფლიქტები სხვა გზით წარიმართებოდა და სხვა შედეგს გამოიღებდა (Sabanadze).

7.2 ნაციონალიზმის სახეები გლობალიზებულ მსოფლიოში

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც გლობალიზაციის პროცესი ინტენსივობას არ კარგავს, ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლებია. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ინტერესი, რომელსაც ამ პრობლემების შესწავლა იწვევს. კერძოდ, რით განსხვავდება დღევანდელი ნაციონალიზმი გლობალიზაციამდელი ეპოქის ნაციონალიზმისაგან ?

ერიკ ჰომბსბაუმი თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლის შემდეგ“ (Hobsbawm 1990) აღნიშნავს, რომ XX საუკუნის მიწურულის ნაციონალიზმი მკვეთრად განსხვავდება XIX საუკუნისა და XX ძირითადი ნაწილის ნაციონალიზმისაგან; ის აღარ წარმოადგენს ისტორიული განვითარების ძირითად ვექტორს. თუკი XIX საუკუნის ნაციონალიზმი ეროვნული სახელმწიფოებისა და ეროვნული ინდუსტრიული ეკონომიკის გარშემო ერების ჩამოყალიბების ეპოქა იყო, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალიზმი ეროვნულ-განმათავისუფლებელ და ანტიკოლონიურ მოძრაობად და იდეოლოგიად უნდა ჩაითვალოს, XX საუკუნის ბოლოს ნაციონალიზმმა უკიდურესად ნეგატიური და აგრესიული სახე მიიღო. ეს არის დამანგრეველი ძალა, რომელიც ეთნიკურ და ენობრივ განსხვავებულობას ეყრდნობა და ხშირად გადაჯაჭვულია რელიგიასთან. ჰობსბაუმი პარალელს ავლებს, ერთი მხრივ, ესტონელებისა და კვებეკელების ნაციონალიზმთან (რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი მოსახლეობის იმიგრაციას) და, მეორე მხრივ, XIX საუკუნის შუა წლების ჩეხურ ანტიგერმანულ ნაციონალიზმთან, რომელსაც მარქსი და ენგელსი უარყოფითად აფასებდნენ.

ჰობსბაუმის მიხედვით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დრო დამთავრდა. ახალი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა კაცობრიობისთვის არავითარი სარგებლობის მომტანი არ არის. ამიტომ ყოველი დღევანდელი ნაციონალისტური მოძრაობა ანტიპროგრესული, ქაოსის მომტანი და დამანგრეველია. ასეთი დასკვნის გაკეთებისას ჰომსბაუმი ისევ მარქსიზმს ეყრდნობა და, მარქსის მსგავსად, ერებისათვის ისიც გარკვეულ ეკონომიკურ ზღურბლს აწესებს. ე. ი. ერი თავისი

შესაძლებლობებით მზად უნდა იყოს თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკისთვის და მისმა სახელმწიფოებრიობამ სარგებელი უნდა მოუტანოს სხვებსაც. მას ან მდიდარი ბუნებრივი რესურსები უნდა ჰქონდეს ანდა კვალიფიციური და მომზადებული მოსახლეობა ჰყავდეს. ყველა ასეთ ხალხს უკვე აქვს სახელმწიფო და ახალი, მოუმზადებელი ხალხების სახელმწიფოებრიობა არავის კარგს არ მოუტანს. სწორედ ასეთი ხალხების ნაციონალიზმია გაბატონებული დღეს მსოფლიოში.

ე. სმიტი, ეწინააღმდეგება რა ჰობსბაუმის ამ დებულებას, გადაჭრით ამტკიცებს, რომ XX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ნაციონალური მოძრაობებიდან ბევრი დემოკრატიული და პროგრესულია, ხოლო, ისეთი პატარა ხალხების დამოუკიდებლობას როგორებიც სლოვენიელები, ჩეხები, სლოვაკები, ხორვატები ან თუნდაც კუვეიტელები, ტაივანელები და სინგაპურელები არიან, მსოფლიოსათვის ზიანი არ მოუტანია; არც კატალონიელების, ბასკების ან კვებეკელების დამოუკიდებლობა მოიტანს რაიმე უბედურებას, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ ნაციონალიზმის და სახელმწიფოების შექმნის დაკავშირება ეკონომიკურ საფუძველთან სმიტს გამართლებულად არ მიაჩნია.

მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ეთნონაციონალიზმის გამოცოცხლება ფაქტია. სმიტი ამის მიზეზებს კულტურაში ეძებს: კერძოდ, გლობალიზაციის ეპოქამ კომუნიკაციების არნახული განვითარება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია ეროვნული ტრადიციები და კულტურა. ირღვევა ტრადიციული ღირებულებები და ამის შიშით ხალხი უბრუნდება ეთნიკური გამორჩეულობისა და რელიგიური ცნობიერების რადიკალურ ფორმებს, ხსნას მასში ეძებს. ეს აძლევს თანამედროვეობის ბევრ ნაციონალისტურ მოძრაობას უკიდურესად რადიკალურ და ზოგჯერ აგრესიულ ფორმას.

ეროვნული სახელმწიფო ეროვნული იდენტობის დაცვის ყველაზე საიმედო გარანტორია და ამიტომ ხშირად ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო განუყოფელ ცნებებად არის წარმოდგენილი. ე. სმიტს მიაჩნია, რომ ერი-სახელმწიფო არ არის ერთადერთი დამცველი და, ამდენად, ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ: ნაციონალიზმის მიზანია შექმნას ერი (სამოქალაქო ან ეთნიკური), ხოლო სახელმწიფო ამ ერის გამოხატულებაა. თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმი არ შემოისაზღვრება მარტო ერი-სახელმწიფოს შექმნით და მისი დაცვით, არამედ ეთნიკური კულტურის შენარჩუნებითა და განვითარებით. ყველა ერ-სახელმწიფოში არის დომინანტი ეთნოსი, რომლის ეთნიკური კულტურაც, მისი სიმბოლოები და მითები, მახსოვრობა და ფასეულობები აყალიბებს სამოქალაქო ერის (სახელმწიფო ერის) ხასიათს.

სწორედ ამ ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას მიიჩნევს სმიტი თანამედროვე ნაციონალიზმის ძირითად მიზნად. იგი თვლის, რომ ინტეგრაციული პროცესები და გლობალიზაციის შედეგები ვერ ცვლის ეროვნული იდენტობის, ეროვნული კულტურისა და ეროვნული ხასიათის უპირატეს და დომინანტურ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერები და ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაშიც რჩება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ერთადერთ რეალურ საყრდენად. მათ არ გააჩნიათ მეტოქე დღევანდელ პირობებში. ერები იმდენად არიან მიბმული თავიანთ ისტორიულ ძირებთან, მახსოვრობასთან, მითებსა და სიმბოლოებთან, რომ ვერავითარი გლობალური კულტურა მას ვერ შეცვლის, ხოლო ერი-სახელმწიფოები კვლავაც დარჩება პოლიტიკური ერთობის მთავარ ფორმად (Smith 1995).

სმიტის ასეთ მოსაზრებას, ბუნებრივია, გლობალისტები არ იზიარებენ, მიიჩნევენ რა, რომ ერი-სახელმწიფოებისა და მით უფრო – ნაციონალიზმის ეპოქა უკვე წარსულის კუთვნილებაა, ხოლო თვით ნაციონალისტური გამოსვლებიც ძირეულად განსხვავდება იმ კლასიკური ნაციონალიზმისაგან, რომელიც წარსული ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

თანამედროვე ნაციონალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა გლობალიზაციის ისეთი დამახასიათებელი და თანამდევი ფენომენი, როგორიც ტრანსნაციონალური თემი და დიასპორაა.

ტრანსნაციონალიზმი ამ შემთხვევაში განისაზღვრება პროცესად, რომლითაც იმიგრანტთა თემები ქმნიან და ავითარებენ მრავალმხრივ სოციალურ კავშირს ერთობლივად თავიანთი წარმოშობის ადგილისა და ჩასახლების ადგილის საზოგადოებებს შორის. ასეთი თემების სოციალური სახე კვეთს გეოგრაფიულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ საზღვრებს, ისინი მყარად არიან დაკავშირებული როგორც თავისი სამშობლოს, ისე იმიგრაციის ქვეყნების საზოგადოებებთან. ასეთი თემი ფარავს დიასპორას, რადგან ყველა დიასპორა როდი ხდება ტრანსნაციონალური თემი! ზოგი რჩება ჩაკეტილ საზოგადოებად, ვერ ამყარებს რამდენადმე მნიშვნელოვან სოციალურ კავშირს მიმღები ქვეყნის საზოგადოებასთან (Spenser and Wollman 2002 p. 163).

დიასპორის ცნება ძველია და უძველესი დროიდან (ძველი ებრაელები, ძველი ბერძნები) არის ცნობილი. ტრადიციულად დიასპორად იგულისხმება სამშობლოდან ძალით გამოდევნილი და სხვაგან ჩასახლებული ხალხი. თუმცა ამჟამად ეს ცნება უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება და ზოგჯერ ტრანსნაციონალურ თემსაც გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ასეთ დიასპორებს და ტრანსნაციონალურ თემებს უყალიბდებათ გარკვეული ე. წ. ჰიბრიდული იდენტიფიკაცია, რის მაგალითსაც

წარმოადგენს კარიბის რეგიონიდან დიდ ბრიტანეთში დამკვიდრებული იმიგრანტთა თემები. ეს იდენტიფიკაცია ხდება არატერიტორიული, არ უკავშირდება რომელიმე ერ-სახელმწიფოს. შესაბამისად მოქალაქეობაც ტრანსფორმირდება. სწორედ ეს არატერიტორიული და ერ-სახელმწიფოსთან დაუკავშირებელი იდენტობა წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას.

დეტერიტორიზაციამ, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთმა მთავარმა ნიშანმა და დიასპორათა ინტენსიურმა გავრცელებამ, საფუძვლიანად შეცვალა ნაციონალიზმის ზოგი ძირითადი პრინციპი. რ. კოენი ამის შესახებ წერს: „ის, რაც მე-19 საუკუნის ნაციონალისტს სურდა, იყო „სივრცე“ ყოველი „რასისთვის“, ტერიტორია ყოველი სოციალური ერთობისთვის. ის, რაც მათ სანაცვლოდ მიიღეს, არის კოსმოპოლიტური ქალაქების უწყვეტი ჯაჭვი და ტრანსნაციონალური და სუბნაციონალური იდენტობის მზარდი აღმავლობა, რომელიც ძნელად თუ მოთავსდება ერი-სახელმწიფოების სისტემაში“ (Cohen 1997).

იმავე ავტორის აზრით, სწორედ მიგრანტები და ლტოლვილები არიან გლობალიზაციის ყველაზე ნათელი გამოხატულება და მთავარი „მოთამაშეები“ ე. წ. ფიქსირებული ნაციონალური თუ ეთნიკური იდენტობის დასამარებაში. მის ნაცვლად, მიმდინარეობს ჰიბრიდიზაციის პროცესი, რაც დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა.

ზოგი ავტორი იყენებს ტერმინ „კრეოლიზაციას“, რითაც ხაზს უსვამს ამ პროცესის ისტორიულ ფესვებს, როცა კოლონიზაციის დროსაც მიმდინარეობდა მსგავსი პროცესი და ბევრი ერი სწორედ ასე წარმოიშვა. ამჯერად ამ მოვლენამ კოლონიებიდან მეტროპოლიაში გადმოინაცვლა და ჩვენ წინაშეა კულტურების გლობალური მიქსაცია.

ცხადია, კულტურის მიქსაცია ისე არ უნდა გავიგოთ, რომ არსებობს რაღაც „შერეული“ კულტურა და „სუფთა“ ეროვნული კულტურა. ყველა ეროვნული კულტურა შერეულია. და თუ მაინც მიქსაციაზე ვილაპარაკებთ, მხოლოდ იმ გაგებით, რომ ხაზგასმულია ამ პროცესის ინტენსიფიკაცია მულტიეთნიკურ, კერძოდ, დიასპორულ საზოგადოებაში.

როგორ დამოკიდებულებაშია დიასპორის ეთნიკური თვითშეგნება და მისი თვითიდენტიფიკაცია დღევანდელ ნაციონალიზმთან? პასუხი ამ კითხვაზე ცალსახა არ შეიძლება იყოს, რადგან თვითონ დიასპორები არიან ძალიან განსხვავებული, ჰიბრიდიზაციის სხვადასხვა ხარისხის თვალსაზრისითაც. არიან დიასპორები, რომლებიც მკაცრად ინარჩუნებენ ეთნიკურ სახეს და არ ერევიან მიმღები ქვეყნის მოსხლეობას. არიან დიასპორები, რომლებსაც პრაქტიკულად აღარ გააჩნიათ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან და, ფაქტობრივად, ახალ ეთნიკურ ერთობად ჩამოყალიბდნენ, ხოლო დიასპორათა ნაწილი შერეული, „ჰიბ-

რიდული“ კულტურითა და თვითშეგნებით გამოირჩევა. როგორც უკვე ითქვა, ისინი არატერიტორიული სოციალურ-კულტურულ ერთობებია და არ უკავშირდებიან რომელიმე ერ-სახელმწიფოს. ცხადია, დიასპორათა თითოეული ამ ტიპისათვის შესაბამისი ნაციონალიზმია დამახასიათებელი, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს ასრულებს გარემო ფაქტორები.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნაციონალისტური მოძრაობა – სიონიზმი მთლიანად დიასპორაში ჩამოყალიბებული და განვითარებული ნაციონალიზმია. ისტორიამ სხვა ბევრი მაგალითიც იცის, როცა ემიგრირებულ ინტელექტუალებს და ბიზნესმენებს დიდი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა და დახმარება გაუწევიათ ნაციონალისტური მოძრაობებისთვის (აღმოსავლეთ ევროპა კომუნისტურ პერიოდში, ირლანდიური დიასპორა აშშ-ში და სხვ.). ამასთანავე, ყალიბდება განსაკუთრებული, დიასპორული ნაციონალიზმი, რომელიც განსხვავდება იმ ნაციონალიზმისაგან, რომელიც სამშობლოშია დამახასიათებელი. თვით სიონიზმიც კი, რომელიც უარყოფს დიასპორაში ცხოვრებას და ყველა ებრაელს მოუწოდებს დაუბრუნდეს ისტორიულ სამშობლოს, პრაქტიკულად დიასპორაში მყოფი ებრაელების ეროვნული იდეოლოგია აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, ემიგრანტი კარიბიელებისა და აზიელების კომპლექსური, შერეული თვითიდენტიფიკაცია, მათი ტრადიციულ კულტურის მიქსაცია ბრიტანულ კულტურასთან და ორმაგი ორიენტაცია წინაპრების სამშობლოსა და მიმღები ქვეყნის მიმართ შეიძლება მივიჩნიოთ „სუფთა“ ეროვნული და ნაციონალისტური იდეების აღრევისა და შერწყმის მაგალითად.

დიასპორული ნაციონალიზმი განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალიზაციის პროცესთან. ბევრი იზიარებს იმ აზრს, რომ საფრთხე, რომელიც გლობალიზაციას ახლავს თან, ბადებს მკვეთრ ნაციონალისტურ რეაქციას, რაც ხშირად რადიკალურ და ფუნდამენტალისტურ სახეს იღებს. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი ფუნდამენტალისტურია ანდა ყველა ანტიგლობალისტური ფუნდამენტალისტური გამოსვლა ნაციონალისტურია: მაგალითად, ისლამური ფუნდამენტალიზმი უფრო გლობალისტურია, ვიდრე ნაციონალისტური, უარყოფს რა მუსლიმების დაყოფას ეროვნებებად და სახელმწიფოებად და ერთიანი მსოფლიო ისლამური საზოგადოების შესაქმნელად იბრძვის.

გლობალიზაციის შიში და გაურკვევლობა ბადებს მისწრაფებას ადგილობრივისაკენ, საკუთარისაკენ. ხსნად ახალი ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი ერთობების შექმნა მოიაზრება. ეს იწვევს სხვადასხვა

სეპარატისტული, სეცესიური მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომლებიც ერი-სახელწიფოს წინააღმდეგ არიან მიმართული და ამიტომ ეთნოკონფლიქტების მთავარი წყაროა. მაგრამ არ იქნება მართებული, თუ ყველა სეპარატისტულ და სეცესიურ მოძრაობას გლობალიზაციას დავუკავშირებთ. ბევრ ამ მოძრაობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და გლობალიზაციამდე გაცილებით ადრე არსებობდა. მეორე მიმართულებაა ე. წ. „გამაერთიანებელი ნაციონალიზმი“, რომელიც ცდილობს გააერთიანოს ეთნიკურად და რელიგიურად მსგავსი ხალხები და ასე დაუპირისპირდეს გარეშე დამანგრეველ ძალას. ასეთია, მაგალითად, ჰინდუისტური ნაციონალიზმი ინდოეთში.

ანტიგლობალისტური ნაციონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა და მკვეთრი გამოვლინებაა ე. წ. ანტიიმიგრანტული ანუ ქსენოფობიური ნაციონალიზმი, რომელიც, ძირითადად, განვითარებულ ქვეყნებშია გავრცელებული. ამ ნაციონალიზმის წარმოქმნის მიზეზი ის მასობრივი მიგრაციაა, რომელიც განვითარებადი ქვეყნებიდან ხორციელდება ამ ქვეყნებში. მიგრაციის უკონტროლო და ხშირ შემთხვევაში – არალეგალური ხასიათი, რასაც უცხო ეთნიკური ელემენტების სწრაფი ზრდა მოსდევს, შიშსა და შეშფოთებას იწვევს დასავლეთში, ეს კი ნოყიერი ნიადაგია უკიდურესი, შოვინისტური ნაციონალიზმისა და რასიზმის ჩამოსაყალიბებლად.

ჯ. დელანტი და პ. ომაჰონი (Delanty and O’Mahony 2002) გვთავაზობენ ნაციონალიზმის ტიპოლოგიას და ცალკე გამოყოფენ თანამედროვე, ნაციონალიზმს, რომელსაც ისინი ახალ რადიკალურ ნაციონალიზმს უწოდებენ. თავის მხრივ, ამ ახალ ნაციონალიზმში კიდევ სამი ქვეტიპი გამოიყოფა: *ახალ მემარჯვენე რადიკალთა ნაციონალიზმი, რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი* და *რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი.*

ახალი რადიკალური მემარჯვენეების ნაციონალიზმი, ძირითადად, დასავლეთის ქვეყნებშია გავრცელებული. იგი უფრო სხვადასხვა მემარჯვენე პარტიიდან მომდინარეობს ვიდრე – მასების მოძრაობიდან. მაშინ, როცა ნაციონალიზმის სხვა ფორმები, როგორც წესი, ორგანიზაციებიდან იმართება, მემარჯვენე რადიკალების ნაციონალიზმი აქტივისტებისა და საარჩევნო პოლიტიკის მოხერხებულად წარმართვის დამსახურებაა. ახალი მემარჯვენე რადიკალების იდეოლოგია წარმოადგენს ნეოლიბერალიზმისა და კულტურული ავტორიტარიზმის ერთგვარ კომბინაციას. კლასიკური ფაშიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ეკონომიკაში ანტიკაპიტალისტურ და ანტილიბერალურ პოზიციებზე იდგა, მემარჯვენე ნაციონალიზმი მხარს უჭერს რადიკალურ ლიბერალიზმს ეკონომიკაში და რადიკალურ კონსერვატიზმს სოციალურ და კულტურულ სფეროში. ბოლო წლებში ამ ნაციონალიზმის

წარმომადგენლები საგრძნობლად გაემიჯნენ რასიზმს და აცხადებენ, რომ მათი წინააღმდეგობა იმიგრაციის პროცესისადმი სოციალური შინაარსისაა და არა – ბიოლოგიური ან კულტურული. სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება ამ ნაციონალიზმის სხვადასხვა მიმართულებებს შორის განსხვავებულია. არის მიმართულებები, რომლებიც ძლიერი სახელმწიფოს აქტიურ მხარდამჭერებად გამოდიან (მაგ., ლე პენის ეროვნული ფრონტი საფრანგეთში), ზოგნი კი ანტისტატისტებად (სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების) და რადიკალური მულტიკულტურალიზმის მომხრეებად გვევლინებიან. ეს თავისებურება თანამედროვე რადიკალ მემარჯვენეებს საგრძნობლად განასხვავებს ევროპული ფაშიზმის ადრეული ფორმებისაგან და, ფაქტობრივად, ახალი ტიპის მემარჯვენეობას ვაწყდებით. გარდა ამისა, ახალი მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმის იდეოლოგია არ მიემართება მასებს, პუბლიკას, და უფრო წარსულზეა ორიენტირებული, ვიდრე მომავალზე მაშინ, როცა ფაშიზმი მოდერნიზმის პროდუქტი იყო და ისეთ ღირებულებებს ქადაგებდა, როგორებიცაა პროგრესის რწმენა, ტექნოლოგიური მიღწევები, სახელმწიფოს პრიმატი, პოლიტიკა, როგორც ხელოვნება, ქარიზმატული ლიდერი და ა. შ. ახალი მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმის შერეული იდეოლოგიური ბუნება, მიუხედავად აშკარა ქსენოფობიისა და არატოლერანტულობისა, არ იძლევა მის ფაშიზმთან გაიგივების საფუძველს, და ამიტომაც დელანტი და ომაჰონი ამჯობინებენ, იგი ახალ მემარჯვენე რადიკალურ ნაციონალიზმად მიიჩნიონ და არა – ნეოფაშიზმად, რომელი სახელითაც იგი უფრო ხშირად გვხვდება.

რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი. ექსტრემისტული ნაციონალიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში ეთნიკური მილიტარიზმის სახეს იღებს. უფრო რბილი ფორმით, ის ეთნოდემოკრატიის როლს ასრულებს, როცა სახელწიფო დომინანტი ეთნოსის ნება-სურვილით იმართება. ასეთმა „დემოკრატიამ“ შესაძლებელია უკიდურესად შეზღუდოს სხვა ეთნიკური ჯგუფების უფლებები და ეთნიკური წმენდაც კი გამოიწვიოს. ეს უკვე ეთნიკური მილიტარიზმის გამოვლინებაა, რასაც კატასტროფა შეესწრო იუგოსლავიაში 90-იანი წლების პირველ ნახევარში. ასე რომ, ეთნოდემოკრატია და ეთნომილიტარიზმი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენებია და, ფაქტობრივად, ერთ მთლიან მოვლენას ქმნიან. რადიკალური ეთნონაციონალიზმი გაცილებით პოპულისტურია და უფრო მიესადაგება ნეოფაშიზმს, ვიდრე – მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმი. ის, როგორც წესი, მომდინარეობს სახელმწიფოს შიდა აპარატის დომინანტი ელიტისაგან, ვიდრე – საზოგადოების მარგინალური ჯგუფებისაგან. ამიტომ უფრო სახელმწიფო „პროექტია“.

რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი ყველაზე აშკარად თანამედროვე პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში გამომჟღავნდა. მაგრამ პოსტკომუნისტურ ნაციონალიზმს აკლია იდეოლოგიური თანამიმდევრობა და, ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია მისი შედარება დასავლურ ნაციონალიზმთან. პოსტკომუნისტური ნაციონალისტური მოძრაობების დამახასიათებელი ნიშანია ისტორიული ამნეზია. კომუნისტურმა რეჟიმებმა გარკვეული სიცარიელე დატოვეს, რომელსაც დღეს ნაციონალიზმი ავსებს, მაგრამ ამ ნაციონალიზმს ცოტა რამ აქვს საერთო ადრეული ნაციონალიზმის ძველ ტრადიციებთან. ნაციონალიზმის მილიტარისტული ფორმა იმ ქვეყნებშია წარმოდგენილი, რომლებსაც სახელმწიფოებრიობას მიაღწიეს კომუნისტურ პერიოდში ანდა კომუნისტურამდელ ხანაში. ეროვნული იდენტობის დონე საკმაოდ დაბალი იყო.

რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი. მებრძოლი რელიგიური ნაციონალიზმიც თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. იშვიათი გამონაკლისის გარდა (სიონიზმი და ადრეული ნაციონალიზმის ზოგი სხვა შემთხვევა), ნაციონალიზმი, როგორც წესი, არარელიგიური, სეკულარული მოვლენაა. მაგრამ დღეს როგორც ნაციონალიზმის, ისე რელიგიის გამოცოცხლებამ მათი საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირება გამოიწვია მსოფლიოს ბევრ რეგიონში. რელიგია, კერძოდ, შიიტური მიმართულების ისლამი, ირანული ნაციონალიზმის მთავარი კომპონენტია. ისლამური პარტიები მნიშვნელოვანი ძალებია ალჟირში, ტუნისში, ეგვიპტესა და ზოგ სხვა ისლამურ სახელმწიფოში. დელანტი და ომაჰონი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს რელიგიისა და ნაციონალიზმის კავშირს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მათი აზრით, „საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1992 წლიდან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ნაციონალიზმი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და ეს კავშირი შევარდნაძის მხარდაჭერით სარგებლობს“ (Delanty, O’Mohany 2002 p. 151). ამავე ავტორების აზრით, რუსეთის ფედერაციის ბევრ რეგიონში რუსული მართლმადიდებლობა გახდა ეროვნული იდენტობის მთავარი სიმბოლო, ხოლო აზიურ რესპუბლიკებში სულ უფრო მზარდ პოლიტიკურ როლს ასრულებს ახალი, რადიკალური რეფორმისტული ისლამი. რელიგიის „ნაციონალიზაცია“ და პოლიტიზაცია სულ უფრო შესამჩნევი ხდება სხვა რეგიონებშიც (ინდოეთი, ინდონეზია, თურქეთი და სხვ.). ამიტომ ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ რელიგიური ნაციონალიზმი მოდერნიზმის პროდუქტია და ის გლობალურ ძალად იქცა. კრიზისისა და არეულობის დროს ის შეიძლება მარგინალური ჯგუფების მართვის საშუალება გახდეს.

თანამედროვე ნაციონალიზმის ეს სამი ტიპი რეალურად არსებობს და არავისთვის სადავო არ არის. მით უფრო რთული და საინტერესო სა-

კითხია იმ მიზეზების ახსნა, რამაც გამოიწვია თანამედროვე ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და მისი ასეთი გააქტიურება, განსაკუთრებით, პოსტკომუნისტურ სამყაროში, ანუ ამ მოვლენის თეორიული გააზრება. იგივე დელანტი და ომაჰონი გამოყოფენ ხუთ მთავარ მიდგომას, რომლებიც თანამედროვე ნაციონალიზმის ასეთ აღმავლობას და ფართო გავრცელებას სხვადასხვანაირად ხსნის.

1. ***ისტორიის დაბრუნება***. პირველ მიდგომას ისტორიის დაბრუნება შეიძლება ვუწოდოთ. ის ავტორები, რომლებიც ამ მიდგომას იზიარებენ, თვლიან, რომ ნაციონალიზმის „აფეთქება“ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გამოწვეულია იმით, რომ მას შემდეგ, რაც დიქტატურა შესუსტდა, თავი იჩინა საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ეთნიკურმა და რელიგიურმა შუღლმა. კომუნისტური რეჟიმი ასე თუ ისე აკავებდა ამ დაპირისპირებას, მაგრამ როცა შემაკავებელი ძალა გაქრა, ურთიერთწინააღმდეგობამ და სიძულვილმა მთელი ძალით იფეთქა. ასე რომ, თანამედროვე ეთნოკონფლიქტები მხოლოდ ისტორიის დაბრუნებაა, ხოლო თანამედროვე პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წყარო ტრაიბალიზმი და ეთნიკური სიძულვილია.

ამ მოსაზრებას, ძირითადად, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ემხრობიან. ისინი ისტორიის მოშველიებით ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთი ევროპის და, მით უმეტეს, აზიის ნაციონალიზმი ყოველთვის იყო ეთნიკური ნაციონალიზმი. მისგან განსხვავებით, დასავლური ნაციონალიზმი სახელმწიფო, სამოქალაქო ნაციონალიზმია და ამიტომაც მისთვის ეთნოკონლიფქტები დამახასიათებელი არ არის.

მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა ისტორიის დაბრუნების იდეას არ იზიარებს. საკმაოდ ბევრი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ ეთნიკურ მილიტარიზმს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ადრეულ კოლექტიურ იდენტურობასთან. ს. კოენის მტკიცებით (Cohen 1999), პოსტკომუნისტური ნაციონალიზმი ისტორიის უქონლობის შედეგია და არა – ისტორიის დაბრუნებისა, ხოლო ბალკანეთის კონფლიქტი სულ სხვა მიზეზების გამო დაიწყო და ეთნიკური ხასიათი შემდეგ შეიძინა. სარაევო ხუთასი წლის განმავლობაში ეთნოკულტურულად ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი ქალაქი იყო ევროპაში და არავითარი ეთნოკონფლიქტი იქ არ შეუნიშნავთ. ამიტომ არ არის სწორი იმის მტკიცება, რომ ნაციონალისტური წარმოდგენები უკვე წარსულშია ჩამოყალიბებული და თანამედროვე პერიოდში, უბრალოდ, გამოვლენის საშუალება მიეცა.

2. ***ინტერნაციონალიზმი და მოდერნიზაცია***. ერთ-ერთი საკმაოდ ხშირად გამოყენებული არგუმენტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმის აღზევების ასახსნელად ის არის, რომ

ეს მოვლენა ვერსალის სისტემის შემდგომი ერი-სახელმწიფოების მოდელის შედეგია, რომელიც დასავლეთმა მოახვია თავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელიც ამ მოდელს იცავდა, ძველმა შეცდომამ თავი ეთნიკური ნაციონალიზმის სახით იჩინა. ამდენად, ამ მოვლენის ისტორიული მიზეზი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე – კულტურული ან ეთნიკური. ამ რეგიონში სახელმწიფოების ფორმირება დიდი სახელმწიფოების ზემოქმედების შედეგია და, ამდენად, ბალკანეთი თანამედროვეობის პროდუქტად უნდა ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისით, პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზი ინტერნაციონალიზმის მიერ წარმოქმნილი მოდერნიზაციაა.

ეს მიდგომა თავისუფალია იმ უკიდურესობისაგან, რომელიც ისტორიის დაბრუნებას, როგორც თეორიულ მიმართულებას, ახასიათებდა და ნაციონალიზმის მთავარ მიზეზად კულტურულ განსხვავებას მიიჩნევდა. მაგრამ ამ მიმართულებასაც სერიოზული ნაკლი აქვს, რადგან ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა ფორმირების ადრეულ ისტორიულ სტრუქტურებს და ყურადღებას არ აქცევს მოქმედი ძალების (აგენტების) როლს. ცხადია სტრუქტურულ ფაქტორებს (კულტურა იქნება ეს თუ ისტორია) დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მოქმედი ძალების გარეშე მათი როლი მცირდება. მეოცე საუკუნის უმეტეს დროს ბალკანეთში მშვიდობა იყო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ადრინდელი დასავლური მოდელის გადმოტანა არ უნდა იყოს მიმდინარე კრიზისის გადამწყვეტი მიზეზი. საერთაშორისო ინტერვენციაც მხოლოდ პასუხი იყო უკვე დაწყებულ კონფლიქტზე. იგი ვერანაირად ვერ ჩაითვლება მის პირველ მიზეზად. თუ დავეთანხმებით, რომ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების მოდელი და საზღვრების გატარებაში დაშვებული ძველი შეცდომებია ეთნიკური მილიტარიზმის მიზეზი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერნაციონალური ინტერვენციით შედეგი ვერ მიიღწევა. გასათვალისწინებელია ისეთი აგენტებიც, როგორებიცაა მოქალაქეთა აღშფოთება უსამართლობითა და კორუფციით, დემოკრატიზაციის მოთხოვნა და სხვ.

3. ***ინსტიტუციონალიზმი.*** ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ თანამედროვე პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის ფესვები კომუნისტური მმართველობის დროს ერებისა და ეროვნებების ინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკიდან იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირი ეფუძნებოდა მრავალეროვნულობის ოფიციალურ ინსტიტუციონალიზაციას, რაც არამარტო ოფიციალურ, სახელმწიფო და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნიკურ ეროვნებას, არამედ ცენტრალურ ინსტიტუციონალურ კატეგორიად მიიჩნევდა მას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტერიტორიული მოწყობა ისევე,

როგორც ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობა, ეროვნულ პრინციპს ემყარებოდა, ამან კი, შედეგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოიღო, როცა ეს პრინციპი ანაქრონიზმად იქცა. ეროვნებათაშორისი დამოკიდებულება უკიდურესად გამწვავდა, რადგან საბჭოთა ეთნონაციონალური პოლიტიკის მემკვიდრეობას ფესვები ღრმად გაედგა. ამიტომ ნაციონალიზმის წყარო პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ სამყაროში პოლიტიკური ინსტიტუტების მდგომარეობაა და არა – ეთნიკურობა ან კულტურა. ნაციონალიზმს ერები კი არ წარმოშობს, არამედ – პოლიტიკა.

სხვადასხვა ავტორს სხვადასხვა მაგალითი მოჰყავს ამ მოსაზრების დასამტკიცებლად: კერძოდ, ახალი მემარჯვენე რადიკალი ნაციონალისტების წარმატებებს ისინი მიაწერენ არა იდეოლოგიას, არამედ – პოლიტიკური და, კერძოდ, საარჩევნო სტრუქტურების თავისებურებებს. მათი წარმატების მიზეზი ის არის, რომ მემარჯვენეებმა შეძლეს ისეთი ფორმულების მოძებნა, ერთნაირად მისაღები რომ იქნებოდა მემარჯვენეებისთვისაც და მემარცხენეებისთვისაც.

ინსტიტუციონალისტური მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ იგი თავისუფალია როგორც ეთნიკურობისა და კულტურის როლის უზომოდ განდიდებისაგან, ისე საერთაშორისო ფაქტორების გადაჭარბებული შეფასებისაგან. ამასთან, საეჭვოა, რომ პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის მიზეზები მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის ინსტიტუციები იყოს. გარდა ამისა, ეს მიმდინარეობა არ გვიჩვენებს, თუ როგორ არის პოსტკომუნისტური ნაციონალიზმი ინსტიტუციონალიზებული. ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი მხოლოდ საპროტესტო მოძრაობა იყოს.

4. ***გადასვლა დემოკრატიაზე***. პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების ახსნის ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა დემოკრატიაზე გადასვლის თეორია. ეს მიმდინარეობა ეყრდნობა იმ დებულებებს, რომლებიც აანალიზებს ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის კანონზომიერებებს. ამას ემატება ის თავისებურებები, რომლებიც ცენტრალიზებული ეკონომიკიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლას უკავშირდება. ასეთი გადასვლა არ არის მხოლოდ პოლიტიკური მოვლენა – ის მოითხოვს მთელი საზოგადოების სერიოზულ ტრანსფორმაციას.

დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში ინგრევა ის პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც ცივი ომისათვის იყო დამახასიათებელი. ძველი იდეოლოგიების მსხვრევას მოსდევს ახალი მემარჯვენე თუ მემარცხენე იდეოლოგიების გავრცელება, რომლებიც ძნელად იკიდებს ფეხს საზოგადოებაში. წარმოიშობა ერთგვარი სიცარიელე, ვაკუუმი, და სწორედ ის ივსება ახალი ნაციონალიზმით. დასავლურ სამყაროში ის რა-

დიკალური კონსერვატიზმის სახით წარმოდგება (ახალი მემარჯვენე რადიკალები), პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი – რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმით. ის უფრო ძლიერია იქ, სადაც დემოკრატია სუსტია, და დემოკრატიული მობილიზაციის შემცვლელად გვევლინება.

ზოგი ავტორი თვლის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ეთნიკური პოლიტიკა რაციონალური არჩევანია. „ეთნიფიკაცია" კულტურული იდენტიფიკაციის საერთო სურვილს არ გამოხატავს. ის რაციონალური სტრატეგიაა, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყონ საზღვრების ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება იქ, სადაც ეთნიკური უმცირესობები ასოცირდებიან მეზობელი ქვეყნების მოსახლეობასთან, და ხელისუფლების სისუსტის პირობებში დესტაბილიზაციის სერიოზული საფრთხე იქმნება. სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის პირობებში ეთნიკური პოლიტიკა ხშირად რაციონალური რესურსია. ეს მდგომარეობა ხუმრობით ასე შეიძლება შევაჯამოთ: „მემარჯვენეებს არ გააჩნიათ იდეოლოგია, მემარცხენეებს კი – ფული. შედეგი ნაციონალიზმია" (ციტირებულია Delanty, O"Mahony 2002 p. 155).

დემოკრატიაზე გადასვლის თეორია ხსნის ნაციონალიზმის მიზეზებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგრამ გაუგებარს ტოვებს ნაციონალიზმის გამოცოცხლების მიზეზებს დასავლეთში. ამ მიდგომით ძნელი ასახსნელია ის ფაქტიც, რომ დემოკრატიაზე გადასვლა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (იუგოსლავია და კავკასია ამ მხრივ გამონაკლისია) მშვიდობიანი გზებით განხორციელდა. ცხადია, რაციონალური სტრატეგიის როლი ექსტრემისტულ ნაციონალისტურ და ეთნიკურ პოლიტიკაში არ უნდა დავამცროთ, მაგრამ არც კულტურული იდენტობის უარყოფა შეიძლება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ პერესტროიკამ უდავოდ დიდი როლი ითამაშა იმ პირობების ჩამოყალიბებაში, რომელთაც შემდგომ თანამედროვე, პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი წარმოშვა.

5. ***რეაქცია გლობალიზაციაზე***. თანამედროვე ნაციონალიზმის აღორძინების მიზეზების ახსნას მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს იმ თეორიული მიდგომით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ *რეაქცია გლობალიზაციაზე.* ამ მიდგომის თანახმად, თანამედროვე ექსტრემისტული ნაციონალისტური გამოსვლები, ნაციონალისტური იდეოლოგიების წარმატება, ეთნიკური დაპირისპირებები და კონფლიქტები პასუხია იმ ეკონომიკური და კულტურული ღირებულებების შეცვლაზე, რაც გლობალიზაციას მოჰყვა.

ნაციონალიზმზე, როგორც გლობალიზაციის პროცესის მიმართ რეაქციაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგ მოსაზრებას. იურგენ ჰაბერმასი (Habermas 2001) ამ მოვლენას დასავლეთის ქვეყნებში „კეთილდღეობის ნაციონალიზმს" უწოდებს, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური და-

ცემის, ინფლაციის, უმუშევრობის შიშით, და მიმართულია იმიგრაციის წინააღმდეგ.

ჯ. დელანტი და პ. ომაჰანი ლაპარაკობენ ნაციონალიზმის ისეთ ფორმებზე, რომლებიც სოციალისტური ცენტრალიზებული ეკონომიკის ნგრევას მოჰყვა და გაზარდა დისპროპორცია ცენტრსა და რეგიონებს შორის: ამან ცენტრის მიმართ ნაციონალისტური ოპოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი (Delanty, O'Mahony 2002). იგივე ავტორები მიუთითებენ, რომ ნაციონალიზმმა მთელ რიგ ქვეყნებში და, პირველ ყოვლისა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიიღო წინააღმდეგობის ფორმა, როცა ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს არ სურთ ე. წ. „კომუნალურ სამოთხეში" ყოფნა და თავიანთი იდენტობის დაცვის ერთადერთ გზად მებრძოლი ეთნიკური ნაციონალიზმი მიაჩნიათ.

მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში თანამედროვე ნაციონალიზმი შეუძლებელია მივიჩნიოთ გლობალიზაციის პირდაპირ შედეგად ისევე, როგორც ანტიგლობალისტური მოძრაობების დიდი ნაწილი უფრო მემარცხენე და ანტიიმპერიალისტური ხასიათისაა, ვიდრე – ნაციონალისტური. ასევე, ნაციონალიზმის თანამედროვე გამოვლინებებს შორის შედარებით ცოტაა ისეთი, რომლებიც, თავიანთი გამომწვევი მიზეზებით, უშუალოდ გლობალიზაციას უკავშირდებოდეს.

ახალი რადიკალური ნაციონალიზმის მიზეზებისადმი ხუთი აღნიშნული მიდგომა ერთმანეთს არ გამორიცხავს. სხვა საქმეა, რომ შეიძლება ცალკეული მკვლევარი ერთ რომელიმე მათგანს აძლევდეს უპირატესობას ან რომელიმეს საერთოდ გამორიცხავდეს (მაგ., დელანტი და ომაჰონი თანამედროვე, ნაციონალიზმის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ რეაქციას გლობალიზაციაზე და საერთოდ უარყოფენ ისტორიის დაბრუნების მიდგომას). ფაქტია, რომ ისეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი, როგორიც ნაციონალიზმია, ერთი რომელიმე მიზეზით ვერ აიხსნება, თუნდაც ეს მიზეზი ასეთივე რთული და მრავალმხრივი ფენომენი – გლობალიზაცია იყოს.

გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული ნაციონალიზმის, უფრო სწორად, სეპარატიზმისა და სეცესიონიზმის შედარებით ახალი ფორმა, რომელიც სხვა მიზეზებითაა გამოწვეული, ვიდრე ტრადიციულად ეს მოძრაობები ხასიათდებოდა. როგორც წესი, სეპარატიზმი და სეცესია ეთნიკური უმცირესობებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც თვლიან, რომ მოცემულ სახელმწიფოში მათი ყოფნა უკანონოა და საფრთხეს უქმნის მათი, როგორც ეთნოსის, არსებობას. ცხადია, ასეთი სეპარატიზმი და სეცესიისადმი სწრაფვა გლობალიზაციის ეპოქაშიც გრძელდება და ძლიერდება კიდეც, მაგრამ მის გვერდით თავი იჩინა სეპარატიზმმა და სეცესიონიზმმა თვით ტიტულარული ერის შიგნით,

და ეს გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავებულობით.

გლობალიზაციის პერიოდში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ზრდა და სახელმწიფოს გავლენის შესუსტება საშუალებას აძლევს ცალკეულ რეგიონებს, უშუალოდ გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე და გარკვეული ეკონომიკური ავტონომიურობაც მოიპოვონ. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონს პრივილეგიები აქვს და მისი შემოსავალიც საგრძნობლად იზრდება. შესაბამისად, ყალიბდება აზრი: რეგიონი რომ ცალკე სახელმწიფო იყოს და მას არ ეტმასნებოდნენ ქვეყნის სხვა, ჩამორჩენილი რეგიონები, მაშინ აქ ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონე გაცილებით მაღალი იქნებოდა. ეს საკმარისი საბაბია ასეთი რეგიონული ნაციონალიზმის, სეპარატიზმისა და სეცესიონიზმის წარმოშობისა და გავრცელებისთვის.

ასეთი ნაციონალიზმის მაგალითია იტალიის ჩრდილოეთი ლიგა. მისი მიზანია ახალი სახელმწიფოს – პადანიის შექმნა, რომელშიც გაერთიანდება იტალიის ჩრდილოეთის ინდუსტრიული ოლქები. იტალიის სამხრეთის ჩამორჩენილი ოლქებისაგან გათავისუფლება საშუალებას მისცემს პადანიის სახელმწიფოს, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებულ ქვეყნად იქცეს. დაახლოებით ასეთივე მიზნებს ისახავს ბავარიული ნაციონალიზმი. მისი მესვეურების აზრით, ბავარიის უშუალოდ შესვლა ევროკავშირში გაცილებით მომგებიანი იქნებოდა მისი მოსახლეობისათვის.

ზოგჯერ ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონი თვითონ გამოთქვამს პრეტენზიას, რომ მას „სათანადო ყურადღებას არ აქცევენ“ და, თუმცა აქ ეთნიკური პრობლემები არ დგას (ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როცა რეგიონის მოსახლეობა იმავე ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც – ქვეყნის ტიტულარული ერი), მაინც თავს იჩენს სეპარატიზმი იმ იმედით, რომ დამოუკიდებლად ყოფნის ან მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება.

70-იან წლებში შოტლანდიური ნაციონალიზმის გამძაფრების მიზეზი იმდენად ტრადიციული ანტიინგლისური განწყობა არ ყოფილა, რამდენადაც ჩრდილოეთის ზღვაში, შოტლანდიის სანაპიროებთან ახლოს, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის დიდი მარაგის აღმოჩენა. შოტლანდიელი ნაციონალისტების აზრით, ამ საბადოებიდან მიღებული შემოსავალი შოტლანდიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ ქვეყნად გადააქცევდა.

ზოგადად, აღნიშნული ტიპის ნაციონალიზმი დასავლურ სამყაროს ახასიათებს და შეიძლება ნამდვილად მივიჩნიოთ გლობალიზაციის

ერთ-ერთ შედეგად. ის რეგიონები, რომლებიც ეთნიკურადაც განსხვავდება ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან, ავტონომიის განსაკუთრებულ ფორმებად ჩამოყალიბდა. მათ ხშირად უწოდებენ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის გარეშე. ასეთი ერების მაგალითია შოტლანდიელები, კატალონიელები და კვებეკელები. საით წარიმართება მომავალში მათი ნაციონალიზმი, მთლად ნათელი არ არის. გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებლობას უფრო იმ მოტივით ითხოვენ, რომ აღნიშნული ხალხები და მათი „არასუვერენული სახელმწიფოები“ უშუალოდ ჩაერთონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციულ პროცესებში. მეორე მხრივ, ვაკვირდებით ინტეგრაციულ პროცესებს ქვეყნის შიგნითაც, რაც, გარკვეულწილად, ასევე გლობალიზაციის შედეგია. ამგვარად, ერთდროულად მიმდინარეობს ორი, თითქოს ურთიერთშეუთავსებელი, პროცესი: ერთი მხრივ, სწრაფვა გამოცალკევებისაკენ, მეორე მხრივ – ზოგადსახელმწიფოებრივი იდენტობის გაძლიერება.

ამ უკანასკნელ ტენდენციაზე შემდეგი მაჩვენებლები მეტყველებს: 1982 წელს შოტლანდიელების 37 %-თვის თვითიდენტიფიკაცია იყო მხოლოდ შოტლანდიელი – არაბრიტანელი, 27 %-თვის უფრო შოტლანდიელი ვიდრე – ბრიტანელი, 25 %-თვის თანაბრად შოტლანდიელი და ბრიტანელი, 4%-თვის უფრო ბრიტანელი, ვიდრე – შოტლანდიელი და 2 %-თვის ბრიტანელი, არაშოტლანდიელი. 1998 წელს თავის თვითიდენტიფიკაციად მხოლოდ შოტლანდიელი – არაბრიტანელი ჩათვალა შოტლანდიელთა 19%-მა მაშინ, როცა თანაბრად ბრიტანელად და შოტლანდიელად თავს თვლიდა უკვე შოტლანდიელთა 40 % (Spenser and Wollman 2002 p. 178).

ეს ტენდენცია გვაფიქრებინებს, რომ მოთხოვნა შოტლანდიის სეცესიის შესახებ ეკონომიკურ მიზნებს ისახავს და არ უკავშირდება ეთნიკურ ნაციონალიზმს, განსხვავებით პოსტკომუნისტური ქვეყნებისა და განვითარებადი სამყაროსი, სადაც ანალოგიური მოთხოვნა ეთნიკური მტრობისა და შეუთავსებლობის შედეგია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ განვითარებულ სამყაროში ყველგან ასეთი სურათია: მაგალითად, კვებეკელების ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია როგორც კვებეკელის, ფრანკოფონის და ამიტომ – დანარჩენი კანადელებისგან განსხვავებულის, მეტიც – არაკანადელის, მკვეთრდება კიდეც.

საერთოდ, დასავლეთისთვის დამახასიათებელი ეს რეგიონული ნაციონალიზმი, რომელიც ნამდვილად უკავშირდება გლობალიზაციას, არ გამოირჩევა აგრესიულობით და არატოლერანტულობით, ის სისხლისმღვრელი ეთნიკური კონფლიქტები კი, რომლებიც მძვინვარებს მთელ მსოფლიოში, თავიანთი მიზეზებითა და ხასიათით, ნაკლებად არის დაკავშირებული გლობალიზაციასთან. რაც შეეხება ანტიგლობა-

ლისტურ მასობრივ გამოსვლებს: ისინი ნაციონალისტური ნამდვილად არ არის და მემარცხენე, ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებს, რადგან მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია დასავლეთის და, კერძოდ, ამერიკის ექსპანსიაა მთელ მსოფლიოში და თანაც – ცხოვრების ყველა სფეროში.

ამიტომ გლობალიზაციის მოწინააღმდეგე ძალებს შორის ის ძალები უნდა მივიჩნიოთ ყველაზე სერიოზულად, რომლებიც გლობალიზაციაში არა მარტო დასავლეთის მსოფლიო ექსპანსიას ხედავენ, არამედ თვითონვე აქვთ პრეტენზია საყოველთაოობასა და ჭეშმარიტებაზე. ასეთი ძალების მაგალითია ისლამური ფუნდამენტალიზმი.

7.3. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: მომავლის პერსპექტივები

ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის, როგორც ურთიერთდაპირისპირებული და, იმავდროულად, ერთიანი ფენომენების, ურთიერთდამოკიდებულება სვამს უაღრესად საინტერესო და რთულ კითხვას: როგორი იქნება ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის მომავალი? როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ მათი ურთიერთდამოკიდებულება პერსპექტივაში?

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. არსებობს მრავალი ჰიპოთეზა. შინაარსის მიხედვით, ისინი შეიძლება წარმოდგენით განვალაგოთ ხაზზე, რომლის ბოლო წერტილებზეც იქნება ორი ექსტრემალურად ურთიერთდაპირისპირებული პასუხი:

1. *მომავალი გლობალიზაციისა*. ამ პროცესის შედეგი იქნება ის, რომ განხორციელდება მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სრული ურთიერთშერწყმა. წაიშლება საზღვრები სახელმწიფოებს შორის. ერი-სახელმწიფოები არსებობას შეწყვეტენ. ხალხები აღირევა და წარმოიქმნება ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთი მსოფლიო ერი. ერებისა და სხელმწიფოების გაქრობა თავისთავად ნიშნავს ნაციონალიზმის გაქრობას. გლობალიზებულ სამყაროში ნაციონალიზმისთვის ადგილი აღარ რჩება.
2. *გლობალიზაცია მითია*. ვერანაირი ინტეგრაცია და ურთიერთდაახლოება ვერ მოსპობს ერებს, ენებსა და კულტურებს. პირიქით, ეროვნული გრძნობები სულ უფრო მეტ ხალხში გაიღვიძებს, რომლებიც თავიანთი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად ირბრძოლებენ. მომავალი მსოფლიოს ძირითადი შინაარსი იქნება ბრძოლა სახელმწიფოებსა და მათ საკუთარ ეთნიკურ უმცირესობებს შორის. მაშასადამე, მოდის ნაციონალიზმის ეპოქა.

ცხადია, მეცნიერებს შორის ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, რომელიც ასეთ უკიდურეს პროგნოზებს უჭერს მხარს. შესაძლო პასუხები მათ შორის მოთავსდება, მაგრამ, ზოგადად, ყველა პასუხი განაწილდება ორ ჯგუფად. ერთის მიხედვით, ნაციონალიზმის როლი მომავალ მსოფლიოში შემცირდება, ხოლო, მეორის მიხედვით, პირიქით, უფრო გავლენიანი და მებრძოლი ძალა იქნება.

ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის მომავლის გასარკვევად ჯერ შევჩერდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო და, საერთოდ, პოლიტიკური ერთობები.

7.3.1. პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია

ადამიანები ერთდროულად რამდენიმე საზოგადოებრივი გაერთიანების წევრები არიან. ისინი შეიძლება იყვნენ ნათესაური, ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი, პროფესიული და სხვა ერთობების წევრები, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ ერთობას, რომელიც სხვისგან დამოუკიდებელი, თვითმართვადი ერთობაა.

პოლიტიკური ერთობის მთავარი სახეობა სახელმწიფოა. მაგრამ თუ ტოტალიტარული სახელმწიფო ცდილობს პოლიტიკური ერთობა აბსოლუტურად აქციოს, ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები ცნობენ, რომ მისი მოქალაქეები, იმავდროულად, დამატებით სხვა ერთობების წევრებიც არიან. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ერთობის, ინტერესები (ეროვნული ინტერესები) უზენაესია, სხვა ერთობების ინტერესებთან შედარებით. შესაბამისად, ქვეყნის ყველა მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს სახელმწიფო მოვალეობა და მისი დავალებები. გლობალიზაციის პროცესის შედეგად დიდ სახელმწიფოებს შორის სამხედრო მეტოქეობის მკვეთრმა შემცირებამ წამოჭრა საკითხი, რომ პოლიტიკური ერთობები (სახელმწიფოები) სულ უფრო ნაკლებად ნაციონალისტურები ხდებიან.

ამ საკითხის ლოგიკურობა იქიდანაც მომდინარეობს, რომ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში პოლიტიკური ერთობები ყოველთვის როდი იყვნენ ნაციონალური ინტერესების გამომხატველი სუბიექტები. ისტორიის ადრეულ ეტაპებზე სახელმწიფოები არ წარმოადგენდნენ ერ-სახელმწიფოებს. ისინი ან ქალაქი-სახელმწიფოები, დინასტიური სამფლობელოები ან რელიგიურ-პოლიტიკური ერთობები იყვნენ. ტერიტორიულადაც ხშირ შემთხვევაში არ იყვნენ კომპაქტური ერთეულები და მათი საზღვრების დადგენა ჭირდა. რაც შეეხება მოსახლეობის აბ-

სოლუტურ უმრავლესობას: ისინი არა თუ არავითარ როლს არ თამაშობდნენ სახელმწიფო საქმეებში, არამედ ზოგჯერ არც კი იცოდნენ, რომელ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, რადგან მათი ჰორიზონტი საკუთარი სოფლით შემოიფარგლებოდა. თვით სრული დემოკრატიის მქონე ათენში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ჰქონდათ, ხოლო ქალები, მუდმივად მცხოვრები უცხოელები და მონები ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ.

XVII საუკუნის ევროპული სახელმწიფოები უკვე სხვა ტიპის სახელმწიფოებია. მათ შეიძლება ტერიტორიული სახელმწიფოები ვუწოდოთ, რომელთაც ჰქონდათ განსაზღვრული კომპაქტური ტერიტორია და იმართებოდნენ აბსოლუტური მონარქის მიერ, მაგრამ ერ-სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ. ადრინდელი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ტერიტორიულ ქვეყნებს ახასიათებდა ე. წ. „ექსტენსიური ძალაუფლების“ მაღალი დონე ანუ უნარი, გაევრცელებინათ ძალაუფლება მთელ საკუთარ ტერიტორიაზე და მის საზღვრებგარეთაც, კერძოდ, ამერიკისა და აზიის კოლონიებში. სწორედ ამით იწყება გლობალიზაციის ისტორია, ხოლო პორტუგალიასა და ესპანეთს, როგორც პირველ კოლონიურ იმპერიებს, გლობალიზაციის არქიტექტორებსაც უწოდებენ.

XVII საუკუნიდან იწყება ტერიტორიული სახელმწიფოების ტრანსფორმაცია ერ-სახელმწიფოებად, რაც ორი მთავარი მიზეზით – კაპიტალიზმით და ომებით – იყო გამოწვეული. ე. წ. „ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა“ შესაძლებელი გახადა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება. წიგნებმა, ჟურნალებმა, გაზეთებმა უცხო ადამიანებში, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ და არც არასოდეს შეხვედროდნენ, დაამკვიდრა ერთიანობის, ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთი კულტურის მქონე ერთობის იდეა, ანუ ის, რასაც ბ. ანდერსონი „წარმოსახვით საზოგადოებას“ უწოდებს (Anderson 1991). ე. გელნერი ეროვნული ენებისა და კულტურების წარმოშობის მთავარ მიზეზად ინდუსტრიალიზაციას მიიჩნევს (Gellner 1983), თუნდაც იმიტომაც, რომ წარმოებისა და ვაჭრობის პროცესში ადამიანებმა ერთ ენაზე უნდა ილაპარაკონ, ხოლო ერთიანი განათლების სისტემით და საერთო ფასეულობების დამკვიდრებით სახელმწიფო ცენტრალურ როლს ასრულებს ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში.

ამგვარად, კაპიტალიზმი ის ძირითადი ფაქტორია (როგორც ამას ფიქრობს ბევრი მკვლევარი და, პირველ ყოვლისა, ნაციონალიზმის თეორიის მოდერნისტული მიმართულების წარმომადგენლები), რომელიც აყალიბებს ერს და ამტკიცებს მასში ურთიერთსოლიდარობის გრძნობას.

მეორე მთავარი ფაქტორი, რომელიც ერის განმტკიცებას და ერი-სახელმწიფოს ფორმირებას წარმართავს, ომია. მეომარი სახელმწიფოსთვის არსებითი საკითხია, დარწმუნდეს, რომ მისი მოქალაქეები იბრძოლებენ ომში. ეს გარანტირებული იქნება მაშინ, თუ მოქალაქეებს აქვთ ერთობის, კერძოდ, ეროვნული ერთობის ძლიერი გრძნობა, ანუ ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა. სწორედ ომებმა ჩამოაყალიბა ევროპა ერ-სახელმწიფოებად. უფრო სწორად, ტერიტორიული სახელმწიფოები გარდაქმნა ერ-სახელმწიფოებად. ერის და სახელმწიფოს ცნებები ერთმანეთს დაემთხვა, ხოლო ერი-სახელმწიფოები პოლიტიკური ერთობების დომინანტ ფორმებად იქცა.

ის ფაქტი, რომ ერ-სახელმწიფოში ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია მთელი მოსახლეობის მობილიზება ანუ შეიარაღებული ერის ყოლა, ნათლად ხნის იმ მიზეზს, თუ რატომ და როგორ შეძლეს ევროპის შედარებით პატარა ქვეყნებმა, ხელში ჩაეგდოთ უზარმაზარი კოლონიები აზიასა და აფრიკაში. ეს დღევანდელი გლობალიზაციის წინაპირობა იყო.

ნაციონალიზმი, რომელიც ისევე, როგორც ერი-სახელწიფო, ევროპული ფენომენია, კოლონიებში ევროპიდან გავრცელდა. მესამე სამყაროს ქვეყნებში მიმდინარე ეროვნული მოძრაობა იმეორებდა ევროპულ იდეებს უცხო მთავრობის შეცვლისა საკუთარი ხელისუფლებით ანუ თვითმმართველობით. ამ მოძრაობის წარმატება იყო ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასზე მეტი ახალი სუვერენული სახელმწიფო წარმოიშვა, მაგრამ ამ ახალი პოლიტიკური ერთობებიდან ძალიან ცოტა ჩამოყალიბდა ერ-სახელმწიფოდ. ნაციონალიზმის და ახალი სახელმწიფოების საყოველთაო გავრცელებაც გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მაგალითია.

თანამედროვე სახელმწიფოებს უზარმაზარი ძალაუფლება აქვთ საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რაც არც თუ იშვიათად მათზე ზემოქმედების უხეშ ფორმებად გადაიზრდება ხოლმე. სწორედ ასეთი ზეწოლისა და ძალდატანების საპასუხოდ გაჩნდა მოთხოვნილება მოქალაქეობის უფლებებსა და მათ დაცვაზე.

თავდაპირველად მოთხოვნები მიემართებოდა სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებების მოპოვებას, შემდეგ კი, XX საუკუნის დასაწყისიდან, სოციალურ და კეთილდღეობის უფლებებზეც ალაპარაკდნენ. პოლიტიკური ერთობების დღევანდელი ფორმების სტაბილურობა მეტწილად იმის შედეგიცაა, რომ მოქალაქეებმა მიაღწიეს თავიანთ უფლებების აღიარებას და დაცვას. დასავლეთის დემოკრატიის ქვეყნებში ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტია სახელმწიფოს შენარჩუნებისა და განმტკიცების საფუძველია: კერძოდ, მოდერნიზაციის თეორიის მტკიცებით, ლიბერალურ-დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა

გადაჭრეს ინდუსტრიულ საზოგადოებებში აღმოცენებული სოციალური კონფლიქტები. ამიტომ არადასავლურმა საზოგადოებებმა უნდა გაიმეორონ ის გზა, რაც დასავლეთმა გაიარა, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. მაშასადამე, გარდაუვალია საზოგადოებირიობისა და მოქალაქეობრიობის დასავლური ფორმების გლობალიზაცია.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება მართლაც არის დასავლური გავლენის გლობალური გავრცელება და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გლობალიზაცია. იმავდროულად, პოლიტიკური ერთობების ნაციონალური ფრაგმენტაცია არა თუ არ შემცირებულა, არამედ ძლიერდება კიდეც. ეს ორი პროცესი, გლობალიზაცია და ფრაგმენტაცია, ის ორი მთავარი ფენომენია, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაციაზე, კერძოდ, ერი-სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივი (ეროვნული) მოქალაქეობრიობის ტრადიციულ წარმოდგენაზე.

განსაკუთრებით სერიოზულ პრობლემად 90-იან წლებში იქცა ეთნიკური ფრაგმენტაცია. სწორედ ამ პრობლემამ გამოიწვია ე. წ. არშემდგარი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდა. ეს ის ქვეყნებია, სადაც, ეთნიკური უმცირესობების სეპარატიზმის გამო, სახელმწიფო, ფაქტობრივად, დაშლილია ცალკეულ ნაწილებად და ცენტრალურ ხელისუფლებას არ ძალუძს, თავისი იურისდიქცია გაავრცელოს საკუთარი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. არშემდგარ სახელმწიფოებს ემატება კვაზისახელმწიფოების დიდი რაოდენობა ანუ ის ქვეყნები, რომლებისთვისაც შეუძლებელია საკუთარი მოსახლეობის მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილება და სადაც სისტემატურად ირღვევა მოქალაქეთა უფლებები. კვაზისახელმწიფო ადვილად შეიძლება გადავიდეს არშემდგარი სახელმწიფოების კატეგორიაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მრავალეთნიკურია. ასეთ პირობებში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნები ხშირად ერევიან კვაზისახელმწიფოების საქმეებში მოსახლეობის მატერიალური დახმარებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით. ეს „ჰუმანიტარული ინტერვენციაა“, მაგრამ არ კმარა, რადგან სახელმწიფოები ვერ წყვეტენ ადამიანთა უფლებების პრობლემებს.

ყოველივე ამის გამო, გლობალიზაციის ეპოქაში რამდენიმე ახალი საკითხი წამოიჭრა, რომლებიც სერიოზულად შეცვლის პოლიტიკური ერთობების ხასიათს, თუ განხორციელდა. ერთი მათგანია ცალკეული ჯგუფის (ეროვნული, რელიგიური, სქესობრივი და ა. შ.) უფლებების დაცვა. მოქალაქეთა სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური ტრადიციული უფლებების დაცვა არ ითვალისწინებდა ცალკეული ჯგუფის თავისებურებებს: მაგალითად, ფემინისტების აზრით, ბრძოლა მოქალა-

ქეობრივი უფლებებისთვის არასრულყოფილი იყო გენდერული თვალსაზრისით, რადგან არ ითვალისწინებდა სპეციალურ პირობებს ქალებისათვის. შესაბამისად, განსხვავება კულტურებსა და სქესს შორის აუცილებლად უნდა აისახოს სახელმწიფო პოლიტიკაში, ხოლო მკვიდრი ხალხები და ეთნიკური უმცირესობები ისევე უნდა იყვნენ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები, როგორც – სახელმწიფოები.

სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და მათი უფლებებისთვის ბრძოლა ხშირად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. ნებისმიერი სახელმწიფოს კანონმდებლობა კი უპირატესობას სახელმწიფო ინტერესებს ანიჭებს და, ამდენად, ჯგუფების ინტერესების დამცველად ვერ გამოდგება. გარდა ამისა, გლობალიზაციის ეპოქაში აშკარად შეუსაბამოდ გამოიყურება ტრადიციული სახელმწიფო კანონმდებლობა, რომელიც მოქალაქეებს დიდ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ ძალიან ცოტას – დანარჩენი კაცობრიობის მიმართ. არადა, კაცობრიობის წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემებს ცალკე სახელმწიფო ვერ გადაწყვეტს!

სწორედ ამიტომ გლობალიზაციამ წამოჭრა საკითხი პოლიტიკური ერთობების ალტერნატიული ფორმების შესახებ.

ერთ-ერთი მათგანია ე. წ. ***კოსმოპოლიტური დემოკრატია,*** რაც გულისხმობს კოსმოპოლიტურ პოლიტიკურ ერთობას და მსოფლიო მოქალაქეობას. კოსმოპოლიტური დემოკრატიის მომხრეთა აზრით, ეროვნული დემოკრატიები ვერ ახორციელებენ კონტროლს გლობალურ ბაზარზე და, მით უფრო, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაზე. ამ უკანასკნელთ კი, უკვე წამყვანი როლი უკავიათ მსოფლიო ეკონომიკაში, მათი გავლენა მუდმივად იზრდება. ერი-სახელმწიფო ხელშემშლელი ფაქტორია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში და დემოკრატიას აფერხებს. ის უნდა შეიცვალოს კოსმოპოლიტური პოლიტიკური ერთობით, სადაც სხვადასხვა საზოგადოების წევრები, როგორც კოსმოპოლიტური მოქალაქეები, ერთად იქნებიან წარმოდგენილები, რომელთა გადაწყვეტილებები მოიცავს მთელს მსოფლიოს. დ. ჰელდმა ჩამოაყალიბა კოსმოპოლიტურ დემოკრატიაზე გადასვლის მოსაზრებები, რაც, პირველ ყოვლისა, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეორგანიზაციას გულისხმობს.

მეორე მიდგომაა ***ნეომედიევალიზმი.*** იგი გულისხმობს ისეთ იდეალურ პოლიტიკურ წესრიგს, როცა ინდივიდები იმართება ურთიერთმფარავი ხელისუფლებებით და არც ერთი მათგანი არ არის აშკარა დომინანტი. სანამ თანამედროვე სახელმწიფოები ჩამოყალიბდებოდა, ასეთი მმართველობა იყო შუა საუკუნეების ევროპაში (აქედან – სახელწოდება „ნეომედიევალიზმი“). ამ მოდელის მიხედვით, სახელმწიფო თავის ძალაუფლების

ნაწილს გადასცემს საერთაშორისო ინსტიტუციებს, რომლებიც გლობალური პრობლემებით იქნებიან დაკავებულნი, ხოლო ნაწილს – შიდა რეგიონებს, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები და ეთნოკულტურული თუ რელიგიური განსხვავებები. სახელმწიფო ინარჩუნებს ძალაუფლებას და მოქალაქეები ვალდებულები იქნებიან მის წინაშე, მაგრამ სახელმწიფოს წილად მოვა ხელისუფლების მხოლოდ 1/3, დანარჩენი კი გადანაწილდება საერთაშორისო ინსტიტუციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ე. ი. სახელმწიფო აღარ იქნება დომინანტი პოლიტიკური ერთეული (Linklater 1998).

პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაციას გლობალიზაციის პროცესში ნაციონალიზმი ეწინააღმდგება. ნაციონალიზმის პიკი XX საუკუნის პირველი ნახევარი იყო, მაგრამ იგი დღესაც რჩება უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად. სწორედ ნაციონალიზმის, გლობალიზაციისა და ფრაგმენტაციის ურთიერთმიმართებამ უნდა განსაზღვროს პოლიტიკური ერთობების ბედი მომავალში. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაციის საკითხზე სამი მთავარი მიმართულება გამოიყოფა: *კოსმოპოლიტანიზმი, კომუნიტარიანიზმი და პოსტმოდერნიზმი.*

კოსმოპოლიტანიზმი საერთაშორისო სისტემას განიხილავს ყველა ინდივიდის აბსოლუტურ თანასწორობად და თანაბარი განვითარების საშუალებად გლობალიზაციის თანამედროვე ფაზაში. ნაციონალიზმი, როგორც ძალა, კარგავს თავის გავლენას.

კომუნიტარიანიზმი თვლის, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის გადამწყვეტი იქნება მისი მიკუთვნებულობა ამა თუ იმ ერთობისათვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსახლეობამ სხვა რომელიმე პოლიტიკური ერთობის მიმართ უფრო მეტი ლოიალობა და მორჩილება გამოიჩინოს, ვიდრე ერი-სახელმწიფოს მიმართ. ნაციონალიზმი კვლავ რჩება განმსაზღვრელ პოლიტიკურ ძალად.

პოსტმოდერნისტების აზრით, ერთობის ნებისმიერი ფორმა, იქნება ეს ეროვნული (სახელმწიფო), საერთაშორისო თუ ადგილობრივი, პოტენციურად საშიშია, რადგან მათ მივყავართ საზოგადოების რომელიღაც ნაწილის გამორჩეულობისა და უპირატესობისკენ.

7.3.2 ნაციონალიზმი მომავალში

პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია თავისთავად სვამს საკითხს ნაციონალიზმის მომავლის შესახებ: კერძოდ, რა როლს შეასრულებს ნაციონალიზმი გლობალიზებულ მსოფლიოში? რა უნდა გაკეთ-

დეს საიმისოდ, რომ მულტიეთნიკურ მსოფლიოში თავიდან ავიცილოთ ეთნიკური კონფლიქტების საფრთხე და ათობით ახალი კვაზისახელმწიფოს წარმოქმნა?

ჯერჯერობით ყველაზე გავრცელებულ ეფექტურ საშუალებად ორი ინსტიტუციური ფორმა – *კონსოციონალიზმი* და *ფედერალიზმი* ითვლება.

კონსოციონალიზმი არის ინსტიტუციური მოწყობის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მაქსიმალურად დაიცვას უმცირესობები და თავიდან აიცილოს უმრავლესობის ძალადობა და ჩაგვრა ხელისუფლებაში ეთნიკური ჯგუფების პროპორციულად მონაწილეობის (კვოტების დაწესების) გზით. მმართველობის ასეთი ფორმა მოქმედებს ლიბანში, კვიპროსში 1974 წლამდე და კიდევ ზოგ ქვეყანაში. კონსოციონალიზმი აუცილებლად გულისხმობს ოთხ თავისებურებას. პირველი. „დიდი კოალიცია“, რაც იმას გულისხმობს, რომ მთავრობაში წარმოდგეს ყველა ძირითადი ეთნიკური (რელიგიური) ჯგუფი; მეორე. უმცირესობებს ჰქონდეთ ვეტოს უფლება კონსტიტუციურ ცვლილებებზე; მესამე. სახელმწიფო სექტორის სამუშაო და ფონდები პროპორციულად განაწილდეს მოსახლეობის სტრუქტურის შესაბამისად; მეოთხე. თითოეული ჯგუფი სარგებლობს ფართო ავტონომიით საკუთარი საქმეების მართვისას (Lijphart 1977). მიუხედავად აღნიშნულისა, ცხადი გახდა, რომ კონსოციონალიზმი ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტების აცილებისა თუ გადაჭრის საკმაოდ სუსტი საშუალებაა.

კონსოციონალიზმის ალტერნატივაა **ფედერალიზმი**, რომელსაც მრავალი მკვლევარი კაპიტალისტური ლიბერალური დემოკრატიის ყველაზე წარმატებულ მოდელად (როგორც წესი, გულისხმობენ აშშ-სა და გერმანიას) და მართვის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს, როცა ძალაუფლება გადანაწილებულია ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის. მაგრამ ფედერაცია შეიძლება იყოს ასიმეტრიულიც, როცა ზოგ რეგიონს მეტი უფლება აქვს სხვებთან შედარებით. კანადაში, სწორედ ფედერალიზმმა შეცვალა კონსოციონალიზმი, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა.

ფედერალიზმს, როგორც ტერიტორიულ ავტონომიას, აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც, რადგან ასეთ შემთხვევაში თვით სუბიექტის შიგნით აღმოჩნდებიან ხოლმე არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული ეთნიკური ჯგუფები: მაგალითად, ანგლოფონები – კვებეკში და ფრანკოფონები – კანადის დანარჩენ პროვინციებში, ანდა ფლამანდიელები – ვალონიაში და ვალონები – ფლამანდიაში. იგივე შეიძლება ითქვას იმ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომლებიც ძალზე დისპერსიულად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის ტერიტორიაზე (მაგ., აშშ-ის ინდიელები). საერთოდ, დღეს უკვე ბევრი ლაპარაკობს ფედერალიზმის

კრიზისზე, რის დასტურადაც საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკის დაშლა მოჰყავთ.

ამიტომ ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ მომავალში ნაციონალიზმი სუპრანაციონალიზმად ტრანსფორმირდება ანუ ნაციონალური დაყოფა შეიცვლება ჯერ ეკონომიკური, ხოლო შემდეგ – პოლიტიკური კავშირით, რომელმაც უნდა შეაკავოს (და შეიძლება სრულიადაც მოსპოს!) ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინება. ამის მაგალითად ყველაზე ხშირად ევროკავშირს ასახელებენ და თვლიან, რომ თვით მისი შექმნა იმის მაჩვენებელია, რომ მისმა წევრმა ერებმა დათმეს ეროვნული ინტერესების რაღაც ნაწილი, უარი თქვეს საკუთარ ეროვნულ ვალუტაზე, პასპორტზე, მოქალაქეობაზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ნაციონალურ გრძნობებს და, ფაქტობრივად, ნაციონალიზმის დასასრულის მაუწყებელია. ის ავტორები, რომლებიც ასეთნაირად ფიქრობენ, მიიჩნევენ, რომ ევროპაში ნაციონალიზმს თანდათან შეცვლის ზენაციონალური, საერთო ევროპული ერთობის გრძნობა – სუპრანაციონალიზმი.

ბუნებრივია, ავტორთა უმრავლესობა არ თვლის, რომ ევროპული სუპრანაციონალიზმი უფრო ძლიერი აღმოჩნდება „ეროვნულ“ (სახელმწიფო) ნაციონალიზმზე. ევროპული ინტეგრაცია, ძირითადად, ეკონომიკური ფენომენია და საერთოევროპული პოლიტიკური ინსტიტუტები, სახელმწიფო პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, გაცილებით სუსტია. პოლიტიკური გადაწყვეტილებები სახელმწიფო დონეზე მიიღება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესები პრიორიტეტულია და საეჭვოა, მომავალში სხვაგვარი სურათი მივიღოთ. ევროპა რჩება ერი-სახელმწიფოების კონტინენტად და ევროკავშირის საფუძველიც ერი-სახელმწიფოებია. ამდენად, ნაციონალიზმი (იგულისხმება სახელმწიფო, ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი) სულაც არ შეუშლის ხელს ევროკავშირის განვითარებას და არც სუპრანაციონალიზმს შეეწინააღმდეგება. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ თვით ევროკავშირი გახდეს ნაციონალიზმის ახალი აღმავლობის წყარო. ერთიანი ვალუტისა და მოქალაქეობის შემთხვევაში არათანაბარმა ეკონომიკური განვითარების დონემ შესაძლებელია ევროკავშირის შიგნითვე წარმოშვას „ბირთვი“ და „პერიფერია“ და მოსახლეობის გადაადგილებამ პერიფერული ევროპიდან – ბირთვში საგრძნობლად დაძაბოს ეთნიკური ურთიერთობები. ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის შედარებით სისუსტისა და შეზღუდული ძალაუფლების პირობებში ნაციონალისტურ მოძრაობებს საკმაოდ ფართო ასპარეზი ეძლევათ, წინ აღუდგნენ ევროპულ პროექტებს, ხოლო ევროპის პოლიტიკურ რეგიონად ფორმირება, სადაც ძალაუფლება სახელმწიფოდან ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ხელში გადავა, საერთოდ ეჭვს იწვევს.

მიუხედავად ამისა, საერთო ევროპული მოქალაქეობა უკვე ფაქტია. მაასტრიხტის ხელშეკრულების მერვე მუხლის მიხედვით, ყოველი პიროვნება, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქეა, იმავდროულად ითვლება ევროკავშირის მოქალაქედ და უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და დასახლდეს ევროკავშირის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში. მას შეუძლია არა მარტო მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ, სახელმწიფო და ევროპარლამენტის არჩევნებში, არამედ არჩეულ იქნეს კიდეც ახალი საცხოვრებელი ადგილის ხელისუფლების ორგანოებში. შენგენის ხელშეკრულებაც „ევროპის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების გზაზე გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ეს, გარკვეულწილად, ადასტურებს იურგენ ჰაბერმასის მოსაზრებას (Habermas 1992), რომ ეროვნული მოქალაქეობიდან ევროპულ მოქალაქეობაზე გადასვლა ლოგიკური და კანონზომიერი პროცესია, ხოლო ევროპის მოქალაქეობა, თავის მხრივ, ერთი ეტაპია მსოფლიო მოქალაქეობის გზაზე. ჰაბერმასი თვლის, რომ ერი-სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი პირობა იყო დემოკრტიის განვითარებისთვის. დემოკრატიული საზოგადოებისთვის კი ჰომოგენურობა აღარ წარმოადგენს საჭიროებას, რადგან ყველას, ვინც დემოკრატიის საბაზო პრინციპებს ეთანხმება, აქვს უფლება, იყოს პოლიტიკური ერთობის (სახელმწიფოს) წევრი. ღია საზღვრების შემთხვევაში კონსტიტუციური პოლიტიკური ერთობა ღიაა ყველასათვის, ვინც დაემორჩილება მის წესებს და ნორმებს და სრულიადაც არ არის აუცილებელი სპეციფიკური (ნაციონალური) ერთობის არსებობა. მოქალაქეობა უნდა გამოცალკევდეს ეროვნებისაგან და, შესაბამისად, ნაციონალური იდენტობა შეიცვალოს პოსტნაციონალური იდენტურობით.

მოკლედ, ჰაბერმასი იმას უსვამს ხაზს, რომ ერი-სახელმწიფო წარსულის კუთვნილებაა და დღევანდელ რეალობას აბსოლუტურად აღარ შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმის ეპოქა მთავრდება და დგება კოსმპოლიტიზმის დრო.

კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი იდენტური ცნებები არ არის. თვითონ ტერმინი „ინტერნაციონალიზმი“ მიგვანიშნებს, რომ ლაპარაკია ერებზე, ნაციებზე და მათ ურთიერთობაზე. „კოსმოპოლიტიზმი“ კი (ბერძნული „კოსმოს“ და „პოლის“) სამყაროს ერთ მთლიანობად, ერთი მმართველობის ქვეშ მყოფად წარმოგვიდგენს, სადაც ერები და სახელმწიფოები აღარ არსებობს. ამიტომ სადაც ინტერნაციონალიზმია, იქ ნაციონალიზმიც არის, და ისინი განუყოფელი ცნებებია, უფრო სწორად, ერთი ფენომენის ორი ასპექტი. რაც შეეხება კოსმოპოლიტიზმს: ის არა მარტო ნაციონალიზმის, არამედ ინტერნაციონალიზმის საპირისპირო ცნებაცაა, და გულისხმობს ყოველგვარი ეროვნულის არარ-

სებობას და ეროვნულ-კულტურული განსხვავების სრულ გაქრობას. ძნელი გასაგები არ არის, რომ კოსმოპოლიტიზმი, თავის შინაარსით, ემთხვევა იმ საბოლოო შედეგს, რაც უნდა მოიტანოს გლობალიზაციის პროცესმა (თუ ამ პროცესში მოვლენები ისე განვითარდა, როგორც უკიდურესი გლობალისტები ვარაუდობენ). თუმცა უკანასკნელ წლებში სცადეს, რამენაირად შეეთავსებინათ კოსმოპოლიტიზმი ინტერნაციონალიზმისთვის და ნაციონალიზმისთვისაც კი.

ასეთი „სინთეზის“ გამოხატულებაა ტრანსნაციონალური და პოსტნაციონალური მოქალაქეობის იდეა. რ. ბაუბოკი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთობის, არსებობა უტოპიაა. ასევე ანაქრონიზმია საზღვრების ჩაკეტვა, თავისუფლად გადაადგილების აკრძალვა და ცხოვრების უფლებაზე უარის თქმა. ამიტომ პრობლემა „ტრანსნაციონალურად“ უნდა გადაწყდეს. შეიქმნას არა „სისხლის ერთობა“ ან „ნიადაგის ერთობა“, არამედ – „საცხოვრებელი ადგილის“ ერთობა. მაშასადამე, მოქალაქეობის უფლება რჩება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად, რომელსაც ემატება ყველა მოქალაქის უფლება, თავისუფლად გადაადგილდეს და დასახლდეს იქ, სადაც სურს.

დ. ჰელდის აზრით კი, გარდაუვალია მრავალმხრივი მოქალაქეობა, რომელიც განისაზღვრება კოსმოპოლიტური დემოკრატიული სამართლით, დამკვიდრდება ეროვნულ და საერთაშორისო კონსტიტუციებში, სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში და განხორციელდება საერთაშორისო სასამართლოების მიერ. იმავდროულად, სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შეავსებს ადგილობრივი (ქვემოდან) და ტრანსნაციონალური (ზემოდან) ხელისუფლება.

ზოგი ავტორი თვლის, რომ, თუ სახელმწიფოთა საზღვრები ნამდვილად გაიხსნება, მაშინ მიგრაცია ისეთ მასშტაბებს მიიღებს, რომ ერი-სახელმწიფოების ძალაუფლება მთლიანად მოიშლება, და ჩამოყალიბდება სრულიად ახალი, პოსტნაციონალური პოლიტიკური სისტემა, სადაც ქვეყნის მოქალაქეობა, ფაქტობრივად, აზრს კარგავს.

თავისთავად ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები დიდ წინააღმდეგობებს ხვდება მეცნიერთა მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფისაგან, რომლებიც თვლიან, რომ კოსმოპოლიტიზმი, გლობალიზაცია, ტრანსნაციონალიზმი, პოსტნაციონალიზმი თუ სუპრანაციონალიზმი მხოლოდ და მხოლოდ მითია და რეალურად მათი განხორციელება წარმოუდგენელია. ისინი მიიჩნევენ, რომ მიმდინარეობს ინტერნაცინალიზაციის პროცესი, რაც ერებისა და ერი-სახელმწიფოების არა თუ შენარჩუნებას, არამედ მათ განმტკიცებას და გაძლიერებას გულისხმობს. სწორედ ისინი არიან და მომავალშიც იქნებიან საერთა-

შორისო ურთიერთობების მთავარი აქტორები, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მიღმა მაინც სახელმწიფოები და ერები იდგებიან. მეტიც: ინტერნაციონალიზმი თავისთავად გულისხმობს ნაციონალიზმის (მათ შორის, მინინაციონალიზმის) გამოცოცხლებას. ამიტომ სერიოზულ პრობლემად რჩება, თუ რა როლს შეასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობებში ის ერები, რომლებსაც სახელმწიფო არ გააჩნიათ.

7.3.3. ერები სახელმწიფოს გარეშე

მომავლის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა ეთნიკური უმცირესობების ანუ სახელმწიფოს არმქონე ერების ბედი. როგორც ზემოთაც ითქვა, ბევრი მკვლევრის აზრით, სწორედ სახელმწიფოსა და ეთნიკური უმცირესობების დაპირისპირება, საერთაშორისო სამართლის ორი პრინციპის: ხალხთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შეუთავსებლობა იქნება მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა მომავალ მსოფლიოში.

ამერიკელი მკვლევარი, გიდონ გოტლიბი თავის წიგნში „ერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“ (Gotlieb 1993) ცდილობს სახელმწიფოთა საზოგადოებაში ადგილი მიუჩინოს ასეულობით ეთნოსს, რომლებსაც სახელმწიფო არ გააჩნიათ და მის შესაქმნელად იბრძვიან. ამასთან დაკავშირებით ავტორი გამოყოფს სამ მიდგომას: *ტერიტორიულს, იურიდიულს და „სახელმწიფო პლუს ერი“.*

ტერიტორიული მიდგომით, ყველა იმ ხალხს, რომლებსაც სურს სახელმწიფოებრიობის სტატუსის მოპოვება, ეს სტატუსი უნდა მიენიჭოს. ეს გამოიწვევს უამრავი ახალი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას, რასაც გარდაუვლად მოჰყვება უმწვავესი კონფლიქტები და ანარქია. ამან შეიძლება კატასტროფული შედეგები მოუტანოს კაცობრიობას. ამდენად, ეს მიდგომა უკიდურესად სახიფათო და თითქმის განუხორციელებელია.

იურიდიული მიდგომა გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დამცველი სპეციალური საერთაშორისო რეჟიმის შექმნას, რომლის მოვალეობაც იქნება მკაცრ კონტროლს დაუმორჩილოს სახელმწიფოების ქმედება ეთნიკური უმცირესობების მიმართ და არ დაუშვას მათი უფლებების დარღვევა. თეორიულად ეს განხორციელებადი იდეაა, მაგრამ დიქტატორულ და დემოკრატიული ტრადიციების არმქონე ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ინდიფერენტულია თავისი მოქალაქეების უფლებების მიმართ, საეჭვოა ამ იდეის განხორციელება. ის წარმატებული იქნება მხოლოდ იქ, სადაც კანონის უზენაესობის პრინციპი მოქმედებს.

„სახელმწიფო პლუს ერები“ წინა ორი მიდგომისგან სრულიად განსხვავებული მიდგომაა, და გ. გოტლიბს სწორედ ის მიაჩნია მომავლის საერთაშორისო სისტემის ყველაზე მისაღებ მოდელად. ეს მიდგომა განსხვავებულად აღიქვამს სახელმწიფო სუვერენიტეტს და მას რამდენიმე ახალი ინსტიტუტი შემოაქვს. კერძოდ:

სტატუსი – სახელმწიფოთა სისტემის გვერდით უნდა გაჩნდეს ერების სისტემა. ერის სტატუსის მქონე ერთეულები ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები და წარმოდგენილნი იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში, ე. ი. ერებს ენიჭება საერთაშორისო სტატუსი, რომელიც არ გულისხმობს ახალი ტერიტორიული სახელმწიფოების შექმნას;

კომპეტენცია – სახელმწიფო სუვერენიტეტი უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა დონეზე და იურიდიული, ფუნქციური და ტერიტორიული კომპეტენციები დანაწილდეს სახელმწიფოებს, ერებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მმართველობას შორის.

საზღვრები – სახელმწიფო საზღვრების პარალელურად არსებობს ერთა (ეროვნებათა) საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია, ე. ი. ერებს უნდა მიეცეთ საშუალება, სახელმწიფოთა პარალელურად შექმნან თავიანთი „ეროვნული სახლები“ ისე, რომ არ ხელყონ სახელმწიფოთა მთლიანობა.

მოქალაქეობა და ეროვნება პიროვნების პერსონალური სტატუსის დამადასტურებელი ორი პარალელურად არსებული მახასიათებელია;

ასოციაციები და კავშირები უნდა შეიქმნას არა მარტო სახელმწიფოებს, არამედ ერებს შორისაც.

როგორც ვხედავთ, ერებს (ე. ი. ეთნიკურ ჯგუფებს) ენიჭება დიდი პოლიტიკური უფლებები ისე, რომ არ ხდება არსებულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და მათი კომპეტენციები ერთმანეთს არ უპირისპირდება. გოტლიბის აზრით, საჭიროა შეიქმნას ახალი სივრცე (ერთა სისტემის სახით) დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისათვის ისე, რომ თავიდან ავიცილოთ სეპარატიზმი, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და საზღვრების ცვლილება. ეს ახალი სივრცე მოითხოვს ამ ერებისა და ხალხებისათვის ახალ სტატუსს საერთაშორისო ორგანიზაციებში და დიპლომატიაში. ეს სივრცე იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოთა სისტემის პარალელურად არსებობდეს ერების და ხალხების სისტემა, რომელიც არ იქნება ტერიტორიულად ორგანიზებული დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

გ. გოტლიბის აზრით, ხალხებისათვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, რომელიც არ იქნება ტერიტორიული და არ დაემუქრება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, ეთნიკური

კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზაა. გენერალურმა ასამბლეამ შეიძლება ჩამოაყალიბოს ახალი სტატუსი – „გაეროსთან ასოცირებული ხალხი“ იმ ერებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფო, მაგრამ პოლიტიკური დემოკრატიის სათანადო დონეს ინარჩუნებენ. ამასთანავე, უსახელმწიფოო ერებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სახლობენ, შეუძლიათ შექმნან არატერიტორიული „ეროვნული სახლი“. ასეთი ერის წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ ორი პასპორტი: ერთი მათი მოქალაქეობის, ხოლო მეორე – ეროვნების გამომხატველი.

გ. გოტლიბი არ ფიქრობს, რომ აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება ერთბაშად გადაჭრის ეთნიკური კონფლიქტების პრობლემას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ „სახელმწიფო პლუს ერები“ კონცეფცია მნიშვნელოვნად განმუხტავს დაძაბულობას. მაშინ, როცა ცივი ომის შემდეგ სულ უფრო იზრდება თვითგამორკვევისთვის მებრძოლი ერების რიცხვი და კულტურული და ეროვნული ფსიქოლოგია სეპარატიზმისაკენ იხრება, ეკონომიკური განვითარება და გლობალიზაციის პროცესი სახელმწიფოებს შერწყმისა და გაერთიანებისაკენ უბიძგებს. ასეთ შემთხვევაში ერთა სისტემის ჩამოყალიბება და სახელმწიფოს გარეშე მყოფი ერებისათვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, აღნიშნული კონცეფციის ავტორის აზრით, კონფლიქტების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

დაახლოებით მსგავს პოზიციაზეა ესპანელი მკვლევარი, მონსერატ გიბერნო (Guibernau 1999). იგი დარწმუნებულია, რომ კლასიკური ერი-სახელმწიფოების ადგილი გლობალიზაციის ერაში აღარ არის და ისინი ტრანსფორმაციას განიცდიან. ერები სახელმწიფოს გარეშე ხდებიან ახალი გლობალური აქტორები.

გიბერნოს ეჭვი შეაქვს იაპონელი მეცნიერის, კ. ომეს მოსაზრებაში (Ohmae 1995), რომ ერი-სახელმწიფოების ევროპას შეცვლის რეგიონების ევროპა, რომლის ფრაგმენტაციის საფუძველიც ეკონომიკა იქნება. ამ მოსაზრების მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობის საფუძველი გახდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რომლის მონაწილეებიც იქნებიან არა – იმდენად სახელმწიფოები, რამდენადაც გამოკვეთილი სამეურნეო სპეციალიზაციის მქონე და შიდა საწარმოო კავშირებით გაერთიანებული ეკონომიკური რაიონები.

გიბერნოს აზრით, მიუხედავად რეგიონების როლის ზრდისა, ისინი ვერ შეცვლიან ერ-სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებს. ერი-სახელმწიფოები კვლავ დარჩებიან ძირითად სუბიექტებად, მაგრამ არა – იმ სახით, როგორც დღემდე იყვნენ; ისინი მნიშვნელოვნად გადასხვაფერდებიან, ხოლო ეროვნული უმცირესო-

ბები გახდებიან საერთაშორისო ურთიერთობის მონაწილეები. თუმცა აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ დონეზე.

გიბერნოს მიაჩნია, რომ ევროკავშირი ისეთი ორგანიზაციაა, რომლის შიგნითაც უკვე შესაძლებელია თანაბარ სუბიექტებად გამოიკვეთოს როგორც სახელმწიფოები, ისე – სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი ერები: კერძოდ, კატალონიას, გალისიას თუ ბასკეთს, ესპანეთის მსგავსად, უნდა მიენიჭოთ უფლება, წარმოადგენდნენ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრებს, სარგებლობდნენ პოლიტიკური ავტონომიის იმავე დონით ევროკავშირში და ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები ევროპარლამენტში. ასეთ შემთხვევაში ტრადიციული ერი-სახელმწიფობის ძალაუფლების რაღაც ნაწილი იკარგება, მაგრამ ყოფილი ეროვნული უმცირესობები იძენენ იმ უფლებებს, რაც ადრე მხოლოდ სახელმწიფოებისთვის იყო დამახასიათებელი. სახელმწიფოს შიგნით ისინი კვლავ შეიძლება ეროვნულ უმცირესობებად ჩანდნენ, მაგრამ, თუკი მათი სტატუსი გაუთანაბრდება ევროკავშირის სხვა წევრებისას, უმცირესობის კატეგორია, ფაქტობრივად, აზრს კარგავს.

პოსტტრადიციული ერი-სახელმწიფოები ან უნდა დაეთანხმონ დომინანტი ერის პრივილეგირებული მდგომარეობის შეზღუდვას, ანდა ყველა ეთნიკურად განსხვავებული რეგიონი უზრუნველყონ საკუთარი ავტონომიური ხელისუფლებით. მოქალაქეობის ტრანსნაციონალური ფორმების უკვე არსებული მაგალითია ევროპის მოქალაქეობა, რომელიც გიბერნოს გამოსავლად მიაჩნია მულტიეთნიკური ერი-სახელმწიფოებისთვის.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმაოდ ძნელი გასაზიარებელია როგორც ეთნიკური უმცირესობების მიერ, რომლებსაც მიზნად თავიანთი ერი-სახელმწიფოების შექმნა აქვთ დასახული, ისე ტრადიციული ერი-სახელმწიფოების მიერ, რომლებისთვისაც ეროვნული უმცირესობების საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებად გამოცხადება მიუღებელი და ძნელი წარმოსადგენია. სრული კულტურული და მაქსიმალური პოლიტიკური ავტონომია ერთიანი სახელმწიფოს შიგნით ეთნიკურ უმცირესობებს ხშირად არ აკმაყოფილებთ. სახელმწიფოსთვის კი სეცესიაა სრულიად მიუღებელი. ამდენად, დაპირისპირება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნული უმცირესობების თვითგამორკვევას შორის კვლავ რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ მოვლენად გლობალიზაციის ხანაშიც.

ნაწილი II. გლობალური პრობლემები

თავი 8. ზოგადი სურათი. ეკონომიკური უთანასწორობა. სანედლეულო-ენერგეტიკული პრობლემები

8.1. გლობალური პრობლემების არსი და სახეები

8.1.1. გლობალური პრობლემების ზოგადი ნიშნები

გლობალური პრობლემები თანამედროვე მსოფლიოს, მთელი კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. გლობალიზაციის პროცესისაგან განსხვავებით, რომელიც სულ ახალი მოვლენაა, გლობალური პრობლემები ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის იდგა კაცობრიობის წინაშე, მაგრამ, ბუნებრივია, ჭეშმარიტად გლობალური სახე მან უკანასკნელ ათწლეულებში მიიღო მას შემდეგ, რაც მსოფლიო ერთიან გლობალურ სისტემად იქცა და ყველა მოვლენა და პროცესი ერთმანეთს დაუკავშირდა. კიდევ უფრო აქტუალური გახდა გლობალური პრობლემები გლობალიზაციის ერაში, როცა მთელი კაცობრიობა ერთიან საზოგადოებად გარდაიქმნება და მსოფლიო ერთ „გლობალურ სოფელს“ ემსგავსება.

თვითონ ცნება „გლობალური პრობლემები“ იმაზე მიუთითებს, რომ ლაპარაკია საყოველთაო, ყველა ქვეყნისა და ხალხის საერთო პრობლემებზე, რომლებიც თანაბრად საშიშია ყველასათვის და ვერავინ დაიმშვიდებს თავს, რომ ეს პრობლემები სადღაც სხვაგან ხდება და მას არ ეხება. ჩვენ ყველანი ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ, საერთო გეოგრაფიული გარემო გვაქვს, ერთ რომელიმე ქვეყანაში ატმოსფეროს დაბინძურება სხვაგან გამოიღებს შედეგს, ტყეების გაჩეხა თუ გაუდაბნოება მარტო ერთი ქვეყნისთვის არ იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი და ნავთობის ჩაღვრა რომელიმე ქვეყნის სანაპირო წყლებში მთელ მსოფლიოს გაუჩენს საზრუნავს.

ზემოთ ნათქვამი არ ეხება მხოლოდ ეკოლოგიურ პრობლემებს. არანაკლებ მტკივნეული და საყოველთაოა საზოგადოებრივი პრობლემები: მაგალითად, მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება განვითარებად ქვეყნებში აისახება სასურსათო პრობლემაზე, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში თავს იჩენს იმიგრანტთა რაოდენობის ზრდით. ესა თუ ის ეპიდემია მომენტალურად ვრცელდება სხვა ქვეყნებშიც, ხოლო არც თუ დიდი და მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური კონფლიქტი, როგორც

წესი, საერთაშორისო პრობლემა ხდება ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ტენდენცია: სულ უფრო მეტი პრობლემა, რომელიც, ჩვეულებრივ, შიდა პრობლემად მიიჩნეოდა, გლობალურ ხასიათს იღებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობია გლობალიზაციის ეპოქაში და მომავალში, როგორც ჩანს, კიდევ უფრო აშკარა გახდება.

გლობალური პრობლემების ხასიათიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მათი გადაჭრა და მათთან ბრძოლა მთელი კაცობრიობის, მსოფლიო საზოგადოების ამოცანაა. ცალკეული ქვეყანა ან ქვეყანათა ჯგუფი ამ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ერთიანი ქმედებით და მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი წარმატების მიღწევა.

8.1.2. გლობალური პრობლემების ტიპები და სახეები

გლობალური პრობლემების ცალსახა და ამომწურავი განმარტება საკმაოდ რთულია. ასევე განსხვავებული მოსაზრებებია გლობალური პრობლემების რაოდენობის შესახებ. სხვადასხვა ავტორის მიხედვით, გლობალური პრობლემების რაოდენობა ათიდან ორმოცამდეა. შესაბამისად, ეს პრობლემები გარკვეულ დაჯგუფებას საჭიროებს და, ამ თვალსაზრისითაც, აზრთა სხვადასხვაობა საკმაოდ დიდია.

ყველაზე უფრო ზოგადი მიდგომით, გლობალური პრობლემები შეიძლება დაიყოს ბუნებასთან დაკავშირებულ და საზოგადოებასთან დაკავშირებულ გლობალურ მოვლენებად. მაგრამ, რადგანაც ბუნებასთან დაკავშირებული პრობლემები გლობალურ პრობლემად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, როცა ის საზოგადოებასთან ურთიერთობაში განიხილება, ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, გლობალურ პრობლემათა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოს:

– პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ერთობათა ურთიერთდამოკიდებულებასთან ანუ სისტემასთან ***„საზოგადოება – საზოგადოება“*** (მშვიდობის დაცვის, განიარაღების, ტერორიზმის, ეკონომიკური უთანაბრობის და სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები);

– პრობლემები, რომლებიც უკავშირდება სისტემას ***„ადამიანი – საზოგადოება“*** (განათლების, ჯანდაცვის, კულტურული განვითარების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და სხვა პრობლემები);

– სისტემა ***„ადამიანი – ბუნება“***-სთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებსაც მიეკუთვნება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, სანედლეულო, ენერგეტიკული, კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების და სხვა პრობლემები.

მაგრამ შეიძლება გლობალური პრობლემები სხვაგვარადაც დავაჯგუფოთ და საფუძვლად ავიღოთ პრობლემის ხასიათი. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა გლობალური პრობლემების რამდენიმე ტიპი, ხოლო თითოეულ ტიპში – ცალკეული სახეები.

პოლიტიკური პრობლემები. ამ ტიპში გამოიყოფა გლობალური პრობლემების შემდეგი სახეები: ბირთვული ომის თავიდან აცილება, მშვიდობის შენარჩუნება, განიარაღება, შეიარაღებული კონფლიქტები, ტერორიზმი, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ა.შ. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური პრობლემების ტიპში გაერთიანებულია როგორც ის პრობლემები, რომლებიც საზოგადოებრივ ერთობებს შორის იჩენს თავს, ისე ისინი, რომლებიც „ადამიანი – საზოგადოების“ სისტემას მიეკუთვნება.

ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს მიეკუთვნება სანედლეულო, ენერგეტიკული, სიღარიბის, უმუშევრობის, უბინაობის, ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის, განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კრიმინალური და სხვა სახის გლობალური პრობლემები. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები პრობლემების ყველაზე უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, რომლებიც სამივე სისტემას (საზოგადოება – საზოგადოება, ადამიანი – საზოგადოება, ადამიანი -ბუნება) აერთიანებს.

დემოგრაფიული პრობლემების ძირითადი სახეებია მოსახლეობის უკონტროლო ზრდა განვითარებად სამყაროში, დეპოპულაცია განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, არალეგალური მიგრაცია, მოსახლეობის არათანაბარი ტერიტორიული განაწილება, ურბანიზაციის პრობლემები და ა.შ.

ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური პრობლემები შინაარსობრივად სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს უახლოვდება, მაგრამ, აქტუალობისა და სიმწვავის გამო, მკვლევართა უმრავლესობა მათ ცალკე ტიპად გამოყოფს. ამავე ტიპში შედის კულტურული განვითარებისა და კულტურული იდენტობის დაცვის პრობლემები.

დაბოლოს, გლობალური პრობლემების დიდი ჯგუფი ერთიანდება ***ეკოლოგიური პრობლემების*** ტიპში. ამ ტიპს მიეკუთვნება რაციონალური ბუნებათსარგებლობის, ბუნებრივი რესურსების დაცვის, გლობალური დათბობის, ოზონის ხვრელების, ატმოსფეროს დაბინძურების, შიდა წყლების დაცვის, ზღვის სანაპიროს დაცვის, მსოფლიო ოკეანის, მიწების დეგრადაციის, გაუდაბნოების, ტყეების დაცვის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების შენარჩუნებისა და სხვ.

ყველა აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლები ინტენსივობით არის ერ-

თმანეთთან დაკავშირებული და მათი გადაჭრისათვის ბრძოლაც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ესეც ერთ-ერთი ფაქტორია მათი გლობალურობის დასადასტურებლად.

8.2. საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის

გლობალური პრობლემების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა მხოლოდ მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევით შეიძლება. ვერც ერთი ცალკეული სახელმწიფო ვერ შეძლებს გაუმკლავდეს გლობალური პრობლემების იმ გამოვლინებებს, რომლებიც ქვეყანაში იგრძნობა და უშუალოდ მას აწუხებს. ამიტომ გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სწორედ გლობალური პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართული თანამშრომლობა გამოირჩევა მეტ-ნაკლები ეფექტურობით, რადგან ყველა ქვეყანამ იცის, რომ ამ სფეროში ან ყველა ერთად გაიმარჯვებს, ან ყველა ერთად დამარცხდება. რასაკვირველია, თანამშრომლობა ერთნაირად წარმატებული ვერ იქნება გლობალური პრობლემების ყველა მიმართულებით. არის საკითხები, რომლებზე საუბრის დროსაც საერთო ენის გამონახვა ჭირს (განსაკუთრებით, პოლიტიკურ პრობლემებში); არის საკითხები, რომლებზე საუბრის დროსაც თანხმობა შედარებით ადვილად მიიღწევა (ეკოლოგიური პრობლემები).

8.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალურ პოლიტიკურ, საოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეთნოკულტურულ პრობლემათა გადასაჭრელად

გლობალურ პოლიტიკურ პრობლემებს შორის ყველაზე ძნელად გადასაჭრელი მშვიდობის შენარჩუნებისა და განიარაღების პრობლემაა. მართალია, გლობალური მასშტაბის ომი, უკვე რამდენიმე ათწლეულია, არ ყოფილა, მაგრამ ლოკალური მასშტაბის ომები და შეიარაღებული კონფლიქტები მუდმივად მიმდინარეობს. მიუხედავად მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების არაერთი შეხვედრისა, საერთაშორისო მოლაპარაკებისა, რეზოლუციებისა და დადგენილებებისა, პროგრესი ამ სფეროში უმნიშვნელოა. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ ერთობლივ ღონისძიებათა შესახებაც.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ათწლეულებში საერთაშორისო თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითი შეიძლება დავასახელოთ, როცა

ერთობლივი ქმედებით აღიკვეთა ძალადობა და აგრესია და იძულებითი მშვიდობა დამყარდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ოპერაციები ერაყში 1990-91 წლებში, სომალიში – 1993 წელს, ბოსნია-ჰერცოგოვინაში – 1994-95 წლებში, კოსოვოში – 1999 წელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული აქტების საპასუხოდ ჩატარებული სამხედრო ქმედებები ავღანეთსა და ერაყში, რასაც ამ ქვეყნების ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. იგივე შეიძლება ითქვას 2011-14 წლებში მიმდინარე ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებში დასავლეთის ქვეყნების ერთობლივ ძალისხმევაზეც: კერძოდ, ჰუმანიტარული ინტერვენციის შედეგად, ჩამოიშალა ავტორიტარული რეჟიმები ლიბიაში, ტუნისსა და ეგვიპტეში. მსოფლიოს ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ ერთიანი პოზიცია დაიკავა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული ფართომასშტაბიანი ომის დროსაც, როცა დიდი მოცულობის ფინანსური და სამხედრო დახმარება გაუწია უკრაინას და უმკაცრესი სანქციები დაუწესა რუსეთს.

გლობალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრელად მიმართული საერთაშორისო თანამშრომლობა, ძირითადად, თავს იჩენს განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნების დახმარებაში. ამ ღონისძიების მიზანია, დაიძლიოს განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა, რაც დღევანდელობის ერთ-ერთ მწვავე გლობალურ პრობლემად ითვლება. საკმაოდ ეფექტურია ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც მსოფლიო თანამეგობრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ იმ ქვეყნებში სადაც, შიმშილის, ეპიდემიის ან სტიქიური უბედურების შედეგად, მოსახლეობა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება ხოლმე. ინტენსიურად თანამშრომლობენ ჯანმრთელობის დაცვის და განათლების სფეროშიც, ხოლო გლობალური კრიმინალური პრობლემების (განსაკუთრებით, ნარკობიზნესისა და ტრეფიკინგის) აღმოფხვრა საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე საერთოდ შეუძლებელია.

გლობალური დემოგრაფიული პრობლემების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა შედარებით რთულად ხორციელდება, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ ეს პრობლემები განსხვავებული სახით იჩენს თავს განვითარებულ და განვითარებად სამყაროში. თუ პირველ მათგანში პრობლემა დეპოპულაცია და დემოგრაფიული დაბერებაა, მეორეში მოსახლეობის სწრაფი ზრდა აჩენს უამრავ პრობლემას. განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევენ განვითარებად ქვეყნებს, რათა მათ შეიმუშაონ და განახორციელონ დასაბუთებული დემოგრაფიული პოლიტიკა, მაგრამ

შედეგი ნაკლებად ეფექტურია. ძალზე სერიოზული პრობლემაა არალეგალური მიგრაცია აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ეს პროცესი მრავალ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემასთან ერთად მწვავე ეთნოპოლიტიკურ პრობლემებსაც (ქსენოფობია, ეთნიკური დაპირისპირება) წარმოშობს.

გლობალური ეთნოკულტურული პრობლემები, რომლებიც, ძირითადად, რასიზმით, ეთნიკური ნაციონალიზმითა და რელიგიური შეუწყნარებლობით გამოიხატება, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. სახელმწიფოები ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო), აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რათა რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლინებები აღიკვეთოს და ეთნოკონფლიქტებს თავი დავაღწიოთ. მსოფლიო თანამეგობრობა მხარს უჭერს თითოეული ეთნიკური ჯგუფის ენისა და კულტურის დაცვას. ამ მიზანს ემსახურება 1992 წელს ევროსაბჭოს მიერ მიღებული „რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია“, რომელსაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობა შეუერთდა.

8.2.2.საერთაშორისო თანამშრომლობა ეკოლოგიის სფეროში

საერთაშორისო თანამშრომლობა ეკოლოგიის სფეროში შედარებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. ჩატარდა რამდენიმე სამიტი. მიიღეს დოკუმენტები, რომლებიც ერთობლივი ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებენ და რომლებსაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა შეუერთდა.

პირველი დიდი ფორუმი გარემოს დაცვის საკითხებზე – გაეროს კონფერენცია 1972 წელს ჩატარდა სტოკჰოლმში. ამ კონფერენციაზე პირველად დაისახა ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის ერთობლივი ღონისძიებები და გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები მათ განსახორციელებლად. მომდევნო წლებში ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებამ წარმოშვა მდგრადი განვითარების კონცეფცია, რაც გულისხმობს ეკონომიკურ ზრდას ისეთნაირად, რომ არ გამოიწვიოს რესურსების განადგურება და ეკოლოგიური პრობლემები.

“დედამიწის სამიტი“ (რიო დე ჟანეიროს 1992 წლის კონფერენცია) იყო ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი შეხვედრა, რომელშიც 172 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას (მათ შორის, 108 წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს მეთაურის ან მთავრობის თავმჯდომარის დონეზე).

რიოს სამიტზე მიღებული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

აჯენდა 21 – 400 გვერდიანი პროგრამული დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს იმ კონკრეტულ მოქმედებებს, რაც მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. აქ ცალცალკეა განხილული საქალაქო განვითარების, ტყეების დაცვის, ბიოტექნოლოგიური მენეჯმენტის, მთიანი ეკოსისტემებისა და სხვა მრავალი პრობლემის მოგვარების პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადგილობრივი ხელისუფლების, პროფკავშირების, ბიზნესის, ინდუსტრიის, მეცნიერების, ქალების, მკვიდრი მოსახლეობისა და სხვა ფაქტორების როლს მდგრადი განვითარების განხორციელებაში. მდგრადი განვითარების სპეციალური კომისია დაფუძნდა, როგორც გაეროს სისტემის ნაწილი, და უდავოდ ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაციაა მსოფლიოს მასშტაბით.

კლიმატური ცვლილებების ჩარჩო კონვენცია ხელმოწერილია 153 სახელმწიფოს მიერ. ადგენს იმ პრინციპებს, მიზნებს, ინსტიტუციებსა და პროცედურებს, რომლებიც მომავალში უნდა განვითარდეს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი გლობალური დათბობისა და სათბურის ეფექტის შედეგების განეიტრალებას და ამ პროცესის შეწყვეტას.

კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ. ხელი მოაწერა 155-მა ქვეყანამ. მიზნად ისახავს შეინარჩუნოს დედამიწის ბიომრავალფეროვნება, სახეობების, ეკოსისტემებისა და ლადშაფტების დაცვის გზით და შექმნას პირობები გენეტიკური რესურსებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენებისათვის.

ტყეების პრინციპი. აცხადებს ტყის დაცვის პრინციპებს და მენეჯმენტს და ხაზს უსვამს, რომ ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება საკუთარ ტერიტორიაზე ტყეების ექსპლუატაციისა.

კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. აღნიშნავს კოორდინირებული საერთაშორისო ქმედებების მნიშვნელობას არიდულ, სემი-არიდულ და მშრალ სუბჰუმიდურ არეალებში, რაც ხელს შეუშლიდა გაუდაბნოების პროცესის შემდგომ გავრცელებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ მიწისფლობელთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა, ხელისუფლების, საერთაშორისო დონორების ერთობლივ მუშაობას.

დედამიწის სამიტი 2002 (იოჰანესბურგი) გაიმართა რიოს სამიტის ათი წლის თავზე. მიიღეს მდგრადი განვითარების დეკლარაცია და დასახეს ეკოლოგიის სფეროში ერთობლივი თანამშრომლობის ახალი ღონისძიებები.

კიოტოს ოქმი 1997. კლიმატური ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში დადებული დამატებითი შეთანხმება, რომელიც თითოეულ ქვეყანას სათბურის აირის ატმოსფეროში გაფრქვევის ზღვრულ კვოტას (ლიმიტს) უწესებს, ხოლო მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ შეამცირონ გამონაბოლქვის მოცულობა. კიოტოს ოქმს მსოფლიოს

თითქმის ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი, თუმცა აშშ-ს არ მოუხდენია მისი რატიფიცირება, ხოლო კანადა 2011 წელს გამოეყო ამ ოქმის ხელმომწერ სახელმწიფოებს.

8.3. ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემები

8.3.1 განვითარებადი ქვეყნები: ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის პრობლემა

თანამედროვე გლობალურ პრობლემებს შორის **განვითარებადი ქვეყნების** ეკონომიკური ჩამორჩენილობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და ძნელად დასაძლევია. ეს პრობლემა გლობალურია არა მარტო იმიტომ, რომ იგი უშუალოდ ეხება მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობას და დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, არამედ იმიტომაც, რომ სერიოზულ სიძნელეებს უქმნის დანარჩენ მსოფლიოსაც.

განვითარებადი ქვეყნების ცნებაში შედის 150-მდე ქვეყანა (ანუ მსოფლიოს სახელმწიფოების საერთო რაოდენობის 3/4-ზე მეტი). მათი აბსოლუტური უმრავლესობა წარსულში კოლონიები იყო, რაც მათი ჩამორჩენის და ცალმხრივი განვითარების ერთ-ერთი მიზეზია. თუმცა ამავე კატეგორიას მიეკუთვნება აზიისა და აფრიკის ის ქვეყნებიც, რომლებიც კოლონიები არ ყოფილა, მაგრამ ეკონომიკური განვითარების დონით არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) ჩამორჩენილები არიან, ვიდრე – ყოფილი კოლონიები. განვითარებადი ქვეყნების სინონიმად ხშირად გამოიყენება ტერმინი **„მესამე სამყარო“**, რომელიც „ცივი ომის“ პერიოდში წარმოიშვა და მსოფლიოს ქვეყნების სამ სამყაროდ დაყოფას ეყრდნობოდა: პირველი სამყარო – განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები; მეორე სამყარო – სოციალისტური ქვეყნები და მესამე სამყარო – ყველა დანარჩენი ქვეყანა. სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ მსოფლიოს დაყოფამ სამ სამყაროდ აზრი დაკარგა, მაგრამ ტერმინი „მესამე სამყარო“ შენარჩუნდა და რამდენადმე გაფართოვდა კიდეც, რადგან „მესამე სამყაროს“ წარმომადგენლად მოიაზრება ყოფილი სოციალისტური სამყაროს ცალკეული ქვეყნები და რამდენიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა.

მსოფლიოს ქვეყნების კიდევ ერთი კლასიფიკაციით, არსებობს **ბირთვის, პერიფერიული და ნახევრადპერიფერიული** ქვეყნებ. ბირთვს მიაკუთვნებენ განვითარებულ ანუ პირველი სამყაროს ქვეყნებს, აგრეთვე – ზოგ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანას, პერიფერიას კი – განვითარებად (მესამე სამყაროს) ქვეყნებს. ნახევრად პერიფერიად მიაჩნიათ ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც თავიანთი განვითარე-

ბის დონით და ერთ სულზე ერთობლივი შიდა პროდუქტის წარმოებით საგრძნობლად დაწინაურდნენ და თითქმის დაეწივნენ განვითარებულ ქვეყნებს (ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები და ნავთობმომპოვებელი არაბული სახელმწიფოები). ამავე ჯგუფშია პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილი. სავარაუდოა, რომ მათი ნაწილი ბირთვის კატეგორიაში გადაინაცვლებს, უმრავლესობა კი პერიფერიულ ქვეყნებს შეემატება.

ბოლო წლებში განვითარებადი (იმავე მესამე სამყაროს ან პერიფერიის) ქვეყნების აღსანიშნავად სულ უფრო ხშირად იყენებენ ტერმინს **„გლობალური სამხრეთი“**. ამით ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ტროპიკულ და ეკვატორულ სარტყლებში მდებარეობს, განსხვავებით განვითარებული (ბირთვის ანუ პირველი სამყაროს) ქვეყნებისა, რომლებიც, ძირითადად, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყლებში მდებარეობს და მათი ერთობლიობა **„გლობალური ჩრდილოეთის“** სახელითაა ცნობილი.

8.3.2. განვითარებადი ქვეყნების პოტენციალი და ეკონომიკური მდგომარეობა

განვითარებად ქვეყნებს უკავიათ მსოფლიოს ხმელეთის 2/3 და აქ ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი. მაგრამ მათ წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული ერთობლივი პროდუქტის 25%-ზე ნაკლები. კიდევ უფრო დიდი სხვაობაა ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით. ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 15-20-ჯერ მეტია, ვიდრე – განვითარებადში, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ განვითარებად ქვეყნებში (მაგ., ნავთობით მდიდარ პატარა სახელმწიფოებში) ერთ სულზე მშპ ძალიან მაღალია.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობა ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების თავისებურებებით არის გამოწვეული. ამასთან, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით განვითარებადი ქვეყნები ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არიან, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებშია თავმოყრილი მსოფლიო ნავთობის მარაგის 90%-სა და ბუნებრივი გაზის 70%-ზე მეტი, ფერადი ლითონების 70%-ზე, შავი ლითონების 60%-ზე და ქიმიური ნედლეულის 2/3-ზე მეტი. განვითარებული ქვეყნები მხოლოდ ნახშირის მარაგით ჭარბობენ საგრძნობლად განვითარებად ქვეყნებს. რაც შეეხება აღდგენად ბუნებრივ რესურსებს: ამ თვალსაზრისით, განვითარებადი სამყაროს უპირატესობა საგრძნო-

ბია: კერძოდ, მის წილად მოდის მიწის და წყლის რესურსების, დაახლოებით, 60% და ტყის რესურსების ნახევარზე მეტი (მათ შორის, თითქმის მთელი ტროპიკული და ეკვატორული ტყეები, ძვირფასმერქნიანი ხის მრავალი სახეობით). უკეთესია აგროკლიმატური რესურსებიც.

განვითარებადი ქვეყნები ნაკლებად იყენებენ ამ უპირატესობას, ხოლო ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური ათვისება ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. ძალიან ხშირია მტაცებლური ექსპლუატაციის ფაქტები, რის გამოც არაერთი საბადო გამოსულია მწყობრიდან, მიწები დეგრადირდება, მიმდინარეობს გაუდაბნოების პროცესი, მნიშვნელოვნად შემცირდა ტყეების ფართობი და ა.შ.

აღნიშნული მდგომარეობა მტკივნეულად აისახება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. ეს ქვეყნები მსოფლიო მეურნეობაში, ძირითადად, ნედლეულის მწარმოებლებად და ექსპორტიორებად გვევლინებიან. შესაბამისად, ნედლეულის გამოლევა ან ხარისხის გაუარესება უკვე თავისთავად ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს ასეთ ქვეყნებზე. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის ფასის მუდმივი ცვლა ძალზე არასტაბილურს ხდის ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს. როგორც წესი, მზა პროდუქციის (რომლის მწარმოებლებიც, ძირითადად, განვითარებული ქვეყნები არიან) ფასი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე – ნედლეულზე. ეს კი ზრდის და აღრმავებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკურ დისპროპორციას.

განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზი მათი კულტურული ჩამორჩენილობა, შრომის დაბალი კულტურა და ტრადიციული, კონსერვატორული ღირებულებებია, რაც ძნელად ექვემდებარება მოდერნიზაციას. შესაბამისად, სიღარიბის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძიონ და მდგომარეობიდან გამოსავალიც თვითგარდაქმნა და ეკონომიკის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებაა.

განვითარებად ქვეყნებში ამ თვალსაზრისს ნაკლებად იზიარებენ და მთავარ დამნაშავედ მსოფლიო მეურნეობის ლიბერალიზაციას და დასავლეთის ქვეყნებს მიიჩნევენ, რადგან, მათი აზრით, საერთაშორისო ეკონომიკის ხასიათი საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, ექსპლუატაცია გაუწიონ განვითარებად სამყაროს. ამიტომ აუცილებელია დამყარდეს ახალი ეკონომიკური წესრიგი, სადაც განვითარებად ქვეყნებს შეღავათს მისცემენ, ხოლო განვითარებული ქვეყნები ვალდებულნი იქნებიან, დაეხმარონ ჩამორჩენილ სახელმწიფოებს.

ფაქტია, რომ ძირითად ეკონომიკურ პარამეტრებში არსებული უზარმაზარი სხვაობა განვითარებად და განვითარებულ სამყაროებს შორის

უაღრესად სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომელიც „ჩრდილოეთი – სამხრეთის“ დაპირისპირების სახელითაა ცნობილი.

8.3.3.დაპირისპირება „ჩრდილოეთი – სამხრეთი“

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, როცა „დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ ანუ კაპიტალისტური და სოციალისტური სამყაროების მწვავე ანტაგონიზმს ბოლო მოეღო, ბევრმა ჩათვალა, რომ გლობალური დაპირისპირების საფრთხე მსოფლიოს აღარასოდეს დაემუქრებოდა. მაგრამ უკვე მაშინვე ცხადი იყო, რომ ცივი ომის დამთავრება ბიპოლარიზმის მოსპობას არ ნიშნავდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ დაპირისპირების ძველი პოლუსები (დასავლეთი – აღმოსავლეთი) მხოლოდ შეიცვალა ახალი პოლუსებით: „ჩრდილოეთითა“ და „სამხრეთით“ ანუ განვითარებული და განვითარებადი სამყაროთი.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებას ჩვენ მოკლედ შევეხეთ მეოთხე თავში, როცა მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციაზე ვსაუბრობდით. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ამ ფენომენზე, როგორც გლობალურ პრობლემაზე, ანუ იმ გამოწვევაზე, რასაც ზოგჯერ გლობალური სამხრეთის პრობლემას უწოდებენ, ამ პრობლემის მთავარი მიზეზი კი სამხრეთის ანუ განვითარებადი ქვეყნების უმწვავესი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებია. სწორედ ამიტომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ანტაგონიზმის საფუძველი ეკონომიკური მიზეზებია და არა – მსოფლმხედველობრივი განსხვავება, რაც დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებას ახასიათებდა.

მთავარ პრობლემას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარება წარმოადგენს. ბევრი მეცნიერი (განსაკუთრებით, ნეომარქსისტები) ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთი სულ უფრო მდიდრდება, ხოლო სამხრეთი უფრო ღარიბდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სამხრეთი მსოფლიო ბაზარზე, ძირითადად, ნედლეულის მიმწოდებელია, ხოლო ჩრდილოეთი – მზა პროდუქციის. ფასები მზა პროდუქტებზე უფრო იმატებს, ვიდრე – ნედლეულზე. ამიტომ განსხვავება ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის უფრო მკვეთრდება. აქ ლაპარაკია არა სიმდიდრის აბსოლუტურ მაჩვენებლებზე, რომელიც პრაქტიკულად ყველგან იზრდება, არამედ – შეფარდებით სიდიდეზე. განვითარებად ქვეყნებს უფრო მეტი ნედლეულის გაყიდვა სჭირდებათ იმავე რაოდენობის მზა პროდუქცია შესაძენად, რასაც ადრე იძენდნენ.

გლობალიზაციამ გარკვეული დადებითი ტენდენციებიც წარმოაჩინა: კერძოდ, ფაქტია, რომ გლობალურ ვაჭრობაში განვითარებადი ქვეყნების წილი იზრდება. მშპ-ის ზრდის საშუალო მაჩვენებელიც განვითარე-

ბადი ქვეყნებისთვის უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბოლო ათწლეულებში გლობალური სამხრეთის მთელმა რიგმა ქვეყნებმა დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკური (განსაკუთრებით, სამრეწველო) ზრდის ტემპებით და ახლა უკვე შეუსაბამოა მათი მოხსენიება განვითარებადი ქვეყნების სახელით. ამ ქვეყნების (სამხრეთი კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონგკონგი) დღევანდელი სახელწოდება „ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები“ კარგად გამოხატავს იმ სტრუქტურულ ცვლილებებს, ამ ქვეყნების ეკონომიკამ რომ განიცადა. ასევე, სწრაფად მზარდი ინდუსტრიის ქვეყნებს განეკუთვნება ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთი აფრიკა, თურქეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ხოლო ჩინეთს უკვე აღარავინ მიიჩნევს მესამე სამყაროს განვითარებად ქვეყნად.

მიუხედავად ამ ცალკეული წარმატებებისა, გლობალური სამხრეთის უდიდესი ნაწილი განიცდის უმძიმეს კრიზისს. უკიდურესი სიღარიბე, უმუშევრობა, შიმშილი, უწიგნურობა, სამედიცინო მომსახურების არარსებობა, ანტისანიტარია, კრიმინალი, არასტაბილურობა და კონფლიქტები კატასტროფულ მდგომარეობაში აგდებს მოსახლეობას. ისედაც გაუსაძლის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს მოსალეობის უკონტროლო ზრდა და გამწვავებული ეკოლოგიური პრობლემები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომლებიც, გაეროს კლასიფიკაციით, უღატაკესი ქვეყნების კატეგორიას შეადგენს (სულ 40 სახელმწიფო, მათგან 28 – ტროპიკულ აფრიკაში). მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ აფრიკაში და, საერთოდ, განვითარებადი სამყაროს დიდ ნაწილში აუტანელი გაჭირვება უბიძგებს მილიონობით ადამიანს, არალეგალური მიგრაციის გზით ხსნა მდიდარ ჩრდილოეთში ეძებონ, რაც უკიდურესად ძაბავს მდგომარეობას. მომავალი კიდევ უფრო პესიმისტურია: ადრე თუ გვიან განვითარებადი სამყაროს მშიერი მასა მასობრივად მიაწყდება იმ სამყაროს, სადაც სიმდიდრე და განცხრომაა, ეს კი უცილობლად გამოიწვევს ჩრდილოეთისა და სამხრეთის შეჯახებას, რაც გლობალური კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ბევრი მეცნიერი არ იზიარებს ასეთ უიმედო პროგნოზს, მაგრამ ის, რომ დაპირისპირება – „ჩრდილოეთი – სამხრეთი“ თანამედროვეობის გლობალური პრობლემაა, საეჭვო არ არის. ცხადია, მსოფლიოს მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, შესუსტდება თუ არა არსებული წინააღმდეგობა და რამდენად უმტკივნეულოდ მოგვარდება ეს პრობლემა.

8.4. სანედლეულო და ენერგეტიკული პრობლემები

8.4.1. სანედლეულო პრობლემების ზოგადი ნიშნები

თანამედროვეობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა კაცობრიობის მაქსიმალური უზრუნველყოფა ნედლეულით. ეს პრობლემა ყოველთვის იდგა, მაგრამ გლობალური მნიშვნელობა მან უკანასკნელ ათწლეულებში შეიძინა, როცა მოსახლეობის რაოდენობისა და წარმოების მოცულობის უპრეცედენტო ზრდამ მწვავედ გამოკვეთა სანედლეულო პრობლემა.

გლობალური სანედლეულო პრობლემების წარმოქმნა დაკავშირებულია ნედლეულზე (როგორც ენერგეტიკულ, ისე ლითონურ და არალითონურ წიაღისეულზე) მოთხოვნილების ძალიან სწრაფ, ხშირ შემთხვევაში – სტიქიურ ზრდასთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში მოიპოვეს და გამოიყენეს უფრო მეტი წიაღისეული, ვიდრე კაცობრიობის მთელი მანამდელი ისტორიის განმავლობაში. ამასთანავე, მოთხოვნილებების ზრდას შეუქცევადი ხასიათი აქვს, ნედლეულის მარაგი კი განუხრელად მცირდება, რაც მომავალში კაცობრიობას გადაუჭრელი დილემის წინაშე აყენებს.

ბოლო ათწლეულებში მიმდინარე სანედლეულო კრიზისმა ყველას დაანახა, რომ შეუძლებელია ნედლეულის მოხმარების ზრდა ასეთი ტემპებით გაგრძელდეს და რაღაც გამოსავლის მონახვა აუცილებელია. ნედლეულის მოხმარების მექანიკურად შემცირება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი სხვა, ხელოვნურად შექმნილი, მასალით უნდა შეიცვალოს. მართალია, ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ ჯერჯერობით ბუნებრივი ნედლეული რჩება წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების ძირითად რესურსად. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგ განვითარებულ ქვეყანაში მართლაც შეიმჩნევა ცალკეული სახეობის ნედლეულის მოთხოვნილების შემცირება. სამაგიეროდ, იმავე ნედლეულზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდება იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც მრეწველობის სხვადასხვა დარგი ინტენსიურად ვითარდება ხდება (ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგი ქვეყანა), ეს კი მდგომარეობას უფრო ამწვავებს, რადგან ამ ქვეყნების მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში ნედლეულის მოხმარების ზრდის ტემპები შეუზღუდავად იზრდება.

სანედლეულო კრიზისს ამწვავებს ისიც, რომ ნედლეულის მარაგის შემცირების პარალელურად უარესდება საბადოების სამთო-გეოლოგიური პირობები და, შესაბამისად, ძვირდება მოპოვება. პირველ რიგში ეს ეხება ძველ სამრეწველო რაიონებს, სადაც შახტების, მაღაროების

თუ ჭაბურღილების სიღრმე მუდმივად იზრდება. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის ნედლეულის თვითღირებულებას. ახალი საბადოების ათვისება, რომლებიც გაცილებით უკეთესი სამთო-გეოლოგიური პირობებით ხასიათდება, ერთგვარ კომპენსაციას ახდენს და ამცირებს ფასს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალი საბადოების ექსპლუატაციის დაწყება უზარმაზარ ხარჯს უკავშირდება.

ამას გარდა, მოპოვებითი მრეწველობა დაკავშირებულია მრავალ ეკოლოგიურ პრობლემასთან. ნედლეულის ღია წესით მოპოვება ამცირებს თვითღირებულებას, მაგრამ იწვევს მიწების დეგრადაციას და მწყობრიდან გამოსვლას. მნიშვნელოვანი პრობლემაა ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებაც. უკანასკნელ წლებში სულ უფრო ერიდებიან გოგირდის მაღალი შემცველობის ნავთობისა და ნახშირის გამოყენებას, ხოლო ზოგმა ქვეყანამ (სადაც ე.წ. მჟავე წვიმების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს), საერთოდ აკრძალა ასეთი ნედლეულის მოხმარება. ყოველივე ეს ახალ სიძნელეებს აჩენს ნედლეულით უზრუნველყოფაში.

8.4.2. სანედლეულო პრობლემების გადაჭრის გზები

როგორია გლობალური სანედლეულო პრობლემების გადაჭრის გზები?

ერთ-ერთი საშუალებაა ექსტენსიური გზა ანუ ნედლეულის ახალი ბუნებრივი წყაროების მოძიება და ათვისება. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შესაძლებელია შედარებით ღარიბი საბადოების ათვისება და ექსპლუატაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ნედლეულით უზრუნველყოფის მოცულობას. ნედლეულის მრავალი სახეობის აღმოჩენილი და დაზვერილი მარაგის ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჭარბობს მისი მოპოვებისა და გამოყენების მაჩვენებელს. კერძოდ, XX საუკუნის მეორე ნახევარში ბოქსიტების დაზვერილი მარაგის საერთო მოცულობა გაიზარდა 36-ჯერ, მოპოვება კი 10-ჯერ, სპილენძისა კი, შესაბამისად, 7-ჯერ და 3-ჯერ. დაახლოებით, ასეთივე სურათია ფოსფორიტების, კალიუმის მარილების და მთელი რიგი სხვა არამადნეული ნედლეულთან დაკავშირებითაც. თვით ნავთობის (ყველაზე უფრო დეფიციტური ნედლეულის) დაზვერილი მარაგი 80-90-იან წლებში უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე – მისი მოპოვება, რამაც კაცობრიობის ნავთობით უზრუნველყოფის ხანგრძლიობა 50 წლამდე გაზარდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაზვერილი მარაგი სავარაუდო მარაგის მხოლოდ მცირე ნაწილია, ეს კი საშუალებას

გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნედლეულით უზრუნველყოფის პრობლემა არც ისე კატასტროფულია. მაგრამ ცხადია, რომ სანედლეულო მარაგი ულევი არ არის და ადრე თუ გვიან ეს პრობლემა მაინც დადგება.

ახალი საბადოების აღმოჩენა და ამ გზით ნედლეულის მარაგის ზრდა დღესაც რჩება პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად, მაგრამ 70-იანი წლების სანედლეულო-ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ მთავარი ყურადღება დაეთმო მეორე გზას, რომელიც გულისხმობს ნედლეულის უფრო რაციონალურ და ეკონომიურ გამოყენებას.

იაფი ნედლეულის ეპოქაში მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ჩამოყალიბდა ე.წ. ნედლეულტევადი ეკონომიკა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება მინერალური ნედლეულით მდიდარ სახელმწიფოებს აშშ-ს, კანადას, ავსტრალიას, ჩინეთს და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირს. საბჭოთა კავშირში მთლიანი შიდა პროდუქტის ერთეულზე იხარჯებოდა გაცილებით მეტი ნედლეული (პირობითი საწვავი), ვიდრე – აშშ-ში. დაახლოებით, ასეთივე განსხვავება იყო ევროპის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ნედლეულის (განსაკუთრებით, საწვავის) დეფიციტმა და გაძვირებამ აუცილებელი გახადა ნედლეულმომჭირნე ეკონომიკაზე გადასვლა. ეს შეეხო მეურნეობის ყველა დარგს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი) და საყოფაცხოვრებო სექტორს. აუცილებელი გახდა არა მარტო ახალი, ნაკლებად ნედლეულტევადი და ენერგოტევადი ტექნოლოგიების დანერგვა, არამედ ძირეული ცვლილებები მეურნეობის სტრუქტურაში. მდგრადი განვითარების მთავარი პირობა გახდა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ნედლეულსა და ენერგიაზე დანახარჯის შემცირების პირობებში.

ნედლეულის დაზოგვასა და რაციონალურად გამოყენებაში აშკარა წარმატებებს მიაღწიეს დასავლეთის განვითარებულმა სახელმწიფოებმა. ბოლო სამ ათწლეულში მათი მთლიანი შიდა პროდუქტის ერთეულზე დახარჯული ნედლეულის მოცულობა 1/3-ით შემცირდა, ხოლო ამ ქვეყნების წილი სათბობისა და ენერგიის მსოფლიო მოხმარებაში 60%-დან 47%-მდე ჩამოვიდა. საგრძნობლად შემცირდა როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მოხმარება ისეთ რესურსებზე, როგორებიცაა შავი და ფერადი ლითონები, ქიმიური ნედლეული და სხვა არალითონური წიაღისეული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების ნედლეულტევადობა დიდ, რესურსებით მდიდარ ქვეყნებში (აშშ, კანადა, ავსტრალია) გაცილებით ნაკლებად შემცირდა, ვიდრე პატარა, ნედლეულითა და ენერგიის წყაროებით ღარიბ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონია, სადაც მშპ გაორმაგდა ნედლეულისა და ენერგიის მოხმარების სულ 10%-იანი ზრდის პირობებში. სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ყოფილ სოციალისტურ და

განვითარებად ქვეყნებში, რომელთა წილიც ნედლეულისა და ენერგიის მსოფლიო მოხმარებაში მუდმივად იზრდება და უკვე მიაღწია 50%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველად ისტორიაში განვითარებულ ქვეყნებზე მოდის ნედლეულისა და ენერგიის მსოფლიო მოხმარების ნახევარზე ნაკლები და მათი წილი მომავალშიც განუხრელად შემცირდება.

8.4.3. სანედლეულო პრობლემა: მომავლის პერსპექტივა

მოხმარების არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ნედლეულზე მოთხოვნილების სტაბილიზაციას ან შემცირებას განვითარებულ ქვეყნებში და მნიშვნელოვან ზრდას განვითარებად სამყაროში, სავარაუდოა, ზოგი წიაღისეული სიმდიდრის არსებული მარაგი უახლოეს ხანში ამოიწუროს: კერძოდ, კალის მადნის არსებული მარაგი კაცობრიობას ეყოფა მხოლოდ 2030 წლამდე, 2040 წლისთვის ამოიწურება ვოლფრამის, ვერცხლისწყლის, სურმის, ტყვიის და თუთიის მარაგი, 2050 წლისთვის – კობალტის, მოლიბდენის, სპილენძის და ნიკელის, 2070 წლისთვის – ალუმინის (ბოქსიტების) და რკინის, ხოლო 2090 წლისთვის – მარგანეცის მარაგი. მართალია, ლითონური ნედლეული შეიძლება არაერთჯერადად გამოიყენონ (ჯართის გადამუშავება), რაც საგრძნობლად ზრდის ლითონის ნედლეულის გამოყენების ვადას, მაგრამ, საბოლოოდ, სხვა, შემცვლელი მასალების დანერგვა გარდაუვალია.

შედარებით უკეთესი მდგომრეობაა ქიმიური და სხვა არალითონური წიაღისეულით უზრუნველყოფის კუთხით. ფოსფორიტების, აპატიტების, კალიუმის მარილების, გოგირდის და საშენი მასალის მარაგის გამოლევის საფრთხე XXI საუკუნეში არ დგას. მაგრამ, ლითონისაგან განსხვავებით, ამ ნედლეულის უმრავლესობის ხელმეორედ გამოყენება შეუძლებელია. ამდენად, არც მათი მოხმარების პერიოდია უსასრულო და ადრე თუ გვიან ეს პრობლემაც დადგება.

განსაკუთრებით რთული ვითარებაა სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ნახშირი) თვალსაზრისით. ისინი გამოლევად და აღუდგენად, ერთჯერადი გამოყენების რესურსებს მიეკუთვნებიან. მათი მოხმარების მოცულობის ტემპი სწრაფად იზრდება, ხოლო მარაგი, მიუხედავად ახალი საბადოების აღმოჩენისა, შეზღუდულია და 50-60 წლით განისაზღვრება (ნახშირის გარდა, რომლის გამოლევაც შორეული პერსპექტივაა). სწორედ ამიტომ სათბობ-ენერგეტიკული რესურსით უზრუნველყოფა კაცობრიობის უმთავრესი სანედლეულო პრობლემაა. განსაკუთრებული სიმწვავისა და მნიშვნელობის გამო, ენერგეტიკულ პრობლემებს ცალკე გამოყოფენ ხოლმე და უმთავრესი გლობალური პრობლემების რიცხვს მიაკუთვნებენ.

8.4.4. ენერგეტიკული პრობლემები

ენერგეტიკულ პრობლემებს განასახიერებს ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა. კაცობრიობის მთელი ისტორია და საზოგადოების მატერიალური კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ენერგიის წყაროების ათვისებასთან, ხოლო ეკონომიკური განვითარების დონე და მოსახლეობის კეთილდღეობა, მნიშვნელოვანწილად, განისაზღვრება ენერგეტიკული ბაზის მდგომარეობით და მისი სრულყოფილების ხარისხით.

მიუხედავად წარსულში ენერგიის გამოყენების სწრაფი ზრდისა, XX საუკუნის 70-იან წლებამდე ენერგეტიკის განვითარება რამდენადმე სერიოზულ პრობლემებს არ წაწყდომია. ენერგიის წარმოების ზრდა უზრუნველყო იაფი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების ზრდისა და ახალი საბადოების ათვისებამ. საკმაოდ ადვილი და იაფი იყო მათი ტრანსპორტირებაც. ყოველივე ამის შედეგად, ნავთობი და ბუნებრივი გაზი იქცა ენერგიის ძირითად წყაროდ. მათმა ხვედრითმა წილმა 70-იანი წლების მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში 60%-ს გადააჭარბა მაშინ, როცა 50-იან წლებში 40%-ზე ნაკლები იყო. შესაბამისად, შემცირდა ენერგიის სხვა წყაროების როლი, ხოლო სახელმწიფოთა დიდი ნაწილის ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის იმპორტზე. ამას გარდა, იაფი ენერგიის ეპოქამ შექმნა წარმოების და მოსახლეობის თავისებური სტრუქტურა და განლაგება, რომელიც ძალიან ინერციულია და რომლის შეცვლასაც ათეული წლები სჭირდება.

ენერგორესურსების მოთხოვნილების უპრეცედენტო ზრდამ და მათი გამოყენების უზარმაზარმა მასშტაბებმა აშკარა გახადა, რომ კაცობრიობა სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ენერგორესურსების მარაგი ულევი არ არის და დიდი ძალისხმევაა საჭირო შექმნილი სიტუაციიდან გამოსასვლელად. .

ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ მდგომარეობა კატასტროფულია. კაცობრიობას ენერგეტიკული შიმშილი ჯერჯერობით არ ემუქრება, მაგრამ ის, რომ იაფი ენერგიის წყაროს (ნავთობისა და ბუნებრივი გაზის) ეპოქა საბოლოოდ დამთავრდა, აღარავისთვისაა საეჭვო.

ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა, ერთი მხრივ, ნავთობისა და გაზის ძნელადმისადგომი და ძვირადღირებული საბადოების ათვისება (რომელთა დამუშავებაც ადრე არარენტაბელურად ითვლებოდა), მეორე მხრივ კი – ენერგიის ძველი წყაროებისადმი მიბრუნება (ნახშირი, საწვავი ფიქლები, ტორფი) ან ახალი რესურსების გამოძებნა (მათ შორის, საკმაოდ ძვირი და კაპიტალტევადი ბირთვული ენერგიისა). ამან ენერგორესურსების ფასი ძალიან

გაზარდა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას (პირველ ყოვლისა, ქვეყნებს, რომლებიც ენერგორესურსების იმპორტს აწარმოებენ).

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ შემდგომი 50-60 წლის განმავლობაში აუცილებელია ძირეული ცვლილებები მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში. ამჟამად კაცობრიობა შევიდა ე.წ. „გარდამავალ“ პერიოდში, რაც გულისხმობს ამოწურვად, ორგანული სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულიდან ენერგიის ამოუწურავ (მზის, ქარის, მოქცევის, გეოთერმულ, წყლის) რესურსებზე გადასვლას. ეს ძალიან რთული და ძვირადღირებული ამოცანაა. წარმოუდგენელ სიძნელეებს უკავშირდება მრავალ დარგში (მაგ., ტრანსპორტში) ნავთობპროდუქტების შეცვლა ენერგიის სხვა წყაროთი, რომელსაც ისეთივე სიმძლავრე და ეფექტი ექნება, როგორც, მაგალითად, ბენზინს ან საავიაციო ნავთს. მაგრამ ადრე თუ გვიან ეს უნდა მოხდეს, რადგან, გარდა იმისა, რომ ორგანული სათბობი რესურსების მარაგი შეზღუდულია, ამ ნედლეულის არსებული მასშტაბით გამოყენებამ უკვე მოიტანა მძიმე ეკოლოგიური შედეგები. ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებასთან ერთად განსაკუთრებულ განგაშს იწვევს გლობალური დათბობის პრობლემა, რაც კატასტროფით ემუქრება დედამიწას და რისი მიზეზიც ორგანული სათბობის წვის შედეგად გამოყოფილი გაზის მიერ ჰაერის საშუალო ტემპერატურის აწევაა. ყოველივე ეს გარდაუვალს ხდის არსებით ცვლილებებს სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსსა და ენერგიის წყაროების გამოყენების სტრუქტურაში.

8.4.5. აღუდგენელი ენერგეტიკული რესურსების პრობლემა

ნახშირი. ნახშირის მთლიანი გეოლოგიური მარაგი, დაახლოებით, 10 ტრილიონ ტონა ***პირობით საწვავს*** შეადგენს. მათგან, დაახლოებით, 60% ქვანახშირზე მოდის. მარაგის თითქმის 95% ჩრდილოეთ ნახევარსფეროშია განლაგებული. სამ ქვეყანაზე, რუსეთზე, ჩინეთსა და აშშ-ზე, მოდის ნახშირის საერთო მარაგის 80%. ნახშირის დიდი რესურსებით გამოირჩევიან აგრეთვე გერმანია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, უკრაინა, ყაზახეთი და კანადა.

ნახშირის უზარმაზარი მარაგი და ამ ნედლეულით მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება იმას განაპირობებს, რომ დადასტურებული დაზვერილი მარაგის ხვედრითი წილი მთელ გეოლოგიურ მარაგში საკმაოდ მცირეა (დაახლოებით, 7% ანუ 700 მილიარდი ტონა), მაგრამ, მოხმარების დღევანდელი დონისა და მომავლის ტენდენციების გათვალისწინებით, მარტო ეს მარაგიც კი კაცობრიობას 200 წელზე მეტ ხანს ეყოფა.

უკანასკნელ ხანს ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე ფასების მკვეთრმა მატებამ ნახშირის როლი და მნიშვნელობა გაზარდა. მოიმატა ნახშირის დაზვერილი მარაგის მოცულობამაც, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ნახშირის წილი ორგანულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებში საგრძნობლად გაიზრდება.

ნავთობი. ნავთობის მარაგი ორ ძირითად კატეგორიად იყოფა. პირველ მათგანს მიეკუთვნება ტრადიციული ანუ ხმელეთსა და ზღვის შელფზე (200 მ სიღრმემდე) არსებული ნავთობის საბადოები, რომელთა დამუშავებაც რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ უკავშირდება, მეორე კატეგორია კი გულისხმობს მძიმე ნავთობს, დიდ სიღრმეზე არსებულ საბადოებს, საწვავ ფიქლებსა და ბიტუმიზირებულ ქვიშებში არსებულ ნავთობს, რომელთა მოპოვებაც დიდ ხარჯს და რთულ ტექნოლოგიებს უკავშირდება.

თანამედროვე შეფასებებით, მსოფლიოში არსებული ნავთობის ის მარაგი, რომლის ამოღებაც ტექნიკურად შესაძლებელია, დაახლოებით, 850 მილიარდ ტონას უდრის. აქედან, დაახლოებით, 40% ტრადიციული ნავთობის კატეგორიას მიეკუთვნება. დადასტურებული დაზვერილი მარაგის საერთო მოცულობა 135 მილიარდ ტონას აღწევს, ნავთობის წლიური მსოფლიო მოპოვება კი 4 მილიარდ ტონას აჭარბებს. მარაგის თითქმის 2/3 ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე მოდის. მთავარი მომხმარებლები ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოები და იაპონიაა, თუმცა სწრაფად იზრდება ჩინეთის, ინდოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების, აგრეთვე, ვენესუელის წილიც.

სავარაუდოა, რომ ნავთობის მოპოვების საკმაოდ მაღალი მოცულობა XXI საუკუნის 40-იან წლებამდე შენარჩუნდეს, შემდეგ კი მოსალოდნელია მნიშვნელოვანი კლება, ერთი მხრივ, მარაგის გამოლევის და, შესაბამისად, მკვეთრი გაძვირების გამო, მეორე მხრივ კი – ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისებისა და დანერგვის მიზეზით.

ბუნებრივი გაზი. ბუნებრივი გაზი ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი და მაღალკალორიული სათბობ-ენერგეტიკული რესურსია. მისი განსაკუთრებული პოპულარობა და მზარდი როლი განპირობებულია როგორც მაღალი თბოუნარიანობით, ისე მოპოვებისა და გადაზიდვის სიადვილითა და სიიაფით, აგრეთვე – ეკოლოგიური სისუფთავით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბალანსი თხევად და აირად სათბობს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იცვლება, მით უფრო, რომ ბუნებრივი გაზის მსოფლიო მარაგი კაცობრიობას უფრო დიდხანს ეყოფა, ვიდრე – ტრადიციული კატეგორიის ნავთობის დაზვერილი მარაგი. თუმცა, მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ნავთობის წილი კვლავ გაიზარდოს, რადგან ნავთობის ის მარაგი, რომლის მოპოვებაც ტექნი-

კურად შესაძლებელია (მაგრამ დღეს ჯერ არ არის ექსპლუატაციაში), საგრძნობლად მეტია ბუნებრივი გაზის საერთო მარაგთან შედარებით. ამას გარდა, გაზის ტრანსპორტირება ოკეანის გაღმა (ანუ გაზის გათხევადება და ადგილზე ხელახლა აირად მდგომარეობაში გადაყვანა) რამდენჯერმე ზრდის თვითღირებულებას და არარენტაბელურია. მაგრამ, იმავდროულად, არ არის გამორიცხული, საგრძნობლად გაიზარდოს ბუნებრივი გაზის არსებული მარაგის მოცულობაც. ვარაუდობენ, რომ ე.წ. ანომალიურად მაღალი წნევის ზონებში, რომლებიც, ძირითადად, ოკეანეების სანაპირო რაიონებს მოიცავს, დაგროვილია ბუნებრივი გაზის უზარმაზარი რაოდენობა, რაც რამდენჯერმე აღემატება დღეისთვის დადასტურებულ მარაგს.

ბუნებრივი გაზის მსოფლიო წარმოების ლიდერი რუსეთია. შემდეგ მოდიან აშშ, ირანი, თურქმენეთი, ალჟირი, კანადა, ყაზახეთი, საუდის არაბეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა. სწორედ ბუნებრივი გაზის და ნავთობის წყალობით შეძლო რუსეთმა, 2000-2010-იან წლებში დაებრუნებინა დაკარგული ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე და თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკაც რუსულ ენერგორესურსებზე აღმოჩნდა დამოკიდებული. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამით გათამამებულმა რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ და, ამის გამო, მას მკაცრი სანქციები დაუწესდა, ევროპის ქვეყნები იძულებული გახდნენ, სხვა გაზმომპოვებელ ქვეყნებზე დაედოთ ფსონი.

ბუნებრივი გაზის ექსპორტიორ ქვეყნებს მიღებული შემოსავალი საშუალებას აძლევს, სწრაფად განავითარონ ეკონომიკა და ცხოვრების მაღალ სტანდარტებს მიაღწიონ მაშინ, როცა გაზის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები იძულებულნი არიან, უზარმაზარი თანხები დახარჯონ, რათა სინათლისა და სითბოს გარეშე არ დარჩნენ.

ბირთვული საწვავი. ბირთვული ენერგეტიკის ძირითად წყაროს ბუნებრივი ურანის მადანი წარმოადგენს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რა ხარჯებთან არის დაკავშირებული მისი მოპოვება და გადამუშავება, რადგან მაღალი თვითღირებულების შემთხვევაში ურანის მოპოვება არარენტაბელურია. მოპოვებისთვის ხელსაყრელი და გამოსაყენებლად რენტაბელური U_3O_8–ს საერთო მარაგი, სავარაუდოდ, 6,5 მილიონ ტონას აღემატება, მაგრამ როგორც მარაგის, ისე მოპოვების ზუსტი მონაცემები ცნობილი არ არის, რადგან ურანი, როგორც ბირთვული შეიარაღების ძირითადი ნედლეული, განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსია. მასზე მონაცემები, როგორც წესი, გასაიდუმლოებულია. ურანის მთავარი მწარმოებელი ქვეყნებია კანადა, ავსტრალია, ყაზახეთი და ნამიბია.

ელექტროენერგიის წარმოება ატომურ ელექტროსადგურებში, ე.წ. რეაქტორ-გამამრავლებლების მეშვეობით, უაღრესად მოხერხებული და რენტაბელურია. პრაქტიკულად, ის არ არის დამოკიდებული მოპოვებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 1 კგ ურანი რამდენიმე ათეულ ტონა ნახშირის ეკვივალენტ ელექტროენერგიას იძლევა. ამიტომ ატომური ელექტროენერგეტიკა მრავალ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში წამყვან პოზიციებზე გავიდა: საფრანგეთში, მაგალითადად, ატომური ელსადგურების წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის 80%-ზე მეტი. ბევრი თვლიდა, რომ ატომური ენერგეტიკა მომავლის ენერგეტიკაა და მისი წილი მუდმივად გაიზრდება. ჩერნობილის აეს-ში მომხდარი კატასტროფული ავარიის შემდეგ ეს წარმოდგენა საგრძნობლად შეიცვალა, ხოლო, ბოლო წლებში გაძლიერებული საპროტესტო გამოსვლების შედეგად, ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ახალი აეს-ების მშენებლობაზე, ხოლო ზოგან ძველებიც გაჩერდა. დღევანდელი ტენდენციებით მომავალში ატომური ენერგეტიკის ხვედრითი წილი შემცირდება და მის ხარჯზე გაიზრდება ენერგიის არატრადიციული, აღდგენადი წყაროების მნიშვნელობა.

8.4.6. ენერგიის აღდგენადი რესურსები

სავარაუდო შეფასებით, ენერგიის აღდგენადი რესურსების ჯამური ტექნიკური პოტენციალი შეადგენს, დაახლოებით, 16 მილიარდ ტონა პირობით საწვავს წელიწადში. აქედან, ყველაზე ოპტიმისტური გათვლით, მხოლოდ 1/3-ის გამოყენებაა შესაძლებელი თვით შორეულ მომავალშიც კი.

დღეისათვის აღდგენადი ენერგორესურსების ხვედრითი წილი მსოფლიოში მოხმარებული ენერგიის მხოლოდ 7-8%-ს შეადგენს, რომლის უდიდესი ნაწილიც ჰიდროენერგიასა და შეშაზე მოდის. მომავალში შეშის წილი კიდევ უფრო შემცირდება. რაც შეეხება ჰიდროენერგიას, როგორც ჩანს, მისი როლი და მნიშვნელობა გაიზრდება, მაგრამ – მცირედით: ეს ნაკლებად შეცვლის არსებულ სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსს.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების შემზღუდავი ფაქტორი მისი მაღალი კაპიტალტევადობაა. მხოლოდ ძალიან ძვირად ღირებულ დიდ ჰიდროელექტროსადგურებს, თავიანთი დიდი მოცულობის კაშხლებით (რაც, თავის მხრივ, უზარმაზარი ტერიტორიის დატბორვას იწვევს და სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს აჩენს), შეუძლიათ იმავე რაოდენობის ელექტროენერგიის წარმოება, რასაც დიდი თბო ან ატომური ელექტროსადგურები აწარმოებენ, მცირე სიმძლავ-

რის ჰესების მშენებლობა კი ნაკლებად რენტაბელურია. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ, ისეთი ჰესების რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ მდინარის ჩამონადენზე იმუშავებდნენ, 7 ათასი მაინც უნდა იყოს, რომ ჯამურად ის ელექტროენერგია გამოიმუშავოს, რასაც ერთი ენგურჰესი იძლევა. ცალკე საკითხია, რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ათასობით ჰესის მშენებლობა და რა ეკოლოგიურ ზარალს მოიტანენ ისინი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი ჰესების უმრავლესობა დამოკიდებულია მდინარეთა რეჟიმზე და წყალმცირობის დროს შეიძლება საერთოდ გაჩერდნენ.

ზოგ ქვეყანაში ენერგიის წყაროდ გამოიყენება **გეოთერმული რესურსები**. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ისლანდია და ახალი ზელანდია, სადაც გეიზერებისა და მიწისქვეშა ცხელი წყლების დიდი მარაგია, შესაძლებელია, ელექტროენერგიის მოთხოვნილება გეოთერმულმა ელექტროსადგურებმა დააკმაყოფილოს. პერსპექტიულია ეს მიმართულება კიდევ რამდენიმე რეგიონში, მაგრამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გეოთერმულმა რესურსებმა საეჭვოა რამდენადმე მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრაში.

როგორც ვხედავთ, ჰიდრო და გეოთერმული რესურსების ბაზაზე გლობალური ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია.

ზოგი მკვლევარი ძალზე ოპტიმისტურად იყო განწყობილი ენერგიის არატრადიციული, ამოუწურავი წყაროების (**მზის, ქარის, ზღვის მოქცევის ენერგიის**) მიმართ და სწორედ მათ მიიჩნევდა მსოფლიო ენერგეტიკის მომავლად და ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრის საშუალებად. ცხადია, ტექნიკურ პროგრესსა და მეცნიერების მიღწევებთან ერთად ენერგიის არატრადიციული წყაროების როლი საგრძნობლად გაიზრდება და ისინი გარკვეული მასშტაბით შეცვლიან კიდეც ტრადიციულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს, მაგრამ მათი მიჩნევა ენერგეტიკული პრობლემისაგან კაცობრიობის ხსნად აშკარად გადაჭარბებული და რეალობას მოკლებულია. თავი რომ დავანებოთ მათი ათვისების ტექნიკურ სიძნელეებს და მაღალ თვითღირებულებას, მთავარი სირთულე მათი ტერიტორიული არათანაბრობა და დროში პერიოდულობაა. ამიტომ აუცილებელი ხდება მათთან ერთად სხვა დამხმარე ენერგოსიმძლავრეების გამოყენება, რომლებიც ისევ ტრადიციულ რესურსებს უნდა ემყარებოდნენ. კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი და წარმოუდგენლად ძვირია კოსმოსური ჰელიოსადგურების თუ ტროპიკული ზღვების ტემპერატურული გრადიენტის გამოყენების პროექტები.

ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრის კიდევ ერთ შესაძლო რესურსად მიიჩნევენ სასოფლ-სამეურნეო, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო **ორგანული ნარჩენების** გადამუშავების შედეგად მიღებულ

ბიომასას, საიდანაც შესაძლებელია ენერგიის მიღება ბიოგაზის სახით. თუმცა ესეც მხოლოდ დამხმარე საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ. რაც შეეხება სხვადასხვა **სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას ენერგიის წყაროს მიზნით** (მაგ., შაქრის ლერწმისაგან სპირტის მიღება და მისი გამოყენება საწვავად), ეს ალბათ ნაკლებად პერსპექტიული გზაა, მცირე გამოსავლიანობისა და მაღალი თვითღირებულების გამო. გარდა ამისა, ყველა ეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი სახამებლისა და ცელულოზის შემცველია და სურსათის ნაკლებობის პირობებში (რაც არანაკლები სიმწვავის გლობალური პრობლემაა) ბევრად უმჯობესი და რენტაბელურია მათი გამოყენება საკვებად, ვიდრე – საწვავად.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ენერგიის აღდგენადმა და ამოუწურავმა წყაროებმა მხოლოდ დამხმარე როლი შეიძლება შეასრულონ ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტაში. ჯერჯერობით მათ არ შეუძლიათ (გარდა ჰიდრო, ხოლო ცალკეულ რეგიონებში – გეოთერმული რესურსებისა) კონკურენცია გაუწიონ აღუდგენად სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს. სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელნი XXI საუკუნის პირველ ნახევარშიც დარჩებიან ძირითად ენერგორესურსებად.

თავი 9. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები

გლობალურ პრობლემებს შორის ეკოლოგიურ ანუ ბუნებრივი გარემოს პრობლემებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს პრობლემები თითქოს ყველაზე უფრო „გლობალურია“, რომლებიც ყველას თანაბრად ეხება და საფრთხეც ყველასთვის აშკარაა. შეიძლება ესეც იყოს მიზეზი, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისათვის სახელმწიფოები უფრო ადვილად პოულობენ საერთო ენას, ვიდრე სხვა გლობალური პრობლემების შემთხვევაში.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიური პრობლემები მიეკუთვნება გლობალური პრობლემების იმ ჯგუფს, რომლებიც ერთიანდება „ადამიანი – ბუნების“ სისტემაში. ეს მიუთითებს, რომ ეკოლოგიური პრობლემების მთავარი მიზეზი არის ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები.

ბუნება, გეოგრაფიული გარემო დედამიწის მთელი გეოლოგიური ისტორიის მანძილზე განიცდიდა ცვლილებებს. ამის მიზეზი გეოლოგიური პროცესები და კლიმატის ცვლილებების ბუნებრივი ციკლები იყო. წარმოიშობოდა და ინგრეოდა მთები, ფორმირდებოდა რელიეფი, იცვლებოდა წყლის და ხმელეთის განაწილება დედამიწაზე, ჩნდებოდა ახალი კონტინენტები და კუნძულები, იცვლებოდა კლიმატი, კერძოდ, ერთმანეთს ენაცვლებოდა გამყინვარებისა და დათბობის პერიოდები, შესაბამისად, იცვლებოდა ნიადაგი, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო.

ყველა ეს ცვლილება, რომლებიც მილიონობით წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ბუნებრივი პროცესი იყო, რადგან ადამიანი სულ 2 მილიონი წლის ისტორიას ითვლის და, ამდენად, გავლენას ვერ მოახდენდა უფრო ადრინდელი პერიოდის პროცესებზე. ანთროპოგენურ ანუ ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედებით გამოწვეულ პროცესებზე ლაპარაკი შეიძლება მას შემდეგ, რაც ადამიანთა საზოგადოება ჩამოყალიბდა. ცხადია, კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე ადამიანის გავლენა ბუნებაზე უმნიშვნელო იყო, მაგრამ საწარმოო ძალთა და წარმოების საშუალებათა განვითარების პარალელურად ეს გავლენაც იზრდებოდა. ისტორიის ახალ პერიოდში ადამიანი უკვე ბუნების გარდამქმნელად მოგვევლინა და მისი ნეგატიური როლიც გამოიკვეთა, რადგან ბუნებაში უკონტროლო ჩარევამ დაარღვია არსებული ეკოლოგიური წონასწორობა.

მაგრამ ეკოლოგიურმა პრობლემებმა საყოველთაო, გლობალური ხასიათი XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან შეიძინა, როცა ანთროპოგენური ფაქტორების გავლენამ ბუნებაზე და ეკოლოგიურმა ცვლილე-

ბებმა გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია: საფრთხე შეუქმნა საზოგადოების ნორმალურ განვითარებას. მეტიც: ზოგი მკვლევრის პროგნოზი იმდენად პესიმისტურია, რომ ეჭვქვეშ აყენებს, საერთოდ, სიცოცხლის შესაძლებლობას დედამიწაზე, თუ ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია არსებული ტემპით გაგრძელდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ ეკოლოგიური პრობლემები ერთ-ერთი უმწვავესია კაცობრიობის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის და მისი მეცნიერული შესწავლა და წარმატებით გადაჭრა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ეკოლოგიური პრობლემების მთავარი ნიშანია გარემოს მდგომარეობის გაუარესება ადამიანის ზემოქმედების შედეგად: იმისდა მიხედვით, გეოგრაფიული გარსის რომელი ელემენტი დეგრადირდება, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება დაიყოს შემდეგ მთავარ მიმართულებებად:

- კლიმატური პრობლემები
- წყალთან დაკავშირებული პრობლემები
- მიწების დეგრადაცია და გაუდაბნოება
- ტყეების და ბიომრავალფეროვნების პრობლემები

ეკოლოგიური პრობლემების ცალკე მიმართულებაა სტიქიური მოვლენები და ბუნებრივი თუ ტექნოლოგიური კატასტროფები, რომლებიც ხშირად სწორედ გარემოზე ადამიანის უკონტროლი ზემოქმედების შედეგად ხდება. ასევე ეკოლოგიურ პრობლემებს უკავშირდება მინერალურ რესურსებთან ანუ სასარგებლო წიაღისეულთან დაკავშირებული გამოწვევები, კერძოდ, სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული პრობლემები. თუმცა, სპეციფიკურობის და ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირის გამო, ეს საკითხი ცალკე განვიხილეთ (იხ. თავი 7).

9.1. კლიმატური პრობლემები

ატმოსფერო გეოგრაფიული გარსის ის ელემენტია, რომელზეც ადამიანის გავლენა კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე უმნიშვნელო იყო და, სხვა კომპონენტებთან შედარებით (წყალი, ნიადაგი, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო თუ წიაღისეული), ყველაზე ნაკლებად იგრძნობოდა. მხოლოდ ბოლო რამდენიმე ათეული წელია, რაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ არა მხოლოდ საგრძნობლად შეცვალა ვითარება, არამედ კლიმატთან დაკავშირებული მოვლენები გლობალურ გამოწვევებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და ძნელად გადასაჭრელ პრობლემად აქცია.

კლიმატთან დაკავშირებულ გლობალური პრობლემებში სამ ძირითად პრობლემას გამოვყოფთ: კლიმატის ცვლილება (გლობალური დათბობა), ოზონის შრის შემცირება, ატმოსფეროს დაბინძურება.

9.1.1. გლობალური დათბობა

როგორც უკვე ვთქვით, კლიმატის ცვლილებები მუდმივი პროცესია: კლიმატი იცვლებოდა ყველა გეოლოგიურ ერასა და პერიოდში. ბოლო 1-1,2 მილიონი წლის განმავლობაში (პლეისტოცენის გეოლოგიური პერიოდი) დათბობა და აცივებია პერიოდულად ცვლიდა ერთმანეთს. ისტორიამ იცის ოთხი დიდი გამყინვარების შესახებ, რომელთა შორისაც დათბობის პერიოდები დგებოდა ხოლმე. პირველი გამყინვარება (გიუნცი), დაახლოებით, 1,2 მილიონი წლის წინათ დაიწყო, ხოლო უკანასკნელი (ვიურმი) – 115 ათასი წლის წინათ და გაგრძელდა მეზოლითის დასაწყისამდე (12-13 ათასი წელი ჩვენს ერამდე).

ისტორიულ პერიოდში (ბოლო 4,5-5 ათასი წელი) კლიმატი პერიოდულად კვლავ იცვლებოდა, თუმცა – ბევრად სუსტი მასშტაბით. კლიმატის ეს ცვლილებები გვევლინება ასწლოვანი ციკლების სახით, როცა შედარებით თბილ საუკუნეს ცივი ასწლეული ცვლიდა ხოლმე და – პირიქით. ასევე გამოყოფენ შედარებით ცივ და თბილ ათწლეულებს: მაგალითად, XII საუკუნეში კლიმატი ისეთი თბილი იყო, რომ ინგლისში ვაზი ხარობდა, ხოლო ისლანდიაში ერთწლიანი კულტურებიც მოყავდათ. XIX 40-იანი წლები საგრძნობლად ცივი იყო, ვიდრე -იმავე საუკუნის 30 – იანი წლები.

ამ მაგალითების საფუძველზე მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ კლიმატის პერიოდული ცვლილებები ბუნებრივი პროცესია და ამაში საგანგაშო არაფერია. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა მყარად დგას პოზიციაზე, რომ 1850-იანი წლებიდან დაწყებული ყოველი ათწლეული უფრო თბილია წინა ათწლეულთან შედარებით. ამდენად, დედამიწაზე მიმდინარეობს გლობალური დათბობის შეუქცევადი პროცესები, რაც გამოიხატება დედამიწის საშუალოწლიური ტემპერატურის განუხრელი ზრდით, ხოლო, როგორც ამის შედეგი, მყინვარების ფართობის საგრძნობი კლებით, გაუდაბნოების პროცესის ინტენსიფიკაციით, გახშირებული ქარიშხლებით და წყალდიდობებით.

მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ გლობალური დათბობის მიზეზი ადამიანია, ანუ კლიმატის ცვლილება ანთროპოგენულია და არა – ბუნებრივი: კერძოდ, თანამედროვე ინდუსტრიულ ეპოქაში, როცა სწრაფად იზრდება სამრეწველო საწარმოების (განსაკუთრებით, ეს ეხება სათბობ-ენერგეტიკულ, მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწვე-

ლობას) რიცხვი და შიგაწვის ძრავაზე მომუშავე ტრანსპორტის რაოდენობა, ატმოსფეროში გამოიტყორცნება კოლოსალური რაოდენობის ნამწვი აირი, პირველ ყოვლისა, ნახშირორჟანგი, აგრეთვე მეთანი, ქლორფტორნახშირჟანგი და აზოტის ოქსიდი. ეს გაზები საბანივით ეფარება დედამიწის ზედაპირს და ხელს უშლის სითბოს არეკვლას და ატმოსფეროს ზედა ფენებში გაფანტვას. წარმოიშობა ე.წ. **სათბურის ეფექტი,** რაც გარდაუვლად იწვევს ტემპერატურის მუდმივ მატებას.

ამ მოვლენის შედეგებს ყველა აშკარად ვგრძნობთ. დედამიწაზე საშუალო ტემპერატურამ XX საუკუნეში ცელსიუსის 1,1 გრადუსით მოიმატა, ხოლო იმავე საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ პროცესმა საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. პროგნოზები, რომლებიც კეთდება XXI საუკუნის ბოლოსათვის, დამამშვიდებელი ნამდვილად არ არის. შემუშავებული კლიმატური მოდელების მიხედვით, სათბური გაზების ემისიის მოსალოდნელი მინიმალური მოცულობის შემთხვევაშიც კი ატმოსფეროს ტემპერატურა (დედამიწის ცალკეული რეგიონების მიხედვით) 0,3 – 1,7 გრადუსამდე გაიზრდება, ხოლო მაქსიმალური მოცულობის შემთხვევაში – 2,6-4,8 გრადუსით.

მარტო ბოლო 50 წლის (1973-2023) განმავლობაში ტემპერატურამ მოიმატა დედამიწის პრაქტიკულად ყველა რეგიონში. განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს მიაღწია დათბობის მასშტაბებმა არქტიკაში. აქ ტემპერატურამ თითქმის 4 გრადუსით მოიმატა. შედეგმაც არ დააყოვნა: ყინულის საფარი საგრძნობლად შემცირდა გრენლანდიაში, ისლანდიაში, ალასკაში და შპიცბერგენის კუნძულებზე. ასევე შემცირებულია მთის მყინვარების ფართობი (მათ შორის, საქართველოში), გლობალურმა დათბობამ გამოიწვია გვალვიანი პერიოდების ზრდა და ნალექების შემცირება არიდულ რეგიონებში, განსაკუთრებით – ზამთარში. მრავალ რაიონში, სადაც ადრე თოვლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, წლებია თოვლი აღარ უნახავთ. მეორე მხრივ, გლობალური დათბობა ზრდის აორთქლებას, რის გამოც ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროებზე იმატა წვიმებმა, ქარიშხალმა და შტორმმა, აგრეთვე – ზვავებმა და მეწყერებმა. გლობალური დათბობის შედეგია გაუდაბნოების პროცესის ინტენსიფიკაცია და ლანდშაფტის ცლილებები. შესაბამისად, იცვლება ადამიანის სამეურნეო საქმიანობაც, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში მოსახლეობა იძულებულია, საერთოდ სხვაგან გადასახლდეს.

მართალია, გვხვდებიან ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფენ გლობალურ დათბობის ფენომენს, ან თუ აღიარებენ, მას დიდ საშიშროებად არ მიიჩნევენ: მათი აზრით, ეს ბუნებრივი პროცესია, ტემპერატურის ციკლური ცვლილების გამოვლინება, არაერთხელ რომ მომხდარა შორეულ წარსულში.

ზოგჯერ შეგვხვდება ისეთი მოსაზრებებიც, რომ გლობალური დათბობა ჩრდილოეთის ქვეყნებისთვის კარგიც კია: დამთბარი კლიმატი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ისეთ რაიონებშიც მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სადაც ადრე, სიცივის გამო, ეს შეუძლებელი იყო. არქტიკული ყინულების დნობა იძლევა შესაძლებლობას, გაიხსნას ახალი საზღვაო მარშრუტები, რომლებიც მნიშვნელოვნად მოკლე, მოხერხებული და იაფი იქნება ევროპის, აზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ერთმანეთთან დასაკავშირებლად, დღეს არსებულ საზღვაო გზებთან შედარებით.

მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა სრულად განსხვავებულად უყურებს გლობალური დათბობის პრობლემას და ნათლად აცნობიერებს იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც დგას მსოფლიო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბოლო ორი ათწლეული ყველაზე თბილი იყო უკანასკნელი 800 წლის განმავლობაში, ხოლო 10 ყველაზე თბილი წელი სწორედ ჩვენს საუკუნეში ფიქსირდება. გლობალური დათბობის არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში უკვე ამ საუკუნის ბოლოს, ანტარქტიკისა და არქტიკის ყინულების დნობის გამო, მსოფლიო ოკეანის დონე, დღევანდელთან შედარებით, რამდენიმე მეტრით მოიმატებს, და სანაპირო ქალაქების დიდი უმრავლესობა შეიძლება წყალში აღმოჩნდეს.

ყოველივე ამის გამო, სადავო არ უნდა იყოს, რომ გლობალური დათბობა მართლაც გლობალური, საყოველთაო პრობლემაა და მხოლოდ ყველა ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით და მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი მის წინააღმდეგ ბრძოლა და რამდენადმე ხელშესახები წარმატების მიღწევა. ერთი შეხედვით, ასეთ თანამშრომლობას და ერთობლივ ძალისხმევას თითქოს არაფერი უნდა უშლიდეს ხელს, მაგრამ სინამდვილეში ვითარება გაცილებით რთულადაა.

საქმე ისაა, რომ გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პირობაა ატმოსფეროში სათბურის გაზების, პირველ ყოვლისა, ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება. ეს ეკონომიკის ზრდის შეფერხებას ნიშნავს, რადგან ატმოსფეროში გამოფრქვეული ნახშირორჟანგი სწორედ მრეწველობის და ტრანსპორტის „დამსახურებაა“ და, ამ სფეროების შეზღუდვის გარეშე, სასურველ შედეგს არ გამოიღებს. საკუთარი ეკონომიკის შეზღუდვა და მოგების შემცირება არც ერთი ქვეყნის (რომ არაფერი ვთქვათ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და კერძო ფირმებზე) ინტერესებში არ შედის.

1997 წლის კიოტოს ოქმი (პროტოკოლი), რომელსაც ხელი მოაწერა მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფომ (191 ქვეყანა), ითვალისწინებდა ერთობლივ ძალისხმევას ატმოსფეროში სათბური გაზების ემისიის შესამცირებლად. თუმცა მიდგომა დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო, რადგან სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა წილი აქვს

გლობალური დათბობის მიზეზების წარმოქმნაში: კერძოდ, აშშ-ისა და ჩინეთის წილად მოდის ატმოსფეროში გამოფრქვეული სათბურის გაზების თითქმის ნახევარი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონის გამო, ქვეყნებს განსხვავებული შესაძლებლობები ჰქონდათ, განეხორციელებინათ დასახული ამოცანა. ამიტომ ძირითადი ტვირთი განვითარებულ ქვეყნებზე უნდა გადასულიყო: კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებს ემისია 2012 წლისთვის უნდა შეემცირებინათ 8%-ით, 1990 წელთან შედარებით, აშშ-ს – 7%-ით, იაპონიასა და კანადას – 6%-ით, რუსეთს არ უნდა გადაეჭარბებინა 1990 წლის დონისათვის, განვითარებად ქვეყნებს, ჩინეთისა და ინდოეთის ჩათვლით, არანაირი ვალდებულება არ აუღიათ, არადა, სწორედ ამ ქვეყნებში მრეწველობის სწრაფი განვითარება და ავტომობილების რაოდენობის ზრდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია გლობალური დათბობისა.

ასეთმა ვითარებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ რიგ სახელმწიფოებში. ბევრმა მათგანმა ჩათვალა, რომ მას ზედმეტად მაღალი კვოტა დაუწესდა, იმასთან შედარებით, რაც შეესაბამებოდა მათ წილს ატმოსფეროს დაბინძურებაში. კანადა საერთოდ გამოვიდა კიოტოს ოქმიდან, ხოლო აშშ-მა არ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია.

კიოტოს ოქმის მოქმედების ვადა 2012 წლის დეკემბერში ამოიწურა. შედეგი არადამაკმაყოფილებელი იყო. 2012 წლის დოჰას შესწორებით, ვადა გაგრძელდა 2020 წლამდე. თუმცა ამ შესწორების რატიფიკაცია ბევრმა ქვეყანამ (მათ შორის, რუსეთმა) არ ისურვა, ხოლო აშშ-მა 2020 წელს დატოვა კიოტოს ოქმი. მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ, შეასრულონ ვალდებულები და შეამცირონ სათბურის გაზების ემისია, მაგრამ, ამ მხრივ, პროგრესი არც ისე შთამბეჭდავია.

9.1.2. ოზონის შრის შემცირება და ოზონის ხვრელები

ატმოსფეროსთან დაკავშირებული კიდევ ერთი გლობალური პრობლემა არის დედამიწის გარემომცველი ოზონის შრის ანუ ოზონის ფენის გათხელება და მასში გაჩენილი ხვრელები.

ოზონის შრე არის ატმოსფეროს, კერძოდ, სტრატოსფეროს ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს დედამიწის ზედაპირიდან 20-დან 35 კილომეტრის სიმაღლეზე და სადაც ოზონის განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის კონცენტრაციაა (ე.წ. ოზონოსფერო).

ოზონის შრე იცავს დედამიწას ულტრაიისფერი სხივებისაგან და უზრუნველყოფს სიცოცხლეს დედამიწაზე. ამ შრის არარსებობის შემთხვევაში ვერც ერთი ცოცხალი ორგანიზმი ვერ იარსებებდა.

ოზონის შრეზე ადამიანის ზემოქმედება თითქოს უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო და, ამ მხრივ, რაიმე საშიშროებას არც ელოდნენ, მაგრამ ბოლო ათწლეულებში უტყუარი ფაქტი გახდა ოზონის კონცენტრაციის შემცირება ატმოსფეროში და, როგორც ამის შედეგი, ოზონის ფენის გათხელება. 1985 წელს ანტარქტიდის თავზე გაჩნდა დიდი ხვრელი, საიდანაც, ოზონის შრის დამცავი ფუნქციის არარსებობის გამო, ულტრაიისფერი სხივების მძლავრმა ნაკადმა დაუბრკოლებლად მიაღწია დედამიწის ზედაპირამდე და ანტარქტიდის ცხოველთა სამყაროს დიდი ზიანი მიაყენა. მას შემდეგ ასეთი ოზონის ხვრელი (ფართობით რამდენიმე მილიონი კვადრატული კილომეტრი) ყოველწლიურად ჩნდება აგვისტოს ბოლოს და ქრება დეკემბერ-იანვარში. შედარებით მცირე ზომის ოზონის ხვრელი ჩნდება ხოლმე არქტიკაშიც.

ოზონის შრის შემცირება და ოზონის ხვრელები სერიოზულ საშიშროებას უქმნის კაცობრიობას. ოზონის შრის სრული გაქრობა დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობას ნიშნავს. საეჭვოა, ეს ოდესმე მოხდეს, მაგრამ უკვე დღეს ამ მოვლენის ნეგატიურ შედეგებს ვაწყდებით. საგრძნობლად გაიზარდა კანის და თვალის დაავადებების რიცხვი, შესუსტდა ინფექციური დაავადებების მიმართ იმუნიტეტი, შეიმჩნევა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის კლება და ა.შ.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ოზონის შრის შემცირება და ოზონის ხვრელების გაჩენა დროებითი ბუნებრივი მოვლენაა და თავისით გასწორდება. თუმცა მკვლევართა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოზონის ფენასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი ადამიანის სამეურნეო საქმიანობაა: კერძოდ, ოზონის მოლეკულებს შლის ქლორფტორ-ნახშირბადები, რომლებიც გამოიყოფა სამაცივრო დანადგარების და აეროზოლების გამოყენებისას. შესაბამისად, ფრეონის გამოყენების შეზღუდვა მიიჩნევა ერთ-ერთ მთავარ პირობად ოზონის ხვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა ოზონის შრის შემცირების წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე გლობალური დათბობის საწინააღმდეგოდ მიმართული ძალისხმევა. 1987 წლის მონრეალის პროტოკოლით, ოცზე მეტმა ქვეყანამ განაცხადა თანხმობა, ათი წლის განმავლობაში 50%-ით შეემცირებინათ ქლორფტორ-ნახშირბადების გამოყენება. მოკლე ხანში ასეთი ვალდებულება აიღო 80-ზე მეტმა ქვეყანამ. მეტიც: წამყვანმა ინდუსტრიულმა სახელმწიფოებმა ივალდებულეს, რომ საერთოდ შეწყვეტდნენ ქლორფტორნახშირბადების გამოყენებას, რაც, პრაქტიკულად, შეასრულეს კიდეც.

ამასთანავე, წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოების ინიციატივით, შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელიც დაეხმარებოდა განვითა-

რებად ქვეყნებს, შეეძინათ ალტერნატიული სამაცივრო დანადგარები, რომლებიც არ დაეფუძნებოდა ქლორ-ფტორ-ნახშირბადებს და საფრთხეს არ შეუქმნიდა ოზონის შრეს. ფონდმა დახმარება გაუწია გლობალური სამხრეთის 100-ზე მეტ ქვეყანას, რაც აისახა კიდეც ემისიის შემცირებაში. ფაქტია, რომ 2005-2025 წლებში ოზონის შრის შემცირება 20%-ით დაეცა.

არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ 40-50 წლის განმავლობაში ოზონის ხვრელები საერთო გაქრეს და ოზონის შრის შემცირების პრობლემა გადაიჭრას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გარემოს პრობლემებს შორის ოზონის შრის შესამცირებელი ძალისხმევა ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა, ხოლო მონრეალის პროტოკოლი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო ხელშეკრულებად.

9.1.3. ჰაერის დაბინძურება

ატმოსფეროსთან დაკავშირებულ გლობალურ პრობლემებს შორის ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საშიში გამოწვევაა. ჰაერის დაბინძურება გულისხმობს დედამიწის ატმოსფეროში მოხვედრილ მავნე ნივთიერებებს, რომლებიც ცვლიან ჰაერის ქიმიურ შემადგენლობას და საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და, საერთოდ, ცოცხალი ორგანიზმების ნორმალურ განვითარებას.

ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებებში შედის როგორც გაზები, ისე თხევადი და მყარი ნივთიერებები, რომლებიც ატმოსფეროში გამოიფრქვევა, როგორც ბუნებრივი პროცესების, ისე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ეს პრობლემა აქტუალური იმიტომ არის, რომ, ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების გამო, ყოველწლიურად ათეული მილიონი ადამიანი ავადდება ფილტვების, სასუნთქი გზების, გულ-სისხლძარღვთა და სხვა ორგანოების დაავადებებით, სწრაფად იზრდება კიბოს შემთხვევების რიცხვი და ინფექციური დაავადებების ეპიდემიები უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად, ატმოსფეროს დაბინძურების მიზეზით, 7-8 მილიონი ადამიანი კვდება.

ჰაერის მთავარი დამაბინძურებელია ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი, გოგირდის ორჟანგი, აზოტის ჟანგი, მეთანი და ქლორფტორნახშირბადი, აგრეთვე – ჭვარტლი და მტვერი. ყველა ეს ნივთიერება უხვად გამოიყოფა, როგორც წვის პროდუქტი, სამრეწველო საწარმოებში ან ტრნსპორტში, აგრეთვე – სამაცივრო დანადგარებისა და აეროზოლების

გამოყენების დროს. ყოველივე ეს ცვლის თანაფარდობას ჟანგბადსა და ნახშირორჟანგს შორის ატმოსფეროს ქვედა ფენაში (ტროპოსფეროში).

დადასტურებული ფაქტია, რომ ჟანგბადის რაოდენობა იკლებს. დედამიწაზე ყოველწლიურად იწვება 10 მილიარდ ტონაზე მეტი საწვავი, რაც 16-17 მილიარდ ტონა ჟანგბადს საჭიროებს. ამას დავუმატოთ ასეულობით მილიონი ავტომობილი და ტრანსპორტის სხვა სახეობები (მარტო ერთი რეაქტიული თვითმფრინავი, საშუალოდ, 30-35 ტონა ჟანგბადს წვავს), და ნათელი გახდება სურათის მთელი სიმძიმე. საკმარისია ითქვას, რომ ყოველწლიურად მსოფლიოს მოსახლეობა მოიხმარს 25-30 მილიარდ ტონა ჟანგბადს. ეს თითქმის 20%-ით აღემატება ჟანგბადის იმ რაოდენობას, რომელსაც ყოველწლიურად ვიღებთ მცენარეული საფარიდან ფოტოსინთეზის შედეგად, და რაც ჟანგბადის ერთადერთი წყაროა დედამიწაზე. ხოლო თუ ყოველივე ამას იმასაც დავუმატებთ, რომ მცირდება ტყით დაფარული ტერიტორიის ფართობი და, შესაბამისად, ჟანგბადის გამოყოფის პოტენციალიც, ხოლო მოსახლეობა სწრაფად იზრდება, პერსპექტივა მართლაც ძალიან პესიმისტურია, მით უფრო, რომ ჟანგბადის ნაკლებობა უკვე იგრძნობა ზოგიერთ არიდულ და, განსაკუთრებით, ურბანიზებულ, სამრეწველო რაიონებში.

ატმოსფეროს ანთროპოგენური დაბინძურების მთავარი წყარო მრეწველობაა. მის წილად მოდის დაბინძურების 53%. ტრანსპორტის წილად მოდის დაბინძურების საერთო მოცულობის მეოთხედზე მეტი. ასე რომ, ამ ორ დარგზე მოდის ჰაერის დაბინძურების 80%. დაახლოებით, 10% სოფლის მეურნეობის (ძირითადად, მინერალური სასუქების და შხამქიმიკატების გამოყენების გამო) „დამსახურებაა“, დანარჩენი კი ურბანული გარემოსა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წილად მოდის.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რადიოაქტიური დაბინძურება, რაც უკიდურესად საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. 1986 წლის ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად, რადიაციული ღრუბელი მთელ ევროპაში გავრცელდა და მრავალი ადამიანის დაავადება გამოიწვია, რომ აღარაფერი ვთქვათ მრავალრიცხოვან მსხვერპლზე უშუალოდ უკრაინაში.

ატმოსფეროს დაბინძურებითაა გამოწვეული ე.წ. **მჟავური წვიმები,** როცა ჰაერში, აზოტის ჟანგის ემისიის გამო, იცვლება ქიმიური შემადგენლობა. მოსული მჟავური წვიმა აზიანებს მცენარეულობას და უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს აწუხებდა. ამიტომ მათ განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინეს ატმოსფეროში აზოტის ოქსიდის შემცირების მიზნით და საკმაოდ კარგ შედეგსაც მიაღწიეს.

უფრო რთულადაა საქმე ტოქსიკური და რადიოაქტიური მყარი ნარჩენების თვალსაზრისით. ეს ნარჩენები, ძირითადად, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში გროვდება, სახელმწიფოები კი ერიდებიან ნარჩენების დაგროვებას ან საკუთარ ტერიტორიაზე დამარხვას, რადგან მათგან მომდინარე საფრთხე მრავალი ათწლეული გრძელდება. საერთაშორისო კანონმდებლობით, არც ზღვაში შეიძლება მათი გადაყრა. ამიტომ განვითარებული ქვეყნები ცდილობენ, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ეს ნარჩენები განვითარებად, ძირითადად, აფრიკის ქვეყნებში გაიტანონ. ნარჩენების პირდაპირ ღია ცის ქვეშ დაყრას კოტ-დივუარის დედაქალაქის მახლობლად ათასობით ადამიანის დაავადება და რამდენიმეს სიკვდილიც მოჰყვა. მსოფლიოს ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავს, დაარეგულიროს ტოქსიკური და ბირთვული ნარჩენების გადაზიდვა და თავიდან აიცილოს კორუფციული, საიდუმლო გადაზიდვები, თუმცა ეს კვლავაც ხდება.

გარდა ანთროპოგენულისა, ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივმა ფაქტორებმაც. ასეთს მიეკუთვნება ვულკანის ამოფრქვევა (რომლის დროსაც დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგი გამოიყოფა), უდაბნოს ქარიშხლები, ტყის ხანძრები, გამოფიტვა და ცოცხალი ორგანიზმების ხრწნა. თუმცა ამ პროცესების უმეტესობა პერიოდულია და მათი წილი ატმოსფეროს დაბინძურებაში გაცილებით მცირეა, ადამიანურ ფაქტორთან შედარებით.

ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა ნამდვილად წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების სერიოზულ საზრუნავს. ამ საკითხზე არაერთი შეხვედრა და კონფერენცია გამართულა უმაღლეს დონეზე. ზემოთ ნახსენები კიოტოს პროტოკოლის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაც ხომ ატმოსფეროში მავნე გაზების ემისიის შემცირებაა, რაც გლობალური დათბობის პრობლემასთან ერთად ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ არის მიმართული. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამ ძალისხმევას დიდი შედეგები არ მოუტანია. ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ ამ ბრძოლაში პროგრესი არ შეინიშნება. წამყვანმა სახელმწიფოებმა ნამდვილად მიაღწიეს წარმატებას ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვადასხვა დამცავი საშუალების (მაგ., გამწმენდი ფილტრების) მასობრივი დანერგვით სამრეწველო საწარმოებსა და ტრანსპორტზე საგრძნობლად გაუმჯობესდა ჰაერის შემადგენლობა და მკვეთრად იკლო მავნე გაზებისა და მყარი ნაწილაკების კონცენტრაციამ განვითარებული ქვეყნების მთელ რიგ რეგიონებში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით განვითარებად სამყაროზე, განსაკუთრებით, ჩინეთსა და ინდოეთზე.

პრობლემის გამოსწორების ერთ-ერთი შესაძლო საშუალებაა საწვავის ტრადიციული სახეობების ჩანაცვლება ენერგიის არატრადიციული,

სუფთა და უნარჩენო სახეობებით, თუმცა ეს ძნელადგანსახორციელებელი და ძვირადღირებული სიამოვნებაა (იხ. თავი 7).

9.2. წყლის პრობლემები

გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყლის პრობლემებს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა მნიშვნელობა აქვს წყალს. დედამიწა იმით განსხვავდება ყველა სხვა პლანეტისაგან, რომ, წყლის არსებობის გამო, აქ სიცოცხლეა. სიცოცხლეც სწორედ წყალში ჩაისახა, და არ არსებობს არც ერთი ცოცხალი ორგანიზმი, რომლის შემადგენლობაშიც წყალი მთავარი კომპონენტი არ იყოს. წყალს უკავია დედამიწის ზედაპირის 71%, ის დიდი რაოდენობით არის ატმოსფეროში და მიწისქვეშ. მუდმივად მიმდინარე წყლის ბრუნვის პროცესის გამო, წყალი ამოუწურავ რესურსად მიიჩნეოდა და ერთი შეხედვით ასეცაა, მაგრამ ბოლო ათწლეულებში მიმდინარე ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ ეს ჭეშმარიტებაც ეჭქვეშ დააყენა, რადგან წყლის ხარისხის და მისი შემადგენლობის შეცვლამ შესაძლოა მისი გამოყენება სამეურნეო ცხოვრებასა და ყოფაცხოვრებაში შეუძლებელი გახადოს. ამის შემთხვევები ზოგან უკვე გვაქვს. ასევე სათუო გახდა წყლის, როგორც აღდგენადი რესურსის, უტყუარობა.

დედამიწის წყლის საერთო მასის 96% მსოფლიო ოკეანეზე მოდის, ანუ მარილიანი წყალია. მტკნარი წყალი წყლის მთელი მოცულობის 4%-ია. მათ შორის, 2% ანუ მტკნარი წყლის მასის ნახევარი მიწისქვეშა წყლებია; თითქმის ამდენივეა ანტარქტიკის და არქტიკის მყინვარებში არსებული წყალი. ხმელეთის წყლების (ტბები, ჭაობები, მდინარეები) წილი მხოლოდ 0, 02%-ია. ადამიანი, ძირითადად, იყენებს მდინარეების წყალს (სასმელად, სარწყავად, ტექნიკური და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის), რომელთა წილადაც მოდის წყლის საერთო მასის მხოლოდ 0, 006%.

წყლის პრობლემები შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ: **მტკნარი წყლის დეფიციტი, ხმელეთის წყლების პრობლემები და დაბინძურება, მსოფლიო ოკეანის პრობლემები.**

9.2.1. მტკნარი წყლის დეფიციტის პრობლემა

მტკნარი წყლის საერთო წლიური მოხმარება მთელ მსოფლიოში 4,5 ათასი კუბური კილომეტრია ანუ საშუალოდ ერთ ადამიანზე, დაახლოებით, 600 კუბური მეტრი. ეს 600%-ით მეტია იმასთან შედარებით, რაც

1950 წელს იყო. ამჟამად მტკნარი წყლის ხელმისაწვდომი მოცულობის 60% გამოიყენება. მიუხედავად ამისა, მტკნარი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემად რჩება. დღეში ადამიანის მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 2, 5 ლიტრი წყალი. თუმცა ამ მცირე რაოდენობის წყლითაც კი მსოფლიოს მთელი რიგი რეგიონების მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი.

მტკნარი წყლის და, პირველ ყოვლისა, მდინარეების უთანაბრო განაწილება დედამიწაზე (რაც, თავის მხრივ, კლიმატთან, განსაკუთრებით კი, ატმოსფერული ნალექების რაოდენობას უკავშირდება) განსაზღვრავს წყლის რესურსებით დაკმაყოფილების განსხვავებულ სურათს მსოფლიოში. როცა მტკნარი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფაზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ სასმელი წყლის რაოდენობასა და ხარისხს. ამ თვალსაზრისით, საერთო სურათი სახარბიელო ნამდვილად არ არის. მსოფლიოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი განიცდის ხარისხიანი სასმელი წყლის დეფიციტს, თუმცა, კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით, მკვეთრად განსხვავებული სურათი გვაქვს.

სასმელი წყლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ევროპა: კერძოდ, ჩრდილოეთ ევროპის (ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი) და ალპების (შვეიცარია, ავსტრია) ქვეყნები უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის სასმელი წყლით, ევროპის სხვა ქვეყნებში კი წყლის დეფიციტი, ამა თუ იმ ხარისხით, თითქმის ყველგან შეიმჩნევა. გაცილებით უარეს მდგომარეობაშია აზია დაა აფრიკა, სადაც სასმელი წყლის ნაკლებობა ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სერიოზული პრობლემაა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სასმელად იყენებს ისეთი ხარისხის წყალს, რაც ჯანმრთელობისათვის საშიშია.

პრობლემას ართულებს ადამიანის უკიდურესად ნეგატიური როლი. გლობალურმა დათბობამ, ტყეების გაჩეხამ, მიწის არასწორმა დამუშავებამ, რასაც გაუდაბნოების პროცესი მოჰყვა, და მდინარეების წყლების სარწყავად უკონტროლო გამოყენებამ მთელ რიგ რეგიონებში კატასტროფული ვითარება შექმნა. ბევრი პატარა მდინარე საერთოდ დაშრა, ხოლო უამრავი სარწყავი არხის გაყვანამ ისეთი დიდი და წყალუხვი მდინარეებიდან, როგორებიც ამუდარია და სირდარიაა, გამოიწვია ის, რომ ეს მდინარეები შესართავამდე, არალის ზღვამდე (ტბამდე) ვეღარ აღწევენ. ამის შედეგად, არალის ზღვა, რომლის ფართობიც 60-იან წლებში 68 ათასი კვადრატული კილომეტრი იყო, საერთოდ დაშრა, დღეისათვის სამი პატარა ტბის სახით შემორჩა და მომავალში ალბათ ისინიც გაქრებიან. ეს ნამდვილი ეკოლოგიური კატასტროფაა, რადგან

ამ მდინარეების ქვემო წელში და არალის ზღვის ყოფილ სანაპიროზე მცხოვრები მოსახლეობა იძულებულია სხვაგან გადასახლდეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ტერიტორია ეთნიკური ყარა-ყალპაკებით არის დასახლებული, რომლებსაც სხვა სამშობლო არ გააჩნიათ, ჩვენ წინაშე მთელი ერის ტრაგედიაა.

წყლის დეფიციტი არაერთხელ გამხდარა სახელმწიფოთაშორისო დაპირისპირებისა და კონფლიქტების მიზეზი. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლიანი კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის, მნიშვნელოვანწილად, წყლის რესურსებთანაც არის დაკავშირებული. ისრაელის მიერ ოკუპირებული გოლანის მაღლობები ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ისრაელის სასმელი წყლით მომარაგების თვალსაზრისით. ამით აიხსნება ისრაელის განსაკუთრებული ინტერესი, შეინარჩუნოს ეს ტერიტორია. ასევე პრობლემაა ის, რომ მდინარე იორდანეს, რომელიც მტკნარი წყლის მთავარი მიმწოდებელია რეგიონში, ისრაელი აკონტროლებს და გვალვიან პერიოდში პალესტინელები წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიან. მწვავედ დაუპირისპირდა ერთმანეთს ისრაელი და ლიბანი, როცა ამ უკანასკნელმა განიზრახა, სასმელი წყალი გადმოექაჩა უაზანის წყაროებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდინარე იორდანის წყლით მომარაგებაში. ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთკონფლიქტშიც მდინარე ინდის წყლის გამოყენების პრობლემა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. მსგავსი მაგალითების მოყვანა მსოფლიოს ბევრი რეგიონიდან შეიძლება.

მტკნარი წყლის დეფიციტი გლობალური პრობლემაა და მისი გადაჭრისათვის ბრძოლა გლობალურ ძალისხმევას მოითხოვს. 2000 წელს გაეროს ფარგლებში 193 სახელმწიფოსა და ოცზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღწეული ხელშეკრულებით – „ათასწლეულის განვითარების მიზნები“, რაც რვა მთავარი მიზნის მიღწევას და 21 ამოცანის გადაჭრას გულისხმობდა, ერთ-ერთი ის გახლდათ, რომ 2015 წლისთვის ორჯერ შემცირებულიყო იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდათ სუფთა სასმელ წყალსა და სანიტარულ-ტექნიკურ საშუალებებზე.

ამ მიზნის მიღწევა დიდ ხარჯებს და რთული ტექნიკური ღონისძიებების გატარებას უკავშირდებოდა. ამიტომ დასახული ამოცანის გადაჭრა ვერ მოხერხდა, მაგრამ მოსახლეობის იმ ნაწილის რიცხვი, რომელიც სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიდა, ნამდვილად შემცირდა.

ბევრი თვლის, რომ მტკნარი წყლის დეფიციტის აღმოფხვრის ყველაზე რეალური გზაა ზღვის წყლის გამტკნარება. მაგრამ ეს მეთოდი კიდევ უფრო ძვირადღირებული და ტექნიკურად რთულია, ვიდრე არტეზიული ჭების გაბურღვა ან მდინარიდან არხებითა თუ მილსადენებით

წყლის შორ მანძილზე გადატანა. მართალია, ასეთი გამამტკნარებელი ქარხნები უკვე ფუნქციონირებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში (განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ არაბულ ქვეყნებში), მაგრამ ამ მეთოდით სასმელი წყლის დეფიციტის სრული აღმოფხვრა წარმოუდგენელია.

კიდევ ერთი ნეგატიური მოვლენა, რაც ძალიან ამწვავებს მტკნარი წყლის დეფიციტის პრობლემას, არის მტკნარი წყლის ყველაზე ხელმისაწვდომი და გამოყენებადი საშუალების, ხმელეთის ზედაპირული წყლების (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად და, პირველ ყოვლისა, მათი დაბინძურება.

9.2.2. ხმელეთის ზედაპირული წყლების პრობლემები და მათი დაბინძურება

ხმელეთის ზედაპირულ წყლებს მიეკუთვნება მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, აგრეთვე – ჭაობები და მყინვარები. სწორედ ისინი მიწისქვეშა წყლებთან ერთად ქმნიან დედამიწაზე მტკნარი წყლის მთელ მარაგს. ამდენად, მტკნარი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა დიდად არის დამოკიდებული ზედაპირული წყლების მდგომარეობაზე და იმ ცვლილებებზე, რასაც ისინი განიცდიან, როგორც ბუნებრივი პროცესების, ისე ადამიანის ზემოქმედების შედეგად.

როცა ბუნებრივი პროცესების შედეგად ზედაპირული წყლების მდგომარეობის ცვლილებებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ პროცესებს, რომლებიც ადამიანის ზემოქმედების გარეშე ხდება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გაუდინარი ტბის თანდათანობითი დაჭაობება ან საერთოდ გაქრობა, მიწისძვრის ან მეწყრის გამო მთის ჩამოშლა და მდინარის კალაპოტის შეცვლა, ანდა მდინარის დაგუბება და ტბის გაჩენა, გრუნტის წყლების ზედაპირზე ამოსვლის შედეგად დაჭაობება და ა.შ. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ამ ცვლილებების მიზეზი პირდაპირ ან ირიბად ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევაა.

გლობალური დათბობის (რომლის მთავარი მიზეზიც ანთროპოგენურია) შედეგად საგრძნობლად შემცირდა მთის მყინვარების ფართობი, მათმა ინტენსიურმა დნობამ კი საგრძობლად გაზარდა ღვარცოფებისა და მეწყრების ალბათობა (გავიხსენოთ შოვის ტრაგედია 2023 წელს). გლობალური დათბობის მიზეზია ტბების დონის დაწევა და სარკის ზედაპირის შემცირება ისევე, როგორც მრავალი მდინარის წყლის ხარჯისა და დებიტის კლება.

დიდ სიფრთხილეს მოითხოვს ისეთი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა დიდი არსების გაყვანა და გიგანტური ჰესების მშენებლობა. ზემოთ უკვე ითქვა, თუ რა შედეგი მოუტანა ამუდარიას, სირდარიას და არალის ზღვას არხების გაჭრამ, და ეს მაგალითი გამონაკლისი არ არის. ჰესებზე დიდი კაშხლების მშენებლობა (განსაკუთრებით, მთიან რაიონებში) ასევე შეიცავს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიშროებას. ჯერ ერთი, წყლის დიდი მასის დაწოლა ქანებზე სეისმურად აქტიურ ადგილებში ზრდის მიწისძვრის და კაშხლის გასკდომის საფრთხეს, რაც საშინელი კატასტროფა იქნება. მეორეც, მდინარის მიერ ჩამოტანილი მყარი ნაშალი მასის დაგროვება კაშხალში ადრე თუ გვიან დასილავს და ამოავსებს მას, რის გაწმენდაც ძალიან ძვირი და ტექნიკურად რთულად განსახორციელებელია. გარდა ამისა, როცა ეს ნაშალი მასალა გროვდება კაშხალში და ვეღარ აღწევს შესართავამდე, ირღვევა წონასწორობა ზღვასა და ხმელეთს შორის: კერძოდ, თუ ზღვის დამანგრეველ მოქმედებას და ნაპირის წარეცხვას არ დაუპირისპირდება ჩამოტანილი მყარი მასალით ნაპირის (პლაჟის) „კვება“, ზღვის შემოტევას ვერაფერი შეაჩერებს და სანაპიროს წარეცხვაც შეუქცევადი გახდება. ცხადია, უაზრობა იქნება დიდი ჰესების მშენებლობაზე საერთოდ უარის თქმა, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინონ ჰესების მშენებლობის დროს; ისეთი გამოსავალი მოინახოს, რომელსაც მინიმალური ეკოლოგიური ზარალი და დიდი ეკონომიკური მოგება მოჰყვება **(მდგრადი განვითარება).**

მაგრამ მთავარი პრობლემა, რომელიც ხმელეთის ზედაპირულ წყლებს უკავშირდება, არის მათი დაბინძურება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, რაც სულ უფრო საშიშ მასშტაბებს აღწევს.

წყალში მავნე და დამაბინძურებელი ელემენტების მოხვედრა ჩვეულებრივი ამბავია და ყოველთვის ხდებოდა. იმის გამო, რომ რომ წყალს თვითგაწმენდის უნარი აქვს (მაგრამ გარკვეულ ფარგლებში), წყლის დაბინძურება წინა ისტორიულ ეპოქებში დიდ პრობლემებს არ ქმნიდა. მაგრამ ახლა, როცა ზედაპირულ წყლებში ხვდება დიდი რაოდენობით სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენი, როგორც თხევადი, ისე მყარი, თვითგაწმენდა შეუძლებელი გახდა და დაბინძურების ხარისხმაც კატასტროფულად იმატა.

ჩამდინარე წყლები, რომლებიც სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო გამოყენების შემდეგ ხვდებიან წყალსატევებში, ძირეულად ცვლიან წყლის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ შემადგენლობას და ხშირად გამოუსადეგარს ხდიან მას შემდგომი გამოყენებისთვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი კუბური მეტრი დაბინძურებული წყლის ჩადინება 60-ჯერ მეტი წყლის მოცულობის ეკოლოგიურ მდგომარეობას აუარესებს.

ევროპის ზოგმა მდინარემ, დაბინძურების მაღალი დონის გამო, დიდი ხანია დაკარგა სარეწაო მნიშვნელობა, ხოლო ზოგ მათგანში საერთოდ აღარ ბინადრობენ ბიოლოგიური ორგანიზმები. კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ის ტბები და წყალსაცავები, სადაც ასეთი მდინარეები ჩაედინება. მათი გამოყენება თევზჭერისა და რეკრეაციული მიზნებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

ზედაპირულ წყლებში ხვდება ათასობით ტოქსიკური ნივთიერება, რაც მკვეთრად აუარესებს წყლის მიკრობიოლოგიურ შემადგენლობას. შედეგი კატასტროფულია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიური დაავადებების შემთხვევათა უმთავრესი მიზეზი მოსახლეობის მიერ გამოყენებული წყლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი და ანტისანიტარული მდგომარეობაა.

წყლის დაბინძურების მთავარი წყაროა სათბობ-ენერგეტიკული (განსაკუთრებით, ნავთობგადამამუშავებელი), მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა. მრეწველობის ეს დარგები მოიხმარს დიდი რაოდენობით წყალს, რომელიც ნარჩენებით ბინძურდება და ჩაედინება მდინარეში. განსაკუთრებით საშიშია წყალში ისეთი მძიმე მეტალების მოხვედრა, როგორებიცაა ვერცხლისწყალი, კადმიუმი, ტყვია, თუთია, ქრომი. არანაკლებ საშიშია წყალში მოხვედრილი ნავთობი, პესტიციდები, ნიტრატები და ფოსფატები.

გარდა სამრეწველო ნარჩენებისა, ზედაპირული წყლების დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ბევრი მდინარე ნაგვითაა სავსე, რადგან სასოფლო დასახლებულ პუნქტებს ნაგავსაყრელი სწორედ მდინარის ნაპირებზე და ხევებში აქვთ მოწყობილი. მდინარეების ბიოლოგიურ დაბინძურებაში დიდია კანალიზაციის როლიც, რადგან თითქმის ყველა ქალაქის საკანალიზაციო ქსელი მდინარეს უერთდება.

გარდა ზედაპირული წყლებისა, სერიოზულ მასშტაბებს აღწევს მიწისქვეშა და გრუნტის წყლების დაბინძურება. ამ შემთხვევაში, მთავარი წყარო სოფლის მეურნეობაა. კერძოდ, ნიადაგში შეტანილი მინერალური სასუქები, კერძოდ, ნიტრატები და ფოსფატები, აგრეთვე – პესტიციდები, წვიმების შედეგადად, აღწევს გრუნტის წყლებამდე და აბინძურებს მათ. ასეთივე ნეგატიურ როლს ასრულებს ე.წ. მჟავე წვიმები. გრუნტის წყლები არა მხოლოდ მდინარეების საზრდოობის ერთერთი წყაროა, არამედ მოსახლეობისათვის სასმელი წყლით მომარაგების მნიშვნელოვანი ფაქტორიც.

ხმელეთის წყლების დაბინძურების პრობლემა კარგად აქვს გაცნობიერებული საერთაშორისო საზოგადოებას. ამ საკითხს არაერთი შეხვედრა მიეძღვნა და ერთობლივი თანამშრომლობის რამდენიმე ხელ-

შეკრულებასაც მოეწერა ხელი. შეიმჩნევა გარკვეული შედეგიც. განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყველა სამრეწველო საწარმოს აქვს წყლის გამწმენდი დანადგარები, ბევრ განვითარებად ქვეყანაშიც გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით. მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად, დაახლოებით, 800 კუბური კილომეტრი ჩამდინარე წყალი იწმინდება, თუმცა საბოლოო შედეგის მიღწევამდე ჯერ კიდევ შორია. მით უფრო, რომ, დაბინძურების მაღალი დონის გამო, ამ გაწმენდილი წყლების თითქმის მესამედის კვლავ გამოყენება მაინც შეუძლებელი და მიუღწეველია.

9.2.3. მსოფლიო ოკეანის პრობლემები

მსოფლიო ოკეანე, რომელიც აერთიანებს ოთხ ოკეანეს და მათ შემადგენლობაში მყოფ ზღვებს, იკავებს დედამიწის ზედაპირის 71 %-ს ანუ თითქმის სამჯერ მეტს, ვიდრე – ხმელეთი. მსოფლიო ოკეანეზე მოდის დედამიწაზე წყლის საერთო მოცულობის 96 %. ხოლო მსოფლიოს 193 სახელმწიფოდან მხოლოდ 40-მდე ქვეყანაა ისეთი, რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი გასასვლელი ოკეანეზე, მაგრამ ისინიც ამა თუ იმ ხარისხით უკავშირდებიან მას.

ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს ოკეანეებისა და ზღვების გრანდიოზულ როლზე კაცობრიობის ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ ოკეანე, მეტწილად, განსაზღვრავს ჰაერის შემდგენლობას და ხარისხს დედამიწაზე; მასზე მოდის დედამიწაზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების სახეობების აბსოლუტური უმრავლესობა. სიცოცხლე დედამიწაზე სწორედ ოკეანეში ჩაისახა; ამჟამად ოკეანის წილად მოდის ადამიანის ცილოვანი საკვების მეოთხედი, და ეს მაჩვენებელი მომავალში ბევრით გაიზრდება; ოკეანის ფსკერქვეშ თავმოყრილია მსოფლიოს მინერალური რესურსების დიდი ნაწილი, რომელთა მოპოვება და დამუშავება ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია, მაგრამ დიდი პერსპექტივა აქვს; მარტო ოკეანეების მიქცევა-მოქცევის ერთ ციკლს შეუძლია სრულად უზრუნველყოს კაცობრიობა ელექტროენერგიით; ოკეანეზე მოდის სახელმწიფოთა სატრანსპორტო გადაზიდვების და ტვირთბრუნვის 80 %-ზე მეტი; მსოფლიო ოკეანე მნიშვნელოვანი წყაროა დედამიწის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემის, მტკნარი წყლის, დეფიციტის გადასაჭრელად, ოკეანის წყლის გამტკნარების, აგრეთვე – აისბერგების ბუქსირების წყლით დეფიციტურ რეგიონებში. დაბოლოს, ოკეანე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გიგანტური საცავია, ერთგვარი „ნაგავსაყრელი“. ოკეანის წყლები თავისი

ფიზიკური და ქიმიური თვისებების წყალობით, ცოცხალი ორგანიზმების ბიოლოგიური ზემოქმედების შედეგად, შეიწოვს და წმენდს ამ ნარჩენების დიდ ნაწილს, მაგრამ ბოლო ათწლეულებში, სწრაფად მზარდი წარმოებისა და ნარჩენების მოცულობის მკვეთრი ზრდის გამო, აშკარა გახდა, რომ ოკეანე თვითგაწმენდის პროცესს ვეღარ უმკლავდება და უფრო და უფრო ბინძურდება. სწორედ ამიტომ ოკეანეების დაბინძურება იქცა ერთ-ერთ მთავარ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემად.

ოკეანის წყლების დაბინძურების დიდი ნაწილი მოდის მასში ჩამდინარე მდინარეებზე, რომლებსაც დიდი რაოდენობით ჩააქვთ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, საკმაოდ დიდია ატმოსფეროდან დაბინძურების წილიც, ხოლო მავნე და ტოქსიკური ნივთიერებების, დაახლოებით, 20 % უშუალოდ გემებიდან ხვდება წყალში.

ოკეანის მთავარი დამაბინძურებელი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. ყოველწლიურად მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი იღვრება ოკეანეში როგორც შელფზე არსებული ჭაბურღილებიდან გაჟონვის, ისე ტანკერებზე ან წყალქვეშა ნავთობსადენებზე ავარიების გამო, აგრეთვე – ტანკერების ტრიუმების გარეცხვის შედეგად. ამას თუ დავამატებთ ხმელეთიდან უშუალოდ ან მდინარეებიდან მოხვედრილი ნავთობპროდუქტების რაოდენობას, აშკარა გახდება ვითარების მთელი სიმძიმე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით – დიდი ტანკერების ავარიების დროს, ვაწყდებით ნამდვილ ეკოლოგიურ კატასტროფას. საკმარისია ითქვას, რომ, ტანკერებიდან ნავთობის ჩაღვრის გამო, რაც ყოველწლიურად ხდება და თანაც – არაერთხელ, ნავთობის ლაქა ფარავს ასობით კვადრატულ კილომეტრს, აზიანებს ოკეანის ეკოსისტემას და სანაპიროს მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც აისახება.

განსაკუთრეულ საშიშროებას წარმოადგენს ოკეანის რადიოაქტიური დაბინძურება. ათწლეულების განმავლობაში ბირთვული სახელმწიფოები რადიოაქტიურ ნარჩენებს ათავსებდნენ მეტალის კონტეინერებში, შემდეგ აბეტონებდნენ და ოკეანეში ყრიდნენ. ერთი შეხედვით, ასეთი მეთოდი საიმედოა და რადიოაქტიური დაბინძურების ხარისხიც უმნიშვნელო და ლოკალურია, მაგრამ არავინ იცის, რა შედეგს გამოიღებს დროთა განმავლობაში ამ კონტეინერთა დაშლა. გარდა ამისა, იყო რამდენიმე შემთხვევა ატომური წყალქვეშა გემების ჩაძირვისა, რაც ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ოკეანის წყლების რადიოაქტიური დაბინძურების თვალსაზრისით.

ოკეანეში ხმელეთის მდინარეებიდან ხვდება დიდი რაოდენობის პესტიციდი, რაც განსაკუთრებით საშიშია ოკეანის ფაუნისათვის. თევზების ორგანიზმში მოხვედრილი ეს ტოქსიკური ნივთიერება აავადებს მათ,

ხოლო დაავადებული თევზის საკვებად გამოყენება, სერიოზული საფრთხეა ადამიანისათვის. არანაკლებ საშიშია ოკეანის დაბინძურება მძიმე მეტალებით (ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი), რამაც გლობალური ხასიათი მიიღო და მძიმე შედეგები მოიტანა. სწორედ ამ მეტალების მოხვედრა თევზის და შემდეგ ადამიანის ორგანიზმში უკავშირდება ე.წ. მინამატის დაავადებას: ზარალდება სანაპირო რეგიონების მოსახლეობა, რომლის კვების რაციონშიც ზღვის პროდუქტებს დიდი ადგილი უკავია.

ჩამდინარე წყლებიდან ოკეანეში ხვდება მინერალური სასუქების, კერძოდ, აზოტისა და ფოსფორის დიდი რაოდენობა, რომელიც ამდიდრებს წყალს საკვები ნივთიერებებით. ეს იწვევს ერთუჯრედიანი ორგანიზმების დაჩქარებული გამრავლების პროცესს იმ დონეზე, რომ ფარავენ მზის სხივებს და ვერ აღწევენ სხვა ორგანიზმებამდე, რომლებიც იძულებულნი არიან, სხვა ადგილი ეძებონ. ამ მიგრაციის გამო ბევრი სახეობა იღუპება. ეს პროცესი ცნობილია „წყლის ყვავილობის“ სახელით.

ქიმიური და ტოქსიკური ნარჩენების გარდა, ოკეანის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა საყოფაცხოვრებო ნაგავი. განსაკუთრებით შემაშფოთებელ მასშტაბებს მიაღწია პლასტმასის და პოლიეთილენის ნარჩენებით დაბინძურებამ. ყოველწლიურად ოკეანეში ჩაედინება 2-2,5 მილიონი ტონა პლასტიკური ნივთიერება. მისი დიდი ნაწილი აზიისა და აფრიკის მდინარეებზე მოდის. ზოგი გამოთვლით, საუკუნის მიწურულს ოკეანეში არსებული პლასტიკური ნარჩენების მასა აჭარბებს ოკეანის თევზების საერთო წონას. ოკეანის დინებების მიმართულებიდან გამომდინარე, თავს იყრის პლასტმასის ნაგავი (ნაგვის ლაქები), აქედან – ორორი – წყნარ და ატლანტის ოკეანეში და ერთი – ინდოეთის ოკეანეში.

ამრიგად, აშკარაა, რომ მსოფლიო ოკეანის პრობლემები გლობალური ხასიათისაა და მათ გადასაჭრელად აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, მით უფრო, რომ ოკეანე საერთო საკუთრებაა.

ასეთ პირობებში გარდაუვალია ოკეანის რესურსების გამოყენების, აგრეთვე, მისი დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება. ამ მიზნით, შემუშავდა **გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ,** რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ოკეანის გარკვეულწილად „შემოსაზღვრის“ წესები. სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება სანაპიროდან 12 საზღვაო მილი – ნაოსნობისათვის და 200 მილი – თევზჭერისათვის, აგრეთვე – ფსკერზე არსებული წიაღისეულის მოპოვებისთვის. ამდენად, სახელმწიფოთა სუვერენიტეტი გავრცელდა ოკეანეების არც თუ მცირე ნაწილზე, მაგრამ ნეიტრალურ წყლებში სამეურნეო საქმიანობის ბევრი მხარე ჯერ კიდევ პრობლემაა.

9.3. მიწების დეგრადაცია და გაუდაბნოება

მიწა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია. სწორედ მიწაა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მთავარი ობიექტი, წარმოადგენს რა მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის უმთავრეს (თითქმის 95 %, ხოლო მთელ რიგ რეგიონებში – ერთადერთ) წყაროს. ამიტომ დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მიწის რესურსებით კაცობრიობის უზრუნველყოფის საკითხი. ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი მცირდება, რადგან მიწების ეს კატეგორია განიცდის დეგრადაციას ან გადადის სხვა სახის მიწების კატეგორიაში. შესაბამისად, მცირდება ერთ სულზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. შესაბამისად, მიწის რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა თავისი სიმწვავით არაფრით ჩამოუვარდება ზემოთგანხილულ კლიმატის და წყლის პრობლემებს.

9.3.1. მიწის ფონდი

დედამიწის მიწის ფონდი არის ყველა კატეგორიის მიწა, რომელთა ერთობლიობაც ჩვენი პლანეტის ხმელეთის მთელ ფართობს ქმნის.

ხმელეთის საერთო ფართობი 149 მილიონი კვადრატული კილომეტრია. ამაში შედის ანტარქტიდაც (14 მილიონი კვ.კმ), რომელიც მთლიანად ყინულით არის დაფარული. სწორედ ანტარქტიდის, გრენლანდიის (2,2 მილიონი კვ.კმ) და არქტიკული კუნძულების გამო, ხმელეთის 11 % მყინვარებზე მოდის (16, 3 მილიონი კვ.კმ). დედამიწის მიწის ფონდის სხვა, გამოუყენებელი და მცირედგამოყენებადი მიწების კატეგორიებს მიეკუთვნება არქტიკული და მაღალმთიანი უდაბნოები (3, 3%), ტუნდრა და ტყეტუნდრა (4, 7%), ჭაობები (2, 7%), უდაბნოები, კლდოვანი, ნიადაგს მოკლებული და ეროზირებული მიწები (12, 3%) და სხვა ნაკლებადპროდუქტიული მიწები (3%). როგორც ვხედავთ, ხმელეთის მთელი ფართობის 37 % სამეურნეო საქმიანობისათვის ან საერთოდ გამოუსადეგარია, ან მისი გამოყენების ხარისხი უკიდურესად მცირე და უმნიშვნელოა.

მიწის ფონდის 27% მოდის ტყეებზე. ეს მაჩვენებელი მუდმივად მცირდება ტყეების ინტენსიური გაჩეხის გამო. ხმელეთის წყლებს (ტბები, წყალსაცავები, მდინარეები) უკავია ხმელეთის 2, 1%. კიდევ 2% მოდის ქალაქებით, სამრეწველო საწარმოებით და სატრანსპორტო კომუნიკაციებით დაკავებულ მიწებზე. დანარჩენი 32% ანუ მესამედზე ნაკლები შეადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწებს, კერძოდ, 19% მოდის საძოვრებზე, სათიბებსა და ბუნებრივ მდელოებზე და 13 % დამუშავებულ მიწებზე ანუ სახნავ-სათესებსა და მრავალწლიან კულტურებზე.

დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ერთ სულზე მუდმივად მცირდება. 2023 წელს პლანეტის ერთ მცხოვრებზე მოდიოდა 0, 23 ჰექტარი დამუშავებული მიწა. ეს მონაცემები საგრძნობლად იცვლება კონტინენტების მიხედვით. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია ავსტრალია და ოკეანეთი, სადაც ერთ მცხოვრებზე თითქმის 2 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა მოდის მაშინ, როცა აზიაში ეს მაჩვენებელი – 0,15 ჰექტარს, ხოლო აფრიკაში 0,25 ჰექტარს არ აღემატება, არადა, სწორედ აზიისა და აფრიკის წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის ზრდის 80 %-ზე მეტი; სწორედ ამ ზრდის შედეგია ის, რომ ბოლო 50 წელში მოთხოვნილება სურსათზე ოთხჯერ გაიზარდა. არასახარბიელო მდგომარეობაა ევროპაშიც (0,28 ჰექტარი). შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ჩრდილოეთ და ლათინურ ამერიკაში (შესაბამისად, 0.65 და 0,5 ჰექტარი)

პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ, მოსახლეობის ზრდის გამო, სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფარდებითი ფართობი იკლებს, არამედ (და უფრო მეტად) ის, რომ აბსოლუტური მაჩვენებლები მცირდება. ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა გადადის მიწების სხვა კატეგორიაში. ერთი მხრივ, ეს გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო მიწების ტრანსფორმაციით საქალაქო და სამრეწველო მიწებად. ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პირობებში ეს ჩვეულებრივი და გარდაუვალი მოვლენაა, თუმცა ესეც პრობლემაა და გარკვეული ზომების მიღებას მოითხოვს, რათა რამენაირად მოხერხდეს დაკარგული სასოფლო-სამეურნეო მიწების კომპენსირება. გაცილებით სერიოზულია მეორე გამოწვევა, როცა ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები გამოუყენებელი და არაპროდუქტიული მიწების კატეგორიაში ინაცვლებს: ეს მიწების დეგრადაციასთან არის დაკავშირებული.

9.3.2. მიწების დეგრადაცია

მიწების დეგრადაცია გულისხმობს მიწის ფიზიკურ-ქიმიური სტრუქტურის შეცვლასა და მისი ნაყოფიერების შემცირებას, უმრავლეს შემთხვევაში კი – საერთოდ უნაყოფო და გამოუყენებელი მიწების კატეგორიაში გადასვლას. მიწების დეგრადაცია სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. ეს არის: ნიადაგის გამოფიტვა, ნიადაგის დაბინძურება, დაჭაობება, დამლაშება, ეროზია, გაუდაბნოება და სხვ.

ნიადაგის გამოფიტვა. ნიადაგის გამოფიტვას უწოდებენ ნიადაგის შემადგენლობის ისეთ ცვლილებას, რომელიც მისი ნაყოფიერების შემცირებას იწვევს. ეს პროცესი შეიძლება ბუნებრივიც იყოს, მაგრამ

უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ანთროპოგენურ ფაქტორებთან, კერძოდ, მიწის არასწორ დამუშავებასთან, ინტენსიურ ძოვებასთან, ტყეების გაჩეხასთან და ა.შ.

როცა სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობის ზრდა უკიდურესად შეზღუდულია და, მოსახლეობის სწრაფი მატების გამო, მუდმივად იზრდება მოთხოვნა აგრარულ პროდუქციაზე, კაცობრიობა იძულებულია გადავიდეს ინტენსიურ სოფლის მეურნეობაზე, რაც გულისხმობს მოსავლიანობის ზრდას, დამუშავებული მიწების ფართობის გაზრდის გარეშე, ანუ სულ უფრო მეტი პროდუქციის მიღებას ერთი და იმავე ფართობის ნაკვეთიდან. ამის მიღწევა ნიადაგში მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატების, სხვადასხვა ქიმიური ელემენტების შეტანითაა შესაძლებელი, აგრეთვე – ირიგაციის და სხვა მელიორაციული ღონისძიებების გატარებით. ყოველივე ეს საგრძნობლად ცვლის ნიადაგის შემადგენლობას. პირველ ხანებში მოსავლიანობა იზრდება, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე ნიადაგი „გადაიღლება“, კარგავს მთელ რიგ თვისებებს, იფიტება და მრავალწლიან დასვენებას საჭიროებს. ნაყოფიერების აღდგენის ძირითადი საშუალება ისევ მინერალური სასუქები, კერძოდ, ნიტრატები და ფოსფატებია. ამგვარად იქმნება ჩაკეტილი წრე, და ნიადაგი იმდენად იფიტება, რომ მინერალური სასუქების გარეშე მოსავალს აღარ იძლევა.

ნიადაგში შეტანილი პესტიციდები **ნიადაგის დაბინძურების** ძირითადი წყაროა. ნიადაგი დაბინძურებულად ითვლება, თუკი, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, ამა თუ იმ ქიმიური ელემენტის (განსაკუთრებით, ჯანმრთელობისთვის მავნე) შემცველობა აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც ბუნებრივად უნდა იყოს ნიადაგში. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის უკიდურესი იშვიათობაა დაუბინძურებელი ნიადაგი, რადგან სასუქებს და სხვა სახის შხამ-ქიმიკატებს, ამა თუ იმ ხარისხით, ყველგან იყენებენ.

მიწების დეგრადაციის გავრცელებული სახეა **დაჭაობება.** დაჭაობება გულისხმობს ახალი ჭაობების წარმოქმნას ნიადაგში ტენის დიდი რაოდენობის გაჩენის შედეგად. დაჭაობება ხშირად ბუნებრივი პროცესია, მაგრამ არც ისე იშვიათია, როცა ამ მოვლენის მიზეზი ადამიანია: კერძოდ, დაჭაობებას იწვევს არასწორი ირიგაცია, წყალსადენებიდან წყლის დანაკარგი, ხელოვნური წყალსაცავების დეგრადაცია და სხვა მსგავსი შემთხვევები. დაჭაობება სერიოზული პრობლემაა მთელ რიგ ქვეყნებში: მაგალითად, რუსეთში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის 20 % დაჭაობებულია. გარდა იმისა, რომ დაჭაობების შედეგად მწყობრიდან გამოდის მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა (რაც ისედაც დეფიციტს წარმოადგენს), სხვადასხვა დაავადებების წყა-

როც შეიძლება გახდეს, ჭაობების ამოშრობა კი ძალზე შრომატევადი და ძვირადღირებული საქმეა.

არასწორი სამეურნეო საქმიანობა შეიძლება გახდეს მიწების დეგრადაციის კიდევ ერთი სახის – **ნიადაგის დამლაშების** მიზეზი. დამლაშება, დაჭაობების მსგავსად, ძირითადად, ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ბოლო პერიოდში ადამიანური ფაქტორის ზრდის ტენდენცია ამ პროცესში აშკარაა. ნიადაგი დამლაშებულად ითვლება, თუ მასში მინერალური მარილების შემცველობის მაჩვენებელი მეტია დასაშვებ ნორმაზე და მავნეა მცენარეებისთვის (0, 25%-ზე მეტი). დამლაშების ხარისხის მიხედვით, ნიადაგი შეიძლება იყოს სუსტად, საშუალოდ და ძლიერად დამლაშებული. ნიადაგის სუსტად დამლაშების შემთხვევაშიც კი მოსავლიანობა მცირდება 25 %-ით, ძლიერი დამლაშების შემთხვევაში კი – 75-100 %-ით.

ნიადაგის ანთროპოგენური დამლაშების ძირითადი წყარო მორწყვის ან ამოშრობის პროცესებია. როცა მცენარე შეიწოვს წყალს, მასში გახსნილი მინერალური მარილების ნაწილი ნიადაგში რჩება, მათი დაგროვება კი ზრდის ნიადაგის მინერალიზაციის ხარისხს და იწვევს მის თანდათანობით დამლაშებას. მაღალი აორთქლების და წყლის ნაკლებობის პირობებში ეს პროცესი უფრო ინტენსიური ხდება. დამლაშება შეიძლება გამოიწვიოს სარწყავად მინერალიზებული წყლის გამოყენებამ. ბოლო წლებში დამლაშების ახალ წყაროდ იქცა ტყის ხანძრების დროს ავიაციის მიერ ზღვის წყლის გამოყენება.

ნიადაგის დამლაშება, ძირითადად, არიდული, გვალვიანი რეგიონების პრობლემაა. ცენტრალური აზიის ქვეყნებში დამლაშებულია დამუშავებული მიწების თითქმის ნახევარი. ამ პრობლემის წინააღმდეგ ერთიანი პროგრამის შემუშავება და განხორციელებაა საჭირო, თუმცა ამ მიმართულებით პროგრესი ნაკლებად შეიმჩნევა.

ძალიან სერიოზული (განსაკუთრებით, მთიან ქვეყნებში) პრობლემაა **ეროზია.** ეროზია არის ზედაპირული წყლების ნაკადის, აგრეთვე, ატმოსფერული ნალექების მიერ ქანების ნგრევისა და ნიადაგების ჩამორეცხვის პროცესი, რის შედეგადაც შიშვლდება ფერდობები, წარმოიქმნება ხრამები, ხევები, კანიონები და სხვა ზედაპირული ფორმები. მიწების დეგრადაციის ზემოაღნიშნული ფორმების მსგავსად, ეროზიაც ბუნებრივი და ანთროპოგენურია. ამ უკანასკნელის წილი მიმდინარე ეროზიულ პროცესებში სწრაფად იზრდება.

ანთროპოგენური წარმოშობისაა ეროზია, რომელიც მიწის არასწორი დამუშავების შედეგად არის განვითარებული. როცა ფერდობის დახრილობა 15 გრადუსზე მეტია, მისი დამუშავება მხოლოდ დატერასებით არის მიზანშეწონილი. სხვა შემთხვევაში ეროზიის პროცესი აუცი-

ლებლად განვითარდება. უფრო ნაკლები დახრილობის ფერდობებზეც კი ხნულები უნდა გატარდეს ჰორიზონტალური მიმართულებით, რომ წვიმამ არ ჩამორეცხოს. საკმარისია ითქვას, რომ 10 გრადუსიანი დახრილობის დამუშავებულ მიწაზე ეროზიის პროცესი 50-250-ჯერ სწრაფად ვითარდება, ვიდრე – იმავე დახრილობის ბალახიან ზედაპირზე, და 7 ათას-35 ათასჯერ უფრო სწრაფად, ტყით დაფარულ ფერდობებთან შედარებით. ამიტომ ტყის ჭრა მთიან ქვეყნებში უკიდურესად სარისკო საქმიანობაა, და უკეთესი იქნება, თუ მთის ტყეების ექსპლუატაცია შეიზღუდება. ეროზიის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ისეთი ტექნოგენური ფაქტორები, როგორებიცაა წიაღისეულის ღია წესით მოპოვება, წყალსაცავების მშენებლობა, გზების გაყვანა და სხვ.

ეროზია თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. განსაკუთრებით ზარალდებიან ამ მოვლენით მთიანი ქვეყნები. პრაქტიკულად ყველა მათგანში მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი (ზოგან ნახევარზე მეტი) ეროზირებულია. ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება ტყეების და მცენარეული საფარის ხელოვნური გაშენება და მათი დაცვა, აგრეთვე სწორი აგროტექნიკური და სამშენებლო საქმიანობაა, თუმცა ეროზია დღემდე მაინც რჩება სახელმწიფოების შიდა პრობლემად და ქვეყნების ერთობლივი ბრძოლა მის წინააღმდეგ უმნიშვნელო მასშტაბებისაა.

ეროზიისაგან განსხვავებით, მიწების დეგრადაციის ისეთი სახე, როგორიცაა **გაუდაბნოება,** ნამდვილად იქცა გლობალურ პრობლემად და მთელი კაცობრიობის საერთო საზრუნავად.

9.3.3. გაუდაბნოება

გაუდაბნოება არის არიდულ და ნახევრად არიდულ ანუ მშრალ და გვალვიან რეგიონებში მიწების დეგრადაცია, როცა ის კარგავს ნაყოფიერებას და უდაბნოდ იქცევა. უმრავლეს შემთხვევაში ეს პროცესი უდაბნოს შემოტევის სახით წარმოგვიდგება, როცა უდაბნოს ფართობი იზრდება და მისი მოსაზღვრე, ადრე – ნაყოფიერი, მიწები ქვიშით იფარება. ეს პროცესი განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს აღწევს აფრიკაში, საჰარის მოსაზღვრე რეგიონებში, ე.წ. საჰელის ქვეყნებში, რომელიც 14 ქვეყანას აერთიანებს და გადაჭიმულია ატლანტის ოკეანედან ინდოეთის ოკეანემდე. აქ ყოველწლიურად უდაბნო რამდენიმე კილომეტრით იწევს წინ. 1900 წლიდან დღემდე საჰარის უდაბნომ 250 კილომეტრით წაიწია წინ სამხრეთის მიმართულებით.

გაუდაბნოების გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი (კლიმატის ცვლილება, გვალვა, მცენარეების ხმობა), ისე

– ანთროპოგენური (მიწის არასწორი და ინტენსიური დამუშავება, საქონლის უსისტემო ძოვება, ტყის ჭრა და ა.შ.). ბოლო ათწლეულებში სწორედ ადამიანი გახდა გაუდაბნოების მთავარი ფაქტორი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 10 ათასი წლის განმავლობაში გაუდაბნოებული ტერიტორიის (2 მილიარდი ჰექტარის) 15 % ბოლო 50 წელზე მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ 10 ათასის წლის განმავლობაში უდაბნოს ფართობის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 0, 2 მილიონი ჰექტარი იყო, ბოლო 300 წლის განმავლობაში ამ მაჩვენებელმა 2, 3 მილიონი ჰა შეადგინა, ხოლო ბოლო 50 წლის განმავლობაში 6 მილიონამდე გაიზარდა. ყოველწლიურად, საშუალოდ, 6 მილიონი ჰექტარი ნაყოფიერი მიწის გაუდაბნოება, ცხადია, დიდი პრობლემაა.

გაუდაბნოება მხოლოდ იმ ქვეყნების და რეგიონების თავსატეხი რომდია, რომლებსაც ეს უშუალოდ ეხებათ. ის იქცა საყოველთაო, გლობალურ გამოწვევად და მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონს შეეხო. საკმარისია ითქვას, რომ დედამიწის მშრალ რეგიონებში ცხოვრობს 3 მილიარდზე მეტი კაცი, ამ რეგიონების მიწების თითქმის 20 % დეგრადირებულია და მათ სრული გაუდაბნოება ემუქრება. გაუდაბნოების საშიშროება მოიცავს ტერიტორიას, რომელზეც მილიარდზე მეტი კაცი ცხოვრობს. ეს ადამიანები იძულებული იქნებიან, სხვაგან გადასახლდნენ: მილიარდი არალეგალი მიგრანტი კი შეიძლება ნამდვილ კატასტროფად იქცეს მთელი მსოფლიოსათვის.

გაუდაბნოების პროცესმა, ამა თუ იმ ხარისხით, მოიცვა 10-12 მილიონი კვ.კმ ტერიტორია (უფრო მეტი, ვიდრე ევროპის ფართობია). მარტო აფრიკამ ბოლო 50 წლის განმავლობაში, გაუდაბნოების შედეგად, დაკარგა 650 ათასი კვადრატული კილომეტრი ნაყოფიერი მიწა, რაც გაცილებით მეტია საფრანგეთის ტერიტორიაზე.

გაუდაბნოების პროცესი იწვევს სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებსაც. ჯერ ერთი, იცვლება კლიმატი, მცირდება ტენის რაოდენობა ატმოსფეროში და იმატებს ტემპერატურა. მეორე, გაუდაბნოება იწვევს ქვიშის და მტვრის ქარიშხლებს. მარტო ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში მტვრის ემისიამ ჰაერში 25%-ით მოიმატა, რისი მიზეზიც ნიადაგში ტენის შემცირებაა. ყოველწლიურად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს გადაუვლის ხოლმე ქვიშიანი ქარიშხლები და უდაბნოდან მოტანილი ქვიშა და მტვერი დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას. მესამეც, გაუდაბნოება ძირეულად ცვლის მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს, მოისპო მცენარეების და ცხოველთა არაერთი სახეობა, რითაც გამოუსწორებელი ზიანი ადგება პლანეტის ბიომრავალფეროვნებას.

კიდევ უფრო მძიმეა გაუდაბნოების შედეგები მოსახლეობაზე. მსოფლიოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 45 % და პროდუქციის 60

% მშრალ, არიდულ რეგიონებზე მოდის, სადაც გაუდაბნოების საფრთხე რეალურია. ადვილი წარმოსადგენია, როგორი სასურსათო პრობლემები შეიქმნება, თუკი გაუდაბნოების პროცესის ინტენსივობა არ შემცირდა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ საჰელის ქვეყნებიდან ასეულობით მილიონი ადამიანის მიგრაცია სავსებით მოსალოდნელია, რადგან იქ, უდაბნოს შემოტევის გამო, ცხოვრება შეუძლებელი გახდება. ახლაც კი საჰელის ქვეყნები მსოფლიოს ყველაზე ღარიბი რეგიონია და თუ ამას დაემატება გაუდაბნოების პროცესი, ადვილი მისახვედრია, რა დღეში ჩავარდება მოსახლეობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გაუდაბნოება ძალიან სერიოზული, გლობალური პრობლემაა და მის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. რიო დე ჟანეიროს ს 1992 წლის „დედამიწის სამიტზე“ მიღებული „კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლისათვის“ ითვალისწინებს სოლიდურ ფინანსურ მხარდაჭერას და ერთობლივ პროექტებს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ მისი განხორციელება დიდ სირთულეებს უკავშირდება.

9.4. ტყეების და ბიომრავალფეროვნების პრობლემები

გლობალურ ეკოლოგიურ გამოწვევებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტყეების და ბიომრავალფეროვნების პრობლემებს. ტყეების პრობლემები, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ტყით დაფარული ფართობის სწრაფ შემცირებას დედამიწაზე ანუ **გაუტყეურობა (დეფორესტაცია)**, ხოლო ბიომრავალფეროვნების პრობლემები – მცენარეებისა და ცხოველთა მთელი რიგი სახეობების დაცვას აუცილებლობას, რადგან ბევრი სახეობის წარმომადგენელთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ზოგი სახეობა, საერთოდ, გაქრა და გადაშენდა. ტყეებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკანასკნელ ხანებში, რადგან ტყეებისა და ბიოლოგიური სახეობების შემცირების ტემპი კატასტროფულად იმატებს და გლობალურ პრობლემად იქცევა.

9.4.1. ტყის რესურსები

ტყის რესურსები გულისხმობს მერქნისა და ტყის სხვა პროდუქციის ერთობლიობას. ტყეების საერთო ფართობი დედამიწაზე შეადგენს, დაახლოებით, 4 მილიარდ ჰექტარს ანუ ხმელეთის 30 %-ზე ცოტა ნაკლებს.

გამოიყოფა ორი, თითქმის თანაბარი სიდიდის, ტყის სარტყელი: ჩრდილოეთის, სადაც, ძირითადად, ხის წიწვოვანი ჯიშებია გავრცელებული, და სამხრეთის, სადაც თითქმის მთლიანად ფოთლოვანი ტყეები გვხვდება.

ტყით დაფარული ტერიტორიის სიდიდით საგრძნობი განსხვავებაა მსოფლიოს დიდ რეგიონებს შორის. ამ თვალსაზრისით, გამოირჩევა ლათინური ამერიკა, ხოლო, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, რუსეთი, ბრაზილია, კანადა, აშშ, ინდონეზია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

რაც შეეხება ტყიანობას (ტყეებით დაფარული ფართობის წილი მთელი ტერიტორიის მიმართ), კონტინენტებს შორის ასევე ლათინური ამერიკა ლიდერობს, ყველაზე უტყეო კი ავსტრალიაა. ძლიერი ტყიანობით (50%-ზე მეტი) გამოირჩევიან ის ქვეყნები, რომლებიც ტროპიკული ტყეების ბუნებრივ სარტყელში მდებარეობს (სურინამი, გაიანა, ვენესუელა, მალაიზია, ინდონეზია, ლაოსი). მეორე ასეთი რეგიონი ტაიგის ბუნებრივი ზონაა (ფინეთი, შვედეთი, კანადა, რუსეთი). ყველაზე უტყეო ქვეყნები კი, ბუნებრივია, უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების ბუნებრივ ზონაში, არიდული კლიმატის სარტყელშია (ეგვიპტე, ლიბია, საუდის არაბეთი, კუვეიტი, თურქმენეთი).

სამხრეთის ტყეების აბსოლუტური უმრავლესობა ტენიანი, ტროპიკული ტყეებია. სწორედ მათ უწოდებენ დედამიწის ფილტვებს, რადგან ისინი წარმოადგენენ ჟანგბადის ძირითად წყაროს დედამიწაზე. ასეთი ტყეების ძირითადი ნაწილი მოდის ბრაზილიაზე (33%), ინდონეზიაზე (10%), კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე (10%), კოლუმბიაზე, მადაგასკარზე.

ზედმეტია ტყის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. გარდა ჟანგბადის ძირითადი წყაროსი, ტყეს აკისრია უზარმაზარი ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი ფუნქცია. ეს განსაკუთრებით ეხება მთის ტყეებს, რომლებიც საიმედო ფაქტორია, მეწყრული პროცესებისა და ზვავებისაგან დაცვის თვალსაზრისით. ტყე ბიოორგანიზმების მთავარი სასიცოცხლო გარემოა. მცენარეთა და ცხოველთა სახეობების უმრავლესობა ტყეს უკავშირდება. ტყე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ რეკრეაციულ რესურსს და დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის სფეროში, რომ არაფერი ვთქვათ მის მნიშვნელობაზე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში.

განსაკუთრებულად დიდია ტყის სამეურნეო მნიშვნელობა. ხე წარმოადგენს ადამიანის მიერ გამოყენებულ ერთ-ერთ მთავარ ბუნებრივ რესურსს, საშენ მასალას, ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ძირითად ელემენტს, ქაღალდის დამზადების მთავარ ნივთიერებას, ენერგიის წყაროს შეშის სახით, რომელიც ძირითადი სათბობი რესურსია მსოფლიოს მოსახლეობის მნიშველოვანი ნაწილისათვის. ერთი

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე დიდი რაოდენობით ხე-ტყესა და მისი დამუშავებით მიღებულ პროდუქციას მოიხმარს. მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში ხე-ტყეზე მოთხოვნილების მოცულობა სწრაფად იზრდება, მისი დაკმაყოფილებისათვის კი სულ უფრო და უფრო მეტი ტყის ჭრა ხდება საჭირო.

ტყეების, განსაკუთრებით კი, ტენიანი ტროპიკული ტყეების უსისტემო ჭრამ და მტაცებლურმა ექსპლუატაციამ გამოიწვია მათი ფართობის მკვეთრი შემცირება და წარმოშვა პრობლემა, რომელიც გაუტყეურების სახელით არის ცნობილი, და გლობალური გამოწვევაა.

9.4.2. გაუტყეურება (დეფორესტაცია)

გაუტყეურება ანუ ტყით დაფარული ფართობის შემცირება ტყის ჩეხის გამო ძალიან სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომელიც სულ უფრო მწვავდება და კაცობრიობას სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს. საკმარისია ითქვას, რომ ყოველწლიურად დედამიწაზე იჩეხება 15-18 მილიონი ჰექტარი ტყე, რაც თითქმის უტოლდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთო ფართობს და იმას ნიშნავს, რომ ყოველ წუთში, საშუალოდ, 2400 ხე იჭრება. შედეგიც კატასტროფულია. ახლა ტყით დაფარული ტერიტორიის ფართობი, დაახლოებით, 1/3-ია იმისა, რაც იყო ორი საუკუნის წინ.

ტყის ფართობის შემცირების, დაახლოებით, 20 % ხე-ტყის სამრეწველო ჭრის შედეგია, 60%-ზე მეტი ექსტენსიური სოფლის მეურნეობის (საძოვრების, სახნავის, მრავალწლიანი ნარგავები) „დამსახურებაა“, დანარჩენი კი ქალაქების ზრდის, ინფრასტრუქტურის განვითარების (საავტომობილო გზების, რკინიგზების გაყვანა), ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვების, წყალსაცავების მშენებლობის და სხვა ფაქტორების წილად მოდის. საგრძნობად მოქმედებს სტიქიური მოვლენები და ტყის ხანძრები.

ჩრდილოეთის სარტყლის წიწვოვანი ტყეების ინტენსიური ექსპლუატაციის გამო, გასულ საუკუნეებში მათი ფართობი საგრძნობლად შემცირდა. ბოლო რამდენიმე ათწლეულია, რაც ტყის ფართობი დასტაბილურდა. მეტიც: ფინეთსა და შვედეთში, მიუხედავად იმისა, რომ ხე-ტყის წარმოების მოცულობა არ შემცირებულა, ტყით დაფარული ფართობი იზრდება კიდეც ახალი, ხელოვნურად გაშენებული ტყეების ხარჯზე. გამონაკლისია რუსეთი, სადაც ჭრის მასშტაბები საგრძნობლად აღემატება ტყის აღდგენითი სამუშაოების მოცულობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთის ტყეების პრობლემა. მთის ტყეებს აკისრიათ წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი, აგრეთვე რეკრე-

აციული ფუნქცია. ამიტომ აქ მხოლოდ სანიტარული ჭრაა დასაშვები. მაგრამ ქვეყნების უმრავლესობაში ამას ყურადღებას არ აქცევენ და, უსისტემო ჭრის შედეგად, ტყვე მეჩხერდება და ფერდობი ხრიოკდება, რაც უკიდურესად ზრდის ზვავებისა და მეწყრების საშიშროებას, მიწის ჩამორეცხვის და ეროზიის განვითარების ალბათობას.

ყველაზე ცუდი მდგომარეობა სამხრეთის, ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეების სარტყელშია. მარტო აზიაში ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტყეების ფართობი თითქმის განახევრდა. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა ცენტრალურ ამერიკაში, ბრაზილიასა და აფრიკაში. არადა, სწორედ ტროპიკული ტყეებია ჟანგბადის ძირითადი წყარო დედამიწაზე. ამიტომ ტროპიკული ტყეების გაჩევა ცვლის მთელი პლანეტის ატმოსფეროს შემადგენლობას და გლობალური დათბობის ერთ-ერთი მიზეზია. ამ სახის ტყეების გაჩეხის წილად მოდის სათბურის გაზების, დაახლოებით, 20% და ატმოსფეროში ანთროპოგენური წარმოშობის ნახშირორჟანგის თითქმის მესამედი. უკიდურესად ნეგატიურია გაუტყეურობის გავლენა წყალბრუნვის რეჟიმზე, რადგან ტყის გაჩეხა იწვევს კლიმატის გამშრალებას, წყლის დებიტის შემცირებას მდინარეებში და წყლის შემცირებას წყალსატევებში. ყოველივე ეს კი ცვლის ნიადაგის შემადგენლობას და ამცირებს მის ნაყოფიერებას.

აღნიშნული გამოწვევების გამო, ტროპიკული ტყეების დაცვის პრობლემა იძენს გლობალურ ხასიათს და მათი გადარჩენა მთელი კაცობრიობის საზრუნავია. მხოლოდ ის ქვეყნები, რომელთა ტერიტორიაზეც ტროპიკული ტყეებია გადაჭიმული, ვერ გაუმკლავდებიან გაუტყეურობის გამოწვევას, მით უფრო, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, ისინი ეკონომიკურად სუსტი, განვითარებადი სახელმწიფოებია. ეს სისუსტე იყო (და, ნაწილობრივ, დღესაც არის) იმის მიზეზი, რომ, საკუთარი ბიუჯეტის გაზრდის მიზნით, მტაცებლურად ხდებოდა მათი მთავარი სიმდიდრის, ტყის, ექსპლუატაცია. ამით დაინტერესებული იყვნენ გლობალური ჩრდილოეთის (ცენტრის) მდიდარი სახელმწიფოებიც. ბუნების დაცვაზე არავინ ფიქრობდა.

დღეს მდგომარეობა შეცვლილია. განვითარებულმა სამყარომ გააცნობიერა, რა კატასტროფამდე შეიძლება მიგვიყვანოს ტყეების მტაცებლურმა ექსპლუატაციამ. რიო დე ჟანეიროს 1992 წლის „დედამიწის სამიტზე“ მიღებული „ტყეების პრინციპი“ წარმოაჩენს ტყის დაცვის ღონისძიებებს და მენეჯმენტს, რომელიც უნდა განახორციელონ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ტყეს ჭრიან საკუთარ ტერიტორიაზე.

განაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ბოლო ხანებში მდიდარი, განვითარებული ქვეყნები დიდი რაოდენობით თანხებს გასცემენ ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად, რათა ისინი გაუფრთხილდნენ

თავიანთ ტროპიკულ ტყეებს. შემუშავებულია პრინციპი „ვალი ბუნების სანაცვლოდ“, რაც იმას გულისხმობს, რომ ქვეყანას ჩამოეწეროს ვალი, თუ ის დასთანხმდება შეთანხმებას ტყეების დაცვის შესახებ. ამის პასუხად, მთელმა რიგმა ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება, შეზღუდონ ან სრულად შეწყვიტონ ტყის ჩეხა.

ტროპიკული ტყეების დაცვა იმ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ ის ასეული ათასობით მცენარის და ცხოველის სახეობის საცხოვრებელი გარემოა (ხმელეთის ბიოლოგიური სახეობების, დაახლოებით, 80%). შესაბამისად, ტროპიკული ტყის გაჩეხა აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ცოცხალ ბუნებას. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასამდე სახეობის ცხოველი გადაშენდა და ამდენივეს იგივე ბედი ელის მომდევნო ნახევარ საუკუნეში. ეს კიდევ ერთი გლობალური პრობლემის – **ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების** სიმწვავეზე მიუთითებს.

9.4.3. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები

ბიომრავალფეროვნება გულისხმობს დედამიწაზე არსებული მთელი ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობას. ის აერთიანებს გენეტიკურ მრავალფეროვნებას, სახეობათა მრავალფეროვნებას და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სახეობათა მრავალფეროვნებაზე.

სხვადასხვა მონაცემებით, ჩვენს პლანეტაზე მცენარეთა 350 ათასზე მეტი სახეობაა, ხოლო ცხოველთა სახეობების რაოდენობა 2 მილიონს აჭარბებს, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა (1.5 მილიონი) ფეხსახსრიანებზე მოდის. ამ სახეობების უდიდესი ნაწილი ტროპიკულ და ეკვატორულ ტყეებში გვხვდება. ამიტომ ბიომრავალფეროვნებით ის ქვეყნები გამოირჩევა, რომელთა ტერიტორიაც მთლიანად ან ნაწილობრივ ამ ზონაში მდებარეობს; ესენია: ბრაზილია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, კოსტა-რიკა, კონგო, მადაგასკარი, ინდონეზია, მალაიზია, ინდოეთი, ჩინეთი. განვითარებული ქვეყნებიდან ამ რიგში მხოლოდ ავსტრალია ხვდება. ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან.

ბიომრავალფეროვნება დედამიწის ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრეა და, ამდენად, კაცობრიობა ვალდებულია გაუფრთხილდეს ამ სიმდიდრეს და შეინარჩუნოს იგი. სამწუხაროდ, ადამიანის უკონტროლო ჩარევამ ბუნებაში და, განსაკუთრებით, ტყეების უსისტემო ჩეხამ, ჰაერისა და წყლის დაბინძურებამ, მტაცებლურმა თევზჭერამ როგორც ოკეანეებსა და ზღვებში, ისე ხმელეთის წყლებში, სხვადასხვა ცხოვე-

ლებზე უკანონო ნადირობამ ძალიან შეამცირა მთელი რიგი სახეობების რაოდენობა, ხოლო ზოგიერთი სახეობა საერთოდ მოისპო. ყოველივე ამან ბიომრავალფეროვნების დაცვა აქცია გლობალური ეკოლოგიური პრობლემების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

სახეობები ადრეც ქრებოდა. ეს ჩვეულებრივი ბიოლოგიური პროცესია, მაგრამ ბოლო სამი საუკუნეა, ამ პროცესის ძირითადი მიზეზი ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გახდა. ადამიანის მიერ ეკოსისტემების განადგურებისა თუ ცვლილებების გამო, სახეობათა მნიშვნელოვანი რაოდენობა უკვე განადგურებულია და საუკუნის ბოლომდე არსებული სახეობების თითქმის 30 %-ს ემუქრება გადაშენება. ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება. დადასტურებულია, რომ ბიომრავალფეროვნება სიცოცხლისუნარიანობის მთავარი მაჩვენებელია და გარემო პირობების მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში ამა თუ იმ მცენარის თუ ცხოველის გადარჩენის ალბათობა მით მეტია, რაც მეტად მრავალფეროვანია მათი სახეობები.

1992 წლის რიო დე ჟანეიროს „დედამიწის სამიტზე“ მიღებული „კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ მოუწოდებს ხელმომწერ ქვეყნებს, მაქსიმალურად გაუფრთხილდნენ ბუნებას და ქმედითი ღონისძიებები გაატარონ იშვიათი და გადაშენების გზაზე მყოფი ბიოლოგიური ორგანიზმების დაცვის მიზნით. აღნიშნულ კონვენციას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა შეუერთდა, ხუთიოდე ქვეყნის გამოკლებით (ამ გამონაკლისთა შორისაა აშშ-იც). პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი „წითელი წიგნი“, სადაც შეტანილია ის მცენარეები და ცხოველები, რომელთა ხელის ხლებაც არ შეიძლება: ისინი საგანგებო დაცვას ექვემდებარებიან. სწორედ ამ მიზნით იქმნება ეროვნული პარკები, ნაკრძალები და აღკვეთილები.

მაგრამ ბიომრავალფეროვნების დაცვა არც ისე მარტივია. ეს განსაკუთრებით ეხება ოკეანის ბიორესურსებს, რადგან ოკეანე არც ერთ ქვეყანას არ ეკუთვნის და იქ თევზის და სხვა ბიოორგანიზმების რეწვა საერთაშორისო სამართლით უნდა დარეგულირდეს. ეს მრავალ სირთულეს უკავშირდება, რადგან ბიომრავალფეროვნების დაცვა ხშირად ეჯახება სახელმწიფოებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკურ ინტერესებს.

კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ მოითხოვს მდიდარი ქვეყნებისგან, რომ დაცული ტერიტორიებიდან შემოტანილ, კომერციულად მომგებიან პროდუქტებში (მაგ., ტროპიკული ტყეების იშვიათი სახეობებიდან მოპოვებული ფარმაცევტული ნედლეული) გადაუხადონ კომპენსაცია ღარიბ ქვეყნებს. ასეთ შემთხვევაში ჩნდება საშიშროება, რომ დაზარალდება მწარმოებელი ფირმების ფინანსური ინტერესები,

განსაკუთრებით, ეს შეეხება აშშ-ს, რომელიც ბიოტექნოლოგიების სფეროში მსოფლიო ლიდერია. ამით უნდა ავხსნათ ის, თუ რატომ არ მოახდინა აშშ-მა ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის რატიფიცირება.

მსგავსი პრობლემაა ოკეანის ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისითაც. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა „ვეშაპზე ნადირობის საერთაშორისო კომისია“, კვოტებს აწესებს ვეშაპებზე ნადირობაზე და საერთოდ კრძალავს ზოგიერთ სახეობის რეწვას, მაგრამ სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, დაემორჩილონ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც არ იზიარებენ.

დელფინების დაცვის მიზნით შექმნილი „თინუსის ამერიკული კომისია“ ადგენს თინუსზე თევზაობის მეთოდებს, რომელიც უსაფრთხო იქნება დელფინებისთვის. ამასთანავე, აშშ-ის კანონმდებლობა ითხოვს, რომ მხოლოდ ასეთივე მეთოდით დაჭერილი თინუსის იმპორტირება განხორციელდეს ქვეყანაში. ამას სხვა ქვეყნები დაუპირისპირდნენ იმ მიზეზით, რომ ეს კანონი ეწინააღმდეგება თავისუფალ ვაჭრობას და შეუძლებელია ქვეყნებმა შიდა კანონმდებლობა გამოიყენონ გლობალური გარემოდაცვითი მიზნებისათვის. ასეთი დაპირისპირების მაგალითი ბევრია. ეს ცხადყოფს, რატომაა ხშირად არაეფექტური ის ღონისძიებები, რომლებიც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით ხორციელდება.

9.5. ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები

ეკოლოგიური პრობლემების ექსტრემალური გამოვლინებაა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები. ბუნებრივი კატასტროფები ანუ **სტიქიური უბედურებები** დამანგრეველი და გამანადგურებელი ბუნებრივი პროცესია, რომელშიც ადამიანის როლი ან საერთოდ არ არის, ან უმნიშვნელოა. ტექნოგენური კატასტროფების მიზეზი უშუალოდ ადამიანია: ამა თუ იმ ტექნიკური მიზეზით, ხდება დიდი ავარიები, რაც უზარმაზარ ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

9.5.1. ბუნებრივი კატასტროფები (სტიქიური უბედურებები)

ბუნებრივი კატასტროფები ანუ სტიქიური უბედურებები ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ბუნებრივი პროცესია, რომლის შედეგადაც ნადგურდება ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემო. ეს უმრავლეს შემთხვევაში იწვევს მსხვერპლს მოსახლეობაში. სტიქიური უბედურება

შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წამი ან წუთი (მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ზვავი), საათი (ღვარცოფი, ტორნადო), დღე (მეწყერი) ან თვე (წყალდიდობა, გვალვა).

სტიქიური უბედურებები, წარმოშობის მიხედვით, იყოფა გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ კატასტროფებად. ცალკე გამოყოფენ აგრეთვე ბუნებრივ ხანძრებს.

გეოლოგიური კატასტროფები დაკავშირებულია დედამიწის ქერქში მიმდინარე პროცესებთან. მათი ძირითადი სახეებია მიწისძვრა, ვულკანი, მეწყერი, ქანების ჩამოზვავება და მიწის ჩამოშლა; აგრეთვე ის ბუნებრივი პროცესები, რომლებიც გამოწვეულია როგორც გეოლოგიური (რელიეფის დახრილობა), ისე მეტეროლოგიური და ჰიდროლოგიური ფაქტორებით (ღვარცოფი, ზვავი).

მიწისძვრა. მიწისძვრა ერთ-ერთი ყველაზე კატასტროფული სტიქიური უბედურებაა. საკმარისია აღინიშნოს, რომ, მიწისძვრის შედეგად, დედამიწაზე ყოველწლიურად, დაახლოებით, 10 ათასი ადამიანი იღუპება.

მიწისძვრა დედამიწის ქერქში მომხდარი ქანების ტექტონიკური გადაადგილების შედეგად წარმოიქმნება. ამ მოვლენის ეპიცენტრიდან ვრცელდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ტალღები. მიწისძვრების აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან სუსტია და არც იგრძნობა, მაგრამ წელიწადში 20-მდე ისეთი სიძლიერის მიწისძვრა ხდება, რომლებიც ნგრევას და მსხვერპლს იწვევს.

მიწისძვრის პროგნოზირება შეუძლებელია. ერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ სავარაუდო მიწიძვრების ალბათობა მაღალია სეისმურად აქტიურ რეგიონებში, რომლებიც ახალგაზრდა მთების გავრცელების არეალს ემთხვევა (წყნარი ოკეანის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი სანაპირო და ალპურ-ჰიმალაური მთათა სარტყელი, აგრეთვე ოკეანის ფსკერის ცალკეული არეალები), მაგრამ კონკრეტულად სად და როდის მოხდება მიწისძვრა, ამის წინასწარმეტყველებას ვერავინ შეძლებს.

მიწისძვრა ის ბუნებრივი კატასტროფაა, რომლის გამოწვევაში ადამიანის როლი უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა მიწისძვრის მიზეზი ანთროპოგენურია: მაგ., მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება, სეისმურ რეგიონებში დიდი კაშხლების მშენებლობა, წიაღისეულის შახტური წესით მოპოვება და სხვ. თუმცა ანთროპოგენური მიწისძვრები ბევრად სუსტია, ბუნებრივთან შედარებით.

თავის მხრივ, მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა სტიქიური უბედურებებიც, კერძოდ, ვულკანის ამომფრქვევა, ზვავი, მეწყერი, ცუნამი. ზოგჯერ სწორედ ეს თანმდევი მოვლენები უფრო დიდ მსხვერპლს იწვევს, ვიდრე – თვით მიწისძვრა.

ისტორიიდან ცნობილია არაერთი კატასტროფული მიწისძვრა. 1556 წელს ჩინეთში, შენსის პროვინციაში მომხდარმა მიწისძვრამ 830 ათასი ადამიანი შეიწირა, ხოლო 1737 წელს კალკუტის (ინდოეთი) მიწისძვრამ – 300 ათასზე მეტი. უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში მომხდარ მიწისძვრებს შორის მსხვერპლის რაოდენობით გამოირჩევა 1976 წლის ჩინეთის (240 ათასი), 1988 წლის სომხეთის (25 ათასი), 1999 წლის თურქეთის (40 ათასი), 2004 წლის ინდოეთის ოკეანის (ცუნამის შედეგად, 230 ათასი), 2008 წლის ჩინეთის, კერძოდ, სიჩუანის (61 ათასი) და 2011 წლის იაპონიის (ცუნამთან ერთად 23 ათასი) მიწისძვრები.

ასეთი კატასტროფული მიწისძვრები არა მხოლოდ ერთი ქვეყნის უბედურება, არამედ გლობალური პრობლემაა, და საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად ებმება ხოლმე მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისთვის ბრძოლაში, ხოლო დაზარებული ქვეყანა დიდ ფინანსურ დახმარებას იღებს სხვა სახელმწიფოებისგან.

ვულკანები. ვულკანის ამოფრქვევა იშვიათი ბუნებრივი კატასტროფაა, მაგრამ მას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. არაერთი ქალაქი და ასობით სოფელი გაუნადგურებია ვულკანურ გავარვარებულ ლავას და ცოცხლად დაუმარხავს მოსახლეობა. გარდა თხევადი ლავისა, ვულკანიდან ამოიფრქვევა მყარი ნივთიერებები (ვულკანური ფერფლი, ქვები, ტალახი) და გამოიყოფა გაზი, კერძოდ, ნახშირორჟანგის უზარმაზარი რაოდენობა, რომლის მოცულობაც ბევრად აღემატება სამრეწველო საწარმოებისა და ტრანსპორტის მიერ დედამიწაზე წლიურად გამოყოფილი ნახშირორჟანგის მთელ მასას.

აფეთქების სიძლიერის მიხედვით, ვულკანები იყოფა შედარებით სუსტად (ისლანდიის, ჰავაის), ძლიერად (იტალიის ვულკანები – ეტნა, ვეზუვი, სტრომბოლი) და ძალიან ძლიერად (მონ პელე კუნძულ მარტინიკაზე კარიბის ზღვის რეგიონში, კრაკატაუ ინდონეზიაში, ნევადო დელ რუისი კოლუმბიაში). მონ პელეს ამოფრქვევამ 1902 წელს იმსხვერპლა 30 ათასი კაცი; დაახლოებით, ამდენივე იყო მსხვერპლი ნევადო დელ რუისის ამოფრქვევის შედეგად 1982 წელს, ხოლო კრაკატაუს ამოფრქვევამ 1883 წელს 40 ათასი კაცი შეიწირა. ამ უკანასკნელის აფეთქების ხმა ათასობით კილომეტრზე გაისმა, ხოლო ამოტყორცნილი ფერფლი 100 კილომეტრის სიმაღლეზე ავიდა და რამდენიმე წელი გარს უვლიდა დედამიწას. ეს ფერფლი მთელი წლის განმავლობაში ფარავდა მზეს ამოფრქვევის არეალში, ხოლო ვულკანის ამოფრქვევამ გამოიწვია მიწისძვრა და ცუნამი, რომელმაც რამდენიმე ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

ვულკანის ამოფრქვევა ის სტიქიური უბედურებაა, რომლის გამოწვევაშიც ადამიანს არანაირი ბრალი არ მიუძღვის და მთლიანად ბუნებრივი, გეოლოგიური პროცესია. ვულკანის ამოფრქვევის წინასწა-

რმეტყველებაც ხშირად შეუძლებელია, მაგრამ, მიწისძვრისაგან განსხვავებით, ზოგჯერ ვულკანის ამოფრქვევას წინ უსწრებს კრატერიდან ვულკანური კვამლის ამოსვლა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ვულკანმა გაიღვიძა და მოსალოდნელია ამოფრქვევა. ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებლობა, მოსახლეობამ მიიღოს წინასწარი ზომები და ხალხი უსაფრთხო ადგილზე გაიხიზნოს.

იმის გამო, რომ ვულკანის ამოფრქვევა იშვიათი მოვლენაა და ისიც – მხოლოდ იმ შეზღუდულ ტერიტორიებზე შეიძლება მოხდეს, სადაც მოქმედი ვულკანების გავრცელების არეალია, ერთი შეხედვით, ეს სტიქიური უბედურება არა გლობალურ, არამედ ლოკალურ პრობლემას უნდა წარმოადგენდეს. სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან ვულკანის ამოფრქვევის შედეგები ზოგჯერ ისეთი ფართო და ყოვლისმომცველია, რომ მათი ლიკვიდაცია მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით არის შესაძლებელი.

ქანებისა და მიწის ჩამოშლა ანუ ჩამოზვავება გეოლოგიური კატასტროფაა, რომელიც გამოიხატება ფერდობების ჩამოშლით სიმძიმის ძალის მოქმედებით, როცა ირღვევა წონასწორობა ქანების სიმძიმის ძალასა და მათი მდგრადობის შემაკავებელ ძალებს შორის. ამ მოვლენის მიზეზი შეიძლება გახდეს მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ნალექების დიდი რაოდენობა, აგრეთვე – ადამიანის საქმიანობა (აფეთქებები, გზების გაყვანა, წიაღისეულის მოპოვება).

ქანების ჩამოზვავებამ შეიძლება გამოიწვიოს დასახლებული პუნქტების განადგურება, ადამიანების მსხვერპლი, რელიეფის სახეცვლილება. უმრავლეს შემთხვევაში ფერდობების ჩამოზვავება მცირე მასშტაბისაა და მისი შედეგების ლიკვიდაცია ადგილობრივ დონეზე ხერხდება, მაგრამ გიგანტური მოცულობის მთის ქანებიც ჩამოიშლება ხოლმე: მაგალითად, 1911 წელს ტაჯიკეთში, მდინარე მურგაბის ხეობაში, ჩამოიშალა 2,2 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის მთის ქანი, რამაც დააგუბა მდინარე, წარმოიქმნა 567 მეტრის სიმაღლის კაშხალი და გაჩნდა სარეზის ტბა. საქართველოში მსგავსი წარმოშობისაა რიწის ტბა აფხაზეთში.

მეწყერი ბევრი მთიანი ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) ძალიან სერიოზული პრობლემაა, რომელიც ყოველწლიურად მატერიალურად აზარალებს ადამიანებს და ხშირად მსხვერპლსაც იწვევს.

მეწყერი წარმოიშობა დახრილ ფერდობებზე, სადაც წყალგამტარი ქანების ქვემოთ წყალგაუმტარი ქანია. ხშირი ნალექების შედეგად, წყალგამტარი ფენები იჟღინთება წყლით და მძიმდება, წყალი აღწევს წყალგაუმტარ ქანამდე, ასველებს მას და დახრილობის მიმართულებით იწყებს დენას. მცირდება ხახუნის ძალა და სველი მიწა ცურდება წყალგაუმტარ ქანზე. ყველაფერი, რაც მიწის ზედაპირზეა (ტყე, მინდორი,

სასოფლო სამეურნეო სავარგულები თუ ნაგებობები), მასთან ერთად მოძრაობს. ეს, ცხადია, იწვევს ნგრევას და მსხვერპლს.

2010-2024 წლებში მომხდარ კატასტროფულ მეწყერთაგან აღსანიშნავია 2011 წლის რიო-დე-ჟანეიროს მეწყერი (610 მსხვერპლი), 2014 წლის პუნეს (ინდოეთი) მეწყერი (151 მსხვერპლი), 2017 წლის მოკოას (კოლუმბია) მეწყერი (331 მსხვერპლი), 2024 წლის გოფას (ეთიოპია) მეწყერი (257 მსხვერპლი) და ვაიანადის (ინდოეთი) მეწყერი (420 მსხვერპლი).

ღვარცოფი ერთდროულად გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კატასტროფაა. ეს სტიქიური უბედურება დამახასიათებელია მთის მდინარეებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებსაც დიდი დახრილობა და ნაკლები სიგრძე ახასიათებთ. ღვარცოფი არის ისეთი წყალმოვარდნა, როცა ნაკადში მყარი ნივთიერებების (ქვა, კლდის ქანები, მიწა) წილი ძალიან დიდია და 40-50%-ს აღწევს. ღვარცოფის მიზეზი შეიძლება გახდეს უეცარი კოკისპირული წვიმა, თოვლის სწრაფი და ინტენსიური დნობა, მყინვარის მოწყვეტა (2023 წლის შოვის ტრაგედია საქართველოში) და სხვ. ტალახის და ქვა-ღორღის უზარმაზარი მასა ანადგურებს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება და უმეტეს შემთხვევაში მრავალრიცხოვან მსხვერპლს იწვევს მოსახლეობაში.

ღვარცოფის მიზეზი შეიძლება ადამიანის არასწორი სამეურნეო საქმიანობაც გახდეს: კერძოდ, მდინარის ხეობაში ტყის ჭრა აშიშვლებს ფერდობს, რის გამოც ხის ფესვები ვეღარ აკავებს ნიადაგს და ერთმა ძლიერმა წვიმამ შეიძლება მიწის დიდი მასა მდინარეში ჩაიტანოს. ეს ღვარცოფს წარმოქმნის.

ღვარცოფის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ ძვირადღირებულ საინჟინრო ნაგებობების მშენებლობას ითვალისწინებს (ღვარცოფშემაკავებელი კაშხლები, ღვარცოფგამტარი არხები და ა.შ.), თუმცა ღვარცოფის პროგნოზირება ძნელია და შედეგები ხშირად ტრაგიკულია.

ზვავი (იგულისხმება თოვლის ზვავი) არის სტიქიური უბედურება, რაც გამოწვეულია მთის ფერდობიდან თოვლის დიდი მასის უეცარი მოწყვეტით და მისი სწრაფი მოძრაობით დაქანების მიმართულებით.

ზვავის მოცულობამ შეიძლება შეადგინოს რამდენიმე მილიონი კუბური მეტრი, ხოლო სიჩქარემ წამში 50 მეტრს გადააჭარბოს. ზვავის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს ტემპერატურის უეცარი მატება (ზვავები ხშირად გაზაფხულზე ხდება), ძლიერი ხმაური, ტყის ჭრის გამო ფერდობის გაშიშვლება და სხვ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ზიანი მოაქვს ამ ბუნებრივ კატასტროფას. ზვავს ასობით დასახლებული პუნქტი გაუტანია და ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს. მარტო პირველ მსოფლიო

ომში 40 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაიღუპა ალპებში იმ მრავალრიცხოვანი ზავავების შედეგად, რაც ზარბაზნების ქუხილმა გამოიწვია.

ზავავებისაგან თავის დასაცავად სხვადასხვა ტექნიკური ღონისძიება ხორციელდება (დამცავი ნაგებობების მშენებლობა ზავასაშიშ ადგილებში), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, არანაირი მშენებლობა არ განხორციელდეს იმ ადგილებში, სადაც ზავავების ალბათობა მაღალია.

ჰიდროლოგიური კატასტროფები. ჰიდროლოგიური სტიქიური უბედურებებიდან აღსანიშნავია ცუნამი, წყალდიდობა და ლიმნოლოგიური კატასტროფა.

ცუნამი ჰიდროლოგიური კატასტროფაა, რომლის მიზეზიც გეოლოგიური ფაქტორი, კერძოდ, წყალქვეშა მიწისძვრაა. იშვიათად ცუნამის მიზეზი შეიძლება გახდეს წყალქვეშა მეწყერი ან წყალქვეშა ვულკანის ამოფრქვევა. მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც ოკეანის ფსკერის ქვეშაა, იწვევს ფსკერის მკვეთრ გადაადგილებას (აწევას ან დაწევას). ეს წარმოშობს გრძელ, გიგანტურ ტალღებს. ეს ტალღები, რომელთა სიმაღლე შეიძლება 40 მეტრიც კი იყოს, ნაპირთან შეჯახებისას რამდენიმე კილომეტრით იჭრება ხმელეთის სიღრმეში, გამანადგურებელი ძალით ანგრევს შენობა-ნაგებობებს, სპობს ბუნებას და სავარგულებს და იწვევს მრავალრიცხოვან მსხვერპლს. 2004 წლის 26 დეკემბერს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სანაპიროსთან, ინდოეთის ოკეანეში მომხდარმა მიწისძვრის შედეგად გამოიწვეულმა ცუნამმა 230 ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

ერთი შეხედვით, ცუნამი ბუნებრივი კატასტროფაა და ადამიანის როლი მის წარმოქმნაში საერთოდ არ უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ გამონაკლისიც ყოფილა: კერძოდ, წყნარ ოკეანეში აშშ-ისა და საფრანგეთის მიერ 50-70-იან წლებში განხორციელებული ბირთვული წყალქვეშა აფეთქებები ცუნამის წარმოშობის მიზეზი გახდა. წყალქვეშ ბირთვული აფეთქებების აკრძალვამ ეს საფრთხე პრაქტიკულად მოსპო, თუმცა ბუნებრივი ცუნამების საშიშროება, რასაკვირველია, რჩება, მით უფრო, რომ მათი წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

ცხადია, ცუნამის გამო გამოწვეული ზარალი იმდენად დიდია, რომ მისი შედეგების ლიკვიდაცია მთელი საერთაშორისო საზოგადოების საზრუნავია და, ამდენად, გლობალურ მნიშვნელობას იძენს.

წყალდიდობა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სტიქიური უბედურებაა, რომელიც უზარმაზარ მატერიალურ ზარალს და დიდი რაოდენობით მსხვერპლს იწვევს. არც ერთ სხვა ბუნებრივ კატასტროფას არ შეუწირავს იმდენი ადამიანის სიცოცხლე, რაც წყალდიდობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში წყალდიდობამ იმსხვერპლა 10 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე.

წყალდიდობა არის ხმელეთის წყლების დონის აწევა და, ამის შედეგად, დიდი ტერიტორიების დატბორვა. უმრავლეს შემთხვევაში წყალდიდობა გულისხმობს მდინარეების ადიდებას და კალაპოტიდან გადმოსვლას, თუმცა იგივე რამ შეიძლება მოხდეს ტბებსა და წყალსაცავებშიც; ზოგჯერ წყალდიდობა შესაძლოა ზღვის შემოტევამაც გამოიწვიოს.

წყალდიდობის, კერძოდ, მდინარეების ადიდების მიზეზია ძლიერი წვიმა და თოვლის სწრაფი დნობა, ხოლო ტბების და წყალსაცავების წყლის ნაპირებზე გადმოსვლა და ზღვის შემოტევა ქარიშხლებით გამოწვეული შტორმის შედეგია.

წყალდიდობა მდინარეებზე, როგორც წესი, სეზონურია. შესაბამისად, წყალუხვობის და წყალმცირობის პერიოდების წინასწარ განსაზღვრა არც ისე, რთულია და პრევენციული ზომების მიღებაც ჩვეული პრაქტიკაა. მაგრამ წყალდიდობის მასშტაბებს წინასწარ ვერ განსაზღვრავ, და სწორედ ამიტომ არის ასე ხშირი ტრაგიკული შედეგები. 1938 წელს მდინარე ხუანხეს ადიდებამ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 1998 წელს იანძის ნაპირებიდან გადმოსვლამ 14 მილიონი კაცი დატოვა უსახლკაროდ. 1970 წელს ძლიერმა შტორმმა, რომელმაც 10 მეტრიანი ტალღები წარმოშვა მდინარე განგის შესართავში, მდინარის წყალი უკან შეაბრუნა. ამის შედეგად, დაიტბორა 20 ათასი კვ. კმ და დაიღუპა 1,5 მილიონი კაცი.

წყალდიდობის მიზეზი ზოგჯერ ადამიანის საქმიანობა ხდება. ფერდობებზე ტყის ჭრის შედეგადად, უარესდება ტყის წყალშენახვითი ფუნქცია და წვიმების დროს წყლის დიდი მასა ჩაედინება მდინარეში, რაც წყალდიდობის მთავარი პირობაა. ზოგჯერ წყალდიდობა შეიძლება გამოიწვიოს არასწორად გაყვანილმა სანიაღვრე არხებმა. განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია კაშხლის გასკდომა. 1941 წელს დნეპრჰესის აფეთქების შედეგად კაშხლის გახეთქვამ 100 ათასზე მეტი ადამიანი დაახრჩო.

წყალდიდობისაგან უნდა გავარჩიოთ **წყალმოვარდნა**, რომელიც არასეზონური მოვლენაა. უეცრად მოსული კოკისპირული წვიმა მკვეთრად ამაღლებს მდინარის დონეს და დიდი ზიანი მოაქვს. მთის მდინარეებზე წყალმოვარდნა ხშირად ღვარცოფის სახეს იღებს.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი შედეგების ლიკვიდაცია გლობალური პრობლემაა და მსოფლიო თანამეგობრობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს.

ლიმნოლოგიური კატასტროფა ძალიან იშვიათი სტიქიური უბედურებაა, რომლის სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი. ამ კატასტროფის მიზეზია ტბის სიღრმიდან ზედაპირზე უეცრად ამოფრქვეული მომწამვლელი აირი, კერძოდ, ნახშირჟანგი (CO), რისი ამოფრქვევის მი-

ზეზიც შეიძლება იყოს ტბის ფსკერზე მიმდინარე პროცესი (მიწისძვრა, მეწყერი, ცუნამი). აირი წვება ტბის ზედაპირზე რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში (სანამ ქარი არ გაფანტავს) და იწვევს ადამიანების და ცხოველების მომენტალურ სიკვდილს. ბოლო ასეთი კატასტროფა მოხდა 1986 წლის 21 აგვისტოს კამერუნში, ნიოსის ტბაზე, როცა უეცრად დაიღუპა 1746 ადამიანი და 3500-ზე მეტი პირუტყვი. უფრო ნაკლები მასშტაბის ლიმნოლოგიური კატასტროფები მომხდარა აღმოსავლეთ აფრიკაში, აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიასა და საფრანგეთში. როგორც ვარაუდობენ, ასეთი კატასტროფა მოსალოდნელია შავ ზღვაშიც, რაც საშიშროების წინაშე აყენებს მის მოსაზღვრე ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოს).

მეტეოროლოგიური კატასტროფები. მეტეოროლოგიურ კატასტროფებს მიეკუთვნება ქარიშხლის სხვადასხვა სახეობა (ქარბორბალა, ტორნადო, ციკლონი, ტაიფუნი, ქარბუქი), კოკისპირული წვიმა (თქეში), სეტყვა, გვალვა.

ქარიშხალი მეტეოროლოგიური სტიქიური უბედურებაა, რომელსაც დიდი მატერიალური ზარალი მოაქვს და ხშირად საკმაოდ დიდ მსხვერპლსაც იწვევს. გარდა ამისა, ქარიშხალი სხვა სტიქიური უბედურებების მიზეზიც ხდება (ღელვა, წყალდიდობადა სხვ.)

ქარიშხლის სახეობებს შორის განსაკუთრებით ზიანის მომტანია **ქარბორბალა (სმერჩი).** ქარბორბალა ძლიერი გრიგალია, რომელიც ვერტიკალურად ვრცელდება ღრუბლებიდან დედამიწის ზედაპირამდე და მას ამოტრიალებული ძაბრის ფორმა აქვს. ქარბორბალა სიმაღლით რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე კილომეტრამდეა, სადაც ქარის მოძრაობა წრიულია (უფრო ხშირად – საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით). ქარის ბრუნვის სიჩქარემ შეიძლება 100 მ/წმ-ს გადააჭარბოს. ასეთი ძალის გრიგალი ანგრევს ყველაფერს და ჰაერში იტაცებს ნაგებობების ნამსხვრევებს, ხეებს, ცხოველებს, ადამიანებს, ნიადაგის ზედა ფენას, წყლის დიდ მასას (ოკეანეზე) და რამდენიმე კილომეტრზე გადააქვს. ქარბორბალა ყველგან შეიძლება წარმოიქმნას, მაგრამ განსაკუთრებით ხშირია აშშ-ის სამხრეთ შტატებში – **ტორნადოს** სახელწოდებით. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში აშშ-ში 15 ისეთი ტორნადო დაფიქსირდა, როცა თითოეულ მათგანს 100-ზე უფრო მეტი ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო მატერიალურმა ზარალმა რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ციკლონი ატმოსფეროს ჰაერის მასების წრიული მოძრაობაა, როცა ჰაერი მაღალი წნევის არიდან (პერიფერიები) დაბალი წნევის არისაკენ (ცენტრი) გადაადგილდება. ციკლონი შეიძლება დიდ ტერიტორიაზე გავრცელდეს (მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტი). ციკლონისთვის

დამახასიათებელია უხვი ნალექი და ქარი. ციკლონი ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური მოვლენაა და თავისთავად სტიქიურ უბედურებად ვერ ჩაითვლება . მაგრამ ზოგჯერ ტროპიკებში წარმოშობილი ციკლონი, რომელიც შედარებით მცირე მოცულობისაა, მაგრამ წნევათა შორის სხვაობა ძალიან დიდია, იწვევს ძლიერ გრიგალს და ხანგრძლივ კოკისპირულ წვიმებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებული ციკლონები, რომლებიც დასავლეთით გადაადგილდება და ჩინეთის, იაპონიის, ინდოჩინეთისა და ინდოსტანის ნახევარკუნძულების ნაპირებს ატყდება თავს. ეს ტროპიკული ციკლონი **ტაიფუნის** სახელწოდებით არის ცნობილი. წელიწადში 25-30 ტაიფუნს აქვს ადგილი, რომელთაც დიდი ზარალი და მსხვერპლი მოსდევს ხოლმე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1970 წლის13 ნოემბრის ტაიფუნი, რომელმაც ბანგლადეშსა და ინდოეთში 300 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.

ქარბუქი ანუ თოვლიანი ქარიშხალი მეტეოროლოგიური მოვლენაა, როცა ძლიერი ქარი ჰაერში იტაცებს თოვლს მიწის ზედაპირიდან და გადააქვს სხვა ადგილზე. ამის შედეგია ნამქერის წარმოქმნა, რომელმაც შეიძლება სახლები დაფაროს და ადამიანები თოვლში დამარხოს. ქარბუქი სხვადასხვა სიძლიერისაა. ძლიერი ქარბუქის დროს (მით უმეტეს, თუ მას ინტენსიური თოვაც ერთვის) ნორმალური ცხოვრების ტემპი ფერხდება და ზოგჯერ საგანგებო მდგომარეობის შემოღება ხდება საჭირო.

ქარიშხლის კიდევ ერთი სახეობაა **ქვიშიანი და მტვრიანი გრიგალი,** რომელიც წარმოიქმნება უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს (ზოგჯერ სტეპის) ბუნებრივ ზონებში. ასეთი გრიგალი ხშირია ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში და, ძირითადად, საჰარისა და არაბეთის უდაბნოებიდან უბერავს. ამ ტიპის გრიგალები ძირითადად სეზონურია (მაგ., **სამუმი** და **ხამსინი**) და მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს მათი დაწყების დრო და ხანგრძლივობა, მაგრამ ზოგჯერ არაპროგნოზირებადი გრიგალებიც გვხვდება. ქვიშიანი და მტვრიანი ქარიშხლების დროს ჰაერში ატაცებული ქვიშის და მტვრის ნაწილაკები უკიდურესად აძნელებენ მხედველობას და აფერხებენ თვითმფრინავების და ავტომობილების მოძრაობას, იწვევენ დიდი ტერიტორიის ქვიშით დაფარვას (გაუდაბნოება), ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ძალიან ზრდის ჰაერის ტემპერატურას (40-დან 50 გრადუსამდე). შესაბამისად, ზარალიც მნიშვნელოვანია, და ეს მარტო იმ ქვეყნებს არ ეხება, სადაც უდაბნოს ქარიშხლებია.

სხვა მეტეოროლოგიური კატასტროფებიდან აღსანიშნავია **სეტყვა**, რომელიც უზარმაზარ ზიანს აყენებს ნათესებს და მრავალწლიან ნარგავებს, განსაკუთრებით, ვენახს. სეტყვა, ძირითადად, ზომიერ და სუბტროპიკულ ზონებში გვხვდება, ძირითადად, მთებით გარშემორტყმულ

ქვაბულებში, როცა ცხელი ჰაერი სწრაფად ადის ზევით, წყლად ქცევას ვერ ასწრებს, პირდაპირ იყინება და ყინულის მარცვლების სახით მოდის მიწაზე. ზოგჯერ სეტყვის მარცვლები ისეთი ზომისაა, რომ საფრთხეს უქმნის ადამიანთა და ცხოველთა სიცოცხლეს. შესაბამისად, არც თუ მცირეა სეტყვით დაღუპულ ადამიანთა რიცხვი. სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური ბევრ ქვეყანაშია შექმნილი, თუმცა ეფექტი ნაკლებია.

დიდი ზიანის მომტანია ხანგრძლივი **კოკისპირული წვიმები,** რომლებმაც შეიძლება წყალდიდობა გამოიწვიოს (აქ უშუალოდ წვიმის შედეგს ვგულისხმობთ და არა – ადიდებული მდინარეების ნაპირებზე გადმოსვლას) და ხანგრძლივად მოშალოს ნორმალური ცხოვრების რიტმი, გამოიწვიოს ნგრევა და მსხვერპლი. იგივე შეიძლება ითქვას **ინტენსიურ თოვაზე,** რასაც ხშირად შეუქმნია სერიოზული პრობლემები და კვირობით მოუწყვეტია დასახლებული პუნქტები გარე სამყაროსათვის; ზოგჯერ მძიმე შედეგები მოაქვს **ჭექა-ქუხილს,** კერძოდ, მეხის ჩამოვარდნას, რაც არაერთხელ გამხდარა ადამიანების სიკვდილის და დიდი ხანძრის მიზეზი.

მეტეოროლოგიურ კატასტროფებს უნდა მივაკუთვნოთ **ძლიერი ყინვა,** რომელსაც უამრავი ნათესი და ნარგავი გაუნადგურებია, მწყობრიდან გამოუყვანია სამრეწველო საწარმოები (პირველ ყოვლისა, ჰიდროელექტროსადგურები) და ათასობით ადამიანი უმსხერპლია. ძლიერი ყინვა პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს ზომიერ (ხანდახან სუბტროპიკულ) სარტყლებში და დიდი მატერიალური ზიანი მოქვს.

კიდევ უფრო დიდი კატასტროფაა **გვალვა**. უკანასკნელ ათწლეულებში გლობალური დათბობის ფონზე გვალვა ნამდვილ ეროვნულ უბედურებად იქცა მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. გვალვის მთავარი ნიშანია წყლის დეფიციტი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მეტეოროლოგიური (ნალექების შემცირება), ჰიდროლოგიური (მდინარეების, წყალსატევების თუ მიწისქვეშა წყლების შემცირება ან საერთოდ დაშრობა) და ადამიანური (ტყის ჩეხა, მდინარის კალაპოტის შეცვლა და ა.შ.) ფაქტორებით.

გვალვა შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე, თუმცა ბოლო პერიოდში საჰელის ქვეყნებში გვალვა წლების განმავლობაში გრძელდება. ამან გამოიწვია მილიონობით ჰექტარი მიწის გაუდაბნოება, წყლის უკიდურესი დეფიციტი, მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მკვეთრი გამწვავება. ამიტომ გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა გლობალური პრობლემაა და, მისი მავნე შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ყოველწლიურად მილიონობით დოლარი იხარჯება.

გვალვის ერთ-ერთი შედეგია კიდევ ერთი სტიქიური უბედურება – ***ბუნებრივი ხანძრები:*** კერძოდ, ტყის, მინდვრის და ტორფის ხანძრები.

ტყის ხანძრები გავრცელებული სტიქიური უბედურებაა, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ბუნებას და დიდ მატერიალურ ზარალთან არის დაკავშირებული. ტყის მასივების და ცხოველთა სამყაროს განადგურების გარდა, ტყის ხანძარი შეიძლება გადავიდეს დასახლებულ პუნქტებზე და ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვიოს. ტყის ხანძრების მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ანთროპოგენური (დაუდევრობა, გაუფრთხილებლობა), ისე ბუნებრივი (გვალვა, მეხი, იშვიათად – ვულკანის ამოფრქვევა და მეტეორის ჩამოვარდნა).

ბუნებრივი ტყის ხანძრები, ძირითადად, მშრალი კლიმატის რეგიონებს ახასიათებს (ავსტრალია, აფრიკა, სამხრეთი ევროპა, აშშ-ის სამხრეთი და დასავლეთი, ინდოეთი). მნიშვნელობა აქვს ტყის ასაკსაც. ახალგაზრდა ტყეში ხანძრის გაჩენის ალბათობა ნაკლებია, ვიდრე – დაბერებულ ტყეში, სადაც გამხმარი ხეების წილი მაღალია.

ყოველწლიურად დედამიწაზე რამდენიმე ათასი ტყის ხანძარი იფეთქებს ხოლმე და მილიონობით ჰექტარი ტყე იწვება. ბოლო ათწლეულების ტყის დიდი ხანძრებიდან უნდა აღინიშნოს 2019-2020 წლების ავსტრალიის (განადგურდა 18 ათასი კვადრატული კილომეტრი ტყე), 2019-2020 წლების ამაზონის ჯუნგლების (ბრაზილია) ხანძარი, რომელმაც 10 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის ტყე გაანადგურა, 1987 წლის ჩინეთის (მდინარე ამურისპირა) ტყის ხანძარმა მოიცვა 73 ათასი კვადრატული კილომეტრი და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც გადავიდა, ხოლო რუსეთში მხოლოდ 2018 წელს, ხანძრების შედეგად, სულ 15 ათასი კვადრატული კილომეტრი ტყე განადგურდა.

დიდი მოცულობის ტყის ხანძრის შემთხვევაში ცალკეული სახელმწიფო (განსაკუთრებით, პატარა ქვეყნები) უძლურია, საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს სტიქიას. ასეთ დროს ეს ბუნებრივი კატასტროფა გლობალურ პრობლემად აღიქმება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო საქმე ხდება.

მინდვრის ხანძრები, ძირითადად, მშრალი სტეპებისთვის არის დამახასიათებელი. გვალვის დროს ხმელ ბალახს ადვილად უჩნდება ცეცხლი. ცხადია, მთავარი მიზეზი ადამიანია. ერთმა გადაგდებულმა ანთებულმა სიგარეტმა ან ასანთის ღერმა შეიძლება ისეთი ხანძარი გამოიწვიოს, რომელმაც ბალახეული საფარის ათასობით ჰექტარი გაანადგუროს. მაგრამ ხშირად მინდვრის ხანძრის მიზეზი, ტყის ხანძრის მიზეზის მსგავსად, ბუნებრივია: კერძოდ, მეხი და, განსაკუთრებით, ძლიერი გვალვა, როცა შესაძლებელია თვითაალება.

ტორფის ხანძრები ჩნდება ისეთ ადგილებში, სადაც ტორფიანი ნიადაგია (მათ შორის, ყოფილი ჭაობები). გვალვის დროს სულ პატარა

შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს ტორფის წვა. ტყის და მინდვრის ხანძრებისაგან განსხვავებით, ტორფი ნელა იწვის, ბოლავს და გარემო კვამლში ეხვევა. იმის გამო, რომ აქ ცეცხლის აშკარა კერები ძნელი შესამჩნევია, ხანძრის ჩაქრობა გართულებულია, და შეიძლება თვეები გაგრძელდეს. 1972 წელს, ცხელი და უნალექო ზაფხულის გამო, მოსკოვის გარშემო ტორფის ხანძარი გაჩნდა, რომელმაც მოიცვა 35 ათასი ჰექტარი ტორფნარი. ქალაქი კვამლში გაეხვია, მკვეთრად გაუარესდა ხილვადობა და იმატა გულით და ფილტვების დაავადებულთა სიკვდილიანობამ. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. 70 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას იმ ხანძრის ჩაქრობაში, რომელიც ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

9.5.2. ტექნოგენური კატასტროფები

ტექნოგენურ კატასტროფებში იგულისხმება ისეთი კატასტროფები, რომელთა ერთადერთი მიზეზიც ადამიანის საქმიანობაა. ფართო გაგებით, ტექნოგენურ კატასტროფებს მიეკუთვნება ყველა შემთხვევა, რომლებიც გამოწვეულია ტექნიკური მიზეზებით, მათ შორის – სატრანსპორტო საშუალებების (თვითმფრინავი, ავტომობილი, მატარებელი, გემი) ავარიებით, აფეთქებებით, შენობების, გვირაბების, ხიდების ჩამონგრევით და ა.შ. მაგრამ ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ იმ ტექნოგენურ კატასტროფებზე, რომლებმაც, ადამიანთა მსხვერპლის გარდა, გამოიწვია სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები და დიდი ზიანი მიაყენა გარემოს.

ბირთვული და რადიაციული კატასტროფები. განსაკუთრებით საშიშ ტექნოგენურ კატასტროფებს მიეკუთვნება ავარიები ატომურ ელექტროსადგურებზე და ისეთ სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებებს უკავშირდება. ყველასათვის ცნობილია ის უმძიმესი შედეგები, რაც 1945 წელს იაპონიის ქალაქებში – ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ამერიკული ბირთვული ბომბების ჩამოგდებამ გამოიწვია. საბედნიეროდ, შემდეგ ბირთვული იარაღი საომარ მოქმედებათა დროს აღარასოდეს გამოუყენებიათ და ამით კაცობრიობამ თავიდან აიცილა ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი და დიდი ეკოლოგიური კატასტროფა, მაგრამ არც ატომის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენების დროს ვართ დაზღვეული ბირთვული და რადიაციული კატასტროფებისაგან.

ერთ-ერთი ასეთი კატასტროფა იყო 1957 წელს ჩელიაბინსკის (რუსეთი) ერთ-ერთ დახურულ, საიდუმლო ქარხანაში მომხდარი აფეთქება და რადიაციის გაჟონვა (*კიშტიმის ავარია*). ამ კატასტროფამ, რუსეთის ოფიციალური მონაცემებით, 200 კაცი იმსხვერპლა, თუმცა ალბათ

მსხვერპლი 6 ათას კაცამდე იყო, ხოლო რადიაციული დასხივება 270 ათასმა კაცმა მიიღო. უზარმაზარი ზიანი მიადგა გარემოსაც.

ჩერნობილის კატასტროფა, რომელიც 1986 წელს უკრაინაში, ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ გამოიწვია, იყო ყველაზე დიდი ავარია ატომურ ენერგეტიკაში და კაცობრიობის ისტორიაში – ერთადერთი მეშვიდე დონის აფეთქება (ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო შკალის მიხედვით). უშუალოდ აფეთქების შედეგად, 50 კაცი დაიღუპა, ხოლო მიღებული რადიაციული დასხივებით – 4 ათასზე მეტი. რადიაციულმა ღრუბელმა დააბინძურა თითქმის მთელი ევროპა (განსაკუთრებით, სკანდინავია), რადიაციულად დაბინძურდა მდინარე დნეპრი და, როგორც ამის შედეგი, შავი ზღვაც. ელექტროსადგურიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის რადიუსით მდებარე ყველა ქალაქის და სოფლის მოსახლეობა ევაკუირებული იქნა და იქ ცხოვრება დღემდე არ აღმდგარა.

დიდი ბირთვული კატასტროფა იყო 2011 წელს იაპონიაში, *ფუკუშიმას* ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარია. ამ ავარიის მიზეზი არ იყო წმინდა ტექნიკური, (აფეთქება ან რეაქტორის დაზიანება). ის გამოწვეული იყო მძლავრი მიწისძვრითა და ცუნამით. ამის შედეგად, რადიაციამ გაჟონა. განხორციელდა 165 ათასი ადამიანის სასწრაფო ევაკუაცია. ქმედითი და კარგად ორგანიზებული სამაშველო ოპერაციების წყალობით, მსხვერპლი თითქმის არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, იაპონიის მთავრობამ ჩათვალა, რომ სეისმურ ზონაში ატომური ელექტროსადგურის არსებობა არ არის უსაფრთხო, და 2013 წელს ფუკუშიმას ელექტროსადგური დახურა.

სამრეწველო და სამშენებლო ავარიები, რომლებსაც მძიმე ეკოლოგიური შედეგები მოაქვს, ტექნოგენური კატასტროფების ხშირი და გავრცელებული ფორმაა. გარემოს განსაკუთრებულად აზიანებს ავარიები ქიმიურ საწარმოებში, როდესაც მომწამვლელი გაზები ჟონავს და ატმოსფეროს დაბინძურებამ შეიძლება ადამიანების დიდი მსხვერპლი გამოიწვიოს. ამ თვალსაზრისით, უდიდეს ტექნოგენურ კატასტროფას მიეკუთვნება 1984 წელს ინდოეთში მომხდარი *ბჰოპალის კატასტროფა,* როცა ქალაქ ბჰოპალის ქიმიური ქარხანიდან ჰაერში გაიჟონა 42 ტონა ძლიერტოქსიკური გაზი. ამის შედეგად, დაიღუპა 18 ათასი კაცი. დაზარალებულთა საერთო რაოდენობამ 600 ათას კაცს მიაღწია. ისტორიაში ეს არის ყველაზე დიდი მსხვერპლი, რაც ტექნოგენურ კატასტროფას ოდესმე მოჰყოლია.

სამშენებლო ავარიებიდან, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს 1975 წელს ჩინეთში მომხდარი *ბანციაოს კაშხლის* გახეთქვა. ეს კატასტროფა ტექნოგენური იმდენად არის, რამდენადაც კაშხალი ხელოვნურ ნაგებობას წარმოადგენდა. კატასტროფის უშუალო მიზეზი ტაიფუნი და კოკისპირული წვიმები იყო. ამიტომ ბანციაოს კატასტროფას ხშირად წყალდიდობად მიიჩნევენ, რადგან მსხვერპლი თითქმის მთლიანად კაშხლის გახეთქვის შედეგად გამოწვეულმა წყალდიდობამ გამოიწვია. ჩინეთის

კომუნისტური მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში მალავდა კატასტროფის მასშტაბებს. ამიტომ დაღუპულთა ზუსტი რიცხვი უცნობია და, სხვადასხვა მონაცემებით, მერყეობს 22 ათასიდან 230 ათასამდე.

ტექნოგენური კატასტროფების გავრცელებული ფორმაა **ნავთობის დაღვრა,** რომელსაც რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ერთი მათგანია *ავარიები ჭაბურღილებზე,* როცა ნავთობის დიდი მასა იღვრება ხმელეთზე ან ზღვაში (თუ ჭაბურღილი შელფზეა). განსაკუთრებით კატასტროფული იყო 1990-91 წლების სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების დროს კუვეიტის ნავთობის ჭაბურღილების დაბომბვის შედეგად გაჩენილი ხანძრები და ნავთობის დიდი მასის დაღვრა ხმელეთზე და ყურეში. მიახლოებითი გათვლებით, 5 მილიონ ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი ჩაიღვარა ზღვაში, რამაც გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზარალი გამოიწვია, ხოლო ჭაბურღილებზე ხანძარი 10 თვე გრძელდებოდა, რაც ატმოსფეროს გაბინძურების მძლავრ მიზეზად იქცა.

მშვიდობიან დროს ნავთობის ჭაბურღილების ავარიებიდან უდიდესია 2010 წელს აშშ-ში, მექსიკის უბის ნაპირებთან, ჭაბურღილ „დიიპვატერ ჰორიზონზე“ მომხდარი კატასტროფა, როცა ოკეანეში ჩაიღვარა 570 ათასი ტონა ნავთობი; აგრეთვე – ავარია ჭაბურღილ „იქსტოკზე“ (მექსიკა) 1979 წელს, რამაც ოკეანეში 450 ათასი ტონა ნედლი ნავთობის ჩაღვრა გამოიწვია.

ოკეანის ნავთობით გაბინძურების მიზეზი საკმაოდ ხშირად ნავთობმზიდ *ტანკერებზე მომხდარი ავარიებია.* ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მასშტაბური იყო 1979 წლის ივლისში ტრინიდადის და ტობაგოს ნაპირებთან ორი გიგანტური ტანკერის შეჯახება, რის გამოც ოკეანეში 287 ათასი ტონა ნავთობი ჩაიღვარა. ასევე, ტანკერების კატასტროფის შედეგი იყო ნავთობის ჩაღვრა სამხრეთ აფრიკის ნაპირებთან 1983 წლის აგვისტოში (252 ათასი ტონა), საფრანგეთში, ბრეტანის ნაპირებთან 1978 წლის მარტში (223 ათასი ტონა), იტალიაში, გენუას მახლობლად, 1991 წლის აპრილში (144 ათასი ტონა) და სხვ.

მჟავური წვიმაც ტექნოგენურ კატასტროფებს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან მისი მიზეზი სამრეწველო საწარმოებიდან და ტრანსპორტიდან გამონაბოლქვი გაზების გამო ატმოსფეროში გოგირდისა და აზოტის მჟავების შემცველობის მატებაა. მჟავური წვიმა გულისხმობს ყველა სახის ნალექს: აღნიშნული მჟავების მაღალი კონცენტრაციის გამო, შემცირებულია წყალბადის მაჩვენებელი (pH).

მჟავური წვიმა ატმოსფეროს დაბინძურების აშკარა გამოვლინებაა და სერიოზულ პრობლემად იქცა ინდუსტრიული რეგიონებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოების დიდი რაოდენობაა. მაგრამ, ჰაერის მასების მუდმივი გადაადგილების გამო, ხშირია შემთხვევები, როცა მჟავური წვიმები იმ რეგიონებსაც აზიანებს, სადაც ასეთი საწარ-

მოები არ არის და დაბინძურების კერა ასობით კილომეტრით არის დაშორებული. ამიტომ იქცა მჟავური წვიმები გლობალურ პრობლემად და საყოველთაო საზრუნავად.

მჟავური წვიმებისაგან გამოწვეული ზარალი ძალიან დიდია. უდიდესი ზიანი ადგება მცენარეებს და ცხოველებს და უკიდურესად მძიმედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამერიკელი სპეციალისტების გამოთვლებით, მჟავური წვიმებით მიყენებული ზარალი მხოლოდ აშშ-ის აღმოსავლეთ რაიონებში წელიწადში 20 მილიონ დოლარზე მეტია და საუკუნის განმავლობაში საერთო დანაკარგები ათ მილიარდ დოლარს მიაღწევს, საიდანაც დიდი ნაწილი მოსავლის შემცირების შედეგი იქნება, ნაწილი კი ტყეების განადგურებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული დანახარჯის წილად მოვა.

ამჟამად მჟავური წვიმების მთავარ კერად ის განვითარებადი ქვეყნები იქცნენ, სადაც ბოლო ხანებში მრეწველობა სწრაფად ვითარდება, მაგრამ დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლას ნაკლები ყურადღება ექცევა. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, ჩინეთი და ინდოეთი უნდა აღინიშნოს.

კიდევ ერთი ტექნოგენური კატასტროფაა **სმოგი.** სმოგი წარმოადგენს კვამლისა და ჭვარტლისაგან გამოწვეულ შავ, სქელ ნისლს, რომელიც დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრების თავზე პერიოდულად ჩამოწვება ხოლმე ისეთ დღეებში, როცა ჰაერის მასები არ იძვრის და მათი ცირკულაცია არ მიმდინარეობს. შესაბამისად, სმოგს ქარი ფანტავს.

სმოგის წარმოქმნის მიზეზი ავტომობილების და ქარხნების გამონაბოლქვია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია ნახშირის დიდი რაოდენობით წვა. შემთხვევითი არ არის, რომ სმოგი პირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში აღინიშნა ლონდონში, რომლის მოსახლეობაც საწვავად მხოლოდ ნახშირს იყენებდა. ბოლო ათწლეულებში ნახშირის ჩანაცვლებამ სხვა, ეკოლოგიურად უფრო სუფთა სათბობით, შეამცირა სმოგის რაოდენობა, მაგრამ, ავტომობილების რიცხვის ზრდის გამო, საერთო შედეგი დიდად არ იგრძნობა.

სმოგს დიდი ეკოლოგიური ზიანი მოაქვს და, პირველ ყოვლისა, ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახება უარყოფითად, ხოლო ძლიერი და ხანგრძლივი სმოგი მსხვერპლსაც იწვევს: მაგალითად, 1952 წლის 5-9 დეკემბერს სმოგმა ლონდონის 12 ათასი მცხოვრები შეიწირა, ასეულობით ადამიანი იმსხვერპლა 1953 წლის ნიუ იორკის და 2005 წლის თეირანის სმოგებმა.

ზოგადად, უკანასკნელ წლებში განვითარებულ სამყაროში სმოგების როგორც რიცხვი, ისე სიძლიერე შემცირდა, რაც ქარხნების გამონაბოლქვ გაზებზე ჰაერის დამცავი ფილტრების დაყენების, ეკოლოგიურად უფრო სუფთა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების და ტრანსპორტში ელექტროავტომობილების ხვედრითი წილის ზრდის შედეგია.

თავი 10. გლობალური სოციალური პრობლემები

10.1. სასურსათო პრობლემები და სიღარიბე

10.1.1. სურსათით უზრუნველყოფისა და შიმშილის პრობლემა

გლობალურ სოციალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და შიმშილთან ბრძოლის პრობლემა.

სასურსათო პრობლემა ალბათ ყველაზე ძველი გლობალური გამოწვევაა. შიმშილი, როგორც სასურსათო პრობლემის უკიდურესი გამოვლინება და უდიდესი სოციალური უბედურება, არაერთხელ დასტყდომია თავს კაცობრიობას ისტორიის ყველა ეტაპზე. საკმაოდ მწვავედ დგას შიმშილის საფრთხე თანამედროვე მსოფლიოშიც, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში.

დედამიწის დღევანდელი სასურსათო პოტენციალი, მთლიანობაში, საკმარისია მთელი მისი მოსახლეობის გამოსაკვებად. ყოველწლიურად იწარმოება იმდენი მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ხორცი და რძე, რომ, ერთი შეხედვით, სურსათის ნაკლებობა არ უნდა იგრძნობოდეს. მიუხედავად ამისა, მასობრივი შიმშილი მთელ რიგ რეგიონებში (განსაკუთრებით, აფრიკაში) არც თუ იშვიათი მოვლენაა. მიზეზი კი ისაა, რომ პრობლემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობიდან არ გამომდინარეობს და დამოკიდებულია მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა სახის გლობალურ საკითხზე.

შიმშილი, როგორც წესი, ორი ძირითადი ფორმით ვლინდება: პირველი ქრონიკული შიმშილია ანუ არასაკმარისი კვება, როცა ორგანიზმი ვერ იღებს საჭირო რაოდენობის ნივთიერებებს, იფიტება, სუსტდება და ადვილად ხდება სხვადასხვა ავადმყოფობის მსხვერპლი. ამ ფორმას ზოგჯერ ნახევარშიმშილს უწოდებენ და ის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მუდმივი თანამგზავრია. მეორე ფორმაა სრული შიმშილია, რაც ექსტრემალურ მოვლენებთან არის დაკავშირებული (მოუსავლიანობა, გვალვა, წყალდიდობა, ომი და ა.შ.) და მოსახლეობის მასობრივ სიკვდილს იწვევს.

როცა სრულფასოვან კვებაზეა ლაპარაკი, გულისხმობენ კვების იმ სამედიცინო ნორმებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანისათვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ადამიანის კვების საშუალო დღიურმა ნორმამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 2400-2500 კილოკალორია. ბოლოხანს სულ უფრო ხშირად გვხვდება სხვა ნორმა – 2700-2800 კოლოკალორია (თუმცა გასაგებია, რომ ეს მონაცემი შეი-

ძლება იცვლებოდეს სქესის, ასაკის, საქმიანობის, ბუნებრივი პირობების და სხვა ფაქტორების მიხედვით). თუ დღიურმა ნორმამ შეადგინა 1800 კილოკალორიაზე ნაკლები, უკვე არასრულფასოვანი კვების ანუ ნახევარშიმშილის მაჩვენებელია, ხოლო 1000 კილოკალორია კრიტიკული ზღვარია და სრულ შიმშილზე მიგვანიშნებს. გარდა კილოკალორიების რაოდენობისა, სრულფასოვანი კვების აუცილებელი პირობაა კვების რაციონის ნორმალური სტრუქტურა: კერძოდ, ადამიანმა დღეში უნდა მიიღოს არანაკლებ 100 გრამი ცილა (პირველ ყოვლისა, ცხოველური წარმოშობის), აგრეთვე – ცხიმის, ნახშირწყლის და ვიტამინის განსაზღვრული ოდენობა. თუ რომელიმე მათგანის რაოდენობა ნაკლებია ნორმაზე, კვება უკვე არასრულფასოვნად ითვლება.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, 2018 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 30%-ის კვების დღიური ნორმა 1800 კილოკალორიაზე ნაკლები იყო. კიდევ 20% იღებდა კალორიების საკმარის რაოდენობას, მაგრამ განიცდიდა ცილების დეფიციტს. ამგვარად, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი არასრულფასოვნად იკვებება, ხოლო მათი რიცხვი, ვინც სრულ შიმშილს განიცდის ან მის ზღვარზეა, 550 მილიონი კაცით განისაზღვრებოდა. 2023 წლისთვის ამ მაჩვენებელმა კიდევ უფრო მოიმატა და 733 მილიონი კაცი შეადგინა.

არასრულფასოვანი კვება და შიმშილი თითქმის მთლიანად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის თანამდევი მოვლენაა. მართალია, განვითარებულ ქვეყნებშიც გვხვდება მოსახლეობის გარკვეული ფენები, რომლებიც არასრულფასოვნად იკვებებიან, მაგრამ ეს პრობლემა იქ არ დგას. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, განვითარებული სამყაროს ერთი მცხოვრები დღეში იღებს 3600 კილოკალორიას (მათ შორის, 1200 კილოკალორიას ცხოველური პროდუქტებიდან). უკანასკნელ წლებში აქ სხვა ტენდენცია შეიმჩნევა. თანამედროვე მედიცინის მოთხოვნების საფუძველზე, მოსახლეობა ცდილობს შეზღუდოს მაღალკალორიული საკვების (პურ-ფუნთუშეული, ხორცი, შაქარი, ცხოველური ცხიმები და ა.შ.) მიღება და უპირატესობა მიანიჭოს მცენარეულ პროდუქტებს (ხილს და ბოსტნეულს).

10.1.2. სასურსათო პრობლემა და განვითარებადი ქვეყნები

ფაქტია, რომ სასურსათო პრობლემა, ძირითადად, განვითარებად ქვეყნებთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის გარკვეული წარმატებები, რომლებსაც მესამე სამყაროს სახელმწიფო-

ებმა მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სურსათით მომარაგებაში. განვითარებადი ქვეყნების ნაწილმა, ე.წ. „მწვანე რევოლუციის“ წყალობით, შეძლო მთლიანად ან თითქმის მთლიანად დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნილებები სურსათზე, ხოლო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წლიური ზრდის ტემპებმა 4-5% შეადგინა. შესაბამისად, გაიზარდა მოხმარებული კალორიების დღიური მაჩვენებელი, და საშუალოდ, განვითარებადი სამყაროსათვის მან 2500 კილოკალორია შეადგინა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კალორიებში ძალიან მცირეა ცხოველური პროდუქტის ხვედრითი წილი, ხოლო მცენარეულ საკვებში დომინირებს ერთი ან ორი სახეობის პროდუქტი (მაგ., სამხრეთ აზიაში ბრინჯის წილად მოდის კვების რაციონის 70-80%).

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა რჩება განვითარებადი ქვეყნების (და მთელი მსოფლიოს) ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემად. ჯერ ერთი, ძალიან დიდია რეგიონული სხვაობა და მთელ რიგ რაიონებში (ტროპიკული აფრიკა, სამხრეთი აზია) მოსახლეობის მიღებული კალორიების საშუალო რაოდენობა ნორმაზე საგრძნობლად დაბალია, ხოლო ზოგ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ნახევარშიმშილის ზღვარზეა. მეორე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება განვითარებად ქვეყნებში უაღრესად არასტაბილურია, გვალვების, წყალდიდობების, გაუდაბნოების და სხვა ბუნებრივი მოვლენით გამოწვეული მოუსავლიანობის გამო. მესამეც, განვითარებად ქვეყნებში, ისედაც დაბალი მოსავლიანობის პირობებში, ძალიან დიდია პროდუქციის დანაკარგი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტროპიკულ აფრიკაში მოსავლის დანაკარგი შეადგენს 30-40%-ს, ხოლო გადამუშავდება პირველადი პროდუქციის 10-20% მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში – არანაკლებ 70-80%.

განვითარებად ქვეყნებში სასურსათო პრობლემა ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოგრაფიულ პრობლემებთან, კერძოდ, ე.წ. დემოგრაფიულ აფეთქებასთან.

მოსახლეობის ზრდის პირობებში (აფრიკის და აზიის ზოგ ქვეყანაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 3%-ის ფარგლებშია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობის გაორკეცებას სულ 20-25 წელი სჭირდება) ერთ სულზე წარმოებული სასურსათო პროდუქციის რაოდენობა მსოფლიოს ზოგ რეგიონში მუდმივად მცირდება: კერძოდ, ტროპიკულ აფრიკაში XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მოსახლეობის რაოდენობამ 36%-ით მოიმატა, სასურსათო პროდუქციის წარმოება კი მხოლოდ 23%-ით გაიზარდა. მართალია, მსოფლიოს სხვა რეგიონებში (მათ შორის, განვითარებად ქვეყნებშიც) საპირისპირო სურათს ვაწყდებით, მაგრამ საერთო მდგომარეობა მაინც საკმაოდ მძიმეა. გასათვალისწინებელია ის

ფაქტიც, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფად იზრდება ქალაქის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური რაოდენობა, ისე ხვედრითი წილი. არასასოფლოსამეურნეო მოსახლეობის ზრდამ კი სურსათზე დამატებითი მოთხოვნილებები წარმოშვა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქ ყოველი ახალი ბავშვი ოჯახში ახალ მუშახელად აღიქმება, რაც შობადობის ხელსშემწყობი ფაქტორია. ზოგი მკვლევარი სწორედ შიმშილს და სიღარიბეს მიიჩნევს დემოგრაფიული აფეთქების მთავარ მიზეზად.

შიმშილის გეოგრაფია, ზოგადად, საკმაოდ კანონზომიერ სურათს ქმნის. არასაკმარისი კვების „სარტყელი“ განვითარებადი ქვეყნების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, რომელშიც ორი პოლუსი გამოიყოფა: ტროპიკული აფრიკა და სამხრეთი აზია. აბსოლუტური რაოდენობის მიხედვით, სამხრეთი აზია ლიდერობს, სადაც არასრულფასოვნად იკვებება, დაახლოებით, 400 მილიონი კაცი (რეგიონის მოსახლეობის 20%-ზე მეტი), მოშიმშილეთა ხვედრითი წილი კი ყველაზე მაღალი ტროპიკულ აფრიკაშია, სადაც ეს მაჩვენებელი მთელი მოსახლეობის მესამედს აჭარბებს. იგივე მაჩვენებელი ლათინურ ამერიკაში – 14, ახლო აღმოსავლეთში – 11, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 10 პროცენტს უდრის. ცალკეული ქვეყნებიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მალიში, ჩადში, ეთიოპიაში, სომალიში, უგანდაში, კონგოში (ზაირში), ჰაიტში, ინდოეთში, ბანგლადეშში, ნეპალში, გვატემალაში, იემენში და სხვ.

ასეთ პირობებში განვითარებადი ქვეყნები იძულებული არიან გაზარდონ სურსათის იმპორტი. თუ XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსთვის მარცვლეულის იმპორტი განვითარებად ქვეყნებში 12 მილიონ ტონას არ აღემატებოდა, 2020 წლისთვის მან თითქმის 240 მილიონს მიაღწია. ახლო აღმოსავლეთში მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მეოთხედი იმპორტულია. აფრიკაში ეს მაჩვენებელი – 20, ხოლო ლათინურ ამერიკაში 15 პროცენტს უდრის.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სასურსათო დახმარებას, რომელსაც განვითარებად ქვეყნებს უწევენ განვითარებული სახელმწიფოები. აფრიკის ქვეყნებში იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის 40% უანგარო დახმარებაა. მთავარ დონორ სახელმწიფოებს წარმოადგენენ აშშ (მთელი დახმარების 60%), კანადა, ავსტრალია და დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

10.1.3. გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის გზები

სასურსათო პრობლემა კომპლექსური, გლობალური პრობლემაა. მისი სრული გადაჭრა ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-ფსიქოლოგიურ გარდაქმნებს მოითხოვს და საკმაოდ

შორეული პერსპექტივაა. თუმცა, რა თქმა უნდა, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სასურსათო პროდუქციის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფაა. სასურსათო პროდუქციის ზრდის ორი მთავარი გზა გამოიყოფა: *ექსტენსიური* და *ინტენსიური*.

ექსტენსიური გზა გულისხმობს ახალი სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისებას, პირუტყვის სულადობის ზრდას და საზღვაო-სარეწაო არეალის გაფართოებას. დამუშავებულ მიწებს (სახნავ-სათესი და მრავალწლიანი კულტურები) უკავიათ მსოფლიო ხმელეთის მხოლოდ 13%, ხოლო სათიბ-საძოვრებს – 19%. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავთ ხმელეთის მხოლოდ ერთი მესამედი.

ასეთ პირობებში ბუნებრივად ჩნდება წარმოდგენა, რომ დედამიწაზე არის საკმარისი რესურსები დამუშავებული მიწების ფართობის გასაზრდელად, მაგრამ რეალური მდგომარეობა სულ სხვაა. ბუნებრივი პირობები მკვეთრად ზღუდავს ახალი სავარგულების ათვისების შესაძლებლობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხმელეთის, დაახლოებით, 10% მუდმივად ყინულით არის დაფარული, კიდევ 15%-ზე დაბალი ტემპერატურა შეუძლებელს ხდის მიწათმოქმედებას, 17% უდაბნოებს, ნახევარუდაბნოებს და მშრალ სტეპებს უკავია, სადაც მიწათმოქმედება ხელოვნური მორწყვის გარეშე შეუძლებელია (სარწყავი წყალი კი ან საერთოდ არ არის, ან მისი გამოყენება ტექნიკურად იმდენად არის გართულებული, რომ სრულიად არარენტაბელურია). ხმელეთის კიდევ 18%-ზე რელიეფის დახრილობა შეუძლებელს ან უკიდურესად შეზღუდულს ხდის მიწათმოქმედებას. რჩება ტყეები, რომლის გაჩეხამ შეიძლება კატასტროფული ეკოლოგიური შედეგები მოიტანოს. ამიტომ მათ ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზრდა პრობლემას, ფაქტობრივად, უფრო ამძიმებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი მცირდება გაუდაბნოების, ეროზიის, ნიადაგის გამოფიტვის და სხვა მიზეზების შედეგად, აგრეთვე – ქალაქებითა და საწარმოებით დაკავებული მიწების ზრდის ხარჯზე. ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ნახევარი ხასიათდება დაბალი, მესამედი – საშუალო და ათ პროცენტზე ცოტა მეტი – მაღალი ნაყოფიერებით მხოლოდ.

სხვადასხვა გამოთვლით, თეორიულად შესაძლებელია, დასამუშავებლად კიდევ აითვისონ ხმელეთის ხუთიდან ათ პროცენტამდე, მაგრამ მიწების ის რეზერვი, რომლის ათვისებაც შესაძლებელია მცირე დანახარჯით, პრაქტიკულად ამოწურულია. ექსტრემალურ პირობებში სასურსათო პროდუქციის მოყვანა უზარმაზარ ხარჯთან არის დაკავშირებული და, დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ნაადრევია.

რაც შეეხება ათვისებისთვის პერსპექტიული მიწების გეოგრაფიულ განაწილებას, ამ მხრივ, ლათინური ამერიკა და აფრიკა გამოირჩევა. ლათინურ ამერიკაში ეს, ძირითადად, ტენიან ტროპიკებსა და სუბტროპიკებში არსებული მიწებია. მათი დიდი ნაწილი ბრაზილიაში მდებარეობს და, ბრაზილიელ მეცნიერთა აზრით, ამ მიწების სრული ათვისებისა და გარკვეული მელიორაციის შემდეგ ბრაზილია შეძლებს გამოკვებოს 900 მილიონიდან ერთ მილიარდამდე ადამიანი, აფრიკაში კი ძირითადი რეზერვები სავანის ზონაზე მოდის, სადაც წელიწადში მარცვლეულის ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობაა. თუმცა ნიადაგის დეგრადაციის საშიშროება ძალიან მაღალია.

ინტენსიური გზა გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას დამუშავებული მიწების ფართობის თუ პირუტყვის სულადობის ზრდის გარეშე. მიწათმოქმედებაში ეს მიწის იმავე ფართობიდან მეტი მოსავლის მიღებას ნიშნავს, რაც მექანიზაციის, ქიმიზაციის, ირიგაციის, მაღალმოსავლიანი სახეობების დანერგვის ხარჯზე მიიღწევა, მეცხოველეობაში კი ჯიშობრივ გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული.

ინტენსიური გზა, ძირითადად, განვითარებული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ უკანასკნელ ხანს მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებშიც სასურსათო პროდუქციის ზრდის ძირითად საშუალებად იქცა. პირველ ყოვლისა, ეს დაკავშირებულია სარწყავი მიწების ფართობის ზრდასთან, რამაც საშუალება მისცა მთელ რიგ ქვეყნებს, საგრძნობლად გაეზარდათ მოსავლიანობა. არანაკლები წვლილი მიუძღვის განვითარებადი ქვეყნების სასურსათო პროდუქციის ზრდაში სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და ქიმიზაციას, თუმცა ეს უკანასკნელი არც თუ დადებითად აისახება პროდუქტის ეკოლოგიურ ხარისხზე.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ძირითადი მაჩვენებლებია: საშუალოდ ერთი ჰექტარიდან მიღებული პროდუქციის ღირებულება (ამ თვალსაზრისით, გამოირჩევიან იაპონია, შვეიცარია და ნიდერლანდები, სადაც ეს მაჩვენებელი 10 ათას დოლარს აღემატება); რამდენ ადამიანს კვებავს ერთი ჰექტარი დამუშავებული მიწა (იაპონია 26, შვეიცარია და ნიდერლანდები 17-17) და რამდენ ადამიანს კვებავს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი ადამიანი (ბელგია 100, დიდი ბრიტანეთი 95, ნიდერლანდები და აშშ 90-90, მაშინ როცა განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 1-2 კაცს არ აღემატება). XXI საუკუნის პირველ მეოთხედში მთელ მსოფლიოში მარცვლეულის პროდუქციის ზრდის მხოლოდ 20% მოდიოდა დამუშავებული მიწების ფართობის ზრდის წილად, 80% კი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შედეგი იყო. მათ შორის, დასავლეთ ევროპაში დამუშავებული მიწების ფართობი საერ-

თოდ არ გაზრდილა და პროდუქციის ზრდის 100% სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დამსახურებაა.

ყველა რესურსის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება თეორიულად შესაძლებელი ყველა სავარგულის ათვისება, ხოლო ინტენსიფიკაციის დონე იქნება მაქსიმალური, დედამიწა შეძლებს, დაახლოებით, 33 მილიარდი კაცის გამოკვებას. თუმცა, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, რეალური რიცხვი გაცილებით ნაკლებია და, სავარაუდოდ, 12-15 მილიარდს არ აღემატება.

10.1.4. სიღარიბის პრობლემა. მთელი შიდა პროდუქტი და ადამიანის განვითარების ინდექსი

თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელია მკვეთრი უთანაბრობა, მატერიალური სიმდიდრისა და კეთილდღეობის მაჩვენებლების თვალსაზრისით, როგორც რეგიონებსა და სახელმწიფოებს შორის, ისე ნებისმიერი სახელმწიფოს შიგნითაც. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში მთელ მსოფლიოში მოსახლეობის მატერიალური პირობები თითქმის ყველგან გაუმჯობესდა და საშუალო შემოსავალი ერთ სულზე იზრდება, სიღარიბე რჩება ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემად. ზოგი მეცნიერის აზრით, მდგომარეობა – პირიქით, გაუარესდა კიდეც, რადგან საშუალო მაჩვენებლების ზრდის მიღმა ქვეყნებისა და მოსახლეობის მდიდრებად და ღარიბებად პოლარიზაცია და დისპროპორციების გაღრმავება იმალება.

სიღარიბე მხოლოდ ფინანსური შემოსავლების სიდიდით არ განისაზღვრება. ის უამრავი სხვადასხვა პარამეტრისგან შედგება. მოსახლეობის სიღარიბეს განსაზღვრავს ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა უმუშევრობის დონე, საბინაო პირობები, სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა და ა.შ. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სიღარიბე შეფარდებითი ცნებაა და ერთი და იგივე შემოსავალი და საყოფაცხოვრებო პირობები ერთ ქვეყანაში თუ აშკარა სიღარიბეზე მიგვითითებს, მეორე ქვეყანაში შესაძლებელია სავსებით საკმარისად ჩაითვალოს ნორმალური ცხოვრებისათვის.

ქვეყნის სიღარიბისა თუ სიმდიდრის ყველაზე გავრცელებულ კრიტერიუმად ერთ მცხოვრებზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ან მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) მოცულობა ითვლება. ამ ორ სიდიდეს შორის ის განსხვავებაა, რომ მთლიან შიდა პროდუქტად იგულისხმება ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის და გაწეული მომსახურეობის ღირებულება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მწარმოე-

ბელი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი კი მიიღება, თუ მთლიან შიდა პროდუქტს გამოვაკლებთ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული უცხოური კომპანიების წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებას, მაგრამ მივუმატებთ ამ ქვეყნის კომპანიების მიერ საზღვარგარეთ წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების ღირებულებას. ზოგჯერ სიმდიდრე-სიღარიბის მაჩვენებლად გამოიყენებენ ეროვნულ შემოსავალს. ეს უკანასკნელი არის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ახლად შექმნილი ნაწილი, რომელიც ქვეყნის ყველა მცხოვრების მიერ წლის განმავლობაში გამომუშავებულ თანხას უტოლდება და მიიღება, თუ მთლიანი ეროვნულ პროდუქტის ღირებულებას გამოვაკლებთ მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯს. ერთ სულზე გადაანგარიშებული ეროვნული შემოსავალი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რა რაოდენობის თანხას იღებს ყოველი მცხოვრები ერთი წლის განმავლობაში.

ამ სამი მაჩვენებლიდან მაინც უფრო ხშირად მთლიან შიდა პროდუქტს იყენებენ და მის მიხედვით ადგენენ, თუ რამდენად მდიდარი ან ღარიბია ესა თუ ის სახელმწიფო. ეს მაჩვენებელი კი მართლაც ძალიან განსხვავდება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის მიხედვით. ის სახელმწიფოები, სადაც ერთ სულზე მშპ-ის ძალიან მაღალი მაჩვენებელია, ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ერთია უაღრესად მაღალგანვითარებული ქვეყნები, სადაც ეს დამუშავებითი მრეწველობის, მაღალი შრომის კულტურისა და მეცნიერული პოტენციალის დამსახურებაა, მეორე ჯგუფს კი ის ქვეყნები შეადგენს, სადაც, ნავთობის უმდიდრესი საბადოებისა და შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობის გამო, აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა.

2023 წლის მონაცემებით, ერთ სულზე ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სიაში, თუ მიკრო სახელმწიფოებს, მონაკოს და ლიხტენშტეინს არ ჩავთვლით, პირველ ადგილზე ლუქსემბურგია (125 ათასი დოლარი წელიწადში). შემდეგ მოდის ირლანდია (103 ათასი), შვეიცარია (98 ათასი) და ნორვეგია (90 ათასი).

ამ სიის ბოლო ადგილებს ინაწილებენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, იემენი, მალავი, ავღანეთი, სამხრეთ სუდანი და ბურუნდი. თითოეულ მათგანში ერთ სულზე მშპ-ის მოცულობა წელიწადში 500 დოლარზე ნაკლებია. საქართველო ამ მაჩვენებლით (8601 დოლარი, 2023 წლის მონაცემით) მსოფლიოს 192 ქვეყანას შორის 84-ე ადგილზე იყო.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური სიდიდე არ გვაძლევს მთლად ზუსტ წარმოდგენას ცხოვრების დონეზე და ამ მონაცემით მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად

მდიდარი ან ღარიბია ქვეყანა, საკმაოდ პირობითია. საქმე ისაა, რომ დოლარის მსყიდველობითი უნარი სხვადასხვა ქვეყანაში მკვეთრად განსხვავებულია და, აქედან გამომდინარე, მშპ-ის ერთსა და იმავე ნომინალურ მაჩვენებელს შეიძლება რეალურად სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს სხვადასხვა ქვეყნისთვის. ამიტომ, ნომინალური მაჩვენებლის ნაცვლად, მშპ-ს უფრო ხშირად ე.წ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მაჩვენებლით (PPP) განსაზღვრავენ, რაც არ ემთხვევა ნომინალურ მაჩვენებელს: მაგალითად, თუ ერთ სულზე მშპ-ის ნომინალური მაჩვენებლით, საქართველო 84-ე ქვეყანაა, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, 14 პუნქტით წინ არის და 70-ე პოზიცია უკავია.

მთლიანი შიდა პროდუქტი მაინც უფრო ეკონომიკური კატეგორიაა და ცხოვრების ზოგად დონეს სრულყოფილად ვერ გამოხატავს. უფრო კომპლექსურია გაეროს მიერ დადგენილი მაჩვენებელი – ჰუმანური (ადამიანის) განვითარების ინდექსი, რომელშიც, ერთ სულზე მშპ-ის მოცულობის გარდა, გათვალისწინებულია მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე. ადამიანის განვითარების ინდექსი თეორიულად შეიძლება ნულიდან ერთამდე იცვლებოდეს. 2023 წლის მონაცემებით, მაქსიმალური სიდიდე მიღწეულია ნორვეგიასა და შვეიცარიაში, სადაც ეს მაჩვენებელი 0,967-ს უდრის. შემდეგ მოდის ისლანდია (0,959), დანია (0,953), და შვედეთი (0,952). უკანასკნელ ადგილებს იყოფენ ტროპიკული აფრიკის ქვეყნები ნიგერი (0,394) ჩადი (0,393), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (0,387), სამხრეთი სუდანი (0,381) და სომალი (0,380). ამ მაჩვენებლით, საქართველო (0,814) მსოფლიოს ქვეყნებს შორის მე-60 ადგილზეა.

10.1.5. უმუშევრობა და უსახლკარობა

უმუშევრობა უაღრესად სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომელიც მეტ-ნაკლებად აწუხებს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას. უმუშევრად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელსაც არ გააჩნია ანაზღაურებადი სამუშაო, მიუხადავად იმისა, რომ აქვს მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა. უმუშევართა კატეგორიას ხშირად მიაკუთვნებენ ე.წ. ნახევრად უმუშევრებს, ანუ მუშა-ხელის იმ ნაწილს, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი შემოსავლის წყარო, და მათი დასაქმება ატარებს დროებით, სეზონურ ან შემთხვევით ხასიათს.

უმუშევრობის პრობლემა მწვავედ დგას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ განსხვავებული ფორმით იჩენს თავს.

განვითარებად ქვეყნებში უმუშევრობა გამოწვეულია საერთო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობით. ამას ემატება მოსახლეობის ძალიან სწრაფი ზრდა, რაც ყოველწლიურად ზრდის უმუშევართა რიგებს. სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ გააჩნია მიწა. შიმშილის საფრთხე აიძულებს მათ, დატოვონ სოფელი და მიაშურონ ქალაქს, სადაც ისედაც უამრავი უმუშევარია. პროფესიის უქონლობის გამო, ასეთმა მუშახელმა მხოლოდ ე.წ. „შავი სამუშაო“ (მტვირთავი, არაკვალიფიციური მუშა, მენაგვე, დამლაგებელი, მრეცხავი და ა.შ.) შეიძლება შეასრულოს, ამ სამუშაობებზე კი საკმარისზე მეტი ხალხია დასაქმებული. უმუშევრად დარჩენილი, საარსებო წყაროს მოკლებული მოსახლეობის ნაწილი ცდილობს შეაღწიოს განვითარებულ ქვეყნებში და იქ ეძებოს ხსნა, რითაც კიდევ უფრო ამწვავებს არალეგალური მიგრაციის და ქსენოფობიის პრობლემას. ადგილზე დარჩენილი უმუშევრების მნიშვნელოვან ნაწილს გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მათხოვრობა ან დანაშაულებრივი სამყარო რჩება.

სხვა ფორმისაა უმუშევრობა განვითარებულ სამყაროში. არაკვალიფიციური სამუშაოს პოვნა აქ ნაკლებად პრობლემატურია. პირიქით, ასეთ სამუშაოზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი ხდება დამხმარე მუშახელი, რომელთა უმრავლესობასაც განვითარებადი და ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულები (მათ შორის, არალეგალური მიგრანტები) შეადგენენ. ადგილობრივ მოსახლეობას უფრო აწუხებს ე.წ. ფუნქციური უმუშევრობის პრობლემა, როცა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი (ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი, ეკონომისტი, იურისტი) ვერ შოულობს სამუშაოს თავისი პროფესიის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში იგი უარს ამბობს არაკვალიფიციურ და მისთვის არაპრესტიჟულ სამსახურზე და უმუშევრად რჩება, სანამ შესაფერ სამსახურს იშოვის, ეს მოლოდინი კი შეიძლება წლები გაგრძელდეს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების დამხობის მომდევნო წლებში. კომუნისტების მმართველობის დროს ამ ქვეყნებში უმუშევრობა ფორმალურად არ არსებობდა (თუმცა, ფაქტობრივად, ფარული ფორმით ყოველთვის არსებობდა). სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი საერთოდ უმუშევრად დარჩა. ასეთი ქვეყნების აშკარა მაგალითია საქართველოც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა საერთოდ გაჩერდა, არარენტაბელურობისა და არაკონკურენტუნარიანობის გამო. იმავე მიზეზით, თავიანთი მნიშვნელობა დაკარგა სოფლის მეურნეობის მრავალმა დარგმა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მაპროფილებლად ითვლებოდა. იგივე შეიძლება ითქვას საკურორტო მეურნეობისა და ტრანსპორტის ზოგი დარგის მიმართ. მასწავლებელთა, ექიმთა, მეცნიერთა, კულ-

ტურის მუშაკთა და სხვა ინტელექტუალურ სფეროებში დასაქმებულთა რიცხვი მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა და დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკას მათი შენახვის შესაძლებლობა არ გააჩნდა. ყოველივე ამის შედეგად, წარმოიქმნა უმუშევართა უზარმაზარი არმია. მათმა ნაწილმა კერძო ბიზნესში სცადა ბედი, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში – წარუმატებლად. ნაწილი (თითქმის ერთი მილიონი კაცი) ემიგრაციაში წავიდა. დაბალი კვალიფიკაციის გამო, მათმა დიდმა უმრავლესობამ ვერ შეძლო თავისი პროფესიით ემუშავა და იძულებული შეიქნა, არაკვალიფიციური, ფიზიკური შრომით ერჩინა თავი. იგივე სურათია სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც (ბალტიის ქვეყნების გარდა).

უმუშევრობის დონე განისაზღვრება უმუშევართა პროცენტით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. მაგრამ უმუშევართა რაოდენობის დადგენა საკმაოდ ძნელია. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში უმუშევართა რაოდენობა განისაზღვრება შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვით, რაც, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა უმუშევართა რეალურ რაოდენობას, თუმცა დიდადაც არ განსხვავდება. სულ სხვა მდგომარეობაა განვითარებად სამყაროში და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც შრომის ბირჟებზე უმუშევართა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა რეგისტრირებული. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობას ნაკლები იმედი აქვს, შრომის ბირჟის საშუალებით შეძლოს დასაქმება. ზოგი ქვეყანა შეგნებულად მალავს უმუშევართა რაოდენობას და აშკარად შემცირებულ მონაცემებს აქვეყნებს. აღნიშნულის გამო, უმუშევრობის დონე მსოფლიოს ქვეყნებში დიდად მერყეობს და ხშირად რეალურ სურათს საკმაოდ სცილდება.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სტატისტიკური მონაცემებით, 2016 წლისთვის უმუშევრობა არ იყო მხოლოდ ანდორასა და მონაკოში. 2%-ზე ნაკლები იყო ეს მაჩვენებელი ისლანდიაში, ლიხტენშტეინში, სინგაპურში, აზერბაიჯანში, ბელარუსში და კუბაზე (თუმცა, სავარაუდოა, რომ ამ სამ უკანასკნელ ქვეყანაში ეს მონაცემები ხელოვნურად არის შემცირებული). უკანასკნელ ადგილზე იყვნენ ჯიბუტი, სუდანი, ლიბერია, სომალი. ამ ქვეყნებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 30%-ზე მეტი უმუშევარია. მთელი მსოფლიოსთვის უმუშევრობის დონე 10,5%-ია, ხოლო საქართველოსთვის – 15,6%.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები უმუშევრობის შემთხვევაში, როგორც წესი, სახელმწიფოსგან იღებენ ფულად კომპენსაციას, რაც საგრძნობლად აღემატება საარსებო მინიმუმს. შესაბამისად, აქ უმუშევრობა ისეთი მტკივნეული პრობლემა არ არის და ისეთ მძიმე შედეგებს არ იწვევს, როგორსაც – განვითარებად სამყაროში.

უმუშევრობასთან ერთად სერიოზული სოციალური პრობლემაა უსახლკარობა ანუ უბინაობა. უსახლკაროდ ითვლება პირი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია. ფართო გაგებით, უსახლკაროდ შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას ეწევა (დაახლოებით, 120 მილიონი კაცი ანუ დედამიწის მოსახლეობის 1,7%), აგრეთვე – ბოშების უმრავლესობა. ხშირად ამავე კატეგორიას მიაკუთვნებენ ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებსაც, მაგრამ გაცილებით ხშირად უსახლკარობა გამოიყენება ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით: ის გულისხმობს არა მოსახლეობის ზემოაღნიშნულ ჯგუფებს, არამედ ქვეყნის იმ მოქალაქეებსა და უცხოელ (ძირითადად, არალეგალურ) იმიგრანტებს, რომლებიც, უკიდურესი გაჭირვების გამო, მოკლებული არიან მუდმივ საცხოვრებელს.

უსახლკარობას საყოველთაო ხასიათი აქვს და პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გვხვდება, თუმცა განსაკუთრებით მწვავედ განვითარებად ქვეყნებში ვლინდება. უსახლკარონი არც თუ იშვიათად სოფლადაც გვხვდებიან, მაგრამ, ძირითადად, ეს დიდი ქალაქების პრობლემაა. უმუშევართა და უმიწაწყლოდ დარჩენილ გლეხთა დიდი მასა აწყდება ქალაქს და კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც უმწვავეს სიტუაციას. მოსახლეობის ეს ფენა თავს აფარებს დიდი სახლების სარდაფებს, სახურავებს, გარეუბნებში სახელდახელოდ აგებულ ქოხმახებს ანდა პირდაპირ ქუჩაში ცხოვრობს. მათი ძირითადი საქმიანობა მათხოვრობაა.

უსახლკარობის ეს ფორმა სერიოზულ პრობლემად იქცა განვითარებულ სამყაროშიც. მარტო ევროკავშირის ქვეყნებში 2 მილიონამდე უსახლკაროა. აშშ-ში მათი რიცხვი 650 ათასს აღემატება, ხოლო თვით ისეთი მაღალი კეთილდღეობის ქვეყნებშიც, როგორებიც კანადა და ავსტრალიაა, შესაბამისად, 235 ათასი და 120 ათასია. განსაკუთრებით საგრძნობია უსახლკარო ბავშვთა რაოდენობის ზრდა, რაც საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს.

უსახლკარობა მწვავე პრობლემად იქცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც: კერძოდ, საქართველოში, სადაც ადრე უსახლკაროები და მათხოვრები იშვიათი გამონაკლისი იყო, ახლა მათ საკმაოდ ხშირად შეხვდებით.

10.1.6.საარსებო მინიმუმი და სამომხმარებლო კალათა

სიღარიბის ერთ-ერთი მაჩვენებელია იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელთა შემოსავალიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. საარსებო მინიმუმი არის ის მინიმალური თანხა, რომელიც აუცილებელია,

რათა ადამიანმა იარსებოს ანუ არ შიმშილობდეს და დაიკმაყოფილოს ელემენტარული ყოფითი პირობები. საარსებო მინიმუმი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. თუ ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში იმდენად მცირეა, რომ განვითარებული სამყაროს მცხოვრებისათვის ამ თანხით ცხოვრება სრულიად წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით, იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელთა შემოსავალიც საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთაა, განვითარებად სამყაროში გაცილებით მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

ზოგჯერ სიღარიბის დონის დასადგენად იყენებენ იმ მოსახლეობის ხვედრით წილს, რომლის საშუალო შემოსავალიც დღეში ერთ დოლარს არ აღემატება. ასეთი შემოსავალი უკიდურესი სიღატაკის მაჩვენებელია, რაც განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს აღწევს ტროპიკულ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში.

ცხოვრების დონის კიდევ ერთი მაჩვენებელია სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა, ანუ ის, თუ როგორ ანაწილებს ადამიანი მიღებულ შემოსავალს. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი კვებაზე იხარჯება: რაც ნაკლებია შემოსავალი, მით მეტია საკვებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში, ხოლო ის ფენები, რომელთა შემოსავალიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, თითქმის მთელ შემოსავალს საჭმელში ხარჯავენ. ამის საპირისპიროდ, განვითარებულ ქვეყნებში კვებაზე გაწეული ხარჯები, საშუალოდ, სამომხმარებლო კალათის 20%-ზე ნაკლებია.

10.2. ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები

ჯანმრთელობის პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი გლობალური სოციალური პრობლემაა. საუკუნეების განმავლობაში მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მასიურ ეპიდემიებს და პანდემიებს, აგრეთვე – სხვადასხვა ინფექციურ თუ პარაზიტოლოგიურ ავადმყოფობებს. მედიცინის განვითარების დაბალი დონე, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ჩამორჩენილობა ის მიზეზები იყო, რაც განსაზღვრავდა სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელს და დაავადებების მასობრიობას. უკანასკნელ ათწლეულებში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაუმ-

ჯობესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, დიდი პროგრესი აღინიშნება მედიცინის განვითარებაშიც. შესაბამისად, გარკვეული წარმატება შეიმჩნევა: შემცირდა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მკვეთრად იკლო ეპიდემიების საფრთხემ, ხოლო ბევრი დაავადება ნაკლებად გვხვდება. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მრავალ რეგიონში ამ მიმართულებით რამდენადმე საგრძნობი წინსვლა ჯერ არ შეიმჩნევა, ხოლო სხვა რეგიონებში, სადაც აშკარა პროგრესია და მრავალი დაავადება პრაქტიკულად ლიკვიდირებულია, თავი იჩინა სხვა დაავადებების ზრდის ტენდენციამ. ამდენად, ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა რჩება უაღრესად სერიოზულ, გლობალურ გამოწვევად.

10.2.1 .სიკვდილიანობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა

სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი (ყოველ 1000 მცხოვრებზე გარდაცვლილთა რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში), პირველ ყოვლისა, დემოგრაფიული მაჩვენებელია და ნაკლებ წარმოდგენას გვაძლევს ჯანმრთელობის დაცვის საერთო მდგომარეობაზე. განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, მაღალი შობადობის გამო, ძალიან დიდია ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი, და ამიტომ სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი შედარებით დაბალია. განვითარებულ ქვეყნებში, ხანდაზმულთა სიჭარბის გამო, სიკვდილიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია. ამგვარად, სიკვდილიანობის შედარებით მაღალ ზოგად კოეფიციენტს განვითარებულ სამყაროში და დაბალ მაჩვენებელს მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა განაპირობებს და არა – ვითარება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. სურათი მნიშვნელოვნად შეიცვლება, თუ სიკვდილიანობის კოეფიციენტს არა მთელი მოსახლეობის მიმართ, არამედ ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიმართ გამოვთვლით (ე.წ. **სიკვდილიანობის სტანდარტიზებული მაჩვენებელი**). აღმოჩნდება, რომ სიკვდილიანობის კოეფიციენტი განვითარებად ქვეყნებში (განსაკუთრებით, ე.წ. უღარიბეს ქვეყნებში) რამდენჯერმე ჭარბობს განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.

სიკვდილიანობის სტანდარტიზებული კოეფიციენტი პირდაპირ უკავშირდება სოციალური, ეკონომიკური, კულტურული განვითარების დონეს, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას, და არ არის დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. ამიტომ სწორედ ეს მაჩვენებელია ყველაზე ნათელი კრიტერიუმი იმის აღსანიშნავად, თუ რამდენად არის დაცული მოსახლეობა ავადმყოფობისგან და რამდე-

ნად ეფექტურია ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. ამ თვალსაზრისით, სრულიად კანონზომიერი ზოგადი სურათი იხატება. სიკვდილიანობის ძალიან მაღალი დონეა ტროპიკული აფრიკის ქვეყნების უმრავლესობაში, აგრეთვე – აზიის და ლათინური ამერიკის ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოებში. დანარჩენი განვითარებადი სამყარო სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილიანობის სტანდარტიზებული მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ეს კოეფიციენტი დაბალია იმ განვითარებად ქვეყნებშიც, რომლებიც ერთ სულზე მშპ-ის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან (მაგ., ნავთობით მდიდარი არაბული სახელმწიფოები), ხოლო, იმის გამო, რომ აქ ჯერჯერობით შობადობის მაღალი დონეა და მოსახლეობის თითქმის ნახევარს ბავშვები შეადგენენ, სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი უკიდურესად დაბალია.

ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის ზოგად სურათს კარგად გამოხატავს ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ეს არის ერთ წლამდე ასაკის გარდაცვალებულ ბავშვთა რაოდენობა ყოველ 1000 ცოცხალშობილზე. ცხადია, რაც მეტია ეს მაჩვენებელი, მით უფრო დაბალ დონეზეა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და არადამაკმაყოფილებელია სამედიცინო მომსახურება და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. 2020 წლის მონაცემებით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო სომალიში, სადაც ყოველი 1000 ცოცხლადშობილი ბავშვიდან 114 ვერ აღწევს ერთი წლის ასაკს, ჩადში (110), სიერა ლეონეში (107) და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (103) მაშინ, როცა იაპონიაში, სინგაპურში, ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვედეთში ეს მაჩვენებელი 3-ზე ნაკლებია.

ცალკეულ ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელიც. ყველაზე ხშირად იყენებენ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს მოცემულ წელს დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას იმ დაშვებით, რომ შენარჩუნდება სიკვდილიანობის არსებული კოეფიციენტი თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მკვეთრად განსხვავდება რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. მთელ მსოფლიოში, 2023 წლის მონაცემებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი 73, 17 წელია (მამაკაცები – 70, 5 წელი, ქალები – 73,9). იაპონიაში ეს 84, 7 წელს აღწევს (მამაკაცები – 81,7, ქალები – 87,7). 80 წელზე მეტია ეს მაჩვენებელი მსოფლიოს კიდევ 50 ქვეყანაში. ყველაზე დაბალი ეს მაჩვენებლები ჩადსა და ნიგერიაშია (შესაბამისად, 55,1 და 54, 7). უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ის მაჩვენებელია, რომელიც პროგრესზე მიუთითებს: მაგალითად,

ესვატინში 2000 წელს 32, 6 იყო, 2023 წელს კი – 64,1, ანუ ორჯერ მეტი. ასეთივე პროგრესი განიცადა აფრიკისა და აზიის თითქმის ყველა ქვეყანამ. საპირისპირო სურათი გვაქვს საქართველოში. ჩვენი ქვეყანა ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შემცირდა. თუ 2000 წლისთვის მაჩვენებელი 76 , 3 წელი იყო (მამაკაცები – 73, 0, ქალები – 80, 1) და ამით მსოფლიოს 221 ქვეყანას შორის 65-ე ადგილს იკავებდა. 2023 წლისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობამ საქართველოში შეადგინა 74, 6 (მამაკაცები – 69, 7, ქალები – 79,1) და მსოფლიოს 210 ქვეყანას შორის 108-ე იყო.

10.2.2.ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი მსოფლიო სურათი

ჯანმრთელობის დაცვის საერთო მსოფლიო სურათი მკვეთრი გეოგრაფიული დისპროპორციებით გამოირჩევა. განსხვავება ეხება როგორც კონტინენტებსა და დიდ რეგიონებს, ისე – სახელმწიფოებს.

ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის ერთ-ერთი გამოხატულებაა ექიმთა რიცხვი მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობაზე (როგორც წესი, ყოველ 100 ათას კაცზე). ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ევროპის ქვეყნებში, სადაც ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 300-ზე მეტი ექიმი მოდის. იგივე პროპორციაა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა სამედიცინო კადრების მომზადებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოც, რომელიც ექიმთა რაოდენობით მოსახლეობის ყოველ 100 ათას კაცზე ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. აშშ, კანადა, იაპონია და ავსტრალია იმ ქვეყნების ჯგუფში არიან, სადაც ექიმთა რიცხვი ყოველ 100 ათას კაცზე 200-დან 300-მდეა. ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 50-დან 100-მდე მერყეობს, ხოლო აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი 50-ზე ნაკლებია. ცხადია, მარტო რაოდენობრივი მაჩვენებელი არ იძლევა სრულ წარმოდგენას, რადგან არანაკლებ მნიშვნელოვანია ექიმთა კვალიფიკაცია და პროფესიული დონე, მაგრამ, ზოგადად, აღნიშნული მონაცემები საკმაოდ ზუსტად გამოხატავს ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის საერთო სურათს.

საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობის მიხედვით, დაახლოებით, ასეთივე სურათია ყოველ 100 ათას მცხოვრებზე. ტროპიკული აფრიკის ქვეყნების მრავალ რეგიონში საერთოდ არ არის საავადმყოფოები; მილიონობით ადამიანი არც ერთხელ არ ყოფილა ექიმთან. ამიტომ აქ ნებისმიერმა ეპიდემიამ შეიძლება ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სადაზღვევო სამედიცინო მომსახურებაზეა გადასული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გარანტირებული აქვს.

ეს გეოგრაფიული განსხვავებები თავს იჩენს ისეთ მაჩვენებელთა დემონსტრირებისას, როგორიცაა სიკვდილის მიზეზები. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში სიკვდილის მიზეზებს შორის ძირითადია ისეთი დაავადებები, როგორებიცაა დიზენტერია, მალარია, გრიპი, ტუბერკულოზი, ავიტამინოზი და სხვა ინფექციური და პარაზიტოლოგიური ავადმყოფობები, აგრეთვე – დაავადებები, რომლებიც არასაკმარისი კვებით, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით და ანტისანიტარიით არის გამოწვეული. განვითარებულ სამყაროში სიკვდილის მთავარ მიზეზებად გვევლინება გულ-სისხლძარღვების დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნეები, დიაბეტი, ცეროზი, ნერვული დაავადებები და უბედური შემთხვევები. საკმაოდ მაღალია თვითმკვლელობის ხვედრითი წილიც.

10.2.3. დაავადებების გავრცელება

დაავადებების გეოგრაფიული გავრცელება გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება და მრავალ ბუნებრივ და სოციალურ ფაქტორზეა დამოკიდებული. მსოფლიოს უმთავრესი რეგიონების მიხედვით, ძირითადი ინფექციური და პარაზიტოლოგიური დაავადებების გავრცელების სურათი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა დაავადების სიხშირე საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა რეგიონის მიხედვით. ზოგადი კანონზომიერებაა, რომ ასეთ დაავადებებს შორის ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება გრიპი, წითელა და ყივანახველა. ტროპიკულ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში ძალიან გავრცელებული დაავადებებია მალარია და დიზენტერია. ამავე რეგიონებში მაღალია ტუბერკულოზისა და ვენერიული დაავადებების ხვედრითი წილიც.

უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად იკლო იმ დაავადებების რიცხვმა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თავზარს სცემდნენ მოსახლეობას და მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავდნენ. ამასთანავე, ზედმეტად ოპტიმისტური აღმოჩნდა 70-80-იან წლებში გამოტანილი დასკვნები, რომ ზოგი დაავადება (მაგ., ყვავილი) საერთოდ მოისპო დედამიწაზე. ჯერჯერობით არც ერთი დაავადება ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის და მათი გამოვლინება არც ისე იშვიათია, განსაკუთრებით – განვითარებად ქვეყნებში.

მალარია უმწვავესი პარაზიტოლოგიური დაავადებაა. გავრცელებულია მთელი მსოფლიოს სუბტროპიკულ და ტროპიკულ რეგიონებში.

დაავადებას იწვევს ჭაობის კოღოს – ანოფელესის ნაკბენი. მიუხედავად იმისა, რომ დაავადებულთა რიცხვი შემცირდა, დღესაც მალარიის ამა თუ იმ ფორმით არანაკლებ 500 მილიონი კაცია დაავადებული, ხოლო ყოველწლიურად ამ ავადმყოფობის მსხვერპლი ხდება 3-4 მილიონი კაცი (ძირითადად, აფრიკის მოსახლეობა, უმთავრესად – ბავშვები). მალარიასთან ბრძოლის ძირითადი საშუალება, გარდა მედიკამენტური მკურნალობისა და ვაქცინაციისა, ჭაობების ამოშრობა, ანოფოლესის მოსპობა (ბიოლოგიური საშუალებებით) და ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესია.

ყვავილი საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებად. XVII საუკუნეში ყვავილის ეპიდემიამ გაანადგურა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების უმრავლესობა, ხოლო XVIII საუკუნის ევროპაში სიკვდილის მიზეზებს შორის პირველ ადგილზე იყო, როცა ყოველწლიურად 400 ათას კაცზე მეტი კვდებოდა ამ დაავადებით. ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნამ და მოსახლეობის სავალდებულო აცრამ ამ ავადმყოფობის საშიშროება მკვეთრად შეამცირა. ოფიციალურად გამოცხადდა კიდეც, რომ ყვავილით დაავადების უკანასკნელი შემთხვევა 1978 წელს აღინიშნა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს დაავადება ცალკეული რეციდივების სახით კვლავაც იჩენს ხოლმე თავს.

შავი ჭირი ის დაავადებაა, რომლის სახელის ხსენებაც კი თავზარს სცემდა ყველას და სიკვდილის სინონიმად ითვლებოდა. შავი ჭირის საშინელ ეპიდემიებს არა ერთხელ შესწრებია კაცობრიობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1346-1351 წლების პანდემია, რომელმაც დედამიწის მოსახლეობა¼1/4-ით შეამცირა, ხოლო ევროპის ზოგ ქალაქში მოსახლეობის მხოლოდ 10-15% გადარჩა. არასდროს, არც მანამდე და არც მას შემდეგ, ისტორიას ასეთი მასობრივი სიკვდილიანობა არ ახსოვს. შავი ჭირის კერები, ძირითადად, სტეპის და ნახევარუდაბნოების ლანდშაფტთან არის დაკავშირებული. ვირუსის მატარებლები, ძირითადად, მღრღნელები არიან, საიდანაც რწყილების საშუალებით ადამიანებზე გადადის და შემდეგ სწრაფად ვრცელდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. შავი ჭირი ახლა საკმაოდ იშვიათად გვხვდება. უკანასკნელი ეპიდემია 1994 წელს აღინიშნა ინდოეთში.

კეთრი უმძიმესი ინფექციური დაავადებაა, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული. ამჟამად კეთრით დაავადებულთა საერთო რაოდენობა, დაახლოებით, 3 მილიონი კაცით განისაზღვრება და, ძირითადად, აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და ბრაზილიაში გვხვდება. მიუხედავად მედიცინის მიღწევებისა, კეთრის მკურნალობა ხანგრძლივი და რთული პროცედურაა, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში ავადმყოფების იზოლირება ხდება სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებებში – ლეპროზორიუმებში.

ქოლერა მძიმე ინფექციური დაავადებაა, რომლის ეპიდემიებიც არაერთხელ დაფიქსირებულა. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მან 20 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქოლერის გამომწვევ მიზეზებს შორის უმთავრესია ანტისანიტარია, დაბინძურებული წყალი, ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ა.შ. ამ დაავადების ძირითადი კერები აზიის მჭიდროდ დასახლებული რაიონებია (ძირითადად, ინდოეთის, პაკისტანის, ბანგლადეშის დიდი ქალაქების გარეუბნები).

გრიპი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც პრაქტიკულად ყველა ადამიანს გადაუტანია და თან – არაერთხელ. ამიტომ ხშირად მას სერიოზულ ავადმყოფობად არც აღიქვამენ. არადა, გრიპით გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ბევრად აღემატება ნებისმიერი სხვა ინფექციური თუ პარაზიტოლოგიური დაავადებით გარდაცვლილთა საერთო რიცხვს. ჩვეულებრივი სეზონური გრიპი, რომლითაც ყოველწლიურად დედამიწის მოსახლეობის 10-15% ავადდება, საშუალოდ, 300 ათასიდან 600 ათასამდე ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. მაგრამ განსაკუთრებით საშიშია პერიოდულად განმეორებადი გრიპის პანდემიები, რომლებიც ათეულ მილიონობით ადამიანს მოედება ხოლმე და ასეულ ათასობით ადამიანის სიკვდილს იწვევს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით კატასტროფული იყო 1918-1919 წლების გრიპის პანდემია (ე.წ. ესპანური გრიპი), რომელმაც 500 მილიონი (მაშინდელი მსოფლიო მოსახლეობის 1/3) დააავადა და 42 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. სხვა დიდი პანდემიებიდან აღსანიშნავია 1957-58 წლების აზიური გრიპი (დაავადდა მსოფლიო მოსახლეობის 17%, გარდაიცვალა 3 მილიონი კაცი), 1968-69 წლების ჰონგკონგის გრიპი, (დაინფიცირდა მსოფლიოს მოსახლეობის 14%, გარდაიცვალა 3,5 მილიონი) და 2009-2010 წლების ე.წ. ღორის გრიპი (დაავადებულთა რაოდენობამ შეადგინა მოსახლეობის 20%, გარდაიცვალა ნახევარ მილიონზე მეტი კაცი).

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი დაავადებები, როგორებიცაა **შიდსი** და **კოვიდ-19,** რომლებზეც შემდეგ ქვეთავებში ვისაუბრებთ.

10.2.4. შიდსი, როგორც გლობალური პრობლემა

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ახალი გლობალური პრობლემის წინაშე დადგა. 1981 წელს გამოჩნდა უცნაური დაავადება, რომელიც იმუნიტეტის სრულ დაკარგვას იწვევდა და, ამდენად, დაავადებული ადამიანისთვის ნებისმიერი დაავადება შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ეს დაავადება შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) სახელით გახდა ცნობილი. შიდსით პირველი დაა-

ვადებულები ლგბტ პირები და ნარკოდამოკიდებულები იყვნენ, ხოლო ვირუსით დაინფიცირების ძირითადი წყარო სექსუალური კავშირი და არაერთჯერადი შპრიცების მოხმარება იყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ შიდსი ძალიან საშიში დაავადებაა, სწრაფი გავრცელება ახასიათებს და მისგან არავინ არის დაზღვეული. ამიტომ გაერომ შიდსი გლობალურ პრობლემად გამოაცხადა და მასთან ბრძოლამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. შიდსის საწინააღმდეგო ეფექტური მედიკამენტები ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა დაავადების გავრცელების მასშტაბები და ტემპები საგრძნობლად შეამცირა.

1981 წლიდან 2024 წლამდე შიდსის ვირუსით დაავადებულთა საერთო რაოდენობამ 80 მილიონზე მეტი შეადგინა. ამავე პერიოდში შიდსით გარდაცვლილთა საერთო რიცხვმა 43 მილიონს გადააჭარბა. 2024 წლისთვის შიდსით იყო დაავადებული 40 მილიონამდე კაცი. 2023 წელს აღინიშნა შიდსის 1,3 მილიონი ახალი შემთხვევა, იმავე წელს შიდსით გარდაცვლილთა საერთო რიცხვმა 630 ათასი შეადგინა. დაავადებულთა 63% ცხოვრობს ტროპიკულ აფრიკაში, ძირითადად, აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში. ამავე რეგიონიდანაა შიდსით დაღუპულთა ნახევარზე მეტი.

შიდსის საბოლოო დამარცხება ხანგრძლივი დროის პერსპექტივაა, თუმცა გარკვეული პროგრესი უკვე მიღწეულია. შიდსის ვირუსით ინფიცირებული ადამიანები სწორი მკურნალობის პირობებში სრულიად ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობენ, ღრმა სიბერემდე შეუძლიათ შეინარჩუნონ შრომისუნარიანობა და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ გარშემო მყოფთათვის.

10.2.5. კოვიდის პანდემია: გლობალური გამოწვევა

2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ქალაქ ვუჰანში გამოჩნდა ახალი, მანამდე უცნობი ვირუსით გამოწვეული დაავადება, რომელიც თავდაპირველად – კორონა ვირუსის, ხოლო შემდეგ კოვიდ-19-ის სახელით გავრცელდა. ეს დაავადება პირველად ცხოველთა ბაზრის თანამშრომლებსა და კლიენტებს შორის აღინიშნა და, პირველადი დასკვნით, ვირუსი ღამურებიდან ან გველებიდან გადავიდა ადამიანებზე. იმასაც ამბობდნენ, რომ ვირუსი ხელოვნურად შექმნეს და საიდუმლო სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორიიდან გაიჟონა. საბოლოო გამომწვევი მიზეზი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ფაქტია: ეს ლოკალური ეპიდემია გლობალურ პანდემიად იქცა, რომელმაც კატასტროფული შედეგები მოუტანა მსოფლიოს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ კოვიდის პანდემია დღემდე (2025 წლისთვის) გრძელდება და მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა. ამ ხნის განმავლობაში ოფიციალურად არის დაფიქსირებული 780 მილიონზე მეტი შემთხვევა (დედამიწის მოსახლეობის თითქმის 10%, მეორეული და მესამეული შემთხვევების ჩათვლით), ხოლო კოვიდით გარდაცვლილთა საერთო რაოდენობამ 7 მილიონს გადააჭარბა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლაპარაკია ოფიციალურად დარეგისტრირებულ შემთხვევებზე. ბევრი ფიქრობს, რომ რეალური მაჩვენებლები ბევრად უფრო მძიმეა: კერძოდ, კოვიდის შემთხვევების რაოდენობა 1.7 მილიარდიდან 3 მილიარდამდე უნდა მერყეობდეს, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვი 18 მილიონიდან 33 მილიონამდე ივარაუდება.

მიუხედავად მთელი მსოფლიოს უპრეცედენტო ერთობლივი ძალისხმევისა, მაქსიმალურად აეცილებინათ თავიდან ვირუსის გავრცელება და მინიმუმამდე დაეყვანათ ლეტალური დასასრული, შედეგი არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. გარდა დაავადებების ასტრონომიული რიცხვისა და სიკვდილიანობის კატასტროფული მაჩვენებლისა, არნახულ მასშტაბებს მიაღწია იმ სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ კულტურულ-ფსიქოლოგიურმა ზარალმა, რაც მსოფლიომ ნახა. ყველა ქვეყანაში საგრძნობლად გაუარესდა ეკონომიკური ვითარება, მკვეთრად შემცირდა მსოფლიო ვაჭრობა, განვითარდა საფინანსო კრიზისი და გაიზარდა ინფლაცია. კატასტროფულად შემცირდა მგზავრთა გადაყვანა საზღვრებს გარეთ, რადგან სახელმწიფოთა უმრავლესობამ მკაცრი შეზღუდვები და კარანტინი დააწესა. შესაბამისად, მრავალი სატრანსპორტო კომპანია საერთოდ გაკოტრდა. პრაქტიკულად გაჩერდა ტურისტული ინდუსტრია. სკოლები და უნივერსიტეტები გადავიდნენ ონლაინსწავლებაზე. გაუქმდა უამრავი კულტურული ღონისძიება, ფესტივალი და კონცერტი. დიდი დარტყმა მიიღო სპორტმაც. მრავალი სპორტული ასპარეზობა ან საერთოდ აღარ ჩატარებულა, ან მაყურებლის გარეშე ჩატარდა, ხოლო 2020 წლის ოლიმპიური თამაშები და ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ერთი წლით გადაიდო.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო. ჩვენ ნამდვილად აღარ ვცხოვრობთ იმ რეალობაში, რაც ამ პანდემიამდე იყო. ამასთანავე, კოვიდ-19 ნათელი დადასტურება იყო იმისა, რომ გლობალიზაციის ერაში ყველა პრობლემა გლობალურ პრობლემად იქცევა და მთელი კაცობრიობის საერთო საზრუნავია.

10.3. განათლების პრობლემები

საყოველთაო გლობალურ პრობლემებს შორის განათლება უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავლისმომცველია. შემთხვევითი არ არის, რომ მოსახლეობის განათლების დონე ქვეყნის განვითარების ერთერთი ძირითადი მაჩვენებელია და მთელ შიდა პროდუქტსა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან ერთად ჰუმანური (ადამიანის) განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როცა გლობალიზაციის პროცესმა მთელი დედამიწა მოიცვა და ნამდვილი ინფორმაციული ბუმის მოწმეები და მონაწილეები ვართ, განათლებული, მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე, რაიმე პროგრესზე ლაპარაკი ზედმეტია. სწორედ ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფო და, პირველ ყოვლისა, მაღალგანვითარებული ქვეყნები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ განათლებაზე, რადგან კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი მომავალი სიძლიერე და კეთილდღეობა მცოდნე, კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან სპეციალისტ-პროფესიონალებზეა დამოკიდებული. იმავდროულად, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა სულ სხვა პრობლემის წინაშე დგას: აქ ლაპარაკი არ არის სრულფასოვან და საფუძვლიან განათლებაზე; ძირითად პრობლემად რჩება წერა-კითხვის უცოდინრობა (უწიგნურობა) და ელემენტარული დაწყებითი განათლების არარსებობა. განათლების დაბალი დონე ამ ქვეყნების ჩამორჩენილობისა და სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

10.3.1.უწიგნურობა

უწიგნურობა ანუ წერა-კითხვის უცოდინრობა დღესაც კი სერიოზული სოციალური პრობლემაა განვითარებად სამყაროში, ხოლო ზოგ ქვეყანაში – ნამდვილი ეროვნული უბედურება. როდესაც მოსახლეობის უწიგნურობის დონეზეა ლაპარაკი, ბავშვებს არ გულისხმობენ. იგულისხმება მხოლოდ მოზრდილი მოსახლეობის (15 წელზე ზევით) ის ნაწილი, რომელსაც არ შეუძლია წერა-კითხვა და არანაირი განათლება არ მიუღია. წერა-კითხვის უცოდინართა და განათლების არმქონეთა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დამოუკიდებლად, სკოლის გარეშე შეიძლება ისწავლოს წერა-კითხვა, მაგრამ მთელ მსოფლიოში ეს სხვაობა დიდი არ არის და, როგორც წესი, მათ ცალცალკე არ განიხილავენ.

უწიგნურობის მაჩვენებელი მუდმივი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც, ზოგადად, კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური და

კულტურული პროგრესის შედეგია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, XX საუკუნის დასაწყისამდე წერა-კითხვის უცოდინართა ხვედრითი წილი მთელი მოზრდილი მოსახლეობის 90%-ს აღემატებოდა. განსაკუთრებით მაღალი იყო უწიგნურ ქალთა ხვედრითი წილი. XX საუკუნეში, კერძოდ კი, მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში, თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს, თუმცა 1970 წელსაც კი მსოფლიო მოზრდილი მოსახლეობის 37% წერა-კითხვის უცოდინარი იყო (მათ შორის, ქალების 45% და მამაკაცების 28%). 2005 წლისთვის ეს მაჩვენებლები ორჯერ შემცირდა (მთელი მოსახლეობის – 18%, ქალების – 23%, მამაკაცების – 14%). განსაკუთრებით სწრაფი პროგრესი აღინიშნა XXI საუკუნის დასაწყისიდან, როცა 20 წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინართა ხვედრითი წილი 25%-დან 10%-მდე დაეცა.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა წერა-კითხვის უცოდინრობის დაძლევის გზაზე, უწიგნურობა მაინც რჩება სერიოზულ პრობლემად. ერთ მილიარდზე მეტმა მოზრდილმა ადამიანმა არ იცის წერა-კითხვა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს უზარმაზარი მასა რეალურად მოკლებულია თანამედროვე ცხოვრებას და, ფაქტობრივად, სხვა ეპოქაში ცხოვრობს. მთავარი ის მკვეთრი ტერიტორიული დისპროპორციაა, რაც ამ სფეროში აღინიშნება. საკმარისია ვთქვათ, რომ წერა-კითხვის უცოდინართა 95,6% განვითარებადი სამყაროს მცხოვრებია. უწიგნურთა განსაკუთრებით მაღალი ხვედრითი წილი აღინიშნება სამხრეთ აზიასა და ტროპიკულ აფრიკაში, სადაც წერა-კითხვა არ იცის მოზრდილი მოსახლეობის მესამედზე მეტმა.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში სულ სამი ქვეყანაა, სადაც მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის ცოდნის ასპროცენტიანი მაჩვენებელია მიღწეული. ეს ქვეყნებია: ნორვეგია, ლუქსემბურგი და ლიხტენშტეინი. კიდევ 47 ქვეყანაში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც განვითარებული ან ყოფილი სოციალისტური ქვეყნებია წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი 99-დან 100 %-მდეა (მათ შორისაა საქართველოც). ხოლო იმ სახელმწიფოთა რიცხვი, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი 90%-დან 99%-მდეა, 44-ია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (30 %-ზე ნაკლები) აღინიშნება გვინეაში, სამხრეთ სუდანში, ჩადში, ნიგერში. აბსოლუტურ რიცხვებში უწიგნურთა რაოდენობით ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში და ჩინეთი გამოირჩევიან. ამ უკანასკნელში წერა-კითხვის უცოდინართა წილი 5%-ს არ აღემატება, მაგრამ აბსოლუტურ რიცხვებში 70 მილიონია. ასეთი სიტუაცია ჩინური იეროგლიფური დამწერლობის უჩვეულო სირთულესა და მისი შესწავლის შრომატევადობასთან არის დაკავშირებული.

ყველა განვითარებადი ქვეყნის ხელისუფლებას კარგად აქვს შეგნებული, რომ XXI საუკუნეში უწიგნურობა სრული ანაქრონიზმია. ამიტომ თითქმის ყველა მათგანს მიზნად აქვს დასახული, აღმოფხვრას ან მინიმუმამდე დაიყვანოს წერა-კითხვის უცოდინრობა. ამ მიზნით გამოყოფილია სოლიდური თანხები და შემუშავებულია დასაბუთებული პროგრამები, მაგრამ სრული წარმატების მიღწევა ძალიან ძნელი ამოცანა აღმოჩნდა.

10.3.2. დაწყებითი და საშუალო განათლება

მოსახლეობის განათლების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელი ისაა, თუ როგორია იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელსაც დაწყებითი და საშუალო განათლება აქვს მიღებული.

დაწყებითი (ელემენტარული) განათლება სწავლის პირველი და ყველაზე ადრეული საფეხურია. ზოგ ქვეყანაში დაწყებით განათლებას მიაკუთვნებენ სკოლამდელ აღზრდასაც (საბავშვო ბაღებს). მაგრამ საბავშვო ბაღებში, როგორც წესი, არ ასწავლიან წერა-კითხვას და ცალკეულ აკადემიურ საგნებს. ამასთანავე, სკოლაში შესასვლელად არ არის სავალდებულო, რომ ბავშვს საბავშვო ბაღი ჰქონდეს გავლილი. ამიტომ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში სწავლების პირველ საფეხურად დაწყებითი სკოლა ითვლება.

დაწყებითი სკოლა 4-6 წლიანია. ამ სკოლაში სწავლას ბავშვები 6-7 წლის ასაკში იწყებენ და 10-12 წლის ასაკში ამთავრებენ. პრაქტიკულად ყველა ქვეყანა აცხადებს, რომ დაწყებითი განათლება (ხოლო სახელმწიფოთა უმრავლესობაში – საშუალოც) სავალდებულო და უფასოა. მაგრამ რეალური სურათი სხვაა და განვითარებად ქვეყნებში მილიონობით ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას, იაროს სკოლაში. აქედან გამომდინარე, ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ აზიაში იმ ბავშვთა ხვედრითი წილი, რომლებიც ვერ ახერხებენ დაწყებით სკოლაში სიარულსაც კი, შესაბამისი ასაკის ბავშვების მესამედიდან ნახევარს შეადგენენ მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში დაწყებითი სასკოლო ასაკის თითქმის ყველა ბავშვი დადის ამა თუ იმ ტიპის დაწყებით სკოლაში.

საშუალო განათლება ანუ სასკოლო განათლების მეორე საფეხური 6-7 წლიანია და მოსწავლე მას 17-19 წლის ასაკში ამთავრებს. სასკოლო განათლების მეორე საფეხური შეიძლება უწყვეტი იყოს, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობაში იგი იყოფა, საკუთრივ, საშუალო სკოლად (Middle school) და მაღალ სკოლად (High shcool). საშუალო სკოლები, ზოგადად, და, განსაკუთრებით, მისი ზედა საფეხური შეიძლება წარმოდგენილი იყოს გიმნაზიების, ლიცეუმების, კოლეჯების, აგრეთვე – პროფესიული

სკოლების სახით. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდას ეძლევა უფლება, სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში, ბევრი მათგანი კი, ზოგადი საშუალო განათლების გარდა, რაიმე კონკრეტულ სპეციალობასაც ეუფლება.

განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, საშუალო განათლების მიღება (პირველი საფეხური ყველგან, ხოლო სახელმწიფოთა უმრავლესობაში მეორეც) სავალდებულოა, განვითარებად ქვეყნებში კი, საშუალო განათლება მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელია. შესაბამისად, დიდი სხვაობაა ქვეყნებს შორის, საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილის მიხედვით. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებში, აგრეთვე – ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ყოველი 1000 კაციდან სრული საშუალო განათლება 450-დან 700-მდე კაცს აქვს (მოზრდილ მოსახლეობაში – საგრძნობლად მეტს). განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 200-ის ფარგლებშია, ხოლო აზიისა და აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში 50-ს არ აღემატება.

საშუალო განათლების პრობლემები მარტო იმით არ ამოიწურება, თუ რამდენად ხელმისაწვდომია იგი მოსახლეობისთვის და მოსახლეობის რა ნაწილს აქვს ის მიღებული. არანაკლები პრობლემაა განათლების ხარისხი ანუ რამდენად ადეკვატურ განათლებას იღებს მოსწავლე და რამდენად გამოსადეგია მისი ცოდნა თანამედროვე რთულ და კონკურენტულ გარემოში. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკისა და ძირეული პოლიტიკური ცვლილებებისათვის. წარმოიშვა ე.წ. ფუნქციური გაუნათლებლობა, როცა ადამიანს აქვს თითქოსდა კარგი და საფუძვლიანი განათლება, მაგრამ ვერაფერში იყენებს მას. საკუთარ სამშობლოში მასზე მოთხოვნილება არ არის, საზღვარგარეთ კი მისი ცოდნა და კვალიფიკაცია საკმარისი არ აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა განათლების რეფორმის საკითხი. იგი გულისხმობს განათლების სტანდარტების მაქსიმალურ მიახლოებას ევროპისა და ამერიკის დონესთან და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნას. გლობალიზაციის პირობებში ეს აუცილებელი და გარდაუვალია, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იქნება, ერთ ქვეყანაში მიღებული განათლება სრულფასოვნად გამოიყენო სხვა ქვეყანაში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ვინმემ უარი თქვას ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ანდა შეასუსტოს ყურადღება მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების მიმართ. ლაპარაკია მხოლოდ განათლების ზოგად პრინციპებსა და სტანდარტებზე, რათა შენს ქვეყანაში მიღებული საშუალო განათლება

სრულად აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გადამწყვეტია ევროპისა და ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

10.3.3. უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლება განათლების ბოლო, ყველაზე მაღალი საფეხურია. უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა და ხარისხი, სტუდენტთა რაოდენობა და მათი დონე, პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთა კვალიფიკაცია და მათი სამეცნიერო მიღწევები, როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაჩვენებელია. თუმცა არის გამონაკლისებიც: ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლეს სასწავლებელთა და სტუდენტთა დიდი რიცხვი სოციალისტური წარსულის ინერციაა და ნაკლებად შეესაბამება ეკონომიკურ ვითარებას.

უმაღლესი სასწავლებლის რამდენიმე სახე არსებობს: უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კოლეჯი, უმაღლესი პროფესიული სკოლა და ა.შ. დასავლეთის ქვეყნებში უნივერსიტეტად იწოდება ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც შესაძლებელია უნივერსალური უმაღლესი განათლების მიღება ყველა ფუნდამენტური სამეცნიერო მიმართულებით (სამედიცინოდან – იურიდიულამდე) და სამივე საფეხურის აკადემიური ხარისხის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) მიღება. შესაბამისად, უნივერსიტეტებში სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლებაა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. პირველი მათგანი იწოდება დიპლომამდელ ანუ ხარისხამდელ (undergraduate) დონედ, ხოლო ორი დანარჩენი დიპლომისშემდგომ ანუ ხარისხისშემდგომ (graduate და postgraduate) დონედ. ინსტიტუტებსა და კოლეჯებში, როგორც წესი, სწავლების ერთი ან ორი დონეა. ეს დონე შეიძლება იყოს მხოლოდ ბაკალავრიატი, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა ანდა მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უმაღლესი პროფესიული სასწავლებელი აძლევს უმაღლეს პროფესიულ განათლებას, მაგრამ არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს.

უმაღლესი სასწავლებლები დღეს მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობაში ფუნქციონირებს. ბუნებრივია, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი დონითა და პრესტიჟულობით. მეორე მსოფლიო ომამდე ევროპის უნივერსიტეტების უპირატესობა აშკარა იყო, ომის შემდეგ კი აშშ-ისა და იაპონიის უნივერსიტეტები დაწინაურდნენ. უნივერსიტეტების ყველაზე მეტი რაოდენობა ინდოეთშია (8 ათასზე მეტი). 4 ათასზე მეტი უნივერსიტეტია აშშ-ში, ათასზე მეტი – მექსიკაში, არგენტინაში, იაპონიაში, ჩინეთსა დ საფრანგეთში. უმა-

ღლეს დამთავრებულთა და სტუდენტთა რიცხვით ყოველ 1000 მცხოვრებზე ლიდერობენ სკანდინავიის ქვეყნები, აშშ, ისრაელი, იაპონია, კანადა, დიდი ბრიტანეთი. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოც.

რაც შეეხება უმაღლესდამთავრებულთა წლიურ რაოდენობას, ევროპის ქვეყნებს შორის დიდი უპირატესობით ლიდერობს რუსეთი, თუმცა მსოფლიოს მასშტაბით ის ჩამორჩება აშშ-ს, ჩინეთს და ინდოეთს.

უმაღლესი განათლების პრობლემებს შორის მთავარი განათლების ხარისხი და მისი პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაა. სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აქ მიღებული უმაღლესი განათლება ხშირ შემთხვევაში (მაგრამ არა – ყოველთვის) არ შეესაბამებოდა დასავლურ სტანდარტებს, ხოლო საბჭოთა დიპლომის აღიარება მთელ რიგ დამატებით გამოცდებსა და ტესტირებებს საჭიროებდა. ამიტომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (მათ შორის – საქართველოშიც) გატარდა უმაღლესი განათლების საფუძვლიანი რეფორმა (ე.წ. ბოლონიის პროცესი), რომელიც იმას გულისხმობს, რომ მთელი ევროპის მასშტაბით ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების ერთიანი სისტემა. ყველა უნივერსიტეტი გადავიდეს სამსაფეხურიან სწავლებაზე. შემოიღონ სწავლების საკრედიტო სისტემა დაახლოებით მსგავსი პროგრამებით. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს შესასწავლი კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი და სურვილის შემთხვევაში დაუბრკოლებრივ შეიცვალოს სპეციალობა. რეფორმის მიზანია, რომ ამ პროცესში ჩართული ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტის სტუდენტს უპრობლემოდ შეძლოს სწავლის გაგრძელება სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში, ჩაეთვალოს ადრე ჩაბარებული საგნები და უღიარონ კრედიტები, ხოლო დიპლომი ვარგისი იყოს ევროპის ნებისმიერი ქვეყნისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების საყოველთაო მაღალ დონეს ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის.

რეფორმის გატარებას არაერთი წინააღმდეგობა ხვდებოდა და ხვდება. ეს ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა არა მარტო იმ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის, რომლებიც ბოლონიის პროცესში ჩაერთნენ, არამედ გერმანიისა და საფრანგეთისთვისაც, სადაც უმაღლესი განათლების სხვა სისტემა იყო. მაგრამ რეფორმის ბოლომდე მიყვანა და საუნივერსიტეტო სწავლების ბრიტანულ-ამერიკულ მოდელზე გადასვლა გარდაუვალია. პრაქტიკამ ცხადყო, რომ სწორედ ეს მოდელი აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური.

მაღალი დონის უმაღლესი განათლება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ფუნდამენტური მეცნიერებების ის დარგები, რომლებიც ძვირადღირებულ ექსპერიმენტებს და ძლიერ მატერიალუ-

რ-ტექნიკურ ბაზას საჭიროებენ, ძირითადად, დიდ, ძლიერ სახელმწიფოებშია განვითარებული. ამ დარგების სპეციალისტები საკუთარ სამშობლოში სპეციალობით მუშაობის საშუალებას მოკლებულნი არიან და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში არიან დასაქმებული. სწორედ ისინი შეადგენენ ე.წ. „ტვინების ექსპორტის“ ყველაზე აშკარა გამოხატულებას.

უნივერსიტეტები დასავლეთის ქვეყნების ძირითადი სამეცნიერო ცენტრებია. მათზე მოდის ფუნდამენტური კვლევების 2/3-ზე მეტი, გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები კი, ძირითადად, სამრეწველო ცენტრებში ხორციელდება. თუმცა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები უკვე ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გამიჯვნა საკმაოდ პირობითია. დარგების ასეთი დაახლოება განაპირობებს სამეცნიერო-საწარმოო არეალების – ტექნოპარკების წარმოქმნას. ცხადია, ტექნოპარკები მხოლოდ მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და დიდი სამეცნიერო პოტენციალის ქვეყნებშია ჩამოყალიბებული.

10.4. კრიმინალი, როგორც გლობალური პრობლემა

გლობალურ სოციალურ პრობლემებს შორის კრიმინალური პრობლემები უკანასკნელ წლებში უაღრესად აქტუალური გახდა. დანაშაულის პრობლემა კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა, მაგრამ, როგორც წესი, იგი შიდასახელმწიფოებრივ პრობლემას წარმოადგენდა და მასთან ბრძოლაც სახელმწიფოს ამოცანა იყო. გლობალიზაციის ერაში მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. საშინაო კრიმინალურ პრობლემებს დაემატა საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, რომელმაც განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა. ჩამოყალიბდა კრიმინალური ორგანიზაციების მსოფლიო ქსელი, დანაშაული ინტერნაციონალიზებული გახდა და დანაშაულებრივი სამყარო საერთაშორისო ურთიერთობების ცალკე, განსაკუთრებულ სუბიექტად მოგვევლინა. ეს საფრთხე იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ მასთან ბრძოლამ მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა მოითხოვა. საერთაშორისო დანაშაული გლობალურ პრობლემად იქცა და ნებისმიერი ცალკეული ქვეყანა უძლურია, წინ აღუდგეს მას. სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა თანამშრომლობა და ერთიანი მოქმედება საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სულ უფრო საშური და აუცილებელი ხდება.

10.4.1. დანაშაულის გავრცელების ზოგადი თავისებურებანი

დანაშაულის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ყოფითი და ა.შ. ამიტომ ნებისმიერ ქვეყანასა თუ რეგიონში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა და სახეობა პირდაპირ უკავშირდება იმ საზოგადოებრივ ვითარებასა და სოციალურ გარემოს, რომელთაც მოცემულ არეალში ვხედავთ. რადგან სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნიკურ-კულტურული პირობები მკვეთრი ტერიტორიული სხვაობით ხასიათდება, დანაშაულსაც კარგად გამოხატული სივრცითი დიფერენციაცია ახასიათებს და, ამდენად, გეოგრაფიის შესწავლის ობიექტია.

ზოგადად, განზრახ ჩადენილი დანაშაულის ის სახეობები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულს მიეკუთვნება, სამ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: *ძალადობრივი დანაშაული, საკუთრების ხელყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.* თითოეული მათგანის გავრცელებისა და სიხშირის მაჩვენებლებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ ერთი ზოგადი კანონზომიერება მაინც შეიმჩნევა: რაც ძლიერი და სტაბილურია პოლიტიკური რეჟიმი, მაღალია დემოკრატიის ხარისხი და მოსახლეობის სამართლებრივი კულტურა, მიღწეულია მატერიალური კეთილდღეობის მაღალი დონე და მოსახლეობა სოციალურად დაცულია, მით ნაკლებია დანაშაული. რა თქმა უნდა, შეუძლებელია კულტურულ-ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ტრადიციული ადათ-წესების გავლენის უგულებელყოფაც.

ძალადობრივი დანაშაულის ზოგი სახეობა (დივერსია, ტერორიზმი) უფრო პოლიტიკური პრობლემაა და ქვემოთ განვიხილავთ. წმინდა კრიმინალურ დანაშაულს წარმოადგენს მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება და ა.შ. ასეთი სახის დანაშაული განსაკუთრებით ხშირია იმ ქვეყნებში, სადაც არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაა, სამართალდამცველი ორგანოები არაქმედითუნარიანი და კორუმპირებულია და დაუსჯელობის სინდრომი ბატონობს. ასევე ხელისშემწყობი ფაქტორია ეკონომიკური სიდუხჭირე, უმუშევრობა, მიგრანტთა ადაპტაციის პრობლემა და სხვ. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტრადიციებსაც: მაგალითად, ზოგ ხალხში შემორჩენილია სისხლის აღების ადათი, რაც მკვლელობების რაოდენობაზე აისახება.

მკვლელობების სტატისტიკა გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება. განსაკუთრებით მაღალია მკვლელობათა რაოდენობა ლათინური ამერიკის (განსაკუთრებით, კარიბის აუზის) ქვეყნებში: კერძოდ, სალვადორში, გვატემალაში, ჰონდურასში, კოლუმბიაში, ვენესუელასა

და იამაიკაში წელიწადში ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 40-ზე მეტი მკვლელობა ხდება. მაღალი პროცენტით გამოირჩევა სამხრეთ აფრიკის ქვეყნებიც (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ესვატინისა და ლესოტოში ეს მაჩვენებელი 30-ს აღემატება). ევროპის ქვეყნებიდან პირველ ადგილზეა რუსეთი (5, 8). საქართველოში ეს მაჩვენებელი, რუსეთთან შედარებით, ექვსჯერ ნაკლებია (0. 99). განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე მეტი მკვლელობა ხდება აშშ-ში (6, 8), რაც იარაღის შეძენაზე ლიბერალური კანონმდებლობით აიხსნება. ევროპის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მკვლელობათა რიცხვი ყოველ 100 ათას კაცზე ერთზე ნაკლებია, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი აღინიშნება იაპონიაში, სინგაპურში, ჰონკონგსა და სპარსეთის უბის არაბულ ქვეყნებში (0, 5-ზე ნაკლები).

საკუთრების ხელყოფის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ქურდობა, ძარცვა, ავტომობილების გატაცება, ქონების თაღლითური გზით მითვისება და ა.შ. დანაშაულის ეს სახეობები ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ განსაკუთრებით ხშირია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე – განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში. ქურდობის ძირითადი მიზეზი სიღარიბე და გაჭირვებაა, მაგრამ ზოგ ქვეყანაში ამას ისტორიულ-კულტურული ფაქტორიც განაპირობებს. არის ხალხები, რომლებშიც ქურდობა არა თუ დასაძრახად მიიჩნეოდა, ვაჟკაცობადაც კი ითვლებოდა. ამ მენტალიტეტის შეცვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა კიდეც ე.წ. „კანონიერი ქურდის“ ცნება, რაც ახალგაზრდობის ნაწილში მისაბაძ იდეალად იქცა. ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა საქართველოს სინამდვილეშიც.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას შედარებით ნაკლებად აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის სახე და უფრო ხშირად ადმინისტრაციულ პასიხისმგებლობას ითვალისწინებს. თუმცა მასობრივი არეულობა და ნორმალური ცხოვრების პარალიზება უმძიმეს შედეგებს იწვევს და არასტაბილური პოლიტიკური რეჟიმისა და ჩამორჩენილი ეკონომიკის პირობებში იშვიათობას არ წარმოადგენს. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების სიხშირე დაბალი ყოფითი და სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია. განვითარებად და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში საზოგადოებრივი წესრიგის ნაკლებად მძიმე დარღვევები (მაგ., მოძრაობის წესების უგულებელყოფა, დანაგვიანება და ა.შ.) ჩვეულებრივი ამბავია და მოსახლეობას ნაკლებად აწუხებს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ნოყიერ პირობებს უქმნის სისხლის სამართლის უფრო მძიმე დანაშაულს და ისეთივე სერიოზული პრობლემაა, როგორიც – ძალადობრივი დანაშაული და საკუთრების ხელყოფა.

ზოგადი კანონზომიერებაა, რომ ქალაქებში დანაშაულის აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სოფლების ანალოგიურ მაჩვენებლებს. დანაშაულის რიცხვი განსაკუთრებით მაღალია საპორტო და საკურორტო ქალაქებში. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ტიპს და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებსაც: მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა პირადი საკუთრების ხელყოფაა, აღმოსავლეთ საქართველოში – ხულიგნობა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ხოლო კავკასიონის მთიან რეგიონებში – პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

დანაშაულის ზემოთ ჩამოთვლილი სახეები მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს აწუხებს, მაგრამ რადგან ისინი მაინც შიდასაქვეყნო პრობლემებია, მათი სიმწვავე იმის მიხედვით განსხვავდება, რამდენად კანონმორჩილია მოსახლეობა და რამდენად ეფექტურად მუშაობენ სამართალდამცავი ორგანოები. უფრო რთული გადასაწყვეტია დანაშაულის ის სახეები, რომლებიც ფორმით ინტერნაციონალურია და მათთან ბრძოლა საერთაშორისო ძალისხმევას საჭიროებს. დანაშაულის ასეთ სახეებს შორის განსაკუთრებით პრობლემურია ნარკობიზნესი და ტრეფიკინგი.

10..4.2. ნარკობიზნესი

თანამედროვეობის ერთ-ერთ სერიოზული გლობალური პრობლემაა ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. ხოლო ნარკომანია ბევრი ქვეყნისთვის ნამდვილ ეროვნულ უბედურებად იქცა.

ნარკომანია უფრო ავადმყოფობაა, ვიდრე დანაშაული, მაგრამ ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც ძალიან საშიშია საზოგადოებისათვის: მით უფრო, რომ ნარკომანიით დაავადებული ადამიანი ადვილად შეიძლება დამნაშავედ ჩამოყალიბდეს. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ნარკომანიის წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს, რათა, ჯერ ერთი, ადრეულ ეტაპზევე უმკურნალონ და ადამიანი ქრონიკულ ნარკომანად არ იქცეს, და მეორეც, მან ვერ შეძლოს, ნარკომანიაში ჩაითრიოს სხვა პირები. როგორც წესი, ამ ქვეყნებში ნარკოტიკების მოხმარებისთვის პირი საერთოდ არ ისჯება ან მხოლოდ ჯარიმას იხდის. მაგრამ მას აღრიცხავენ და მკურნალობენ. თუმცა არის ქვეყნები, სადაც ნარკოტიკების მოხმარება კანონით დაშვებულია (მაგ., ნიდერლანდები).

ნარკოტიკების მოხმარებისგან განსხვავებით, ნარკოტიკებით ვაჭრობა უმძიმესი დანაშაულია და ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა

ნარკოტიკების რეალიზატორს სასტიკად სჯის. მთელ რიგ ქვეყნებში ეს დანაშაული სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ნარკობიზნესი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია, ხოლო ნარკოტიკებით საერთაშორისო არალეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლა მთელი მსოფლიოს საერთო საზრუნავია.

მსოფლიოში ნარკოტიკების წარმოების რამდენიმე მთავარი ცენტრი გამოიყოფა. ჰეროინის მთავარი მწარმოებლებია: ავღანეთი, პაკისტანი (ე.წ. ოქროს ნახევარმთვარე) და ბირმა, ტაილანდი ლაოსი (ოქროს სამკუთხედი). ჰაშიში და მარიხუანა, ძირითადად, აფრიკასა და მექსიკაში იწარმოება, ხოლო კოკაინის წარმოებით კოლუმბია, ეკვადორი, პერუ და ბოლივია გამოირჩევა.

ნარკოტიკების წარმოება და მათი არალეგალური ტრანსპორტირება საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ კონტროლდება. ზოგი მათგანი, ფაქტობრივად, სახელმწიფოა სახელმწიფოში: მაგალითად, კოლუმბიაში 70-90-იან წლებში მოქმედებდა მედელინის და კალის კარტელები (სახელწოდებები იმ ქალაქების სახელებიდან მომდინარეობს, სადაც ისინი დაფუძნდნენ), რომლებიც აკონტროლებდნენ ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს: იქ მოჰყავდათ კოკაინი და გადაამუშავებდნენ მას, სადაც სამთავრობო ძალები და პოლიცია შესვლას ვერ ბედავდა. აღნიშნულ კარტელებს ჰყავდათ ათასობით კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი და თავიანთი მხარდამჭერები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. ეს იყო უძლიერესი მაფიოზური ორგანიზაციები, რომლებიც არა მარტო ნარკობიზნესით იყვნენ დაკავებული, არამედ იარაღით არალეგალურად ვაჭრობდნენ, ფლობდნენ საწარმოებს და ფინანსურ ბერკეტებს და ხშირად ხელისუფლებაზე ზეწოლით აღწევდნენ ხელსაყრელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებს. საინტერესო ფაქტია, რომ 90-იანი წლების პირველ ნახევარში კოკაინის გამყიდველი მედელინის კარტელის შემოსავალი უფრო მეტი იყო, ვიდრე – ქვეყნის მთავარი საექსპორტო კულტურის – ყავის გაყიდვისგან მიღებული შემოსავალი.

უზარმაზარი ძალისხმევა გახდა საჭირო, რომ კოლუბიის ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით ბოლოს და ბოლოს მოეხდინა ამ მძლავრი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ლიკვიდაცია. თუმცა უფრო მცირე ნარკოტიკული კარტელები დღემდე ფუნქციობს არაერთ ქვეყანაში და გლობალურ პრობლემებს უქმნის მსოფლიოს.

განსაკუთრებული საშიშროება იქმნება იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც, თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ნარკოტიკებით მსოფლიო არალეგალურ ვაჭრობაში სატრანზიტო ქვეყნების

როლი შეიძლება შეასრულონ. ასეთ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც, როგორც სატრანზიტო ქვეყანა ავღანეთიდან ევროპაში ნარკოტიკების გატანის გზაზე. მხოლოდ საქართველო ნარკობიზნესის პრობლემას ვერ გაუმკლავდება, საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების გვერდიგვერდ დგომა. რაც შეეხება ნარკომანიასთან ბრძოლას, ეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და მთელი საზოგადოების განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

10.4.3. ტრეფიკინგი

ტრეფიკინგი ერთ-ერთი მძიმე საერთაშორისო დანაშაულია, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკანასკნელ წლებში და გლობალურ პრობლემად იქცა. ტრეფიკინგი ადამიანებით უკანონო საერთაშორისო ვაჭრობაა და მონობის თანამედროვე სახეობად შეიძლება მივიჩნიოთ. ტრეფიკინგი, ძირითადად, გულისხმობს ადამიანთა მოტყუებით გაყვანას სხვა ქვეყნებში ვითომდა მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასასაქმებლად და შემდეგ – მათ სასტიკ ექსპლუატაციას. ტრეფიკინგის მსხვერპლი განსაკუთრებით ხშირად ხდებიან ახალგაზრდა ქალები, რომელთაც, შეპირებული სამუშაოს ნაცვლად, მათ იძულებით რთავენ პროსტიტუციაში და თითქმის არავითარ გასამჯელოს არ უხდიან. საშიშ ზღვარს მიაღწია ბავშვთა ტრეფიკინგის მასშტაბებმაც.

სხვადასხვა მონაცემებით, ტრეფიკინგის მსხვერპლი ყოველწლიურად ერთ მილიონამდე ადამიანი ხდება, ხოლო ამ საქმიანობაში ჩაბმული დანაშაულებრივი ორგანიზაციების მოგება 6-დან 10 მილიარდ დოლარამდეა. აღსანიშნავია, რომ ზოგი კრიმინალური დაჯგუფება, რომლებიც ადრე ნარკობიზნესით იყო დაკავებული, ახლა ტრეფიკინგზე გადავიდა, რადგან ეს საქმიანობა ნაკლებად სარისკოა. მიმღები ქვეყნების უმრავლესობას საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა აქვს: არ კრძალავს პორნოინდუსტრიას და სექსბიზნესს, ხოლო დონორი ქვეყნები ვერ უზრუნველყოფენ ცხოვრების ნორმალურ პირობებს, სამუშაო ადგილებს და ვერ აკონტროლებენ არალეგალურ ემიგრაციას.

ტრეფიკინგის მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკურმა კრიზისმა მილიონობით უმუშევარი წარმოქმნა, საზღვრების გახსნამ კი არალეგალური მიგრაცია გააადვილა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ტრეფიკინგისათვის, რაც, ძირითადად, ქალთა ტრეფიკინგით გამოიხატა. ამ სფეროში მთავარ დონორებს წარმოადგენენ რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, რუმინეთი, ბულგარეთი და ალბანეთი, ხოლო

მიმღებს დასავლეთ ევროპის (გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი, საბერძნეთი) და ახლო აღმოსავლეთის (თურქეთი, ისრაელი, კვიპროსი, არაბთა გაერთიანებული საემიროები) სახელმწიფოები.

ტრეფიკინგი, თავისი შინაარსით, საერთაშორისო დანაშაულია და მასთან ბრძოლაც საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომაა, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გააქტიურდა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობა და ერთობლივი ქმედება ამ მეტად საშიშ დანაშაულთან დასაპირისპირებლად.

10.4.4. კორუფცია

მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობაში საკმაოდ სერიოზულ პრობლემად რჩება კორუფცია. ეს სენი საყოველთაოა, მაგრამ განსაკუთრებით მოდებულია განვითარებად და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. ამის მიზეზია როგორც ეკონომიკური ჩამორჩენილობა და სიღარიბე, ისე სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი და ტრადიციად ქცეული წარმოდგენები ცხოვრების წესზე.

კორუფციის ცნება, უპირველესად, პოლიტიკურ კორუფციას გულისხმობს. ეს გამოიხატება სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი თანამდებობის გამოყენებით და პირადი, უკანონო სარგებლის მიღებით. ასეთ უკანონო გზებს მიეკუთვნება ქრთამი, გამოძალვა, მოსყიდვა, ნეპოტიზმი, ნათლიმამობა-ძმაბიჭობა, პატრონაჟი და ა.შ. მთელ რიგ ქვეყნებში კორუფცია იმდენად დამკვიდრდა საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ჩვეულებრივ ყოფით მოვლენად მიიჩნევა და დანაშაულად არც კი აღიქმება.

ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყნების პირველ ათეულს ქმნიან დანია, ნორვეგია, ფინეთი, ახალი ზელანდია, შვედეთი, სინგაპური, ნიდერლანდები, შვეიცარია, ლუქსემბურგი და კანადა. როგორც ვხედავთ, ეს ის ქვეყნებია, სადაც ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებელი და ჰუმანური განვითარების ინდექსი ყველაზე მაღალია. კორუფციის დაბალი დონე მარტო ეკონომიკური კეთილდღეობის დამსახურება როდია. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მაღალ პოლიტიკურ და ყოფით კულტურას, შრომისადმი დამოკიდებულებას, კანონმორჩილებას, საზოგადოების შეგნების დონეს და სახელმწიფოებრივ აზროვნებას.

ყველაზე უფრო კორუმპირებული ქვეყნების ათეულში შედიან სომალი, სირია, ვენესუელა, იემენი, ჰაიტი, ნიკარაგუა, თურქმენეთი, სამხრეთ სუდანი, ჩადი, ეკვატორული გვინეა. თითქმის ყველა მათგანი მიეკუთვნება იმ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკურ სიდუხჭირეს თან ერთვის პოლიტიკური არასტაბილურობა ან ავტორიტარული მმართველობა,

დაბალია სამართლებრივი კულტურა და აშკარად იგრძნობა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი.

კორუფცია სერიოზული პრობლემაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: მაგალითად, საქართველო, 2001 წლის მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების რიცხვში შედიოდა. შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და 2006 წელს საქართველომ უკვე ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნების რიცხვში გადაინაცვლა. 2012 წლისთვის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოზე ნაკლები კორუფცია მხოლოდ ბალტიის ქვეყნებში იყო. სამწუხაროდ, შემდეგ წლებში კორუფციის ინდექსი ისევ გაიზარდა.

საქართველოში კორუფციის მრავალ მიზეზს შორის ერთ-ერთი ძირითადია დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი სახელმწიფოების არქონა. იმის გამო, რომ საქართველო ანექსირებული იყო და უცხო სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, ქართველ ხალხში სახელმწიფო მტრად აღიქმებოდა და მისი კანონების შეუსრულებლობა კარგ ტონადაც კი ითვლებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ არადემოკრატიული და ტოტალიტარული რუსეთი და საბჭოთა კავშირი ე.წ. აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოს განასახიერებდნენ, სადაც პიროვნება კანონს კი არ ემორჩილება, არამედ – კოლექტივს (საქართველოში, ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნაცნობ-მეგობართა და ნათესავთა წრეს). ადამიანი კარიერას ქმნიდა არა პირადი დამსახურებით, არამედ სხვისი გადაწყვეტილებით. შესაბამისად, თანამდებობაზე დანიშნული კაცი ვალში იყო იმის წინაშე, ვინც იგი ამ თანამდებობაზე დანიშნა. მას მორჩილად უნდა შეესრულებინა უფროსის სურვილი, ესიამოვნებინა და ხშირ შემთხვევაში ქრთამიც ეძლია მისთვის. ამასთანავე, იგივე უნდა მოეთხოვა თავის მიერ დანიშნული ქვეშევრდომებისაგან. იქმნებოდა ერთგვარი იერარქიული კიბე, ბატონობდა უფროს-უმცროსობა და არა – კანონი. ისეთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებაში ყოფნას მოჰქონდა ფული, კორუფცია ცხოვრების წესი ხდებოდა. თანამდებობის პირი, ვინც ამ წესს არ დაემორჩილებოდა, საზოგადოებისთვის იმდენად პატიოსან კაცად კი არ ჩანდა, რამდენადაც – უცნაურ და უცხო პიროვნებად, რომელსაც „ცხოვრების შნო“ არ გააჩნდა და „ადგილს აფუჭებდა“. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჩამოყალიბდა თანამდებობის პირთა და დანაშაულებრივი სამყაროს ერთიანი ალიანსი, ნამდვილი მაფია, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა სფეროს მართავდა.

ეს წარმოდგენები დამკვიდრდა ქართველი საზოგადოების წარმოდგენაში და საქართველოს დამოუკიდებობის აღდგენის შემდეგაც შენარჩუნდა, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

სწორედ კორუფციის, მაფიისა და ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე. ცხადია, ეს ძალიან ძნელი და მძიმე პროცესი მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 2000-იან წლებში მიღწეული გარკვეული პროგრესი, ძირითადად, მკაცრი პოლიტიკის გატარების შედეგი იყო, რასაც არც თუ იშვიათად კანონდარღვევა და ძალაუფლების გადამეტება ახლდა, 2010-ან წლებში კი, ხელისუფლების წნეხის შემცირებამ კორუფცია კვლავ გაზარდა. წარმოიქმნა დილემა, როცა კორუფციასთან ბრძოლის გამწვავება მოითხოვს მკაცრ კანონებს, ხელისუფლება უფლებამოსილებას აჭარბებს, შერბილებული მიდგომა კი ხელახლა ზრდის კორუფციას. ამ დილემის დაძლევა აუცილებელი პირობაა, რათა საქართველომ თავი დააღწიოს სიღარიბეს და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ და განვითარებულ, ევროპული ტიპის ქვეყნად.

თავი 11. გლობალური პოლიტიკური პრობლემები

11.1. მშვიდობის შენარჩუნება და განიარაღება

გლობალურ პოლიტიკურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია ბირთვული ომის თავიდან აცილება და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა. ასე აღიქმებოდა ეს ***ცივი ომის*** პერიოდშიც და ყველა სხვა პრობლემა მასთან მიმართებით განიხილებოდა. ბიპოლარული სისტემის რღვევასა და ცივი ომის დასრულებასთან ერთად მსოფლიოში ბირთვული ომის საშიშროება შესუსტდა, მისი ალბათობა ახლა ნაკლებია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საყოველთაო მშვიდობა გარანტირებულია და ატომური ომის საშიშროება საერთოდ აღარ არსებობს. ბირთვული კატასტროფის საფრთხე კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია და ბრძოლა ბირთვული განიარაღებისთვის რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ატომური ომის საშიშროება რეალურია, „ცივი ომი“ დამთავრდა, მაგრამ დაიწყო „ცივი მშვიდობა“, რაც არანაკლებ საფრთხეს შეიცავს და ახალ პრობლემებს აჩენს, ხოლო უკანასკნელ წლებში რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ და, განსაკუთრებით, ფართომასშტაბიანი ომის დაწყებამ უკრაინაში 2022 წელს ბევრს გაუჩინა ეჭვი, რომ დაიწყო „ახალი ცივი ომი“.

11.1.1. ომი და მშვიდობა. თეორიული საკითხები

კაცობრიობის ისტორია, გარკვეულწილად, სახელმწიფოთა შორის ომებისა და კონფლიქტების ისტორიაა. მიახლოებითი გამოთვლებით, უკანასკნელი 3 ათასი წლის განმავლობაში სულ რამდენიმე წელი იყო მშვიდობიანი. დანარჩენ წლებში სულ მცირე ერთ ომს მაინც ჰქონდა ადგილი სახელმწიფოებს შორის.

ომის უამრავი სახე არსებობს და ნებისმიერ ომს თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს. მაგრამ ძალიან ძნელია, ცალსახა პასუხი გაეცეს კითხვას: არის თუ არა ერთი ზოგადი მიზეზი, რის გამოც ადამიანები ერთმანეთს ეომებიან?

საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი თეორია, **პოლიტიკური რეალიზმი,** კერძოდ, ის მიმართულება, რომელიც **კლასიკური რეალიზმის** სახელით არის ცნობილი, მიიჩნევს, რომ ომი და აგრესია თვით ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს. ადამიანი ყოველთვის ცდილობს უპირატესობა მოიპოვოს სხვა ადამიანზე, დაიმორჩილოს იგი და თავის

ძალაუფლებას დაუქვემდებაროს. ეს ბუნებრივი ლტოლვა ახასიათებს სახელმწიფოსაც. მისი მიზანიც მაქსიმალური გავლენისა და ძალაუფლების მოპოვებაა. სახელმწიფო აღწევს იმის მაქსიმუმს, რისი ძალაც შესწევს ან რის შესაძლებლობასაც სხვა სახელმწიფოები აძლევენ. თუ ის ამაზე მეტს მოინდომებს (რაც ხშირად ხდება), მაშინ ომი გარდაუვალია. ასე რომ, ომი სახელმწიფოებს შორის სავსებით ნორმალური, ბუნებრივი მოვლენაა.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს **პოლიტიკური იდეალიზმის** თეორია. მისი აზრით, ადამიანი მშვიდობისმოყვარე და ტოლერანტული არსებაა. ამიტომ ომი და აგრესია ბუნებრივი მდგომარეობიდან გადახვევაა: „ცუდი ხელისუფლების“, გაუნათლებლობის და კანონების დარღვევის ბრალია. კარგი საერთაშორისო სამართლის ნორმების, ეფექტური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების პირობებში საყოველთაო მშვიდობა გარანტირებული იქნება.

ისტორიის ახალ პერიოდში (ბოლო ხუთი საუკუნე) ომებისა და კონფლიქტების მთავარი მიზეზი დიდ სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირება იყო. ეს ყოველთვის წარმოქმნიდა საჭროებას, შექმნილიყო გარკვეული ალიანსები და კავშირები, რომლებიც ძალის ერთგვარ პოლუსებს წარმოადგენდნენ. მათ შორის წონასწორობა არის მშვიდობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა. როგორც კი ***ძალთა წონასწორობა*** დაირღვევა, მაშინვე რეალური ხდება ომის საფრთხე, ასეთი ომის შემდეგ კი ყალიბდება ძალთა ახალი წონასწორობა. დგება შედარებით მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც მანამ გრძელდება, სანამ კვლავ არ დაირღვევა ძალთა წონასწორობა, და ასე მუდმივად.

ძალთა ყოველ ახალ წონასწორობაში გამოიყოფა ჰეგემონი ქვეყანა, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემის სტაბილურობას. სხვა ძლიერი ქვეყნები, როგორც წესი, ჰეგემონის წინააღმდეგ არიან განწყობილი და ხელსაყრელ შემთხვევაში მის წინააღმდეგ გამოვლენ. მათი გამარჯვების შემთხვევაში იცვლება ძალთა განაწილებაც და ჰეგემონიც. სხვადასხვა ავტორი უკანასკნელ საუკუნეებში რამდენიმე გამორჩეულ ჰეგემონს ასახელებს (პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, აშშ).

ამერიკელი მეცნიერის, ჯორჯ მოდელსკის აზრით, ისტორიის ახალ და უახლეს პერიოდში მსოფლიომ სულ ოთხი ჰეგემონი ქვეყანა იცის – პორტუგალია, ნიდერლანდები, ინგლისი და აშშ.

პორტუგალია ჰეგემონი იყო XVI საუკუნეში. ეს ჰეგემონობა განაპირობა მისმა საზღვაო აღმოჩენებმა და იურიდიულად დააკანონა ტორდესილიასის ხელშეკრულებამ, რომლის მიხედვითაც, პორტუგალიის საკუთრებად ცხადდებოდა აზორის კუნძულების აღმოსავლეთით მდე-

ბარე ყველა ახლად აღმოჩენილი მიწა. პორტუგალიის ძირითადი მეტოქე იყო ესპანეთი, რომელსაც დიდი უპირატესობა ჰქონდა როგორც ტერიტორიისა და მოსახლეობის, ისე ბუნებრივი და მატერიალური რესურსების მხრივ. ამ უპირატესობამ დავა, საბოლოოდ, ესპანეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. თუმცა ესპანეთმა გამარჯვება ვერ განიმტკიცა და ჰეგემონად, ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდა.

XVII საუკუნის ჰეგემონი ნიდერლანდებია. ამ პატარა ქვეყნის უპირატესობა იმან განაპირობა, რომ იგი პირველი ბურჟუაზიული სახელმწიფო იყო ფეოდალურ სამყაროში: საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობის განვითარებით სხვა ქვეყნები უკან ჩამოიტოვა. ამას დაემატა მისი აშკარა უპირატესობა ზღვაზე, რამაც გამორჩეულ ჰეგემონად აქცია. თუმცა ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამ ინგლისში ნიდერლანდების ჰეგემონობა მკვეთრად შეასუსტა, ხოლო ინგლისთან სამ ომში დამარცხების შემდეგ (XVII საუკუნის 60-70-იან წლებში) ჰეგემონობა ინგლისის ხელში გადავიდა.

ინგლისი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჰეგემონობა ორი საუკუნის (XVII-XVIII) განმავლობაში შეინარჩუნა. XVIII საუკუნეში მისი ჰეგემონობა შეირყა საფრანგეთის ძლიერი მეტოქეობის გამო (ბევრი თვლის, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჰეგემონი სწორედ საფრანგეთი იყო). შვიდწლიან ომში საფრანგეთის დამარცხებამ ინგლისის ჰეგემონობა აშკარა გახადა. ნაპოლეონის საბოლოო დამარცხების შემდეგ ვენის კონგრესის მიერ დაკანონებულ ახალ მსოფლიო წესრიგში ინგლისი უკონკურენტო ჰეგემონი გახდა და მისი აშკარა უპირატესობა უცილობელ ფაქტად იქცა. გერმანიის გაერთიანებამ და მისმა სწრაფმა ეკონომიკურმა და სამხედრო-პოლიტიკურმა დაწინაურებამ საერთაშორისო სისტემის ხასიათი მკვეთრად შეცვალა და ძალთა ახალი გადანაწილება გამოიწვია. ინგლისი ტრადიციულ მეტოქეს – საფრანგეთს და მასთან ერთად რუსეთს დაუახლოვდა, რათა ერთად დაპირისპირებოდნენ გერმანიას. ამის შედეგი იყო პირველი მსოფლიო ომი, რამაც ძალთა ახალი წონასწორობა ჩამოაყალიბა და ახალი ჰეგემონი წარმოქმნა.

XX საუკუნის ჰეგემონად აშშ ითვლება. მაგრამ მეორე მსოფლიო ომამდე მისი ჰეგემონობა, ძირითადად, ეკონომიკური სიძლიერით გამოიხატებოდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ნაცისტური გერმანია და იაპონია აღარ მალავდნენ თავიანთ ჰეგემონურ მიზნებს, რაც მეორე მსოფლიო ომის მიზეზი გახდა. ომისშემდგომ პერიოდში აშშ-ის ჰეგემონობას უძლიერესი მეტოქე გამოუჩნდა საბჭოთა კავშირის სახით. ჩამოყალიბდა ***ხისტი ბიპოლარული სისტემა*** და ახალი გეოპოლიტიკური ვითარება, რაც *ცივი ომის* სახელითაა ცნობილი.

11.1.2. მშვიდობისა და განიარაღების პრობლემა ცივი ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი, რომელიც იალტა-პოტსდამის სისტემის სახელითაა ცნობილი. ამ სისტემის ძირითად შინაარსს გამოხატავს მსოფლიოს ორი პოლუსი: სოციალისტური და კაპიტალისტური სამყარო, რომელთა შორისაც მწვავე წინააღმდეგობა და შეურიგებელი დაპირისპირება გაჩაღდა. ფაქტობრივად, შეიქმნა ვითარება, როცა დაპირისპირებულ მხარეებს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა, რამაც „ცივი ომის“ სახელწოდება მიიღო. 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე ეს ხისტი ბიპოლარული სისტემა იყო, როცა ნებისმიერი ქვეყანა აუცილებლად ერთ-ერთ პოლუსში მოიაზრებოდა. დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნამ და და მათ მიერ ჩამოყალიბებულმა მიუმხრობლობის მოძრაობამ ხისტი ბიპოლარული სისტემა ***რბილ ბიპოლარულ სისტემად*** აქცია და შესაძლებელი გახადა, რომ სახელმწიფოთა გარკვეული რაოდენობა არც ერთ პოლუსში არ გაერთიანებულიყო.

ცივი ომის პერიოდი რამდენიმე ფაზად იყოფა:

1946-1953 წლები – კრიზისული პერიოდი, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მესამე მსოფლიო ომის დაწყება. ვითარების გამწვავება, ძირითადად, საბჭოთა კავშირის „დამსახურება“ იყო (კომუნისტური რეჟიმის ძალით დამყარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბერლინის კრიზისი, კორეის ომი და ა.შ.). სტალინის სიკვდილმა დაძაბულობა ერთგვარად შეანელა და პირველი ფაზის დასრულებადაც ეს თარიღი ითვლება.

1953-1968 წლები – არასტაბილური ურთიერთობების პერიოდი, როცა ურთიერთობების დაძაბვა და შერბილება ხშირად ერთმანეთს ენაცვლება. ამ პერიოდის დამახასიათებელი მოვლენებია, ერთი მხრივ, შეთანხმებები შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყანათა სავაჭრო, ეკონომიკური, ტურისტული, სამეცნიერო-კულტურული ურთიერთკავშირის მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, სუეცის კრიზისი, უნგრეთის ამბები, კუბის სარაკეტო კრიზისი, „პრაღის გაზაფხული“ და სხვ.

1969-1979 წლები – დათბობის პერიოდი (დეტანტი), როცა საბჭოთა კავშირის (და, შესაბამისად, სხვა სოციალისტური ქვეყნების) ურთიერთობა აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან საგრძნობლად გაუმჯობესდა. საკმაოდ ინტენსიური გახდა პირდაპირი კავშირი და თანამშრომლობა. მიღწეულ იქნა შეთანხმებები სტრატეგიული შეიარაღების შე-

ზღუდვის შესახებ, განხორციელდა საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ერთობლივი გაფრენა კოსმოსში და ა.შ.

1980-1985 წლები – მეორე კრიზისული პერიოდი. საბჭოთა ჯარების შესვლამ ავღანეთში (1979 წლის ბოლოს) უკიდურესად დაძაბა სიტუაცია და მსოფლიო სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა. დასავლეთის ქვეყნებმა მკვეთრად შეზღუდეს ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ხოლო უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, შეწყდა.

1985-1991 წლები – დათბობის ახალი ეტაპი და ცივი ომის დასასრული. საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა „პერესტროიკის“ კურსმა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიზაციას, თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას და დეიდეოლოგიზაციას გულისხმობდა, შესაძლებელი გახადა, მიეღწიათ შეთანხმებისათვის შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. საბჭოთა კავშირმა გამოიყვანა ჯარები ავღანეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ მესამე მსოფლიო ომის გარეშე მოხდა გერმანიის გაერთიანება და ერთიანი ევროპის შექმნა. სოციალისტურმა სისტემამ არსებობა შეწყვიტა. მეტიც, შეუძლებელი გახდა თვით საბჭოთა კავშირის შენარჩუნება და ის 15 სახელმწიფოდ დაიშალა. 1992 წლის 1 იანვრისთვის აღარ არსებობდა არც სოციალისტური სისტემა და არც საბჭოთა კავშირი, ე.ი. ბიპოლარული სისტემის ერთმა პოლუსმა არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ცივი ომიც ისტორიის კუთვნილება გახდა.

ცივი ომის პერიოდის დაპირისპირების განსაკუთრებული მწვავე და გლობალური ხასიათი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მოწინააღმდეგე მხარეების ხელში იყო ბირთვული იარაღი, ანუ ისეთი დამანგრეველი ძალა, რომელსაც შეეძლო რამდენიმე წამში მოესპო სიცოცხლე დედამიწაზე. სწორედ ამიტომ ბირთვული ომის თავიდან აცილება და ბირთვული განიარაღება გახდა ცივი ომის პერიოდის უმთავრესი გლობალური პრობლემა.

ატომური იარაღი პირველად აშშ-მა შექმნა და გამოიყენა იაპონიის წინააღმდეგ 1945 წლის აგვისტოში. ორ ქალაქში, ხიროსიმასა და ნაგასაკიში, ატომური ბომბების ჩამოგდება ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია და ყველას აშკარად დაანახა, თუ რა საშიშროების წინაშე დგას მსოფლიო.

1949 წელს საბჭოთა კავშირში პირველი ატომური ბომბის გამოცდა იმის მაუწყებელი იყო, რომ დაიწყო გამალებული შეიარაღება. თითოეული დაპირისპირებული პოლუსის ამოცანა გახდა, გაესწრო მეტოქისათვის ბირთვულ შეიარაღებაში, რაც, ფაქტობრივად, მსოფლიო ჰეგე-

მონობას ნიშნავდა. ბირთვული მეტოქეობა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის გახდა ამ პერიოდის ძირითადი შინაარსი.

50-იანი წლების შუა ხანებში ბირთვული სახელმწიფო გახდა დიდი ბრიტანეთი, ხოლო 1960 წელს – საფრანგეთი. 1964 წელს პირველი ატომური ბომბი გამოსცადა ჩინეთმა. სავარაუდოდ, 70-იანი წლების ბოლოს ატომური იარაღი შექმნა ისრაელმაც.

ატომური არსენალის დაგროვებამ რამდენიმე ქვეყანაში უკვე გამოიწვია სერიოზული შეშფოთება, მაგრამ ძირითად საფრთხეს მაინც ამერიკა-საბჭოთა კავშირის ბირთვული დაპირისპირება წარმოადგენდა. ეს საფრთხე კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობას. მათი ურთიერთობის ძირითადი მიზანიც მშვიდობიანი თანაარსებობა და ბირთვული ომის თავიდან აცილება იყო. ამ მიზანს ემსახურებოდა ხელშეკრულება ჰაერში, წყალში და ხმელეთის ზედაპირზე ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ (1963 წ.), ხელშეკრულებები სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ (1972 და 1979 წლებში) და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ბირთვული ომის საფრთხე არ შემცირებულა, ხოლო 80-იანი წლების პირველ ნახევარში გაიზარდა კიდეც. მხოლოდ „პერესტროიკის“ პერიოდში განხორციელებულმა ხელშეკრულებებმა (საშუალო სიშორის ატომური იარაღის ევროპიდან გატანის შესახებ, სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ, ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და სხვ.) შეამცირა ბირთვული ომის ალბათობა, ხოლო სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლამ ეს საფრთხე დაბალ ნიშნულზე დაიყვანა.

11.1.3. მშვიდობის შენარჩუნებისა და განიარაღების პრობლემა ცივი ომის შემდეგ

ცივი ომის დამთავრება ბევრმა შეაფასა მსოფლიოს საბოლოო გათავისუფლებად გლობალური ომისა და ბირთვული კატასტროფის საშიშროებისაგან. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ფრენსის ფუკუიამამ ამ მოვლენას „ისტორიის დასასრული“ უწოდა, რადგან, მისი აზრით, საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური რეჟიმების კრახით მოისპო უკანასკნელი ირაციონალური საწყისი – ბოროტი ძალა და დადგა საყოველთაო მშვიდობის, დემოკრატიის და ლიბერალური ღირებულებების ეპოქა. შესაბამისად, კაცობრიობის მომავალი უსაფრთხო და ოპტიმისტურია.
ცხადია, რეალური ვითარება საგრძნობლად განსხვავდება ამ წარმოდგენისაგან. მართალია, გლობალური ბირთვული ომის საშიშროება, ცივი ომის პერიოდთან შედარებით, ახლა ნამდვილად ნაკლებია, მაგრამ ბე-

ვრმა ისეთმა პრობლემამ იჩინა თავი, რომლებიც საკმაოდ სერიოზული საშიშროების წინაშე აყენებს კაცობრიობას.

ჯერ ერთი, გაიზარდა ბირთვული სახელმწიფოების რიცხვი. 90-იან წლებში ატომური იარაღის მფლობელები გახდნენ ინდოეთი და პაკისტანი. ის ფაქტი, რომ ბირთვული იარაღი აღმოჩნდა ისეთი ქვეყნების ხელში, რომლებსაც ერთმანეთთან ტერიტორიული კონფლიქტი აქვთ, თავისთავად ზრდის ლოკალური ბირთვული ომის საშიშროებას. გარდა ამისა, ატომური იარაღის შექმნაზე ინტენსიურად მუშაობს ირანი, ხოლო ჩრდილოეთი კორეა უკვე შეემატა ბირთვული სახელმწიფოების რიგს. ფუნდამენტალისტურ ისლამურ და ტოტალიტარულ კომუნისტურ სახელმწიფოებში ბირთვული იარაღი ძალიან სერიოზული საფრთხეა მსოფლიო მშვიდობისათვის.

მეორე, ბიპოლარული მსოფლიო დაპირისპირებით „დასავლეთი-აღმოსავლეთი“ შეიცვალა ახალი საერთაშორისო სისტემით. ზოგი თვლის, რომ ახალი სისტემა კვლავ ბიპოლარულია, მაგრამ დაპირისპირებულ პოლუსებს წარმოადგენენ გლობალური ჩრდილოეთი (განვითარებული სამყარო) და გლობალური სამხრეთი (განვითარებადი ქვეყნები). ეს დაპირისპირება არანაკლებ მწვავე და საშიშია, ვიდრე – დაპირისპირება „დასავლეთი-აღმოსავლეთი“. ნაწილს მიაჩნია, რომ ახლა მსოფლიოში ერთი პოლუსია – აშშ, რაც გარდაუვალს ხდის მის დაპირისპირებას დანარჩენ მსოფლიოსთან. უმრავლესობის აზრით კი, საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანია: რამდენიმე ძალის ცენტრი გამოიყოფა (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი), რომელთა ურთიერთწინააღმდეგობაც სულ უფრო გამწვავდება და საფრთხეს შეუქმნის მსოფლიო მშვიდობას.

მესამე, მკვლევართა ნაწილი იზიარებს ამერიკელი მეცნიერის, სამუელ ჰანტინგტონის ზემოთ განხილულ მოსაზრებას ცივილიზაციათა შეჯახების შესახებ. ამ ჰიპოთეზით, აქამდე არსებული დინასტიური, იმპერიული თუ იდეოლოგიური დაპირისპირებები შეიცვლება დაპირისპირებით ცივილიზაციებს შორის. სავარაუდოა, რომ დასავლურ ცივილიზაციას (რომელსაც უნივერსალურობის პრეტენზია აქვს) დაუპირისპირდნენ სხვა ცივილიზაციები (პირველ ყოვლისა, ისლამური და კონფუციანური), რაც შეიძლება გლობალურ მსოფლიო ომში გადაიზარდოს.

მეოთხე, ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ მიმართულებით, პროგრესი არ შეიმჩნევა და არც ახალი ხელშეკრულებები დადებულა. მეტიც, უკანასკნელ დროს სახიფათო ტენდენცია გამოიკვეთა: კერძოდ, რუსეთმა ზოგი ადრე ნაკისრი ხელშეკრულების შესრულებაზე უარი თქვა და ცალმხრივად შეაჩერა სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და ჩვეულებრივი

შეიარაღების შემცირების პროგრამა. პარალელურად მიმდინარეობს ატომური შეიარაღების ზრდა და მოდერნიზაცია, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ბოლო წლებში მისმა აგრესიულმა ქმედებებმა ბირთვული დაპირისპირების საფრთხე ხელახლა გაზარდა.

დაბოლოს, მეხუთე, საყოველთაო მშვიდობის მიღწევის გზაზე გადაულახავი წინააღმდეგობაა სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების ზრდა და გამწვავება, რაც თანამედროვეობის კიდევ ერთ გლობალურ პრობლემად იქცა.

11.2. შეიარაღებული კონფლიქტები, როგორც გლობალური პრობლემა

შეიარაღებული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის და სახელმწიფოს შიგნით ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ პრობლემას, მაგრამ ამჟამად მან გლობალური სახე მიიღო. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ თანამედროვე პერიოდში ძირითადი პოლიტიკური პრობლემა არა – მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროება, არამედ სწორედ ლოკალური ომები და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებია.

ომები და კონფლიქტები კაცობრიობის ისტორიის მუდმივი თანამგზავრია, მაგრამ დღეს, როცა ადამიანის ხელში გამანადგურებელი იარაღის უზარმაზარი არსენალია, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი მოგვარების პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

11.2.1. ცვლილებები შეიარაღებული კონფლიქტების ხასიათში თანამედროვე მსოფლიოში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში შეიმჩნევა შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვის საგრძნობი ზრდა. ეს თვით სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდასთან არის დაკავშირებული. ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა ყოფილი კოლონიური ქვეყნები (აზიისა და აფრიკის სახელმწიფოები) ან ტოტალიტარული იმპერიებისა და ავტორიტარული სახელმწიფოების (საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია) ნაწილს წარმოადგენდა. მათ შორის საზღვრები თვითნებურად, მეტროპოლიამ დაადგინა, რამაც უამრავი პრობლემა წარმოშვა. მეზობელი ქვეყნების უმრავლესობა ერთმანეთს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს, ხოლო ბევრი ქვეყნის შიგნით საკმაოდ ძლიერია სეპარატისტული და ირედენტისტული განწყობა. ყოველივე ეს კონფლიქტების წარმოქმნისა და გაღრმავებისთვის ნოყიერი ნიადაგია.

ყოველწლიურად რამდენიმე ახალი კონფლიქტი წარმოიქმნება. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია 90-იანი წლები: კერძოდ, 1992 წელს 52 კონფლიქტი მიმდინარეობდა, რაც ხუთჯერ მეტი იყო 50-იანი წლების საშუალო მაჩვენებელთან (11 კონფლიქტი) და სამჯერ მეტი – 60-იან წლებთან (17 კონფლიქტი) შედარებით. 70-იან წლებში, საშუალოდ, წლიურად 31 ახალი კონფლიქტი იწყებოდა ხოლმე, ხოლო 80-იან წლებში – 40. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან კონფლიქტების რაოდენობამ რამდენადმე იკლო, თუმცა საერთო მაჩვენებელი მაინც ძალიან მაღალია.

კონფლიქტების და ლოკალური ომების უმრავლესობა წლობით გრძელდება, უამრავი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს... მათ მოსდევს უზარმაზარი მატერიალური და მორალური ზარალი. საკმარისია ითქვას, რომ დღეს მიმდინარე კონფლიქტებს შორის ისეთებიც გვხვდება, რომლებიც 40-იან, 50-იან და 60-იან წლებში დაიწყო, ანუ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება. მთელი XX საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ომებსა და კონფლიქტებში 125 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა კონფლიქტების ხასიათი:

შეიარაღებული კონფლიქტი დიდ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკულად აღარ გვხვდება, რისი მიზეზიც ბირთვული იარაღის დიდი რაოდენობა და იმ კატასტროფული შედეგის შიშია, რაც შეიძლება ასეთ კონფლიქტს მოჰყვეს;

შემცირდა შეიარაღებული დაპირისპირების ხანგრძლივობა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო თანამეგობრობის დამსახურებაა. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თვით კონფლიქტი ამოიწურა. კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებას შეიძლება წლები და ათწლეულებიც დასჭირდეს;

შეიცვალა კონფლიქტების გეოგრაფია. სიმძიმის ცენტრმა გლობალურ სამხრეთში, განვითარებად სამყაროში გადაინაცვლა, 90-იან წლებში კი, მათ ყოფილი სოციალისტური სამყაროც მიემატა;

კონფლიქტების უმრავლესობას ლოკალური ხასიათი აქვს და ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციებს არ ითვალისწინებს. უმრავლეს შემთხვევაში კონფლიქტი ადგილობრივი მნიშვნელობისაა, სადაც პარტიზანულ ბრძოლას და ტერორიზმს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს;

დიდი სახელმწიფოები აღარ ცდილობენ, იარაღის ძალით გაავრცელონ თავიანთი გავლენა სუსტ, პატარა ქვეყნებზე და თავი აშკარა აგრესორად წარმოაჩინონ. ისინი ამისათვის გაცილებით დახვეწილ და ცივილიზებულ მეთოდებს იყენებენ, რაც შეიარაღებული კონფლიქტის ალბათობას საგრძნობლად ამცირებს.

11.2.2. შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზები

შეიარაღებული კონფლიქტები მრავალმა სხვადასხვა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს, რომლებიც რამდენიმე ძირითად ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ჰიპოთეზები, რომლებიც კონფლიქტს ადამიანის ბუნებას უკავშირებს. ამაზე ზემოთ მოგახსენეთ.

შეხედულებების **მეორე ჯგუფის** მიხედვით, კონფლიქტების მიზეზი სახელმწიფოთა ქცევა და ინტერესებია. ამ თვალსაზრისით (**სახელმწიფო ანალიზი**), კონფლიქტი განპირობებულია ქვეყნის შინაგანი მახასიათებლებით (მმართველი ძალის კლასობრივი და პოლიტიკური კუთვნილება, ეკონომიკური მდგომარეობა, ნაციონალიზმი, ტერიტორიული პრეტენზიები და ა.შ.).

გარკვეული კანონზომიერებაა, რომ კონფლიქტების დიდი უმრავლესობა იმ ქვეყნებს ახასიათებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა არც თუ დიდი ხნის წინ მოიპოვეს. სწორედ მათ უჩნდებათ ურთიერთპრეტენზია, ძირითადად, ტერიტორიული ხასიათისა. საკმაოდ ხშირია ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალების მხარდაჭერა, სეპარატიზმისა და ირედენტიზმის წახალისება და სხვა ისეთი აქციები, რომლებიც კონფლიქტის უშუალო საბაბი ხდება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის დემოკრატიის დონეს. კერძოდ, **დემოკრატიული მშვიდობის თეორია** ამტკიცებს, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ომი და შეიარაღებული კონფლიქტი გამორიცხულია. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ომი არ ყოფილა და არც იქნება, რადგან ყველა პრობლემა მოლაპარაკებით გვარდება. **ფემინისტური თეორიის** მიხედვით კი, ომი მამაკაცური აზროვნების შედეგია, რადგან ომი მამაკაცების წარმოდგენაში (რომლებიც პოლიტიკოსთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ) გმირობასა და სიმამაცესთან ასოცირდება. ბევრი თვლის, რომ ომების მთავარი მიზეზი **ნაციონალიზმია.** საკუთარი ერისა და სახელმწიფოს გამოცხადება ყველაზე დიდ ფასეულობად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაყენება ზოგადსაკაცობრიობო, პიროვნულ, რელიგიურ, კლასობრივ და, საერთოდ, ყველა სხვა ინტერესზე მაღლა, ბრძოლა „ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა“ და „დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის“ ძალიან დიდი საფუძველია შეიარაღებული დაპირისპირებისა და კონფლიქტისათვის.

შეხედულებების **მესამე ჯგუფი** კონფლიქტების მთავარ მიზეზად საერთაშორისო ფაქტორებს გამოარჩევს. **ნეორეალიზმი** კონფლიქტის და, საერთოდ, საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას მიიჩნევს. იმის გამო, რომ

საერთაშორისო სისტემაში არ არის ხელისუფლების ერთიანი ცენტრი, ყველა სახელმწიფო ცდილობს, მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი ეროვნული ინტერესები. საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციები არ არის ის ძალა, რომელიც ყოველთვის შეძლებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისწრაფებათა შეკავებას, რის გამოც კონფლიქტი გარდაუვალი ხდება. **მარქსიზმი** თვლიდა, რომ ომის მიზეზები ყოველთვის ეკონომიკურია: სანამ არსებობს კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი, ომები გარდაუვალია, რადგან ბრძოლა ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის კლასობრივ საზოგადოებაში მუდმივად გაჩაღდება. **ნეომარქსიზმის** აზრით, კონფლიქტის მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირეა, ხოლო მთავარი წინააღმდეგობა მდიდარი ჩრდილოეთისა და ღარიბი სამხრეთის ურთიერთდაპირისპირებაა, რაც ადრე თუ გვიან კონფლიქტამდე მიგვიყვანს. **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია** ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები, ორგანიზაციები, ფირმები და, საერთოდ, ადამიანები თანამედროვე ეპოქაში ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, ეს კავშირი ისე სწრაფად იზრდება, რომ დაპირისპირებითა და კონფლიქტით არავინაა დაინტერესებული და მომავალში შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვი მკვეთრად შემცირდება.

ცხადია, მსოფლიოში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები, თავიანთი შინაარსით და ფორმით, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გარდა ამისა, თითოეული მათგანი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი ხასიათისაა. ამდენად, შეუძლებელია ამა თუ იმ კონფლიქტის საფუძვლად ერთი კონკრეტული მიზეზი დავასახელოთ. ყოველი მათგანის წარმოშობა მრავალ სხვადასხვა მიზეზის ერთობლიობასთან არის დაკავშირებული.

11.2.3. უმთავრესი საერთაშორისო კონფლიქტები

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებს შორის სიმწვავითა და მასშტაბურობით რამდენიმე მათგანი გამოირჩევა.

პალესტინის კონფლიქტი, რომელსაც მეორენაირად ისრაელ-არაბული ქვეყნების ან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს უწოდებენ, მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი და ხანგრძლივი (40-იანი წლებიდან მომდინარე) კონფლიქტია. პალესტინა ებრაელების ისტორიული სამშობლოა. ახ.წ. I საუკუნეში რომაელებმა ბოლო მოუღეს ებრაელთა სახელმწიფოს, დაანგრიეს დედაქალაქი იერუსალიმი, ხოლო ებრაელი

ხალხი მთელ მსოფლიოში გაიფანტა. ამის შემდეგ პალესტინამ მრავალი დამპყრობელი გამოიცვალა, ძირეულად შეიცვალა მისი მოსახლეობაც და უმრავლესობა არაბმა მუსლიმებმა შეადგინეს. XVI საუკუნიდან პალესტინა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო I მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია გახდა. XIX საუკუნის ბოლოს საფუძველი ჩაეყარა ***სიონიზმის*** პოლიტიკურ მიმართულებას, რომლის მიზანიც პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენა იყო. ამ დროისთვის ებრაელთა ხვედრითი წილი პალესტინის მოსახლეობაში 7%-ს არ აღემატებოდა. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ებრაულ საზოგადოებაში სიონიზმის იდეები ძალიან პოპულარული გახდა, ხოლო პალესტინა ებრაელთა იმიგრაციის უმთავრეს ცენტრად იქცა. ყოველივე ამის შედეგად, ებრაელებმა პალესტინის მოსახლეობის მესამედზე მეტი შეადგინეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გაუქმდა ბრიტანეთის მანდატი პალესტინაზე, დღის წესრიგში დადგა საკითხი პალესტინაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ითვალისწინებდა რა იმ უზარმაზარ მსხვერპლს და გენოციდს ***(ჰოლოკოსტს)***, რომელიც ებრაელ ხალხს ნაციზმმა დაატეხა თავს, მხარს უჭერდა ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის შექმნას. მეორე ნაწილი კი (მათ შორის, მთელი არაბული სამყარო), ითხოვდა შექმნილიყო ერთიანი პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც არაბებსა და ებრაელებს თანაბარი უფლებები მიენიჭებოდათ, იქნებოდა ორი სახელმწიფო ენა და თანაბარი წარმომადგენლობა მთავრობასა და პარლამენტში.

1947 წლის ნოემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი (არაბულ და ებრაულ) სახელმწიფოს შექმნას, ხოლო ქალაქ იერუსალიმზე დაწესდებოდა სპეციალური საერთაშორისო რეჟიმი. ებრაული სახელმწიფოს, ისრელის, დამოუკიდებლობა 1948 წელს გამოცხადდა, რასაც მეზობელი არაბული ქვეყნები მტრულად შეხვდნენ და მის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია განახორციელეს. ამ ომში ისრაელმა გაიმარჯვა და გაფართოვდა კიდეც პალესტინის არაბული სახელმწიფოსთვის გამოყოფილ ტერიტორიების ნაწილის ხარჯზე. გარდა ამისა, მის ხელში გადავიდა იერუსალიმის დასავლეთი ნაწილიც. პალესტინის დანარჩენი ტერიტორია იორდანიის (მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი და აღმოსავლეთი იერუსალიმი) და ეგვიპტის (ღაზას სექტორი) ხელში გადავიდა. 1967 წლის ე.წ. ექვსდღიანი ომის შედეგად, ისრაელი დაეუფლა პალესტინის მთელ ტერიტორიას (მათ შორის, მთელ იერუსალიმს), აგრეთვე – ეგვიპტის კუთვნილ სინას

ნახევარკუნძულს და სირიის კუთვნილ გოლანის მაღლობებს. სრული გამარჯვება მოიპოვა ისრაელმა 1973 წლის ომშიც.

ამის შემდეგ არაბული ქვეყნების ნაწილმა და, პირველ ყოვლისა, ეგვიპტემ შეცვალეს პოზიცია და აღიარეს ისრაელის სახელმწიფოს არსებობის უფლება. სანაცვლოდ, ისრაელმა ეგვიპტეს დაუბრუნა სინას ნახევარკუნძული. დაიწყო მოლაპარაკება ისრაელსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის, რის შედეგადაც ისრაელმა ცნო ღაზის სექტორისა და დასავლეთ ნაპირის ავტონომია და მზადყოფნა გამოთქვა, დასთანხმებოდა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ამ საზღვრებში. გადაუჭრელ პრობლემად რჩება იერუსალიმის საკითხი, რომელიც ისრაელმა თავის დედაქალაქად გამოაცხადა და მისი არც ერთი ნაწილის დათმობას არ აპირებს. მტრული დამოკიდებულებაა სირიასა და ისრაელს შორის, ხოლო გოლანის მაღლობები ისევ ისრაელის ხელში რჩება. მდგომარეობას ართულებს სხვადასხვა ისლამისტური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის ტერორისტული აქტები ისრაელის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ტრაგიკული იყო პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციის „ჰამასის“ მიერ 2023 წელს განხორციელებული აქტი, რომელმაც ათობით ისრაელის მოქალაქე შეიწირა; 200-ზე მეტი მძევლად აიყვანეს. ამის საპასუხოდ, ისრაელმა ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო ჰამასის წინააღმდეგ და შეუტია ღაზას, რამაც უკიდურესად დაძაბა საერთაშორისო ვითარება. ცეცხლის შეწყვეტა მხოლოდ 2025 წლის იანვარში მოხერხდა.

კვიპროსის კონფლიქტი 1974 წლიდან გრძელდება. ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1960 წელს მოიპოვა. მოსახლეობის 78%-ს – ბერძნები, 18%-ს კი თურქები შეადგენენ. თავიდანვე კვიპროსი დუალისტურ სახელმწიფოდ გამოცხადდა, სადაც ყველა თანამდებობა ბერძნებისა და თურქებისათვის დაწესებული კვოტებით განაწილდა. ამასთანავე, ბერძნების გარკვეული ნაწილი არ უჭერდა მხარს კვიპროსის დამოუკიდებლობას და საბერძნეთთან შეერთებას ითხოვდა. სწორედ ამ ძალებმა სცადეს 1974 წელს სახელმწიფო გადატრიალება და საბერძნეთთან შეერთება. ამის საპასუხოდ, თურქეთმა თავისი ჯარები გადასხა კვიპროსში და მისი ტერიტორიის 40%-ის ოკუპაცია მოახდინა. აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოცხადდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელიც მხოლოდ თურქეთმა ცნო. საბერძნეთთან შეერთების მსურველთა გადატრიალების მცდელობა მალევე ჩაახშეს და კვიპროსის რესპუბლიკა აღდგა, მაგრამ თურქულმა ნაწილმა უარი თქვა ძველ სტატუსზე, რის გამოც კონფლიქტი გაჭიანურდა. კუნძულის ბერძნულმა ნაწილმა მთელი ყურადღება ეკონომიკაზე გადაიტანა და მალე

ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ერთ სულზე მთელი შიდა პროდუქტის მოცულობით დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებს გაუტოლდა. ამის შედეგად, კვიპროსი (თურქული ნაწილის გარეშე) ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამჟამად თურქული ნაწილი თანახმაა, კვიპროსის ერთიანობა აღდგეს პარიტეტულ საწყისებზე, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თურქულ გეგმას ბერძნული ნაწილი არ ეთანხმება.

ბოსნიის და კოსოვოს კონფლიქტები შიდა კონფლიქტების საერთაშორისო კონფლიქტებად გადაქცევის თვალსაჩინო მაგალითია. როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა აღიარეს და ამით იუგოსლავიის დაშლა დააფიქსირეს, დამოუკიდებლობა ბოსნია-ჰერცოგოვინამაც გამოაცხადა. ამ ქვეყნის სერბი ეროვნების მოსახლეობამ (რომელიც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 38%-ს შეადგენდა) დამოუკიდებლობას მხარი არ დაუჭირა და სერბებით დასახლებული ტერიტორიის სერბეთთან შეერთება მოინდომა. ამას მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი: ერთ დაპირისპირებულ მხარეს – ბოსნიელი სერბები, ხოლო მეორეს ბოსნიელი ხორვატები და მუსლიმები წარმოადგენდნენ. სერბეთმა აქტიური დახმარება გაუწია ბოსნიელ სერბებს და ბოსნიაში თავისი ჯარები შეიყვანა. ამ ოპერაციას ათი ათასობით ბოსნიელი მუსლიმი და ხორვატი ემსხვერპლა. გაეროს უშიშროების საბჭო იძულებული გახდა, ბოსნიაში გაეროს ჯარები გაეგზავნა და სისხლისღვრა შეეჩერებინა. ამჟამად ბოსნიის კონფლიქტი დაკონსერვებულია. ქვეყანა გაყოფილია ორ ნაწილად: ბოსნია-ჰერცოგოვინის (მუსლიმურ-ხორვატულ) ფედერაციად და რესპუბლიკა სერბსკად. ქვეყნის უსაფრთხოებას გაეროს სამშვიდობო ძალები უზრუნველყოფენ.

მსგავსი პრობლემა წარმოიშვა სერბეთის ალბანელებით დასახლებულ ავტონომიურ მხარეში – კოსოვოში. სეპარატისტულმა მოძრაობამ და ანტისერბულმა გამოსვლებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ სერბეთმა გადაწყვიტა „ჭკუა ესწავლებინა“ სეპარატისტებისთვის. სერბეთის ჯარებმა სასტიკი დამსჯელი ღონისძიებები განახორციელეს და ეთნიკური წმენდა ჩაატარეს. ნატოს ფართომასშტაბიანი საპასუხო ოპერაციის შედეგად, კოსოვოზე დამყარდა გაეროს კონტროლი, ხოლო სერბეთის ხელისუფლება და სამხედრო ხელმძღვანელები საერთაშორისო დამნაშავეებად გამოაცხადეს და პასუხი აგებინეს. 2008 წელს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც დასავლეთის ქვეყნებმა აღიარეს. ამას სასტიკად ეწინააღმდეგება სერბეთი და მასთან ერთად – რუსეთი, რაც კონფლიქტის ხელახალი აფეთქების საშიშროებას შეიცავს.

ერაყის კონფლიქტიც ურჩი ქვეყნის დასჯის ნათელი მაგალითია. სადამ ჰუსეინის ავტორიტარულმა რეჟიმმა პრივილეგირებულ მდგო-

მარეობაში ჩააყენა სუნიტი მოსახლეობა, შიიტების (რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ), განსაკუთრებით კი, ქურთების წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს ახორციელებდა. 1980 წელს ერაყმა, ტერიტორიული პრეტენზიების საბაბით, წამოიწყო ომი ირანთან, რომელიც რვა წელი გაგრძელდა და, უამრავი მსხვერპლის მიუხედავად, უშედეგოდ დამთავრდა. 1990 წელს ერაყმა განახორციელა კუვეიტის ოკუპაცია და ქვეყანა თავის პროვინციად გამოაცხადა. ამის საპასუხოდ, გაეროს სანქციით ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად (რომელშიც 28 სახელმწიფო მონაწილეობდა, თუმცა ლომის წილი აშშ-ზე მოდიოდა), კუვეიტი გათავისუფლდა. ერაყს დაუწესდა მკაცრი შეზღუდვები სამხრეთ (შიიტურ) და ჩრდილოეთ (ქურთულ) ერაყში, თუმცა სადამ ჰუსეინის ხელისუფლება შენარჩუნდა. მომდევნო წლებში გაჩნდა ეჭვი, რომ ერაყი ფარულად მუშაობდა ატომური იარაღის შექმნაზე, გარდა ამისა, აფინანსებდა ისლამისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებს. 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ტერაქტების შემდეგ აშშ-მა (ამჯერად, გაეროს სანქციის გარეშე) განახორციელა თავდასხმა ერაყზე და დაამხო სადამ ჰუსეინი. მთავრობის წევრები დააპატიმრეს. მათი ნაწილი, სადამ ჰუსეინის ჩათვლით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩამოახრჩვეს (თუმცა ატომურ ბომბზე ფარული მუშაობა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება არ დადასტურდა). სადამ ჰუსეინის მომხრე ოფიცრების და ჯარისკაცების ნაწილმა საღვთო ომი (ჯიჰადი) გამოაცხადა: შეიქმნა ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო, რომელმაც შემდეგ *ისლამური სახელმწიფო* დაირქვა (დაეში) და მსოფლიო სახალიფოს შექმნა დაისახა მიზნად. ისლამური სახელმწიფო დაეპატრონა ერაყისა და სირიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და ტერორისტული სახელმწიფო შექმნა. ამ სახელმწიფომ ექვსი წელი იარსება (2013-2019 წლები). მსოფლიო საზოგადოების დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო მისი ლიკვიდიციისთვის. ყოველივე ეს მძიმედ აისახა ერაყზე, რომელიც, ფაქტობრივად, სამად არის გაყოფილი და უკიდურესი არასტაბილობით გამოირჩევა. სავარაუდოა, რომ ერაყის საკითხი კიდევ დიდხანს დარჩება ერთ-ერთ ურთულეს პოლიტიკურ პრობლემად.

ავღანეთის კონფლიქტი ბევრი მახასიათებლით მოგვაგონებს ერაყის კონფლიქტს. ტრადიციულად ავღანეთი ჩაკეტილი, შუა საუკუნეების ადათ-წესებით მცხოვრები ქვეყანა იყო და, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად, ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოდ ითვლებოდა. 70-იანი წლების ბოლოს აქ, საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით, სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა. სათავეში პროსაბჭოთა ხელისუფლება მოვიდა. როდესაც ახალი სახელმწიფო გადატრიალებით ეს ხელისუფლება შეიცვალა, საბჭოთა კავშირმა ჩათ-

ვალა, რომ მის პოზიციებს საფრთხე დაემუქრა და ავღანეთში ჯარები შეიყვანა. ამ აქციამ დიდი აღშფოთება გამოიწვია და ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაირაზმა საბჭოთა ოკუპანტების წინააღმდეგ. დაიწყო პარტიზანული ბრძოლა, რომელსაც დიდ მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევდა მთელი ისლამური სამყარო და დასავლეთის ქვეყნები. ამ ბრძოლის მთავარ იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა ჯიჰადი – მუსლიმთა საღვთო ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ. შესაბამისად, განმათავისუფლებელი ომის ლიდერებად რადიკალური ისლამური ორგანიზაციები იქცნენ. რვაწლიანი მძიმე ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, ჯარები გამოეყვანა. ავღანეთში დამყარდა ფუნდამენტალისტი ისლამისტების – ტალიბების (ტალიბანის) რეჟიმი, რომელმაც სასტიკი ომი გამოუცხადა ყოველგვარ არაისლამურს და იარაღი დასავლეთისკენ შეატრიალა. აშშ (რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ავღანური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში და მათ საბჭოთა ჯარებთან საბრძოლველად მომზადებაში) ტალიბებმა ისლამის მთავარ მტრად და დიდ სატანად გამოაცხადეს. ავღანეთში ჰპოვეს თავშესაფარი ყველაზე ექსტრემისტმა ისლამისტურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა (მათ შორის, „ალ-ქაიდამ“). 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-მა განახორციელა სამხედრო ოპერაცია ავღანეთში და დაამხო ტალიბანის რეჟიმი. ქვეყანაში ჩატარდა არჩევნები და არჩეულ იქნა ახალი ხელისუფლება. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა და საერთაშორისო (ძირითადად, აშშ-ის) სამშვიდობო კონტინგენტის აქტივობისა, ისლამისტური ორგანიზაციების პარტიზანული ბრძოლა გაგრძელდა, ხოლო ტერორისტული აქტები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 20 წლიანი უშედეგო ძალისხმევისა და მილიარდობით დახარჯული დოლარის შემდეგ ამერიკულმა სამხედრო კონტინგენტმა დატოვა ავღანეთი. ტალიბანმა მოკლე დროში დაამყარა კონტროლი მთელ ავღანეთზე, ხოლო ამერიკელების მომზადებული და აღჭურვილი ავღანეთის სამთავრობო ჯარები უბრძოლველად დანებდნენ ტალიბებს. 2021 წლიდან ავღანეთში კვლავ ტალიბანის ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური რეჟიმია, თუმცა არც გაერო და არც სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა ტალიბანის მთავრობის უფლებამოსილებას არ ცნობს.

ქაშმირის კონფლიქტი 40-იანი წლებიდან მიმდინარეობს. ეს არის დაპირისპირება ინდოეთსა და პაკისტანს შორის ქაშმირის ტერიტორიის გამო. ქაშმირი ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, ჰიმალაისა და ჰინდყუშის მთისწინებში მდებარეობს. როცა 1947 წელს ბრიტანეთის კოლონია – ინდოეთი რელიგიური პრინციპით ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – ინდოეთად და პაკისტანად – გაიყო, ქაშმირის სამთავროში რთული სიტუაცია შეიქმნა. მოსახლეობის უმრავლესობას

მუსლიმები შეადგენდნენ, მაგრამ მთავარი (მაჰარაჯა) ინდუსი იყო. მან ქაშმირი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამას მუსლიმები არ დაეთანხმნენ და პაკისტანთან შეერთება მოისურვეს, ხოლო პაკისტანმა მუსლიმების დასახმარებლად ქაშმირში თავისი ჯარები შეიყვანა. ამის საპასუხოდ, ინდოეთმაც შეიყვანა ჯარები ქაშმირში, რასაც შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა. ქაშმირი დროებითი სადემარკაციო ხაზით ორ (ინდურ და პაკისტანურ) ნაწილად დაიყო და ეს მდგომარეობა დღემდე უცვლელია. გარდა ამისა, ქაშმირის ტერიტორიის ნაწილს (აკსაი-ჩინი) ჩინეთი აკონტროლებს. ინდოეთი და პაკისტანი, ქაშმირის გამო, არაერთხელ დაპირისპირებია ერთმანეთს. ეს პრობლემა განსაკუთრებით სახიფათო გახდა დღეს, როცა ინდოეთიც და პაკისტანიც ბირთვულ სახელმწიფოებად მოგვევლინენ.

სხვა საერთაშორისო კონფლიქტებიდან უნდა აღინიშნოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბახის გამო, მაროკო-ალჟირის კონფლიქტი დასავლეთ საჰარის გამო, ტერიტორიული კონფლიქტები პერუსა და ეკვადორს, ჩილესა და ბოლივიას შორის და სხვ. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გამო.

11.2. 4. შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი, რაც უმრავლეს შემთხვევაში სამოქალაქო ომის სინონიმია, გაცილებით ხშირია, ვიდრე – სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი. მარტო 1990-1999 წლებში მსოფლიო შეესწრო 107 სამოქალაქო ომს 61 ქვეყანაში და მხოლოდ 7 სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზღვრის გავლება შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კონფლიქტებს შორის საკმაოდ რთულია, რადგან შიდა კონფლიქტების დიდი უმრავლესობის ინტერნაციონალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და ძალიან ხშირად კონფლიქტი, რომელიც დაიწყო, როგორც სამოქალაქო ომი, საერთაშორისო კონფლიქტად იქცა.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი უფრო ძნელი გადასაწყვეტია, ვიდრე საერთაშორისო კონფლიქტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტების 55 % მოგვარდა მოლაპარაკების მაგიდასთან მაშინ, როცა შიდა კონფლიქტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 20 %-ს არ აღემატება. ამიტომაცაა, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეები ხშირად ცდილობენ ხოლმე კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას.

ზოგადად, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების მიზეზები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

– კონფლიქტი ეთნიკურ ან რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, როცა უმცირესობა ითხოვს მეტ ავტონომიას ან სრულ დამოუკიდებლობას;

– სამოქალაქო ომი, რომელიც პროვოცირებულია გარე ძალების მიერ, რათა ხელისუფლებაში მოიყვანონ მათთვის მისაღები მთავრობა;

– უუნარო ხელისუფლების მქონე ე.წ. არშემდგარი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი შეიარაღებული დაპირისპირება სხვადასხვა კლანურ-მაფიოზურ და დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის ცალკეულ რეგიონებსა თუ ეკონომიკის დარგზე (მათ შორის, ნარკოტიკების წარმოებასა და გატანაზე) კონტროლის მოსაპოვებლად.

სამოქალაქო ომი ყველაზე სასტიკი და ამორალური ომია, რომელიც უამრავ მსხვერპლს იწვევს; შეიძლება ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთი და იმავე ოჯახის წევრებიც კი. პოლპოტის ხელისუფლებამ კამბოჯაში ოთხწლიანი მმართველობისას სამი მილიონი კაცის (ქვეყნის მთელი მოსახლეობის თითქმის 40%) სიცოცხლე იმსხვერპლა. ჰუტუს ტომის მმართველობის პერიოდში რუანდაში ერთი თვის განმავლობაში ტუტსის ტომის 500 ათასი წარმომადგენელი დაიღუპა. სუდანის სამოქალაქო ომში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მუსლიმი არაბები (ცენტრალური ხელისუფლების ჩათვლით) და ქრისტიანი და წარმართი აფრიკელი ხალხები, 80-90-იან წლებში დაიღუპა 2 მილიონი კაცი, 4 მილიონი იძულებით დევნილად იქცა, ხოლო ერთმა მილიონმა მეზობელ ქვეყნებს შეაფარა თავი.

შიდა კონფლიქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს. მათ შემდეგ შევეხებით, როცა გლობალურ ეთნიკურ პრობლემებზე ვისაუბრებთ.

11.3. საერთაშორისო ტერორიზმი

საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული და მწვავე გლობალური პრობლემაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც საყოველთაო ამოცანად იქცა. ტერორი სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება და ტერორისტების მიზნებიც შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მაგრამ ყველა შემთხვევაში ტერორიზმი საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებული ძალადობაა, რომელიც ხორციელდება უკიდურესი ფორმით (მკვლელობა, დაჭრა, აფეთქება, გატაცება, მძევლების აყვანა და ა.შ.). ეს არის უაღრესად

მძიმე დანაშაული, რომელიც მუდმივ შიშში ამყოფებს როგორც მოსახლეობას, ისე ხელისუფლებას, და კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს ქვეყანას. ტერორიზმი საყოველთაო, გლობალურ საფრთხედ იქცა უკანასკნელ ათწლეულებში, როცა მან საერთაშორისო ტერორიზმის ფორმა მიიღო და მთელ მსოფლიოს დაემუქრა. ამიტომ მასთან ბრძოლა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ფარგლებში: ეს მთელი კაცობრიობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს.

11.3.1. ტერორიზმის სახეები და ფორმები

ტერორიზმის ძირითადი სახეებია:

პოლიტიკური ტერორიზმი, ფართო გაგებით, ტერორიზმის ყველა იმ სახეს აერთიანებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი წყობის შეცვლისაკენ, ვიწრო გაგებით კი, პოლიტიკურ ტერორიზმად იგულისხმება ბრძოლა, მიმართული ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად (ან თავიდან ასაცილებლად), რომელიც სახელმწიფო მოწყობასთან არის დაკავშირებული.

სოციალური ტერორიზმი ყალიბდება შიდა სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირების ბაზაზე და, ძირითადად, ორი სახით წარმოდგება: *მემარცხენე* და *მემარჯვენე* ტერორიზმი. მემარცხენე ტერორიზმი ეყრდნობა ამა თუ იმ მემარცხენე იდეოლოგიურ დოქტრინას (მარქსიზმი, ლენინიზმი, ტროცკიზმი, მაოიზმი, ანარქიზმი და ა.შ.), მემარჯვენე ტერორიზმი კი – ტრადიციონალისტურ, კონსერვატორულ ღირებულებებს, და მემარცხენეებს უპირისპირდება.

ნაციონალისტური ტერორიზმი ფუნქციონირებს ეთნიკურ ნიადაგზე. მასში გამოიყოფა *სეპარატისტული ტერორიზმი*, რომელიც ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების ნაციონალისტურ-პოლიტიკური ჯგუფების მიერ და მიზნად ისახავს დამოუკიდებლობის ან ფართო ავტონომიის მიღწევას; *ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტერორიზმი*, რომელიც დაკავშირებულია ოკუპირებული და კოლონიზებული ხალხების ბრძოლასთან თავისუფლებისათვის; *რეპრესიული ნაციონალისტური ტერორიზმი*, რომელსაც ახორციელებს გაბატონებული ერის ნაციონალისტური ჯგუფები ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

მსოფლმხედველობრივი ტერორიზმი ყალიბდება გაბატონებულ ფასეულობებსა და ნორმებთან შეურიგებელი დაპირისპირების საფუძველზე. ასეთი ტერორიზმის ყველაზე გავრცელებული სახეა *რელიგიური ტერორიზმი,* რომელიც, თავის მხრივ, იყოფა *ფუნდამენტალისტურ* და *სექტანტურ* ტერორიზმად. რელიგიური ტერორიზმის

ძირითადი მიზანია, მიაღწიოს არსებული ცხოვრების წესის შეცვლას „ჭეშმარიტი“, ღვთიური ცხოვრებით, და ჩამოაყალიბოს სრულყოფილი საზოგადოება. მსოფლმხედველობრივი ტერორიზმის სახეებია *ეკოლოგიური ტერორიზმი, ფემინისტური ტერორიზმი* და სხვ.

კრიმინალური ტერორიზმი პირობითი ცნებაა, რადგან ნებისმიერი ტერორი კრიმინალია, მაგრამ, ვიწრო გაგებით, კრიმინალურ ტერორიზმად იგულისხმება ისეთი ტერორიზმი, რომელიც არ არის დაკავშირებული პოლიტიკურ, სოციალურ, ნაციონალურ თუ მსოფლმხედველობრივ მიზნებთან და გამოიყენება ჩვეულებრივი კრიმინალების, სისხლის სამართლის დამნაშავეების მიერ თავიანთი დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ბევრი თვლის, რომ ასეთი ქმედება ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულია და ტერორიზმის კლასიკურ განმარტებას არ ექვემდებარება.

ტერორისტული აქტების განხორციელების ძირითადი ფორმებია:

დივერსია (აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, მომწამვლელი ნივთიერების მიმობნევა და ა.შ.). დივერსია, კერძოდ, აფეთქება განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების მიერ (ალ ქაიდა, ჰამასი, ჰეზბოლაჰი). უკანასკნელ წლებში ძალზე გავრცელდა თვითმკვლელი კამიკაძეების მიერ განხორციელებული დივერსიები: ტერორისტი თავს იფეთქებს ხალხმრავალ ადგილას, რასაც უამრავი მსხვერპლი მოსდევს.

გატაცება. როგორც წესი, ამ მეთოდს იყენებენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურების ან მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ და, მათი გათავისუფლების სანაცვლოდ, რაიმეს ითხოვენ (ძირითადად, პოლიტიკური მოთხოვნებია). გატაცება ტერორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლათინურ ამერიკაში. მას ხშირად იყენებდნენ ბასკი სეპარატისტებიც.

თავდასხმა და მკვლელობა. ტერორის ეს ფორმა ხორციელდება შეიარაღებული ჯგუფის მიერ, ხოლო მსხვერპლი წინასწარ არის შერჩეული იმ გათვლით, რომ მისმა სიკვდილმა შეძლებისდაგვარად დიდი დანაკლისი მოუტანოს მოწინააღმდეგეს. ეს ფორმა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა რევოლუციონერი-ტერორისტების მიერ. დღეს უფრო გავრცელებულია ფუნდამენტალისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებში.

ძარცვა (ექსპროპრიაცია). მემარცხენე, „წითელი“ ტერორისტების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი. მიზნად ისახავდა ბრძოლის გასაგრძელებლად აუცილებელი თანხების ხელში ჩაგდებას. განსაკუთრებულ გაქანებას პოულობს არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებაში.

ჰაიჯეკინგი (სატრანსპორტო საშუალებების ხელში ჩაგდება და მძევლების აყვანა). განსაკუთრებით გავრცელებულია თვითმფრინავების გატაცების (*სქაიჯეკინგის*) ფორმით. ძალიან გავრცელებული

იყო 70-80-იან წლებში. იყენებდნენ არა მარტო პროფესიონალი ტერორისტები, არამედ სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრები ცალკეული პიროვნებებიც, რომლებიც მიზნად ისახავდნენ პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას დასავლეთის ქვეყნებში.

შენობის დაკავება და მძევლების აყვანა. ტერორიზმის საკმაოდ გავრცელებული ფორმა. ყველაზე ხშირად იყენებენ ლათინური ამერიკის მემარცხენე ტერორისტები და პალესტინელი მებრძოლები. არაერთხელ გამოიყენეს ჩეჩნებმაც. ტრაგიკული შედეგით დამთავრდა „ნორდ-ოსტის“ (თეატრის დაკავებისა) და ბესლანის (სკოლის ხელში ჩაგდება და ბავშვების მძევლად აყვანა) შემთხვევები.

ტერორიზმის ახალი ფორმაა **კიბერტერორიზმი** ანუ ჰაკერების თავდასხმა კომპიუტერულ ქსელებზე, რამაც შეიძლება ძალიან დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სისტემებს.

11.3.2. ტერორიზმის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ტერორი და ტერორიზმი ამა თუ იმ სახით ყოველთვის არსებობდა, მაგრამ პოლიტიკური ტერორიზმის (როცა ტერორისტული ქმედება პოლიტიკური მიზნის მიღწევას ემსახურება) ისტორიას XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყებენ. ზოგადად, XIX საუკუნის ტერორიზმს რევოლუციურ ტერორიზმს უწოდებენ, რადგან პოლიტიკური მიზნის მიღწევის, ფაქტობრივად, ერთადერთ გზად რევოლუციური ცვლილებები მიიჩნეოდა, ხოლო ტერორს ამ გზის აუცილებელ ატრიბუტად თვლიდნენ. სწორედ XIX საუკუნის 30-40-იან წლებში იწყება ნაციონალიზმის, ანარქიზმის, სოციალიზმის იდეების ფართო გავრცელება, და ტერორიზმიც ამ მოძრაობების რადიკალური მიმართულებების ბრძოლის ფორმად იქცა.

ანარქიზმის გაიგივება ძალადობასთან ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, მაგრამ XIX საუკუნეში, საკმაოდ გავრცელებული წარმოდგენით, თვით ტერმინი „ანარქისტი“ „ტერორისტის“ სინონიმად ითვლებოდა. ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა დაზარალდა ანარქისტების ქმედებებით. განსაკუთრებით ძლიერი იყო ანარქისტული მოძრაობა დასავლეთ და სამხრეთ ევროპის კათოლიკურ ქვეყნებსა (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) და რუსეთში.

ნაციონალისტური ტერორიზმი XIX საუკუნეში განსაკუთრებით ძლიერი იყო იტალიაში, ირლანდიაში, ოსმალეთის იმპერიის დაპყრობილ ხალხებში (სერბები, მაკედონელები, სომხები), ავსტრია-უნგრეთში (ბოსნია, გალიცია), აგრეთვე – რუსეთის იმპერიაში (პოლონელები, კავკასიის ხალხები).

სოციალისტი-ტერორისტები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ რუსეთში. თავდაპირველად თავი გამოიჩინეს ნაროდნიკებმა (შვიდი ტერორისტული აქტი იმპერატორ ალექსანდრე II-ის წინააღმდეგ და ბოლოს – მისი მკვლელობა), შემდეგ კი ასპარეზზე გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები (განსაკუთრებით, ბოლშევიკები) და ესერები. მათი მოქმედება გააქტიურდა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როცა ქვეყანას ტერორისტული აქტების ქარიშხალმა გადაუარა.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების ევროპაში ფართო გაქანება ჰპოვა **მემარჯვენე ტერორიზმმა**. თავდაპირველად ეს იყო იტალიური ფაშიზმის თანმდევი ტერორისტული ქმედებები, შემდეგ კი – გერმანული ნაცისტური ტერორიზმი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მანამდე გავრცელებული ტერორიზმის სახეებისაგან განსხვავებით, იტალიელი ფაშისტებისა და გერმანელი ნაცისტების ტერორიზმი სახელმწიფო ტერორიზმი იყო: კერძოდ, მუსოლინისა და ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტერორი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცა; ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მემარჯვენე ანუ ნეოფაშისტური ტერორიზმი, ძირითადად, იტალიის, გერმანიის, ავსტრიის და საფრანგეთის ცალკეული მცირერიცხოვანი ორგანიზაციების განხორციელებული აქტებით გამოიხატა, რომლებიც მემარცხენე ძალების ან უცხოელი იმიგრანტების წინააღმდეგ იყო მიმართული.

მემარცხენე ტერორიზმი, თავისი მასშტაბებით და გავრცელებით, აღემატებოდა მემარჯვენე ტერორიზმს. რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგია მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებას ითვალისწინებდა, ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებლად ითვლებოდა ბრძოლა ყველა მოწინააღმდეგესთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – გარეთაც (მათ შორის, ტერორიზმის გზითაც). საბჭოთა კომუნისტური ტერორი სახელმწიფო ტერორი იყო, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მემარცხენე ტერორიზმი კიდევ უფრო გაფართოვდა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკის ნაწილიც გახდა. გარდა ამისა, სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერითა და დაფინანსებით მოქმედებდნენ სხვადასხვა მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციები განვითარებულ კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებში (კერძოდ, ე.წ. „წითელი ბრიგადები“). ცივი ომის დამთავრების და ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის ცვლილების შემდეგ მემარცხენე ტერორიზმის როლი და მნიშვნელობა მკვეთრად დაეცა და თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის სხვა ფორმები დაწინაურდა.

11.3.3. თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმი

საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე ფორმით XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩამოყალიბდა, ხოლო 90-იან – 2000-იან წლებში საყოველთაო, გლობალურ საფრთხედ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ტერორიზმის შემთხვევების საერთო რაოდენობამ იკლო, თვით ტერორისტული აქტები უფრო მასშტაბური და სასტიკი გახდა. მარტო ნიუ-იორკის „ტყუპებზე“ 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა 3500-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მანამდე ყველაზე მსხვერპლიანად ითვლებოდა 1999 წელი, როცა, 400-მდე ტერორისტული აქტის შედეგად, 939 კაცი დაიღუპა.

თანამედროვე ტერორიზმი, ძირითადად, წარმოდგენილია რელიგიურ-ფუნდამენტალისტური და ეთნიკურ-ტომობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების სამხედრო ჯგუფების სახით. ზოგ რეგიონში (ძირითადად, სამხრეთ ამერიკაში) კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მემარცხენე ტერორისტული ჯგუფები, აგრეთვე – ნარკოტიკების წარმოებასა და გასაღებასთან დაკავშირებული კრიმინალური ტერორისტული ორგანიზაციები.

განსაკუთრებულ საფრთხედ მსოფლიოსათვის და, კერძოდ, დასავლეთის ქვეყნებისათვის (პირველ ყოვლისა, აშშ-სთვის) იქცნენ ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები. მთავარ ტერორისტულ დაჯგუფებს მიეკუთვნებიან:

– „ჰეზბოლაჰი“ – ლიბანის რადიკალური შიიტური ორგანიზაცია, რომლის ტერორისტული აქციებიც მიმართულია არა მარტო ისრაელისა და აშშ-ის, არამედ ხშირად – მუსლიმი-სუნიტების წინააღმდეგაც.

– „ჯიჰად ალ ისლამია“ და „ჰამასი“ – პალესტინის სუნიტური რადიკალური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც საღვთო ომი გამოუცხადეს ისრაელსა და მის მხარდამჭერებს.

– „ტალიბანი“ – უკიდურესად კონსერვატული, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც მმართველი ძალაა ავღანეთში და აქტიურად უჭერდა მხარს ისლამისტ-ფუნდამენტალისტთა ტერორისტულ ჯგუფებს.

– „ლაშქარე თაიბი“ – პაკისტანის რადიკალური ისლამისტური მოძრაობა

– „ჯამაათ ალ ისლამია“ – რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც ცენტრალური აზიის ისლამური სახელმწიფოს შექმნაა.

– „ალ ქაიდა“ – ექსტრემისტულ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია, უსამა ბენ ლადენის მეთაურობით, რომლის სახელთანაც დაკავ-

შირებულია ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტები. სწორედ *ალ ქაიდას* ორგანიზებული იყო 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები, რამაც აიძულა აშშ და, საერთოდ, მთელი ცივილიზებული მსოფლიო, ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ამ საერთო ღონისძიებების შედეგი იყო ავღანეთში ტალიბანისა და ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმების დამხობა, თუმცა ამ მოვლენას ტერორიზმის ფაქტები არ შეუმცირებია.

„ისლამური სახელმწიფო" – ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და საშიში ტეორისტული ორგანიზაცია, რომელმაც ერაყისა და სირიის ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილზე დაამყარა კონტროლი და ფაქტობრივი სახელმწიფო შექმნა. ამასთან, მისი არმია კვალიფიციური პროფესიონალებისგან შედგებოდა – სადამ ჰუსეინის დროინდელი ერაყის არმიის მებრძოლებისგან. თავდაპირველად ისლამური სახელმწიფო ერაყისა და ლევანტის (სირია, ლიბანი, იორდანია, პალესტინა, აგრეთვე – ისრაელი) გაერთიანებული ფუნდამენტალური ისლამიზმის საფუძველზე დაყრდნობილი ქვეყნის შექმნას ისახავდა მიზნად, შემდეგ კი მსოფლიო ისლამური სახელმწიფოს (სახალიფოს) ჩამოყალიბება განიზრახა. მებრძოლთა კონტინგენტი სხვადასხვა ქვეყნის მუსლიმი ახალგაზრდობით ივსებოდა. ისლამურ სახელმწიფოს ჰქონდა თავისი ფილიალები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (ე.წ. ვილაიეთები), მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიაშიც. განსაკუთრებით მძლავრი დაჯგუფება იყო ნიგერიის ვილაიეთი – „ბოკო ჰარამი". ისლამური სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები საერთაშორისო საზოგადოებამ ექვსწლიანი ომის შედეგად გაათავისუფლა. მაგრამ, ისლამური სახელმწიფო, როგორც იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაცია, აგრძელებს არსებობას და დღესაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ომს ანალოგი არ მოეპოვება. ეს არ არის ომი, სადაც არსებობს საომარი მოქმედების თეატრი, ფრონტის ხაზი, რეგულარული ჯარი და მშვიდობიანი მოსახლეობა. ეს არის ე.წ. ასიმეტრიული, გლობალური და მრავალგანზომილებიანი ომი. ასეთ ომში სამხედრო მოქმედების კოორდინაცია შეუძლებელია, არ არსებობს სამხედრო მართვის ერთიანი ცენტრი, ფრონტის ხაზი გადის ყველგან, ნებისმიერ ადგილას, საფრთხე შეიძლება მოდიოდეს ბავშვისგანაც, მოხუცისგანაც და ფეხმძიმე ქალისგანაც, ამიტომ აუცილებელია გაანადგურო ყველა საეჭვო პირი. ყოველივე ეს სასტიკ უკურეაქციას იწვევს და დაპირისპირება სულ უფრო სასტიკი და არაადამიანური ხდება. სწორედ ეს არის ტერორიზმის მთავარი, გლობალური პრობლემა, რომლის გადაჭრისათვის განხორციელებული ძალისხმევა ჯერჯეროობით წარმატებულად ვერ ჩაითვლება.

ცხადია, თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმი ისლამისტი-ფუნდამენტალისტებით არ ამოიწურება. მძლავრი ტერორისტული ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც: მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია:

– *ირლანდიის რესპუბლიკური არმია (ირა)*. შეიქმნა 1969 წელს, როგორც ირლანდიის ნაციონალისტური პარტია „შინ ფეინის“ დროებითი სამხედრო ორგანიზაცია. ის მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკე მოსახლეობის მხარდაჭერას და ბრძოლას ირლანდიის გაერთიანებისათვის. ტერორი განიხილებოდა დროებით მეთოდად დასახული მიზნის მისაღწევად. *ირა*-ს სახელთან არის დაკავშირებული არაერთი ტერორისტული აქტი, რომელთა შედეგადაც 1969-2005 წლებში 2500-ზე მეტი კაცი დაიღუპა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული აქტები ძირითადად მიმართული იყო ბრიტანეთის სამხედრო და ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ და მშვიდობიანი მოსახლეობა შედარებით ნაკლებად დაზარალდა. 2005 წელს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის სამხედრო საბჭომ გამოაცხადა, რომ წყვეტს სამხედრო-ტერორისტულ აქციებს და ბრძოლას გააგრძელებს მხოლოდ მშვიდობიანი, დემოკრატიული მეთოდებით. დღეს *ირა* აღარ ითვლება ტერორისტულ ორგანიზაციად. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერორისტული ორგანიზაციის პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის იშვიათი შემთხვევაა.

– *ეუსკადი ტა ასკატასუნა* (*ეტა*) – *ბასკეთი და თავისუფლება* – ბასკური ნაციონალისტური ტერორისტული ორგანიზაცია. ჩამოყალიბდა XX საუკუნის 50-იან წლებში, როგორც ბასკეთის ნაციონალური პარტიის რადიკალური სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ძირითადი მიზნის – ბასკეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის – მთავარ გზად შეიარაღებულ ბრძოლას მიიჩნევდა. *ეტა* ბასკი მოსახლეობის გარკვეული მხარდაჭერით და სიმპათიით სარგებლობდა ფრანკოს დიქტატურის პერიოდში. მას შემდეგ კი, რაც ესპანეთი დემოკრატიულ გზას დაადგა, ხოლო ბასკეთმა ავტონომია მიიღო, *ეტა*-ს გავლენა მკვეთრად შემცირდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ *ეტა* მარქსისტულ იდეებს იზიარებდა. ბასკური პარტიის – *ბატასუნას* ჩამოყალიბების შემდეგ, რომელიც ბასკეთის სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის მხოლოდ პოლიტიკურ გზას უჭერს მხარს, *ეტა* მხოლოდ ექსტრემისტულ, ტერორისტულ ორგანიზაციად აღიქმება და მას ძალიან ცოტა მხარდამჭერი შერჩა.

– *ღმერთის არმია* – რელიგიური-ფუნდამენტალისტური ტერორისტული ორგანიზაცია აშშ-ში. მის სახელთან არის დაკავშირებული ტერორისტული აქტი ოკლაჰომა-სიტიში 1995 წელს, რომელმაც 167 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

– *აუმ სენრიკიუ* – იაპონური ექსტრემისტული რელიგიური სექტა, რომელმაც განახორციელა ტერორისტული აქცია ტოკიოს მეტროში.

სხვა ტერორისტული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია „მუსლიმი ძმები“, „სომხეთის რევოლუციური არმია“, „ტუპაკ ამარუ“ პერუში, „რუხი მგლები“ თურქეთში, სიქჰების რადიკალური ორგანიზაციები ინდოეთში, „ვეფხვები თამილ ელამის განთავისუფლებისათვის“ შრი ლანკაში და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოსათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ე.წ. სახელმწიფოს მიერ წაქეზებული და მხარდაჭერილი ტერორიზმი. ასეთ ქმედებაში შემჩნეულთა წინააღმდეგ აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები მკაცრ სანქციებს ახორციელებენ. ტერორიზმის აშკარა მხარდაჭერას, ცხადია, არც ერთი ქვეყანა არ აღიარებს, მაგრამ ფარული ფორმით ხშირად უჭერენ მხარს.

თავი 12. გლობალური დემოგრაფიული პრობლემები

12.1. მოსახლეობის სწრაფი ზრდა და დეპოპულაცია

12.1.1. მოსახლეობის დინამიკის ზოგადი სურათი

გლობალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია დემოგრაფიული გამოწვევები, კერძოდ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება სრულიად განსხვავებულ პრობლემებს ქმნის სხვადასხვა ქვეყანაში. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მთავარი დემოგრაფიული პრობლემა შობადობის უაღრესად დაბალი დონეა, რის გამოც აღინიშნება მოსახლეობის ნულოვანი ბუნებრივი მატება, ხოლო ზოგ ქვეყანაში – მოსახლეობის ბუნებრივი კლება (დეპოპულაცია). ასეთი სურათის შედეგია ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდა (დემოგრაფიული დაბერება) და სამუშაო ძალის დეფიციტი, რის კომპენსირებაც იმიგრაციის (ხშირ შემთხვევაში არალეგალურ იმიგრანტთა) ხარჯზე ხდება. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში გადაუჭრელ პრობლემად იქცა შობადობის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი, რაც მოსახლეობის უკონტროლო ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორია. მესამე სამყაროს ქვეყნებში მოსახლეობის გაორკეცებას 20-25 წელი სჭირდება. ასეთი დემოგრაფიული ქცევის შედეგად, მოსახლეობაში მკვეთრად იზრდება ახალგაზრდა ასაკის ხვედრითი წილი, იქმნება სირთულეები მათი განათლების და დასაქმების კუთხით. უმუშევრობა და სიღარიბე იწვევს მასობრივ მიგრაციას როგორც ქვეყნის შიგნით (სოფლებიდან ქალაქებში), ისე – საზღვარგარეთ. რეალური ხდება შიმშილის საფრთხე.

მთლიანად დედამიწისთვის ყველაზე სერიოზული დემოგრაფიული პრობლემა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სწრაფი ზრდაა. თუ კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობის ყოველ ახალ გაორკეცებას ათასწლეულები სჭირდებოდა, ახლა ეს ათწლეულების საქმეა. აქედან გამომდინარე, ბევრი დემოგრაფი მოსალოდნელად მიიჩნევს დედამიწის გადამეტსახლების საფრთხეს და თვლის, რომ საკმაოდ ახლო მომავალში დედამიწა ვეღარ შეძლებს, სურსათით, ნედლეულით და ენერგორესურსებით დააკმაყოფილოს მოსახლეობის უზომოდ გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნილებები.

პერიოდი (წლები)	ხანგრძლიობა (წელი)	მოსახლეობა (მლნ) (პერიოდის დასაწყისი)	საშუალოწლიური მატება (%)
ძვ.წ. 7000-2000	5000	10	0,03
2000-0	200	50	0,02
0-1000	1000	230	0,02
1000-1500	500	305	0,1
1500-1650	150	440	0.3
1650-1800	150	550	0.5
1800-1900	100	652	0.8
1900-1950	50	1656	1.0
1950-1980	30	2527	1.9
1980-2000	20	4430	1.5
2000-2025	25	6070 (8220 მლნ 2025)	1.4

როგორც ცხრილიდან ჩანს, კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, უძველესი დროიდან – გასული საუკუნის 80-იან წლებამდე, მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპები მუდმივად იზრდებოდა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეული, როცა სხვადასხვა ისტორიულმა კატაკლიზმმა (რომის იმპერიის დაცემა, ბარბაროსთა შემოსევები, ხალხთა დიდი გადასახლებები, სამოქალაქო ომები ჩინეთში, მასობრივი ეპიდემიები და ა.შ.) მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის რაოდენობა, რაც მოსახლეობის საშუალო წლიური მატების მაჩვენებელზეც აისახა. ყოველ შემდგომ ეპოქაში ეს მაჩვენებელი, წინა პერიოდთან შედარებით, უფრო მაღალი იყო და მხოლოდ 1980 წლის შემდეგ შეიმჩნევა საშუალო წლიური მატების მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია.

12.1.2. მოსახლეობის აღწარმოება და დემოგრაფიული გადასვლის ფაზები

მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევა კანონზომიერი პროცესია და სოციალურ-ეკონომიკური კანონებით განისაზღვრება. ნებისმიერი ქვეყანა და ხალხი დემოგრაფიული ისტორიის მსგავს გზას გადის, თუმცა სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება. შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს მოსახლეობის აღწარმოების ტიპს. იმ შემთხვევაში, როცა შობადობის კოეფიციენტი ბევრად აღემატება სიკვდილიანობის კოეფიციენტს და ბუნებრივი მატე-

ბის მაჩვენებელი მაღალია, ჩვენ წინაშეა მოსახლეობის **გაფართოებული აღწარმოება**. ასეთ შემთხვევაში ყოველი მომდევნო თაობა რიცხობრივად მნიშვნელოვნად აღემატება წინა (მშობლების) თაობას და მოსახლეობა სწრაფად იმატებს. დაბალი ბუნებრივი მატების შემთხვევაში ადგილი აქვს **მარტივ აღწარმოებას**, როცა წინა და მომდევნო თაობებს შორის რაოდენობრივი განსხვავება უმნიშვნელოა და მოსახლეობის რიცხოვნობაც უცვლელი რჩება, ან მცირედ იზრდება. **შეზღუდული აღწარმოება** კი ხდება მაშინ, როცა ბუნებრივი მატება ნულოვანი ან უარყოფითია. ამის შედეგად, მომდევნო თაობა რიცხობრივად საგრძნობლად ჩამორჩება წინა თაობას: ჩვენ წინაშეა მოსახლეობის კლება ანუ **დეპოპულაცია**.

საზოგადოების ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისად, დემოგრაფიული ქცევა თვისობრივად იცვლება და, აქედან გამომდინარე, იცვლება აღწარმოების ტიპიც. აღწარმოების ერთი ტიპის შეცვლას მეორე ტიპით **დემოგრაფიულ გადასვლას** უწოდებენ. დემოგრაფიული გადასვლისა და აღწარმოების ტიპების ცვლილების მიხედვით, კაცობრიობის დემოგრაფიულ ისტორიაში ოთხი ძირითადი ფაზა გამოიყოფა.

პირველი ფაზისთვის დამახასიათებელია შობადობის ძალიან მაღალი კოეფიციენტი, მაგრამ უკიდურესად მაღალია სიკვდილიანობის კოეფიციენტიც. ამიტომ ბუნებრივი მატების მაჩვენებელი დაბალი ან ძალიან დაბალია. შესაბამისად, ადგილი აქვს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. ეს ფაზა მოიცავს კაცობრიობის მთელ ისტორიას უძველესი დროიდან — XVIII საუკუნის ბოლომდე. ამის შემდეგ დასავლეთი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა გადადის აღწარმოების **მეორე ფაზაში**, როცა შენარჩუნებულია შობადობის მაღალი დონე, მაგრამ, მედიცინის წარმატებებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების გამო, მკვეთრად იკლებს სიკვდილიანობის კოეფიციენტი. ამის შედეგად, აღინიშნება მაღალი ბუნებრივი მატება და გაფართოებული აღწარმოება. XX საუკუნის პირველ ნახევარში აღნიშნულ ქვეყნებში დადგა მოსახლეობის აღწარმოების **მესამე ფაზა**, როცა, ურბანიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, განათლების დონის ამაღლებისა და ქალთა დასაქმების ზრდის შედეგად, მკვეთრად იკლო შობადობამ. იკლებს სიკვდილიანობაც. ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მცირდება, მაგრამ აღწარმოება კვლავ გაფართოებული რჩება, თუმცა თანდათან უახლოვდება მარტივი აღწარმოების დონეს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნები შევიდნენ მოსახლეობის აღწარმოების **მეოთხე ფაზაში**. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია შობადობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი და სიკვდილია-

ნობის კოეფიციენტის ზრდა (მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდის გამო). ამის გამო, ბუნებრივი მატება უკიდურესად დაბალი ან ნულოვანია. შესაბამისად, მარტივი აღწარმოება აღინიშნება. ზოგ ქვეყანაში სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას, ვაწყდებით მოსახლეობის ბუნებრივ კლებას და შეზღუდულ აღწარმოებას. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ დადგა აღწარმოების მეხუთე ფაზა, რომელიც დეპოპულაციას გამოხატავს, თუმცა, უმრავლესობის აზრით, ეს მეოთხე ფაზის ერთ-ერთი ეტაპია, რომელიც ციკლურია და, სავარაუდოდ, მომავალში ისევ მარტივ აღწარმოებას დაუბრუნდება. დღეს მეოთხე ფაზაში განვითარებული სამყარო და პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობაა. აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა მესამე ფაზაში იმყოფება, ახლო აღმოსვლეთისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა – მეორე ფაზაში, ხოლო პირველი ფაზა, შეიძლება ითქვას, უკვე წარსულის კუთვნილებაა.

ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემის შინაარსი და ხასიათი იმაზეა დამოკიდებული, დემოგრაფიული გადასვლისა და აღწარმოების რომელ ფაზაშია იგი. ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის მთავარი დემოგრაფიული პრობლემა მოსახლეობის ბუნებრივი კლებაა და დიდი თანხები იხარჯება შობადობის წასახალისებლად, განვითარებადი ქვეყნების ძირითად საზრუნავს კი შობადობის შეზღუდვა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება წარმოადგენს. იმის გამო, რომ მსოფლიო მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მესამე სამყაროშია თავმოყრილი და დედამიწის მოსახლეობის სწრაფ ზრდას მთლიანად განვითარებადი ქვეყნები განაპირობებენ, მთავარი გლობალური დემოგრაფიული პრობლემაც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ზრდაა.

12.1.3. განვითარებადი სამყაროს დემოგრაფიული პრობლემები

განვითარებადი ქვეყნების წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის ბუნებრივი მატების 90 %-ზე მეტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ საშუალოდ ყოველი 10 ახალშობილიდან – 9 აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მცხოვრებია. სწორედ განვითარებული სამყაროა თანამედროვე დემოგრაფიული აფეთქების მთავარი „დამნაშავე“, და ის გლობალური დემოგრაფიული პრობლემაც, რომელიც ასე აწუხებს კაცობრიობას, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უკონტროლო ზრდით გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად სამყაროში ფერტილობის საშუალო მაჩვენებელი (ბავშვთა რაოდენობა ერთი პროდუქტიული ასა-

კის ქალზე) საგრძნობლად შემცირდა (6, 1 ბავშვი – 1960 წელს და 3, 5 – 2007 წელს), ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა უმნიშვნელოდ დაიკლო, ხოლო აფრიკის ქვეყნებში იმატა კიდეც, რაც სიკვდილიანობის კოეფიციენტის მკვეთრი შემცირების შედეგია. ამგვარად, მოსახლეობის სწრაფი ზრდა და დემოგრაფიული აფეთქება მესამე სამყაროში შობადობის უაღრესად მაღალი მაჩვენებლის „დამსახურებაა“.

შობადობის უკიდურესად მაღალი კოეფიციენტით, უპირველესად, აფრიკის სახელმწიფოები გამოირჩევა. ამ მხრივ, პირველობა ეკუთვნით კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (ზაირს), ჩადს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, სომალის და ნიგერს, სადაც საშუალოდ ყოველ 1000 მცხოვრებზე წელიწადში 45-ზე მეტი ბავშვი იბადება. შობადობის მაჩვენებლით, მსოფლიოს პირველ 30 ქვეყანას შორის (სადაც შობადობის კოეფიციენტი 35 პრომილეს აღემატება) 27 აფრიკული ქვეყანაა. აზიაში ამ მაჩვენებლით გამოირჩევიან ავღანეთი (48, 2 ‰), აღმოსავლეთი ტიმორი (42, 1‰) და იემენი (38, 3‰), შესაბამისად – მე-5, მე-15 და 26-ე ადგილი. ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვატემალაშია (33, 2‰ – 38-ე ადგილი), ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი შობადობის მქონე ალბანეთი (16, 3‰), მსოფლიოს 195 სახელმწიფოს შორის მხოლოდ 125-ე ადგილზეა. ევროპის დანარჩენი ქვეყნები (ირლანდიის და ისლანდიის გარდა) 150-ე ადგილის შემდეგ მოდიან (12, 5‰-ზე ნაკლები). საქართველო შობადობის მაჩვენებლით (10, 8‰) ესტონეთსა და ესპანეთთან ერთად 163-165-ე ადგილებს იყოფს. საინტერესოა, რომ ბოლო სამ ადგილზე იმყოფებიან სინგაპური (8,1‰), ჰონკონგი და აომინი (7,6-7,6‰), ანუ ის პოლიტიკური ერთეულები, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ჩინელები შეადგენენ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამივე მათგანი მხოლოდ ქალაქის მოსახლეობისაგან შედგება.

რაც შეეხება ფერტილობის მაჩვენებელს, ამ მხრივაც, აფრიკის ქვეყნები ლიდერობენ: კერძოდ, მალიში, ნიგერში, ჩადში, სომალიში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 6-ზე მეტია. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 2, 59-ია, ევროკავშირისა – 1, 5, ხოლო საქართველოსი 1, 42 (170-ე ადგილი მსოფლიოს 195 ქვეყანას შორის). უკანასკნელ ადგილზე აქაც ჩინური სახელმწიფოები არიან (ჰონკონგი, აომინი, სინგაპური და ტაივანი, სადაც ეს მაჩვენებელი 0. 98-დან 1, 12-მდეა).

აღნიშნული დემოგრაფიული სიტუაცია ძირეულად ცვლის მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფიის ზოგად სურათს. თუ XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს ათი ყველაზე ხალხმრავალი ქვეყნიდან რვა განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნებოდა, XXI საუკუნის დამდეგისთვის ამ ათეულში მხოლოდ აშშ და რუსეთი დარჩნენ, 2050 წლისათვის კი პირველ

ათეულში ადგილს განვითარებული ქვეყნებიდან მხოლოდ აშშ შეინარჩუნებს. დანარჩენი ცხრა ქვეყანა იქნება ინდოეთი, ჩინეთი, პაკისტანი, ნიგერია, ინდონეზია, ბრაზილია, ბანგლადეში, ეთიოპია და კონგო (ზაირი).

მოსახლეობის სწრაფი ზრდა, პირველ ყოვლისა, უმუშევრობის პრობლემას ამწვავებს. 1990-2005 წლებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამუშაო ძალის რაოდენობამ 590 მილიონი კაცით მოიმატა (მათგან 570 მილიონი განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა) და 2, 750 მილიარდ კაცს მიაღწია, 2025 წლისთვის კი – 3,150 მილიარდს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად საჭიროა 38 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, იმის გარდა, რაც შესაქმნელია უკვე არსებული უმუშევრების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 40%-ს შეადგენენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სამხრეთ აზიაში, სადაც სამუშაო ძალის ნამატი დღეში 100 ათას კაცს აღწევს.

უაღრესად მწვავედ დგას ე.წ. დემოგრაფიული დატვირთვის პრობლემაც ანუ ბავშვების (15 წლამდე) რიცხვის შეფარდება შრომისუნარიან ასაკთან (16 წლიდან 65 წლამდე). განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ბავშვების რაოდენობა მეტია, ვიდრე შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, რაც სერიოზულ სიძნელეს ქმნის.

12.1.4. დეპოპულაციის პრობლემა

განვითარებადი ქვეყნებისგან (და მთელი მსოფლიოსაგან) განსხვავებით, განვითარებული სამყარო სულ სხვა დემოგრაფიული დილემის წინაშე დგას. პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყანა დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაშია, როცა შობადობის მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია. დაბალი შობადობის გამო, მკვეთრად იცვლება მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, იზრდება ხანდაზმულთა ხვედრითი წილი და, შესაბამისად, იზრდება სიკვდილიანობის კოეფიციენტი. ყოველივე ამის შედეგად, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდება და მოსახლეობის მატება ნულოვანი ხდება, ბოლო ეტაპზე კი სიკვდილიანობა აჭარბებს შობადობას და აღინიშნება მოსახლეობის ბუნებრივი კლება ანუ დეპოპულაცია.

როგორც შობადობის, ისე ფერტილობის მაჩვენებლით, განვითარებული ქვეყნები მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის უკანასკნელ ადგილებს ინაწილებენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში. ზოგ მათგანში სიკვდილიანობა მეტია შობადობაზე და ჩვენ წინაშეა დეპოპულაცია. ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა და ახალგაზრდების ნაკლებობა იწვევს სამუშაო ძალის დეფი-

ციტს, რის შევსებაც განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების ხარჯზე ხდება. ამ პროცესის შედეგადად, სწრაფად იზრდება უცხოელთა ხვედრითი წილი, რაც, თავის მხრივ, ამწვავებს რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ პრობლემებს, იწვევს ქსენოფობიას და ნოყიერ ნიადაგს ქმნის დაპირისპირებისა და კონფლიქტებისათვის.

დეპოპულაციის პრობლემა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობას, პოლიტიკურ სტაბილურობას და ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. სავარაუდოდ, არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში XXI საუკუნის ბოლოსთვის დასავლეთი და ცენტრალური ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით ნაკლები იქნება, დღევანდელთან შედარებით, ხოლო ეთნიკური სტრუქტურა ძირეულად შეიცვლება და ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლოა უმცირესობად იქცეს. მარტო გერმანიაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყოველწლიურად 200 ათასი იმიგრანტი ჩავა, მისი მოსახლეობა 2050 წლისთვის, დღევანდელთან შედარებით, 10 მილიონით ნაკლები იქნება.

კიდევ უფრო მძიმე სურათია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. აქ სოციალისტური სისტემის კრახს მძიმე ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში კონფლიქტები და სამოქალაქო ომებიც დაერთო. შობადობა მკვეთრად დაეცა და ზოგ ქვეყანაში დეპოპულაციის პროცესიც დაიწყო. მაგრამ, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, სადაც დეპოპულაციის კომპენსირება იმიგრანტთა ხარჯზე ხდება და მოსახლეობის საერთო რაოდენობა მაინც იმატებს (რამდენიმე ქვეყნის გარდა), პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელია უაღრესად ინტენსიური ემიგრაცია და მიგრაციის უარყოფითი სალდო. ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მექანიკური კლება უფრო მეტია, ვიდრე ბუნებრივი მატება, და ამიტომ მოსახლეობის საერთო რაოდენობა მცირდება, ხოლო იქ, სადაც როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური კლებაა, მოსახლეობის შემცირება განსაკუთრებით საგრძნობია. სამწუხაროდ, ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც, რომელიც მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის მოსახლეობის ზრდის საერთო საშუალო წლიური მაჩვენებლით (_0,79%,) ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ეს რიცხვი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 0, 79%-ით ანუ თითქმის 40 ათასი კაცით მცირდება მაშინ, როცა ლიბერიაში მოსახლეობის საერთო საშუალო წლიური მატება 4. 5%-ია, ხოლო ავღანეთში 4%-ს აღწევს. საქართველოს მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მესამედი საუკუნის განმავლობაში (1989 წლიდან 2024 წლამდე) ქვეყნის მოსახლეობა 5, 445 ათასიდან 3 694

ათასამდე, ანუ მესამედით შემცირდა. მშვიდობიან წლებში მოკლე პერიოდში მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება უპრეცედენტო მოვლენაა ისტორიაში.

12.2. მიგრაციების და მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების პრობლემები

მიგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური და, იმავდროულად, კომპლექსური პრობლემაა, რადგან არა მხოლოდ დემოგრაფიულ, არამედ სერიოზულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემასაც წარმოადგენს და არაერთ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში.

თავისთავად მიგრაცია ნორმალური, ჩვეულებრივი მოვლენაა და ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. უმრავლეს შემთხვევაში იგი პროგრესსა და ხალხთა დაახლოებას უწყობდა ხელს. ხშირად თვით სახელმწიფოები ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ მიგრაციის ამა თუ იმ სახისთვის და და ამ პროცესის რეგულირება ეცადათ. მიგრაცია პრობლემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მას არ მართავენ და ის უკონტროლო პროცესად იქცევა. სწორედ ასეთ მიგრაციას გულისხმობენ, როცა ლაპარაკობენ მიგრაციაზე, როგორც გლობალურ პრობლემაზე.

12.2.1. თანამედროვე შიდა მიგრაციის პრობლემები

თანამედროვე მიგრაციების მთავარი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. ეს თანაბრად ეხება როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციებს.

შიდა მიგრაციების ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს მიგრაცია „სოფელი-ქალაქი“. განვითარებულ ქვეყნებში უკვე რამდენიმე საუკუნეა მიმდინარეობს და პრაქტიკულად თავის მაქსიმალურ მაჩვენებელს უკვე მიაღწია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 80-90 %; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩაბმული სოფლის მეურნეობაში და უმრავლესობა ქალაქში საქმიანობს. აქ უკვე დაიწყო საპირისპირო პროცესი: მოსახლეობის მიგრაცია ქალაქიდან სოფელში. შედარებით უზრუნველყოფილი ფენები ამჯობინებენ, თავი აარიდონ ქალაქის მტვერსა და ხმაურს და ქალაქთან ახლოს სოფლად, ბუნებაში ჰქონდეთ საკუთარი სახლი და ეზო. საუკეთესო გზები და საკუთარი ავტომობილი საშუალებას იძლევა, ქალაქში, სამსახურში მისვლას არაუმეტეს 1-1, 5 საათი მოანდომონ.

სრულიად სხვა სიტუაციაა განვითარებად სამყაროში, სადაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ განსაკუთრებულად დიდ მასშტაბებს მიაღწია. აღნიშნული ვითარების ძირითადი მიზეზებიდან აღსანიშნავია მოსახლეობის ძალიან მაღალი ბუნებრივი მატება და სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა. ამას ემატება მიწების დეგრადაცია, ეროზია, გაუდაბნოება და სხვა სტიქიური მოვლენები, რის გამოც ერთ მცხოვრებზე დამუშავებული მიწების ფართობი განუხრელად მცირდება, ხოლო მოსახლეობის ნაწილი საერთოდ უმიწოდ რჩება. რეალური ხდება შიმშილის საფრთხე და ყოველწლიურად ათობით მილიონი ადამიანი იძულებულია ქალაქს მიაშუროს და იქ ეძებოს სამუშაო. ფაქტობრივად, ეს უღარიბესი და მოუმზადებელი მასა ავსებს ქალაქის უმუშევართა და კრიმინალთა რიგებს და უკიდურესად ამძაფრებს ქალაქის პრობლემებს.

სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ძალზე პრობლემური გახდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ეს პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა და ახალგაზრდობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში დიდ მასშტაბებს აღწევდა. შესაბამისად, ნორმალური დემოგრაფიული სტრუქტურის დარღვევა და მუშა-ხელის დეფიციტი სოფლად, ხოლო ქალაქად ახალგაზრდობის დასაქმება, უკვე მაშინ წარმოადგენდა სერიოზულ პრობლემას. მაგრამ მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებებით ამ პრობლემის რეგულირება ასე თუ ისე მაინც ხერხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების კრახისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ მიგრაციის პროცესები სრულიად უმართავი გახდა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლამ მასობრივი უმუშევრობა წარმოშვა, წარმატებული კერძო ფერმერობა კი ძალიან ცოტამ შეძლო. ამის შედეგად, უამრავი ადამიანი მიაწყდა ქალაქს სამუშაოს შოვნის იმედით, მაგრამ რადგან ქარხნებისა და ფაბრიკების უმრავლესობა გაჩერდა და თვითონ ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩა დაუსაქმებელი, სოფლიდან ჩასულმა მიგრანტებმა მხოლოდ გაზარდეს უმუშევართა რიგები. იმის გამო, რომ შიდა მიგრაციით უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი აღმოჩნდა, მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა (ძირითადად, ახალგაზრდობამ) დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს მიაშურა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა.

შიდა მიგრაციის პრობლემა ძალიან მწვავედ დგას საქართველოშიც. ტრადიციულად ქართველი მოსახლეობის ძირითადი საცხოვრებელი სოფელი იყო. XX საუკუნის დასაწყისში საშუალოდ ყოველი 100 ქართველიდან 87 სოფლად ცხოვრობდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამჟამად სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი 40%-ზე ნაკლებია. განსაკუთ-

რებით მძიმე ვითარებაა მთიან პროვინციებში. თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი მუდმივი მოსახლეობისგან თითქმის დაიცალა, ხოლო ხევის, მთიულეთის, რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში 2-3-ჯერ შემცირდა. მოსახლეობის აბსოლუტური კლება შეინიშნება თითქმის ყველა ქართულ სოფელში, ბევრი მათგანი კი მხოლოდ მოხუცების ანაბარა დარჩა. საქართველოს დედაქალაქში – თბილისში, ოფიციალური მონაცემებით, ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 1/3, თუმცა რეალურად ეს მაჩვენებელი მეტია და თანაც მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ყოველივე ეს საშიშროების წინაშე აყენებს ქვეყანას. საფრთხე ექმნება თვით ქართული ეროვნული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას, რადგან ეთნიკური თვითმყოფადობის საფუძველი ყოველთვის სოფელი იყო, ხოლო მოსახლეობის კონცენტრაცია ერთ ქალაქში (ე.წ. თავკომბალას სინდრომი) უამრავ უმწვავეს პრობლემას ბადებს.

12.2.2. საერთაშორისო მიგრაციების თანამედროვე პრობლემები

მიუხედავად სიმწვავისა, შიდა მიგრაციები მაინც ცალკეული სახელმწიფოების პრობლემებია და მათი გადაჭრა ან რეგულირება სახელმწიფოს მიერ გარკვეული პოლიტიკის გატარებით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. გაცილებით დიდი პრობლემაა გარე ანუ საერთაშორისო (განსაკუთრებით – არალეგალური) მიგრაციები, რაც ჭეშმარიტად გლობალური პრობლემაა და მასთან ბრძოლა საყოველთაო ძალისხმევას მოითხოვს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, პირველ წლებში, გარე მიგრაციების ყველაზე გავრცელებული სახე იყო პოლიტიკური მიგრაციები. ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, დაახლოებით, 6 მილიონი გერმანელი გადაასახლეს გერმანიაში. კომუნისტური რეჟიმების დამყარების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო მიგრაციამ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. აღსანიშნავია აგრეთვე ებრაელების მიგრაცია ახლადშექმნილ ისრაელის სახელმწიფოში, მოსახლეობის გაცვლა ინდოეთსა და პაკისტანს შორის და ევროპელების დაბრუნება სამშობლოში ყოფილი კოლონიებიდან. პოლიტიკური მიგრაციები შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა და დღესაც არც თუ იშვიათია, მაგრამ 50-იანი წლებიდან მთავარი ადგილი ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეულმა მიგრაციებმა დაიკავა.

საერთაშორისო ეკონომიკური მიგრაციების მთავარი მიმართულებები უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენადმე შეიცვალა. 50-60-იან წლებში შრომითი მიგრაციის ძირითადი ნაკადი

მიემართებოდა სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, თურქეთი) დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისკენ (გერმანია, საფრანგეთი, ბენილუქსის ქვეყნები, შვეიცარია). 70-80-იან წლებში მიგრანტთა მთავარი მიმწოდებლები გახდნენ აზიის და აფრიკის (ევროპაში) და ლათინური ამერიკის (აშშ-ში) სახელმწიფოები, 90-იანი წლებიდან დაწყებული კი, სამხრეთ ევროპის ქვეყნები თვითონ გახდნენ მიგრანტთა მიმღებები, ხოლო იმიგრანტთა ახალი ნაკადები, ძირითადად, პოსტსოციალისტური (განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა) ქვეყნებიდან დაიძრნენ.

ამჟამად საერთაშორისო მიგრანტთა მიზიდვის სამი მთავარი ცენტრია: დასავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა და სპარსეთის უბის ნავთობმომპოვებელი არაბული სახელმწიფოები.

გაეროს 2019 წლის მონაცემებით, მსოფლიოში მიგრანტთა საერთო რაოდენობა 271 მილიონ კაცს უდრის. ცალკეულ სახელმწიფოებს შორის იმიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობით აშშ გამოირჩევა. აქ 50, 6 მილიონი იმიგრანტია, რაც მსოფლიოში მიგრანტთა საერთო რაოდენობის 18, 5,%-ია, ხოლო აშშ-ის მთელი მოსახლეობის 15, 4%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა გერმანია 13, 4 მილიონი (მთელი მოსახლეობის 15%), ხოლო მესამეზე რუსეთი – 11, 6 მილიონი კაცი (ძირითადად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან), ანუ ქვეყნის მოსახლეობის 8, 1%. იმავდროულად, რუსეთი მექსიკასა და ჩინეთთან ერთად პირველ ადგილზეა ემიგრანტთა რიცხვითაც. რუსეთის, დაახლოებით, 11 მილიონი მოქალაქე ემიგრაციაშია. იმიგრანტთა რაოდენობით შემდეგ მოდის საფრანგეთი, საუდის არაბეთი და კანადა. რაც შეეხება იმიგრანტთა ხვედრით წილს ქვეყნის მთელ მოსახლეობაში, განსაკუთრებით გამოირჩევიან არაბთა გაერთიანებული საემიროები, სადაც იმიგრანტები შეადგენენ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 87, 4%-ს (8, 5 მილიონი კაცი), კატარი (78, 7%), კუვეიტი (72, 4%), ბაჰრეინი (42, 7%), სინგაპური (42, 6%), აგრეთვე – მონაკო (75%) და ვატიკანი (90%). ევროპის ქვეყნებიდან იმიგრანტთა წილი 20 %-ზე მეტია შვეიცარიის და შვედეთის მოსახლეობაში. იმიგრანტების ხვედრითი წილი 1%-ზე ნაკლებია ჩინეთში, ინდოეთში, ბანგლადეშში, ნიგერიაში, მექსიკაში, ბრაზილიაში, ინდონეზიაში, ეგვიპტეში და კიდევ რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში. საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობა 79 ათას კაცს აღწევს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 2,2 %-ს შეადგენს მაშინ, როცა ემიგრანტთა რიცხვმა 852 ათასი შეადგინა.

იმიგრანტები სერიოზულ პრობლემას ქმნიან პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, სადაც მათი რაოდენობა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. დასავლეთ ევროპაში იმიგრანტთა უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდანაა. რასობრივი და კულტურულ-რელიგიური განსხვა-

ვება უკვე თავისთავად ართულებს ადაპტაციას, ხოლო ენობრივი ბარიერი, განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე და ცხოვრების განსხვავებული სტილი ვითარებას კიდევ უფრო ძაბავს. ამის შედეგად, იმიგრანტები და ადგილობრივი მოსახლეობა ერთმანეთს უპირისპირდება. ზოგჯერ იმიგრანტებს კონკურენტებად მიიჩნევენ შრომის ბაზარზე, გაცილებით ხშირად კი, მაწანწალებისა და კრიმინალების რიგებს ავსებენ. ყოველივე ამან გამოაცოცხლა დასავლეთ ევროპაში თითქმის უკვე მივიწყებული ეთნიკური ნაციონალიზმი და გააძლიერა ქსენოფობია. შეტაკებები იმიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის საკმაოდ გახშირდა და ზოგჯერ სისხლიან ფორმას იღებს. ფაქტია, რომ დაპირისპირება თანდათანობით პოლიტიკურ ელფერს იძენს და ძნელად ექვემდებარება რეგულირებას.

არანაკლები სიმწვავით ხასიათდება იმიგრაციის პრობლემა აშშ-ში. ამჟამად აქ მიგრანტთა დიდ უმრავლესობას ლათინურ ამერიკიდან არალეგალურად ჩასულები შეადგენენ. ყოველდღიურად აშშ-მექსიკის საზღვარს 3 ათასი არალეგალური იმიგრანტი მაინც კვეთს, რის გამოც, სახელმწიფო იძულებული გახდა ძვირადღირებული ზღუდეების მშენებლობა დაეწყო საზღვრის მთელ პერიმეტრზე. ამჟამად აშშ-ის სამხრეთ შტატებში მოსახლეობის 20-25% ესპანურენოვანია, ხოლო XXI საუკუნის ბოლოს, ზოგი პროგნოზის თანახმად, ქვეყნის მთელი მოსახლეობის 40% ესპანურენოვანი იქნება. აშშ, რომელიც უმტკივნეულოდ ახერხებდა მილიონობით სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მიგრანტის ამერიკელად „გადადნობას“ (ამერიკას ამიტომაც ახასიათებდნენ ამ მეტაფორით – Melting pot – სადნობი ქვაბი), ახლა თვითონ დადგა საკმაოდ სერიოზული საფრთხის წინაშე და პირველად ისტორიაში ქსენოფობიის პრობლემამ იჩინა თავი.

შედარებით ნაკლები სიმწვავისა იყო იმიგრაციის პრობლემები სპარსეთის უბის არაბული ქვეყნებისთვის. ამის მიზეზი ისაა, რომ იმიგრანტთა უმრავლესობა სხვა არაბული ქვეყნებიდან იყვნენ და კულტურული ადაპტაციისა და ენობრივი ბარიერის პრობლემა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ამას გარდა, ისინი, ძირითადად, ნაკლებკვალიფიციურ ძალას წარმოადგენდნენ, ფიზიკური შრომით იყვნენ დაკავებული და ადგილობრივი მოსახლეობის კონკურენტებად არ მიიჩნეოდნენ. თუმცა, ბოლო წლებში ვითარება აქაც გართულდა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც აზიის ქვეყნებიდან (ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ფილიპინები) დიდი ოდენობის მიგრანტთა ჩამოსვლაა.

მიგრაციის ახალი სახეა ე.წ. „ტვინების ექსპორტი“ ანუ კვალიფიციური ინტელექტუალური კადრების (პირველ ყოვლისა, ზუსტ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და სამედიცინო მეცნიერებებში დასაქმებულ

სპეციალისტთა) გადინება. მათი მიზიდვის მთავარი ცენტრი აშშ-ია, სადაც არა მარტო განვითარებადი სამყაროსა და აღმოსავლეთ ევროპის, არამედ დასავლეთ ევროპის საუკეთესო მეცნიერთა ნაწილიც ამჯობინებს ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობას. დასავლეთი ევროპა ასეთ კადრთა რესურსს პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან ივსებს. აღსანიშნავია, აგრეთვე, სამეცნიერო კადრების (განსაკუთრებით, ბირთვული ფიზიკის სპეციალისტების) მიგრაცია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან იმ განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც ატომურ პროგრამებზე მუშაობენ (ინდოეთი, პაკისტანი, ირანი).

მიგრაცია სერიოზული პრობლემაა არა მარტო მიგრანტთა მიმღები, არამედ გამცემი ქვეყნებისთვისაც. მასობრივი ემიგრაციის ქვეყნები კარგავენ მოსახლეობის აქტიურ, შრომისუნარიან და ინტელექტუალურ ნაწილს, რაც მძიმედ აისახება ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ თუ დემოგრაფიულ სურათზე. ასეთი ქვეყნების მაგალითია საქართველოც. ჩვენი ქვეყნიდან 850 ათასი კაცია ემიგრაციაში (დაახლოებით, ამდენივემ უკვე მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ემიგრანტად აღარ ითვლება), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობის ასაკიც 20-დან 45 წლამდეა. აღნიშნულმა ვითარებამ დაარღვია ქვეანაში დარჩენილი მოსახლეობის ნორმალური ასაკობრივი სტრუქტურა, რამაც, თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირა შობადობის მაჩვენებელი და ქვეყანა დეპოპულაციის საფრთხის წინაშე დააყენა. ამას ემატება მრავალი სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი თუ მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა, რამაც ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქართველო გამონაკლისი არ არის. ასეთივე მდგომარეობაა იმ პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც, რომლებსაც შობადობის დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ხოლო მიგრაციის სალდო მკვეთრად უარყოფითია.

12.2.3. ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემები

მიგრაციის პრობლემების ცალკე, ძალიან მწვავე გამოვლინებაა ლტოლვილთა და დევნილთა (იძულებით გადაადგილებულ პირთა) პრობლემები. ლტოლვილად მიიჩნევა პირი, რომელიც, საომარი მოქმედებების, პოლიტიკური რეპრესიების, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური დევნის, სტიქიური უბედურებების ან სხვა რაიმე ექსტრემალური მიზეზების გამო, იძულებულია დატოვოს საკუთარი ქვეყანა და თავშესაფარი სხვა სახელმწიფოში ეძებოს. ის პირები, რომლებმაც იმავე მიზეზების გამო დატოვეს საკუთარი სახლ-კარი, მაგრამ ქვეყანაში დარჩნენ, იწოდებიან დევნილებად ან იძულებით გადაადგილებულ პირებად.

ლტოლვილთა და დევნილთა რაოდენობა განსაკუთრებით სწრაფად ბოლო ათწლეულებში გაიზარდა, რაც, უწინარესად, ყოფილ განვითარებად და სოციალისტურ ქვეყნებში მომხდარი კონფლიქტების „დამსახურებაა“. 2022 წლისთვის მსოფლიოში 29, 4 მილიონი ლტოლვილი (3-ჯერ მეტი, ვიდრე 2006 წელს) და 57, 3 მილიონი დევნილი (თითქმის 5-ჯერ მეტი, 2006 წელთან შედარებით) აღირიცხა. ეს ძალზე მწვავე პრობლემებს ქმნის როგორც იმ ქვეყნებისთვის, სადაც მათი მნიშვნელოვანი თავმოყრა აღინიშნება, ისე – მთელი მსოფლიოსათვის.

ლტოლვილთა ყველაზე მეტი რაოდენობა იმ ქვეყნებიდანაა, სადაც სამოქალაქო ომი და შეიარაღებული კონფლიქტი უკვე მრავალი წელია გრძელდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით „გამოირჩეოდნენ“ პალესტინა, ავღანეთი, ერაყი, მიანმა (ბირმა) და სუდანი. ბოლო წლებში, ამ მხრივ, ლიდერობდა სირია, ხოლო 2022 წლიდან უკრაინაზე რუსეთის აგრესიის შემდეგ პირველობა უკრაინის ხელში გადავიდა. რაც შეეხება დევნილებს, 2022 წლის მონაცემებით, განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა უკრაინაში (8 მილიონი დევნილი) და სირიაში (7, 5 მილიონი). შემდეგ მოდიოდნენ ეთიოპია (5, 5, მილიონი), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (5, 2 მილიონი და იემენი (4, 9 მილიონი).

ლტოლვილთა მიმღები ქვეყნებიდან გამოირჩევიან აშშ, ირანი, პაკისტანი, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები შვედეთი და ზოგი სხვა ევროპული ქვეყანა. გასათვალისწინებელია, რომ ლტოლვილთა რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ იმ კატეგორიით, რომლებსაც ოფიციალურად აქვთ ლტოლვილის სტატუსი. რეალურად ლტოლვილთა რიცხვი გაცილებით მეტია, რადგან მათ ნაწილს ეს სტატუსი არ გააჩნია და, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ე.წ. არალეგალურ მიგრანტებს. იგივე შეიძლება ითქვას იძულებით გადაადგილებულ პირებზეც.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა ძალზე სერიოზულად დგას პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სომხეთში 100 ათასზე მეტი ლტოლვილია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც ის სომხები არიან, ადრე რომ აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ და ყარაბაღის კონფლიქტის დროს დატოვეს აზერბაიჯანი. აზერბაიჯანში 100 ათასამდე ლტოლვილი აზერბაიჯანელია სომხეთიდან, გაცილებით მეტია აზერბაიჯანიდან ლტოლვილები რუსეთში, ხოლო 2023 წლამდე, სანამ აზერბაიჯანი მთიან ყარაბაღს დაიბრუნებდა, თითქმის მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირი იყო ქვეყანაში. საქართველოში უცხოელ ლტოლვილთა რიცხვი დიდი არ არის (10 ათასი კაცი), მაგრამ ოფიციალურად აღრიცხულია 339 ათასი დევნილი, ხოლო 200 ათასამდე კაცი საქართველოს კონფლიქტური ზონებიდან არის ლტოლვილი სხვა ქვეყნებში. გასაგებია, თუ რა სერიოზული პრობლემაა ეს ქვეყნისთვის.

12.2.4. მოსახლეობის განლაგების ფაქტორები

გლობალურ დემოგრაფიულ პრობლემებს შორის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება ყველაზე უფრო „გეოგრაფიულია“. მოსახლეობის არათანაბარი განლაგება, მაღალი სიმჭიდროვე ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში და, პირიქით, უკიდურესად მეჩხრად დასახლებული ან საერთოდ დაუსახლებელი ვრცელი ტერიტორიები თავისთავად სერიოზული პრობლემაა, რასაც უამრავი გართულება ერთვის.

მოსახლეობის არათანაბარ განლაგებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, რომლებიც **ოთხ ძირითად ჯგუფად** შეიძლება დაიყოს: *ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული*. მათი როლი და მნიშვნელობა განსხვავებული იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და სხვადასხვა რეგიონში.

დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობის განლაგების ლამის ერთადერთ ფაქტორს **ბუნებრივი პირობები** წარმოადგენდა. არახელსაყრელ გარემოში (ყინულოვანი საფარი, ტუნდრა, ტაიგა, უდაბნო, ტროპიკული ტყეები, მაღალმთიანეთი) მოსახლეობა უკიდურესად მცირე იყო ან საერთოდ არ იყო. თანამედროვე პერიოდში გაიზარდა სხვა ფაქტორების როლი, მაგრამ ბუნებრივი პირობები კვლავ რჩება მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების მთავარ ფაქტორად. **ისტორიულ ფაქტორად** იგულისხმება ტერიტორიის ათვისების ქრონოლოგიური ჩარჩოები, რაც აისახება კიდეც მოსახლეობის რიცხოვნობასა და სიმჭიდროვეზე. **სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს** მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის ტიპი და ინტენსიფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, ტრანსპორტის განვითარების დონე და სხვა ფაქტორები, რომლებიც საგრძნობ გავლენას ახდენენ მოსახლეობის რაოდენობასა და მის განლაგებაზე. **დემოგრაფიული ფაქტორი**ს გავლენა გამოიხატება, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატების მაჩვენებლების შედეგად, მოსახლეობის რიცხოვნობისა და განსახლების სურათის ცვლილებით.

აღნიშნული ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგად, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისა და განსახლების სურათი საგრძნობად იცვლება. ხდება ცალკეული რეგიონების „გადამეტსახლება“, რაც მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს. „ჭარბი“ მოსახლეობა იძულებულია სხვაგან ეძებოს საცხოვრებელი, ეს კი უკონტროლო მიგრაციის წინაპირობაა. იმავდროულად, რუსეთის, კანადის, არაბული სამყაროს, ბრაზილიის, მონღოლეთის, ყაზახეთის და მრავალი სხვა ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორია აუთვისებელია, რაც ასევე სერიოზული პრობლემაა.

12.2.5. მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ტერიტორიის „დატვირთულობის“ პრობლემა

დედამიწაზე მოსახლეობის არათანაბარი განაწილების მკაფიო დადასტურებაა რამდენიმე რიცხობრივი მონაცემი: აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 80 %, ხოლო დასავლეთში – 20 %; ჩრდილოეთ ნახევარსფეროში თავმოყრილია მსოფლიო მოსახლეობის 90 %, სამხრეთში კი – მხოლოდ 10 %. ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლემდე ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის თითქმის 60%, 500 მეტრამდე 85 % მაშინ, როცა 2000 მ-ზე მაღლა თავმოყრილია მოსახლეობის მხოლოდ 1, 5%. მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი განსახლებულია ზღვის სანაპირო ზოლში (არაუმეტეს 200 კილომეტრის დაშორებით) და მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. დაბოლოს, ხმელეთის 7 %-ზე თავმოყრილია მსოფლიო მოსახლეობის 70 %-ზე მეტი.

აღნიშნული მონაცემები თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიოს რუკაზე გამოიყოფა რამდენიმე რეგიონი, სადაც დიდ რაოდენობის მოსახლეობას მოუყრია თავი და, შესაბამისად, მოსახლეობის სიმჭიდროვეც ძალიან მაღალია. ამ თვალსაზრისით, გამოირჩევა სამი არეალი: **ევროპა** (ჩრდილოეთ ევროპის გამოკლებით); **აშშ-ის აღმოსავლეთი სანაპირო; აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.**

დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეს განაპირობებს ქალაქის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი. აშშ-სა და ევროპაში ურბანიზაციის დონე 70-90%-ია. შესაბამისად, აქ მოსახლეობის კონცენტრაცია „წერტილოვანია“, ანუ ქალაქებზე მოდის. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 20 %-ზე ნაკლები. ამასთანავე, თვითონ ცნება „სოფელი“ აქ რამდენადმე პირობითია, რადან ამ კატეგორიაში იმ დასახლებებს გულისხმობენ, რომლებსაც ქალაქის ოფიციალური სტატუსი არ გააჩნიათ. გარეგნულად ასეთი დასახლებები უფრო პატარა ქალაქებს მოგვაგონებს, ხოლო მათი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქებში მუშაობს და სოფლის მეურნეობასთან კავშირი არ აქვს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ქვეყნების მიხედვით იცვლება 1, 5%-დან 10 %-მდე. მათი უმრავლესობა მსხვილი ფერმერები არიან, რომლებიც ასობით ჰექტარ მიწას ფლობენ და, ინტენსიური სოფლის მეურნეობის წყალობით, თითქმის მთლიანად აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

სრულიად სხვა მდგომარეობაა მოსახლეობის კონცენტრაციის მესამე და ყველაზე დიდ არეალში, რომელიც აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას მოიცავს; აქ თავი მოუყრია დედამი-

წის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე განპირობებულია სოფლის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილით (50-70 %). ამასთანავე, სოფლად მცხოვრები თითქმის მთელი მოსახლეობა მხოლოდ სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული, რაც უკიდურესად ზრდის ტერიტორიის „დატვირთულობას“. მოსახლეობის სიმჭიდროვე დამუშავებული მიწების მიმართ ხშირად კვადრატულ კილომეტრზე ათასს აღემატება. სოფლის მეურნეობის ექსტენსიური ხასიათი და ნაკლები პროდუქტიულობა კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების სიდიდე ერთ ჰექტარზე ნაკლებია, ასეთი სიდიდის ნაკვეთები კი ექსტენსიური სოფლის მეურნეობის პირობებში არარენტაბელურია და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გამოკვებას. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ერთ მცხოვრებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საშუალო რაოდენობის მუდმივი კლება, რაც როგორც მოსახლეობის სწრაფი ზრდით, ისე მიწების დეგრადაციით არის გამოწვეული. აზიაში, მაგალითად, 1985 წელს ერთ მცხოვრებზე საშუალოდ 0, 22 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდიოდა, 2022 წელს კი – 0, 15 ჰა. ანალოგიური მონაცემები აფრიკისთვის 0, 4 და 0, 25 ჰა იყო. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა სამხრეთ აზიაში, ინდონეზიის კუნძულ იავაზე, ნილოსის დელტაში და სხვ.

ტერიტორიის დატვირთულობისა და გადამეტსახლების პრობლემა სერიოზულ გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. ჭარბი მოსახლეობა იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი და ბედი სხვა რეგიონებში სცადოს, რაც მძიმე პრობლემებს ქმნის მათი იმიგრაციის ადგილებში. გარდა ამისა, გადამეტსახლებამ შეიძლება სურსათით უზრუნველყოფისა და შიმშილის პრობლემა შექმნას. ზოგ ქვეყანაში სცადეს მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან მოსახლეობის გეგმური, ორგანიზებული მიგრაცია განეხორციელებინათ ნაკლებად დასახლებულ რეგიონებში, მაგრამ ეფექტი უმნიშვნელო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა მოსახლეობის ბუნებრივი მატების შეზღუდვა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესია.

12.2.6. სასოფლო განსახლებისა და სოფლის პრობლემები

საუკუნეების განმავლობაში სასოფლო განსახლება მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების მთავარი და, გარკვეული გაგებით, ერთადერთი ფორმა იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის დასაწყისისთვის სოფლად ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 97 %. თუმცა უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ქალაქების როლი სწრაფად

იზრდება და ქალაქი თანდათან ხდება (ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კი დიდი ხანია გახდა) განსახლების მთავარი ფორმა. 2009 წელს ისტორიაში პირველად ქალაქის მოსახლეობის ხვედრითმა წილმა მსოფლიოს მოსახლეობაში გადააჭარბა სოფლის მოსახლეობის ხვედრით წილს. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მოსახლეობის, დაახლოებით, 45 % (3, 5 მილიარდზე მეტი კაცი) ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობს. განსაკუთრებით დიდია სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი აფრიკის, აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. სოფლის პრობლემებიც ძირეულად განსხვავებულია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში.

განვითარებად ქვეყნებში სოფლის პრობლემები, ძირითადად, გადამეტსახლებით, ტერიტორიის დატვირთულობითა და სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობით გამოიხატება. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია გზას, ელექტროობას, რადიო, ტელე და სატელეფონო კავშირს, მრავალ მათგანში არ არის სკოლა, საექიმო და საფერშლო პუნქტი, კულტურის რაიმე დაწესებულება. ასეთ პირობებში მოსახლეობის სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობა განსაკუთრებით საგრძნობია. ამას ემატება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმართ, რაც შეფარდებით ჭარბმოსახლეობასა და გადამეტსახლებას იწვევს, ეს კი ეკონომიკური გაჭირვებისა და სიღარიბის მნიშვნელოვანი მიზეზია. ყველა აღნიშნული ფაქტორის შედეგად, განვითარებად სამყაროში სოფელი ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს „გამოდევნის“, რომლებიც საცხოვრებელს და სამუშაოს ქალაქებში ეძებენ. განათლებასა და კვალიფიკაციას მოკლებული ეს უზარმაზარი მასა უმუშევრებისა და უსახლკაროების რიგებს ავსებს და, ძირითადად, თავს მათხოვრობით ანდა კრიმინალური საქმიანობით ირჩენს, ეს კი უმძიმესი პრობლემაა არა მხოლოდ განვითარებადი სამყაროსთვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, და გლობალურ პრობლემების რიგს მიეკუთვნება.

მაღალგანვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სოფელი, როგორც უკვე ითქვა, პირობითი ცნებაა და რეალურად წარმოადგენს პატარა დასახლებულ პუნქტს, რომელსაც ქალაქის სტატუსი არ გააჩნია. ასეთი „სოფლები“, ძირითადად, საქალაქო აგლომერაციის ფარგლებში ყალიბდება და დასახლებულია მოსახლეობის ყველაზე უფრო შეძლებული ფენებით. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, ვილები ჰქონდეს და, ქალაქის ხმაურისა და მტვრის ნაცვლად, მწვანეში ჩაფლულ, იზოლირებულ კარ-მიდამოში იცხოვროს. ცხადია, მოსახლეობის ეს ნაწილი, ცალკეული გამონაკლისის გარდა, არაფრით უკავშირ-

დება სოფლის მეურნეობას; ისინი ქალაქებში მოღვაწეობენ და ყოველდღიურ, ე.წ. ქანქარისებურ მიგრაციებში არიან ჩაბმული. სამხრეთ ევროპასა და ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ტრადიციული სოფლები კიდევ არის შემორჩენილი, სოფლის ძირითადი პრობლემა მოსახლეობის მიგრაცია და დემოგრაფიული დაბერებაა. ახალგაზრდობა, ძირითადად, ქალაქში გადადის საცხოვრებლად და სოფელი ხანდაზმულების ანაბარაა დარჩენილი, ეს კი შრომითი რესურსების დეფიციტს იწვევს. ამ მიზეზის გამო, სოფლად სეზონურ სამუშაოებში, ძირითადად, უცხოელი იმიგრანტები მონაწილეობენ, რომელთა ნაწილიც მუდმივად რჩება და საგრძნობლად ცვლის მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ სურათს. აღნიშნული ვითარება ქსენოფობიისა და ეთნორელიგიური დაპირისპირების გამომწვევი მიზეზია და უფრო და უფრო სერიოზულ პრობლემად გვევლინება.

სოფლის დაცლა და დეპოპულაციის პროცესი უმწვავესი პრობლემაა საქართველოშიც. მარტო XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ხუთასამდე სოფელი სრულიად გაუკაცრიელდა. ათასზე მეტი სოფელი ამ საშიშროების წინაშეა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება მთის პატარა სოფლებს, მაგრამ ბოლო წლებში აღნიშნული პრობლემა თითქმის ყველა ქართულ სოფელს შეექმნა. იშვიათია სოფელი, სადაც მოსახლეობის კლება არ აღინიშნებოდეს. თანაც ჩვენ წინაშეა როგორც მექანიკური, ისე ბუნებრივი კლება, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მომავალში ბარის დიდ და მდიდარ სოფლებსაც შეექმნებათ ის პრობლემა, რაც დღეს მთის პატარა სოფლების წინაშე დგას. ქართული სოფლის დაცლა დიდი ეროვნული ტკივილია და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად უნდა ჩაითვალოს.

12.3. ურბანიზაციისა და ქალაქების პრობლემები

გლობალურ პრობლემებს შორის ურბანიზაციისა და ქალაქების პრობლემები სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ეს პრობლემები კომპლექსურია და მხოლოდ დემოგრაფიული პრობლემების ჩარჩოებში ვერ ეტევა. ხშირ შემთხვევაში „გადაჭდობილია“ სოციალურ, ეკონომიკურ, ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ პრობლემებთან. ამასთანავე, ურბანიზაციისა და ქალაქების პრობლემები გლობალური საკითხია და პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში იჩენს თავს, თუმცა განსხვავებულად ვლინდება, იმისდა მიხედვით, თუ სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული განვითარების რა დონეზეა მოცემული სახელმწიფო.

12.3.1. ურბანიზაციის სახეები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ურბანიზაცია დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა და, გარკვეული გაგებით, თანამედროვე პერიოდს ურბანიზაციის ეპოქა შეიძლება ვუწოდოთ. ზოგადად, ურბანიზაცია გულისხმობს ქალაქების როლის ზრდას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მოვლენას ორი მხარე აქვს: **რაოდენობრივი** და **თვისობრივი**. ურბანიზაციის რაოდენობრივი მხარე გამოიხატება ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილით მთელ მოსახლეობაში და **ურბანიზაციის დონის** სახელით არის ცნობილი. სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებია **ურბანიზაციის ხარისხი** ანუ დიდ ქალაქებში მცხოვრებთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში და **მეტროპოლიზაციის ხარისხი** ანუ დიდ ქალაქებში მცხოვრებთა ხვედრითი წილი მთელ საქალაქო მოსახლეობაში.

ერთი შეხედვით, ურბანიზაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები სრულ წარმოდგენას უნდა გვიქმნიდეს ურბანიზაციის რეალურ სურათზე, მაგრამ სინამდვილეში სხვა მდგომარეობაა. ჯერ ერთი, ქალაქის ცნება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა და ქალაქის მოსახლეობაც განსხვავებული კრიტერიუმებით განისაზღვრება. ამიტომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ერთ ქვეყანაში საქალაქო მოსახლეობად ითვლება, მეორე ქვეყანაში სოფლის მოსახლეობას განეკუთვნება. მეორეც, ხშირ შემთხვევაში ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისი ცხოვრების წესით და ფუნქციებით, რჩება არაურბანიზებულ მოსახლეობად და მათი ქალაქის მოსახლეობისათვის მიკუთვნება ხელოვნურად ზრდის ურბანიზაციის დონეს.

ამიტომ ურბანიზაციის რეალური სახის წარმოსაჩენად სულ უფრო ხშირად იყენებენ **თვისობრივ** მახასიათებლებს. ეს მონაცემები რიცხობრივად არ გამოისახება და ნაკლებად ექვემდებარება გაზომვას. ეს გამოიხატება ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელებით როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაში, ქალაქისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის დარგების ფართო გავრცელებით და ამ სფეროებში დასაქმებულთა (განსაკუთრებით, არამატერიალურ და ინტელექტუალურ საქმიანობაში) ზრდით, სოფლის მეურნეობის როლის შემცირებით, განაშენიანებისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქური სტილის დამკვიდრებით და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განარჩევენ ურბანიზაციის ორ სახეს: **ფიზიკურს** და **თვისობრივს**.

ფიზიკური ურბანიზაცია დამახასიათებელია განვითარებადი სამყაროსათვის. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში ქალაქის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური რაოდენობა, ისე

ხვედრითი წილი ძალიან სწრაფად იზრდება. აზიაში, მაგალითად, ქალაქის მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 3, 3%-ია, აფრიკაში – 4, 9%, ხოლო ლათინურ ამერიკაში – 2, 7%, და ეს მაშინ, როცა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში 0, 7 %-ს არ აღემატება. 1975 წელს განვითარებადი ქვეყნების საქალაქო მოსახლეობის რაოდენობამ გადააჭარბა განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. 2005 წლისთვის ეს განსხვავება 2, 2-ჯერ მეტი იყო (1, 0 მილიარდი კაცი -განვითარებულ ქვეყნებში და 2, 2 მილიარდი – განვითარებად სამყაროში), ხოლო 2025 წლისათვის – უკვე 3,3-ჯერ მეტი (შესაბამისად, 1, 2 მილიარდი და 3, 6 მილიარდი), მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო ურბანიზებულია განვითარებულთან შედარებით.

ქალაქის მოსახლეობის ზრდას მესამე სამყაროში განაპირობებს მასობრივი მიგრაცია სოფლიდან, სადაც, მაღალი ბუნებრივი მატებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირის შედეგად, წარმოიქმნება შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა. საარსებო საშუალებებს მოკლებული მილიონობით ადამიანი იძულებულია, ქალაქს მიაშუროს და იქ ეძებოს თავშესაფარი, მაგრამ რადგან განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სუსტი ეკონომიკური პოტენციალი არ იძლევა მიგრანტთა დასაქმების შესაძლებლობას, ხალხის ეს მასა, ძირითადად, უმუშევართა, მათხოვართა და კრიმინალთა რიგებს ავსებს. ამას გარდა, ძალზე გართულებულია ან საერთოდ არ ხერხდება ჩამოსული მოსახლეობის ადაპტაცია ქალაქურ გარემოსთან. პირიქით, მიგრანტებს შემოაქვთ თავიანთი ცხოვრების წესი, რომელიც სოფლისთვის იყო დამახასიათებელი და ქალაქურ პირობებს არ შეეფერება. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში ჩვეულებრივი ამბავია, მოსახლეობას ჰყავდეს პირუტყვი და ჰქონდეს პაწაწინა ბოსტანი. და რადგან სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის ხვედრითი წილი საქალაქო მოსახლეობაში განუწყვეტლივ იზრდება, ცხოვრების ასეთი სტილიც სულ უფრო ვრცელდება ქალაქის მოსახლეობაში. ამგვარად, ჩვენ წინაშეა ე.წ. ცრუ ურბანიზაცია, როცა ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში (ურბანიზაციის დონე) იზრდება, მაგრამ ვრცელდება არა ქალაქური ცხოვრების წესი, ან იზრდება საქალაქო ფუნქციების როლი, არამედ პირიქით, მიმდინარეობს მათი დევალვაცია და სოფლისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის დამკვიდრება ქალაქებში. ეს პროცესი ცნობილია **„რურალიზაციის“** სახელწოდებით და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა განვითარებად ქვეყნებში.

სრულიად სხვა ვითარებაა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში. აქ ქალაქური ცხოვრების ნორმებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მათი დევალვაციის ნაცვლად, ქალაქური ცხოვრების სტილი, პირიქით,

სულ უფრო ფართოდ ვრცელდება არასაქალაქო მოსახლეობაშიც. ქალაქის მოსახლეობის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში განაპირობებს სამუშაო ძალის მოთხოვნილება საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში და ქალაქური ფუნქციების ფართო გავრცელება. ამიტომ ქალაქებში მიგრირებული მოსახლეობა (მათ შორის, უცხოელები) საკმაოდ სწრაფ ადაპტაციას განიცდიან და ქალაქური ცხოვრების წესით ცხოვრობენ. ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში არა თუ არ იზრდება, არამედ მცირდება კიდეც, რადგან მოსახლეობის შეძლებული ფენები ქალაქს ტოვებენ და ქალაქგარეთ სახლდებიან. ფორმალურად ისინი სოფლის მცხოვრებლებად ითვლებიან, მაგრამ სოფლის მეურნეობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნიათ. სოფელი ცხოვრობს ქალაქური ცხოვრების წესით და სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც ქალაქში მუშაობს. ამრიგად, ჩვენ წინაშეა განვითარებადი ქვეყნებისაგან დიამეტრულად განსხვავებული პროცესი – ქალაქური ცხოვრების წესის საყოველთაო გავრცელება, მათ შორის, სოფლის მოსახლეობაშიც. ეს პროცესი **რურბანიზაციის** ან **სუბურბანიზაციის** სახელწოდებით არის ცნობილი. სწორედ ესაა თვისობრივი ურბანიზაცია, როცა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა და ხვედრითი წილი შეიძლება მცირდებოდეს, მაგრამ ურბანიზაციის პროცესი უფრო ვითარდებოდეს და ცხოვრების საყოველთაო წესად გვევლინებოდეს.

12..3.2. დიდი ქალაქებისა და საქალაქო აგლომერაციების პრობლემები

თანამედროვე ურბანიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ქალაქების პრობლემები. ქალაქები მოსახლეობის კონცენტრაციის პოლუსებადაა წარმოდგენილი დედამიწაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქალაქებს უკავიათ ხმელეთის მთელი ფართობის მხოლოდ 1 %, მაგრამ თავმოყრილია დედამიწის მთელი მოსახლეობის 57 %, იწარმოება მსოფლიო პროდუქციის 85 % და მათზე მოდის გარემოს დაბინძურების 88 %.

ქალაქების პრობლემების აბსოლუტური უმრავლესობა დიდი ქალაქების წილად მოდის. სწორედ დიდ ქალაქებშია თავმოყრილი საქალაქო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მთავარი სამრეწველო საწარმოები და სავაჭრო-საფინანსო, ადმინისტრაციული თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. დიდი ქალაქები წარმოადგენენ გარემოს დაბინძურების ძირითად კერებსაც.

თავისთავად ის ფაქტი, რომ რამდენიმე კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობს მილიონობით ადამიანი და მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე ათეულ ათასობით განისაზღვრება, უაღრესად სერიოზული პრობლემაა და მრავალ სირთულეს ქმნის. მოსახლეობის ასეთი კონცენტრაციის პირობებში უკიდურესად გართულებულია ტრანსპორტის მოძრაობა, კრიტიკულ ზღვარს აღწევს ჰაერის დაბინძურება, სერიოზული სიძნელეები იქმნება წყალმომარაგებასა და კომუნალური მეურნეობის სხვა დარგებში, ძალზედ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა (განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების დიდი ქალაქების გარეუბნებში, ე.წ. ბიდონვილებში). მაღალია უმუშევრობის დონე. იმავდროულად დიდი ქალაქები წარმოადგენენ დანაშაულებრივი სამყაროს ცენტრებს და კრიმინალური პრობლემები უკიდურესად აწუხებს მოსახლეობას.

მიუხედავად ყველაფერი ამისა, დიდი ქალაქები და საქალაქო აგლომერაციები სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის მთავარი ცენტრებია და მოსახლეობის მიზიდვის ძირითად კერებს წარმოადგენენ. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, თუ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობა უშუალოდ დიდ ქალაქებში იყრის თავს, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობა პატარა ქალაქებსა და სოფლებში გადადის, თუმცა – იმავე აგლომერაციებისა და მეგალოპოლისების ფარგლებში. ამგვარად, განვითარებულ სამყაროში იზრდება აგლომერაციებისა და მეგალოპოლისების მოსახლეობის რაოდენობა და ხვედრითი წილი, მაგრამ მათ შიგნით დიდი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და ქალაქი-თანამგზავრებისა და სოფლების მოსახლეობა იმატებს. განვითარებად ქვეყნებში კი, უშუალოდ დიდი ქალაქების მოსახლეობის უკონტროლო ზრდას ვაწყდებით.

ბევრ ქვეყანაში სერიოზულ პრობლემად იქცა ერთი ქალაქის (როგორც წესი, ეს დედაქალაქი ან მთავარი ნავსადგურია) ჰიპერტროფიული განვითარება. მიმდინარეობს რა სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან მთავარ ქალაქში მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, პროვინციები ცარიელდება და ქვეყნის ეკონომიკური, შრომითი თუ ინტელექტუალური პოტენციალის დიდი ნაწილი თავს იყრის ერთ ქალაქში. ეს უაღრესად მძიმედ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ სურათზე და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ერის ეთნოგრაფიული და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას, რადგან, სოფლისგან განსხვავებით, დიდ ქალაქს ნაკლებად აინტერესებს ეთნიკური თავისებურებები.

სამწუხაროდ, დედაქალაქის ჰიპერტროფიული განვითარება დამახასიათებელია საქართველოსთვისაც. თუ XIX საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში ცხოვრობდა საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის მხოლოდ 2 %, XX საუკუნის დასაწყისისათვის ამ მაჩვენებელმა 10 % შეად-

გინა, ამჟამად კი 30 %-ს მიაღწია. თბილისი, სიდიდით მეორე ქალაქს, ბათუმს, 7,5-ჯერ აღემატება. ეს უაღრესად არასახარბიელო ტენდენციაა და სერიოზული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო თავისებურ „თავკომბალად“ იქცევა, სადაც ქვეყნის მთელი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრება თბილისში მოიყრის თავს, ეს კი კატასტროფის ტოლფასი იქნება, რადგან ძლიერი და დინამიკურად განვითარებადი რეგიონების გარეშე საქართველოს მომავალი წარმოუდგენელია.

12.3.3. პატარა ქალაქების პრობლემები

ქალაქების პრობლემებს შორის ცალკე გამოყოფენ პატარა ქალაქების პრობლემებს.

პატარა ქალაქის ცნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. თუ ჩინეთსა და იაპონიაში ქალაქის სტატუსის მისაღებად დასახლებული პუნქტის მოსახლეობა 30 ათასს უნდა აღემატებოდეს, დანიასა და ისლანდიაში 200 კაციც საკმარისია. მაგრამ პატარა ქალაქების პრობლემები იმდენად მოსახლეობის რაოდენობას არ უკავშირდება, რამდენადაც მის ფუნქციებს. ხშირ შემთხვევაში ფუნქციის დაკარგვა ან შეცვლა ძირეულად ცვლის ქალაქის განვითარების პერსპექტივას და სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში პატარა ქალაქები, ფაქტობრივად, დიდი სოფლებია, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. მხოლოდ ზოგიერთი ფუნქცია (ადმინისტრაციული, სავაჭრო და ა.შ.) განასხვავებს ასეთ ქალაქებს სოფლებისაგან. ქალაქური ცხოვრების წესი აქ არ იგრძნობა. რადგან სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებიც შეზღუდულია, ასეთ ქალაქებში სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას, ვიდრე სოფელში. მოსახლეობა მუდმივად გაედინება. შედარებით „სტაჟიანი“ ქალაქელები საცხოვრებლად დიდ ქალაქებში გადადიან, მათ ადგილს კი სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობა იკავებს. მძიმე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პირობების გამო, განვითარებადი ქვეყნების პატარა ქალაქების დიდი ნაწილი პერმანენტულ კრიზისშია.

განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, სწორედ პატარა ქალაქები ითვლება ყველაზე პრესტიჟულ და კომფორტულ საცხოვრებლად. საკუთარი სახლები და მწვანეში ჩაფლული ეზოები ასეთი ქალაქების იერსახის განმსაზღვრელი ფაქტორია. შედარებით სუფთა ეკოლოგიური

გარემო, სიწყნარე და უსაფრთხო კრიმინალური ვითარება კიდევ უფრო ზრდის პატარა ქალაქების მიმზიდველობას. ამიტომაა, რომ განვითარებულ ქვეყანათა პატარა ქალაქის მცხოვრებთა ხვედრითი წილი იზრდება და მრავალი ახალი პატარა ქალაქის დაბადების მოწმე ვხდებით.

განსაკუთრებული ვითარება იქმნება იმ პატარა ქალაქების შემთხვევაში, როცა ისინი პროფილს იცვლიან ან ძველ ფუნქციას კარგავენ. ეს პრობლემა ეხება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ქალაქებს: მაგალითად, ის ქალაქები, რომლებიც მოპოვებითი მრეწველობის ცენტრები იყვნენ და, წიაღისეულის მარაგის გამოლევის ან მოთხოვნილების შემცირების გამო, ეს ფუნქცია დაკარგეს, უმწვავეს კრიზისში აღმოჩნდნენ. იგივე შეიძლება ითქვას იმ ქალაქებზეც, რომლებსაც სატრანსპორტო ცენტრის ფუნქცია ჰქონდათ და, სხვადასხვა გარემოების გამო (ახალი მაგისტრალის გაყვანა, ახალი ნავსადგურის აშენება და ა.შ.), სატრანსპორტო ჩიხში აღმოჩნდნენ. მსგავს მდგომარეობაში ერთადერთი გამოსავალი ქალაქის პროფილის შეცვლა და ახალი ფუნქციების ათვისებაა, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და სახელმწიფოს დიდ ძალისხმევას მოითხოვს. განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემების მოგვარება მეტ-ნაკლებად ხერხდება, განვითარებად ქვეყნებში კი ეს უმწვავესი პრობლემაა და ხშირად ვაწყდებით ცალკეული ქალაქების სრულ დეგრადაციასა და მოსახლეობისაგან დაცლას.

პატარა ქალაქების პრობლემა ნიშანდობლივია საქართველოსთვისაც. თბილისის როლის არაბუნებრივი ზრდა და სხვა ქალაქების მნიშვნელობის კლება მთელი საბჭოთა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ძველი საწარმოო კავშირების შეწყვეტის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება სამრეწველო ქალაქებს, სადაც საწარმოთა უმრავლესობა საერთოდ გაჩერდა და ათი ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა. თითქმის ყველა ქალაქში მოსახლეობის კლება აღინიშნა. რაც მთავარია, საქართველოს ქალაქები ვერ ასრულებენ რეგიონული ცენტრების – ე.წ. „ზრდის პოლუსების“ როლს. ეს საკითხი სწრაფ გადაწყვეტას ითხოვს, რადგან პატარა და საშუალო ქალაქების სათანადო ზრდა-განვითარებისა და მათი სრული ფუნქციონირების გარეშე ქვეყნის ნორმალური განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

12.4. დემოგრაფიული პოლიტიკის სირთულეები

დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავემ და მათმა გლობალურმა ხასიათმა დღის წესრიგში დააყენა მეცნიერულად დასაბუთებული დე-

მოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. დემოგრაფიული პოლიტიკა მიზნად ისახავს, გარკვეული ღონისძიებების მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ზრდას ან შემცირებას (იმისდა მიხედვით, თუ როგორი დემოგრაფიული პრობლემა დგას მოცემული ქვეყნის წინაშე) ანდა არსებული ტენდენციის შენარჩუნებას. დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ ტარდება და კონკრეტულ მიზნებს ემსახურება. თუ განვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიული პოლიტიკა მიზნად ისახავს მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირებას და შობადობის შეზღუდვას, განვითარებული ქვეყნები დიდძალ სახსრებს ხარჯავენ შობადობის წახალისებისთვის. მთელი მსოფლიოს მთავარი დემოგრაფიული პრობლემა მოსახლეობის სწრაფი ზრდაა, მაგრამ ერთიანი მსოფლიო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება შეუძლებელია. ამიტომ თითოეული სახელმწიფო, თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ინდივიდუალურად ახორციელებს მას.

12.4.1. დემოგრაფიული პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში

შობადობის შემცირების პირველი ტენდენციები XIX საუკუნის დასაწყისში აღინიშნა საფრანგეთში, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოს სახელმწიფომ პირველი ნაბიჯები გადადგა შობადობის სტიმულირებისათვის. ამჟამად თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიზანდასახული დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება, რომელიც შობადობის გაზრდისა და მრავალშვილიანობის წახალისებისაკენ არის მიმართული.

დემოგრაფიული პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ ევროპაში იგრძნობა. პრაქტიკულად ყველა ევროპული ქვეყანა დგას დეპოპულაციის საფრთხის წინაშე, ხოლო იქ, სადაც მოსახლეობის მატება აღინიშნება, ძირითადად, უცხოელი იმიგრანტების ხარჯზე. აღნიშნული ვითარების შედეგად, მუდმივად იცვლება მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა და, ზოგი პროგნოზის თანახმად, 150-200 წლის შემდეგ ევროპის მრავალ ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობა შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს.

ეს საშიშროება კარგად არის გაცნობიერებული და ამიტომ დემოგრაფიული პოლიტიკა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული ნაწილია ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში. აქ დემოგრაფიულ პოლიტიკას ხელისუფლება ორი ფორმით ახორციელებს: პირველი მათგანი ვლინდება ირიბი ზემოქმედებით შობადობის წახალისებაზე, როცა სახელმწიფო კისრულობს იმ ხარჯებს, რომლებიც ბავშვის განათლებას, ჯანმრთელობის დაცვასა და

სოციალურ უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული; ახალგაზრდა ოჯახებს ეძლევათ ხანგრძლივვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტები. მეორე ფორმა მთელი რიგი ღონისძიებების ერთობლიობაა, რაც უშუალოდ შობადობის წახალისებისკენაა მიმართული, კერძოდ: ერთჯერადი ფულადი დახმარება მშობიარობის შემდეგ; ყოველთვიური შემწეობა ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში (რომელიც იზრდება ოჯახში ყოველი ახალი ბავშვის დაბადებისას); დანამატი მშობლების ხელფასზე თითოეულ ბავშვზე; ხანგრძლივი დეკრეტული შვებულება ხელფასის სრული ან ნაწილობრივი შენარჩუნებით; არასრული სამუშაო დღე მცირეწლოვანი შვილების დედებისთვის; ახალგაზრდა ოჯახებისა და მარტოხელა დედებისთვის სპეციალური სოციალური მომსახურება და კომუნალური შეღავათები და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, ეფექტი შედარებით უმნიშვნელოა. შობადობის ზრდის ტენდენცია ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა, მაგრამ, უკვე ის ფაქტი, რომ ზოგ სახელმწიფოში შობადობის კლება შემცირდა ან ეს მაჩვენებელი სტაბილური გახდა, დიდ წარმატებად მიიჩნევა. მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევა და, კერძოდ, შობადობის დონე საერთო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგია. ეს უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორია და მატერიალური წახალისება ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის. თანამედროვე ევროპის პირობებში ქალი სულ უფრო აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგი მეუღლესთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, რამდენი შვილი ჰყავდეს (ე. ი. შობადობას არეგულირებს და ოჯახურ ცხოვრებას გეგმავს), იმის გათვალისწინებით, რომ ხელი არ შეეშალოს ნორმალური განათლების მიღებაში, არ დაკარგოს მაღალანაზღურებადი სამუშაო, ჰქონდეს გართობისა და დასვენების სრული შესაძლებლობა და ა.შ. ასე რომ, მცირეშვილიანობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებებით არის გამოწვეული და არა – ეკონომიკური გაჭირვებით. რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც შობადობის მკვეთრი დაცემა 90-იან წლებში სწორედ მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა და შობადობის მაჩვენებელმაც ოდნავ აიწია, თუმცა ზოგ ქვეყანაში სიკვდილიანობის კოეფიციენტზე მაინც ნაკლებია და გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკაც ჯერჯერობით შედეგს ვერ აღწევს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოგრაფიული პოლიტიკა არ ტარდება. მოქალაქეებს სახელმწიფოს რაიმე დახმარებისა და შეღავათის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მაგრამ უამრავი კერძო ფონდი და საქ-

ველმოქმედო ორგანიზაცია ეხმარება მრავალშვილიან და ახალგაზრდა ოჯახებს. გარდა ამისა, არის გარკვეული საგადასახადო შეღავათებიც. საერთოდ, დემოგრაფიული პრობლემები ამერიკას ნაკლებად აღელვებს: ჯერ ერთი, მაღალი მექანიკური მატება უზრუნველყოფს მოსახლეობის ზრდას (ხოლო მიგრანტთა მეორე თაობა სრულიად „ამერიკანიზებულია“). მეორეც, ამერიკულ ოჯახში ტრადიციულად უფრო მეტი ბავშვია, ვიდრე – ევროპულში და ბუნებრივი მატების მაჩვენებლებიც საგანგაშო არ არის. დაახლოებით, ასეთივე მდგომარეობაა სხვა მაღალგანვითარებულ არაევროპულ სახელმწიფოებში (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია). რაც შეეხება იაპონიას, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის გამო, სახელმწიფო დაინტერესებული იყო შობადობის შემცირებით და მოსახლეობის ზრდის ტემპის შეზღუდვით, მაგრამ ბუნებრივი მატების მკვეთრმა შემცირებამ ერის დემოგრაფიული დაბერება გამოიწვია და სერიოზული პრობლემები წარმოქმნა. ამჟამად სახელმწიფო ატარებს შობადობის წახალისების პოლიტიკას. უაღრესად განვითარებული ჯანდაცვის სისტემის გამო, ბავშვთა სიკვდილიანობა იაპონიაში ყველაზე დაბალია მსოფლიოში, რაც გარკვეულწილად ანეიტრალებს დაბალ შობადობას.

12.4.2. დემოგრაფიული პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში

სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავს დემოგრაფიული პოლიტიკა მესამე სამყაროში. განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა შობადობის შეზღუდვა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირებაა. ამ მიზნის მიღწევას საკმაოდ დიდ სახსრები ხმარდება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში შედეგი ნაკლებად იგრძნობა.

მოსახლეობის სწრაფი ზრდა მძიმე ტვირთად აწვება აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს. სახელმწიფოს ისედაც არ შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილებები, უამრავი ადამიანი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მილიონობით ბავშვი მოკლებულია სკოლას და სამედიცინო მომსახურებას, კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს უმუშევრობა, უბინაობა, დანაშაული და ა.შ. ყველაფერი ეს თითქმის გადაუჭრელი პრობლემა იქნებოდა, მოსახლეობის რაოდენობა უცვლელიც რომ ყოფილიყო. მაგრამ, როცა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად 2-3 %-ით იმატებს, ვითარება, ფაქტობრივად, გამოუვალი ხდება. ამიტომ ასეთი ქვეყნები ერთადერთ ხსნად მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციას მიიჩნევენ და ცდილობენ, როგორმე შეზღუდონ შობა-

დობა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, შედეგი უმნიშვნელოა, რაც მრავალი მიზეზით აიხსნება: კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაში (განსაკუთრებით, სოფლად) ყოველი ახალი ბავშვი ოჯახში, ეკონომიკური თვალსაზრისით, ტვირთად კი არ აღიქმება, არამედ ახალ მუშახელად და შემომტანად; ძლიერი რელიგიურობა გამორიცხავს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას და კონტრაცეპტივების გამოყენებას, ხოლო განათლებისა და დასაქმების დაბალი დონე ქალებში დამატებითი ფაქტორია მაღალი შობადობისათვის.

იმის გამო, რომ მესამე სამყაროს ქვეყნები, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევა და გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგებიც საკმაოდ განსხვავებულია.

ყველაზე ხისტი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა ჩინეთმა განახორციელა. 60-80-იან წლებში ქვეყანაში მიიღეს მრავალი კანონი შობადობის შეზღუდვის მიზნით, მათ შესრულებაზე კი მკაცრი სახელმწიფო კონტროლი დაწესდა: კერძოდ, ძირითად დემოგრაფიულ ლოზუნგად იქცა „ოჯახში – მხოლოდ ერთი ბავშვი“. მეორე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ოჯახს ეხსნებოდა ყველა შეღავათი, რომლებიც ერთშვილიან ოჯახს ჰქონდა. მესამე ბავშვის შემთხვევაში ჯარიმაც კი იყო დაწესებული, რომელიც იზრდებოდა ყოველი შემდეგი ბავშვის დაბადების შემდეგ. კანონით გაიზარდა ქორწინების მინიმალური ასაკი (ქალებში – 20, მამაკაცებში – 22 წელი), უშვილო და ერთშვილიანი ოჯახები სარგებლობდნენ სხვადასხვა პრივილეგიით და ა.შ. გატარებულმა ღონისძიებებმა საგრძნობი შედეგი გამოიღო. შობადობის დონე მნიშვნელოვნად დაეცა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები დღევანდელ ჩინეთში თითქმის ისეთივეა, როგორიც განვითარებულ ქვეყნებში. გამოიკვეთა ერის დემოგრაფიული დაბერების აშკარა ნიშნებიც. 80-იან წლებში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, მიწაზე კერძო საკუთრების დაშვებამ და მცირე საწარმოების პრივატიზაციამ ჩინეთი ერთ-ერთ ყველაზე დინამიკური განვითარების ქვეყნად აქცია და მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად გაიზარდა. ამჟამად უკვე იგრძნობა მუშახელის მოთხოვნილება; გლეხის შემოსავალი სრულიად საკმარისია მრავალშვილიანი ოჯახის გამოსაკვებად და ბევრით აღემატება ერთშვილიანი ოჯახისთვის განკუთვნილ სახელმწიფო შეღავათებს. ყოველივე ამის გამო, ქვეყანაში დღის წესრიგში დადგა დემოგრაფიული პოლიტიკის გადახედვის საკითხი.

ჩინეთისაგან განსხვავებით, დემოგრაფიული პოლიტიკა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა ინდოეთში. მიუხედავად იმისა, რომ შობადობის შეზღუდვისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება მსოფლიოში

პირველად სწორედ ინდოეთში დაიწყო ჯერ კიდევ 1951 წელს და ისეთ ანტიჰუმანურ მეთოდებსაც კი ითვალისწინებდა, როგორიც ქირურგიული სტერილიზაციაა, შედეგი მოსალოდნელზე ნაკლებშთამბეჭდავი აღმოჩნდა. მართალია, შობადობის კოეფიციენტი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ 22 პრომილეს მაინც აღემატება. ამის შედეგად, ყოველწლიურად ინდოეთის მოსახლეობა 17-18 მილიონი კაცით იმატებს. ამის შედეგად, 2023 წელს ინდოეთმა მოსახლეობის რაოდენობით ჩინეთს გაასწრო და, ამ მაჩვენებლით, მსოფლიოს პირველ ქვეყნად იქცა. ინდუისტური რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს შობადობის შეზუდვას და ქვეყანაში, სადაც რელიგიის გავლენა განუზომელია, არც იყო მოსალოდნელი დემოგრაფიული ქცევის არსებითი ცვლილებები. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შესაბამისად, შობადობის და ბუნებრივი მატების კლების ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა. ამაზე ისიც ახდენს გავლენას, რომ ბოლო ათწლეულებში ინდოეთის ეკონომიკა (განსაკუთრებით, მრეწველობა) დინამიკურად ვითარდება და ურბანიზაციის დონე სწრაფად იზრდება.

დიდ სირთულეებს აწყდება შობადობის შეზღუდვის პოლიტიკა ისლამურ სამყაროში. ისლამი კატეგორიულად ეწინააღმდეგება შობადობის რეგულირებას და მყარად იცავს მრავალშვილიანობის ტრადიციას. ამიტომ იმ ისლამურ ქვეყნებში, სადაც დემოგრაფიული პოლიტიკა შობადობის შემცირებას მიემართებოდა (პაკისტანი, ბანგლადეში, ინდონეზია, ეგვიპტე და სხვ.), მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, მიზანი მიუღწეველი დარჩა. იმავდროულად, მრავალი ისლამური ქვეყანა, რომლებსაც ნავთობის უმდიდრესი საბადოები აქვთ და მოსახლეობის შედარებით ნაკლები სიმჭიდროვე ახასიათებთ (ლიბია, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, კუვეიტი, კატარი), პირიქით, დემოგრაფიულ პოლიტიკას წარმართავენ მოსახლეობის ზრდისა და შობადობის წახალისების მიზნით. მთელი ისლამური სამყარო რჩება მოსახლეობის სწრაფი ზრდის ერთ-ერთ მთავარ კერად დედამიწაზე, სადაც დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტი ნაკლებად იგრძნობა.

შედარებით ეფექტური აღმოჩნდა დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგები ბუდისტურ ქვეყნებში (ტაილანდი, ვიეტნამი, კორეა, ლაოსი, კამბოჯა, მიანმა, შრი-ლანკა). ამ ქვეყნებში შობადობამ საგრძნობლად იკლო, რაც გამოწვეულია როგორც საერთო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესით (ტაილანდი, სამხრეთი კორეა), ისე – მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებებით (ვიეტნამი, კამბოჯა). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბუდისტური რელიგია შობადობის მიმართ უფრო ინდეფერენტულია, ვიდრე – სხვა რელიგიები, და დემოგრაფიული ქცევის შეცვლა მოსახლეობას, ეთიკურ-მორალური თვალსაზრი-

სით, ისეთ პრობლემას არ უქმნის, როგორიც ექმნებათ ინდუისტურ და ისლამურ ქვეყნებში.

რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო, ამ რეგიონშიც აუცილებელია მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რაც შობადობის შემცირებისკენ იქნება მიმართული. ამას კათოლიკური ეკლესია ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ „დემოგრაფიული აფეთქება“ ლათინურ ამერიკაში უკვე განვლილ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, მოსახლეობის სწრაფი ზრდა და შობადობის მაღალი დონე კვლავ რჩება სერიოზულ პრობლემად. ეს უფრო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს.

დაბოლოს, დემოგრაფიული პოლიტიკა ჯერჯერობით თითქმის არავითარ შედეგს არ იძლევა ტროპიკულ აფრიკაში. ამ რეგიონში შობადობის შემცირების ტენდენციამ მხოლოდ უკანასკნელ წლებში იჩინა თავი; ზოგ ქვეყანაში ბოლო დრომდე თითქმის ფიზიოლოგიური მაქსიმუმის დონეზე იყო. აფრიკის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას არც მატერიალური საშუალება გააჩნია და არც უნარი, განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრას შეუწყობს ხელს. უმრავლეს შემთხვევაში ეს სფერო რეგულირების გარეშეა დარჩენილი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს აფრიკის ისედაც მწვავე პრობლემებს.

12.4.3. დემოგრაფიული პოლიტიკის პრობლემა საქართველოში

საქართველო უკვე დიდი ხანია დგას სერიოზული დემოგრაფიული პრობლემების წინაშე. ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო შობადობის კლება, რაც ყოველწლიურად ძლიერდებოდა. თუ 1960 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 24, 7%0 იყო, რაც აბსოლუტურ მაჩვენებლებში 100 ათასს აღემატებოდა, 1989 წელს ამ მაჩვენებლებმა 17, 6%0 და 90 ათასი შეადგინა. შესაბამისად, იზრდებოდა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, მცირდებოდა ბუნებრივი მატების მაჩვენებელი და მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდებოდა. უარყოფითი იყო მიგრაციის სალდოც. მიუხედავად ამ ტენდენციისა, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშო არ ყოფილა და ჩვეულებრივ, ლოგიკურ პროცესად აღიქმებოდა. ქვეყანა იყო დემოგრაფიული გადასვლის იმ ფაზაში, რომელიც ევროპის ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ უფრო ადრე გაიარა.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 90-იან წლებში. ურთულესმა პოლიტიკურმა ვითარებამ, შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, სამოქალაქო

ომმა, ეკონომიკურმა ნგრევამ, წარმოების სრულმა მოშლამ და სხვა კრიზისულმა მოვლენებმა საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა, რის ერთ-ერთი გამოვლინებაც დემოგრაფიული კატასტროფა იყო. პირველად 200 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი კლება აღინიშნა. დაახლოებით, 1, 5 მილიონი კაცი ანუ მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედი ემიგრაციაში წავიდა. ეს, ძირითადად, ახალგაზრდა, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა იყო, ამიტომ მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და აღინიშნა მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული დაბერება. შესაბამისად, მკვეთრად იკლო შობადობის კოეფიციენტმა (14, 4%0 – 1992 წელს, 10, 7%0 – 2023 წელს). 2023 წელს საქართველოში 2, 3-ჯერ ნაკლები ბავშვი დაიბადა (40, 2 ათასი), ვიდრე – 1989 წელს. ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1992 წელს – 0, 5%-მდე, 1994 წელს – 0, 2%-მდე, ხოლო 1997 წელს ნულამდე ჩამოვიდა. 1998 წლიდან სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას და ქვეყანაში ბუნებრივი კლება (დეპოპულაცია) აღინიშნა. 2023 წელს 2, 5 ათასით მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა, ანუ ბუნებრივმა კლებამ შეადგინა 0, 5 პრომილე. მიგრაციის მაღალ უარყოფით სალდოს (დაახლოებით, 40 ათასი კაცი წელიწადში) დამატებული ბუნებრივი კლება უკიდურესად ნეგატიური მოვლენაა. სამწუხაროდ, საქართველო მოსახლეობის შემცირების ტემპებით მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ლიდერია.

აღნიშნულ პირობებში აუცილებელი ხდება სასწრაფო ზომების მიღება, რათა რამდენადმე გაუმჯობესდეს დემოგრაფიული სიტუაცია და ქვეყნის მომავალს არაფერი დაემუქროს. ჩამოყალიბებული დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოს არ გააჩნია. მრავალშვილიანი ოჯახისათვის გამოყოფილი შემწეობა ძალიან მცირეა და, ფაქტობრივად, ბევრს არაფერს იძლევა. ახალგაზრდა ოჯახებს და მარტოხელა დედებს შეღავათები არ ეძლევათ, ხოლო ბავშვის გაჩენის შემდეგ ოჯახის ერთჯერად ფინანსურ დახმარებასა და სახელფასო დანამატებზე ჯერჯერობით მხოლოდ მსჯელობენ. ამის შესაძლებლობა სახელმწიფო ბიუჯეტს არ გააჩნია. ყველა ეს ღონისძიება რომ გატარდეს კიდეც, საეჭვოა, დემოგრაფიული ვითარება რადიკალურად შეიცვალოს. როგორც უკვე ვთქვით, დემოგრაფიული ქცევა არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენია. ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებამ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შეუწყოს ხელი მოთხოვნილების ზრდას ბავშვებზე (მაგ., აშშ-ში პრივილეგირებული ოჯახები უფრო მრავალშვილიანია, ვიდრე ნაკლებად უზრუნველყოფილი), მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით უფრო მნიშვნელოვანია ისეთი მენტალიტეტის ჩამოყალიბება, როცა სამი, ოთხი და მეტი ბავშვი ოჯახის პრესტიჟად, ღირსებად ჩაითვლება და მისაბაძი იქნება.

თავი 13. გლობალური ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური პრობლემები

13.1. ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ სერიოზულ გლობალურ გამოწვევად იქცა ეთნიკური პრობლემები. ფართო გაგებით, ეთნიკური პრობლემა გულისხმობს ყველა იმ პრობლემას, რომელიც რასობრივ, ენობრივ, ეთნოკულტურულ თუ რელიგიურ განსხვავებას უკავშირდება. ეს განსხვავებები საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდნენ დაპირისპირების წყაროს და ისტორიამ რელიგიური ომების, რასიზმის, ეთნიკური წმენდის თუ კულტურული შეუთავსებლობის არაერთი მაგალითი იცის. სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესთან ერთად, როცა ხალხებს მიეცათ ფართო შესაძლებლობა, ერთმანეთს დაახლოებოდნენ, გასცნობოდნენ ერთმანეთის კულტურას და ბევრი რამ ერთურთისგან შეეთვისებინათ, თითქოს დაპირისპირების მიზეზიც უნდა გამქრალიყო. სინამდვილეში ასე არ მოხდა და წინააღმდეგობა არა თუ შესუსტდა, არამედ ხშირად გამწვავდა კიდეც. განსაკუთრებით საგრძნობია ეთნიკური პრობლემების გართულება გლობალიზაციის ერაში. ეს, უპირველესად, ეთნიკური ნაციონალიზმის გამოცოცხლებით გამოიხატება და რეაქციაა იმ საფრთხეზე, რაც ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებას ემუქრება უეროვნებო და კოსმოპოლიტური გლობალური კულტურის (რომელიც, ბევრის აზრით, დასავლური, კერძოდ, ამერიკული კულტურის სახეცვლილი ფორმაა) გავრცელებით.

13.1.1. ეთნიკური მოზაიკა

დედამიწის მოსახლეობა ეთნიკურად უაღრესად ჭრელი და მრავალფეროვანია. მსოფლიოს ხალხები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ენით, რელიგიით, მატერიალური და სულიერი კულტურით. შეუძლებელია, ზუსტად განისაზღვროს, რამდენი ეთნიკური ერთობაა დედამიწაზე. ხშირად ეთნოსებად მოიაზრებიან სუბეთნოსები და ეთნოგრაფიული ჯგუფებიც კი, ზოგჯერ კი, სულ სხვადასხვა წარმოშობის ხალხებს ერთ სუპერეთნოსად აერთიანებენ. ყოველივე ეს ქმნის ძალზე რთულ ეთნიკურ სურათს, რომელსაც ხატოვნად ეთნიკურ მოზაიკას უწოდებენ.

მოსახლეობის ეთნიკური კლასიფიკაცია სირთულეებთან არის დაკავშირებული: შეუძლებელია, ერთიანი, ზოგადი სქემა არსებობდეს.

ეთნიკური კლასიფიკაცია არ ემთხვევა ენობრივ კლასიფიკაციას, რადგან უამრავი მაგალითია, როცა სხვადასხვა ეთნოსი ერთ ენაზე ლაპარაკობს და პირიქით, ერთსა და იმავე ეთნოსს რამდენიმე სალაპარაკო ენა აქვს. ცხადია, არც რელიგია და კულტურა წარმოადგენს უტყუარ კრიტერიუმს ეთნიკური კლასიფიკაციისთვის. მთავარი ფაქტორი ეთნიკური თვითშეგნებაა (ეთნიკური იდენტობა), ანუ ის, თუ რომელ ეთნოსს მიაკუთვნებს თავს ესა თუ ის პირი. ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ელემენტის (ენა, კულტურა, რელიგია, საერთო წარმომავლობა, ბედის და ისტორიის ერთობა და ა.შ.) ერთობლიობა და მათი რთული კომბინაციაა.

იმის გამო, რომ ეთნიკური თვითშეგნება ინდივიდუალურია და ძნელად ექვემდებარება განზოგადებას, ეთნიკური კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ გამოხატვის ფორმას ენობრივი კლასიფიკაცია წარმოადგენს. ამიტომ, როცა ლაპარაკია მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე, დაჯგუფების კრიტერიუმად იმ ენების მსგავსება-განსხვავებებს ეყრდნობიან, რომლებზეც შესაბამისი ხალხები ლაპარაკობენ; ამით დგინდება ხალხების ერთმანეთთან სიახლოვე თუ სიშორე.

ენობრივი სიახლოვე სრულიადაც არ ნიშნავს ეთნოკულტურულ სიახლოვეს: მაგ., ინგლისური მშობლიური ენაა ინგლისელებისთვისაც და კარიბის ზღვის კუნძულოვანი ქვეყნების მოსახლეობისთვისაც, მაგრამ ანთროპოლოგიურად და კულტურულად მათ ცოტა რამ აერთიანებს. მაშინაც კი, როცა ეთნოსთა კულტურული სიახლოვე აშკარა ფაქტია, ეს არ არის იმის გარანტია, რომ მათ შორის კონფლიქტი არ მოხდება. ისტორიამ დაადასტურა კონფლიქტთა დიდი ნაწილი სწორედ მონათესავე და მეზობელ ეთნოსებს შორის, რადგან, როგორც წესი, მათ შორის იჩენს ხოლმე თავს ტერიტორიული, პოლიტიკური თუ სხვა სახის წინააღმდეგობები, რაც შემდეგ შეიძლება შეიარაღებულ დაპირისპირებადაც გადაიზარდოს.

სახელმწიფოს მრავალეროვნულობა და ეთნიკური სიჭრელე თავისთავად ზრდის ეთნიკური დაპირისპირებისა და კონფლიქტის საფრთხეს. ქვეყნებში, რომლებიც მოსახლეობის მონოეთნიკური შემადგენლობით გამოირჩევა (ისლანდია, იაპონია, კორეა და ა.შ.), ეთნიკური კონფლიქტების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია. ამის საპირისპიროდ, მრავალეროვან ქვეყნებში (აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა), სადაც სეპარატიზმის, ირედენტიზმის, სეცესიის და ტრაიბალიზმის გამოვლინებები ჩვეულებრივი მოვლენაა, კონფლიქტის ალბათობა რეალურია.

ნებისმიერ ეთნიკურ დაპირისპირებას თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური მიზეზი აქვს. „სუფთა სახის“ ეთნიკური კონ-

ფლიქტი, რომლის მიზეზიც ეთნოსთა ურთიერთსიძულვილი ან კულტურათა შეუთავსებლობაა, თითქმის არ არსებობს. ყველა შემთხვევაში კონფლიქტის შინაარსს სოციალური უსამართლობა, ეკონომიკური უთანასწორობა ანდა პოლიტიკური მოთხოვნები განსაზღვრავს და მხოლოდ გარეგნული ფორმით წარმოჩნდება ეთნიკურ კონფლიქტად.

13.1.2. ეთნიკური პროცესების ტიპები

ეთნიკური პროცესები ორი ძირითადი ფორმით გვხვდება: ***ეთნოევოლუციური*** და ***ეთნოტრანსფორმაციული***. ყოველი ეთნოსი მუდმივად განიცდის ეთნოევოლუციურ ცვლილებებს, რომლებიც ვრცელდება, როგორც სინქრონიულად (სიახლეების გავრცელება ეთნოსის შიგნით დროის გარკვეულ მონაკვეთში), ისე დიაქრონიულად (სიახლეების გადაცემა თაობიდან თაობას, რაც მას ტრადიციულ და მყარ სახეს ანიჭებს). ეთნოტრანსფორმაციული პროცესები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოო შედეგით ეთნოევოლუციურზე ბევრად მნიშვნელოვანია, რადგან ეთნიკური თვითშეგნების შეცვლას უკავშირდება.

ეთნიკურ პროცესებში ორი მთავარი ტიპი შეიძლება გამოიყოს: **ეთნიკური დაყოფა** და **ეთნიკური გაერთიანება**. პირველი მათგანის ძირითადი სახეებია: **ეთნიკური სეპარაცია** და **ეთნიკური პარციაცია**, ხოლო მეორისა: **ეთნიკური კონსოლიდაცია**, **ეთნიკური ასიმილაცია, ეთნოსთშორისი ინტეგრაცია** და **ეთნიკური მიქსაცია**.

ეთნიკური პროცესის არც ერთი სახე არ შეიცავს ეთნიკური კონფლიქტის საფრთხეს თავისი ფორმით. მაგრამ, იმისდა მიხედვით, როგორ განვითარდება პროცესი და როგორ პოლიტიკურ ელფერს მიიღებს, შეიძლება სერიოზული პრობლემები შეიქმნას.

ეთნიკურ დაყოფასთან დაკავშირებული პრობლემები

ეთნიკური სეპარაციის მაგალითია მოლდავური ეთნოსის ჩამოყალიბება. რუმინეთის ერთ-ერთი ისტორიული ოლქის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანამ და დანარჩენი რუმინეთისაგან განსხვავებულმა განვითარებამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის რუმინული ეთნოსისაგან გამოყოფა და მისი ახალ ეთნოსად ჩამოყალიბება. მოლდაველების გარკვეულმა ნაწილმა ჩათვალა რომ მოლდაველი ცალკე ეთნოსი არ არის და, როგორც რუმინული ეთნოსის ნაწილი, ის რუმინეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს. ამას, ცხადია, რუმინელების უმრავლესობა დაეთანხმა. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და მოლდავეთი დამოუკიდებელ *მოლდოვას რესპუბლი-*

კად გამოცხადდა, ქვეყნის პოლიტიკური წრეების ნაწილში წამოიჭრა იდეა მოლდოვას რუმინეთთან გაერთიანების შესახებ. ეს იდეა საკმარისი აღმოჩნდა მოლდოვის არამოლდაველი მოსახლეობის ნაწილისათვის, (რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს მოსახლეობაში), გამოეცხადებინათ დნესტრისპირეთის რესპუბლიკა, და ამით მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობა დაერღვიათ. ამ გადაწყვეტილებას სისხლისმღვრელი კონფლიქტი მოჰყვა, რომელიც დღემდე მოუგვარებელია. ეთნიკური სეპარაციის სხვა მაგალითებია მაკედონელი ეთნოსის გამოყოფა ბულგარელებისგან, ჩერნიგორიელებისა – სერბებისაგან, კვებეკელებისა – ფრანგებისგან ანდა დასავლეთ საჰარელი არაბებისა – მაროკოელი არაბებისგან. ეს უკანასკნელი შემთხვევაც სერიოზული კონფლიქტის მიზეზი გახდა. დასავლეთი საჰარა მაროკოს მიერ არის ანექსირებული, მიიჩნევს რა, რომ ეს მისი ნაწილია. საჰარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი თავს მაროკოელებისგან განსხვავებულ ეთნოსად თვლის და დასავლეთ საჰარის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძვის. საქართველოში ეთნიკური სეპარაციის მაგალითია პანკისის ქისტები, რომელთა წინაპრებიც XIX საუკუნის I ნახევარში ჩამოსახლდნენ ჩეჩნეთის მაღალმთიანი რაიონებიდან და ცალკე ეთნოსად ჩამოყალიბდნენ.

ეთნიკური პარციაციის უამრავ ისტორიულ მაგალითს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სლავების დაშლა რუს, უკრაინელ, ბელორუს, პოლონელ, ჩეხ, სლოვაკ, ბულგარელ, სერბ და სხვა ეთნოსებად; შვედი, ნორვეგიელი, დანიელი, ჰოლანდიელი, გერმანელი ეთნოსების წარმოქმნა ძველი გერმანელებისგან ანდა არაბებისგან – ეგვიპტელი, სირიელი, ლიბანელი, ერაყელი, იემენელი, ტუნისელი, ალჟირელი, მაროკოელი და სხვა არაბული ეთნოსების ჩამოყალიბება. ეთნიკური პარციაციაა იმ დაპირისპირების ძირითადი მიზეზი, რომელსაც ბოსნიაში ჰქონდა ადგილი. XV საუკუნემდე ბოსნიის მოსახლეობა ენობრივადაც (სერბოხორვატული) და რელიგიურადაც (მართლმადიდებლობა) ერთგვაროვანი იყო. ოსმალების მიერ ბოსნიის დაპყრობისა და ხუთსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად, ეთნორელიგიური სიტუაცია შეიცვალა. მოსახლეობის ნაწილმა ისლამი მიიღო, ნაწილი კი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდა. რელიგიის ცვლილებამ გამოიწვია ეთნიკური თვითშეგნების ცვლილებაც. მართლმადიდებელმა ბოსნიელებმა თვითიდენტეფიკაცია მოახდინეს სერბებთან, კათოლიკეებმა – ხორვატებთან, ხოლო მუსლიმები ახალ ეთნიკურ ერთობად – ბოსნიელებად ჩამოყალიბდნენ. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ბოსნიელმა მუსლიმებმა და ბოსნიელმა ხორვატებმა ბოსნიის დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი, ბოსნიელი სერბები კი სერბეთთან მიერთების ლოზუნგებით გა-

მოდიოდნენ. ეს წინააღმდეგობა უსასტიკესი სისხლიანი კონფლიქტის მიზეზი გახდა, რომელიც დღემდე გადაუწყვეტელია.

ეთნიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებული პრობლემები

ეთნიკური კონსოლიდაცია გულისხმობს გენეტიკურად მონათესავე ეთნოსების (ტომების, ხალხოვნებების) დაახლოებას და შერწყმას ერთ ეთნოსად (*ეთნოსთაშორისი კონსოლიდაცია)* ან უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსის შიგნით არსებული სუბეთნიკური ერთობების თუ ეთნოგრაფიული ჯგუფების მუდმივ დაახლოებას და მათ შორის განსხვავებების მინიმუმამდე დაყვანის პროცესს (*ჰომოგენიზაცია).* პირველი მათგანი ეთნოტრანსფორმაციული პროცესია, მეორე კი – ეთნოევოლუციური. ეთნიკური კონსოლიდაცია, როგორც წესი, უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, რადგან უკვე ჩამოყალიბებულია ერთიანი ეთნიკური თვითშეგნება და კონსოლიდაციაც ნებაყოფლობით ხდება: მაგალითად, პრობლემები არ შექმნილა პროვანსელი, ბურგუნდიელი, გასკონიელი თუ ნორმანდიელი ეთნოსების ერთიან ფრანგ ეთნოსად კონსოლიდაციის პროცესში. ერთიანი ქართული ეთნოსის წარმოქმნა ასევე ქართების, ზანების და სვანების ნებაყოფლობითი კონსოლიდაციის შედეგია. იგივე შეიძლება ითქვას გერმანული ეთნოსის ფორმირებაზე ბავარიელების, საქსონიელების, ტიურინგიელების და სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების ბაზაზე. მაგრამ, თუ კონსოლიდაცია იძულებითია, მაშინ შეიძლება სერიოზული პრობლემები წარმოიქმნას: კერძოდ, კატალონიური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა რეაქციად მათ ძალდატანებით „ისპანიზაციაზე“.

ეთნიკური ასიმილაცია არის პროცესი, როდესაც ესა თუ ის ეთნოსი (ან მისი ნაწილი), ამა თუ იმ ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გამო, კარგავს ეთნიკურ თავისებურებას და მთლიანად ერწყმის სხვა, უფრო მრავალრიცხოვან, განსხვავებული ენის და კულტურის ეთნოსს. ასეთ შემთხვევაში ასიმილირებული ეთნოსისათვის ეს პროცესი ეთნოტრანსფორმაციულია, მაასიმილირებელი ეთნოსისთვის კი – ევოლუციის მხოლოდ ერთი კომპონენტი.

განარჩევენ ბუნებრივ ანუ ნებაყოფლობით ასიმილაციას და იძულებით ანუ ძალდატანებით ასიმილაციას. ბუნებრივი ასიმილაციის შემთხვევაში მცირერიცხოვანი ეთნოსი, რომელიც სხვა, გაცილებით განვითარებულ და მრავალრიცხოვან ეთნოსთან ერთად ცხოვრობს ერთ მიწა-წყალზე დიდი ხნის განმავლობაში (მით უფრო, თუ ეს ამ უკანასკნელის სახელმწიფოა), თანდათანობით ითვისებს ამ ეთნოსის ენას, კულტურას, ტრადიციებს და ბოლოს ერწყმის მას. რაც შეეხება

ძალდატანებით ასიმილაციას, ეს პროცესი ხშირ შემთხვევაში მაასიმილირებელი სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის შედეგია, რაც გამოიხატება მცირერიცხოვანი ეთნოსების ენის, რელიგიის, კულტურის დევნით, მათი ძალდატანებით შეცვლით და ა. შ. იძულებითი ასიმილაციის მცდელობამ შექმნა ქურთების პრობლემა თურქეთში, ბასკების პრობლემა – ესპანეთში და სხვ.

ეთნოსთშორისი ინტეგრაციის ცნებად მოიაზრებოდა განსაზღვრული კულტურული და პოლიტიკური ერთობა, რომელიც ყალიბდება მრავალეროვნულ ქვეყნებში და გამოიხატება სხვადასხვა ეთნოსის კულტურების დაახლოებით; ეთნიკური თავისებურებები (და, პირველ ყოვლისა, ეთნიკური თვითშეგნება) შენარჩუნებულია, მაგრამ ფორმირდება რაღაც საერთო მეტაეთნიკური (მეტაეთნოპოლიტიკური) ერთობია. სწორედ ასეთი ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის კლასიკურ მაგალითად მოჰყავდათ „ახალი ისტორიული ერთობა „საბჭოთა ხალხი“, რომელიც, მართალია, საბჭოთა ერად ან საბჭოთა ეთნოსად არ განიხილებოდა, მაგრამ ოფიციალური იდეოლოგია მას მიიჩნევდა (ფარულად მაინც) მოსამზადებელ სტადიად *ერთიანი საბჭოთა ერის* შექმნის გზაზე.

დღეს ზოგი მკვლევარი საერთოდ უარყოფს ეთნოსთშორის ინტეგრაციას, როგორც ეთნიკური პროცესის სახეობას, და მიიჩნევს მას ყალბ ცნებად, რომელიც საბჭოთა პროპაგანდამ შექმნა. თუმცა, უმრავლესობის აზრით, მსოფლიოს ბევრ მრავალეროვან ქვეყანაში ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის პროცესის რეალობა დავას არ იწვევს: კერძოდ, შვეიცარიელთა საერთო შვეიცარიული თვითშეგნების დონე, მიუხედავად იმისა, ქვეყნის ოთხი მკვიდრი ეთნოსიდან რომელს მიეკუთვნებიან, უაღრესად მაღალია, რაც ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის (და, შესაბამისად, ცალკეული ეთნიკური კულტურის დაახლოების) ნათელი მაგალითია. გარკვეულწილად, იგივე პროცესი ჩანს ისეთ ზეეთნიკურ ერთობებშიც, როგორებიცაა ინდონეზიელები, ფილიპინელები, ინდოელები, პაკისტანელები, და კიდევ – ზოგ აზიურ თუ აფრიკულ ქვეყანასა და ხალხში. სხვა ეთნოგამაერთიანებელ პროცესებისაგან განსხვავებით, ეთნოსთშორისი ინტეგრაცია ეთნოევოლუციური პროცესია და არა – ეთნოტრანსფორმაციული.

ეთნიკურ მიქსაციად იწოდება პროცესი, რომლის დროსაც სხვადასხვა არამონათესავე ეთნოსის ურთიერთშერწყმის საფუძველზე ყალიბდება ახალი, განსხვავებული ეთნოსი. ამით იგი განსხვავდება ეთნოგენეტიკური კონსოლიდაციისაგან (როცა ეთნოსი წარმოიქმნება მონათესავე ეთნოსის, სუბეთნოსის, ეთნოგრაფიული ჯგუფის დაახლოებისა და შერწყმის შედეგად) და ეთნიკური ასიმილაციისაგან (როცა ახალი ეთნოსი კი არ წარმოიშვება, არამედ ერთი ეთნოსი „შთანთქავს“ სხვა

მცირე ეთნიკურ ჯგუფს). ეთნიკური მიქსაციის მაგალითია ამერიკელი ერი, ბრაზილიელები, მექსიკელები და სხვ. უფრო შორეულ წარსულში ეთნოგენეტიკური მიქსაციის (კელტებისა, გერმანელების და ფრანგების შერწყმის) შედეგად წარმოიშვა ინგლისური ეთნოსი; იგივე შეიძლება ითქვას ფრანგების (კელტების, რომაელების, გერმანელების ურთიერთშერევა), სომხების (კავკასიელების და ინდოევროპელების) აზერბაიჯანელების (კავკასიელი ალბანელების და თურქული ტომების შერწყმა) და კიდევ ბევრი სხვა ეთნოსის წარმოშობაზე. ეთნოგენეტიკური მიქსაციის წყაროდ შეიძლება მიგრაციები და პოლიტიკური დაპყრობები მივიჩნიოთ, თუმცა შესაძლებელია გარკვეულ პირობებში ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია გადაიზარდოს ეთნიკურ მიქსაციად. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ზეეთნიკური პოლიტიკური ერთობა (მაგ., შვეიცარიელები, ინდოელები, ინდონეზიელები) ერთ, ახალ ეთნოსად ჩამოყალიბდება. მსოფლიოს ეთნიკურ ისტორიაში ამის მაგალითებიც არსებობს.

13.1.3. ეთნიკური პროცესების სტადიები

ეთნიკური პროცესები ისევე, როგორც ნებისმიერი პროცესი, დროის გარკვეულ პერიოდში მიმდინარეობს და რამდენიმე სტადიას გაივლის.

პირველ სტადიას უწოდებენ **„აკომოდაციის“** ანუ **„ადაპტაციის“** სტადიას. ეს არის ე.წ. „საწყისი შეხება“, რაც ნიშნავს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის შეგუებას ახალ უცხო ეთნიკურ გარემოსთან. ეს სტადია ხასიათდება მეორე ენის შეთვისებით და ქცევის ახალი ნორმების ჩამოყალიბებით, მაგრამ ჯერ არ ეხება ეთნიკურ თვითშეგნებას და კულტურისა და ყოფის ძირითად საფუძვლებს, ანუ უცხო გარემოში მოხვედრილი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ითვისებენ ძირითადი ეთნოსის ენას და მისი კულტურის ელემენტებს, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ ეთნიკურ თვითშეგნებას.

შემდგომი ეტაპი ცნობილია **„აკულტურაციის“** სახელწოდებით. ეს ტერმინი გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც გარკვეული კულტურული ბაზისის მქონე ეთნიკური ჯგუფი, შედის რა ხანგრძლივ და უშუალო კონტაქტში სხვა, უფრო დიდ ეთნოსთან, თანდათან იცვლის პირველად კულტურულ მოდელს, ე. ი. განიცდის კულტურულ ასიმილაციას, რაც ფსიქიკის ელემენტების შეცვლასთან არის დაკავშირებული. ასეთ დროს იმიგრანტი თავს თვლის ახალი ქვეყნის (სადაც გადასახლდა) მოქალაქედ, ლაპარაკობს ამ ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ენაზე და, როგორც წესი, შენარჩუნებული აქვს წინაპართა ენაც (ორენოვნება ანუ *ბილინგვიზმი*). იგი, თავისი ქცევითა და ცხოვრების სტილით, ნაკლებად

განსხვავდება ამ ქვეყნის მოქალაქეებისაგან. ამერიკაში, გამოდიან რა აშშ-ის სინამდვილეიდან, ამჯობინებენ ტერმინ „ინტეგრაციას“, რადგან მიიჩნევენ, რომ ამერიკელების გარკვეულ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ისტორიული სამშობლოსთვის დამახასიათებელი კულტურული და ფსიქოლოგიური თავისებურებები, ხშირ შემთხვევაში ენაც და, იმავდროულად, ამერიკელი ერის განუყოფელი ნაწილიცაა.

მესამე სტადიაზე ხდება სრული ენობრივი და კულტურული ასიმილაცია. ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ივიწყებენ წინაპართა ენას და მთლიანად გადადიან ძირითადი ეთნოსის ენაზე, აღარ განსხვავდებიან მათგან კულტურითა და ფასეულობების სისტემით. ეს სრული ეთნიკური ასიმილაციაა, რომლის გამოხატულებაც **ეთნიკური თვითშეგნების ცვლილებაა.**

აღნიშნული პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს და მრავალ პრობლემას ქმნის (განსაკუთრებით, პირველ სტადიაზე). უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრილ ჯგუფებს უჭირთ ადაპტაცია და ძნელად ეგუებიან ახალ სიტუაციას. სერიოზული პრობლემები შეიქმნა თანამედროვე ეპოქაში. გლობალიზაციამ გამოიწვია მიგრაციის დიდი ნაკადები განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებში. განსხვავებული ენის, რელიგიის, კულტურისა და ფასეულობათა სისტემის გამო, დაპირისპირება მკვიდრ მოსახლეობასა და იმიგრანტებს შორის სერიოზულ მასშტაბებს აღწევს, წარმოშობს ქსენოფობიას და ამწვავებს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, კრიმინალურ და პოლიტიკურ პრობლემებს. ცალკეულ შემთხვევებში ეთნიკური წინააღმდეგობები შეიძლება ეთნიკურ კრიზისად და კონფლიქტად იქცეს, რაც თანამედროვეობის გლობალური პრობლემაა.

13.2. ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი სერიოზული გლობალური პრობლემა გახდა ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები, რომელმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა. მათი დიდი ნაწილი შიდა კონფლიქტებიდან ინტერნაციონალურ კონფლიქტებად გარდაიქმნა და გლობალური ხასიათი მიიღო.

მას შემდეგ, რაც „ცივი ომი“ დამთავრდა და მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე საგრძნობლად შემცირდა, დესტაბილიზაციის ერთერთ მთავარ ფაქტორად შიდა კონფლიქტები იქცა, ამ კონფლიქტების უმრავლესობა კი, გარეგნული ფორმით, ეთნოკონფლიქტად წარმოგვიდგება, თუმცა, შინაარსით, როგორც წესი, პოლიტიკური კონფლიქტია.

13.2.1. ეთნიკური კონფლიქტის მიზეზები

ეთნიკური კონფლიქტის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებაა. ეს დაპირისპირება შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-რელიგიური ხასიათის, მაგრამ კონფლიქტი, ძირითადად, პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველზე წარმოიშობა ხოლმე. თავის მხრივ, ეთნოპოლიტიკური დაპირისპირება უამრავმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს.

ეთნიკური კონფლიქტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ეთნიკური უმრავლესობისა და ეთნიკური უმცირესობის ურთიერთწინააღმდეგობა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ეთნიკური უმცირესობა იბრძვის თავის უფლებებისთვის, ხოლო ეთნიკური უმრავლესობა (და, შესაბამისად, სახელმწიფო) ეწინააღმდეგება მათთვის ამ უფლებების მინიჭებას. ეთნიკური უმცირესობის მოთხოვნები შეიძლება იყოს **კულტურული** (მშობლიურ ენაზე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის, ტელე და რადიო გადაცემების, თეატრის, მუზეუმების, ფოლკლორული ანსამბლების დაარსების, აგრეთვე – ეროვნული სკოლებში სწავლის უფლება); **ეკონომიკური** (სხვადასხვა საგადასახადო შეღავათი, მეურნეობის ცალკეული დარგის განვითარებაში სახელმწიფოს ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.); **პოლიტიკური** (ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა, ეთნიკური ნიშნით კვოტების დაწესება მთავრობასა და პარლამენტში, ეროვნული პოლიტიკური პარტიების დაარსება და ზოგჯერ – ირედენტისტული და სეპარატისტულ-სეცესიონისტური მოთხოვნები). სწორედ პოლიტიკური მოთხოვნები იწვევს უმრავლესობის დიდ წინააღმდეგობას და კონფლიქტის მიზეზი ხდება.

ეთნიკურ უმცირესობებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: იმიგრანტთა შთამომავლები და მკვიდრი, ავტოქტონური მოსახლეობა. პირველ მათგანად იგულისხმება ის ეთნიკური უმცირესობა, რომელსაც აქვს ისტორიული სამშობლო (ხშირ შემთხვევაში – სახელმწიფოც) და მოცემულ ქვეყანაში იმიგრაციის შედეგად მოხვდა (მაგ., რუსები – საქართველოში, თურქები – გერმანიაში ან მაროკოელები – საფრანგეთში). ასეთ ეთნიკურ უმცირესობებს, ძირითადად, კულტურული მოთხოვნები აქვთ, რომლებიც მათი ეთნიკური იდენტურობის შენარჩუნებას მიემართება და პოლიტიკურ (მით უფრო, სეპარატისტულ და სეცესიონისტურ) მოთხოვნებს არ აყენებენ. თუმცა ზოგჯერ ასეთი შემთხვევებიც გვხვდება.

ეთნიკური უმცირესობების მეორე ჯგუფია ავტოქტონური, მკვიდრი მცირერიცხოვანი ხალხები, რომლებიც კომპაქტურად არიან განსახლე-

ბული თავიანთ ტერიტორიაზე და სხვა სამშობლო არ გააჩნიათ (აფხაზები – საქართველოში, ბასკები – ესპანეთში, ქურთები – თურქეთში, ბრეტონელები – საფრანგეთში და ა.შ.). სულ ასეთი ეთნიკური უმცირესობების საერთო რაოდენობა 300 მილიონ კაცს აღემატება, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 5 %-ზე მეტია (სპეციალურ ლიტერატურაში მათ ***მეოთხე სამყაროს*** სახელწოდებით იცნობენ). ამ კატეგორიის უმცირესობები პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ, რაც სახელმწიფოს წინააღმდეგობას აწყდება და ხშირად შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზია.

მთავარი წინააღმდეგობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან შეუთავსებლობაა: ხალხთა სუვერენული თანასწორობისა და თვითგამორკვევის უფლების პრინციპის მიხედვით, ყველა ხალხს, მიუხედავად მისი რიცხოვნობისა და ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობისა, აქვს უფლება, თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი და პოლიტიკური სტატუსი, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპების მიხედვით კი, სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს სურვილით, ხოლო მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია ისე, რომ არ დაირღვეს იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, რომლის შემადგენლობაშიც ეს ეთნიკური უმცირესობა შედის. ბუნებრივია ტერიტორიის დათმობას და იქ ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას არც ერთი არსებული სახელმწიფო არ დათანხმდება. სწორედ ეს წინააღმდეგობა იწვევს შეიარაღებულ დაპირისპირებას და კონფლიქტს სახელმწიფოს და მის ეთნიკურ უმცირესობებს შორის.

როცა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის პრინციპად აღიარეს, ძირითადი აქცენტი დასვეს კოლონიებსა და დაპყრობილ ხალხებზე. აზიისა და აფრიკის ხალხების კოლონიალიზმისაგან განთავისუფლება და სუვერენიტეტის მოპოვება არ არღვევდა მეტროპოლიების (რომლებიც თავიანთი კოლონიებიდან ათასობით კილომეტრით იყვნენ დაშორებული) ტერიტორიულ მთლიანობას და წინააღმდეგობაც ნაკლები იყო. ამჟამად სუვერენიტეტზე პრეტენზიას გამოთქვანენ ისეთი ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ტერიტორიულად სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტის ალბათობა იზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობები არასოდეს მიიჩნევენ თავს სეპარატისტებად და თვლიან, რომ მათი მოქმედება ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლაა. სინამდვილეში სეპარატიზმსა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას შორის დიდი სხვაობაა.

ეს უკანასკნელი გულისხმობს დაპყრობილი, კოლონიზებული ან ანექსირებული ხალხის (რომელიც განიცდის ეროვნულ ჩაგვრას და საფრთხეშია მისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება) ბრძოლას თავისუფლებისათვის, სეპარატიზმი კი, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ერთიანობის რღვევისკენ მიმართული ქმედებაა, რომელიც უმეტესად გარედანაა ინსპირირებული. ცხადია, უაზრობა იქნება, მსოფლიოს ყველა ეთნოსმა თავისი სახელმწიფო მოითხოვოს. ასეთ შემთხვევაში მსოფლიოში 5 ათასზე მეტი სახელმწიფო უნდა იყოს, რაც სრულ ქაოსს და ანარქიას გამოიწვევს. ერთადერთი გამოსავალი არსებულ სახელმწიფოთა შიგნით ეთნიკური უმცირესობების ფართო ავტონომია და მათი უფლებების მაქსიმალური დაცვაა.

13.2.2. ეთნიკური კონფლიქტების გეოგრაფიული სურათი

ეთნიკური დაპირისპირების მიზეზები და ხასიათი საგრძნობლად განსხვავდება მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედვით. ეს ისტორიული განვითარების თავისებურებებისა და განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-რელიგიური ფაქტორებით აიხსნება.

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში არც ერთი შეიარაღებული ეთნიკური კონფლიქტი არ მომხდარა, მაგრამ რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს საშუალო რისკის პირობებში მყოფად მიიჩნევენ. მათ შორის, აღსანიშნავია ბასკები და კატალონიელები ესპანეთში, ჩრდილოეთ ირლანდიელები – დიდ ბრიტანეთში, კვებეკელები – კანადაში, ვალონები და ფლამანდიელები – ბელგიაში. ყველა ამ შემთხვევაში კულტურული და პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნები მთლიანად დაკმაყოფილებულია, მაგრამ ადგილობრივ ნაციონალისტთა მოთხოვნა სრული დამოუკიდებლობაა, რაც, ბუნებრივია, აბსოლუტურად მიუღებელია სახელმწიფოსათვის. თუმცა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად რადიკალური მოთხოვნები მოსახლეობის მხარაჭერით ნაკლებად სარგებლობს და, ძირითადად, ექსტრემისტულ ჯგუფებთან ასოცირდება (მაგ., ორგანიზაცია „ეტა“ ბასკეთში).

ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და პოსტსაბჭოთა სივრცე, ეთნოკონფლიქტების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონია. კომუნისტური რეჟიმი ასე თუ ისე ახერხებდა შეეკავებინა ეთნიკური წინააღმდეგობები, მაგრამ სოციალისტური სისტემის რღვევის შემდეგ აქ განსაკუთრებული სისასტიკით იფეთქა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ (მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, „სამხრეთი ოსეთი“,

დნესტრისპირეთი, ჩეჩნეთი, ბოსნია, კოსოვო), რასაც უამრავი მსხვერპლი და მილიონობით ლტოლვილი მოჰყვა. ამ რეგიონში რვა ეთნიკური ჯგუფი – მაღალი, ხოლო შვიდი საშუალო რისკის მდგომარეობაშია.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ მიანმის (ბირმის) ეთნიკური უმცირესობები – კარენები, მინები, შანები. მაღალი რისკის პირობებშია აჩე ინდონეზიაში, მორო – ფილიპინებზე, უიღურები და ტიბეტელები – ჩინეთში, გაოშანები – ტაივანზე. კიდევ 12 ეთნიკური ჯგუფის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს საშუალო რისკის დონეზე.

სამხრეთ აზიაში 11 ეთნიკური ჯგუფი საომარ მოქმედებაშია, 6 – მაღალი, ხოლო 13 საშუალო რისკის პირობებშია. განსაკუთრებით დაძაბულ ვითარებაში უწევთ ყოფნა ხაზარელებს, ტაჯიკებსა და უზბეკებს ავღანეთში; ქაშმირელებს, ნაგას, მიზოსა და ტრიპურელებს – ინდოეთში; თამილებს – შრი-ლანკაში.

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ომისა და მაღალი რისკის პირობებში იმყოფება 13 ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქურთები თურქეთსა და ერაყში, შიიტები – ერაყსა და ლიბანში, პალესტინელები – ღაზის სექტორში და სხვ.

ტროპიკულ აფრიკაში ეთნიკური და ტომობრივი კონფლიქტები ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ 12 ეთნიკური ჯგუფი ომშია ჩაბმული, 13 იმყოფება მაღალი, 8 კი – საშუალო რისკის პირობებში. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჰუტუ ბურუნდიში, ტუტსი – კონგოში, ოგანი და იორუბა – ნიგერიაში, აფარები – ეთიოპიაში და ა.შ.

ლათინურ ამერიკაში ეთნიკურ ომს არც ერთი ჯგუფი არ აწარმოებს. საშუალო რისკის პირობებშია 11 ეთნიკური ჯგუფი. მათგან აღსანიშნავია მისკიტო ნიკარაგუაში და მაია – მექსიკაში.

13.2. 3. კავკასიის ეთნოკონფლიქტები

კავკასია ეთნიკურად და რელიგიურად ერთ-ერთი რთული რეგიონია მსოფლიოში. ტერიტორიული დავა ეთნოსებს შორის და ურთიერთპრეტენზიები დაძაბულობის და დაპირისპირების ძირითადი ფაქტორია, რამაც არაერთხელ გამოიწვია შეიარაღებული კონფლიქტი. მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და საერთაშორისო პრობლემად იქცა.

ჩრდილოეთ კავკასიაში განსაკუთრებით მასშტაბური იყო *ჩეჩნეთის* კონფლიქტი. ჩეჩნეთის შეერთება რუსეთმა მხოლოდ კავკასიის ოცდაათწლიანი ომისა და შამილის დამარცხების შემდეგ, 1859 წელს

შეძლო. მაგრამ სრული დამორჩილება მაინც ვერ მოახერხა. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა და მოსახლეობის ნაწილის თურქეთში დეპორტაციისა, ჩეჩნები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსულ მმართველობას. წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა საბჭოთა პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეჩნები ღალატში დაადანაშაულეს და მთელი მოსახლეობა ყაზახეთსა და შუა აზიაში გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 13 წლის შემდეგ დააბრუნეს. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც რუსეთის უსასტიკესი სამხედრო ოპერაცია მოყვა. ორწლიანი წარუმატებელი ომის შემდეგ რუსეთი იძულებული გახდა შეგუებოდა ჩეჩნეთის ფართო ავტონომიას რუსეთის შემადგენლობაში. მაგრამ ჩეჩნეთი, ფაქტობრივად, ისლამურ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა და შარიათის კანონებით ცხოვრობდა. ჩეჩნეთის ხელისუფლების რადიკალური ფრთა ცდილობდა დაღესტანის მიერთებას და ერთიანი ჩრდილოკავკასიური ისლამური სახელმწიფოს შექმნას, რისთვისაც შეიჭრნენ კიდეც დაღესტნის ტერიტორიაზე. ამას თან დაერთო ტერორისტული აქტებიც რუსეთის ქალაქებში. ყოველივე ამის საპასუხოდ, რუსეთმა მეორე ომი დაიწყო ჩეჩნეთის დასამორჩილებლად, რაც საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა და, საბოლოოდ, რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ახლა ჩეჩნეთს რუსეთის მორჩილი ხელისუფლება მართავს, ძველი ხელისუფლების მომხრეები კი პარტიზანულ მოქმედებებზე გადავიდნენ. კონფლიქტი გაყინულია, მაგრამ არა – გადაჭრილი. მის სრულ მოგვარებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

კონფლიქტური ვითარებაა *ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთს* შორის. ინგუშები მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეჩნებთან ერთად გადაასახლეს. როცა ისინი სამშობლოში დააბრუნეს, მათი ტერიტორიის ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში დატოვეს და ინგუშებს აღარ დაუბრუნეს. ამან დაძაბა ურთიერთობა ოსებსა და ინგუშებს შორის. 90-იანი წლების დასაწყისში ინგუშების მიერ ტერიტორიის დაბრუნების მოთხოვნას მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი, რის შედეგადაც სადავო ტერიტორიაზე მცხოვრები ინგუშები განდევნეს. ამჟამად ისინი ინგუშეთს აფარებენ თავს, მაგრამ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარს არ ამბობენ, რაც საგრძნობლად ართულებს კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებს.

საკმაოდ რთული ვითარებაა *ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილშიც*. რესპუბლიკებს შორის საზღვარი ისეა გავლებული, რომ ერთი და იგივე ხალხი – სხვადასხვა რესპუბლიკაში, ხოლო სხვადასხვა ხალხი ერთ რესპუბლიკაში გააერთიანეს. ყაბარდოელები და ჩერქეზები ერთ ენაზე ლაპარაკობენ და საერთო კულტურა აქვთ; ასევე, ფაქტობ-

რივად, ერთი ხალხია ბალყარელები და ყარაჩაელები, რესპუბლიკები კი ყაბარდო-ბალყარეთი და ყარაჩაი-ჩერქეზეთია, რაც უკვე თავისთავად დაპირისპირების საფრთხეს ქმნის. ამის პრეცედენტი უკვე იყო და, არ არის გამორიცხული, მომავალშიც განმეორდეს.

სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტებს განსხვავებული ფორმა აქვს, რადგან აქ განსაკუთრებულად დიდია გარე ფაქტორების როლი.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, ფაქტობრივად, ტერიტორიული დავა იყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. სომხეთი რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების სომხური დიასპორის ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდა, აზერბაიჯანს კი თურქეთი უმაგრებდა ზურგს. აზერბაიჯანი მიიჩნევდა, რომ მთიანი ყარაბაღი მისი ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია, სადაც სომხური მოსახლეობა, როგორც ეთნიკური უმცირესობა, ავტონომიითღა უნდა დაკმაყოფილებულიყო, სომხეთის აზრით კი, ეს ძველი სომხური პროვინცია არცახია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკანონოდ შეიყვანეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში; ამდენად, მის მოსახლეობას თვითგამორკვევის სრული უფლება აქვს. 1992-1994 წლების ომის შედეგად, სომხეთი, რუსეთის აქტიური მხარდაჭერით, დაეუფლა არა მხოლოდ მთიან ყარაბაღს, არამედ – მის გარშემო მდებარე შვიდ აზერბაიჯანულ ადმინისტრაციულ რაიონსაც. მილიონამდე აზერბაიჯანელი დევნილად იქცა. 25 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა მოლაპარაკებები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომელშიც რუსეთი, აშშ, საფრანგეთი და თურქეთი მონაწილეობდნენ, მაგრამ პროგრესს ვერ მიაღწიეს. 2020 წელს აზერბაიჯანმა, თურქეთის მხარდაჭერით, დაიწყო საომარი მოქმედებები და თვენახევრიანი ბრძოლების შემდეგ დაეუფლა ზემოთ ნახსენებ შვიდ რაიონს, ხოლო 2023 წელს, ისარგებლა რა იმით, რომ სომხეთის მოკავშირე რუსეთი უკრაინასთან ომში ჩაება და ქმედით დახმარებას ვერ გაუწევდა სომხეთს, განაახლა საომარი მოქმედებები და მოკლე ხანში დაეუფლა მთელ მთიან ყარაბაღს. ყარაბაღის თითქმის მთელი სომხური მოსახლეობა სომხეთში გადავიდა, ხოლო თვითგამოცხადებულმა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. აზერბაიჯანმა შეიარაღებული გზით აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა, რაც იშვიათი შემთხვევაა კონფლიქტების ისტორიაში.

კონფლიქტი *აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში,* ფაქტობრივად, საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტია. ეს ორად ორი ავტონომიური ერთეული იყო საბჭოთა კავშირის ავტონომიებს შორის, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში არ შედიოდა, მაგრამ რუსეთს უშუალოდ ესაზღვრებოდა. ამდენად, მათ საქართველოზე ზეწოლის ფუნქცია ჰქონდათ და შენელებული მოქმედების ბომბის როლს ასრულებდნენ.

50-იანი წლებიდან აფხაზურ და ოსურ სკოლებში არც ქართული ენა და არც საქართველოს ისტორია და გეოგრაფია არ ისწავლებოდა. მოსახლეობა გაუუცხოვდა ქართულ კულტურას და განხორციელდა რუსიფიკაცია. ოფიციალური პროპაგანდის წყალობით, აფხაზურ მოსახლეობაში დამკვიდრდა რწმენა, რომ აფხაზეთი და საქართველო სხვადასხვა ქვეყანაა და აფხაზეთი უკანონოდ არის შეყვანილი საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზ ხალხს ქართველები ჩაგრავენ და მიმდინარეობს აფხაზეთის ძალდატანებითი გაქართველება. ოს მოსახლეობაში კი ჩამოყალიბდა აზრი, რომ ოსები საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებული ხალხი კი არა, არამედ მკვიდრი მოსახლეობაა, ხოლო ოსეთი ხელოვნურად არის გაყოფილი ორ ნაწილად და გაერთიანების სურვილი სრულიად ბუნებრივია.

როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთმა ყველანაირად შეუწყო ხელი აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს, რათა მაქსიმალურად დაესუსტებინა საქართველო და თავის მარიონეტად ექცია. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, რომელშიც რუსეთის ოფიციალური სამხედრო სტრუქტურები და „ბოევიკები“ მონაწილეობდნენ, საქართველომ დაკარგა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დიდი ნაწილი, ხოლო სამასი ათასი კაცი დევნილად იქცა. მიუხედავად ამისა, საქართველოს არ შეუცვლია თავისი პოლიტიკური მიზანი, გამხდარიყო ნატოს წევრი და მაქსიმალურად დაახლოებოდა ევროსტრუქტურებს. ამან იმდენად გააბოროტა რუსეთი, რომ, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რითაც თავი გამოიაშკარავა, როგორც კონფლიქტის მხარემ.

მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც რეალური გახდა საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ვერ შეძლო რა ამ კურსიდან საქართველოს გადაცდენა, რუსეთი გადავიდა აშკარა აგრესიაზე, და 2008 წლის აგვისტოში დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი საქართველოს წინააღმდეგ, შემოიჭრა ცხინვალის რეგიონში, დაიკავა გორი და მიუახლოვდა თბილისს. ხუთდღიანი ომის შემდეგ, აშშ-ისა და ევროპის სახელმწიფოების ძალისხმევით, რუსეთის აგრესია შეჩერდა. რუსეთმა მაშინ ვერ შეძლო თავისი მიზნის მიღწევა, ვერ დასვა საქართველოში მისი მორჩილი მთავრობა, რომელიც საქართველოს დასავლურ ორიენტაციას რუსეთისაკენ შეაბრუნებდა, მაგრამ იმით იძია შური, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ცნო, რაც, ფაქტობრივად, მათი ანექსიის ტოლფასია. ამით რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი ჩიხში შეიყვანა და მისი გადაჭრა გაურკვეველი ვადით გააჭიანურა.

13.3. რასიზმი, როგორც პრობლემა

13.3.1. რასიზმი და მისი სახეები

დედამიწის მოსახლეობის რასობრივი მრავალფეროვნება გარკვეულ პრობლემებს ქმნის და ზოგჯერ დაპირისპირებისა და კონფლიქტის მიზეზი ხდება. ამ დაპირისპირების ძირითადი იდეოლოგიური საფუძველი **რასიზმია**. რასიზმის მიხედვით, რასებს შორის განსხვავება არა მარტო გარეგნული ნიშნით მჟღავნდება, არამედ გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობებითაც. აქედან გამომდინარე, კაცობრიობა იყოფა მაღალ და დაბალ რასებად. ყველა მიღწევა და პროგრესი ისტორიაში მაღალი რასის დამსახურებაა, და ეს მისი ჰეგემონობის საფუძველია. დაბალი რასები კი მხოლოდ ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად არიან გაჩენილი და უნდა დაემორჩილონ მაღალ რასას.

რასიზმის თეორიაში განარჩევენ ორ მთავარ მიმართულებას: **ბიოლოგისტურს** და **ფსიქოლოგისტურს.**

ბიოლოგისტური მიმართულება ამტკიცებს, რომ ადამიანთა გარეგნული ნიშნით ურთიერთგანსხვავება განსაზღვრავს გონებრივ შესაძლებლობათა ურთიერთგანსხვავებასაც: კერძოდ, თავის ქალის ფორმა, ტვინის წონა, სისხლის სპეციფიკა და სხვა ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პარამეტრი (რითაც რასები ერთმანეთისგან განსხვავდებიან) ის ბუნებრივი საფუძველია, რაც განაპირობებს რასების ინტელექტუალურ დონისა და შესაძლებლობების ურთიერთგანსხვავებას.

ფსიქოლოგისტური მიმართულების მიხედვით, თითოეულ რასას აქვს თავისი სპეციფიკური რასობრივი სული, რომელიც თანდაყოლილი რასობრივი ინსტინქტების საფუძველზე ყალიბდება და განსაზღვრავს რასაში შემავალი ხალხების ისტორიულ ბედს. ფსიქორასიზმი რასიზმის უფრო შეფარული და რბილი ფორმაა და, ფაქტობრივად, ერთადერთ რასისტულ თეორიად დარჩა, რადგან ბიოლოგიურ რასიზმს დღეს აშკარად ცოტა ვინმე თუ უჭერს მხარს.

როდესაც რასიზმზეა ლაპარაკი, როგორც წესი, გულისხმობენ ე.წ. „თეთრ რასიზმს“, რომელიც თეთრი რასის უპირატესობას ქადაგებს და რასიზმის მთავარი სახეობა იყო (და არის) მსოფლიოში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რასიზმი მხოლოდ ევროპოიდების უპირატესობის დამამტკიცებელი მოძღვრება იყოს! აღმოსავლეთ აზიაში ჩამოყალიბდა **„პანაზიანიზმის“** რასისტული მოძღვრება, რომელიც ყვითელი რასის უპირატესობას უსვამს ხაზს: ამან საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში „თეთრი კოლონიზატორების“ წინააღმდეგ. აფრიკაში, დაახლოებით, იგივე როლი შეასრულა **„ნეგრიტიუდის“**

თეორიამ, რომელიც შავი რასის განსაკუთრებულ მისიას ქადაგებს და ამტკიცებს, რომ მომავალი სწორედ შავ რასას ეკუთვნის, როგორც ყველაზე ძლიერ, ჯანმრთელ და პროგრესულ ძალას.

რასიზმი საერთაშორისო დანაშაულად ითვლება და მას ოფიციალურად არც ერთი სახელმწიფო არ უჭერს მხარს. მაგრამ რასიზმის ცალკეული რეციდივი თითქმის ყოველდღიურად ვლინდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეთნორასობრივი პროცესები და პრობლემები განსხვავებული ფორმით მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში და იმაზეა დამოკიდებული, მოსახლეობას როგორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა რასათაშორისი ურთიერთობის მიმართ.

13.3.2. რასობრივი ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა

რასობრივად არაერთგვაროვანი და შერეული ეთნოსი ყალიბდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სხვადასხვა რასის წარმომადგენლები შერეულად არიან განსახლებული ერთ ტერიტორიაზე;

ბ) მათ შორის შერეული ქორწინების წილი მაღალია და დროთა განმავლობაში შერეული რასის წარმომადგენელთა რაოდენობა აჭარბებს რასობრივად „სუფთა“ ჯგუფებს;

გ) არც ერთი რასობრივი ჯგუფი არ ქადაგებს რასობრივი „სიწმინდის“ დაცვის იდეას და საზოგადოებრივი აზრი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს რასობრივ შერევას.

სამივე ეს პირობა სრულად იყო დაცული ბრაზილიაში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა რასობრივად შერეული ბრაზილიელი ეთნოსი. რასიზმი ამ ქვეყნისათვის უცნობია; რასობრივი კუთვნილება სოციალური ფაქტორების სიმწვავემ უკანა პლანზე გადაანაცვლა. მოსახლეობის 3/4 შერეული რასის წარმომადგენელია და რასობრივი მრავალფეროვნება ბრაზილიური ეთნიკური თვითშეგნების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

აშშ-ში, ბრაზილიისგან განსხვავებით, თეთრკანიანი მოსახლეობა რასობრივი განსაკუთრებულობის და უპირატესობის გრძნობას მკვეთრად ავლენდა და დიდხანს შენარჩუნდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკიდან შემოყვანილი შავკანიანების შთამომავლების მეორე თაობა სრულ ენობრივ-კულტურულ ასიმილაციას განიცდიდა (გარდა რამდენიმე ყოფითი დეტალისა), რასობრივი ***სეგრეგაციის*** გამო, დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა მათი სრული ინტეგრაცია ამერიკულ ეთნოსში. ბოლო დრომდე მათ ცალკე ეთნორასობრივ (სუბეთნიკურ) ჯგუფად მოიხსენიებდნენ. რასიზმისა და სეგრეგაციის პირობებში გან-

ხორციელდა შავკანიანი ამერიკელების კონსოლიდაცია ერთ ეთნო-კულტურულ ერთობად, აფროამერიკელებად, რომელთაც ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ, რათა თეთრკანიან ამერიკელებს პოლიტიკურა-დაც გათანაბრებოდნენ და სოციალურადაც. აფროამერიკელთა უფლე-ბების ცნობილი დამცველის, მარტინ ლუთერ კინგის (ის შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას) ხელმძღვანელობით, ეს ბრძოლა წარმატებით დასრულდა და რასიზმი აშშ-ში თითქმის აღმოიფხვრა (თუმცა ყოფით დონეზე მისი რეციდივები არც ისე იშვიათია). აფროამერიკელების ინტეგრაცია ერთიან ამერიკულ ეთნოსში აშკარა ფაქტია, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ბრაზილიური მოდელის რასობრივი კონსოლიდაცია აშშ-ის სინამ-დვილეში ნაკლებად მოსალოდნელია.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, აფროამერიკელებისაგან განსხვა-ვებით, ჰავაელების მიმართ რასობრივი „ქედმაღლობა“ არ გამოვლენილა. ჰავაის კუნძულებზე იმიგრირებული თეთრკანიანი ამერიკელები ინტენსი-ურად ქორწინდებოდნენ ჰავაელებზე, ხოლო შემდეგ – აქ მცხოვრებ იაპო-ნელებსა და ფილიპინელებზე. ამჟამად „წმინდა“ ჰავაელები, ფაქტობრივად, აღარ დარჩნენ: თითქმის მთლიანად შეერივნენ თეთრკანიან მოსახლეობას.

რასიზმი სახელმწიფო დონეზე ყველაზე მკაცრი ფორმით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში განხორციელდა. XIX საუკუნის მიწურულამდე თეთრკანიანები (ძირითადად, ბურები) ქორწინდებოდნენ მკვიდრ აფრი-კელებზე, ჰოტენტოტებზე, აზიიდან იმიგრირებულ ინდოელებსა და ჩი-ნელებზე, რის შედეგადაც მულატებისა და ე.წ. „ფერადების“ რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აიკრძალა ქორწინება არა მარტო თეთრკანიანებსა და სხვა ეთნორასობრივ ჯგუფებს შორის, არამედ – სხვა რასებს შორისაც. ქვეყანაში დამყარდა სასტიკი რასისტული რეჟიმი: მოსახლეობა რასობრივი ნიშნით რამდენიმე ჯგუფად დაიყო და განსხვავებული უფლებები და პრივილეგიები მიენიჭა: თეთრკანიანებს, აზიატებს, მულატებს, „ფერადებს“, შავკანიანებს, ჰოტენტოტებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩა-მოყალიბდა რასიზმის უფრო „დახვეწილი“ ფორმა – ***აპარტეიდი***. მთელი პოლიტიკური ძალაუფლება კონცენტრირდა თეთრკანიანი მოსახლეო-ბის ხელში. მკვეთრად შეზღუდული დარჩა აზიატებისა და „ფერადების“ უფლებები. მკვიდრი აფრიკელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ფაქტობ-რივად, იზოლაციაში მოაქციეს. ქვეყანაში შეიქმნა ე.წ. ბანტუსტანები (სულ – რვა), რომლებიც აპარტეიდულმა რეჟიმმა ცალკე სახელმწიფო-ებად გამოაცხადა და მათი „დამოუკიდებლობა“ ცნო. ცხადია, მსოფლიო საზოგადოებას ბანტუსტანები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ უღიარებია და ისინი ახალი ფორმის რეზერვაციებად მიიჩნია. ასეთი „დამოუკიდებლობა“ არც აფრიკული მოსახლეობისათვის აღმოჩნდა მისაღები და საკუთარი უფლებებისთვის უფრო ინტენსიური ფორმა

მიიღო. 80-იანი წლების მიწურულს, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლისა და აფრიკული მოსახლეობის ბრძოლის შედეგად, სამხრეთ აფრიკის ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ქვეყანაში გატარდა დემოკრატიული რეფორმები, გაუქმდა აპარტეიდის რეჟიმი, ჩატარდა საყოველთაო არჩევნები და აირჩიეს პირველი შავკანიანი პრეზიდენტი (აფრიკელთა სამოქალაქო უფლებების ცნობილი დამცველი, ნელსონ მანდელა). სამხრეთ აფრიკაში რასისტულ-აპარტეიდული რეჟიმის დამხობის შემდეგ სახელმწიფო და ოფიციალურ დონეზე რასიზმი მსოფლიოში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, მაგრამ იმიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაპირისპირების სახით თავს იჩენს ხოლმე განვითარებულ ქვეყნებში.

13.3.3. რასობრივი პრობლემები გლობალიზაციის ერაში

გლობალიზაციის პროცესმა ახალი პრობლემები წარმოაჩინა რასობრივ ურთიერთობებში; გამოვლინდა რასიზმის ახალი ფორმებიც. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ქსენოფობიის** პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

ზოგადად, ქსენოფობია ნებისმიერი უცხოს, მიგრანტის, ჩამოსულის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას გულისხმობს. ეს ეხება არა მარტო რასობრივად, არამედ ეთნიკურად, რელიგიურად და კულტურულად უცხო ადამიანს. მაგრამ, იმის გამო, რომ რასობრივი სხვაობა ყველაზე აშკარა და თვალში საცემია, ყველაზე ხშირად ქსენოფობიური გამოსვლები სწორედ რასობრივ ნიადაგს ეფუძნება.

მიგრაციები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ეთნორასობრივ პროცესებში, მაგრამ გასულ საუკუნეებში მიგრაციების ძირითადი მიმართულებები ახლად აღმოჩენილი ტერიტორიები იყო და სხვადასხვა რასობრივი და ეთნიკური ჯგუფიც იქ ერეოდა ერთმანეთს. გლობალიზაციის პროცესმა მიგრაციების მიმართულება რამდენადმე შეცვალა. ახლა მიგრანტთა ძირითადი ნაკადი განვითარებადი სამყაროდან ანუ გლობალური სამხრეთიდან განვითარებული ქვეყნებისკენ (გლობალური ჩრდილოეთი) მიემართება. ევროპა, რომელიც ემიგრაციის უდიდესი კერა იყო, ახლა იმიგრაციის მთავარი ცენტრი გახდა და მას, როგორც კეთილდღეობისა და სიმდიდრის რეგიონს, მასობრივად მიაწყდა სამხრეთის ღარიბი და მშიერი მოსახლეობა.

თავისთავად ცხადია, რომ იმიგრანტები ძნელად ეგუებიან ახალ სიტუაციას. ენობრივი ბარიერის გარდა, აქ თავს იჩენს ადგილობრივი მოსახლეობისაგან კულტურული, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი

განსხვავებულობა. ისინი ძნელად შოულობენ სამსახურს და უმუშევართა რიგებს ავსებენ. ასეთ შემთხვევაში მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კრიმინალი ხდება, რაც მათ მიმართ უარყოფით განწყობას ამძაფრებს. და როცა ეს კატეგორია რასობრივადაც განსხვავდება ძირითადი მოსახლეობისგან, მაშინ რასობრივი სიძულვილიც იფეთქებს ხოლმე.

რასობრივი ფაქტორის დიდ როლზე ნათლად მეტყველებს დიდი ბრიტანეთის მაგალითი. ის, რომ ინდოელი და პაკისტანელი მიგრანტების ასიმილაცია ბრიტანელ საზოგადოებაში ძნელდება, ადვილად აიხსნება მათი მკვეთრი რელიგიური და კულტურული განსხვავებით. მაგრამ იამაიკისა და კარიბის ზღვის სხვა კუნძულოვანი სახელმწიფოებიდან ჩამოსული მიგრანტების მშობლიური ენა ინგლისურია, რელიგიით ანგლიკანები არიან და სკოლაშიც ზუსტად იმ სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ, რომლებიც ბრიტანეთის სკოლებში გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში ისინი საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ, ადაპტაციის თვალსაზრისით, და ყოფით სირთულეებსაც შეეჯახნენ (მაგ., სამუშაოსა და ბინის შოვნა), ყოველივე ამის მიზეზი კი მათი რასობრივი განსხვავება იყო. ამის საპირისპიროდ, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასული მიგრანტებისთვის, რომლებსაც ინგლისური ენისა და კულტურის შეთვისება წლობის მანძილზე უხდებოდათ, რასობრივი პრობლემა არ წარმოქმნილა.

დაახლოებით, იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთის, ნიდერლანდების და ზოგი სხვა ქვეყნის მიმართაც. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ რასობრივი პრობლემები და რასობრივი აუტანლობა თვით მაღალგანვითარებული და სრულყოფილი დემოკრატიის ქვეყნებშიც კი სერიოზულ პრობლემად რჩება და გლობალიზაციის პირობებში ეს გამოწვევა მწვავდება კიდეც.

13.4. რელიგიური პრობლემები. რელიგიური ფუნდამენტალიზმი

13.4.1. რელიგიური პრობლემები და დაპირისპირებები

რასობრივ პრობლემებთან ერთად თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური პრობლემები, კერძოდ რელიგიური დაპირისპირებები და წინააღმდეგობები.

კაცობრიობის ისტორიამ რელიგიური ომების არაერთი მაგალითი იცის. შუა საუკუნეების ევროპაში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო (მაგ., ჯვაროსნული ომები ან რეფორმაცია). რელიგიურ საბურველში იყო გახვეული მრავალი დაპყრობითი ომიც. ცხადია, დღეს აშკარა რელიგიური ხასიათის კონფლიქტები იშვიათობაა, მაგრამ ის, რომ სხვადასხვა

პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის დაპირისპირება ზოგჯერ გარეგნულად რელიგიურ ფორმას იღებს, აშკარაა.

XX საუკუნის მეორე ნახევრის მნიშვნელოვანი რელიგიური დაპირისპირების მაგალითებია ინდუსებისა და მუსლიმების კონფლიქტი ინდოეთის რელიგიური პრინციპით ორ სახელმწიფოდ გაყოფის შემდეგ. რელიგიური ფორმა შეიძინა ისრაელისა და არაბული ქვეყნების დაპირისპირებამ, როცა მუსლიმმა რელიგიურმა ლიდერებმა ისრაელს საღვთო ომი – **ჯიჰადი (ღაზავათი)** გამოუცხადეს. რელიგიური წინააღმდეგობა დაედო საფუძვლად სამოქალაქო ომს ლიბანში, რომელიც 70-იან წლებში დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა. ისლამის ლოზუნგებით ცდილობენ სამხრეთ ფილიპინების მუსლიმი სეპარატისტები, მიაღწიონ გამოყოფას ქრისტიანული სახელმწიფოს შემადგენლობიდან. რელიგიურმა პროპაგანდამ დიდი როლი შეასრულა ჩეჩნეთის კონფლიქტში. თვით დიდ ბრიტანეთშიც კი, ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტს საფუძვლად უდევს წინააღმდეგობა კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის.

გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება **ისლამურ ფუნდამენტალიზმს (ისლამიზმს)**, რომელიც გლობალიზაციას დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ბატონობად აღიქვამს. ისლამისტების აზრით, ამერიკული ცხოვრების წესისა და ღირებულებათა სისტემის დამკვიდრება ძირეულად ეწინააღმდეგება ისლამის ნორმებს და სასიკვდილო საფრთხეს უქმნის ისლამურ სამყაროს. ამიტომ დასავლეთს და მის მთავარ ბურჯს – აშშ-ს, როგორც დიდ სატანას, უნდა გამოუცხადონ ჯიჰადი. თუ გავითვალისწინებთ ისლამური ფანატიზმის მასშტაბებს და რწმენას, რომ ჯიჰადისას დაღუპული მუსლიმი პირდაპირ სამოთხეში ხვდება, ადვილი გასაგები ხდება ის გლობალური საფრთხე, რასაც ისლამური ფუნდამენტალიზმი შეიცავს: მით უფრო, რომ მისი სამოქმედო გზა ტერორიზმია. სწორედ ისლამური ფუნდამენტალიზმის ტერორისტული ჯგუფებია მთავარი საშიშროების მატარებელი და მათ სახელთანაა დაკავშირებული უამრავი აფეთქება, მკვლელობა, თვითმფრინავების გატაცება, მძევლების აყვანა და ა.შ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა „ისლამური სახელმწიფო“, „ალ-კაიდა“, „ჰეზბოლაჰი“, „ჰამასი“, „ტალიბანი“ და სხვ.

რასაკვირველია, ფუნდამენტალიზმი და ფანატიზმი მარტო ისლამს არ ახასიათებს. ეს მოვლენა გვხვდება აბსოლუტურად ყველა რელიგიაში. ფუნდამენტალიზმი პირველად სწორედ აშშ-ში ჩამოყალიბდა, როგორც პროტესტანტიზმის უკიდურესი კონსერვატორული ფორმა, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ბუნებრივი და საზოგადო-

ებრივი მოვლენების მეცნიერულ ახსნას. ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ერთ-ერთი ასეთი პროტესტანტული ორგანიზაციის – „ღმერთის არმიის“ ნამოქმედარია ტერორისტული აქტი ოკლაჰომა-სიტიში, რომელმაც 167 კაცი იმსხვერპლა. ფუნდამენტალისტური ხასიათისაა ზოგი კათოლიკური ორგანიზაცია და ორდენი. ფუნდამენტალიზმს ვაწყდებით მართლმადიდებელთა შორისაც. იუდაისტებში ფუნდამენტალისტური იდეებით გამოირჩევა ხასიდების სექტა, ხოლო სინტოისტებში – სექტა „აინ-სენრიკიუ“, რომლის ტერორისტულმა აქტებმაც დიდი საშიშროება შეუქმნა ტოკიოს მოსახლეობას.

13.4.2. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებლების პრობლემა

რელიგიური პრობლემები მარტო ფუნდამენტალიზმითა და ტერორიზმით არ შემოიფარგლება. საკმაოდ ხშირია რელიგიური არატოლერანტობისა და დაპირისპირების გამოვლინებები. ბევრ ქვეყანაში ირღვევა სინდისის თავისუფლების პრინციპი – ადამიანის უფლება, თვითონ აირჩიოს საკუთარი რელიგია ან იყოს რელიგიის გარეშე. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ათეისტურ პროპაგანდას ექვემდებარებოდნენ, შეიქმნა გარკვეული ვაკუუმი, რის შევსებაც კომუნისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ სცადეს სხვადასხვა უცხოურმა რელიგიურმა ორგანიზაციამ და სექტამ. მათ გააჩაღეს აქტიური მისიონერული და პროპაგანდისტული კამპანია, რის შედეგადაც მოსახლეობის ნაწილმა უარი თქვა ტრადიციულ რწმენაზე და ახალ სექტებს შეუერთდა. ბუნებრივია, ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ სამღვდელოებასა და, ზოგადად, საზოგადოებაში. მდგომარეობა საგრძნობლად დაიძაბა, რასაც ზოგან შეტაკებებიც მოჰყვა.

გარდა ამისა, პოსტსოციალისტურ სამყაროში აშკარად შეიმჩნევა ეკლესიის გააქტიურება და მისი მისწრაფება, საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს განათლების სისტემა, კულტურა და, საერთოდ, სულიერი ცხოვრება, ყოველივე ეს კი სერიოზულ პრობლემებს ქმნის. პირველ ყოვლისა, იძაბება სიტუაცია რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. გარდა ამისა, იქმნება წინააღმდეგობა საერო სახელმწიფოს დემოკრატიულ პრინციპებსა და რელიგიურ მოთხოვნებს შორის.

ამ თვალსაზრისით, საკმაოდ არაორდინარული ვითარება შეიქმნა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. პრაქტიკულად ყველა მათგანში საგრძნობ-

ლად გაიზარდა რელიგიის როლი. წამყვანი კონფესიის სასულიერო ლიდერები ხშირად გამოდიან მოთხოვნებით და მოწოდებებით, რომლებიც აშკარად სცდება რელიგიის სფეროს, და მთელ საზოგადოებაზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს, ეკლესია მოკავშირედ გაიხადოს. ეს ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერია რუსეთში. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აქტიური მხარდამჭერია რუსეთის აგრესიული და იმპერიალისტური პოლიტიკისა და ყველანაირად ამართლებს ხელისუფლების ქმედებებს.

ეკლესიისადმი ლოიალური დამოკიდებულება ახასიათებთ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებსაც. ეკლესიის აშკარა კრიტიკას ყველა ერიდება, ეს კი საშუალებას აძლევს ეკლესიას, უფრო აქტიურად ჩაერიოს არა მხოლოდ სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, არამედ – პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებშიც.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიული თანაცხოვრება ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრასაც გლობალური მნიშვნელობა აქვს.

თავი 14. გლობალური პრობლემები: მომავლის პერსპექტივები

გლობალური პრობლემების მთელი სერიოზულობა და არსებული ტენდენციები განსაკუთრებული სიმწვავით გამოკვეთს მომავლის პერსპექტივას ანუ გლობალურ პროგნოზს. მოკლედ, ეს კითხვა ასე ჟღერს: ელის თუ არა ჩვენს პლანეტას კატასტროფა, იქნება თუ არა სიცოცხლე დედამიწაზე, თუ ეკოლოგიური, დემოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები იმგვარად განვითარდება, რომ დედამიწაზე ცხოვრება შეუძლებელი გახდება?

სწორედ კაცობრიობის მომავლის განსაზღვრის მიზნით ჩამოყალიბდა ახალი დისციპლინათშორისი სამეცნიერო მიმართულება – გლობალური პროგნოზირება (ფუტუროლოგია), რომელიც კაცობრიობის განვითარების არსებული ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ცდილობს განსაზღვროს მომავლის სურათი. მსოფლიოში ფუნქციონირებს მრავალი სამეცნიერო ცენტრი და კვლევითი დაწესებულება, რომლებიც აღნიშნული პრობლემებით არიან დაკავებული. განსაკუთრებით ფასეულია ის შრომები, რომლებიც ე.წ. რომის კლუბში გაერთიანებული მეცნიერების მიერაა შექმნილი და მსოფლიო გლობალური განვითარების მოდელირებას ეხება.

სრულიად განსხვავებულ პასუხს გაიგონებთ როგორც სპეციალისტების, ისე – რიგითი ადამიანებისაგან მთავარ გლობალურ პრობლემებზე: უკიდურესად პესიმისტურით დაწყებულთ (დედამიწას უახლოეს ათწლეულებში ემუქრება სრული კატასტროფა), ზედმეტად ოპტიმისტურით დამთავრებულთ (არა თუ ახლა, მომავალშიც კი არ წარმოიქმნება გლობალური საფრთხე).

მკვლევართა უმრავლესობა ამ უკიდურესობებით გამორჩეულ მოსაზრებებს არ ცნობს და მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ნამდვილად ემუქრება სერიოზული გლობალური საფრთხეები. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორ და დასაბუთებულ ღონისძიებებს გაატარებს საერთაშორისო საზოგადოება; რამდენად შეძლებს, ერთიანი ძალისხმევით აღუდგეს წინ მოსალოდნელ საშიშროებებს.

მართალია, ზოგი მიმართულებით პროგრესი შეიმჩნევა (მაგ., აშკარად შემცირდა მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე, გამოიკვეთა შობადობის კლების ტენდენცია განვითარებად ქვეყნებში და ა.შ.), მაგრამ სხვა კუთხით (ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სანედლეულო პრობლემები) ვითარება სულ უფრო მძიმდება. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ერთიანი ქმედება, რათა დავუსხლტეთ იმ გლობალური საფრთხეებს, რომლებიც დიდ საშიშროებას უქმნის კაცობრიობის მომავალს.

14.1. მომავლის ეკოლოგიური პროგნოზი: იქნება თუ არა სიცოცხლე დედამიწაზე?

გლობალურ საფრთხეებს შორის ეკოლოგიური პრობლემები ერთ-ერთ ყველაზე მწვავედ და ძნელად გადასაწყვეტად არის მიჩნეული. გლობალური ეკოლოგიური პროგნოზიც, უმეტესწილად, პესიმისტურია. მრავალი მკვლევრის აზრით, თუ ასეთი ტემპით გაგრძელდება გარემოს დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება, ატმოსფეროსა და წყლის დაბინძურება, ეროზია, გაუდაბნოება, ტყეების განადგურება, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების მოსპობა, შესაძლებელია, რამდენიმე ათწლეულში სიცოცხლე დედამიწაზე შეუძლებელი გახდეს და ჩვენი პლანეტა უსიცოცხლო უდაბნოდ იქცეს.

განსაკუთრებულ განგაშს იწვევს კლიმატის გლობალური ცვლილება ანუ გლობალური დათბობა, რაც მთავარ ეკოლოგიურ საფრთხედ აღიქმება. კლიმატის ცვლილება უჩვეულო მოვლენა არ არის და დედამიწის ისტორიაში არაერთხელ ჰქონია ადგილი დათბობისა და აცივების პერიოდების მონაცვლეობას. მაგრამ ბოლოხანს ჰაერის საშუალო ტემპერატურის ზრდის ტენდენცია აშკარა ფაქტია; თანაც ეს გამოწვეულია ატმოსფეროს შემცველობაში სამრეწველო საწარმოებსა და ტრანსპორტიდან გამონაბოლქვი გაზის ხვედრითი წილის მუდმივი ზრდით. მთელი დედამიწის მასშტაბით ჰაერის საშუალო ტემპერატურის სულ ერთი გრადუსით ზრდა უკვე იწვევს მნიშვნელოვან ლანდშაფტურ ცვლილებებს, ხოლო 3-4 გრადუსით მატება უკვე ეკოლოგიური კატასტროფა იქნება, რადგან დაიწყება ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულების დნობა და მსოფლიო ოკეანის დონე საგრძნობლად აიწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალი ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი, სადაც მოსახლეობის ძირითადი მასაა თავმოყრილი, წყლით დაიფარება. ტემპერატურის აწევასთან ერთად მსოფლიო ხმელეთის უდიდეს ნაწილზე მკვეთრად დაიკლებს ნალექის რაოდენობა. გაიზრდება არიდული რეგიონების ფართობი და მიწათმოქმედება მოურწყველად შეუძლებელი იქნება. თუ ამას დავუმატებთ სიმშრალით გამოწვეული წყლის დეფიციტს, პრობლემის მთელი სერიოზულობა აშკარა გახდება. სხვა პრობლემაა ატმოსფეროს დაბინძურება და სუფთა ჰაერის დეფიციტი, რაც სხვადასხვა დაავადების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია.

არანაკლები საფრთხეა ხმელეთის წყლებისა და ოკეანის დაბინძურება. ყოველწლიურად მდინარეებში ჩაედინება მილიონობით ტონა სამრეწველო (მათ შორის, ქიმიური და მეტალურგიული) და საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რაც იმდენად აბინძურებს წყალს, რომ ბევრ მდინარესა და ტბაში სიცოცხლე საერთოდ მოისპო. დაბინძურებული მდინარეები,

თავის მხრივ, აბინძურებენ ოკეანეს, რასაც ემატება ტანკერებიდან ოკეანეში ჩაღვრილი ნავთობი და ნავთობპროდუქტები. სუფთა წყალი გლობალური პრობლემა გახდა, ხოლო მრავალ ქვეყანაში სასმელი წყლის ფასი გაცილებით მეტია ნავთობის ფასზე. წყლის დეფიციტისა და ჰიდროსფეროს დაბინძურების საფრთხე სერიოზული პრობლემა ხდება მთელი მსოფლიოსთვის.

უაღრესად სერიოზულ პრობლემად იქცა მიწების დეგრადაცია. ეროზიული პროცესებისა და გაუდაბნოების გამო, ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარი დამუშავებული მიწა გამოდის მწყობრიდან და უნაყოფო, გამოუსადეგარ სივრცეს ქმნის. ამას გარდა, სულ უფრო ინტენსიური ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწების გადასვლა საქალაქო და სამრეწველო მიწების კატეგორიაში. მოსახლეობის მზარდი მატების პირობებში სულ უფრო მცირდება დამუშავებული მიწის ფართობი საშუალოდ ერთ ადამიანზე, რაც რეალურს ხდის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემას. ფართობის ერთეულიდან მოსავლიანობის ზრდის პერსპექტივა უსაზღვრო არ არის.

უმძიმესი პრობლემაა ტყეების განადგურება და მთელი რიგი ბიოლოგიური სახეობების გაქრობა. უკანასკნელი ერთი საუკუნის განმავლობაში ტყის ფართობი დედამიწაზე თითქმის განახევრდა. განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს მიაღწია ტროპიკული ტყეების გაჩეხამ. არადა, სწორედ ეს ტყეები წარმოადგენს ჟანგბადის ძირითად წყაროს ჩვენს პლანეტაზე – „დედამიწის ფილტვებს“. ადვილი წარმოსადგენია, რა კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ტყეების უსისტემო ჭრას იმ დროს, როცა ატმოსფეროს დაბინძურებამ ბევრად გადააჭარბა ყოველგვარ დასაშვებ ნორმებს.

ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა გახდა წყარო სტიქიური უბედურებებისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისა, რომლებიც სულ უფრო ხშირად იჩენს ხოლმე თავს და უმძიმესი შედეგები მოაქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ სტიქიური უბედურებების შედეგად (გვალვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.) ყოველწლიურად ათობით ათასი ადამიანი იღუპება.

ეკოლოგიური პრობლემები განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ წლებში. ამის მიზეზი კი ის არის, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფად იზრდება სამრეწველო საწარმოებისა და ავტომობილების რაოდენობა: მაგალითად ჩინეთიც კმარა. თუ 80-იან წლებამდე ამ ქვეყანაში საერთოდ არ იყო საკუთარი ავტომობილები, დღეს ათობით მილიონი ავტომანქანა წამლავს ჰაერს, ხოლო სამრეწველო ბუმმა მკვეთრად გაზარდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი და მასთან ერთად გარემოს დაბინძურების დონეც. იგივე მდგომარეობაა ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ

აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში. ფაქტია, რომ, ეკოლოგიური თვალსაზრისით, უმძიმესი სურათი შეიქმნება, თუ განვითარებად სამყაროშიც ადამიანზე საშუალოდ იმ რაოდენობის სამრეწველო პროდუქცია იწარმოება და იმ ოდენობის ტრანსპორტით იქნება უზრუნველყოფილი, რამდენიც – განვითარებულ ქვეყნებში.

როგორც ვხედავთ, მომავლის ეკოლოგიური პერსპექტივა საკმაოდ მძიმეა, მაგრამ უიმედო არ არის. უკანასკნელ წლებში პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ გააცნობიერა, რომ ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების დანერგვას და ეკოლოგიური კულტურის ამაღლებას. ძვირადღირებული, მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებამ დასავლეთ ევროპაში, აშშ-ში და, განსაკუთრებით, იაპონიაში დადებითი შედეგი გამოიღო. ეკოლოგიური მდგომარეობა ამ ქვეყნებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. გაჩნდა იმედი, რომ სწორი მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში ეკოლოგიური პრობლემები მინიმუმამდე დავა, ხოლო სიცოცხლეს დედამიწაზე საფრთხე არ დაემუქრება. თუმცა, ამ მხრივ, უზარმაზარი საქმეა გასაკეთებელი (პირველ ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში) და ზედმეტი ოპტიმიზმისა და თვითდამშვიდების დრო ჯერ არ დამდგარა.

14.2. მომავლის პოლიტიკური პროგნოზი: საყოველთაო მშვიდობა თუ პერმანენტული დაპირისპირება?

გლობალურ პოლიტიკურ პრობლემებს შორის XX საუკუნის 50-80-იან წლებში მთავარი საშიშროება მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე იყო. ცივი ომის დამთავრებამ, სოციალისტური სისტემის კრახმა და საბჭოთა კავშირის დაშლამ ბოლო მოუღო ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემას და ბირთვული ომის ალბათობაც მკვეთრად შეამცირა (თუმცა მთლიანად არ მოუსპია). აქედან გამომდინარე, თუ 80-იან წლებამდე ყველა სახის გლობალურ პრობლემას შორის ატომური ომის საშიშროება დომინირებდა, დღეს წინა პლანზე სხვა საფრთხეებმა გადმოინაცვლა. მაგრამ გლობალურმა პოლიტიკურმა პრობლემებმა სხვა სახით იჩინა თავი და არანაკლები საფიქრალი გაუჩინა კაცობრიობას.

ცივი ომის დამთავრებისთანავე მსოფლიო ერთგვარმა ეიფორიამ მოიცვა. ბევრმა ჩათვალა, რომ დადგა საყოველთაო მშვიდობისა და აყვავების ეპოქა. საბჭოთა კავშირის და მასთან ერთად სოციალისტური სისტემის დასამარება აღიქვეს დედამიწაზე უკანასკნელი ბოროტების აღსასრულად, ის განწყობა კი, რომ დასავლურ, ლიბერალურ-დემოკრატიულ

ღირებულებებს ალტერნატივა აღარ აქვს და ისინი საყოველთაოდ გავრცელდება, საკმაოდ ბევრმა გაიზიარა. გლობალური დემოკრატიის პირობებში ომი გამორიცხულია, რადგან დემოკრატიული ქვეყნები ყველა სადავო საკითხს მოლაპარაკებით წყვეტენ. აქედან გამომდინარე, კეთდებოდა ოპტიმისტური პროგნოზი: ომები და შეიარაღებული დაპირისპირებები წარსულს ჩაბარდება, საყოველთაო მშვიდობა დაისადგურებს და ადამიანების მთელი ძალისხმევა ეკონომიკური აყვავების, სოციალური სამართლიანობისა და კულტურული პროგრესისკენ იქნება მიმართული.

მაგრამ მალევე აშკარა გახდა, რომ ბიპოლარული სისტემის დასასრული და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ბირთვული ომის საშიშროების მოხსნა სრულიადაც არ ნიშნავს საყოველთაო მშვიდობას და გლობალური პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას. გამოჩნდა ახალი საფრთხე, რაც არა თუ ჩამოუვარდება ცივი ომისდროინდელ პრობლემებს, არამედ, ზოგი თვალსაზრისით, უფრო საშიშიც კია. ცალკეული ავტორების აზრით, ცივი ომი თავისთავად გამორიცხავდა დიდმასშტაბიან ბირთვულ ომს და სტაბილურობის გარანტი იყო. ბიპოლარული სისტემის დაშლამ მსოფლიო ქაოსსა და გაურკვევლობაში ჩააგდო, მოიშალა ურთიერთკონტროლი ბირთვულ შეიარაღებაზე, ევროპის გაერთიანებამ დაარღვია სტაბილური წესრიგი კონტინენტზე, ხოლო სოციალისტური სისტემის ნგრევამ მოსპო ის ბარიერი, რომელიც აკავებდა ეთნიკურ მტრობას. ამიტომ პოსტსოციალისტური სივრცე მუდმივი ეთნოკონფლიქტებისა და დაპირისპირებისთვის არის განწირული, და ეს უაღრესად სერიოზულ გლობალურ პრობლემად იქცევა.

სხვა მოსაზრების მიხედვით, მსოფლიო შედის დაპირისპირების ახალ სტადიაში, რომელიც გაცილებით საშიში და გლობალურია, ვიდრე – დაპირისპირება სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის. ლაპარაკია მსოფლიო ცივილიზაციათა ურთიერთწინააღმდეგობაზე, რაც მომავალში ცივილიზაციათა შეჯახებად გარდაისახება. ამ მოსაზრების ავტორის – ს. ჰანტინგტონის აზრით, დასავლურ ცივილიზაციას აქვს უნივერსალურობის პრეტენზია და მთელ მსოფლიოში დამკვიდრებისთვის იბრძვის, ეს კი, სხვა ცივილიზაციათა სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება და გარდაუვალს ხდის გლობალურ ომს. განსაკუთრებით მწვავეა დაპირისპირება დასავლურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის, რის გამოვლინებაც ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ტერორიზმის გააქტიურებაა. ასევე, სულ უფრო საგრძნობი ხდება კონფუციური, ინდუისტური და მართლმადიდებლური ცივილიზაციების წინააღმდეგობა დასავლური ცივილიზაციის მთელ რიგ ფასეულობებთან. პერსპექტივაში მოსალოდნელია მულტიპოლარული სისტემის ჩამოყალიბება, სადაც პოლუსების როლს ცივილიზაციები გაინაწილებენ,

და მათი მუდმივი ურთიერთდაპირისპირებაა მოსალოდნელი. დროებით შეიძლება რამდენიმე ცივილიზაციის კოალიციის ჩამოყალიბება ერთი მათგანის წინააღმდეგ, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ყველა ერთმანეთს დაუპირისპირდება, რამაც მსოფლიო შეიძლება ქაოსში ჩაითრიოს.

ძალიან ბევრი მკვლევარი თვლის, რომ მსოფლიო ისევ ორპოლუსიანია. უბრალოდ, თუ ადრე დაპირისპირებულ პოლუსებს წარმოადგენდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ანუ კაპიტალისტური და სოციალისტური სამყარო, დღეს წინააღმდეგობაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს ანუ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. უფსკრული მდიდარ ჩრდილოეთს (ბირთვს) და ღარიბ სამხრეთს (პერიფერია) შორის სულ უფრო ღრმავდება, და სწორედ ეს დაპირისპირებაა თანამედროვეობის მთავარი გლობალური პრობლემა. არსებული სიტუაცია დიდხანს ვერ შენარჩუნდება: განვითარებადი სამყაროს სიღარიბესა და გაჭირვებაში მყოფი სწრაფადმზარდი მოსახლეობა იქით დაიძრება, სადაც სიმდიდრე და განცხრომაა, და სწორედ ეს იქნება ყველაზე დიდი საშიშროება, რაც კაცობრიობას ელის.

როგორც ვხედავთ, მომავლის გლობალური პოლიტიკური პროგნოზი მრავალნაირი და წინააღმდეგობრივია. გვხვდება როგორც ოპტიმისტური პროგნოზები, რომელთა თანახმადაც, კაცობრიობას მშვიდობა და აყვავება ელის, ისე უკიდურესად პესიმისტური შეხედულება, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოს პერმანენტული დაპირისპირება, ნგრევა და ქაოსი ემუქრება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად შეძლებენ მსოფლიოს ქვეყნები, გამონახონ საერთო ენა და ურთიერთკომპრომისის საფუძველზე ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ მეცნიერულად დასაბუთებული, მრავალმხრივი და კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს გლობალური პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას და თავიდან აგვაცილებს მსოფლიო კატასტროფას.

14.3. მომავლის სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზი: საყოველთაო კეთილდღეობა თუ უთანასწორობის გაღრმავება?

გლობალურ პრობლემებს შორის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებით „ახლობელია“ ასობით მილიონი ადამიანისთვის. მართლაც, ეკონომიკური გაჭირვება, ენერგეტიკული თუ სანედლეულო კრიზისი, შიმშილი, უმუშევრობა, უსახლკარობა, დაავადებები, დანაშაული და ა.შ. ის პრობლემებია, რომლებიც უშუალოდ ეხება და აღელვებს დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას.

ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ძალიან რთული და მრავალმხრივია. მათი გადაჭრა მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი. ერთი შეხედვით, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება თითქოს სახელმწიფოს შიდა პრობლემაა, მაღალგანვითარებულ, აყვავებულ ქვეყნებს სხვა საფიქრალი აქვთ, ხოლო ჩამორჩენილ, გაღატაკებულ ქვეყნებს – სრულიად სხვა. მაგრამ სინამდვილეში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სიდუხჭირე განვითარებულ ქვეყნებზეც აისახება და ეს სახელმწიფოებიც იძულებულნი არიან, თავიანთი ბიუჯეტის ნაწილი განვითარებადი ქვეყნების დახმარებასა და ამ ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების შენახვას მოახმარონ. ამდენად, პრობლემა გლობალურია: ვერც ერთი ქვეყანა, როგორი სიმდიდრითა და კეთილდღეობითაც უნდა გამოირჩეოდეს, თავს ვერ დაიმშვიდებს და ვერ იტყვის, რომ ეს პრობლემები მას არ ეხება.

განსაკუთრებული სიმწვავით უკანასკნელ წლებში სანედლეულო და ენერგეტიკული პრობლემები დადგა. მოსახლეობის და წარმოების ზრდის შესაბამისად, სწრაფად იზრდება მინერალური რესურსების (სათბობ-ენერგეტიკული, ლითონური, არალითონური) მოპოვება და გამოყენება: მინერალური რესურსები კი ამოწურვად და აღუდგენად რესურსებს მიეკუთვნება! მათი დეფიციტის პრობლემა ადრეც იდგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზოგი განვითარებადი ქვეყანა ნედლეულისა და ენერგიის მოხმარებით თითქმის გაუტოლდა განვითარებულ ქვეყნებს, მდგომარეობა უაღრესად სერიოზული გახდა.

მართალია, ბოლო ათწლეულებში ოკეანის შელფის ათვისებამ და წიაღისეულის ახალი საბადოების ექსპლუატაციამ კაცობრიობის მინერალური რესურსებით უზრუნველყოფის დრო რამდენადმე გაახანგრძლივა, მაგრამ ამას პრობლემა არ შეუმსუბუქებია. ზოგი ლითონების მარაგი უკვე XXI საუკუნის პირველ ნახევარში ამოიწურება. საუკუნის ბოლოსთვის გამოილევა ძირითადი წიაღისეული სიმდიდრის (მათ შორის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის) მარაგი, ხოლო XXII საუკუნეში – პრაქტიკულად ყველა წიაღისეული. მხოლოდ ნახშირის მარაგი ეყოფა კაცობრიობას კიდევ რამდენიმე საუკუნე.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავლის ორი ძირითადი გზა მიიჩნევა ყველაზე პერსპექტიულად. ერთია ნედლეულისა და ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისება, რომლებიც თანდათანობით შეცვლის არსებულს და, მათგან განსხვავებით, ამოუწურავი ან აღდგენადი რესურსები იქნება (მზის, ქარის, წყლის, ბიორესურსების ენერგია, სინთეზური მასალები და სხვ). დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო აზრი, რომ სწორედ ნედლეულისა და ენერგიის ალტერნატიული სახეობების ათვისება არის კაცობრიობის ხსნა სანედლეულო და ენერ-

გეტიკული კრიზისიდან. დღესაც არავინ უარყოფს, რომ მომავალში ალტერნატიული საშუალებების ხვედრითი წილი გაიზრდება და გარკვეული მასშტაბით შეცვლის კიდეც ბუნებრივ ნედლეულს. მაგრამ ის წარმოდგენა, რომ მომავალი მთლიანად არატრადიციულ ენერგო-სანედლეულო წყაროებს ეკუთვნის, აშკარად გადაჭარბებულია და პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად ვერ ჩაითვლება.

მეორე გზა ახალი საბადოების ათვისება და ექსპლუატაციაა. მეცნიერები თანხმდებიან, რომ მინერალური ნედლეულის აღმოჩენილი და დაზვერილი მარაგი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დედამიწაზე არსებული მთლიანი მარაგისა. მათი ათვისებისა და გამოყენების ტექნიკური შესაძლებლობები დღეს შეზღუდულია, მაგრამ მომავალში ეს სავსებით შესაძლებელი იქნება. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ, ტექნიკური პროგრესის შესაბამისად, გაცილებით ეკონომიურად დაიხარჯოს ენერგია და ნედლეული. ხოლო, თუ ამას ალტერნატიულ წყაროებსაც დავუმატებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობას ენერგოსანედლეულო რესურსების ამოწურვის საფრთხე კიდევ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ დაემუქრება.

რაც შეეხება, საკუთრივ, სოციალურ პრობლემებს, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ წინააღმდეგობრივი სურათი გვაქვს: ერთი მხრივ, აშკარა ფაქტია, რომ ცხოვრების ზოგადი დონე, ერთ სულზე მშპ-ის მოცულობა, ჯანმრთელობის დაცვის თუ განათლების მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება მთელ მსოფლიოში; მეორე მხრივ, სხვაობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სულ უფრო იზრდება, ანუ ნომინალურად განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების პირობები თითქოს უმჯობესდება, მაგრამ რეალურად უარესდება. ასობით მილიონი ადამიანი მოკლებულია ნორმალურ ყოფით პირობებს, ბინას, სამსახურს, განათლებას, სამედიცინო მომსახურებას და სხვა ელემენტარულ აუცილებლობას. შემთხვევითი არაა, რომ ბევრი მკვლევარი სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ გაჭირვებას მიიჩნევს თანამედროვეობის მთავარ გლობალურ პრობლემად და თვლის, რომ სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი. ამიტომაც განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის დაძლევა და მათი დახმარება საყოველთაო, გლობალური ამოცანაა. ბოლო წლების ტენდენცია იმედს იძლევა, რომ მესამე სამყაროს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმატებით გადაჭრა სავსებით მოსალოდნელია და ეს ამოცანა შესაძლოა ნამდვილად განხორციელდეს.

14.4. მომავლის დემოგრაფიული პროგნოზი: ხომ არ ემუქრება დედამიწას გადამეტსახლება?

დემოგრაფიული პრობლემები უაღრესად მწვავე გლობალურ პრობლემების რიგს მიეკუთვნება. ისევე, როგორც, ზოგადად, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შემთხვევაში, დემოგრაფიული პრობლემებიც თითქოს მკვეთრად განსხვავებული შინაარსისაა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. მართლაც, თუ განვითარებად სამყაროში მოსახლეობის სწრაფი ზრდა უამრავ სიძნელეს ქმნის და ძირითადი ამოცანა ბუნებრივი მატების შეზღუდვაა, განვითარებული ქვეყნები დეპოპულაციის საფრთხის წინაშე დგანან და უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ, რათა როგორმე წაახალისონ შობადობა. მიუხედავად ამისა, დემოგრაფიული პრობლემები გლობალური ხასიათისაა და თანაბრად ეხება ყველა ქვეყანას და ხალხს, როგორი დემოგრაფიული ქცევითაც უნდა გამოირჩეოდეს ის.

მთავარი დემოგრაფიული პრობლემა დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდაა. ყოველ საათში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა, საშუალოდ, 11 ათასი კაცით იზრდება, დღე-ღამეში – 250 ათასით, ხოლო წლიურად – 90 მილიონით ანუ მეტით, ვიდრე ევროპის ყველაზე დიდი ქვეყნის – გერმანიის მთელი მოსახლეობაა. დედამიწის მოსახლეობამ ერთ მილიარდს მხოლოდ 1830 წელს მიაღწია, ანუ ამას დასჭირდა 1, 5 მილიონზე მეტი წელი, თითქმის მთელი ის დრო, რაც ადამიანის გაჩენიდან გავიდა. კიდევ ერთი მილიარდით გაზრდას 100 წელი ეყო, კიდევ ერთით – 25 წელი, შემდეგ მილიარდებს კი, შესაბამისად, 15, 12 და 10 წელი.

შესაბამისად, აშკარაა, რომ, თუ შენარჩუნებული იქნება არსებული ტენდენცია, დედამიწას ნამდვილად დაემუქრება გადამეტსახლების საფრთხე. ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა გამოდის მწყობრიდან და, შესაბამისად, მცირდება დამუშავებული მიწების ფართობი პლანეტის ერთ მცხოვრებზე იმ შემთხვევაშიც კი, ხალხის რაოდენობაც რომ უცვლელი იყოს. მოსახლეობის ასეთმა ზრდამ კი, მართლაც კატასტროფის წინაშე შეიძლება დააყენოს კაცობრიობა. უაღრესად მწვავდება სურსათით უზრუნველყოფის, ნედლეულითა და ენერგიის წყაროებით მომარაგების პრობლემა.

მსოფლიო საზოგადოებამ უკვე დიდი ხანია გააცნობიერა დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავე. სახელმწიფოთა უმრავლესობაში ტარდება დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია პრობლემის მეტ-ნაკლებად რეგულირებისაკენ, მაგრამ ეს ადვილი ამოცანა არ არის. დემოგრაფიული პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და მათი ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან მოწყვეტით, გადაჭრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

დედამიწის ზოგადი დემოგრაფიული პროგნოზი არაერთგვაროვანია და დიდად მერყეობს. დემოგრაფთა ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობის ზრდა არ შემცირდება და XXI საუკუნის ბოლოს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა 50 მილიარდს მიაღწევს. ასეთ შემთხვევაში ხმელეთზე საშუალო სიმჭიდროვე 370 კაცს გადააჭარბებს. ადვილი წარმოსადგენია, ამ პროგნოზის გამართლების შემთხვევაში რა პრობლემების წინაშე დადგება კაცობრიობა.

დემოგრაფთა დიდი უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს. მათი პროგნოზით, გარდაუვალია დედამიწის მოსახლეობის ზრდის ტემპების მკვეთრი კლება, რადგან ეს ობიექტური და ლოგიკური პროცესია. ახლა ყველა რეგიონში (ტროპიკული აფრიკის გარდა) აღინიშნება შობადობის შემცირების ტენდენცია. აზიის, ლათინური ამერიკის, ოკეანეთის და ბოლოს – აფრიკის ხალხებიც აუცილებლად გაივლიან დემოგრაფიული ისტორიის იმ გზას, რაც – ევროპამ და ჩრდილოამერიკამ XIX-XX საუკუნეებში და ადრე თუ გვიან გადავლენ დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ეტაპზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაბალი შობადობა და დაბალი ან საშუალო სიკვდილიანობა. შესაბამისად, მოხდება მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია. ყველაზე გავრცელებული პროგნოზით, დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა XXI საუკუნის 70-იანი წლებისთვის მიაღწევს 12, 5-13 მილიარდს და ამ დონეზე „გაჩერდება“, მოსახლეობის ეს რაოდენობა კი, დედამიწამ შეიძლება უპრობლემოდ გამოკვებოს, თუ მთელ მსოფლიოში მოსავლიანობის ისეთი მაჩვენებელი იქნება, როგორიც დღეს დანიაში ან ჰოლანდიაშია; ამასთანავე, თუ მინიმუმამდე დავა ეკოლოგიური პრობლემები, კერძოდ, მიწების დეგრადაცია.

ამ ოპტიმისტურ პროგნოზის გამართლების შემთხვევაშიც კი დემოგრაფიული პრობლემები მაინც სერიოზულ საფრთხედ რჩება. მსოფლიო მოსახლეობის 90-95 % თავს მოიყრის განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებში კი შრომითი რესურსების დიდი დეფიციტია მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში გარდაუვალია მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია მესამე სამყაროდან. მთავარი დემოგრაფიული პრობლემაც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურის მოსალოდნელი მკვეთრი ცვლილებაა. ეს ქსენოფობიის, რასიზმის, ეთნოკონფლიქტებისა და რელიგიური შუღლის უაღრესად საშიშ წყაროდ შეიძლება იქცეს. ასევე, სერიოზულ სირთულეს შექმნის მოსახლეობის ძალიან მაღალი სიმჭიდროვე ცალკეულ რეგიონებში და ურბანიზაციისა და დიდი ქალაქების პრობლემები. ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ დემოგრაფიული პრობლემები ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემათა წყებას მიეკუთვნება და მათი გადაჭრისათვის განსაკუთრებული ღონისძიებებია საჭირო. ეს მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

14.5. მომავლის ეთნოკულტურული პროგნოზი: ვესტერნიზაცია თუ კულტურათა კონფლიქტი?

გლობალურ გამოწვევათა შორის მეტ აქტუალობას იძენს ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა. გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება ხალხთა ეთნოკულტურული განსხვავების თანდათანობით შემცირება და საერთო, არაეროვნული, კოსმოპოლიტური კულტურის ჩამოყალიბებაა. ამიტომ გასაგებია ის შეშფოთება, რომელიც მრავალ (განსაკუთრებით, მცირერიცხოვან) ერს აწუხებს: შეძლებენ თუ არა ისინი, შეინარჩუნონ თავიანთი ეთნიკური იდენტურობა და კულტურული თავისთავადობა, თუ განწირულნი არიან იმისათვის, რომ სხვა, მათთვის უცხო ენობრივ და კულტურულ გარემოში შთაინთქან? ფაქტია, რომ სხვადასხვა ხალხი სულ უფრო ემსგავსება ერთმანეთს – აცვიათ და იკვებებიან ერთნაირად, უსმენენ ერთსა და იმავე მუსიკას, უყურებენ ერთსა და იმავე სერიალებს, უყალიბდებათ მსგავსი ქცევის სტერეოტიპები და ა.შ. ეს საერთო კულტურა დასავლური კულტურის საფუძველზეა აღმოცენებული და მისი გლობალური გავრცელება **ვესტერნიზაციის** სახელით არის ცნობილი. მაგრამ თვით ამ კულტურის შიგნით სრულიად აშკარაა ამერიკული მასობრივი კულტურის უპირატესი როლი. ამიტომ ბევრი თვლის, რომ მიმდინარეობს მსოფლიოს **ამერიკანიზაცია,** რასაც ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელებაც უწყობს ხელს.

გავრცელებულია აზრი, რომ გლობალიზაციის პროცესი გარდაუვლად გამოიწვევს მსოფლიო კულტურის **ჰომოგენიზაციას**. ამ მოსაზრების მიმდევრები თვლიან, რომ კაცობრიობის მომავალი უსაზღვრებო მსოფლიოა და ყოველგვარი ეროვნული ბარიერი პროგრესის ხელშემშლელია. საზოგადოება ისე ვითარდება, რომ ადამიანები უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ამისათვის აუცილებელია, მათ ჰქონდეთ ყველასათვის გასაგები საერთო ენა, ერთნაირი ფასეულობები, მსგავსი ლიტერატურა, ხელოვნება, ფსიქოლოგია და სხვ. ყოველივე ეს უნდა მოდიოდეს ერთი, საერთო ძირიდან, რომელსაც უნივერსალობის პრეტენზია ექნება. ასეთი კი დასავლური ცივილიზაციაა. ამიტომ მსოფლიოს მომავალი დასავლური კულტურის საყოველთაო ექსპანსიაა. ყველა ხალხი ადრე თუ გვიან ეზიარება დასავლური ცივილიზაციის მთავარ ღირებულებებს – დემოკრატიას, ლიბერალიზმს, კანონის უზენაესობას, ინდივიდუალიზმს, ადამიანის უფლებებს, სინდისის თავისუფლებას და ა.შ. ასეთ პირობებში ერთიანი მსოფლიო ჰომოგენური კულტურის ჩამოყალიბება გარდაუვალია. ინტერნეტის, სატელიტური ტელევიზიის, ფიჭური კავშირგაბმულობის ეპოქაში სხვაგვარად შეუძლებელიცაა. სხვა

საქმეა, რომ, გავრცელებული აზრით, ეს ერთიანი მსოფლიო კულტურა სინამდვილეში იგივე ამერიკული მასობრივი კულტურა იქნება და კულტურის გლობალიზაციაც, ფაქტობრივად, ამერიკანიზაციის სინონიმია.

საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს მოსაზრებას, რომ გლობალიზაცია, პირიქით, კულტურის ჰომოგენიზაციას კი არ გამოიწვევს, არამედ – **პოლარიზაციას** ანუ ეროვნულ კულტურათა მკვეთრ დაპირისპირებას. მიმდინარე ვესტენიზაციის პროცესი და ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე სულ უფრო აძლიერებს ანტიდასავლურ განწყობას სხვა ცივილიზაციებში, ხოლო თვით დასავლური ცივილიზაციის შიგნით ძლიერდება, ერთი მხრივ, ანტიამერიკული განწყობა, მეორე მხრივ კი, ქსენოფობიური დამოკიდებულება არადასავლური ცივილიზაციების მიმართ. ამ პირობებში მოსალოდნელია, რომ თითოეული ეროვნული კულტურა თავის თავში ჩაიკეტოს და, თავდაცვის მიზნით, მტრული პოზიცია დაიკავოს სხვა კულტურიდან მომავალი ნოვაციების მიმართ. მოხდება კულტურათა იზოლაცია და მათი დაპირისპირება, რაც, საბოლოოდ, ცივილიზაციათა შეჯახებად მოგვევლინება. ამის ნიშნები უკვე ჩანს ზოგ ისლამურ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს დონეზე იკრძალება დასავლური კულტურის მრავალი სახეობის იმპორტი, ხოლო ადგილობრივი რელიგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეები დასავლეთს (განსაკუთრებით, აშშ-ს) დიდ სატანად მიიჩნევენ, განადგურებით რომ ემუქრება ისლამურ კულტურას და მასთან საღვთო ომისკენ მოუწოდებენ „ჭეშმარიტ პატრიოტებს და მართლმორწმუნეებს“.

მკვლევართა მესამე ნაწილი თვლის, რომ შეუძლებელია როგორც კულტურათა სრული ჰომოგენიზაცია, ისე სრული პოლარიზაცია. უფრო მოსალოდნელია კულტურათა ერთგვარი **ჰიბრიდიზაცია,** რაც ეროვნული კულტურების თავისებურ შერწყმას გულისხმობს და რაც, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი ამბავია. გლობალიზაციის ეპოქაში შეუძლებელია კულტურათა იზოლაცია. ამიტომ გარდაუვალია კულტურათა მუდმივი ურთიერთშეხება და ურთიერთგამდიდრება. ნებისმიერი ეროვნული კულტურა შეინარჩუნებს ეროვნულ სახეს, მაგრამ იგი შეივსება სხვა კულტურებიდან (პირველ ყოვლისა, დასავლური კულტურიდან) შემოსული სხვადასხვა სიახლით. ზოგადისა და ეროვნულის თავისებური სინთეზი იქნება კიდეც მსოფლიოს ხალხთა კულტურების სახე მომავალში, რაც არა თუ საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ თვითმყოფადობას, არამედ უფრო მრავალფეროვანს გახდის მას.

ბოლოსიტყვაობა

წიგნში განხილულმა საკითხებმა აშკარა უნდა გახადოს, როგორი ყოვლისმომცველი და კომპლექსური ფენომენია გლობალიზაცია და რა დიდ როლს ასრულებს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში. დღევანდელ ეპოქას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ გლობალიზაციის ერა, რადგან, გვინდა თუ არ გვინდა ეს, მთლიანად ვართ ამ პროცესში ჩაბმული. გლობალიზაციამ შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, ყოველდღიური ცხოვრება. ის იქცა თანამედროვეობის წარმმართველ ძალად და თავის კანონებს დაუმორჩილა პრაქტიკულად ყველა ინსტიტუცია, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოები, აქცია რა ისინი მას დაქვემდებარებულ „აგენტებად“.

ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი იწვევს მძლავრ უკურეაქციას. მსოფლიო საზოგადოება დაიყო გლობალისტებად და ანტიგლობალისტებად, რომელთა დაპირისპირებაც უფრო და უფრო მწვავდება. გლობალიზაციაზე რეაქციად უნდა მივიჩნიოთ როგორც მემარცხენე, ისე რადიკალური მემარჯვენე ძალების გააქტიურება და მათი როლის ზრდა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, აგრეთვე უკვე თითქმის მივიწყებული ეთნიკური ნაციონალიზმის გამოცოცხლება განვითარებულ ქვეყნებში და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გააქტიურება მესამე სამყაროში.

გლობალიზაციამ უფრო გაამწვავა გლობალური პრობლემები, რომლებიც ისედაც მთავარ საშიშროებად ექცა კაცობრიობას. დღეს ცხადზე უცხადესია, რომ, მსოფლიო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევის გარეშე, შეუძლებელია გლობალურ პრობლემებთან გამკლავება. მსოფლიო დგას გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე, უკიდურესად გამწვავებული დემოგრაფიული სიტუაცია ემუქრება საზოგადოებას და, პირველ ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებს, რაც, თავის მხრივ, ამწვავებს სოციალურ პრობლემებს (შიმშილი, სიღარიბე, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კრიმინალის პრობლემები). ამას ემატება გლობალური პოლიტიკური პრობლემები (ბირთვული ომის საშიშროება, შეიარაღებული კონფლიქტები, ეთნიკური და რასობრივი დაპირისპირებები, საერთაშორისო ტერორიზმი) და აშკარა ხდება, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ.

სახელმძღვანელოს მიზანი იყო, სტუდენტებს გაეაზრებინათ და გაეცნობიერებინათ გლობალიზაციისა და გლობალური პრობლემების

მთელი სიმწვავე და ეფიქრათ იმაზე, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს მსოფლიო საზოგადოებამ, რათა ამ პრობლემების საშიშროება გაქარწყლდეს და მომავალში ზოგი მათგანი მაინც ბოლომდე გადაიჭრას. ამასთანავე, თითოეული სტუდენტი უნდა დაფიქრდეს, კონკრეტულად მას, პიროვნულად, რა წვლილის შეტანა შეუძლია ამ ურთულესი დილემის დასაძლევად.

ავტორი იმედოვნებს, რომ ამ კურსმა სტუდენტებს არა მარტო გაუღრმავა გლობალიზაციისა და გლობალური პრობლემების საკითხთა ცოდნა, არამედ დაანახა მათი სიმწვავე და შთაუნერგა მათ ამ პრობლემების გადაჭრისათვის ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობა. თუ ეს ასეა, მაშინ წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს, რაც ავტორისათვის დიდი ჯილდოა.

ბიბლიოგრაფია

ანდერსონი ბ. - *წარმოსახვითი საზოგადოებანი.* თბილისი. „ენა და კულტურა“ 2003

არტი, ჯერვისი - *საერთაშორისო პოლიტიკა.* თბილისი, ილიაუნის გამომცემლობა 2011

ბერძენიშვილი ა. - *პოლიტიკის სოციოლოგია.* თბილისი 2000

გელნერი ე. - *ერები და ნაციონალიზმი.* თბილისი „ნეკერი“ 2003

დავითაშვილი ზ. - *მსოფლიოს ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია* თბილისი თსუ გამომცემლობა 2023

დავითაშვილი ზ. - *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი, „მეცნიერება“ 2003

დუგინი ა. - *გეოპოლიტიკის საფუძვლები.* თარგმანი რუსულიდან. თბილისი ”მთაწმინდელი” 1999

კისინჯერი ჰ. - *დიპლომატია.* თბილისი „ინტელექტი“ 2021

კისინჯერი ჰ. - *მსოფლიო წესრიგი.* თბილისი „ინტელექტი“ 2020

პივიჰაუსი ჯ. გოლდსტაინი ჯ. - *საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი 2024

რონდელი ა. - *საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი 2006

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. ქრესტომათია. თბილისი 2004

სმიტი ე.დ. - *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია.* თბილისი 2004.

ფუკუიამა ფ. - *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი.* თბილისი 1999

ქილორი უ. - *მეოცე საუკუნის მსოფლიო.* თსუ გამომცემლობა. თბილისი 2015

ჰანტინგტონი ს. - *პოლიტიკური სტატიები.* თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი 2001

ჰერსტი პ. ტომპსონი გ. - *გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი.* თბილისი „დიოგენე“ 2005

ჰობსბაუმი ე. -- *ერები და ნაციონალიზმი* 1780 *წლიდან.* თბილისი. ილიაუნის გამომცემლობა 2012

Albrow M.-Introduction in *”*Globalization*:* Knowledge and Society*”.* London: Sage, 1990

Albrow M. - The Global Age. Cambridge. Polity Press, 1996

An Introduction to International Relations**.** Edited by R. Devetak, A. Burke and J. George.

Second Edition. Cambridge University Press. 2012.

Aron R. - Paix et guerre entre les nations. Paris. 1984

Barber B. - Jihad versus McWorld. New-York. Ballantine Books. 1995
Baylis J. Smith S. (Ed) - The Globalization of World Politics. Second Edition. Oxford. Oxford University Press. 2001
Baylis J. Smith S, Owens P. (Ed) - The Globalization of World Politics. Eights Edition. Oxford. Oxford University Press. 2020
Blanton S. Kegeley C. - World Politics. Trend and Transformation Seventeenth Edition. Cengage. 2020
Burton J. - World Society. Cambridge. Cambridge University Press 1972
Chomsky N. - World Order, Old and New. London. Pluto Press. 1994
Clark J. - Globalization and Fragmentation: International Relations in the Twentieth Century. Oxford. Oxford University Press. 1997
Clark J. - Globalization and International Relations Theory. Oxford. Oxford University Press.1999
Cohen R. - Global Diasporas: An Introduction. London: UCL Press. 1997
Concise Oxford Dictionary of Politics. New York, Oxford. Oxford University Press. 1996
Cooper R. - The Economics of Interdependence. New York. McGraw Hill. 1968
Cox R. - Approach to World Order. Cambridge. Cambridge University Press. 1996
Cox M. - International History Since 1989. in Baylis J, Smith S (Ed) The Globalization of World Politics. Oxford University Press. 2001 p. 111-137
Delanty G. - Citizenship in a Global Age. Philadelphia. Open University Press. 2000
Delanty G. O'Mahony P. - Nationalism and Social Theory. London. Sage. 2002
Giddens A - Runaway World. London. Profile. 1999
Global Environmental Issues. Edited by R. Blakemore and A. Reddish. 2-nd edition. London.
Hodder and Stoughton. 1996
Gottlieb G. -Nation Against State. New-York 1993
Guibernau M. - Nations Without States. Cambridge. Polity Press 1999.
Gurr T. R. - Peoples Versus States. Minorities at Risk in the New Century. Washington D.C. US Institute of Peace Press. 2000
Gurr T.R. Harff B. - Ethnic Conflict in World Politics. , Boulder, San Francisco Oxford. Westview Press. 1994
Habermas J - The Postnational Constellation. Cambridge. Polity 2001
Halliday F. - Nationalism. In Baylis J, Smith S. (Ed) The Globalization of World Politics. Oxford University Press . 2001 p. 440-455.
Held D. - Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance. Cambridge. Cambridge Polity Press. 1995
Held D, McGrew A, Goldblatt D, Perraton G. - Global Transformation. Cambridge. Polity Press 1999
Hirst P. Thompson G. - Globalization in Question: The International Economy and The Possibilities of Governance. Cambridge. Polity Press 1996

Holton R. Globalization and the Nation-State. Palgrave. New York. 1998
Hutchinson J. - Modern Nationalism. London. Fontana 1994
Huntington S. - The Clash of Civilizations and Remaking of World Politics. New York Simon and Schuster. 1996
Inegalites entre Etats dans le systeme international. Laval 1975
Introduction to Clobal Politics. Brief Edition. By S. Lamy et al. Oxford University Press. 2012
Kaplan R. - The Coming Anarchy. In „The Atlantic Monthly" 1994
Kegeley C. Wittkopf E. - World Politics. Trend and Transformation. 8-th Edition. Boston and New York. 2001
Keohane R. Nye J. - Power and Interdependence. World Politics in Transition. Boston. Little Brown. 1977
Loard E. - International Society. London 1991
Mayall J. - Nationalism and International Society. Cambridge. Cambridge University Press. 1990
Mearsheimer J. - Back to the Future: Instability After the Cold War. In „International Security" 19 (3), 1990 p. 5-56
McLuhan M. - Understanding Media. London. Routledge. 1964
Modelski G. - Principles of World Politics. New York. Free Press. 1972
Morgenthau H. J. - Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. New York. Alfred A Knopf. 1948
Morse E. - Modernization and the Transformation of International Relations. New York. Free Press. 1976
Nationalism. Edited by J. Hutchinson and A. Smith. Oxford and New York. Oxford University Press 1994
O'Brien R. - Global Financial Integration. The End of Geography. New York 1992
Ohmae K. - The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. London. Fontana 1990
Ohmae K. - The End of the Nation-State: The Rise of Regional Economies. New York. Free Press. 1995
Papp D.S. - Contemporary International Relations. Frameworks for Understanding. 4-th Edition. New York and Toronto. Macmillan College Publishing Company 1994
Payne R. - Global Issues: Politics, Economics, and Culture. Pearson Longman. 2007
Penguin Dictionary of International Relations. By G. Evans and J. Newnham. London and New York. Penguin Books. 1998
Robertson A. - Globalization: Social Theory and Global Culture. London. Sage. 1992
Rosenau J. - Turbulence in World Politics. Brighton. Harvester Wheatsheaf. 1990
Rosenau J. - Along the Domestic-Foreign Frontier. Cambridge. Cambridge University Press. 1997

Rostow W. - The Stages of Economic Growth. A Non-Communist Manifesto. London 1960
Rourke J. T. - International Politics on the World Stage. 4-th Edition. Guilford CT. DPG. 1993
Sabanadze N. - Globalization and Nationalism. (Unpublished article)
Scholte J. A. - Globalization. A Critical Introduction. New York. Palgrave. 2000
Scholte J. A - The Globalization of World Politics. In Baylis G. and Smith S. (Ed) „The Globalization of World Politics". Oxford University Press. 2001
Smith A. D. - Nations and Nationalism in a Global Era. Cambridge. Polity Press. 1995
Smith A. D. - Nationalism and Modernism. London. Rutledge 1998
Snyder L. - The New Nationalism. Ithaca, New York. Cornel University Press. 1968
Snyder L. - Varieties of Nationalism: A Comparative Study. New York. Holt Rinehart and Winston. 1976
Spanier J. Wendzel R. - Games Nations Play. 9-th Edition. Washington D.C. CQ Press. 1999
Spencer P. Wollman H. - Nationalism. A Critical Introduction. London Sage Publication. 2002
The environment in International Relation. Ed. By Vogler J. and Imber M. London: Routledge. 1996
Tooze R. - International Political Economy in an Age of Globalization. In Baylis J. and Smith S. (Ed) „The Globalization of World Politics" Oxford University Press 1996
Toynbee A. - A Study of History. New York and Oxford. Oxford University Press. 1974
Waltz K. - Theory of International Politics. New York 1979
Woods N.- International Political Economy in an Age of Globalization. In Baylis J and Smith S. (Ed) „the Globalization of World Politics" Second Edition. Oxford University Press 2001

Арон Р. - Демократия и тоталитаризм. Москва, 1993
Бек У. - Что такое глобализация ? Перевод с немецкого. Прогресс - Традиция. Москва, 2001
Кукулка Ю. - Проблемы теории международных отношений. Москва, 1980
Тобин - Глобальная экономика: кто у руля? Журнал «Проблемы теории и практики управления»,1999, № !
Удовик С.Л. - Глобализация: семиотические подходы. Киев, 2002

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი, თამარ გულბანი,

ლელა წიკლაური, ნინო ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2026

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house



